

ყურთა



# ყუთიანი



არაბულიდან თარგმნა,  
შესავალი წერილი და  
განმარტებანი დაურთო  
გიორგი ლობჯანიძემ

თბილისის აზიისა და  
აფრიკის ინსტიტუტის  
ბიბლიოთეკის  
TBILISI INSTITUTE OF  
ASIA & AFRICA  
LIBRARY

1462 სი

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ „Horizon“-ს ამ წიგნის მოსამზადებლად  
და გამოსაცემად გაწეული დახმარებისათვის

პროექტის ავტორი: **ნაირა გელაშვილი**

რედაქტორი: **როსტომ ჩხეიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მხატვარი: **სოფიო კინწურაშვილი**

საავტორო უფლება ქართულ თარგმანზე, კომენტარებსა და ბოლოთქმაზე © გიორგი ლობჟანიძე  
უფლება ქართულ გამოცემაზე © „კავკასიური სახლი“

აკრძალულია თარგმანის ანდა მისი ნაწილების გადაბეჭდვა, ნებისმიერი მიზნის ბეჭდური და  
სამაუწყებლო სახით გამოყენება მთარგმნელთან და „კავკასიურ სახლთან“ შეუთანხმებლად

ISBN 99940-921-3-8



## შესავალი ყურანის პირველი ქართული გამოცემისათვის

### 1. მუჰამადის ცხოვრება

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიის, ისლამის ფუძემდებელი მუჰამადი დაიბადა 570 წელს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე ჰიჯაზის მხარეში. დაბადების დღისა და რიცხვის შესახებ მუჰამადის ბიოგრაფები და ჰადისების ავტორები განსხვავებულ ცნობებს გვანვდიან. თუმცა მათი უმრავლესობის თანახმად, მუჰამადი პარასკევს, 17 რაბი' ალ-ავევალს დაბადებულა, სხვანი კი ამბობენ, რომ წინასწარმეტყველი აღნიშნული თვის 10 რიცხვში დაიბადა. სხვათა შორის, დაბადების წელზეც სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ, თუმცა ისლამის ავტორიტეტულ მკვლევართა მიხედვით, მოციქული „სპილოს წელიწადს“, ანუ იმ წელს დაბადებულა, როცა ეთიოპიის ქრისტიანმა განმგებელმა აბრიჰამ წარუმატებლად ილაშქრა მექაში. მექელებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მომხდურთა საბრძოლო სპილოს და სწორედ ამიტომ წელიწადისთვისაც „სპილოს წელი“ უწოდებიათ. დადგენილია, რომ აბრიჰამს ლაშქრობა 570 წელს მომხდარა, ამიტომაც უფრო სარწმუნოდ მოციქულის დაბადების ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ.

ისლამის ევროპელი მკვლევრები, მაგალითად თეოდორ ნოლდეკე, რ. დოზი თუ ე. ა. კრიმსკი, ისლამს „უსასწაულებო რელიგიას“ უწოდებენ. ამით ისინი ხაზს უსვამენ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ ისლამში, ყოველ შემთხვევაში — დასაწყისისათვის, იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან განსხვავებით, არა გვხვდება სხვადასხვა ტიპის სასწაულებრივი გადმოცემები მოციქულის ზებუნებრივი დაბადებისა თუ მისი გამორჩეულობის დამადასტურებელ ზეციურ ნიშანთა შესახებ. იმ რამდენიმე გადმოცემასაც, რომელიც მუსლიმურ წყაროებში ამასთან დაკავშირებით დასტურდება, ზემოთ ნახსენები მკვლევრები მოგვიანო ხანისა და ანალოგიურ ქრისტიანულ გადმოცემათა მიბაძვით შექმნილ ნიმუშებად მიიჩნევენ, თუმცა ჰადისებში შემონახულ რამდენიმე ასეთ ყველაზე გავრცელებულ ცნობას ჩვენ მაინც დავიმონებთ, მაგალითად, მუჰამადის პირველ ბიოგრაფს — იბნ ჰიშამს მოაქვს ჰასან იბნ საბითის — ცნობილი არაბი პოეტის — მონათხრობი:

„მაშინ მე 7-8 რვა წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, კარგად აღვიქვამდი. ერთ დღეს, მედინის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის თავზე ვილაც იუდეველი დავინახე, რომელმაც დაიძახა: ჰეი, იუდეველნო! როცა მისი თანამერჯულენი ციხე-სიმაგრის კედელთან მოგროვდნენ და ჰკითხეს, რას გვეტყვიო, კაცმა მიუგო: იცოდეთ, ვარსკვლავი, აჰმადის მოსვლა რომ უნდა ეუნყებინა, ნუხელ აენტოო.“

„ას-სირათ ალ-ჰალაბისას“ და მუჰამადის სხვა მატთანებში კი მუჰამადის დედის, ამინა ბინთ ალ-ვაჰაბის, მონათხრობს იმონებენ, რომელსაც უთქვამს: „როცა ბავშვი დაიბადა, უცებ თვალისმომჭრელი სინათლე გამოჩნდა და აღმოსავლეთ-დასავლეთი გადაანათა. მე კი იმ სინათლეზე აშ-შამის — სირიისა და ბასრის სასახლენი დავინახეო“.

ასევე ამბობენ, რომ იმ ღამით სპარსეთის ძღვევამოსილი მბრძანებლის ქვითკირით ნაგები სასახლე, რომლის ასაშენებლადაც წლობით გარჯილიყვნენ და უხარვეზოდაც ეშენებინათ, უცებ შუაზე გადაიხსნა და ქონგურიც ჩამოექცა.

კიდევ ერთი ჰადისი, რომელსაც სხვაზე მეტად დაჰკრავს ზღაპრული ელფერი, მაგრამ სხვაზე მეტსაც გვეუბნება ისლამის სიმბოლიკაზე, მოგვითხრობს: „იმ ღამით იბლისმა თავისი ქვეშევრდომი ჯინები შეკრიბა. ჰკითხეს: ჩვენო სიხარულო, რამ შეგაშფოთაო? მიუგო: ვაი თქვენდა! ღამე ჩამოწვა თუ არა, იმ დროიდან აქამდე, ცისა და მიწის ვითარება სხვაგვარად მიჩანს. უეჭველია, დედამინაზე რალაც ისეთი მოხდა, რისი მსგავსიც 'ისა იბნ მარიამის (იესო

ქრისტეს) შობის შემდგომ აღარ მომხდარა. ახლავე წადით და გაიგეთ, რა მოხდაო.

ჯინები დაიფანტნენ, მერე კი, როცა მობრუნდნენ, განაცხადეს, ახალი არაფერი შეგვიმჩნევიაო. იბლისს უთქვამს: როგორც ჩანს, ამ საქმეს თვითონ უნდა მივხედო. ძებნა დაიწყო და ლამის მთელი დედამიწა გადაჩხრიკა, ვიდრე ბოლოს ალ-ჰარამს — წმინდათა წმინდა მექას — არ მიაღწა, რომლისთვისაც ანგელოზებს წრე შემოერტყათ. ალ-ჰარამში შეღწევას შეეცადა, მაგრამ ანგელოზებმა არ დაანებეს, უყვირეს და გზა გადაუჭრეს. მაშინ ჰირას გამოქვაბულისაკენ გასწია, ბელურად იქცა და იქ შეფრენას ღამობდა, რომ ანგელოზმა ჯიბრაილმა დაუძახა: აქედან გასწი, ღვთის წყალობას მოცილებულყო. იბლისმა უთხრა: ო, ჯიბრაილ, რაღაც მინდა გკითხო. მიუგო: რა გინდაო? ჰკითხა: წუხელს აქეთ ახალი რა მოხდაო? მიუგო: მუჰამადი დაიბადაო. იბლისმა ჰკითხა: მისგან სარგებელს თუ ვნახავ რამესო? მიუგო: არაო. ჰკითხა: მისი თემისგანო? — დიახო. იბლისმა რომ ეს გაიგონა, წამოიძახა: მაშინ ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარო.“

ამ ყაიდის გადმოცემები მრავლადაა, თუმცა მათზე აღარ შევჩერდებით. ამ გადმოცემებიდან ისე გამოდის, რომ მუჰამადი ქალაქ მექაში დაიბადა, მაგრამ მისი დაბადების ადგილის შესახებაც მათიანეთა ავტორებს სხვადასხვა აზრი აქვთ. ზოგი მათგანი მოციქულის დაბადების ადგილად მუჰამად იბნ იუსუფ ას-საკაფის სახლზე მიუთითებს და ამბობს, ეს სწორედ ის სახლია, რომელიც ას-საფას ახლოს მდებარეობდა, შემდგომ ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის მეუღლემ, საიდა ზუბაიდამ შეისყიდა და მის ადგილას მეჩეთი ააგო. ზოგი მემთიანე კი ამბობს, რომ მუჰამადი ბანი ჰაშიმის ქოხში დაიბადა. არსებობს კიდევ სხვა მოსაზრებებიც, რომელსაც მუსლიმი მეცნიერები არასარწმუნოდ მიიჩნევენ.

ასეა თუ ისე, მუჰამადის მშობლიური ქალაქი მექა არაბეთის ნახევარკუნძულის — ჰიჯაზის — მხარეში, ორ მთას — სამხრეთ აღმოსავლეთით აბუ კაბისისა და დასავლეთით კაიუკა'ანს შორის — მოქცეული პატარა დასახლება იყო. ქალაქის უძველესი ნაწილი ამ ფერდობზე იყო შეფენილი, რომელსაც ვადის (ხეობას) ანდა ბატნ მაქქას (მექის შუაგულს) ეძახდნენ, ხოლო მის ცენტრს ბატჰა ეწოდებოდა. ქალაქის ამ ნაწილის სახლები არაბთა უძველეს სალოცავს ალ-ქა'აბას ემზობლებოდა და სახლებსა და ალ-ქა'აბას შორის მოქცეულ დაშორებას „საბჭოს“, „სათათბიროსა“ თუ „საფიხვნოს“ (დარ ან-ნადვა) უწოდებდნენ. აქ იკრიბებოდნენ ოჯახთა მეთაურები, რომელთაგან არცერთი ორმოც წელზე ნაკლებისა არ უნდა ყოფილიყო და საზოგადო, სახალხო საქმეთა შესახებ მსჯელობდნენ.

მთის კალთებზე შეფენილი სახლები — ძირითადად უბადრუკი ქოხმახები — გაჭირვებულ ოჯახებს ეკუთვნოდა.

აუტანელი პაპანაქება, წყლის სიმცირე და კოლოთა სიმრავლე ქალაქის ჰაერს გაუსაძლისს ხდიდა. წვიმისა და ატმოსფერული ნალექების სიმცირე განუწყვეტელ გვალვას იწვევდა, რომელსაც შედეგად მოუსავლიანობა ახლდა. ამასთან ქალაქი ისე იყო განლაგებული, რომ თუ წვიმები დაიწყებოდა, ცხელი კლიმატური სარტყელის დასახლებისათვის ჩვეული დამშრალი კალაპოტები უეცრად დიდებოდა და მექას წყალდიდობით ემუქრებოდა. ეს წყალდიდობები, ზაფხულის გაუსაძლის სიცხეში, ძირითადად, გადამდებ სნეულებათა გაჩენით მთავრდებოდა.

სწორედ ამიტომ მრავალი ოჯახი, ვისაც კი საამისო სახსარი გააჩნდა, ახალშობილს უდაბნოს მცხოვრებლებზე აძიძავებდა, რათა ბავშვი სუფთა ჰაერზე გაზრდილიყო და ქალაქში გავრცელებულ სნეულებებსა და ინფექციურ დაავადებებს გადარჩენოდა.

იმ დროისათვის მექაში ძირითადად კურაიშის არაბული ტომი სახლობდა და ამ ტომის რამდენიმე გვარი სხვებთან შედარებით სიმდიდრითა და ზეგავლენით გამოირჩეოდა.

ბანი ჰაშიმი, ბანი უმაია, ბანი ზაჰრა, ბანი მაჰზუმი, ბანი ასადი, ბანი ნაფვალი, ბანი ჯუჰმაჰი, ბანი თაიმი და ბანი უდა ასეთ გვარებად მიიჩნეოდნენ.

ეს ოჯახები უმთავრესად ქალაქის ცენტრში, ალ-ბატჰას ხეობაში ცხოვრობდნენ და ამიტომაც მათ „აბტაჰი“-ს ანდა „კურაიშ ალ-ბატჰას“ უწოდებდნენ.

ქალაქის ეს ნაწილი კი, რომელიც ცენტრად ითვლებოდა და სადაც ზამზამის უძველესი წყარო და ალ-ქა'აბა მდებარეობდა, ძველი, დიდგვაროვანი ოჯახების საცხოვრისი იყო.

სხვა ოჯახები მთის კალთებსა და ბატყას ხევის განაპირას შეფენილ უბნებში ცხოვრობდნენ და მათ „ალ-კურაიმ აზ-ზავაჰირს“ — მენაპირე კურაიშელებს — უწოდებდნენ. ისტორიკოსთა ცნობით, ეს „ალ-კურაიმ აზ-ზავაჰირი“ „კურაიმ ალ-ბატყას“ სადარ ქონებასა და გავლენას ვერა ფლობდნენ, მაგრამ შეუდარებელი მებრძოლეები და საარაკოდ მამაცი ადამიანები იყვნენ.

ოჯახებს თავიანთ საცხოვრებელ უბნებში სრული თავისუფლება ჰქონდათ. ქალაქის მცხოვრებლებიცა და უდაბნოში მობინადრეებიც მხოლოდ — და ისიც გარკვეულწილად — ოჯახის უფროსებს (შეიხებს, ასაკოვან ადამიანებს) ემორჩილებოდნენ. თუ ძალადობა ანდა მკვლელობა მოხდებოდა, უდაბნოში გავრცელებული შურისგების კანონი სისხლისაღებას ითვალისწინებდა. ხოლო თუკი მკვლელი არ დანებდებოდა, პასუხისმგებლობა მის ოჯახსა და გვარს დაეკისრებოდა. ქალაქს არც პოლიცია ჰყავდა და არც მთავრობა, მაგრამ ფიცი და ალთქმა, რომლითაც ოჯახები ერთმანეთს შეეკვრებოდნენ, სამართლიანობის სრულ გარანტიას იძლეოდა, ხოლო ადამიანები, რომლებიც საზოგადო წესებსა და საერთო ინტერესებს არ ემორჩილებოდნენ, იმავე კანონის ძალით, მარტოობისა და განაპირებისათვის იყვნენ განწირულნი.

საზოგადო საქმეები ალ-ქა'აბას მახლობლად, დარ ან-ნადვაში განიხილებოდა. ამ თავისებურ საკრებულოში, რომელსაც რეალურად ხელთ ეპყრა მექის „სავაჭრო რესპუბლიკის“ მართვა-განმგებლობა, უფრო მეტი გავლენით შეძლებულ და დიდგვაროვან ოჯახთა წარმომადგენლები სარგებლობდნენ. ამასთან, მჭევრმეტყველების უნარი და საკუთარი აზრის მოხდენილად, მარჯვედ გამოხატვის ნიჭი არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობდა. თუმცა დარ ან-ნადვაში მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ გარკვეულ რჩევად აღიქმებოდა და ამ რჩევის გამომთქმელის ძალისა და ზეგავლენის გარდა საქმეში მისი განხორციელების არავითარი სხვა გარანტია არ არსებობდა.

მექა აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო გზათა შესაყარზე მდებარეობდა და ამიტომაც საუკუნეთა მანძილზე კარგად ცნობილ და აყვავებულ დასახლებას წარმოადგენდა. ეს ქალაქი ერთმანეთთან აკავშირებდა, ერთი მხრივ, ერაყსა და შამის ქვეყნებს, მეორე მხრივ კი — აზიასა და აფრიკას. თვითონ მექელთა სავაჭრო ქარავნები გამუდმებით შამსა (სირიასა) და იემენს შორის მიმოდოდნენ და ამ ქარავნებზე ზრუნვა მექელთა ძირითად სამუშაოს წარმოადგენდა. მექიდან იემენსა თუ შამში ისე ქარავანი არ გავიდოდა, რომ იქ კურაიშელთა უმრავლესობას — ქალსა თუ კაცს — თავისი კაპიტალი არ ჰქონოდა დაბანდებული. ამის გამო ამ უშორეს გზაზე ქარავანთა მოძრაობა და ვაჭრობის ვითარება საზოგადო ყურადღების საგანი იყო და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულის უმცირესი დეტალებიც კი ქალაქში საგანგებო მალემსრობოლთ ჩამოჰქონდათ.

ქარავნები უმთავრესად ძალიან დიდი იყო და აურაცხელ ქონებას ზიდავდა. ზოგი ქარავანი ორიათას ხუთას აქლემსაც კი ითვლიდა, ხოლო მექარავნეთა რიცხვი ხშირად სამას-სამას ორმოცდაათ კაცსაც კი აღწევდა.

ამ ქარავნებს მექიდან ტყავი, სანელებლები, საპარფიუმერო ნაწარმი, საღებავი და ოქრო-ვერცხლი გაჰქონდა. ზოგი ეს საქონელი იემენური, ინდური ანდა აბისინიური ნაწარმი იყო; შამიდან, ეგვიპტიდან და პალესტინიდან კი ბამბა-აბრეშუმი, იარაღი, მარცვლეული და ზეთი ჩამოჰქონდათ, რასაც უდაბნოელ არაბთა ბაზარზე აურაცხელი მუშტარი ჰყავდა. ზოგი ამ ქარავნის სიმდიდრე ხანდახან ორმოცდაათი ათას დინარსაც აღწევდა და ხშირად სარგებელი, რაც აქედან მექელებს რჩებოდა, თავნის ნახევარი ანდა უფრო მეტიც კი იყო. ქარავნის ხარჯს აქლემის დაქირავება, მეგზურის ან გამყოლის გასამრჯელო და გზად მდებარე დასახლებების შეიხთა და მმართველთათვის გათვალისწინებული ძღვენი შეადგენდა; მაგრამ ვაჭრობაც კარგ შემოსავალს იძლეოდა და ზოგჯერ დინარზე დინარიც კი რჩებოდათ.

ამ ვაჭრობიდან ბანი უმაიას, ბანი მახზუმისა და სხვა ოჯახებმა გვარიანი ქონება დააგროვეს და მათ სიმდიდრეს მევახშეობა კიდევ უფრო მეტ სარგებელს ჰმატებდა. კურაიშელები მევახშეობას ვაჭრობის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევდნენ და დინარზე სარგებლად დინარს მოითხოვდნენ. ამდენად მცირე ქონებასაც კი მისი პატრონის უზრუნველყოფა და სარგებ-

ლის მოტანა შეეძლო. მექაში ვაჭრობა საყოველთაო საქმიანობად ითვლებოდა და ვინც ამ საქმეს არ მისდევდა, ხალხის თვალში ფასი არ ედო. ქალებიც კი ვაჭრობისადმი განუზომელ ინტერესს იჩენდნენ. მაგალითად, არაბული წყაროებიდან კარგადაა ცნობილი, რომ აბუ ჯაჰლის დედა სუნამოებითა და ნელსაცხებლებით ვაჭრობდა, ხოლო აბუ სუფიანის ცოლი ალ-ქალბის ტომელებთან ალებ-მიცემობით იყო დაკავებული. ცნობილია ისიც, რომ ხადიჯა ბინთ ხუვაილიდს, ვიდრე მუჰამადს ცოლად გაჰყვებოდა, წლების მანძილზე შამის ქვეყნებში საქარავნო ვაჭრობისათვის მიეყო ხელი.

გარდა ამისა, ალ-ქა'აბას არსებობაც, რომელიც უძველესი დროიდან თითქმის ყველა არაბული ტომის სალოცავსა და თავშესაფარს წარმოადგენდა, მექის ეკონომიკურ წინსვლას, აქ ვაჭრობის განვითარებასა და საქარავნო გზების უსაფრთხოებას განაპირობებდა. ხოლო კურაიშელები, რომლებიც მექის ტაძრის მსახურებად ითვლებოდნენ, დანარჩენ არაბებზე მეტად სარგებლობდნენ ამ ვითარების სიკეთითა და ყველა შემოსავლით. ამის მიუხედავად ალ-ქა'აბა მხოლოდ კურაიშელთა საკუთრება არ ყოფილა. იგი ყველა არაბის სალოცავი იყო, ყველა ტომს ამ ტაძარში თავისი კერპი ედგა და კერპთა რაოდენობა აქ სამასსაც კი ალემატებოდა. არაბეთში მოსახლე ქრისტიანებსაც კი ამ ტაძრის კედლებზე იესოსა და მარიამის ფრესკები გამოესახათ და, როგორც ჩანს, თავის დროზე ტაძარში ისინიც ლოცულობდნენ.

წარმართულ არაბულ პანთეონში ალ-ლაჰი დიდ ღვთაებად ითვლებოდა, მაგრამ არც ერთადერთი იყო და არც სწორუპოვარი. მის გვერდით სხვა ღვთაებებსაც თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ. მათ შორის სამი ქალღმერთი ალ-ლათი, ალ-'უზზა და ალ-მანათი, რომელთაც არაბები ღმერთის ასულებს უწოდებდნენ, განსაკუთრებული და საყოველთაო თაყვანცემით იყვნენ გარემოსილნი. მკვლევართა ვარაუდით, ალ-ლათი მზის ღვთაება უნდა ყოფილიყო და არაბული ტომები მას ღმერთების დედად მიიჩნევდნენ. მისი ქანდაკება ტაიფში იდგა და ალ-ლათი იქ თეთრი ქვის სახით თაყვანიცემებოდა.

ალ-მანათი ბედისწერის ქალღმერთი იყო და ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს განაგებდა. მისი ტაძარი მექისა და მედინის გზაზე, ზღვის მახლობლად მდებარე ერთ ადგილ კუდაიდასთან იდგა, სადაც ამ ქალღმერთის შავი ქვისაგან დამზადებულ ქანდაკებას ინახავდნენ.

ალ-'უზზა კი სირიუსის ქალღმერთად ითვლებოდა და მისი ტაძარი მექასა და მედინას შორის, ვადი ან-ნახლამში — „პალმათა ხევში (ან: ჭალამში)“ მდებარეობდა.

ეს ღვთაებები, ბუნებრივია, მხოლოდ კურაიშელებს არ ეკუთვნოდათ, მაგრამ კურაიშელები მათ მსახურებასა და თაყვანისცემაში გამორჩეულ გულმოდგინებას იჩენდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ კურაიშელებიც და სხვა არაბებიც ამ ღვთაებათაგან განსაკუთრებულ პატივს ალ-'უზზას მიაგებდნენ.

არაბულ საისტორიო წყაროებში შემონახული გადმოცემის თანახმად, ბანი უმაიას გვარის ერთ კაცს, რომელსაც სახელად აბუ ჰუაიჰა სა'იდ იბნ 'ასი ერქვა, სასიკვდილო სარეცელზე ტირილი დაუწყია. მის მოსანახულებლად მისულ აბუ ჯაჰლს უკითხავს, რა გატირებს, სიკვდილისა ხომ არ გეშინია, რომელსაც ვერცერთი სულიერი ვერ გაექცევავო? მომაკვდავს მიუგია: სიკვდილისა კი არა, იმის მეშინია, რომ ჩემ შემდეგ ხალხი ალ-'უზზას თაყვანს აღარა სცემსო. აბუ ჯაჰლს უთქვამს, ხალხი ალ-'უზზას თაყვანს შენი სიცოცხლისათვის კი არ სცემდა, რომ შენი სიკვდილის გამო ამ საქმეზე ხელი აიღოსო.

ალ-'უზზას გარდა არაბებს სხვა ღმერთებიც ჰყავდათ. მაგალითად, ცნობილია, რომ კურაიშელებს ქაბას ტაძარში ედგათ ღვთის ქანდაკება, რომელსაც ჰაბალს ეძახდნენ. ეს იყო მენამული იაგუნდისაგან ჩამოსხმული კერპი, რომელსაც კაცის გამოსახულება ჰქონდა, მარჯვენა ხელი კი უძველესი დროიდან ჩამოეტეხათ და კურაიშელებს ახალი მარჯვენა მისთვის ოქროსაგან გამოექანდაკებიათ.

ალ-ქა'აბასა და სხვა ტაძრებში მდგარი ეს ღმერთები კურაიშელთა და დანარჩენ არაბულ ტომთა ყურადღებისა და თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდნენ. მათთან დაკავშირებით გარსშემოვლის, თაყვანცემისა და მსხვერპლშენიერვის თავისებური რიტუალები აღესრულებოდა. ამ რიტუალებში ქალებს, რომელთაც უწმინდურებად მიიჩნევდნენ, მონაწილეობის ნება არ გააჩნდათ. ალ-ქა'აბას გარსშემოვლისა და მომლოცველობის რიტუალი, რომელიც

გარკვეული სახეცვლილებით ისლამშიც გადავიდა, საერთოარაბული მოვალეობა იყო, მაგრამ აქაც განაკუთრებული ინიციატივა და გულმოდგინება ისევ კურაიშის ტომელთ ეკუთვნოდათ.

ზემოხსენებულ კერპებთანვე იმართებოდა მკითხაობისა და ბედისწერის წინასწარმეტყველების თავისებური რიტუალი — მაისარი და აზლამი, რომელიც ისართა მეშვეობით სრულდებოდა და არაბები მოგზაურობის ან სხვა მნიშვნელოვანი საქმეების წინ ასე ცდილობდნენ მოსალოდნელი ზარალი თუ ხეირი გაერკვიათ.

იმ სამას სამოც კერპს შორის კი, რომელსაც ქააბას ტაძარში პატივს მიაგებდნენ, ერთი ღვთაება ალ-ლაჰიც იყო. ალ-ლაჰი ბევრი ნიშნით ადამიანს ჰგავდა და ის ცაათა და ქვეყნის შემოქმედად, წვიმის ზეგარდმომვლენად და ქვეყნიერების საქმეთა გამრიგედ მიაჩნდათ.

ამასთან, ალაჰის თაყვანისცემა სხვა ღმერთების სამსახურსაც არ გამორიცხავდა. არაბები ხშირად მსხვერპლსა და შესანიშნავს ამ აღიარებულ კერპებსა და სხვა ღვთაებებს შორის ანაწილებდნენ, ხოლო ღმერთებსა და ჯინებს შორის ნათესაურ კავშირებს ხედავდნენ და ხშირად შემწეობისათვის ამ უკანასკნელთაც (ანუ ჯინებს) მიმართავდნენ, გულისმოსაგებად კი მათ სხვადასხვა შესანიშნავს უძღვნიდნენ.

ჯინები არაბთა წარმოდგენაში უხილავი, ძლევამოსილი არსებანი იყვნენ, რომლებიც უმთავრესად გამოქვაბულებში, წყლისპირებზე და უკაცრიელ ადგილებში ბინადრობდნენ და ზოგჯერ სულიერთა სახის მიღება ხელენიფებოდათ. ისინი ძირითადად ღამით და მეტწილად უდაბურ ადგილებში მომოდინდნენ და ადამიანისთვის სიკეთისა თუ სიავის, ხეირისა თუ ზარალის მოტანა შეეძლოთ. ამიტომაც საჭირო იყო ამ არსებათა კეთილგანწყობის მოპოვება და საამისო საშუალებად მათი თაყვანისცემა, მათთვის სამხვეწროებისა და შესანიშნავს მიტანა ითვლებოდა.

ისტორიულ ანალებში ასევე დაცულია ცნობები, რომელიც ადასტურებს, რომ ხეთა თაყვანისცემა არაბთა შორის უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. ამ რწმენა-წარმოდგენებს ხალხის ცნობიერებაში ფეხი ისე ღრმად მოეკიდებინა, რომ ისლამის დამკვიდრების შემდეგაც კარგა ხნის მანძილზე ხის მოჭრას ან ამოთხრას ღვთისთვის სანყენ, გასაკიცხ საქმედ და უბედურების მომტან საქმიანობად მიიჩნევდნენ.

ბევრ არაბულ ტომში ფართოდ იყო გავრცელებული ქვათა თაყვანისცემაც. როცა არაბები სამოგზაუროდ მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ ქვები, რომელთათვისაც თაყვანი უნდა ეცათ. ამასთან, თუკი გზად თანწამოღებულზე უფრო ღამაზ ქვას წაანყდებოდნენ, ძველს გადააგდებდნენ და ახალი მიჰქონდათ. ტორ ანდრეს შენიშვნით, ქვის ეს თაყვანისცემა არაბთა შორის შესაძლოა წარჩინი იყოს ძველ ებრაელთა ჩვეულებისა, რომელთაც თავიანთი კერპებისათვის შესანიშნავს ზოგჯერ ქვებიც მიჰქონდათ.

რაც შეეხება შესანიშნავს, სამხვეწროსა და ღვთაებათათვის ძღვენის მირთმევას, არაბთა შორის ესეც ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ, ებრაელთაგან განსხვავებით, მათთვის ამ ძღვენ-შესანიშნავს, ალ-ქა'აბას მომლოცველობისა თუ მსხვერპლშენიერვის რიტუალებს მხოლოდ საამსოფლო მნიშვნელობა ჰქონდა და მთლიანად ქვეყნიურ კეთილდღეობასთან, ცხოვრების სახსრის მოპოვების წადილთან იყო დაკავშირებული, რადგან არაბთათვის ცხოვრება ამქვეყნად მთავრდებოდა და სიკვდილის მერე არაფერი აღარ არსებობდა, ანუ არაბები არ სცნობდნენ სულის უკვდავებასა და საიქიოს. ამის შესახებ კი თუკი არაბთ რაიმე სმენოდათ, იუდეველთა და ქრისტიანთა სიტყვები იყო და ამ სიტყვებისაც მათში ალბათ არავის სჯეროდა. არაბები სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის არსებობას ცრურწმენად მიიჩნევდნენ და ამაზე ფიქრით დიდად თავს არ ინუხებდნენ. მართალია, კერპებს მსხვერპლსა და ძღვენსაც სწირავდნენ, მათი მომლოცველობის რიტუალსაც აღასრულებდნენ, მაგრამ რელიგიური ცხოვრებისადმი მაინცდამაინც დიდი ინტერესი და ხალისი არ გააჩნდათ. ამის მიუხედავად, რაკილა სისხლს, ნათესაობასა და წინაპრების ადათს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, წინაპართა რელიგიასაც უდიდეს პატივს სცემდნენ და მამა-პაპათა სჯულის შეურაცხყოფას საკუთარ შეურაცხყოფად აღიქვამდნენ. ეს იყო კურაიშელთა მხრიდან ისლამის



მიმართ გაჩენილი გააფთრებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი კი იყო ის, რომ ისლამის მიღების შემდეგ არაბს უარი უნდა ეთქვა ყოველგვარ სიაშეზე, რის გამოც იმქვეყნიური ცხოვრებისადმი ურწმუნობის პირობებში პასუხი არ მოეთხოვებოდა. პრინციპულად, ჯაჰილიის ხანის არაბს საკუთარ სიამოვნებასა და სარგებელზე ხელს არაფერი ააღებინებდა. სიძვა, რა თქმა უნდა, არ წახალისებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ მოსაზრების გამო, რომ მეუღლის (მამაკაცის) ქონებისა და საკუთრების ხელყოფად აღიქვამდნენ. მკვლელობისაგანაც თუ თავს იკავებდნენ, მართო იმიტომ, რომ სისხლის ალებისა და სამაგიეროს გადახდისა ეშინოდათ. ქურდობა და ძარცვა, განსაკუთრებით, თუ თან ომსა და ძალმომრეობას ახლდა, სირცხვილად და საძრახისად არ ითვლებოდა. ყომარი საყოველთაო გასართობი იყო და ზოგჯერ შეიძლებოდა მოგებულს წაგებული თავის მონად ექცია. ასევე ხდებოდა ვაჭრის შემთხვევაშიც, რომელიც, ჩვეულებრივ, ორმაგი სარგებლით გაიცემოდა და კურაიშელი ვაჭარი ამ დროს არაბთათვის ჩვეულ გულუხვობასაც სავსებით ივიწყებდა.

ქალაქად მცხოვრები მევახშენი მექელ ლატაკებსა და უდაბნოს მკვიდრ ბედუინებს პირდაპირ ძარცვავდნენ, რადგან ხელმოკლე მოვალე იძულებული ხდებოდა მევალის მონად და შინაყმად ქცეულიყო, მისთვის უფასოდაც ემუშავა და თან თავისი ვალიც გადაეხადა. ასეთი რამ ქალაქად მცხოვრებ მოვალეებს ემართებოდათ, ბედუინი კი, ვისაც ზურგსუკან უდაბნო ედგა, ახერხებდა ერთხანს მევალე ებილბითებინა, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, მხოლოდ მცირედი გადაეხადა, რადგანაც ბედუინისათვის ფიცი და დაპირება არაფერს ნიშნავდა, თუმცა ამ მხრივ მას არც კურაიშელი ვაჭარი ჩამოუვარდებოდა. იგი ხშირად ხალხის ქონებას ჭამდა, მაგრამ გაკოტრებისას აცხადებდა, რომ გზად ბედუინები დახვედროდნენ და მთელი სარჩო-საბადებელი წაერთმიათ. კაცმა რომ თქვას, ბედუინს ეს საქმე მართლაც არ უჭირდა, განსაკუთრებით, თუ სილატაკე მომეტებულად შეაწუხებდა და ლუკმაპურის შოვნის სხვა გზა აღარ დარჩებოდა.

ვაჭრები ბედუინებს, რომელთაც უდაბნოს გზა-ბილიკები შესანიშნავად იცოდნენ, ქარავანთა გამოყოფა-გამცილებლებად ქირაობდნენ, მაგრამ მათ თავიანთი სავაჭრო სარგებლიდან არაფერს უხდიდნენ, ხშირად გარეგებაში ატყუებდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, ვალსაც მხოლოდ ძალზე მაღალი პროცენტით ასესხებდნენ. ამის გამო ბედუინი მუდამ უკმაყოფილი იყო ქალაქელი ვაჭრისა და მას სიხარბისა და გაუმადლობის მხრივ ზვიგენს, უფრო სწორად, მის ერთ-ერთ სახეობას — ზღვის ძალღს (არაბ. კირშ, ან: კურაიშ) — ადარებდა, რომელიც დანარჩენ ზღვის ცხოველებს გლეჯს და ანადგურებს.

ისლამის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე მექა არაბული ტომთა საპილიგრიმო ადგილი იყო და წმინდად და უსაფრთხოდ ითვლებოდა. აქ არავინ არავის აწუხებდა და მის ტერიტორიაზე არცერთი სულიერის მოკვლა არ შეიძლებოდა. წელიწადში ოთხ თვეს ანუ წმინდათა წმინდა თვეებში არაბეთის ნახევარკუნძულის ყოველი მხრიდან არაბები მექაში ჩადიოდნენ და რელიგიური მომლოცველობის რიტუალებს აღასრულებდნენ. ამ რიტუალთა ცენტრი, რასაკვირველია, ალ-ქა'აბას ტაძარი იყო და ამიტომაც მექელ არაბებს იმაზე, თუ ვის ხელთ იქნებოდა ტაძრის მოვლა-პატრონობა, ცილობა და ურთიერთქიშპი ჰქონდათ ატეხილი. ეს მოვალეობა ძველად ერთხანს ამალიკელებს ეკისრებოდათ, მათ შემდგომ კი ალ-ქა'აბა ჯერ ჯურჰუმის ტომელთა, მერე ხუზა'ელთა, ბოლოს კი კურაიშელთა ხელში გადავიდა.

ალ-ქა'აბას არსებობა განაპირობებდა, რომ არაბთა მთელი გულისყური მექისაკენ ყოფილიყო მიმართული. ხოლო წელიწადში ერთხელ, როცა ნახევარკუნძულის სხვადასხვა კუთხიდან ამ ქალაქში საპილიგრიმოდ ჩამოვიდოდნენ, თან სავაჭრო საქონელსა და ნივთებთან ერთად ახალ-ახალი აზრები და იდეებიც ჩამოჰქონდათ.

მექიდან გამოსული ქარავანი თავის გზაზე რამდენიმე ოაზისს შეხვედებოდა. სირიისაკენ მიმავალს იასრიბზე ანუ იმ ქალაქზე უნდა გაეელო, რომელსაც მუჰამადის შემდგომ მადინა ან მადინათ ან-ნაბი — მოციქულის ქალაქი ეწოდა. ხოლო იემენისაკენ მიმავალი გზად ტაიფს გაივლიდა. ჩრდილოეთით — ჰიჯაზზე, სამხრეთით თიჰამაზე გამავალ გზათა მიღმა კი ერთ მხარეს მენამული ზღვა, ხოლო მეორე მხარეს ფიკრის ვრცელი უდაბნო მდებარეობდა. აღმოსავლეთით ნაჯდი და იამამა იყო, მათი სამხრეთითა და ჩრდილოეთით კი კიდევ ორი

საზარელი უდაბნო — ნუფუდი და დუჰნა.

იასრიბსა და ტაიფზე გამავალი გზებიც ალაგ-ალაგ უდაბური და ქვიშის ბორცვებით დაფარული ადგილები იყო. უდაბნოს ნაპირებზე გამომშრალი და მოტიტვლებული მთაგორაკები წამომართულიყვნენ და მხოლოდ აქა-იქ, ერთურთისაგან ძალზე დაშორებულ მანძილებზე თუ ფეთქავდა სიცოცხლისა და სიმწვანის მცირედი ნიშანწყალი.

უდაბნოში, რომელსაც მხოლოდ დროდადრო თუ რწყავდა ცხელი რეგიონის მეტწილად დამშრალ მდინარეთა კალაპოტები, მინდორი დიდი იშვიათობა იყო, სადაც ბედუინთა აქლემები ბალახობდნენ და აქა-იქ ზოგჯერ სირაქლემა ან ქურციკიც გაკრთებოდა.

სირიის გზაზე მდებარე ოაზისებში ძველთაგანვე სახლობდნენ არაბული ტომები, რომელთა ამბებიც უკვე მუჰამადის სიცოცხლეშივე დავიწყებას იყო მიცემული. ამ ტომთაგან საფლავები, წარწერები და სხვა ნივთიერი კვალი შემორჩენილიყო. იმის მიხედვით კი, რაც ამ ყველაფრიდან დღევანდლამდეც შემოგვრჩა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი არაბული ტომები ანდა ნაბატელები უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა მუჰამადის ხანაში ხალხს მათი ამბავი დაევიწყებინა და მათ ნაკვალევს უდაბნოში მცხოვრებ ლეგენდარულ არაბებს უკავშირებდნენ, რომლებიც, საზოგადო წარმოდგენით, საარაკო ძალითა და აღნაგობით გამოირჩეოდნენ და თითქოსდა წყალდიდობით ანდა ქარიშხლით უნდა ყოფილიყვნენ განადგურებულნი. ასევე ჰყვებოდნენ ტასმის, ჯადისის, ადისა და სამუდის ტომთა ამბებს, რასაც ზღაპრული ელფერი დაჰკრავდა და ერთგვარ დამრიგებლურ მოთხრობებად გამოიყენებდნენ.

მუჰამადის დროს ამ მივიწყებულ ხალხთა და თაობათა ადგილას, უდაბნოსა და მის შემოგარენში ბედუინები ბინადრობდნენ. კარვები და აქლემები, ამ კარავთა გარშემო რომ ბალახობდნენ, ბედუინთა არსებობის განუყოფელი ატრიბუტები იყო.

ბედუინები უმთავრესად კერპთაყვანისმცემლობას მისდევდნენ, იშვიათად კი მათ შორის ქრისტიანი ტომებიც გამოერეოდა. იუდეველნი მეტწილად იასრიბსა და მის ახლო-მახლო სოფლებში სახლობდნენ, ხოლო კერპთაყვანისმცემელი არაბები ძირითადად უდაბნოს ბინადარნი იყვნენ. ბედუინთა საქმე აქლემთა მწყემსვა და ბრძოლა იყო. ეს ბრძოლები, ძირითადად, საძოვართა და წყაროთა ხელში ჩასაგდებად იმართებოდა და ამ ომთა მიზეზით, ზოგჯერ რამდენიმე თაობის მანძილზე რომ გრძელდებოდა, მთელი ტომები ნადგურდებოდნენ ანდა გვერდიგვერდ მცხოვრები ტომები ერთიანდებოდნენ თუ ერთმანეთისაგან იყოფოდნენ.

ომის დასასრულს ძლეული მონინალმდეგის კვალიც კი აღარ ჩანდა: ან მთლიანად მოისრებოდნენ ან შურისძიების წყურვილით ანთებულნი უდაბნოში იფანტებოდნენ. მძლეველი ტომი კარვებს შლიდა ბრძოლით მოპოვებულ ოაზისში და თავის აქლემებს საძოვარზე მიუშვებდა. ალაფად მოხვეჭილ აქლემებს ტვიფარს გამოუცვლიდნენ და ხელში ჩაგდებად ნადავლს მებრძოლები ერთმანეთში იყოფდნენ. არაბული ტაიფი კი მაინც ჭიხვინებდა კარვის კალთებთან, რათა, თუ ხელახალი ბრძოლა დასჭირდებოდა, გამარჯვებული ტომი უგულუ-სყურო არ დარჩენილიყო.

მშვიდობიანობის დროს არაბი ბედუინი არხეინად იჯდა თავის კარავში თუ წყლის ნაპირას, მეგობართა და მოყვასთა შორის, სვამდა ფინიკის ღვინოსა და აქლემის რძეს და ჭამდა სადილს, რომელიც აქლემის ქონისა და ფინიკისაგან, ან დაბეგვილი ხორცისა და ფქვილისაგან მზადდებოდა. ზოგი მათგანი ახლომახლო ქალაქებში ჩადიოდა, ერთობოდა, ყომარს აგორებდა, ღვინოს სვამდა და ყურს უგდებდა მგოსანთა ლექსებს, რომლებიც მემთვრალეობას, ძარცვა-რბევასა თუ სასიყვარულო ვნებებს უმღეროდნენ.

ასეთი ცხოვრების წესი არაბს ღმერთზე, ადამიანის ბედისწერასა თუ იმქვეყნიურ სამყოფელზე ფიქრის დროსა და საშუალებას აღარ უტოვებდა და ამგვარ საფიქრალს მისი გონებრივი ჰორიზონტი ვერც გადაწვდებოდა.

სამხრეთის საქარავნო გზათა ბოლოს, რომლებიც ტაიფზე გადიოდა, იემენის მინა-წყალი მდებარეობდა — ე.წ. „ბედნიერი არაბეთი“, სუნამოთა და ნელსაცხებელთა ცენტრი. სწორედ ამ მინა-წყალთან აკავშირებდნენ საბას ტომის დედოფლის ბალკისისა და ებრაელთა ხელმწიფის სოლომონის ამბავს. გარდა ამისა, სამხრეთში მცხოვრებ ამ არაბებს უკავშირდებოდა კიდევ მრავალი თქმულება და გადმოცემა. ეს ტომები სირიელ და ჰიჯაზელ არაბთა მსგავსად

კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ და იმავე ადათ-წესებს იცავდნენ, რასაც კურაიშელი ან მექის მკვიდრი სხვა არაბული ტომები.

კურაიშელი ვაჭრები, შამსა და იემენს შორის თავისებური სავაჭრო სივრცე რომ აქტიურად აეთვისებინათ, ამ მოგზაურობისას აპლ ალ-ქითაბის ანუ ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრების წეს-ჩვეულებებს ეცნობოდნენ და ალბათ მათ გადმოცემებსაც ისმენდნენ ღვთის, ალღომის დღისა და მომავალი ანგარიშსწორების შესახებ, მაგრამ მათ გულს, გამორჩენისა და ქვეყნიური ტკბობის ნადილით რომ აღვსილიყო, ეს ამბები ვერ აათრთოლებდა.

მოგზაურობის გარდა, არაბთა ურთიერთგაცნობის კიდევ ერთი საშუალება ჰაჯის რიტუალი და ამ დროს გამართული ბაზრობებიც იყო. ამ ბაზრობებზე, სადაც არაბებს თავიანთ საქონელი სააღებშიცემოდ გამოჰქონდათ, მუშტარი არც ლექსსა და ქადაგებას აკლდა. ხოლო პოეზიისა და ქადაგების მეშვეობით აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლაც ხდებოდა.

არაბთა ყოფა-ცხოვრების დეტალები განსაკუთრებით მკაფიოდ სწორედ ამ ე. წ. „ჯაჰილიის ხანის“ პოეტურმა ნიმუშებმა შემოგვინახა. სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, „ჯაჰილიის ხანის“ პოეტურ მემკვიდრეობაში თუმცა გვხვდება შემდგომი დროის მთხვევლთა გემოვნებითა და წარმოსახვით ჩამატებული ნიუანსები, მაგრამ მთლიანობაში უეჭველია იგი მაინც იმ სინამდვილეს ასახავს, რაც ამ პერიოდის არაბთათვის იყო ნიშნული.

„მუალლაკების“ სახელით ცნობილი კასიდები ამ თვალსაზრისის თვალსაჩინო დადასტურებაა. ამ პოეზიაში, რომელიც ძირითადად ტრფობის, ღვინის, ნადირობისა და ბრძოლის ქება-დიდებაა, რელიგიური გრძნობის ფაქტობრივი არარსებობა გვეცემა თვალში. თვით სიკვდილის აჩრდილიც კი, რომელიც ჯაჰილიის ხანის არაბს მუდამ თან დასდევს შემზარავ უდაბნოში, მის სულს რელიგიური მორჩილებისა და სიმშვიდისკენ კი არ უბიძგებს, პირიქით, ამქვეყნიური ცხოვრების ცოდვისა და ღიზიზისაკენ ეწევა. სწორედ ამიტომ გაუჭირდა იმდროინდელ არაბს მუჰამადის ქადაგების მიღება, დაჯერება და გათავისება.

ერთლემრთიანობის იდეა, პრაქტიკულად, უცხო იყო წარმართული არაბეთისათვის. თუ არ ჩავთვლით ე. წ. „ჰანიფებს“, რომელთაც XIX საუკუნის ევროპელი ორიენტალისტები არაბული საზოგადოების იმ გამონაკლისად მიიჩნევენ, რაც წესს ადასტურებს. გარდა ამისა, ჰანიფიზმი ამ მეცნიერთა ნაშრომებში შეფასებულია, როგორც წინა მონოთეისტური რელიგიების, ძირითადად იუდეველობისა და ქრისტიანობის, ზეგავლენით წარმოშობილი გარკვეული მსოფლმხედველობა, რომელიც ღვთის, სამყაროს შემოქმედის ერთადერთობის იდეაზე იყო დაფუძნებული. ყველას, ვინც კი ამ თვალსაზრისს იზიარებდა, ჰანიფებს ეძახდნენ, თუმცა ისინი არც რომელიმე განსაზღვრული სექტის წევრები ყოფილან და ერთმანეთთან არც განსაკუთრებული ურთიერთობები არ აკავშირებდათ, როგორც, სხვათა შორის, აბრაამის მიმდევარ საბეელებთან, რომელნიც ასევე ჰანიფების სახელს ატარებდნენ.

ისლამმცოდნეობის გარიჟრაჟზე ევროპულ მეცნიერებაში არსებობდა თვალსაზრისი, რომ არაბული ჰნფ ძირიდან მომდინარე სიტყვა „ჰანიფ“ „განდგომილს“, „სჯულგანდგომილს“, „ბილწს“, „უზნეოს“ ნიშნავდა. თუმცა ართურ შპრენგერის მიერ გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ მეცნიერებაში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და შემდგომში უფრო ველჰაუზენის თვალსაზრისი გაიზიარეს, რომლის მიხედვითაც, „ჰანიფი“ ასკეტს, მეუდაბნოეს ნიშნავს.

ასეა თუ ისე, ზემოხსენებულ ორივე სახეობის ჰანიფთა საერთო მახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ უარყოფდნენ იუდაიზმსაც და ქრისტიანობასაც და სწამდათ „სჯული აბრაამისა“, ვინც თავისი შვილის ისმაილის ხაზით არაბთა მამამთავარი იყო და ვინც, არაბული გადმოცემის თანახმად, ალ-ქა'აბას წმინდათაწმინდა ტაძარი ააგო.

ჰანიფთა მოძღვრება მარტივი, იოლად გასაგები და ამ პრაქტიკული ხალხისათვის შესაფერისი სწავლება იყო. თავისი არსით ჰანიფიზმს შეეძლო მთელი არაბეთის საერთოეროვნულ რელიგიად ქცეულიყო, მაგრამ საამისოდ მას ჩამოყალიბებული დოგმატიკა, იერარქია, მტკიცე ორგანიზაცია, გარკვეული რელიგიური რიტუალები და, უპირველესად, ღვთიური გამოცხადება სჭირდებოდა, ანდა ის, რასაც ღვთიურ ემანაციად მიიჩნევდნენ.

ისლამის აღიარებულ მკვლევართა თვალსაზრისით, მუჰამადის დიდი მისიაც სწორედ ის იყო, რომ ჰანიფიზმი ყველა აღნიშნული ნიშან-თვისებით აღეჭურვა. თუმცაღა ეს უკვე თა-

ვისთავად ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან არაბები არათუ არ გრძნობდნენ რელიგიის საჭიროებას, ღვთისმსახურების ყველა რიტუალსა და მეტაფიზიკური აზროვნების ყველანაირ გამოვლინებასთან არსებით გაუცხოებასაც განიცდიდნენ. ამ ამოცანის განხორციელებას კი მტკიცე თავდაჯერება და ურყევი რწმენა სჭირდებოდა.

ეს თვისებები უზვად ჰქონდა მიმადლებული ისლამის ფუძემდებელს, რომლის ღვთიურმა გამოცხადებამაც ძირფესვიანად შეცვალა არამხოლოდ არაბთა ტრადიციული ყოფა, არამედ მთელი მსოფლიოს რელიგიურ-პოლიტიკური ბედისწერა.

გასაკვირია, რომ მუსლიმურმა ანალებმა ამ კაცის ბავშვობაზე უხვი ცნობები ვერ შემოგვინახა. თვით მისი დაბადების თარიღიც კი, როგორც აღინიშნა, პირობითია და ზემოთ შიჯრის კალენდრით დამონმებული ციფრი რომ ევროპულ კალენდარზე გადმოვიტანოთ, 570 წლის 20 აპრილი გამოვა. მკვლევართა შენიშვნით, სავარაუდოდ, თვითონ მუჰამადმაც არ იცოდა, ზუსტად რომელ წელსა და რიცხვში დაიბადა.

პაპამისი 'აბდ ალ-მუტტალიბი კურაიშელთა ტომის ერთ-ერთი დიდი გვარის შაშიმიანთა მეთაური და ხელმძღვანელი იყო. ხოლო მამა 'აბდ ალ-ლაჰ იბნ 'აბდ ალ-მუტტალიბი მუჰამადის დაბადებამდე (ერთი ვერსიით კი, როცა ახალშობილი ორი თვისა გახდა) სირიის სავაჭრო მოგზაურობიდან მობრუნებული მექის გზაზე, ქალაქ იასრიბთან, 25 წლისა გარდაცვლილა.

ოთხი თვის მუჰამადი, იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, უდაბნოში გაუძიძავებიათ ბანი სა'დის ტომელ ქალზე რომელსაც, მუსლიმური წყაროების თანახმად, ჰალიმა რქმევა.

სწორედ ამ ქალთან აკავშირებს მუსლიმური გადმოცემა მონათხრობს, სადაც მუჰამადის ბავშვობისას მომხდარ კიდევ ერთ სასწაულზეა საუბარი. ისლამის ევროპელი მკვლევრები ამ ლეგენდასაც მოგვიანებით შეთხზულად მიიჩნევენ, მაგრამ რაკილა ეს გადმოცემა გარკვეულწილად აგვიხსნის ყურანის XCIV სურის 1 აიაში მუჰამადის „გულის გადახსნასთან“ (ინშირაჰ) დაკავშირებულ პასაჟებს, ჩვენ მას აქ მაინც დავიმონმებთ.

ძიძის — ჰალიმა ბინთ სა'დის — პირით მონათხრობი ეს ამბავი დამონმებულია ალ-ბუხარის „ას-საჰიჰშიც“.

ჰალიმა გვიამბობს: „მოხდა ისე, რომ შინიდან ქმარსა და ჩემს ახალშობილთან ერთად გამოვედით და სხვა ქალებთან ერთად მექაში ძუძუთა ბაღლების მოსაძიებლად გავემართეთ. ის წელიწადი გვალვიანი იყო და ჩვენ სავსებით უსახსროდ ვიყავით დარჩენილნი. მიგვყავდა ერთი ნაცარა ვირი და ერთიც დედალი აქლემი, რომელიც წვეთ რძესაც კი არ ინველებოდა. ძილითაც მთელი ღამე თვალს ვერ მოვხუჭავდით, რადგან მშვიერი ბავშვი მთელი ღამე ღნაოდა, მე კი რძე სწორედ იმდენი მქონდა, რამდენიც ჩვენს აქლემს. მომავლის იმედს მაინც არ ვკარგავდით და გზას ვაგრძელებდით. მექაში ჩამოვედით და ახალშობილთა ძებნას შევუდექით.

ის ბავშვი, რომელიც მომავალში წინასწარმეტყველი დადგა, ნათესავებმა ყველა მეძუძურ ქალს შესთავაზეს, მაგრამ მისი აყვანა არცერთმა არ ისურვა. ქალები ამბობდნენ: ეს ბავშვი ობოლია და მის საფასურს ვინ გადაგიხდისო. საქმე ისაა, რომ კარგ გასამრჯელოს ძუძუთა ბაღლების მამები იხდიდნენ, ობოლი ჩვილების დედათაგან კი ასეთი ჯამაგირის იმედი არ უნდა გქონოდა.

ჩემთან ერთად წამოსულმა ყველა ქალმა მოძებნა ბავშვი, მე კი ვერაფერი გავანწყვე. ქმარს ვუთხარი: არ მსურს, შინ ხელცარიელი დავბრუნდე, წავალ, იმ ობოლ ჩვილს მაინც წამოვიყვან-მეთქი.

ქმარმა მომიგო: შენი ნებაა. ხოლო ეგებ ალაჰმა წყალობა მოგვაგოს, თუკი ადგები და იმ ბაღლს თან წამოიყვანო.

და აჰა, მეც ავიყვანე ბავშვი, თუმცა ამას არ ვიზამდი, სხვა ახალშობილი რომ მომეძებნა. ჩვენს ქარავნთან მოვბრუნდი და ბავშვს ძუძუ მივეცი. ჩვილი დანაყრდა, მე კი ავდექი და ძუძუ ჩემს შვილსაც მოვანოვე. ისიც გაძღა. ორივემ დაიძინა და ჩვენც ამდენი ხნის მერე ღამე უშფოთველად გავატარეთ. ჩემი ქმარი კი აქლემის დასახედად რომ წავიდა, აღმოჩნდა, რომ



ჯიქანი იმასაც გავსებოდა. კაცმა აქლემი მოწველა და რძე ყველას გვეყო შიმშილის მოსაკლავად. დილით ქმარმა მითხრა: ეტყობა, კურთხეული ბავშვი შეგვხვდა, მაღლობა ალაჰსო!

უკანა გზობისას ჩვენი აქლემი ისე სწრაფად მიდიოდა, რომ თანმხლები ქალები ველარ გვეწოდნენ და ფიქრობდნენ, ალბათ, სხვა აქლემი ჰყავთ და არა ის, რომლითაც მექაში ჩამოვიდნენო.

ბანი სა'დის მინებზე უფრო ურწყულ და უწყალო მხარეს ვერსად მოიძიებთ. მაგრამ რაც მექიდან ჩამოვბრუნდით, ჩვენი ჯოგი უამრავ რძეს ინველებოდა, მეზობლებს კი რძე ძალიან უჭირდათ. ამიტომაც თავიანთ მწყემსებს არიგებდნენ, საქონელს იქ აძოვეთ, სადაც ჰალიმას ჯოგი ბალახობსო. ისინიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ კი ასე საკმაო ქონება და დოვლათი დავაგროვეთ.

ორმა წელმა გაიარა და ბავშვი, მისი ძუძუმტის მსგავსად, ძუძუს მოვაცილევ. ის უკვე კარგად მოიჩიბა და ამიტომაც დედას ჩავუყვანეთ, თუმცა იმდენი დოვლათი და ბარაქა მოგვცა, რომ მისი ხელიდან გაშვება არ გვინდოდა და დედამისს ვუთხარი: იქნებ, ცოტახანს კიდევ დამეტოვებინა ბავშვი, ვიდრე საბოლოოდ მომაგრდებოდეს. მექაში ცული ჰავაა და მეშინია, ამ ჰაერმა არაფერი ავნოს-მეთქი. დედამისმაც ბავშვი ისევ გამოგვატანა.

ერთი თვის შემდეგ მუჰამადი და მისი ძუძუმტე ნახირის ახლოს ისხდნენ, ნახირი კი ჩვენი კარვების გვერდით ბალახობდა. უცებ მისი ძუძუმტე მოვარდა და გვითხრა, თეთრებში გამოწყობილმა ორმა კაცმა ჩვენი კურაიშელი წამოაქცია და ტანი გადაუფატრაო.

მეც და ჩემი ქმარიც იმ წამსვე გავიქეციით და დავინახეთ, რომ მუჰამადი ფეხზე დგას, ოღონდ ერთიანად გადაფითრებულა. ვკითხეთ, რა მოხდაო, და გვიამბო, რომ ორმა კაცმა სხეული გაუფატრა და იქ რალაცას დაეძებდნენ, მაგრამ რას, თვითონ ვერ გაიგო.

კარავში მივბრუნდით და ქმარი მეუბნება: მეშინია, ამ ბავშვს ზნემ ხომ არ წამოუარაო.

მაღე მუჰამადი დედას დავუბრუნეთ. ვუთხარი: შენი შვილი უკვე მომაგრდა და ყველაფერი გავუკეთე, რაც შეეძელი. ახლა კი მეშინია, რამე არ დაემართოს და ამიტომაც უკანვე გაბარებთ-მეთქი.

დედამ მიპასუხა: ეგ წამდვილი მიზეზი არ უნდა იყოს. პირდაპირ მითხარი, რამ შეგამფოთათო.

ასე მაიძულა ყველაფერი მეამბნა და მერე წამოიძახა: ესე იგი, შეგეშინდა, ბავშვი ავმა სულმა ხომ არ შეიპყროო?!

ჰო-მეთქი, თავი დავეუქნიე. მაშინ მითხრა:

— ალაჰსა ვფიცავ, ასეთი არაფერი მოხდებოდა. ეშმაკს მუჰამადზე ძალა არა აქვს. ჩემს შვილს დიდებული ბედი უწერია. განა არ მითქვამს, როცა მასზე ორსულად ვიყავი, ჩემგან ისეთი ნათელი გამოდიოდა, რომ ამ სინათლეზე ბასრის სასახლეთა დანახვა შემეძლო, ხოლო, როგორც კი ვშობე, ჩვილმა თავისი პატარა ხელი მიწას დააბჯინა, ხოლო თავი ცისაკენ მიაქცია.

კარგი, ბავშვი დამიტოვე და შენს გზას ეწიეო.“

თითქმის ყველა მუსლიმური გადმოცემა თანხმდება, რომ მუჰამადი ოთხ, ზოგი ცნობის თანახმად კი, ხუთ წლამდე ძიძასთან იზრდებოდა და დედასთან — ამინა ბინთ ალ-ვაჰაბთან — სწორედ ამ ხნისა დაუბრუნებიათ, მაგრამ ექვსი წლისას დედაც გარდაცვლია, ცოტა ხანში კი მომკვდარა პაპაც, მისი ოფიციალური მეურვე — 'აბდ ალ-მუტტალიბი — და ამიტომაც შვიდი წლის ობლის მეურვეობა ბიძას — აბუ ტალიბს — დაკისრება.

აბუ ტალიბს მექელები დიდ პატივს სცემდნენ და, როგორც კურაიშელთა ტომის მეთაურს, ჭკუის საკითხავ კაცად მიიჩნევდნენ, მაგრამ ნივთიერად ძალზე შეჭირვებული ყოფილა და მისი ძმები, განსაკუთრებით კი 'აბდ ალ-უზუა, იგივე აბუ ლაჰაბი, მასზე გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ. ამის მიუხედავად, ობოლი მუჰამადი მაინც აბუ ტალიბის სახლში იზრდებოდა და ბიძას, როგორც შეეძლო, მისთვის მზრუნველობა არასდროს მოუკლია.

თუმცა რაკი აბუ ტალიბის ოჯახს თავი ძლივძლიობით გაჰქონდა, მომავალი წინასწარმეტყველი იძულებული იყო, ადრეული ბავშვობიდანვე ხელი რალაც საქმისათვის მოეკიდა. მან მექელთა საქონლის მწყემსვა წამოიწყო. ხელობა, რომელიც არაბთა თვალში დამამცირებელ

საქმედ ითვლებოდა და ძირითადად მხოლოდ ქალები და ობლები თუ მისდევდნენ.

მუჰამადის ჯამაგირი იმდენად მცირე იყო, რომ ბავშვს საკვებადაც კი არა ჰყოფნიდა და ხშირად იძულებული ხდებოდა, თავი მინდორში შეგროვებული კენკრითა თუ ხილით გაეტანა. ასეთი გაჭირვების მიუხედავად, პატარა მუჰამადი სხვისას ხელს არაფერს მოჰკიდებდა და, თუკი რამეს მიაბარებდნენ, პატრონს უკან პატიოსნად დაუბრუნებდა. სწორედ ამიტომაც შეარქვეს „ალ-ამინი“ ანუ „სანდო“.

594 წელს 24 წლის მუჰამადი ერთი მდიდარი ქვრივის ხადიჯა ბინთ ხუვაილიდის სავაჭრო ქარავანთა უფროსად დაინიშნა. ხადიჯა მანამდე ორჯერ გათხოვილიყო. მამისა და ერთ-ერთი გარდაცვლილი ქმრისაგან საკმაო ქონება დარჩენოდა და შამის ქვეყნებთან დიდ საქარავნო ვაჭრობას ეწეოდა. ორმოცი წლის ქვრივი იმდენად მოხიბლულა ახალგაზარდა მუჰამადის პიროვნული ღირსებებით, რომ მისთვის ხელი თვითონვე შეუთავაზებია.

კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი გასაკვირი სულაც არ ყოფილა, რადგან მუჰამადი, გარდა იშვიათი პიროვნული ღირსებებისა, ლამაზი გარეგნობითაც გამოირჩეოდა. იმის გამო, რომ ისლამმა მოგვიანებით მკაცრად აკრძალა ადამიანის სახის გამოხატვა, მოციქულის პირობითი პორტრეტი მხოლოდ რამდენიმე მინიატურაში შემოგვრჩა. სამაგიეროდ, ტრადიციულ ბიოგრაფიათა ავტორები დანვრილებით აღგვიწერენ მუჰამადის გარეგნობას:

იგი საშუალო ტანის ან საშუალოზე ცოტა მაღალი, ძლიერი აღნაგობის, მხარბეჭიანი და ფართო გულმკერდიანი მამაკაცი ყოფილა. გრძელი ხელები, ფართო, ამოზნექილი შუბლი, არწივისებური ცხვირი, დიდი, შავი თვალები, სქელი წვერი, გრძელი, ხშირი, ოდნავ დატალღული თმა, თხელი სახე და დიდი პირი ჰქონია. შეენოდა სიცილი და მთლიანობაში ყოფილა ძალზე მოხდენილი მამაკაცი. დადიოდა ფეხით და ძალზე სწრაფად. იყო ყოველთვის საქმიანი და არც თუ იშვიათად სევდიანი: ღრმა ფიქრებში ჩაფლული დიდი ხნით დუმდა ხოლმე; სძულდა მრავალსიტყვაობა. საუბრისას ყოველთვის ეხებოდა არსებითს და სათქმელს მკაფიოდ, გასაგებად აყალიბებდა, თავის გრძნობებს აზრს უმორჩილებდა და ადამიანებთან ურთიერთობისას იყო ტაქტიანი, არც თუ იშვიათად მკაცრი, მაგრამ არა უხეში, ჩვეულებრივ კეთილი და ბავშვების მოყვარული. გარშემომყოფთა პატივისცემასა და ნდობას იმსახურებდა თავისი რელიგიური მოღვაწეობითა და ისეთი თვისებებით, როგორიც იყო გამბედაობა, სიმამაცე, სამართლიანობა და სიმტკიცე, რომელიც სიმკაცრეში გადადიოდა, მაგრამ რომელსაც გულუხვობა და კეთილშობილება აწონასწორებდა. ჰქონდა ქცევები, რითაც მიმდევართა სიყვარულსა და ერთგულებას იხვეჭდა. შემდეგი ხანის მუსლიმურ ღვთისმეტყველებაში მუჰამადი გახდა ნიმუში სრულყოფილი ადამიანისა და მაგალითი საყოველთაო მიბაძვისა.

ამდენად ხადიჯას დაინტერესება გასაკვირი არ ყოფილა, მაგრამ თვითონ მომავალმა წინასწარმეტყველმაც ეს წინადადება სიხარულით მიიღო და, ამრიგად, ღარიბი ახალგაზარდა კაცი დიდძალი ქონების პატრონი შეიქნა. ხადიჯას სიმდიდრემ მუჰამადი საარსებო სახსარზე ფიქრისაგან გაათავისუფლა და საშუალება მისცა მარადიულ, სულიერ ღირებულებებზე დაფიქრებულიყო. მალე შვილებიც შეეძინათ და ამის შემდეგ მისი ცხოვრება აშმღვრეველი კალაპოტით მიდიოდა. აღარც ობლობის სიმწარე ახსოვდა და არც ბავშვობის სილატაკე-ხალხში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მის სიტყვას ყველა ანგარიშს უწევდა. ყურადღებიანი, მოსიყვარულე და კეთილი იყო. თავისი ღრმა ბუნებიდან გამომდინარე კი ხშირად განმარტობა და ფიქრი უყვარდა.

მუსლიმური გადმოცემები მწირ ცნობებს გვანვდიან იმის შესახებ, თუ ვისთან ურთიერთობდა იმ ხანად მუჰამადი. ერთი ცნობის თანახმად, მას ძალზე ჰყვარებია ხადიჯას ქრისტიან ბიძაშვილთან — ვარაკაიბნ ნავფალთან — საუბარი. ასევე ხშირად ებაასებოდა თურმე ზაიდ იბნ უმარსა და იბნ ნუფაილსაც, რომელთაც ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ზურგი შეექციათ, მექის ახლოს მდებარე გამოქვაბულებში მარტოდმარტო დასახლებულიყვნენ და თავისი ტომის კერპებსა და კერპთაყვანისმცემლებთან ყოველგვარი კავშირი გაენწყვიტათ.

წინასწარმეტყველის ბიოგრაფები აქვე საგანგებოდ მიუთითებენ, რომ სირიაში ერთ-ერთი მოგზაურობისას, ზოგი ცნობით, ჯერ კიდევ 12 წლის, ზოგი წყაროთი კი, უკვე მონიფული, მუჰამადი ქრისტიან ბერს — ბაჰირას შეხვედრია და მასთან უსაუბრია. ბერს მუჰამადში

მომავალი წინასწარმეტყველი შეუცვნია.

როგორც აღინიშნა, იმხანად არაბთა დიდი ნაწილი კერპთაყვანისმცემლობაზე უარს ამბობდა, ფაქტობრივად, საკუთარ თემსა და ტომს სწყდებოდა, უდაბნოში გადიოდა და ჰანიფიზმის მიმდევარი ხდებდა, რაც ერთი ღმერთის — ალ-ლაჰის — თაყვანისცემასა და იმქვეყნიური ცხოვრებისა თუ საუკუნო სასჯელ-სასყიდელის რწმენაში გამოიხატებოდა. ხსენებული ზაიდ იბნ უმარი, რომელიც მუჰამადს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა, სწორედ ასეთი ჰანიფი იყო. ერთი გადმოცემის თანახმად, მას გაუფრთხილება მომავალი წინასწარმეტყველი, კურაიშელთა კერპებისა და სარწმუნოებრივი შეხედულებებისაგან თავი შორს დაეჭირა.

თუმცა ქრისტიანებსა და ჰანიფებთან საუბრის გარდა, თვითონ მუჰამადს თვითრეფლექსიის შინაგანი მოთხოვნილება განმარტოებისა და ფიქრისაკენ ეწეოდა. ზოგჯერ კი ჰანიფების მსგავსად მექის ახლოს მდებარე მთის — შირას — გამოქვაბულში მიდიოდა და იქ კვირაობით, წმინდათა წმინდა რამადანის (რამაზანის) თვეში კი მთელი თვეც რჩებოდა.

ხადიჯას ქონება მას უკვე აძლევდა ამის საშუალებას და თანაც მუჰამადი თანამემამულეთაგან ბევრი რამით განსხვავდებოდა. იგი, მათი დიდი უმრავლესობის საპირისპიროდ, არ ყოფილა პრაქტიკული კაცი, ვისაც ცივი ანგარიშიანობა გამოარჩევს, სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობა მიმადლებია და მხოლოდ დღევანდელი დღე და მატერიალური დოვლათისაკენ სწრაფვა ამოძრავებს.

პირიქით, მუჰამადი ამქვეყნიური საზრუნავისათვის გამოუსადეგარი ადამიანი იყო. მაშინაც კი, როცა საკუთარ თავში ღვთის მოციქული გააცნობიერა, იგი პრაქტიკული საქმიების მოგვარებას მუდმივად თავის მეგობრებს ანდობდა, რომელთაც რელიგიასთან არანაირი კავშირი არ გააჩნდათ.

ის იყო მეოცნებე — იშვიათი გამოვლინება არაბთა შორის. ტემპერამენტი, რომელიც აშკარად დედისაგან ჰქონდა ნამემკვიდრევი, მომეტებული სიფიცხით ხასიათდებოდა. მუდამ მელანქოლიურ გუნებაზე იდგა, დაფიქრებული და შფოთიანი ჩანდა. ცოტას ლაპარაკობდა და უმიზეზოდ არაფერს იტყოდა. ვერ იტანდა უამურ სუნს, ხოლო როცა ავად ხდებოდა, ბავშვივით ტირიდა. ჰქონდა მდიდარი წარმოსახვის ნიჭი და მომეტებულად აფორიაქებდა ზებუნებრივი მოვლენები.

ცნობილია, რომ სწორედ ასეთი შინაგანი წყობის ადამიანები არიან მიდრეკილნი რელიგიური საფიქრალისადმი. თუმცა მატერიალისტურად განწყობილი ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები შეეცადნენ, მუჰამადის ხასიათი მისი ფიზიკური დაავადებით აეხსნათ. ჯერ ფიქრობდნენ, რომ იგი ჩვეულებრივი შიზოფრენიით იტანჯებოდა, XIX საუკუნის ბოლოს კი გერმანელმა ორიენტალისტმა და ექიმმა შპრენგერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მუჰამადი დაავადებული იყო მუსკულური ისტერიით — იმ იშვიათი სნებით, რომელსაც განმეორებითი შეტევები ახასიათებს. სუსტი შეტევისას ავადმყოფობა მუსკულატურის სპაზმური გაფართოება-შევიწროვებით ვლინდება. ენა და ბაგეები ცახცახებენ, თვალები ერთხანს არაბუნებრივად ტრიალებს, თავი ავტომატურად ბრუნავს და ავადმყოფს თავის საშინელი ტკივილი აწუხებს. ძლიერი შეტევისას კი მუსკულურ ისტერიას გაშეშება ახასიათებს. დაავადებული მინაზე ვარდება და ხევდება. გონებას კი არა ჰქარგავს და ძირითადად ამით განსხვავდება მუსკულური ისტერია ჩვეულებრივი გულყრისაგან. იგივე შპრენგერი თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ეს სნეულება ნამდვილი პროთეოსია — ბერძნული მითოლოგიის ზღვის ღმერთი, რომელსაც სხვადასხვა სახის მიღება შეეძლო. მუსკულური ისტერიაც ხან ფილტვების უმძიმეს ანთებას ჰგავს, ხანაც გულგვამის ისეთ ცხელებას, რასაც ცოტა ხანში ავადმყოფის უეჭველი სიკვდილი უნდა მოჰყვეს, და ხან კიდევ მახრჩობელა ასთმას. შემსწრეები ღელავენ, მაგრამ საკმარისია დაავადებულთან ახლოს მივიდნენ და ყურადღებით დააკვირდნენ, რომ გაარკვევენ — მთელი ამ სნეულებათა ჯაჭვის სათავე უმნიშვნელო ისტერიაა, რომელსაც ავადმყოფის ისეთივე სწრაფი გამოჯანმრთელება და სიხალისე მოსდევს, როგორც ბავშვებში ენაცვლება ცრემლებს სიხარული.

ხოლო რაკილა არაბეთის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაა-

ვადებად ციება გვევლინება, მუჰამადის შეტევებსაც სწორედ ციებ-ცხელებად მიიჩნევდნენ: იგი ფერსა ჰკარგავდა, ამცივებდა და აცახცახებდა, ვიდრე ბოლოსდაბოლოს სახე — კრიზის დადგომის მაუნყებელი — ოფლის მსხვილი წვეთებით დაეფარებოდა.

ევროპელი ავტორები, შპრენგერიდან გამომდინარე, დანვრილებით ალგვიწერენ მუსკულური ისტერიის სხვა სიმპტომებსაც. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ამ დაავადებისათვის ნიშნულია ის, რომ ავადმყოფები — მეტნაკლებად ყველა — სიცრუისა და თვითმოტყუებისაკენ არიან მიდრეკილნი. ამას გარდა ისტერიკული ადამიანები ძალზე მგრძობიარენი არიან და შეუძლიათ მღვიძარებმა იხილონ სიზმრები, მათ აქვთ ხილვები, ვარდებიან ექსტაზში და იტანჯებიან ჰალუცინაციებით.

ძნელი არაა, ავადმყოფობის სიმპტომთა ამ დანვრილებით აღწერაში მუჰამადის ღვთიური მისიის დაკნინების წადილი დავინახოთ. იგივე ავტორები, მაგალითად, ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ დაავადება ხშირად ასაკთან ერთად მძაფრდება და თავს საკმაოდ გვიან, სოლიდურ ასაკში გამოაჩენს.

ყოველ შემთხვევაში, მუჰამადი ორმოცი წლისა იყო, როცა პირველი ჩვენება იხილა. იმ 610 (ზოგი წყაროთი კი 612) წელს იგი განსაკუთრებით აფორიაქებული ჩანდა. სულ უფრო ხშირად მიდიოდა მშობლიურ ქალაქ მექიდან ფეხით ერთი საათის სავალზე დაცილებულ ჰირას მთის გამოქვაბულში და ადამიანთაგან მოწყვეტილი თავს მისთვის ჩვეულ საფიქრალს აძლევდა. გარემომცველი ბუნებაც კარგ გუნებაზე ვერაფრით დააყენებდა. იმ ადგილებში ხომ სიმწვანეს წამლადაც კი ვერსად წაანყდებით, მხოლოდ მოტიტვლებული მთა-გორაკები და კლდეები მოჯარულან და ქარაფებიდან საზარელი უფსკრულები ამთქნარებენ.

აქ გარშემომდგარ გორაკებზე ოდნავ ამალღებულ ჰირას მთის წვერზე გამოეცხადა მუჰამადს პირველად ზებუნებრივი არსება, რომელსაც მუსლიმური გადმოცემა ჯიბრაილ ანგელოზთან აიგივებს, ყურანი კი მას „სანდოს“, „დიდი ძალის მქონესა“ და — მოგვიანო, მედინური ხანის ფრაგმენტებში — „სინმინდის სულს“ უწოდებს.

ეს ზებუნებრივი წარმოგზავნილი ძალდაძალ მივიდა მუჰამადზე და უბრძანა „იკრა!“ — რომელსაც ჩვეულებრივ თარგმნიან (და ასევეა ჩვენს თარგმანშიც), როგორც „ნაიკითხე!“ თუმცა არსებობს სიტყვის „იკრა!“ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. მუსლიმებმა იგი თავისი ჩვეული მნიშვნელობით („ნაიკითხე!“) აღიქვეს. ამან კი ყოველად უსაფუძვლოდ წარმოშვა ერთი გადმოცემა, რომლის თანახმადაც, სულმა მუჰამადს უჩვენა ფარჩის ნაჭერი, რომელზედაც წარწერები იყო მოქარგული და რაც მუჰამადს უნდა ნაეკითხა.

გერმანელი მეცნიერი შპრენგერი, ვინც, რბილად რომ ვთქვათ, ისლამისადმი დიდი სიმპათიითა და კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა, ვარაუდობდა, რომ სიტყვით — „იკრა!“ — მუჰამადს იუდეველთა და ქრისტიანთა საღვთო წერილების ნაკითხვა უბრძანეს. თუმცა შპრენგერის ეს ვარაუდი საფუძვლიანად უარყვეს მოგვიანო ხანის ევროპელმა ისლამმცოდნეებმავე, რაკილა ყურანის დებულებით, ისლამის მოციქული თავის ქადაგებებს წინა ტრადიციის საღვთო წერილებიდან კი არა, უშუალოდ ღვთიური ზემთაგონებიდან კითხულობდა.

ამდენად, გენიალური აღმოსავლეთმცოდნე თეოდორ ნოლდეკე ვარაუდობდა, რომ უფრო სწორი იქნებოდა „იკრა!“ „იქადაგეს!“ მნიშვნელობით გაგვეგო.


ამავე ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია უკეთ გავიაზროთ მუჰამადის პასუხიც: „ანა ლასათუ კარი‘ან“ — „მე არა ვარ მკითხველი!“ („მე არა ვარ მქადაგებელი!“)

მაშინ ზებუნებრივი არსება ხელახლა ძალდაძალ მივიდა მუჰამადზე და გაუმეორა „იკრა!“ მუჰამადი ისევ გაუჟინიანდა და სულმა იგივე რამ მესამედაც უბრძანა.

აღნიშნულ მუსლიმურ გადმოცემას ეფუძნება ისლამურ სამყაროში ჩამოყალიბებული თითქმის საყოველთაო შეხედულება, რომ ანგელოსმა სწორედ ამ დროს ჩაუკითხა მუჰამადს კანონიკური ყურანის 96-ე თავის პირველი ხუთი მუხლი. შესაბამისად, ქრონოლოგიურად ესაა მუჰამადზე ზეგარდმოვლენილი ყურანის ყველაზე ადრეული, პირველი ფრაგმენტი.

თუმცა დოზი ექქვემ აყენებდა ამ თვალსაზრისს და ყურანის ამ მონაკვეთს გვიანდელ, ანუ მედინური ხანის ფრაგმენტად აცხადებდა. იგივე ავტორს კი ნოლდეკესა და სხვათა განმარტება, რომ სიტყვა „იკრა!“ „იქადაგედ“ უნდა გავიგოთ, ტექსტზე უხემ ძალდატანებად

146  
11





ერვენება და მიაჩნია, რომ აქ „იკრა!“ თავისი ჩვეული მნიშვნელობითაა ნაბრძანები, როგორც „ნაიკითხე!“

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გავიაზროთ დეტალები, ერთი რამ ცხადია, რომ თვითონ მუჰამადი სწორედ ამ დროს დარწმუნდა საკუთარი მისიის მნიშვნელობაში და შესაბამისად იმედოვნებდა, რომ მიღმიერი მაცნე ხელახლა მალე მოიკითხავდა. მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. ადვილი წარმოსადგენია, იმ დღეებში მოციქულმა რა შინაგან ლელვასაც გაუძლო. იგი მარტოდმარტო დაეხეტებოდა პირქუშ ხევებში, ხოლო ჰალუცინაციები, რითაც, როგორც ჩანს, ადრეც გამუდმებით იტანჯებოდა, ნალველსა და მარტოობის განცდას უფრო უმძაფრებდა. ერვენებოდა, რომ რალაც ხმები ჩაესმოდა. ყოველმხრივ ჩააკვირდებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. თვითონაც უკვე საკუთარ თავს „მაჯუნად“ (ჯინებით, ბოროტი სულებით შეპყრობილად) მიიჩნევდა და მისი ლელვა ისეთი აუტანელი გახდა, რომ სიცოცხლე მოყირჭდა. ამ ყველაფრისათვის წერტილის დასმა გადანყვიტა და ხან საბირის, ხანაც ჰირას მთაზე იქიდან უფსკრულში გადაჩეხვის ნადილით ადიოდა. მხოლოდ ახალ ხილვას შეეძლო მისთვის სულიერი სიმშვიდის დაბრუნება, და აი, ეს ხილვაც გამოუჩნდა, რამაც დაამშვიდა, და დაარწმუნა, რომ იგი შეშლილი კი არა, დიდი მიზნის სამსახურად მოწოდებული ადამიანია და ამისათვის ბრწყინვალე საზღაურიც ელოდება.

სულის სიტყვების გაგონებაზე მუჰამადი მინაზე დავარდა. მერე აჩქარებით შინ დაბრუნდა. გამოფიტული იყო და ავადმყოფური შეტევის მოახლოებას გრძნობდა. ამიტომაც ოჯახის წევრებს საჩქაროდ მიახალა: „შემახვიეთ! შემახვიეთ!“ ასეც მოქცნენ, ტანზე სამოსი შემოახვიეს, ჩაათბუნეს და სახე წყლით მოჰბანეს. ღვთის წარმოგზავნილმა იგი შეტევისაგან იხსნა და გამოცხადების კიდევ ერთი ფრაგმენტი უკარნახა, რომელიც კანონიკური ყურანის 74-ე სურაშია მოქცეული.

გადმოცემის თანახმად, ამის შემდეგ გამოცხადება ერთმანეთს მიჰყვია. იმხანად მუჰამადს უკვე თვითონვე თავისი მოწოდებისა გულწრფელად სჯეროდა. ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები შენიშნავენ, რომ მას თავისი ხილვებისა და გამოცხადებისა ისევე მტკიცედ და ურყევად სწამდა, როგორც პავლეს. ჩვეულებრივი თვითმარქვია ვერასოდეს შეძლებდა სჯულის დაფუძნებას, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიიღებდა და მსოფლიო რელიგიად იქცეოდა. გარდა ამისა, შინაგანი სიმტკიცისა და გაუნელებელი რწმენის გარეშე მუჰამადი ათეული წლების განმავლობაში ვერ გადაიტანდა იმ დამცირებასა თუ სიძნელეს, რისი გადატანაც თავისი ქადაგების მანძილზე მოუწია.

მური და შპრენგერი სამართლიანად შენიშნავენ, მუჰამადის გულწრფელობის ერთ-ერთ საუკეთესო დასტურად გვევლინება ის, რომ მისი ქადაგებისა პირველ რიგში მისივე ოჯახის წევრებმა ირწმუნესო. პირველად ისლამი მისმა ცოლმა ხადიჯამ მიიღო. ქალი თავიდანვე მფარველი ანგელოზივით იდგა ქმრის გვერდით: ამშვიდებდა, როცა დასცინოდნენ, ამხნევებდა განცდისა და სასწარკვეთისას, ამაგრებდა, როცა კაცი სულით ეცემოდა.

ხადიჯასთან ერთად ირწმუნეს მუჰამადის ქალიშვილებმა და 'ალი იბნ აბი ტალიბმა, მუჰამადის ათი წლის ბიძაშვილმა. ეს ყმანვილი მუჰამადმა ერთ მოუსავლიან, შიმშილობის წელიწადს თავისთან წაიყვანა, რათა ბიძისათვის ცხოვრების გაუსაძლისი პირობები ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

შემდგომ ირწმუნა მონა ზაიდმაც. დანამდვილებით შეუძლებელია ითქვას, ამ დროისათვის იგი უკვე აზატყოფილი იყო და მუჰამადს შვილად აეყვანა თუ არა.

მოციქულის ყველაზე ახლო მეგობარი, მდიდარი ვაჭარი აბუ ბაქრიც ამ დროისათვის გამუსლიმდა. სწორედ ამ ჭკვიან, მშვიდ და თავმდაბალ ადამიანს ანდობდა მუჰამადი თავის ფიქრებს მაშინ, როცა იგი ჭეშმარიტ რწმენას ეძიებდა და ეს კაცი თავისი პირდაპირობისა და მშვიდი ბუნებისა გამო საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. შესაძლოა სწორედ ამიტომაც მიენერება მას პირველი ხუთი მნიშვნელოვანი მოქცევა. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ტრადიცია აქ ცოტას უნდა აჭარბებდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აბუ ბაქრი გულმოდგინედ ცდილობდა ახალი სარწმუნოების გავრცელებას და საამისოდ ფულსა და ნივთიერ დოვლათსაც კი არასოდეს იშურებდა.

მაგალითად, იმავე შპრენგერთან ვკითხულობთ, რომ აბუ ბაქრი გამოისყიდდა ტყვეებს, რომლებიც შემდგომ ისლამზე ექცეოდნენ და ამისათვის უმკაცრესი დევნის გადატანაც უნდვოდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთგულად ემსახურებოდნენ მოციქულსა და ახალ რელიგიას. აბუ ბაქრის მიერ ამ მიზნისათვის გაღებული ფული კი იმდენად დიდი იყო, რომ მედინაში გადასახლების დროისათვის უწინდელი ქონების ერთი მერვედიღა დარჩენოდა.

ასეა თუ ისე, გამოჩნდა კიდევ რამდენიმე პიროვნება, რომელმაც ირწმუნა მუჰამადის ქადაგება და ისლამი მიიღო. კერძოდ, ორი ჭაბუკი — ერთი თექვსმეტი, მეორე კი ჩვიდმეტი წლისა: ზუბაირი, ნათესავი წინასწარმეტყველისა და მისი ცოლისა, და სა'დ იბნ აბი ვაკკასი — ნათესავი მუჰამადისა. ამის შემდგომ გამუსლიმდნენ ვაჭრები 'აბდ არ-რაჰმან იბნ 'აუფი და ტალჰა. ირწმუნა 'უსმან იბნ მა'ზუნმა — პირქუშმა ენთუზიასტმა, რომელსაც ისლამზე მოქცევამდეც კი ღვინის გემო არასდროს გაესინჯა, თავის დასაჭურისება და ქვეყანაზე ყარიბობა ჰქონდა განზრახული.

მაღევე ისლამზე მოექცა უსმან იბნ 'აფფანიც (შემდგომ — მესამე მართლმორწმუნე ხალიფა), რომელსაც ისლამური წყაროები ლამაზი გარეგნობისა და დახვეწილი მანერების ადამიანად ხატავენ. მას ისლამის აღიარების სრულიად პრაქტიკული მიზეზი ჰქონდა, რაკილა სურდა ამ გზით მუჰამადის მშვენიერი ასულის რუკ'აიას ცოლად შერთვაზე ყაბული მიეღო.

ამის შემდეგ ისლამზე ექცეოდნენ ღარიბები, მონები და ქალები.

კრიმსკი სამართლიანად შენიშნავს, რომ ღარიბებსა და მონებს მუჰამადის ქადაგებაში მიმზიდველად უნდა მოჩვენებოდათ ის გარემოება, რომ ისლამი, კერძოთაყვანისმცემლობასთან წინააღმდეგობით, პრაქტიკულად, უპირისპირდებოდა მდიდარ მექურ არისტოკრატის, რომლის სავაჭრო ინტერესებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პილიგრიმობისას გამართულ ბაზრობებთან.

დოზი წერს: „ერთი ღმერთის რწმენამ და საიქიო სასყიდელზე ფიქრმა ბევრ ადამიანს გაუღვიძა ახალ-ახალ გამოცხადებათა მოთხოვნილება და მუჰამადმაც თავისი ქადაგებით შეძლო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მის ავადმყოფურ შეტევებში კი ხალხი მისი ღვთაებრივი მისიის პირდაპირ დადასტურებას ხედავდა.“

ამასთან, მკვლევრები საგანგებოდ მიუთითებენ ქალთა ისლამზე მოქცევაში ხადიჯას განსაკუთრებულ ზეგავლენას, რომელსაც ყველანი დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ.

გამოცხადების მეხუთე წელიწადს ისლამი მიიღო 'უმარმაც — 26 წლის ახალგაზრდამ, რომელიც ძლიერი აღნაგობით გამოირჩეოდა და იმ სიმაღლე ყოფილა, რომ ბრძოლის ველზე ყველა კაცზე ერთი თავით მაღალი მოჩანდა. ამასთან, 'უმარი იყო ძალზე მოხერხებული და მეტსახელად „ორხელას“ ეძახდნენ, რადგანაც მარცხენა ხელსაც მარჯვენასავით მოიხმარდა. მის ძლიერ სხეულში ჯანსაღი სული იდგა. მუსლიმური გადმოცემები საგანგებოდ შენიშნავენ, რომ 'უმარს ჭკვიანური მზერა და ნებისყოფის სიმტკიცე გამოარჩევდა. იგი ურყევი, საქმეში თავდადებული ყოფილა. ხოლო ჩანაფიქრის შესრულებისას შეძლებია სასტიკიც ყოფილიყო. მის ამ ღირსებებს ემატებოდა პირდაპირობა და, მიუხედავად იმისა, რომ 'უმარის პირდაპირობაში მახვილი ჭკუა-გონება იფარებოდა, თავკერძა ადამიანი არ ყოფილა და პირადი ინტერესები არასოდეს ამოძრავებდა.

ასეთი კაცის ისლამზე მოქცევას იმხელა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გასაკვირი არაა, თუ გადმოცემა ამ ამბავს სასწაულს მიაწერს. ამ გადმოცემის მიხედვით, მუჰამადი შევედრებია ალაჰს, ისლამის მნიშვნელობა ამ სჯულზე 'უმარის ანდა წინასწარმეტყველის დაუძინებელი მონინააღმდეგის აბუ ჯაჰლის მოქცევით გაეზარდა. ღმერთმა ისმინა მოციქულის ლოცვა. ერთხელაც ტანზე მახვილმემორტყმულ 'უმარს გზად ზუჰაირის ტომის კაცი შეხვედრია და უკითხავს, საით გაგიწევიაო. 'უმარს მიუგია:

— მუჰამადს დავეძებ — ამ საბიელს, რომელმაც შეარყია ჩვენი ძველებური უმფოთველი ყოფა, ბრძენკაცები შეშლილებად გამოგვიცხადა, აბუჩად იგდებს ტრადიციულ სარწმუნოებას და მამა-პაპათა ღმერთებს გვიგინებს. მისი მოკვლა მნადიაო.

კაცს უკითხავს:

— მერედა, ჰაშიმიანთა ანდა ზუჰრიანთა გვარების შურისგებისა არ გეშინიაო?

— იქნებ შენც საბიელთა სჯული მიგიღია და დაგიგდია ის, რითაც დაიბადეო? — დამცი-  
ნავად შეუბრუნებია შეკითხვა 'უმარს.

— ეს საკვირველი სულაც არ არის იმასთან შედარებით, რასაც ახლა გეტყვი: ვიდრე ჩემი  
რწმენისათვის გაირჯებოდე, ეგებ ჯერ ის შეგეტყო, შენი უახლოესი ნათესავეები რა სჯულს  
ადგანანო.

— ჩემი უახლოესი ნათესავეები? ვის გულისხმობო?

— ვის და, შენს დას, ფატიმას, და სიძეს, სა'იდს. ისინი მუსლიმები გახდნენ და მუჰამადის  
მონაფენი არიან. სჯობს ვიდრე ჩემ გამო შენუხდებოდე, იმათ მიხედოო.

გაცეცხლებული 'უმარი სიძის სახლისაკენ გაქცეულა. სწორედ ამ დროს კი სა'იდსა და  
მის ცოლთან ერთ-ერთი მორწმუნე — ჰაბბაბი — მჯდარა და მათ სურა „ტაჰას“ (ყურანის  
XX სურას) უკითხავდა. ხოლო როგორც კი 'უმარის ნაბიჯთათვის მოუკრავს ყური, მაშინვე  
დამალულა. 'უმარს შესვლისთანავე უკითხავს: რა შარიშური შემომესმაო.

დამხვედურთ უპასუხიათ:

— არაფერი, ერთმანეთს ათასგვარ ამბავს ვუყვებოდითო.

— ეჭვი მეპარება. უფრო ის მგონია, საბიელთა სჯული მიიღეთო.

— თუნდაც ასე იყოს! — წინააღმდეგობა გაუწევია სიძეს, — რა უნდა ქნა, თუ ჭკმმარიტება  
შენს სჯულში კი არა, სხვაგან იქნებაო!

'უმარი ფეხზე წამოჭრილა და სიძეს მივარდნია, ხოლო ფატიმასათვის, რომელიც ქმრის  
დასახმარებლად გარეთ გავარდნასა და კივილის ატეხვას აპირებდა, ისეთი შემოუკრავს,  
რომ ქალს ცხვირიდან სისხლის ლიამპარი წასკდომია. მაშინ ცოლ-ქმარს უყვირია: დიახ,  
მუსლიმები ვართ. გვწამს ალაჰი და მისი მოციქული. ახლა, რაც გსურდეს, ის გვიყავიო.

სისხლის დანახვამ 'უმარი ოდნავ დააშოშმინა და ინანა, რომ ძალა იხმარა. უთქვამს:  
მომეცით ფურცელი, რომელსაც ახლა კითხულობდით. მინდა გავიგო, რას გვაუწყებს მუ-  
ჰამადიო.

ფატიმას მიუგია: ვერ გავბედავთ, ის ფურცელი შენ რომ გადმოგცეთო.

'უმარს უთქვამს:

— ნურაფრის გეშინია, ჩვენს ღმერთებს ვფიცავ, ნავიკითხავ და უკანვე მოგცემთო.

— არა, ძმაო, შენ სუფთა არა ხარ. იმ ფურცელს კი მხოლოდ განწმენდილი უნდა შე-  
ეხოსო.

'უმარი ნავიდა, განიბანა და დამ ფურცელი მხოლოდ ამის შემდეგ გამოუჩინა.

რამდენიმე მუხლი რომ ჩაიკითხა, 'უმარმა თურმე აღტაცებით წამოიძახა: რა დიდებულია,  
რა ღვთაებრივიაო!

მაშინ სამალავიდან ჰაბბაბიც გამოსულა, მათთვის ბოლოხანს მოციქულის ნაქადაგები  
გადაუცია და 'უმარისათვის პირობა ჩამოურთმევია, რომ ისლამს მიიღებდა.

— ასე ვიზამ, მაგრამ მუჰამადი სადა ვნახო? — უკითხავს 'უმარს.

— ის და მისი მრავალი მიმდევარი ახლა არკამის სახლში, საფას მათსთან ახლოს არიანო.  
— გაუმხელია ჰაბბაბს.

'უმარიც მისულა იქ და კარზე დაუკაკუნებია. შიგნით მყოფთაგან ერთ-ერთს მომსვლე-  
ლის დასაზვერად ჭუჭრუტანიდან გაუხედავს და კართან მდგარი 'უმარი რომ დაუნახავს,  
შეშინებული უკან გადმომხტარა და უყვირია:

— ო, მოციქულო, იქ 'უმარია და მახვილი უჭირავსო!

— შემოვიდეს! — უთქვამს წინასწარმეტყველის ბიძას ჰამზას, რომელსაც ისლამი ამ ამ-  
ბამდე რამდენიმე დღით ადრე მიეღო, მომავალში კი ისლამის გასავრცელებლად გამოჩენილი  
სიმამაცის გამო „ასად ალ-ლაჰი“ — ღვთის ლომი — შეარქვეს, — თუ მშვიდობიანი ზრახვით  
მოვიდა, ჩვენც ეგა გვწადია, თუ არა და, თავისივე მახვილით წარვწყმედო.

მუჰამადსაც დასტური მიუცია: შემოვიდესო.

კარი რომ გააღეს, მუჰამადი ჯიქურ მისჭრია 'უმარს, სამოსის კალთით დაუჭერია და  
უთქვამს:

— შენ არ გინერია, უსამართლობას ბოლომდე დანებდე და თავს ღვთის ავი სასჯელი დაგატყდესო.

— ალაჰის მოციქულო, მეც სწორედ იმიტომ მოვედი, რომ მეტყვა: მნამს ალაჰი და მისი მოციქულო!

ღოზი, რომელიც ამ გადმოცემას იმონმებს, იქვე შენიშნავს, რომ „ეს დრამატული ამბავი, როგორც ლეგენდა, ბუნებრივია თავის პროპაგანდისტულ მიზანს შესანიშნავად ასრულებს, მაგრამ უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შეცდომა იქნებოდა, იგი ისტორიულ სინამდვილედ მიგველო. ეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა, რომელიც საიმისოდაა გამოგონებული, რომ თან 'უმარის ისლამზე მოქცევა რაც შეიძლება ამაღელვებლად დაგვიხატოს და თანაც მისი მოქცევის ფონზე ყურანის დიდებულება წარმოგვიჩინოს.

იმავე მიზანს ემსახურება მეორე გადმოცემა, რომელიც პირველზე ადრინდელი უნდა იყოს და სადაც 'უმარი თვითონვე მოგვითხრობს, როგორ მივიდა ერთხელ მოციქულთან, რათა მისთვის შუღლი აეტეხა. ამ დროს კი მოესმა, ალ-ქა'აბას მახლობლად მუჰამადი 96-ე სურის დასაწყისს კითხულობდა.

მოსმენილი ძალიან მოეწონა და გაიფიქრა: მუჰამადი პოეტიად.

ამ დროს მუჰამადი მივიდა მუხლამდე: „და არ არის ეს სიტყვა პოეტისა!“

'უმარი გადმოგვცემს: „გავიფიქრე: პოეტი კი არა, მისანი ყოფილა, რაკილა ჩემს ფიქრსაც კი კითხულობს-მეთქი.

მუჰამადმა კი განაგრძო: „და არ არის ეს სიტყვა მჩხიბავისა!“

ამ დროს რწმენამ ჩემს გულში ღრმად გაიდგა ფესვი.“

იბნ ჰიშამთან დამონმებული ამ ორი გადმოცემის კომენტირებისას ევროპელი ისლამმცოდნეები შენიშნავენ, რომ აღნიშნულ გადმოცემათა კეთილი ნების შემკრებთ მხედველობიდან გამორჩათ ერთი გარემოება: მუჰამადის გამოცხადებანი ყველასათვის ცნობილი იყო, ამიტომაც 'უმარს უშუამავლოდაც შეეძლო მოესმინა მოციქულის ქადაგება მისი მისიის დაწყებიდან მეხუთე წლის თავზე. 'უმარის გამუსლიმება კი მოულოდნელად და შემთხვევით არ მომხდარა და შეიძლება საფუძვლიანად დავეჭვდეთ იმაშიც, იყო თუ არა იგი როდესმე ისეთი შეურიგებელი მოწინააღმდეგე ისლამისა, როგორადაც ეს გადმოცემები გვიხატავენ. მისმა სიძემ სა'იდმა ხომ შემდგომში ქუფის კათედრიდან განაცხადა, რომ 'უმარი ჭეშმარიტ სჯულზე მასსა და მის ცოლზე უნინ, მანამდე მოექცა, ვიდრე თვითონ ამას ხმამაღლა, დაუფარავად გამოაცხადებდა.

ხოლო, როგორც ჩანს, სინამდვილეში საქმე ის იყო, რომ 'უმარის გვარი უარს ამბობდა მის დაცვაზე, თუკი იგი ისლამს მიიღებდა. ამდენად, 'უმარი თავს მძიმე ხიფათში ჩაიგდებდა, თუ ისლამზე გავლენიანი მფარველისა და ქომაგის გამოჩენამდე მოექცეოდა, ხოლო როცა ასეთი კაცი ანუ 'ას იბნ ვალი ას-სალმი გამოჩნდა, 'უმარმა შეძლო თავისი ზრახვები ხმამაღლა განეცხადებინა.

ამ ლეგენდებიდანაც კარგად ჩანს, რომ 'უმარის ისლამზე მოქცევას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. ისლამის ევროპელი მკვლევარები სრულიად დარწმუნებული არიან, რომ უმისოდ და აბუ ბაქრის გარეშე, ისლამი ვერასოდეს გაიმარჯვებდა. ასეთია შპრენგერის აზრი, რომელიც 'უმარს ისლამის ისტორიულ ფუძემდებლად განიხილავს. მური კი უფრო ზომიერ შეფასებას გვთავაზობს.

ღოზისათვის „ერთი რამ ცხადია: მუჰამადი ღვთივშთაგონებული ადამიანი იყო, მაგრამ მას აკლდა პრაქტიკული ჭკუა და ენერგია. ამ ღირსებათაგან პირველს — აბუ ბაქრი, ხოლო მეორეს 'უმარი ფლობდა. ისინი ავსებდნენ მოციქულს, რომელსაც უიმათოდ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მუჰამადი თითქოს მიჯაჭვული იყო ამ ორ ადამიანზე და ჩვევად ჰქონდა ეტყვა: „მე, აბუ ბაქრი და 'უმარი ნავედით აქა და აქ“; „მე, აბუ ბაქრი და 'უმარი მოვედით აქედან და აქედან“, „მე, აბუ ბაქრმა და 'უმარმა გავაკეთეთ ესა და ეს.“

თავის მხრივ, აბუ ბაქრი და 'უმარიც გრძობდნენ, რაც აკლდათ, და თავიანთი თვისებების უკმარისობას გონივრულად აცნობიერებდნენ. აბუ ბაქრს მუჰამადში ენთუზიაზმი და ორიგინალურობა იზიდავდა, 'უმარს კი, ამ ყველაფერთან ერთად, მოციქულის დაუცველობაც



აღანთებდა და ისიც, რომ წინასწარმეტყველს მისი თანადგომა და დახმარება სჭირდებოდა. ადამიანის ბუნებისათვის ხომ მისი ხასიათის სანინალმდეგო თვისებებისაკენ ლტოლვა ჩვეულებრივი რამაა. ძლიერი კაცი სწორედ სუსტსა და დაუცველში ეძიებს და პოულობს ღვთაებრივს. ამიტომაც ეთაყვანებოდნენ განსაკუთრებული გზებით თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი რაინდები ქალწული მარიამის ხატს, რომელსაც ხელში ეჭირა ჩვილი მაცხოვარი.“

„ერთი სიტყვით, — განაგრძობს დოზი, — ტრიუმფირატი სრულად იყო წარმოდგენილი: მუჰამადი ფიქრობდა, აბუ ბაქრი ლაპარაკობდა და 'უმარი მოქმედებდა. ყველა იმ შემთხვევაში, როცა კაცი, თუ თავის თავიდან გამომდინარე ილაპარაკებს, თავსა და საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს (ასეთი შემთხვევები კი ცხოვრებაში არცთუ ისე ცოტაა), სიტყვას აბუ ბაქრი ამბობდა და ამას შემრიგებლურად, შეურყეველი ნებით აკეთებდა.

ბრძანება, მუქარა ანდა უხეში ძალა იყო საჭირო? — ინიციატივას ხელში უკვე 'უმარი იღებდა.“

ამრიგად, მუჰამადის პირველივე მიმდევართა შორის აღმოჩნდნენ ნიჭიერი და მოაზროვნე ადამიანები, თუმცა კი ისინი საზოგადოების მაღალ ფენებს არ მიეკუთვნებოდნენ. პირიქით, ახალმოქცეულ მუსლიმთა დიდ ნაწილს დაბალი ფენის შვილები შეადგენდნენ. ამასთან, წინასწარმეტყველის მიმდევართა რიცხვი თავიდან ძალზე უმნიშვნელო იყო და იმხანად, როცა 'უმარი ისლამზე მოექცა, ას კაცზე ცოტა მეტი თუ იქნებოდა.

მექელთა ძირითადი ნაწილი ახალ მოძღვრებას გულგრილად მოეკიდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ისლამი, ერთი შეხედვით, მათთვის ახალს არაფერს ქადაგებდა, ამდენად, არც ის მიმზიდველობა ჰქონდა, რაც ორიგინალურობასა და სიახლეს ახასიათებს. მათი შეხედულებით, ეს, არსებითად, იგივე ჰანიფიზმი იყო. თვითონ მუჰამადიც ხომ თავის თავსა და მიმდევრებს „ჰანიფად“ ანდა „მუსლიმად“ მოიხსენიებდა და ამ სიტყვით აღნიშნავდა ადამიანს, რომელიც თავს უძღვინს ერთადერთ, განუყოფელ ყოვლისმპყრობელ უფალს და ემორჩილება მის ნებასა და ყველანაირ მითითებას, როგორი უჩვეულო, მკაცრი და დამთრგუნველიც უნდა მოეჩვენოს ეს მითითებანი.

შპრენგერის აზრით, ამავე სიტყვით („მუსლიმ“) მოიხსენიებდნენ თავიანთ თავს უწინ ჰანიფებიც. მექელები კი, როგორც 'უმარის მოქცევასთან დაკავშირებული ლეგენდებიდანაც დავინახეთ, მუჰამადის მიმდევრებს, ჩვეულებრივ, „საბიელებს“ უწოდებდნენ (და როგორც უკვე აღინიშნა, ჰანიფიზმის ერთ-ერთი სახეობა ასევე საბიელთა სახელს ატარებდა).

მუჰამადის ქადაგების ერთადერთი სიახლე (ყოველ შემთხვევაში, როგორც ეს თავდაპირველად ჩანდა) იყო ის, რომ იგი საკუთარ თავს ალაჰის მოციქულად აცხადებდა. მაგრამ სწორედ ეს გამოდგა ის საბედისწერო პუნქტი, რომელიც მექელთა იმ ნაწილისათვის, ვისაც საბიელთა სანინალმდეგო არაფერი ჰქონია, მიუღებელი და სასაცილო აღმოჩნდა. საბოლოოდ, მუჰამადზე თითქმის ყველა ერთი აზრისა იყო: ზოგს ეცოდებოდა ეს „საბრალო“, „სნეული“ კაცი და ცდილობდა, საშველი მისთვის წამლობითა და აქიმობით მიეცა, ზოგი ჯადოქრად ანდა მატყუარად თვლიდა, ხოლო ბევრი მღვდელად მიიჩნევდა და აბუჩად იგდებდა. „შეხედეთ, მოდის 'აბდ ალ-ლაჰის ძე და ჩვენთვის ციდან ამბები ჩამოაქვს“ — ქირქილებდნენ მის დანახვაზე.

რაც შეეხება მექის არისტოკრატიას, რომელიც დაახლოებით 25 კაცს ითვლიდა და რომელსაც მექის რესპუბლიკის მართვა-გამგებლობის სადავეები ეჭირა ხელში, იმ გამჭრიახობის წყალობით, რაც, როგორც ჩანს, ყველა დროისა და ქვეყნის ოლიგარქიას ერთნაირად ახასიათებს, მუჰამადის საქმიანობაში საფრთხე უცებ და მანამდე დაინახა, ვიდრე ამას თვითონ მუჰამადი მიხვდებოდა.

მექური არისტოკრატია კი იმთავითვე მიხვდა, რომ ახალი მოძღვრება სახელმწიფო და საზოგადოებრივი გადატრიალების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რადგან თუ ხალხი როდესმე არა სააქაოსათვის, არამედ საიქიოსათვის ცხოვრებას გადანყევტდა, მაშინ მექური არისტოკრატის ზეგავლენა თავისთავად შესუსტდებოდა და ადგილის დაუთმობდა იმის ზეგავლენას, ვისაც ქვეყანაზე ღვთის ნების აღმსრულებლად და წარმომადგენლად

მიიღებდნენ. იმის მიხვედრას კი აღარაფერი უნდოდა, რომ ასეთი კაცი მხოლოდ ციურ კარიბჭეთა გასაღების ფლობით არ შემოიფარგლებოდა და ქვეყნიურ ტახტსა თუ სკიპტრასაც მოითხოვდა.

მექელ არისტოკრატთა შორის აქა-იქ კეთილშობილი, დიდბუნებოვანი ადამიანებიც ერია, რომლებიც საუცხოო გამჭრიახობით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ომაიანთა შეიხი აბუ სუფიანი, მექაში დიდად გავლენიანი კაცი და დამასკის მომავალ ხალიფათა მამამთავარი, ძველ არაბ დიდგვაროვანთა ტიპური წარმომადგენელი იყო ჭკუა-გონების, ზომიერებისა და ღირსების თვალსაზრისით.

ახალ ისლამს იგი სიძულვილით არ ეკიდებოდა და ამ გრძნობას თავისი ცოლის ჰინდის ვნებათა საქმედ მიიჩნევდა, მაგრამ მუჰამადის მოძღვრებას ზემოდან და აგდებით უყურებდა. მუჰამადთან ზრდილობის გარეგნულ წესებს იცავდა, როგორც ამას ზრდილი დიდგვაროვნები აკეთებენ მათზე დაბლა მდგომ ადამიანებთან, მაგრამ საიდუმლოდ ხრიკებს ხლართავდა მის წინააღმდეგ და არ სწყალობდა თავისი გვარის იმ ხალხს, ვინც ისლამის მიღებას გაბედავდა.

მეორე — ყველაზე მრავალრიცხოვანი ზეპური გვარის, მაჰზუმის მთავარი — ვალიდ იბნ მულირა — ისლამის ყველაზე შეურიგებელი და ულმობელი მტერი აღმოჩნდა. თუმცა, ამავე დროს, იგი ღირსებით სავსე, რაინდული სულის ადამიანიც იყო. როცა ისლამზე მოქცეული ენთუზიასტი 'უსმან იბნ მა'ზუნი ყოველგვარი თანადგომის გარეშე დარჩა და დახმარების თხოვნით ვალიდ იბნ მულირას მიმართა, ამ უკანასკნელმა უსასოოდ დარჩენილი კაცი საკუთარ ჭერქვეშ შეიფარა და საშუალება მისცა, თავისუფლად ეფიქრა და ეკეთებინა, რაც ენადა. ხალხში კი გამოაცხადა, რომ თუკი ვინმე მისი მფარველობის ქვეშ მყოფი იბნ მა'ზუნის წყენინებას მოინდომებდა, ამას საკუთარ შეურაცხყოფად და დამცირებად მიიღებდა.

მან მოინდომა ახალი მოძღვრება უხეში ძალით კი არა, დარწმუნების, არგუმენტაციისა და მსჯელობის მეშვეობით დაემარცხებინა. ამისათვის გარს საზრიანი, მცოდნე ხალხი შემოიკრიბა და გადანყვიტა, მუჰამადი სიყალბესა და წინააღმდეგობრიობაში ემხილა.

მოციქულმა ეს კაცი სერიოზულ მონინააღმდეგედ აღიქვა და საპასუხოდ განაცხადა, რომ მისი ადგილი ჯოჯოხეთის უმდაბლეს შრეში იყო გამზადებული (შდრ: სურა XXIV, 26). მაგრამ ამ გამოცხადებამ მექელთა დაცინვა და საყოველთაო მხიარულება გამოიწვია, რადგან ამ ფრაგმენტში ჯოჯოხეთის მცველ ანგელოსთა რიცხვი ცხრაშეტი ანგელოსით იყო განსაზღვრული.

ჯან-ლონით სავსე მექელმა აბუ აშადდმა, რომელსაც მხარს აბუ ჯაჰლი უმაგრებდა, წამოიძახა, რომ მზად იყო, ჩვიდმეტს მარტოდმარტო გასწორებოდა, დანარჩენი ორის მომრევი კი ალბათ სხვაც ვინმე მოინახებოდა (გადმოცემის თანახმად, მას უნდა მიემართებოდეს მოციქულის პასუხი XXIV სურის 31-34 აიებში — თუ, რა თქმა უნდა, ეს მედინური ფრაგმენტი არაა).

მექელი არისტოკრატის, ურწმუნოთა და სხვათა არაკეთილგანწყობამ მუჰამადი ძალზე მძიმე დღეში ჩააგდო. მისი პირველი ნაბიჯები სავსებით მოკრძალებული იყო: თავდაპირველად ხმამაღლა თავს მოციქულად არ აცხადებდა და ცდილობდა, ჩუმად მიემხრო ხალხი. მაგრამ, როცა სამოციქულო მისიის მეოთხე თუ მეხუთე წელიწადს ციდან ებრძანა, აშკარად, სახალხოდ გაევერცელებინა სიტყვა ალაჰისა, მექაში ნამდვილი ქარიშხალი დატრიალდა.

ჟინიანი ქადაგი ხომ კერპებს ანუ, დღევანდელი გაგებით, სახელმწიფო რელიგიას უტევდა და, ამდენად, არისტოკრატია უკვე გულგრილი მაყურებლის როლში ველარ დარჩებოდა. სხვათა შორის, მისი ძალაუფლება და ზეგავლენა ძალზე მყარი ისედაც არ ყოფილა: მექის მსგავს თავისუფალ ქალაქ-სახელმწიფოში, სადაც თითოეული მოქალაქე თავისი გვარის თანადგომითა და მფარველობით იყო გარემოსილი, გვარის მეთაურის გარდა, ადამიანის პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა არავის შეეძლო.

ამიტომაც მექელმა არისტოკრატებმა მუჰამადის ბიძასა და ერთადერთ მფარველს აბუ ტალიბს მიმართეს და სთხოვეს, თავისი ძმიშვილი აეძულებინა — ან დადუმებულიყო ან თვითონვე მის მფარველობაზე უარი ეთქვა. აბუ ტალიბმა მათი ერთი-და მეორე მოთხოვნაც

ძალზე მოზომილად უარყო. ახალი სარწმუნოების მიმართ კეთილგანწყობილი სულაც არ ყოფილა. ცხოვრების ბოლომდე მამა-პაპათა სჯულის ერთგული დარჩა და ისე გარდაიცვალა, რომ ისლამი არ მიუღია, მაგრამ აბუ ტალიბის მართალი და თავისუფლებისმოყვარე გული ერთი წამითაც ვერ დაუშვებდა, ვინმესათვის საკუთარ შეხედულებებზე უარისთქმა ეიძულებინა.

თუმცა, როცა მექურმა არისტოკრატიაში ცოტა ხნის შემდეგ იმავე მოთხოვნით ხელახლა მიმართა და, ამჯერად, მხოლოდ კი არ სთხოვეს, არამედ დაემუქრნენ კიდევ, აბუ ტალიბი ამ გარემოებამ შეაშფოთა და მხურვალედ შეევედრა თავის ძმისშვილს, ტომთა შორის სისხლისღვრისა და შუღლის გაღვივებას ხელს ნუ შეუწყობდა.

მუჰამადმა კი მიუგო: „ალაჰსა ვფიცავ, მარჯვენაში მზე რომ მომცენ, მარცხენაში — მთვარე, და მითხრან, სამაგიეროდ, უარი ვთქვა ამ დიდებულ საქმეზე, ვიდრე უფალი მას გამარჯვებით დააგვირგვინებდეს, ხოლო თუ მათ მოთხოვნას არ დავმორჩილები, დალუპვით დამემუქრონ, მე მაინც ჩემს საქმეზე ხელს არ ავიღებდი.“

ამის თქმაზე მუჰამადს ცრემლი წამოსცვივდა და გარეთ გავიდა. აბუ ტალიბმა ძმისშვილი შიგნით შემოაბრუნა და უთხრა: რაც გინდა, ის აკეთე! მე მფარველობას არ მოგაკლებ, შენს თავსა ვფიცავო!

როგორც უნდა ყოფილიყო, აბუ ტალიბს მხოლოდ იმას მოახერხებდა, ძმისშვილი თავისი მფარველობით სიკვდილისაგან გადაერჩინა, დაცინვისა და შეურაცხყოფისაგან მისი დაცვა კი არაფრით შეეძლო.

დაცინვა და შეურაცხყოფა კი მართლაც სეტყვასავით წამოვიდა. როცა მუჰამადი ყურანის აიების კითხვას შეუდგებოდა, ამ დროს რომელიმე მექელი მის ახლოს დგებოდა და არაკების მოყოლას დაიწყებდა, სხვა ლექსს კითხულობდა, მესამე კი სიმღერას შემოსცხებდა. წინასწარმეტყველს თავზე აფრქვევდნენ სიბინძურესა და ნაგავს, და, ერთი სიტყვით, ყველა მდაბალი და ბარბაროსული საშუალებით ცდილობდნენ მისთვის ადამიანური ღირსება აეყარათ.

მაგრამ მუჰამადს ამ ვითარებაზე არანაკლებ აწუხებდა ის გარემოება, რომ მისმა ქადაგებამ, პრაქტიკულად, ნაყოფი ვერ გამოიღო. იმქვეყნიური თუ ამქვეყნიური სასჯელის მუქარით, ყველანაირად ცდილობდა სკეპტიკოსებისათვის შიში ჩაენერგა. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა იმ თავისთავად სწორი დებულებით, რომ მხოლოდ მომავლის შიში მოქმედებს მასაზე ყველა დანარჩენ საშუალებაზე ეფექტურად, მაგრამ მექელებზე ამ მუქარამ ოდნავადაც კი ვერ იმოქმედა.

მექელთათვის დაპირებული ღვთიური სასჯელი, რომელიც, მუჰამადის სიტყვებით, მათ ნუთისოფელშივე უნდა მოსწეოდათ, როგორც აღმოჩნდა, თავს არავის არ დასტყხია. ეს გარემოება კი მოციქულის სასაცილო ვითარებაში აყენებდა. გარდა ამისა, მექელთათვის საიქიო სასჯელის მუქარა სავსებით უიმედო საქმე იყო, რადგან მათ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობა არ სჯეროდათ. წინასწარმეტყველი ამაოდ ცდილობდა, ამ საკითხზე მათი შეხედულება შეეცვალა. ტყუილუბრალოდ მიმართავდა ათასგვარ — ამ ხალხის აზრით — უცნაურ და ზოგჯერ უხეშ დასაბუთებასაც იმ მიზნით, რომ თანამემამულენი სულის უკვდავებაში დაერწმუნებინა. და რაკილა ამ თვალსაზრისით მათი დაყოლიება ვერ შეიძლო, ჯოჯოხეთის მთელი მისი აღწერილობანი, რა შემზარავადაც უნდა წარმოესახა ეს ჯოჯოხეთი, მექელებზე უფრო მეტად ვერაფრით იმოქმედებდა, ვიდრე ის ამბები, რასაც გარდასულ ერთა შესახებ ჰყვებოდა, რომელთაც ღვთის სასჯელი ურწმუნოებისა და მოციქულთა ურჩობის გამო მიენიათ. მუჰამადის ევროპელ ბიოგრაფთა აზრით, ამ ამბებმა, ყურანის მნიშვნელოვან ნაწილს რომ შეადგენს, მოციქულს ზიანი უფრო მოუტანა ვიდრე სარგებელი. დოზი აღნიშნავს: „ამ ამბავთა უმეტესი ნაწილი ძველ აღთქმაშიცაა მოთხრობილი. მაგრამ მუჰამადმა ბიბლია არ იცოდა და მხოლოდ ებრაული გადმოცემები ჰქონდა გაგონილი სხვა პირთაგან, რომლებიც, როგორც ჩანს, ერეტიკული მიმართულების ისრაელიანები უნდა ყოფილიყვნენ. მექელებს კი მხედველობის არიდან არაფრით არ გამოეპარებოდათ ის გზა, რითაც მუჰამადი ამ გადმოცემებს ითვისებდა; ამიტომაც ისინი საგანგებოდ მოუწოდებდნენ

ებრაელებს, „თვითმარქვია წინასწარმეტყველი“ ბიბლიური ისტორიის დამახინჯებასა და უცოდინრობაში ემხილათ“.

ამრიგად, დიდი საქმე წინ ვერ მიდიოდა. ამ დროს კი ის ახალმოქცეულნი, განსაკუთრებით მონები და ქალები, რომელთაც ძლიერი მფარველები არ გააჩნდათ, დევნისა და უხეში ძალმომრეობის სამიზნედ იქცნენ. ზოგი მონა თუ მხევალი თავისი ურყევი რწმენის საფასურად სიცოცხლესაც კი იმეტებდა და ამგვარად გაჩნდნენ ისლამისათვის პირველი წამებულნიც. ბევრი მათგანი კი აბუ ბაქრმა გამოისყიდა და გაათავისუფლა. თვითონ მუჰამადს ამის გაკეთება არ შეეძლო, რადგან იმხანად ქონებრივი და ნივთიერი ვითარება საგრძნობლად გაუუარესდა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, და არა მხოლოდ მონათა შორის, რომელთაც უარი თქვეს სარწმუნოებაზე და ისლამს გაემიჯნენ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, დაახლოებით 615 წელს, თვითონ მუჰამადმა იმ მუსლიმებს, რომელთაც საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრებოდათ, ურჩია, მექიდან ქრისტიანულ აბისინიაში გადასახლებულიყვნენ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ვითარების დასაზვერად უცხო მხარეში ცოტანი გაემგზავრნენ და სულ აბისინიაში 11 მუსლიმი გადასახლდა.

მუჰამადმა კი თავი მარტოსულად იგრძნო და ისეთ სავალალო ყოფაში აღმოჩნდა, რომ მექურმა არისტოკრატიაში ამ ვითარების სათავისოდ გამოყენება შესანიშნავად მოახერხა.

მექელ წარჩინებულებს მაინცდამაინც არ ენადათ მუჰამადს თვითონ მექის მფარველი ღვთაება ჰუბალი ელიარებინა. ეს მათთვის სულერთი იყო, მაგრამ მექელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუჰამადს ეცნო ასე თუ ისე ძლიერ და გავლენიან მეზობელ ტომთა ღვთაებანი, კერძოდ, ქალღმერთები — ალ-ლათი, ალ-მანათი და ალ-‘უზზა. მექელთათვის ეს, ასე ვთქვათ, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. მათ იმ მხარეში მობინადრე ტომებთან მშვიდობიანად უნდა ეარსებათ, ამის უპირველეს პირობად კი ამ ტომთა ღმერთების აღიარება უნდა ჩათვლილიყო.

თუ მექელები ამ პირობის დაცვას ვერ შეძლებდნენ, მათ ქარაგნებს გზას ყოველმხრივ გადაუკეტავდნენ, ხოლო რამდენადაც მექა, როგორც წმინდათა წმინდა მიწა, არსებითად, ყველა არაბულ ტომს ეკუთვნოდა, მექელები შესაძლოა საკუთარი ქალაქიდან განდევნის საფრთხის წინაშეც კი აღმოჩენილიყვნენ. ამასვე ეუბნებიან მუჰამადს ყურანშიც: „თუ შენს სწავლებას შემოვუდგებით, განგვდევნიან ჩვენივე მიწა-წყლიდან“ (მდრ: სურა 28, 57)

სწორედ ამიტომ, მათ პირწმინდად პოლიტიკური მოსაზრებებითა და, არამც და არამც კერპთა სიყვარულითა თუ ერთგულებით, შესთავაზეს მუჰამადს, ეცნო ზემოთ ნახსენები სამი კერპი, სამაგიეროდ კი ალაჰის მოციქულად აღიარებას დაჰპირდნენ.

მუჰამადი სისუსტემ სძლია და მექელთა წინადადებას დათანხმდა. ეს ამბავი დეტალურადაა მოთხრობილი იბნ სა‘დის „ატ-ტაბაკათსა“ და ატ-ტაბარის „მუჰამადის ბიოგრაფიაში“. ამ ნაშრომებში შემონახული ცნობების თანახმად, შაითანის ჩაგონებით, მუჰამადს მექელთა ჯამაათის წინაშე ასეთი რამ განუცხადებია:

„ხომ ხედავთ ალ-ლათს, ალ-‘უზზასა და ალ-მანათს — კიდევ?

ესენია კურთხეული ალ-ღარანიკი,

რომელთა დაცვაც შეიძლება მოიიმედო.

არაბული სიტყვა, რომელსაც ციტატში უთარგმნელად ვტოვებთ, პოლისემიურია და ის შეიძლება ნიშნავდეს: ა) „გედებს“; ბ) „წეროებს“ ანდა გ) „მშვენიერ ჭაბუკებს.“

კრემსკის აზრით, შპრენგერი ნამდვილად ცდება, როდესაც ამ პასაჟის კომენტარებისას, მუჰამადის სიტყვების ბერძნულ და გერმანიკულ მითოლოგიათა გედებთან სიახლოვეზე საუბრობს. კრემსკი ფიქრობს და, ალბათ ასეც იყო, რომ „მუჰამადმა შეგნებულად აირჩია ასეთი უკიდურესად ორაზროვანი და გაუგებარი სიტყვა, რადგან აქ სიტყვა „ღვთაების“ გამოყენება არ შეეძლო. ეს ისაა, რასაც ჩვენ იეზუიტიზმს ვეძახით. „ღარანიკ“ ყველას შეეძლო თავისებურად გაეგო, ხოლო ღმერთებთან მიმართებით გამოყენებული, თავისთავად, არაფერს ნიშნავდა.“

ყოველ შემთხვევაში, ამ ფანდმა გაჭრა: როცა მუჰამადმა ქადაგება დაასრულა და წარმოთქვა: „წარდექით წინაშე ალაჰისა და მას თავყვანი ეცით“, მართლაც ყველა ასე მოიქცა და



მინას შუბლით შეეხნენ.

მუჰამადმა გაიმარჯვა. მთელმა მექამ იგი ალაჰის მოციქულად აღიარა. მაგრამ ამ გამარჯვებას მან თავისი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მცნება ანაცვალა, იგი თავისივე მოძღვრების უმთავრეს დებულებას გაემიჯნა. წინასწარმეტყველის ძველმა მტრებმა და მოწინააღმდეგეებმა ქილიკი დაიწყეს, ხოლო გულწრფელი მიმდევრები დაიბნენ და რწმენა შეერყათ. მუჰამადმა თვითონვე ეს ამბავი უცებ შეამჩნია და სინდისმა შეანუხა.

გადმოცემის თანახმად, ეს ამბავი მაშინვე მომხდარა: მუსლიმური ჰადისები გვიამბობენ, რომ იმ წუთასვე გამოეცხადა მუჰამადს ანგელოზი ჯიბრიილი და გააკიცხა იგი, რის გამოც მეორე დღეს წინასწარმეტყველმა ავბედითი სიტყვები უკანვე წაიღო. დოზის შენიშვნით, „უსამართლობა იქნებოდა გადმოცემისათვის მოგვეთხოვა, ეს ყველაფერი სხვაგვარად მოეთხორო. მუსლიმი ღვთისმეტყველები მოციქულის მხრიდან ასეთი შეცდომის დაშვებასაც საკმაო დამცირებად მიიჩნევენ. ზოგი ავტორი კი ამ ამბავზე საერთოდ დუმის ამჯობინებს, სხვანი ფიქრობენ, რომ მუჰამადის ხმის მიბაძვა შაითანს შეეძლო.“

ვეროპელი ავტორები ამ შემთხვევას ლოგიკური არგუმენტების მოშველიებით ხსნიან. ისლამის მკვლევართა თითქმის ერთსულოვანი აზრით, „არსებობს მრავალგვარი საფუძველი საიმისოდ, რომ ვიფიქროთ: ვიდრე მუჰამადი თავის სიტყვებს უკან წაიღებდა, კარგა ხანს უნდა გაეგლო, რადგანაც წინასწარმეტყველის ის მიმდევრები, სამშობლოდან აბისინიაში რომ გაქცეულიყვნენ, როცა მუჰამადისა და მისი თანამემამულეების შერიგების ამბავი შეიტყვეს, უკან მექაში ჩამობრუნდნენ. ეს ამბავი კი მათ ყურამდე ვერ მიაღწევდა, მუჰამადს რომ თავისი შეცდომა უცებვე ელიარებინა და გამოესწორებინა.“

შერიგების ამ წარუმატებელმა მცდელობამ მექელი ურწმუნონი კიდევ უფრო გააცხარა და გააავა. ეს სიავე აბისინიიდან შინ დაბრუნებულმა მუსლიმებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს. უმრავლეს მათგანს უღმობლად ექცეოდნენ და ისე საშინლად სტანჯავდნენ, რომ მალე საჭირო გახდა, თავი ისევ აბისინიისათვის შეეფარებიათ. ამ ე. წ. „პირველი ჰიჯრის“ (პირველი გადასახლების) დროს სულ ას ერთი ადამიანი გაემგზავრა და რამდენიმე მათგანის გარდა იქ ისინი ჰიჯრის მეშვიდე წლამდე (დაახლ. 629 წ.) რჩებოდნენ. რაც შეეხება მუჰამადს, მექელებს სურდათ მოეკლათ იგი ანდა ქალაქიდან გაეძევებინათ, მაგრამ მათი ამ სურვილის განხორციელებას ხელი წინასწარმეტყველის ნათესავთა სიმტკიცემა და წინააღმდეგობამ შეუშალა.

უფრო სწორად, ბედნიერმა შემთხვევითობამ მუჰამადს ახალი გავლენიანი მფარველი გაუჩინა. საქმე ისაა, რომ ერთმა წარჩინებულმა მექელმა, ცნობილმა სასაცილო ზენდოდებით „აბუ ჯაჰლი“ („მამა უმეცრებისა“), მუჰამადის ბიძის, ჰამზას, მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, წინასწარმეტყველს ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ ჰამზამ ეს მთელი გვარის შეგინებად აღიქვა. გააფთრებულმა თავი წინასწარმეტყველის მიმდევრად გამოაცხადა და შემდეგ ისლამისათვის ზურგი აღარასოდეს შეუქცევია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო 'უმარის გამუსლიმება (615), რის შემდეგაც, მისი დაჟინებით, მუსლიმებმა კერძო სახლში კი არა, საჯაროდ, ალ-ქა'აბასთან ლოცვა დაიწყეს.

მექელი წარმართები კი სულ უფრო ცხარდებოდნენ. ეს გაცხარება ბოლოს იქამდე მივიდა, რომ დაახლოებით 617 წელს მათ ჰაშიმიანთა გვარი თემიდან განკვეთეს. კურაიშელთა ყველა დანარჩენი გვარი წერილობით შეთანხმდა, რომ არ დაეშვათ ჰაშიმიანებთან ქორწინება, გაენწყვიტათ მათთან ყოველგვარი ურთიერთობა და უარი ეთქვათ ყველანაირ დახმარებაზე. გამონაკლისი მხოლოდ მუჰამადის გააფთრებული მოწინააღმდეგის, მოციქულის ბიძის, აბულაჰაბის, ოჯახისათვის დაუშვეს.

დანარჩენ ჰაშიმიანთათვის კი ეს უდიდესი განსაცდელი იყო. ამ დროიდან მათ ქარავნებს აღარ უშვებდნენ კურაიშელთა საერთო ქარავანში, ხოლო საკუთარი ქარავნის დამოუკიდებლად აღსაჭურვად და დასაცავად ჰაშიმიანებს არც ძალა და არც ნივთიერი საშუალება არ ეყოფოდათ. ეს ნიშნავდა, რომ მათ საარსებო სახსრის თავიანთი წილი ხელიდან გამოეცალათ და ასეთ ყოფაში ორ-სამ წელიწადს დაჰყვეს, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ამ გვარსა და დანარჩენ მექელთა შორის შეთანხმება მოხერხდებოდა.

კრიმსკის თვალსაზრისით, რაკილა ამის შემდეგ ისლამზე ახალ მოქცევებს ველარ-ვხედავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუჰამადის ნათესავეებმა მექელთა წინაშე პირობა დადეს, რომ წინასწარმეტყველის ახალ მიმდევართა გაჩენა, ისლამზე სხვა ადამიანთა მოქცევა არ დაეშვათ. ეს დაახლოებით 619 წელს უნდა მომხდარიყო. ცოტა ხანში კი, იმავე 619 წელს, მუჰამადს გარდაეცვალა მეუღლე ხადიჯა და ბიძა აბუ ტალიბი. ეს ბოლო დარტყმა წინასწარმეტყველისათვის განსაკუთრებით მტკივნეული გამოდგა: ახლა უკვე სავსებით უმფარველოდ და უქომაგოდ იყო დარჩენილი. ამიტომაც ძირითადად შინ იჯდა, რადგან იმჟამად უწინდელზე უფრო მეტად შეიძლებოდა თავის თანამემამულეთა დაცინვისა და შეურაცხყოფის სამიზნედ ქცეულიყო. იმხანად მუჰამადის მფარველი უკვე ბიძამისი, აბუ ლაჰაბი, გახდა, რადგან აბუ ტალიბის შემდეგ ეს კაცი გვარში ასაკით ყველაზე უფროსი იყო და გვარის დანარჩენ წევრთა დაცვა თუ ნათესაურ კავშირ-ურთიერთობათა შენარჩუნებაზე ზრუნვა ახლა სწორედ მას დაეკისრა.

მუჰამადის სწავლებისადმი აბუ ლაჰაბი უკიდურესად მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ თავისი გვარის წარმომადგენელთა პირადი თავისუფლების დაცვა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სხვა დანარჩენი. „იარე, სადაც გსურდეს, აკეთე, რაც მოგეპრიანება, სწორედ ისე, როგორც ჩემი განსვენებული ძმის სიცოცხლეში, ალაჰს გეფიცები, ვიდრე ცოცხალი ვარ, შენ ხელს ვერავინ დაგაკარებს!“ — განუცხადა მან მუჰამადს.

კურაიშელთა უმრავლესობა ასეთ საქციელს სამართლიანად და პატივისცემის ღირსად მიიჩნევდა, მაგრამ მუჰამადის ორმა ყველაზე თავგადაკლულმა მოწინააღმდეგემ საქმის ავად შემოტრიალება მაინც მოახერხა. ისინი აბუ ლაჰაბთან მივიდნენ და უთხრეს: „თუ გიკითხავს მუჰამადისათვის, სად იმყოფება ახლა განსვენებული მამაშენი?!“

აბუ ლაჰაბი ამის საკითხავად მუჰამადთან მივიდა.

წინასწარმეტყველმა ბიძას ორაზროვანი პასუხი გასცა: „თავის ნათესავეებთან ერთად!“

აბუ ლაჰაბი ამ პასუხმა სავსებით დააკმაყოფილა, ორივე მტერი მოძებნა და მუჰამადის ნათქვამი გაუმეორა. მათ კი ისევ იქედნურად წაუსისინეს: „რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მამაშენი ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრუკება!“

აბუ ლაჰაბი ისევ მუჰამადთან გაეჩქარა და ჰკითხა: „მამ, ფიქრობ, რომ მამაჩემი ჯოჯოხეთშია?!“ ასეთ კონკრეტულ შეკითხვაზე მუჰამადს კონკრეტულად უნდა ეპასუხა და ეს მის ღირსებაზე მეტყველებს, რადგან თავისი აზრის გულწრფელად გამოხატვის გამო უკანასკნელი მფარველიც დაკარგა და თავი აშკარა საფრთხეში ჩაიგდო.

სამაგიეროდ, იგი შეეცადა, შემწეები და ქომაგნი სხვაგან მოეძებნა. ამისათვის თავის შვილობილ ზაიდთან ერთად ახლომდებარე ქალაქ ტაიფში გაემგზავრა. იქ პირისპირ შეხვდა სამ ძმას, რომელთაც ქალაქში ანგარიშგასახნე ადამიანებად მიიჩნევდნენ, და სცადა ისინი თავის მხარეზე გადაეყვანა. მაგრამ ძმებმა მხოლოდ სასტიკი დაცინვით უპასუხეს. ერთმა მათგანმა უთხრა: თუ ალაჰს მოციქულის წარმოგზავნა ენადა, ნუთუ შენზე უკეთესს ვერავის მიაგნო?! მეორემ კი პირდაპირ განუცხადა: შენთან ლაჰარაკი ხეირს არ დამაყრის! რადგან თუკი, როგორც ამტკიცებ, მართლაც ალაჰის მოციქული ბრძანდები, მაშინ ჩემთვის მეტისმეტად დიდებული ხარ იმისათვის, რომ რალაცაში შემოგეკამათო. ხოლო თუ, პირიქით, თვითმარქვია ხარ, ვფიქრობ, შენთან ურთიერთობა ჩემს ღირსებას არ შეშვენისო.

მაგრამ საქმე მხოლოდ ამით არ გათავებულა: ძმებმა მუჰამადს ქალაქის ბოგანოები და მონები წაუსიეს და ქვების სეტყვაში მოხვედრილი წინასწარმეტყველი იძულებული შეიქნა, ტაიფიდან მშობლიურ მექაში უსწრაფესად დაბრუნებულიყო.

ამასობაში ათ წელიწადზე მეტი გავიდა (610-620). მუჰამადს კი უწინდებურად ცოტა მიმდევარი ჰყავდა და, თუ აბისინიაში გადასახლებულებს არ ჩავთვლით, მექაში მცხოვრებ მუსლიმთა რიცხვი იმხანად ას ორმოცდაათ კაცს არ აჭარბებდა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ახალი რელიგია უკვალოდ უნდა გამქრალიყო, მაგრამ მოულოდნელად მუჰამადმა ორი მნიშვნელოვანი ტომის — ავისისა და ხაზრაჯის მიმხრობა მოახერხა. ამ ტომებმა V საუკუნის ბოლოს ქალაქ მედინის ძალაუფლება ამ ქალაქში მცხოვრებ ებრაულ ტომებს ბრძოლით ჩამოართვეს.

მედინელები და მექელები ერთმანეთს ათადან და ბაბადან მტრობდნენ, რადგან სხვადასხვა წარმომავლობის ტომებს ეკუთვნოდნენ. ავსი და ხაზრაჯი სამხრეთის არაბები ანუ (აზდის შტოს) იემენელები იყვნენ, კურაიშელი კი — ჩრდილოეთის არაბები. იემენელები (ხუზა'ის ტომელნი) ასევე ფლობდნენ მექასაც, მაგრამ დაახლოებით 400 წლისათვის ისინი იქიდან კურაიშელებმა გააძევეს, რომელთაც უწინდებურად ეზიზღებოდათ იმენელები.

მექელები მედინელთა სიძულვილს მათ დაცინვასაც უსართებდნენ, რადგან მედინელები მეურნეები, მინაზე მომუშავენი იყვნენ, ხოლო საერთოარაბული შეხედულებით, მინათმოქმედება ნაკლებპატივსაცემ საქმიანობად ითვლებოდა.

ამას გარდა, მედინაში მრავალი იუდეველი ცხოვრობდა, ხოლო რაკილა ავისისა და ხაზრაჯის ტომის ბევრ წარმომადგენელს ქალაქის იმ უწინდელ მაცხოვრებელთა სჯული მიელო, რომლებიც ახლა კლიენტთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მექელები მედინის მთელ მოსახლეობას ებრაულად (იუდეურად) მიიჩნევდნენ, თუმცა სინამდვილეში მედინელთა დიდი ნაწილი იმავე რელიგიას მისდევდა, რასაც მექელები, მაგრამ ეს უკანასკნელნი მედინელებს მაინც ზემოდან უყურებდნენ.

მუჰამადი ამ მხრივ თანატომელთა და თანაქალაქელთა შეხედულებებს იზიარებდა. მაგრამ რაკილა უკვე თანამემამულე ვაჭრებისა და ბედუინების ისლამზე მოქცევის იმედი გადაუწყდა და თვით მის სიცოცხლესაც უდიდესი საფრთხე დაემუქრა, იძულებული იყო, ყველა თავის უწინდელ ტომობრივ შეხედულებაზე უარი ეთქვა და, ვისგანაც უნდა ყოფილიყო, უმცირეს დახმარებასაც კი ჩაბლაუჭებოდა.

მედინელებზე მუჰამადის ქადაგებას შთაბეჭდილება უკვე მოეხდინა იმ დროს, როცა ისინი ყოველწლიური ჰაჯის რიტუალზე მედინაში ჩამოსულიყვნენ და შემთხვევით მისი სიტყვებისთვისაც მოეკრათ ყური. მათ ხომ ჩვევად ჰქონდათ, სიკეთე დაენახათ ყველაფერში, რასაც მექელები ავად და უვარგისად მიიჩნევდნენ. თანაც მათ განკარგულებაში მყოფი ებრაელები არაერთხელ დამუქრებიათ მედინელებს მესიის მოსვლით, რომელიც მათ ძალაუფლებას წაართმევდა და ებრაელთ გადასცემდა. ამიტომაც, როცა მედინის არაბებმა მუჰამადის შესახებ შეიტყვეს, ალაჰის მოციქულიაო, იგი ებრაელთათვის აღთქმულ მესიად მიიღეს და გადანყვიტეს, ყველაზე ჭკვიანური იქნება, თუ იუდეველებს მუჰამადის მოციქულად აღიარებას დავასწრებთო. ისინი ფიქრობდნენ, ამით მოციქული ჩვენ დაგვიჭერს მხარს და ებრაელებს იმავე იარაღით დავუპირისპირდებით, რითაც თვითონ გვემუქრებოდნენო.

ამ ყველაფერთან ერთად, სიმშვიდე არც თვით არაბულ ტომთა შორის ყოფილა. ავისისა და ხაზრაჯის ტომთა შორის 583 წლიდან დაწყებული შუღლი იმ ხანებშიც დრო და დრო იფეთქებდა და ორივე მხრის სასტიკი ხოცვა-ჟლეტვით თავდებოდა. 615 წელს ავსელებმა დახმარებისათვის ებრაელებს მიმართეს და მათი თანადგომით მედინის მახლობლად, ბუ'ასში დაამარცხეს ხაზრაჯეები, რამაც ამ ორი არაბული ტომის მტრობა და ურთიერთშუღლი გაამწვავა. თუმცა ბრძოლით გადაღლილ ყველა მხარეს მშვიდობაც სწყუროდა და, რაკილა ქალაქს ეს სიმშვიდე ვერავინ მოუტანა, ფიქრობდნენ, რომ წესრიგის დამყარებასა და მეტოქეთა დაშოშმინებას მხოლოდ ალაჰის მოციქული თუ შეიძლებდა.

ყველა ამ მიზეზის გამო მედინელებმა მუჰამადის აღიარება გადანყვიტეს და ამ მიზნით მოლაპარაკებებიც წამოიწყეს.

მური მიიჩნევს, რომ უცხოქალაქელ არაბებთან მუჰამადის ურთიერთობათა დასაწყისი ჯერ კიდევ ჰამიშიანთა გვარისათვის გამოტანილი ინტერდიქტის ხანიდან (617-619) უნდა აითვალოს, შპრენგერის გამოთვლით კი იასრიბელებთან მუჰამადის პირველი მოლაპარაკებანი 620 წელს შედგა და მედინაში ამავე მიზნით მისიონერი, ვინმე მუს'აბ იბნ 'უმაირიც გააგზავნეს.

მუჰამადისა და მედინის მთავართა საბოლოო მოლაპარაკება კი 622 წლის გაზაფხულზე, მექაში საერთოარაბული პილიგრიმობისას გაიმართა, მექისა და მედინის გზაზე მდებარე ერთ ადგილთან, სადაც გზა ერთბაშად გაივსება და ამაღლებას იწყებს, რითაც იქმნება კუთხე ანდა მოსახვევი ('აკბა).

ამ ადგილას მუჰამადსა და მედინელებს შორის მოლაპარაკება ადრეც გამართულა. იმ

მოლაპარაკებას „პირველ ‘აკბას“ ეძახდნენ, ხოლო ამჯერად ანუ 622 წლის გაზაფხულზე „მეორე ‘აკბა“ შედგა.

საბოლოო შეთანხმებისათვის მხარეებმა ღამე აირჩიეს. მუჰამადს თან ახლდა ბიძამისი ‘აბბასი, რომელსაც მაშინ, სხვათა შორის, თავისი ძმისშვილის ღვთაებრივი მისიისა არ სჯეროდა.

მან მედინელებს ასე მიმართა: „ხაზრაჯელნო, თქვენ მუჰამადს თქვენი შეთავაზება მოაწოდეთ. მოგეხსენებათ, იგი თავისი ტომის ერთ-ერთი დიდებული გვარის შვილია, და თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგ ჩვენგანს მისი არა გვჯერა, მაინც ერთსულოვან დახმარებას ვუწევთ, რადგან იგი კარგი გვარისაა, ჩვენ კი მისი მოგვარეები ვართ.

მუჰამადმა თქვენი წინადადების მსგავსი ყველა სხვა წინადადება უარყო, თქვენი კი მიიღო იმიტომ, რომ ძლიერი, გამბედავი ხალხი ხართ, ბრძოლაც ხელგენიფებათ და ბედუნთა შიშიც არ განუხებთ. კარგად გაიაზრეთ თქვენი გადაწყვეტილება, ხოლო როცა საქმეზე საბოლოო მსჯავრს გამოიტანთ, მერე თქვენი ხელმძღვანელობისა და უმრავლესობის აზრს ნულარ გადაუხვევთ, რამეთუ ყველაზე ჭეშმარიტი სიტყვა არის ყველაზე უკეთესი.“

ამაზე ერთმა მედინელმა ასე უპასუხა: „მოვისმინეთ შენი ნაუბარი და ალაჰსა ვფიცავ, რაც განგიცხადეთ, იმის გარდა სხვა მიზანი რომ გვქონოდა, პირდაპირ გეტყოდით. მაგრამ ჩვენ გულწრფელად გადავწყვიტეთ მუჰამადს ვუერთგულოთ და მისთვის სიცოცხლეც კი არ დავიშუროთ!“

მაშინ მოციქულმა გააცნო მათ თავისი ქადაგების არსი, ყურანის ადგილები ნაუკითხა და ისლამის აღიარება შესთავაზა. მედინელები ასეც მოიქცნენ და წინასწარმეტყველს სამარადყამო ერთგულება აღუთქვეს. აღტყინებულებმა კი ისეთი ხმაური ატეხეს, რომ ‘აბბასი იძულებული შეიქმნა, მათთვის სიფრთხილისაკენ მოენოდებინა.

შემდგომ მუჰამადმა 12 მოადგილე აირჩია (რაშიც ევროპელი მკვლევარები ქრისტეს აშკარა მიბაძვას ხედავენ) და კრება დაიშალა.

მექელებს კი ეს მოვლენა არ გამოჰპარვიათ და მეორე დღეს მათი დიდი უმრავლესობა მედინელთა ბანაკს მიადგა.

„როგორც შევიტყვეთ, ნუხელ ერთ ჩვენს თანაქალაქელს შეხვედრიხართ და, სხვათა შორის, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებასაც დაპირებხართ. ჩვენთვის ეს ძალზე უსიამოვნოა, რადგან მთელ არაბეთში არ არის ტომი, ვისთანაც თქვენზე უფრო მშვიდობიან ურთიერთობას ვისურვებდით.“

მედინელი წარმართები, წინა ღამის შეკრებას რომ არ დასწრებიან, სასწრაფოდ წამოიშალნენ და ყველაფერი, რაც კი სანუკვარი ებადათ, დაიფიცეს, რომ კურაიშელთა ბრალდებები უსაფუძვლო იყო და ამ ამბისა არაფერი იცოდნენ. მედინელი მუსლიმები კი, მექელთა უკან გაბრუნებისთანავე, მშობლიური ქალაქის გზას დაადგნენ. მათ მექელთა რაზმი დაედევნა და ორი ადამიანი შეიპყრეს. ერთმა მათგანმა გზა მახვილით გაიკაფა, ხოლო მეორე ტყვედ ჩავარდა, შეიპყრეს და მექაში ჩაიყვანეს. მაგრამ რაკილა იქ მეგობარი არ გააჩნდა, ვისთანაც სტუმარმასპინძლობის ადათით იქნებდა დაკავშირებული, ტყვეობიდან მალევე გაათავისუფლეს.

მუჰამადის მექაში ცხოვრების ბოლო წელს კი მოხდა მისი ცხოვრების ერთ-ერთი დიდი სასწაული, რასაც ყურანი და მუსლიმური გადმოცემა „მი‘რაჯს“ — „ამალლებას“ უწოდებს. როგორც ჩანს, ებრაელთაგან ნაქეზებულმა მოწინააღმდეგეებმა მუჰამადს უთხრეს: „მოციქულთა ქვეყანა სირიაა. შენც, თუ მართლაც მოციქული ხარ ალაჰისა, იქ წადი და, უკან რომ მობრუნდები, შენსას მერელა ვირწმუნებთ“. მუჰამადმა, სავარაუდოდ, მიიჩნია, რომ მათი ნათქვამი არცთუ უსაფუძვლო იყო და, თუ გადმოცემას ვერწმუნებთ, სირიაში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ღამით, ძილში, ჰქონდა ხილვა, რომლის შემდეგაც წმინდა მინაზე გამგზავრება აღარაფრად სჭირდებოდა. მან იერუსალიმი სასწაულებრივად მოინახულა და ამის შესახებ საუბარია ყურანის XVII სურის პირველ აიაში.

ყურანში გაკვრით ნახსენებ ამბავს ფერადოვნად და დანვრილებით გვიამბობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, მუჰამადი ჯიბრაიილმა ალ-ქა‘აბას ტაძრიდან იერუსალიმის

ტაძარში სასწაულებრივად ამოგზაურა ერთ ღამეს, ფრთოსან ცხენზე — ალ-ბურრაკზე — ამხედრებული. იერუსალიმში ისლამის მოციქულს გარდასულ დროთა წინასწარმეტყველნი, მათ შორის — მუსა და 'ისაც მიეგებნენ. მერე მუჰამადი ზეცად აიყვანეს, სადაც მეშვიდე ზეცის კიდესთან, სამოთხის ხის — სიდრათ ალ-მუნთაჰას („უკიდურესი მიწის სიდრას“) — მახლობლად, ალაჰის წინაშე წარადგინეს. უფალმა სწორედ მაშინ უბრძანა მოციქულს თავისი მიმდევრებისათვის დღეში ხუთი სავალდებულო სარიტუალო ლოცვა დაეკისრებინა. წარმოსახვამ ეს ამბავი შემდეგ ძალზე ფერადოვანი წერილმანებით შეამკო, მაგრამ მუსლიმები დღემდე ერთსულოვანნი არ არიან იმასთან დაკავშირებით, სინამდვილეში მოხდა ალ-მი'რაჯი თუ მხოლოდ სიზმარი იყო.

რეალურ ცხოვრებაში კი ამასობაში მექელი მუსლიმები გასაქცევად ემზადებოდნენ. მათი თანაქალაქელებისათვის იოლი არ იყო იმისი ყურება, თუ ეს ალტყინებული ადამიანები, რომლებსაც უწინ დაცინვით უმზერდნენ, როგორ გადაიქცნენ ახლა უკვე ანგარიშგასანევე პოლიტიკურ ძალად, რომლის გაუფნებლებაც უწინ ერთი ხელის დაკვერთაც შეეძლოთ. მათ კი ახალი რელიგიის საკუთარ თანაქალაქელთა სისხლში ჩახშობა თავის დროზე ვერ მოახერხეს ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ამის გაკეთებას სხვა — რელიგიურ კავშირებზე გაცილებით მძლავრი ურთიერთობების — ნათესაურ კავშირთა შიშით მოერიდნენ, რადგან ტომთა შორის სისხლისღვრის დანყების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ ბევრი წარმართული ტომი, თუნდაც ტრადიციულ მოვალეობათა გამო, თავისი დახოცილი წევრების სისხლის აღებას მოინადინებდა.

ამიტომაც ახლა მექელები იძულებულნი იყვნენ გულგრილად ემზირათ, მუსლიმთა მცირერიცხოვანი გუნდები როგორ მიდოდნენ მექიდან მედინაში და მათთვის ხელი არაფრით შეეშალათ.

622 წლის აპრილიდან ორი თვის მანძილზე მექიდან იასრიბში 150 კაცი გადასახლდა, რის შემდეგაც, მონათა ჩაუთვლელად, მექაში მუსლიმი თითქმის აღარ დარჩენილა. მუჰამადი კი აბუ ბაქრთან და 'ალისტან ერთად ბოლომდე მშობლიურ ქალაქში რჩებოდა. ხოლო როცა, ბოლოს და ბოლოს, ისიც უნდა გამგზავრებულიყო, მექელებმა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად უკანასკნელი ხერხი მოიხმარეს. კურაიშელთა ყველა გვარის მეთაურებმა — მუჰამადის სახლიკაცთა გამოკლებით — თავი მოიყარეს და და ერთ-ერთმა დამსწრემ ამ ჯამაათს ასე მიმართა:

„ყველა ხედავთ, ვითარება რა უკიდურესად დაიძაბა. სავარაუდოა, რომ მუჰამადი ახლო მომავალში თავის უცხოტომელ მიმდევრებთან ერთად ჩვენზე გამოილაშქრებს. განსაჯეთ ეს საქმე და მოიფიქრეთ, რა გზით შეგვიძლია მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ავიცილოთ!“

თავიდან იმ აზრზე იდგნენ, რომ მუჰამადი სამუდამოდ დილეგში ჩაეგდოთ, მაგრამ როცა ეს საშუალება არასაკმარისად მიიჩნიეს და უარყვეს, მაშინ აბუ ჯაჰლმა შეკრებილთ შესთავაზა, თითოეული ტომიდან თითო გავლენიანი კაცი ამოერჩიათ. ეს თერთმეტი კაცი კი თავს ერთად დასხმოდა მუჰამადს და მოეკლა. აბუ ჯაჰლი ამტკიცებდა: „ამგვარად, ცოდვა-ბრაღი ყველა გვარზე თანაბრად გადანანილდება და მუჰამადის მფარველი 'აბდ ალ-მანაფის სახლეული, რაკი სისხლის აღება ყველას მიმართ შეუძლებელი გაუხდება, იძულებული იქნება, იმ გამოსასყიდით დაკმაყოფილდეს, რასაც დიდი სიხარულითა და სიამოვნებითაც გადავუხდით.“

ეს წინადადება ერთსულოვნად მიიღეს და მუჰამადი მეტისმეტად მძიმე ვითარებაში ჩავარდა.

მხოლოდ გამჭრიახობას შეეძლო მისი ხსნა და ამიტომაც ასეთი ხერხი მოიგონეს: მუჰამადმა მისცა 'ალის თავისი მუქიმწვანე წამოსასხამი და უბრძანა, ღამით მის სანოლში დაეძინა.

ამგვარად მოციქულის მტრები დააჯერეს, რომ წინასწარმეტყველი ისევ იქ იწვა, სადაც ჩვეულებისამებრ ეძინა ხოლმე და ხელიდან ვერ წაუვიდოდათ. მუჰამადი კი ამასობაში უჩუმრად წავიდა აბუ ბაქრთან, რომელსაც ბოლო ოთხი თვის მანძილზე მზად ჰყავდა ორი საუკეთესო აქლემი და სანდო გამცილებელიც წინდანინვე შეეგულებინა.



ორივე მათგანი აბუ ბაქრის სახლის უკანა ფანჯრიდან გადაიპარა და თავი ატ-ტავრის მთაზე მდებარე ერთ გამოქვაბულს შეაფარა. იქ სამ დღეს გაჩერდნენ და სალამოობით საკვებს აბუ ბაქრის ქალიშვილი 'ასმა უზიდავდათ. მექელებმა, თავგადაკლული მცდელობის მიუხედავად, მათი თავშესაფარი ვერ აღმოაჩინეს, თუმცა მუჰამადის მპოვნელს მის თავში ას აქლემსაც კი ჰპირდებოდნენ.

მოციქული იმან გადაარჩინა, რომ ლტოლვილები, სადაც საჭირო იყო, იქ არ უძებნიათ. ატ-ტავრის მთა მედინის სანიხლმდეგო მხარეს, მექიდან სამხრეთით, საათნახევრის სავალზე მდებარეობს.

ბოლოს და ბოლოს მუჰამადი და აბუ ბაქრი გამყოლის წინამძღოლობით გზას დაადგნენ და მედინაში უვნებლად ჩააღწიეს.

სამი დღის შემდეგ კი მათ უკვე 'ალიც შეუერთდათ, რომელიც, მუჰამადის გაქცევაში თანამზრახველობის ბრალდებით, მექელებს ჯერ კინალამ მოეკლათ, ხოლო მერე რამდენიმე საათით დაეტყვევებინათ.

მუჰამადის გადასახლება მედინაში — ე. წ. „ჰიჯრა“ ხალიფა 'უმარის ზეობის ხანიდან მაჰმადიანური წელთაღრიცხვის დასაწყისად გამოცხადდა და, ჩვეულებრივ, 622 წლის 16 ივლისით თარიღდება.

მუსლიმებს მთვარის კალენდარი აქვთ. მთვარის ყოველი 33 წელიწადი კი მზის 32 წელიწადს შეესაბამება, ამიტომაც რომელიმე მუსლიმური თარიღის ევროპულზე გადასაყვანად, ჯერ ეს მუსლიმური თარიღი უნდა 33-ზე გავყოთ, მიღებული რიცხვი მუსლიმურ თარიღს გამოვაკლოთ და ამ შედეგს 622 დავუმატოთ. მაგალითად: ჰიჯრის 68 წელი = 68-68: 33+622 ანუ = ქრისტიანული წელთაღრიცხვის 688 წელს.

რაც შეეხება მუჰამადის ჰიჯრას, მოციქულს ქალაქ იასრიბში, რომელსაც ამის შემდეგ მის საპატივსაცემოდ „მადინათ ან-ნაბი“ („წინასწარმეტყველის ქალაქი“) ან შემოკლებით „მადინა“ უწოდეს, საზვიამოდ შეეგებნენ და იგი მრავალრიცხოვანი თემის მეთაურადაც აღიარეს. ქალაქის მოსახლეობის მეტ წილს სწორედ ამ თემის წევრები შეადგენდნენ და ამიტომაც მუჰამადს შეეძლო უკვე თამამად განეხორციელებინა თავისი რეფორმები. ამ დროისათვის მოციქული 52 წლისა იყო.

პირველი, რაც მედინაში უნდა გაკეთებულიყო, ღვთისმსახურების სწორი წესებისა და რეგლამენტაციის ჩამოყალიბება გახლდათ, და მუჰამადმაც უპირველესად ამაზე იზრუნა. მისი ბრძანებით, მეჩეთის მშენებლობა წამოიწყეს. რა თქმა უნდა, დღევანდელ მასშტაბებთან შედარებით ეს ნაგებობა დიდებული და თვალისმომჭრელი არ ყოფილა, მაგრამ იმ დროისათვის, როცა არაბულ სამყაროში ჯერ კიდევ უბრალოება ბატონობდა, პირველი მეჩეთი სავსებით აკმაყოფილებდა მისთვის ნაყენებულ უპირველეს პირობას და ამართლებდა თავის მთავარ დანიშნულებას — ყოფილიყო ადგილი ლოცვისა, საზოგადო შეკრებისა და საზვიამო მიღებათა.

შემოღებულ იქნა დღეში ხუთჯერადი ლოცვა დადგენილი წესით, რომლის დაწყების დროსაც (მუ'აზინი) მუეძინი აცნობებდა ხოლმე ხალხს მინარეთის სიმაღლიდან. პირველი მუეძინი აბისინიელი შავკანიანი მონა ბილალი იყო, რომელსაც რწმენის გამო მექაში უამრავი ტანჯვის დათმენა მოუხდა, ვიდრე აბუ ბაქრი მონობიდან გამოისყიდდა. გადმოცემით, ბილალი ამ საქმისათვის ყოფილა ზედგამოჭრილი, რადგან ძლიერი და მჟღერი ხმა ჰქონია.

მოციქულის მიერ შემოღებული სალოცავი ფორმულა კი არსებითად დღემდე არ შეცვლილა და კვლავაც ოდინდელი თანამიმდევრობით გამოიყენება: „დიდ არს ალაჰი“ (ოთხჯერ), „ვამონებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“ (ორჯერ), „ვამონებ, რომ მუჰამადია ალაჰის მოციქული“ (ორჯერ), „იჩქარეთ ლოცვისაკენ“ (ორჯერ), „იჩქარეთ მადლისაკენ“ (ორჯერ), „დიდ არს ალაჰი“ (ორჯერ), „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“.

აუცილებელი არ იყო, ყოველდღიური ლოცვები მეჩეთში აღევლინათ, და მორწმუნეებს ნება დართეს, შინ ელოცათ, მაგრამ პარასკეობით, შუადღისას, როცა მეჩეთში საზოგადო ღვთისმსახურება ტარდებოდა, არცერთ მორწმუნეს არ შეეძლო ეს შეკრება არასაპატიო მიზეზით გაეცდინა. ამავე დღეს ჩვეულებრივი ლოცვის შემდგომ კი მუჰამადი სამწყსოს

ქადაგებით ანდა შეგონებით ე. წ. ხუტბით (აქედან ქართ. „ხოტბა“) მიმართავდა.

მუსლიმური თემის რელიგიური ორგანიზაციისათვის ჩატარებული ღონისძიებებიდან აქვე უნდა აღინიშნოს ყოველწლიური გადასახადის (შემოსავლის მეთედის) ე. წ. „ზაქათის“ დაწესება, რომელსაც რელიგიური მიზნებისათვის გამოიყენებდნენ.

ამას გარდა, იყო მრავალი საკითხი, რომლის მონესრიგებაზეც მოციქულს უნდა ეზრუნა. პირველ რიგში უნდა მოგვარებულიყო მექაში მაცხოვრებელი ორი უდიდესი არაბული ტომის — ავისისა და ხაზრაჯის — დაძაბული ურთიერთობა. მართალია, მუჰამადმა ვერ შეძლო ეს ძველისძველი შუღლი მთლიანად აღმოეფხვრა, მაგრამ ავისისა და ხაზრაჯის მტრობამ მუჰამადის მედინაში მოსვლის მერე უნინდელი სიმწვავე მაინც დაკარგა, რადგანაც ორივე ეს ტომი უკვე თანაბრად ემორჩილებოდა მუჰამადის როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ თავიდან მუჰამადს მხოლოდ სასულიერო მეთაურად აღიქვამდნენ, მაგრამ თავისი სასულიერო ავტორიტეტის მეოხებით, მან თანდათანობით, ერთი მხრივ, მუსლიმთა, მეორე მხრივ კი, მუსლიმთა და არამუსლიმთა, სამოქალაქო ურთიერთობების მონესრიგებაც მოახერხა. მუჰამადს მიმართავდნენ სამართლის გასაჩენად, მისი მსჯავრი კი თითოეულ საქმეზე წარმატებული და გონივრული იყო და, ამგვარად, ბუნებრივი ღირსებების წყალობით, მოციქულის სასულიერო ხელისუფლება ნელ-ნელა საერო ხელისუფლებასაც შემოიმტკიცებდა.

მართალია ასეთი ზეგავლენა მუჰამადს მხოლოდ იმ მედინელებზე ჰქონდა, რომელთაც ისლამი აღიარეს, მაგრამ ეს ხალხი უკვე ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენდა.

ყველა მედინელ მუსლიმს „ანსარი“ (მხ. ნასირ) „შემწენი“ (იგულისხმება: „მოციქულის შემწენი“) დაერქვა.

ამის შემდეგ მოციქულს უნდა ეზრუნა იმ მოსალოდნელი მტრობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლებოდა იოლად გაღვივებულიყო მექიდან გადმოსახლებულებსა (მუჰაჯირებსა) და მედინის მკვიდრ მოსახლეებს (ანსარებს) შორის.

(შევნიშნავთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ეს ფორმა „ანსარები“ თავისთავად არასწორია, რადგან არაბ. „ანსარ“ თვითონვეა სიტყვის „ნასირ“ მსხვრეული მრავლობითი, ამდენად ქართული „ებ“ სუფიქსის დართვით ტერმინი ორმაგად მარკირებული გამოდის. ამის მიუხედავად, ჩვენ ტრადიცია არ დაგვირღვევია და სიტყვას იმ ფორმით ვიყენებთ, როგორც ჩვენში უკვე კარგახანია მოიკიდა ფეხი).

ამ მიზნით მუჰამადმა დაანესა ე. წ. „დაძმობილება“ და ურთიერთობის ეს ფორმა იმდენად მყარი გამოდგა, რომ სისხლით ნათესაობაზე უფრო ძლიერადაც ითვლებოდა, რადგან ძმობილის სიკვდილისას მის ერთადერთ მემკვიდრედ ძმობილი ცხადდებოდა.

ეს დადგენილება მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამ და სხვა ანალოგიურ დადგენილებათა მეოხებით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქვაკუთხედის ადგილი, უნინდელი ტომობრივ-გვაროვნული სანყისის ნაცვლად, რელიგიამ დაიკავა.

მართალია, მალევე ისლამმაც აღიარა ტომობრივი ურთიერთობანი (და, ამრიგად, ბადრის ბრძოლის შემდეგ, დაძმობილების კანონი და, შესაბამისად, ქონების არანათესაური მემკვიდრეობის წესიც გაუქმდა) და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თეორიულად იქადაგებოდა საზოგადოების მონყობის ახალი, ხოლო პრაქტიკულად რჩებოდა ძველი პრინციპი (აღსანიშნავია, რომ აქედანაც წამოვიდა განხეთქილებანი ხალიფატში ომაიანთა ზეობისას), მაგრამ, ამის მიუხედავად, ახალმა პრინციპმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა და, სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, ისლამში შემოიტანა არაბთათვის მანამდე გაუგონარი რამ — დისციპლინა.

ამასობაში კი მუჰამადს მტრები მედინაშიც გამოუჩნდნენ. მართალია, ფარული და არა ისეთი, თავიანთი უკმაყოფილება ახდილად გამოეთქვათ. მედინელები, რომელთაც მოციქულს აკაბაში დაუდეს ფიცი, ამ ქალაქის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ ქალაქში მაინც საკმაოდ იყვნენ ისინიც, ვისაც მუჰამადის მოციქულობისა არ სჯეროდა. მათი ერთი ნაწილი მედინიდან მექაში გადასახლდა და მუჰამადის მტრებს

შეუერთდა, ნაწილი კი მედინაშივე დარჩა, მოციქულს აშკარა წინააღმდეგობას არ უწევდნენ და გარეგნულად ახალი სარწმუნოებაც კი მიიღეს, მაგრამ ფარულად არ მოსწონდათ თანაქალაქელთა საქციელი და მოციქულის წინააღმდეგ, როგორც შეეძლოთ, ისე მოქმედებდნენ. ისინი შეადგენდნენ არაკეთილისმსურველთა, ყალბ თანამოძმეთა ანდა, როგორც ყურანი უწოდებს, თვალთმაქცთა (მუნაფიკუნა) დაჯგუფებებს (ალ-აჰზაბ). ეს იყო, ძირითადად, ძველი, სახელგანთქმული გვარების ხალხი, რომელთაც სათავეში ედგათ 'აბდ ალ-ლაჰ. იბნ უბაი — კაცი, ვისაც ხაზრაჯები მუჰამადის მოსვლამდე მეფედ თუ ქალაქის განმგებლად გამოცხადებას უპირებდნენ.

რა თქმა უნდა, მათ არ სიამოვნებდათ ის ამბავი, რომ ვილაც გადამთიელმა ისინი უკან გადასწია, ხოლო რაკი მუჰამადით თავიანთ ახალგაზრდა თანამოქალაქეთა რელიგიურ გატაცებას სრულებითაც არ იზიარებდნენ, ისლამის მთელი დადგენილებანი მიუღებელი ერჩენებოდათ, განსაკუთრებით კი ისლამის რელიგიური დისციპლინა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მთელი არაბობისათვის აუტანელი აღმოჩნდა.

ყველაზე დიდი სიძნელეები კი ებრაელთა მხრიდან შეიქმნა. მუჰამადი მათ სრულებითაც არა მტრობდა და, პირიქით, მიმზრობასაც ცდილობდა. იგი მუდამ აღიარებდა იუდეველთა სჯულის ღვთიურ წარმომავლობას და როდესაც საკუთარი მოციქულობის დამტკიცება ენადა, მათ წმინდა წიგნებს ერთგვარ საბუთად და დასტურად მოიხმობდა. რელიგიურ დღესასწაულებს, მარხვასა თუ რიტუალებსაც მათვე დაესესხა. თავიდან მორწმუნე მუსლიმები ლოცვისას პირს იერუსალიმის მხარეს აბრუნებდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იერუსალიმი იყო მათი „კიბლა“. ამას გარდა, ღმერთს, ებრაელთა მსგავსად, წმინდად სწირავდნენ ერთ საგანგებო დღეს მარხვისას.

ერთი სიტყვით, მუჰამადი მზად იყო ებრაელთა მიმართ ყველანაირ დათმობაზე წასულიყო. მედინაში ჩასვლისთანავე მათ სრული რელიგიური თავისუფლება და საკუთარი ქონების თავიანთი ნება-სურვილისამებრ განკარგვის უფლება მიანიჭა.

პირველ ხანებში ორივე მხარე ერთმანეთს სავსებით მშვიდობიანად ეკიდებოდა. მუსლიმები დადიოდნენ სინაგოგაში, იუდეველები — მეჩეთში, მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ მოსეს სჯულსა და ისლამს შორის დიდი განსხვავება არსებობდა.

ებრაელები ვერ დაუშვებდნენ იმის აღიარებას, რომ მათ წიგნებში მუჰამადის მოვლინება ყოფილიყო ნაწინასწარმეტყველები. მუჰამადს კი, რომელსაც სურდა იუდეველებს სწორედ ეს პუნქტი ელიარებინათ, მათი სიჯიუტე სულ უფრო და უფრო ახელებდა.

ამის შემდგომ იგი იუდეველებს იმ ძველ ებრაელთა ღირსეულ მემკვიდრეებს უწოდებდა, რომლებიც აწუხებდნენ მოსეს, ხოცავდნენ თავიანთ წინასწარმეტყველთ და უარყოფდნენ საკუთარ მესიას.

ამ დროიდან ნელ-ნელა უკვალოდ გაქრა ებრაელთა მიმართ უწინდელი კეთილგანწყობა. იერუსალიმის მაგიერ „კიბლად“ ისევ მექა გამოცხადდა. ებრაულ მარხვათა ნაცვლად კი მარხვა რამადანის თვეში შემოიღეს და მხარეთა ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ვითარება მალე შეიძლება უმართავი გამხდარიყო.

მოციქულით უკმაყოფილო მედინელებმა მექელებთან გააბეს კავშირი და მათ წინასწარმეტყველთან საომრად აქეზებდნენ. მაგრამ თვითონ მუჰამადიც ფიქრობდა ამაზე. კიბლის ცვლილებით მექა ხელახლა იქნა აღიარებული წმინდა ალაგად, რომლის მოსალოცადაც იქ თავისუფლად ჩასვლა მუსლიმებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქნა. ამას გარდა, მოციქულს სჭირდებოდა ფული, რათა თავისთან, მეჩეთში შეფარებული უამრავი ღარიბ-ღატაკი შეენახა.

ყველაფერს რომ თავი დაანებოთ, მუჰამადს მექაში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე არ ასვენებდა შურისძიებაზე ფიქრი. თუმცა თავიდან იმდენი სხვა აუცილებელი საქმე იყო მოსაგვარებელი, რომ ამ სურვილის უცებ შესრულება ვერ მოხერხდებოდა. თანაც, მედინელებმაც, აკბას შეთანხმების თანახმად, მოციქულის დასაცავად თავდაცვითი ომის წარმოება იკისრეს და არა — თავდასხმითისა.

თუმცა სულ რაღაც რვა თვის შემდეგ, 623 წლის წმინდათა წმინდა რაჯაბის თვეში, მუ-

ჰამადმა უბრძანა მუჰაჯირებს, აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშის ხელმძღვანელობით თავს დასხმოდნენ (ანდა როგორც თვითონ ორაზროვნად განაცხადა, გზა გადაეჭრათ) მექელთა ქარავანს, რომელსაც მედინაზე უნდა გამოეცვლო.

როგორც აღინიშნა, წარმართულ არაბეთში მუჰამადამდე კარგა ხნით ადრე არსებობდა ჩვეულება, რომ წელიწადში ოთხი წმინდათა წმინდა თვის მანძილზე, როცა არაბები მექაში ჰაჯჯის რიტუალს ასრულებდნენ და იქ საერთოსახალხო ბაზრობები იმართებოდა, დროებით წყდებოდა ყოველგვარი ბრძოლა და ძარცვა-რბევა. მექელთა ქარავანიც, სწორედ წმინდათა წმინდა თვის იმედით, გულმშვიდად მიდიოდა სირიაში და თან ტყავი, ღვინო და ქიშმიში მიჰქონდა (რადგან არაბულ ქიშმიშს სირიულზე უკეთესადაც კი მიიჩნევდნენ).

სწორედ ამავე პერიოდს ემთხვევა გამოცხადების ტექსტში გაჩენილი მითითებანი წმინდა ომის „ჯიჰადის“ შესახებ. და ამ ომში დაცემულთ საზღაურად სამოთხე აღეთქვათ, მაგრამ როცა ქარავანის გამყოლებთან შეჯახებისას სისხლი დაიღვარა, ამან მუსლიმთა უკმაყოფილება მაინც გამოიწვია და მუჰამადი იძულებული შეიქნა ყველაფერი 'აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშის თვითნებობისათვის გადაებრალებინა, რომლისთვისაც ნაბრძანები ჰქონდა, ქარავანისათვის მხოლოდ გზა გადაეჭრა და არა — თავს დასხმოდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ნადავლი მაინც გადაინაწილეს.

მოგვიანებით კი, 624 წლის იანვარში, ბადრთან უმნიშვნელოვანესი ბრძოლაც გაიმართა.

მექელთა დიდი ქარავანი, რომელიც აბუ სუფიანის მეთაურობით მოძრაობდა და 623 წლის შემოდგომაზე მუჰამადის თავდასხმას ასე თუ ისე უვნებლად გადაურჩა, ახლა სირიიდან უკან ძვირფასი საქონლით დატვირთული ბრუნდებოდა. მუჰამადი ფიქრობდა, ამჯერად ხელიდან ვეღარ დამისხლტებიანო, და ქარავანზე თავდასხმისათვის ემზადებოდა.

მაგრამ მისი ფარული განზრახვის შესახებ აბუ სუფიანმა სირიის საზღვართანვე შეიტყო და ეს ამბავი სასწრაფოდ მექაში აცნობა, რომ იქიდან მებრძოლთა შეიარაღებული რაზმი მიეშველებინათ. თვითონ კი საჩქაროდ, თუმცა ფრთხილად, მენამულ ზღვასთან ყველაზე ახლომდებარე გზას გამოუყვა.

ამასობაში მუჰამადიც ვეღარ ითმენდა და ეშინოდა, რომ ქარავანი ხელიდან დაუსხლტებოდა, ამიტომაც თავის მზვერავებს აღარ დაელოდა და მუსლიმებს უბრძანა, მასთან ერთად გამოსულიყვნენ. მოციქულს უკან გაჰყვა არცთუ ისე მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელიც, ძირითადად, ალაფის ხელში ჩაგდებას იმედოვნებდა და ამიტომაც ბრძოლაზე უკან არ დაუხევია. ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვი სამას კაცს ოდნავ აჭარბებდა.

მუჰამადს სურდა, აბუ სუფიანი და მისი მხლებლები ბადრის ხეობის ვინროებში მოემწყვდია, სადაც წყაროები მდებარებდა და, როგორც წესი, სავაჭრო ქარავნები დასასვენებლად სწორედ ამ წყაროებთან ჩერდებოდნენ. მოციქულის ეს განზრახვა საფუძვლიანად გაამყარა მისი ორი მოენის მიერ მოტანილმა ამბავმა, რომლებიც ბადრიდან დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ იქ ქარავანს ორ სამ-დღეში ელოდებოდნენ.

მაგრამ აბუ სუფიანიც, მედინას რომ მოუახლოვდა, გაორმაგებული სიფრთხილით აღიჭურვა. ბადრში შეიტყო, რომ იქ ვიღაც უცხო ადმიანები გამოჩენილიყვნენ. აბუ სუფიანი მიხვდა, ესენი მედინელი ჯაშუშები იქნებოდნენო, ქარავანი სასწრაფოდ მარჯვნივ მიაბრუნა და ერთი დღე-ღამე პირდაპირ შეუსვენებლად ატარა, ვიდრე თავს სამშვიდობოს დაიგულებდა. ამასობაში ამბავიც მოუტანეს, მექიდან მამველი რაზმიც ციხელოვდებო, მაგრამ მან მაშინვე გააგზავნა სხვა მოენი და დააბარა, ყველაფერი რიგზეა და მამველ რაზმს შეუძლია უკან გაბრუნდესო.

მექაში კი ამ ამბამდე ათი დღით ადრე, როცა აბუ სუფიანის პირველმა მალემსრობლმა მოულოდნელად ქარავანისათვის მამველი რაზმი მოითხოვა, დიდი მღელვარება და აყალმაყალი ატყდა: ყველა ასე თუ ისე გავლენიან მექელს ამ ქარავანში თავისი წილი ედო და ამიტომაც ყველას ენადა, რომ ქარავანი უკან უვნებლად დაბრუნებულიყო. საჩქაროდ შეკრიბეს მამველი რაზმი. დაინტერესებულ პირთა უმეტესობა თვითონ გამოვიდა, ზოგმა თავის მაგიერ მებრძოლები დაიქირავა და ორ-სამ დღეში დაახლოებით 950 კაციანი რაზმი

უკვე მედინისაკენ მიემართებოდა. მაგრამ ჯუფასთან მათ აბუ სუფიანის მეორე მალემსრბოლი შემოხვდათ, რომელიც იმისათვის გამოვე ზავნათ, რომ ეთქვა: ყველანაირმა საფრთხემ ჩაიარა და შეგიძლიათ უკან გაბრუნდეთო. მეთაურებმა მსჯელობა დაიწყეს, როგორ მოქცეულიყვნენ. ბევრი უკან გაბრუნების წინააღმდეგი იყო, რადგან ეშინოდათ, ეს სიმხდალემი ჩამოგვერთმევაო. ამიტომაც მექიდან აბუ სუფიანის საშველად გამოსული მებრძოლების უმრავლესობამ გზა მედინისაკენ მაინც გააგრძელა. ზუჰრის ტომელნი და კიდევ რამდენიმე კაცი, სულ 300-მდე მხედარი, კი მედინაში დაბრუნდა: თუ ქარავანს საფრთხე არ ემუქრება ლაშქრობის გაგრძელებას რაღა აზრი აქვსო.

მუჰამადი კი, თავის მხრივ, ჯერაც იმედოვნებდა, რომ ქარავანს ხელში ჩაიგდებდა. ამასობაში ვიღაცამ აცნობა, მექიდან აბუ სუფიანის საშველად ლაშქარი დაიძრაო. შეიკრიბა სამხედრო საბჭო და თითქმის ყველამ გაიზიარა მოციქულის აზრი, რომ მტრისათვის ზურგის შექცევა არ ეგებოდა. მითუფრო, ჯერ კიდევ არსებობდა იმედი, დაუცველ ქარავანს დროულად მისწოდნენ და ხელი სასწრაფოდ მოეთავებინათ. ამ მიზნით გზა გააგრძელეს და, ბადრში რომ მივიდნენ, მუჰამადს სურდა, ბანაკი პირველ წყაროსთანვე დაეცა. ერთმა მედინელმა უთხრა: „ო, მოციქულო, ეს გადანყვეტილება ღვთიური გამოცხადებით მიიღე თუ საკუთარი შეხედულებითო?“

— ჩემი აზრითა და შეხედულებითო, — მიუგო მუჰამადმა.

— თუ ასეა, — უთხრა მედინელმა, — მაშინ, ვფიქრობ, წინ უნდა წავინიოთ და ბოლო ჭასთან დავბანაკდეთ, რათა მტერს წყალზე ხელი არ მიუწვდებოდესო.

მუჰამადმა მაშინვე მოინონა ეს აზრი და ასეც მოიქცა. ამასობაში კიდევ ჩამობნელდა. პალმის ტოტებისაგან სასწრაფოდ ააგეს ქოხი, რომ იქ მუჰამადსა და აბუ ბაქრს დაეძინათ. ღამით კი წვიმა წამოვიდა და იმ მხარეს, სადაც მექელები იმყოფებოდნენ, განსაკუთრებით ძლიერად დაუშვა. ფეხქვეშ ნიადაგი ისე დაუსველდათ, რომ მოძრაობას ძლივსლა ახერხებდნენ.

დილით ორივე გუნდი ბრძოლისთვის მოემზადა. სველი ნიადაგით ისედაც შევიწოვებულ მექელებს ახლა კიდევ ერთი უსაიმოვნება უნდა აეტანათ. ამოსვლისას მზე პირდაპირ თავლებში აჭყეტდათ და მონინააღმდეგის დანახვას უშლიდათ.

მაგრამ მუჰამადი არანაკლებ იყო შენუხებული ბრძოლის ბედით, რომელსაც გაცილებით ძლიერი მტრისათვის უნდა ეჩვენებინა, ვინ იყო იგი. ღელვა კი მით უფრო ჰმართებდა, რომ ამ ბრძოლაზე მთელი ისლამის მომავალი იყო დამოკიდებული. იგი აბუ ბაქრთან ერთად კარავში შევიდა და გულმხურვალე ლოცვა წამოიწყო.

დაიწყო ბრძოლა. თავიდან მუსლიმები მკაცრად იცავდნენ მოციქულის მითითებას და ადგილიდან არ იძვროდნენ, მუდმივად უშენდნენ მონინააღმდეგეს ისრებს, მაგრამ წინ წასასვლელად მოციქულის ნიშანს ელოდნენ. ჩვეულებრივი არაბული ზამთრის დღე იდგა. ხეობაში გამჭოლი ქარი ამოვარდა. მუჰამადმა მებრძოლებს გასძახა:

„შეხედეთ, ეს ჯიბრა'ილი მოფრინავს ჩვენს საშველად ათასი ანგელოზით. ყოველი თქვენგანი, ვინც დღეს დაიჭრება ან ბრძოლაში დაეცემა, სამაგიერო სიკეთედ მიიღებს იმას, რომ ყველაზე უნინ შევა სამოთხეში!“

ერთმა ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა, რომელიც ამ დროს ფინიკს მიირთმევდა, ფინიკი სასწრაფოდ გადააგდო, დაფაცურდა და დაიძახა: მაშ, სამოთხეში მოსახვედრად მხოლოდ ამ ხალხის ხელით სიკვდილი ემარაო?! — მახვილი იშიშვლა, მტრის რიგებში შეიჭრა და მალევე მოენია ის, რასაც ესწრაფოდა.

ბოლოს და ბოლოს მუჰამადმაც მისცა ნიშანი, რასაც უკვე კარგა ხანს ელოდნენ. მან ხელით ქვა-ლორღი მობლუჯა, მექელების მხარეს გაიქნია და დაიძახა: „დაე, სირცხვილი ჰფარავდეს მათ სახეებს! მუსლიმებო, წინ!“

შემთხვევა მარჯვედ იყო შერჩეული. მექელებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ფეხქვეშ სველი ქვიშა სიარულს უძნელებდათ. უკანდახევა მალე გაქცევამ შეცვალა. მუჰამადის ზოგი დაუძინებელი მტერი ბრძოლის ველზე დაეცა, ზოგი კი ტყვედ ჩავარდა. ბრძოლის დასასრულს, როცა აურაცხელი ალაფი ერთმანეთში დაინანილეს, მტრის გვამები ჭაში გადაუძახეს. მუჰამადი დაღუპულებს ეძახდა და ყველა მათგანს სახელით მიმართავდა:



„მოციქულის უღირსო თანამოქალაქენო, თქვენ თვითმარქვიად მრაცხდით, მაშინ როცა, სხვებს სჯეროდათ ჩემი ღვთაებრივი მოციქულობა. თქვენ გამომაძვეეთ მშობლიური ქალაქიდან, იარალი იხმარეთ ჩემზე, სხვებმა კი თავშესაფარი მომცეს და დამიფარეს. აბა, ახლა ნახეთ: შეასრულა თუ არა ღმერთმა ის მუქარა, რასაც ჩემი ბაგეებით აღვითქვამდათ? მე რაც შემიხება, რა თქმა უნდა, თვალნათლივ ვხედავ, რომ ჩემთან დადებული აღთქმა ალაჰისა უკლებლივ აღსრულდა!“

იქ მყოფმა ძირძველმა არაბებმა, თავიანთი პროზაული ჭკუა-გონებით, ამ ლაპარაკს ვერაფერი გაუგეს და გაცოცხლებულნი კითხულობდნენ: „რას შვრები, მოციქულო, ნუთუ ცხედრებს ებაასებიო!“

მუჰამადმა მიუგო: „იცოდეთ, მათ ჩემი თქვენზე ცუდად როდი ესმით, მაგრამ პასუხის გაცემა არ ძალუძთო!“

შურისგების გრძნობა კი ამითაც ვერ ჩაიცხრო. დატყვევებულთაგან ექვსი კაცი, რომელიც მუჰამადის განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდა, მისი ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის იყო პოეტი ნადრ იბნ ალ-ჰარისი, ვისაც ოდესღაც მექაში ეთქვა, სპარსული სარაინდო ამბები, ხალხს მე რომ მოვუთხრობ, გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყურანი — მთელი თავისი ბიბლიური ლეგენდებით, და იქ მყოფი ჯამაათისათვის მოენოდებინა, მუჰამადის ნაცვლად ყური მისთვის დაეგდოთ.

ხოლო როცა ამდენი ხნის მერე ნადრ იბნ ალ-ჰარისმა ერთ-ერთ ყოფილ მეგობარს გამოქომაგება სთხოვა, ამ უკანასკნელმა მიუგო, ისლამი ყველა უწინდელ ურთიერთობას აუქმებსო.

დანარჩენებს, შეიძლება ითქვას, ბედმა გაუღიმა: ზოგმა ისლამი მიიღო, ხოლო ზოგი მექელებმა გამოისყიდეს.

ბადრთან ორჯერ უფრო ძლიერ მონინაალმდეგეზე გამარჯვება, რა თქმა უნდა, სასწაულს მიენერა. ე. კრიმსკი შენიშნავს:

„ფაქტობრივად, ამ გამარჯვებამ ისლამის საბოლოო ზეობისათვის იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ყველაზე ხატოვანმა ქადაგებამ: მორწმუნეებს რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდათ და ნივთიერი გამორჩენის იმედიც გაუჩნდათ. ურწმუნოები კი შეირყნენ და, რაც მთავარია, ყველამ გაიაზრა, რომ მუჰამადი უკვე იყო ის ძალა, რომლისთვისაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაენიათ.“

დოზი დასძენს: „ბადრთან გამარჯვებამ მუჰამადის ძალაუფლება განამტკიცა და მან ეს გარემოება მარჯვედაც გამოიყენა საიმისოდ, რომ მედინაში მცხოვრებ ებრაელებსა და სხვა მონინაალმდეგეთ მისი რისხვა მთლიანად ეწვნიათ.“

დოზის ამ შეფასებას კრიმსკი ასეთი თვალსაზრისით განავრცობს: „საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებამ მოციქულს თავბრუ დაახვია და ხასიათი მკვეთრად შეუცვალა. ჰიჯრამდელი მუჰამადი და ჰიჯრისშემდგომი მუჰამადი თითქოს ორი სხვადასხვა კაცია და ამიტომაც დოზი მის ბიოგრაფიას, თხრობისას, სავსებით საფუძვლიანად ჰყოფს ორ თავად, წინასწარმეტყველის მოღვაწეობის ორი პერიოდის მიხედვით. დევნიდროინდელი მუჰამადი ძალზე სიმპათიური და მოკრძალებული ადამიანია. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას თავისივე ქადაგებასთან, უეჭველია, მაშინ საკუთარი გამოცხადებებისა თვითონვე სჯეროდა, რადგან მრავალი წლის მანძილზე შეუპოვრად იდგა უამრავი საფრთხისა და დაბრკოლების პირისპირ და, მიუხედავად იმისა, რომ ვეილი ამ პერიოდშიც განიხილავს მუჰამადის მხრიდან შეგნებული სიცრუის ერთ შემთხვევას, აღნიშნულ ბრალდებას ანტიმუსლიმური ლიტერატურაც კი არ იზიარებს (იხ. კახანსკი, „ანტიმუსლიმური კრებული“, VI გამოშვება, გვ. 10 და 15). მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, რაც ეს დევნილი და დაჩაგრული ადამიანი უეცრად ძლევამოსილი კაცი შეიქნა, მისი მხრიდან დიდსულოვნების არაერთი გამოვლინების გვერდით, მასში ვხედავთ ტირანსაც, გრძნობასაყოლილ ბერიკაცსაც და, შესაძლოა, გამოცხადების შეგნებულ მთხველსაც. ბოლო ბრალდებას (რომელიც, მაგალითად, საკუთარი ხუშტურების შესრულებისა და საოჯახო უსიამოვნებათა გარკვევისათვის ღვთიური ზეშთაგონების გამოყენებას ეფუძნება), რა თქმა უნდა, ძალზე დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.“

საცხებით კომპეტენტური ადამიანები (მაგ. ვლ. სოლოვიოვი), ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები, აუცილებლად მიიჩნევენ, მუჰამადის მოღვაწეობის მეორე პერიოდშიც მისი მხრიდან საკუთარი გამოცხადებისადმი სრული რწმენა ვაღიაროთ. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ა. მურს („ისლამის ისტორია“, ტ I, 149), რომ უზენაესის არსების არაადეკვატური აღქმა იქნებ უფრო მიუღებელიც იყოს, ვიდრე შეგნებული სიცრუე. მური შენიშნავს, მუჰამადის ღირსებისათვის უმჯობესი იქნებოდა, მექური პერიოდის დასასრულს მომკვდარიყო“ (იხ. კრიმსკი, „მუსლიმობის ისტორია“, გვ. 106).

ჩვენი მხრივ კი დავსძენთ, რომ ასეთ შეხედულებებს იმის გამო კი არ ვიმონებთ, რომ მათ უპირობოდ ვიზიარებთ (შეიძლება, სულაც პირიქით), არამედ იმიტომ, რომ წარმოვანიხნოთ, როგორ ვითარდებოდა ევროპული ორიენტალისტიკის აზრი ამა თუ იმ მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით და შეძლებისდაგვარად თავი მოვუყაროთ მუჰამადის შესახებ გამოთქმულ ყველა არსებით, ზოგჯერ ურთიერთისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ მოსაზრებას.

რაც შეეხება მოციქულის კრიტიკას ანდა მისი ცხოვრების ისეთ ეპიზოდებს, რომელთა გამოყენებაც ზოგ მკვლევარს მუჰამადის პიროვნული დაკნინებისათვის სჭირდებოდა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ცნობა ამ ევროპელ მკვლევარებთან მუჰამადის არაბი ბიოგრაფების ნაშრომებიდან მოხვდა. ეს ადამიანები კი, ხშირ შემთხვევაში, გულწრფელი მუსლიმები და თავგადაკლული მორწმუნენი იყვნენ, მაგრამ მაინც პატიოსნად, კეთილსინდისიერად აღნუსხავდნენ ყველა მოვლენას, როგორც ჩანს, ერთი ძალზე საპატივსაცემო მოსაზრებით: მუჰამადი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელსაც უამრავ ღირსებასთან ერთად, ბევრი ადამიანური ნაკლი თუ სისუსტეც ახასიათებდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის მიერ გამოცხადების ტექსტით მანიპულირებაშიც შევიტანოთ ეჭვი. ვინც ყურანს დაკვირვებით, წინასწარაკვირებული მიკერძოების გარეშე წაიკითხავს, მიხვდება, რომ მოციქული მართლაც მხოლოდ გადამცემია და მას ტექსტის შინაარსს არავინ ეკითხება. რაც შეეხება საოჯახო დრამებს, რომელიც გამოცხადების ტექსტში აისახა, ეს ხშირად მიზეზია, საბაბია, გნებავთ, თვალსაჩინო მაგალითია იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევების გადასაჭრელად ღმერთმა ადამიანებს უნივერსალური კანონები დაუდგინოს. ამდენად, მუჰამადის ბიოგრაფები არ ერიდებიან სააშკარაოზე გამოიტანონ მუჰამადის საოჯახო ცხოვრების ისეთი წვრილმანები, რისი ცოდნაც ყურანის დიდებულებას ვერაფერს დააკლებს, ჩვენ კი პრობლემათა არსს უკეთესად გაგვაგებინებს.

თითოეულ ამ დეტალზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ, ბადრის ბრძოლის შემდეგ კი მუსლიმ ბიოგრაფებთან დაცული ცნობების მიხედვით, პირველი მსხვერპლი ერთი ქალი გამოდგა. ეს იყო 'ასმა ავსის ტომის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენელი, რომელსაც მამა-პაპათა სჯულზე უარი არ განეცხადებინა. ქალმა ბადრის ბრძოლის შემდეგ შეთხზა ლექსი, სადაც თავის თანაქალაქელებს ბრიყვები უწოდა იმის გამო, რომ გულუბრყვილოდ შეიფარეს გადამთიელი, ვინც მათი ტომის ყველაზე უფრო წარჩინებული ხალხი სიკვდილით დასაჯა.

მუჰამადმა მუსლიმებს ამის გამო წყენა რომ შეამჩნია (არაბი ხომ იშვიათად აპატიებს სატირულ ლექსებს), წამოიძახა: „და ვინ მომაშორებს თავიდან ამ დედაკაცს?!“

ეს სიტყვები 'უმაირმა გაიგონა და ღამით, როცა 'ასმა ღრმა ძილში იყო, ქალს სული გააფრთხობინა.

მეორე დღეს მუჰამადმა მეჩეთში მკვლელს ჰკითხა:

— შენ მოკალი მერვანის ქალი?!

— დიახ, — მიუგო იმანაც, — მაგრამ, მითხარი, უნდა მეშინოდეს თუ არა ჩემი ამ ცოდვის გამო?!

— კაცმა რომ თქვას, არა! — მშვიდად უპასუხა მუჰამადმა, — ეს ისეთივე არაფერია!

მერე იქ შეკრებილ ჯამაათს მიუბრუნდა და გადასძახა:

— გინდათ გიჩვენოთ კაცი, ვინც სამსახური გაუნია ღმერთსა და მის მოციქულს: აი, ისიც

— 'უმაირი!

მეორე ასეთივე საზარელი მკვლელობა რამდენიმე კვირაში მოხდა. შეურაცხყოფა, რასაც ეს მკვლელობა მოჰყვა, იგივე იყო, რაც წინა შემთხვევისას. მაგრამ ამჯერად მსხვერპლი ერთი მოხუცი ებრაელი — აბუ 'აფფაქი აღმოჩნდა, რომელმაც მუსლიმებს სატირული ლექსი გამოუთქვა. მუჰამადის ერთი სიტყვით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ბრძანება სულაც არ ყოფილა, მოხუცებულსაც, 'ასმას მსგავსად, ყელი მძინარეს გამოსჭრეს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მალე სასჯელმა ებრაელთა მთელ ტომებს უწია. მედინის ერთ კარგად გამაგრებულ გარეუბანში ბანუ კაინუკას ებრაული ტომი ცხოვრობდა, რომლის წევრებიც ხელოსნობას მისდევდნენ, მახვილთა წრთობის ოსტატები და ოქრომჭედლები იყვნენ. მათზე თავდასხმის ზუსტი მიზეზი უცნობია, მაგრამ, მუსლიმური გადმოცემით, ეს ტომი ბადრთან ბრძოლისას მუჰამადის მოწინააღმდეგეებთან გაბმული სახიფათო კავშირების გამო დაისაჯა. ამ მიზეზით, მუჰამადმა ბანუ კაინუკას საცხოვრებელს ალყა შემოარტყა და თხუთმეტდღიანი ალყის შემდეგ ებრაელები იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ. მუჰამადს სურდა, ყველასათვის თავები დაეყრევიან, მაგრამ იუდეველებს მედინელთა შორის გავლენიანი მფარველი გამოუჩნდათ, რომელიც გამოექომაგა და დიდი ძალისხმევით ფასად მათ სიცოცხლე შეუნარჩუნა. თუმცა მათი ქონება მუსლიმებმა ერთმანეთში დაინაწილეს, ხოლო ბანუ კაინუკას ტომი თავისი სამკვიდროდან გააძევეს. ისინი აზრა'ათში გაეშურნენ და იქ სირიის საზღვართან დასახლდნენ.

ამასობაში კი მექისა და მედინის დაპირისპირებაც უწინდებურად გრძელდებოდა. 624 წლის აპრილში აბუ სუფიანმა მექის შემოგარენში მცირე მასშტაბის ლაშქრობა მოაწყო. მუსლიმებმა ისევ გაძარცვეს მექელთა ქარავანი და მაშინ მექაში წამოიწყეს მზადება, რათა ბადრის ბრძოლაში ნანვნევი მარცხისათვის საკადრისად ეძიათ შური. ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ იმ ქარავნიდან მიღებული მთელი შემოსავალი, რის გამოც ბადრთან ამდენი სისხლი დაიღვარა, მთლიანად ერთი უზარმაზარი ლაშქრის შეიარაღებაზე დაეხარჯათ. საშველად ახლო-მახლო მცხოვრებ მოკავშირეებსაც მოუხმეს და აი, 625 წლის იანვარში, 3000 კბილებამდე შეიარაღებული კაცი მედინისაკენ გაემართა. ლაშქარში ბევრი ქალი ერია, მათ წინ მიუძღოდათ აბუ სუფიანის ცოლი ჰინდა, რომელსაც ბადრის ბრძოლაში მამა, ძმა და ბიძა დაღუპოდა და ახლა შურისძიების ვნებით გიზგიზებდა.

მექელები ზღვის ნაპირას მიმავალ გზას გაუყვნენ, მედინას ძალზე მიუახლოვდნენ, უჰუდის მთასთან დაიბანაკეს და ახლომდებარე სოფელთა ძარცვას მიჰყვეს ხელი.

ამასობაში მედინაში იმაზე მსჯელობდნენ, მტრისათვის ქალაქში მოეცადათ თუ მის შესაგებებლად ნასულიყვნენ. მუჰამადი, რომელიც იმხანად ავისმომასწავებელ სიზმრებს ხედავდა, პირველ თვალსაზრისს ემხრობოდა და, სხვათა შორის, ამავე აზრზე იდგნენ ქალაქის უხუცესნიც, მაგრამ ახალგაზრდები, რომელთაც ბადრთან ბრძოლის მსგავსად ახლაც იოლი ნაღავლის იმედი ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ, ქალაქში დარჩენა სიმბდალედ ჩაგვეთვლებო, და მართლაც მიაღწიეს იმას, რომ მტრის შესაგებებლად გამოსვლა გადაწყდა. მუჰამადს სულ რაღაც ათასამდე მებრძოლი გაჰყვა. იმ ათასიდანაც სამასი ე. წ. „თვალთმაქცი“ ბრძოლის დაწყებამდე უკანვე, მედინაში გაბრუნდა და, ამრიგად, ძალები მართლაც უთანასწორო იყო: 3000 მექელის წინააღმდეგ დაახლოებით 700 მუსლიმი გამოვიდა.

მუჰამადი თავისი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებას კარგად გამაგრებულ ადგილას დაბანაკებით შეეცადა. მან თავისი მებრძოლები ისე განალაგა, რომ უკან უჰუდის მთა ამოჰფარებოდათ, მარჯვენა ფლანგზე კი ანუ იმ ერთადერთ მხარეს, სადაც მოწინააღმდეგის ცხენოსნებს შემოჭრა შეეძლოთ, თავდაცვისათვის თავისი საუკეთესო მოისარნი ჩაამწკრივა და უბრძანა, რაც უნდა მომხდარიყო, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალათ.

მექელთა გააფთრება კი, რომელსაც სიცხარე არც უამისოდ აკლდა, ყოველგვარ საზღვარს მაშინ გადასცდა, როცა აბუ სუფიანმა მებრძოლთ სიტყვით მიმართა, ხოლო ჰინდამ საომარი ჰანგი შემოსძახა.

ბრძოლა, ჩვეულებისამებრ, ცალკეული შეტაკებებით დაიწყო. მაგრამ მექელები წარუმატებლად ირჯებოდნენ. მათმა მედროშემ მოწინააღმდეგე პირველმა გამოიწვია, მაგრამ მალევე მტრის ისრით მოიცვლა და მისმა იმ ხუთივე ნათესავმაც, რომელიც ერთმანეთის

კვალდაკვალ რიგ-რიგობით იღებდა ალამს ხელში, მისივე ბედი გაიზიარა.

მუსლიმთა ერთი ნაწილი მტრის რიგებში შეიჭრა და მონინალმდეგის დარბევას შეუდგა. მექელები დაიქსაქსნენ და ბევრმა იფიქრა, ბრძოლა უკვე წაგებულიაო. ამასობაში კი, რადგან არაბისათვის ნადავლზე სასურველი არაფერი შეიძლება იყოს, ყველაზე დიდ ცდუნებას ვერც მუჰამადის მოისრეებმა გაუძლეს. როცა დაინახეს, სხვები უკვე მონინალმდეგეს ძარცვავენო, მუჰამადის მკაცრი მითითება უცებ დაავინყდათ, ადგილს მოსწყდნენ და ალაფის მოსახვეჭად გაეჩქარნენ.

მექელთა საბრძოლო მეთაურმა ხალიდმა ამ შემთხვევით ხელად ისარგებლა. მან თავისი ცხენოსანი რაზმით მონინალმდეგეს ახლა უკვე დაუცველი მარჯვენა ფრთიდან მოუარა და მის ზურგში შეიჭრა. ამან მუსლიმთა შორის წარმოუდგენელი არეულობა შეიტანა, რასაც მათი სრული დამარცხება მოჰყვა. მოციქულის ბიძა ჰამზა — „ლომი ალაჰისა“ — ჰინდას მიერ საგანგებოდ მის მოსაკლავად დაქირავებულმა ზანგმა ორლესული მახვილით შუაზე გადაჭრა. მუსლიმური გადმოცემის მიხედვით, გააფთრებული ჰინდა ჰამზას უსიცოცხლო გვამს მივარდა, ჯერ კიდევ ცხელი გულ-ღვიძლი ამოაცალა და კბილებით დაწინკნა. ასე იძია ქალმა შური ჰამზაზე, რომელმაც ბადრთან ბრძოლისას მისი ძმა და მამა სიცოცხლეს გამოასალმა. კურაიშელი ქალები კი, საზოგადოდ, დაუნდობლად ბილწავდნენ და აგინებდნენ მონინალმდეგეთა გვამებს.

თვითონ მუჰამადიც უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა. მტრის ბანაკიდან გამოქნეულმა ქვამ მას ტური გაუხეთქა და წინა კბილები ჩაუმსხვრია. მეორე ძლიერმა დარტყმამ კი ჩაჩქანი გაუპო და მისი ერთი ნაწილი სახეში ჩაერჭო. წინასწარმეტყველი მინაზე დავარდა და გახარებულმა მექელებმა ღრიალი მორთეს, მოგვკალით, მოგვკალითო.

მან კი მხოლოდ გონება დაკარგა და უერთგულესმა თანამებრძოლებმა, მართალია, დიდი ძალისხევის ფასად, მაგრამ ბრძოლის ველიდან მის გამოყვანა და გადარჩენა მაინც მოახერხეს.

მუსლიმები დაიფანტნენ და თავი კლდე-ღრეს შეაფარეს. რაც შეეხება მექელებს, მოპოვებული გამარჯვებით სრულებითაც არ უსარგებლიათ. მათ ეგონათ და დიდხანს სჯეროდათ, მუჰამადი მოგვკალით და ამით ყველაფერს წერტილი დაეუსვითო. ბრძოლით კი მედინელთა კი არა, მხოლოდ მუჰამადის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ახლა მუჰამადის სიკვდილით ყველანაირი შულლი და მტრობაც თავდებოდა.

მაგრამ როცა მექელებმა წინასწარმეტყველის გვამი დიდი ძებნის შემდეგაც კი ვერსად მოიძიეს, მიხვდნენ, გადარჩენილათ, თუმცა მედინაში მაინც აღარ შესულან. ასე რომ მოქცეულიყვნენ, მთელ ქალაქს ხელში ძალზე ადვილად ჩაიგდებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქის ვინრო ქუჩებში ბრძოლას მოერიდნენ და თანაც რაკილა მთავარი მიზნისათვისაც უკვე მიეღწიათ და ბადრთან დამარცხების სირცხვილი ჩამოერეცხათ, მეტი აღარაფერი მოინადინეს.

უჭუდთან დამარცხებამ კი მუჰამადი უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო. მისი მტრები, განსაკუთრებით იუდეველნი, სიხარულმა მოიცვა. „ახლა ყველასათვის ნათელია, — ამბობდნენ ისინი, — რომ მუჰამადი ერთი ჩვეულებრივი თემის მეთაურია და არა მოციქული, რადგან მოციქულს ასე ვერავინ ვერასოდეს დაამარცხებდა.“

გულწრფელი მორწმუნენიც კი ეჭვმა შეიპყრო. ბადრთან გამარჯვებაში მათ ღვთიური შემწეობის გამოვლინება დაინახეს და ეს ამბავი მუჰამადის მოციქულობის თვით ალაჰისგან მომდინარე დასტურად მიიღეს. ამავე ყაიდით მსჯელობისას, უჭუდთან დამარცხება ადასტურებდა, რომ მუჰამადი წინასწარმეტყველი არ ყოფილა. მოციქულს მთელი თავისი გამჭრიახობის მოხმობა დასჭირდა იმისათვის, რომ ხალხის თვალში ძველი ავტორიტეტი შეენარჩუნებინა და თავისი მიმდევრებისათვის სიმამაცე და გაძლეობა შთაენერგა.

ღვთიური ზემთაგონების მიხედვით (თუ III სურის მეორე ნაწილს დაკვირვებით ნავიკითხავთ), უჭუდთან ბრძოლისას ღმერთმა მორწმუნეებს გამარჯვება უბოძა, მაგრამ მათ თავიანთი სიჯიუტითა და გაუგონრობით თავს დამარცხება თვითონ დაიტყბეს. ეს მხოლოდ და მხოლოდ განსაცდელი იყო, რათა თვალთმაქცები გულწრფელი მორწმუნეებისაგან გა-

დარჩეულიყვენ. გულის გატეხვა კი ამის გამო არავითარ შემთხვევაში არ ეგებოდა: საქმე საბოლოოდ ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, ოღონდ კი მორწმუნეთ სიმტკიცე და გულმოდგინება გამოეჩინათ.

ამ ქადაგებას რომ რამე ხელშესახები გამარჯვება და ნადავლიც მოჰყოლოდა, რა თქმა უნდა, მუსლიმები უფრო მტკიცედ დაიჯერებდნენ, მაგრამ უჭუდის ბრძოლიდან კარგა ხანმა ისე გაიარა, რომ მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ბანუ ნადირის ებრაული ტომის განდევნას მათი სამკვიდრო ხაიბარის უღელტეხილიდან. ბანუ ნადირის ტომის დასჯის მიზეზიც მტერთან მათი მოკავშირეობა შეიქნა. მათი განდევნის შემდეგ მოციქულმა ეს მიწები მუჰაჯირებს დაუნანილა და ამით ცხოვრების მცირედი სახსარი გაუჩინა. ხოლო ანსარები ამჯერად წილის გარეშე დატოვა, ღვთიური ზემთაგონების თანახმად იმოქმედა და ბანუ ნადირის ტომის სარჩო-საბადებელი მხოლოდ მუჰაჯირებს გადასცა. ეს, სხვათა შორის, აუცილებლობითაც იყო მოტივირებული, რადგან მუჰაჯირებს იმ დრომდე მედინაში მიწის საკუთრება არ გააჩნდათ.

ამავე ხანს მუჰამადის მიერ სხვადასხვა მეზობელი ტომების დასამორჩილებლად წარმოებული წვრილ-წვრილი ლაშქრობები დიდად საინტერესო არ ყოფილა.

ჩვენთვის უფრო საინტერესო ამ დროს მოციქულის ჰარემში დატრიალებული ამბებია, რასაც ყურანში იმდენად დიდი ადგილი უჭირავს, რომ მკვლევარი მათ გვერდს დუმილით ვერ აუვლის.

მით უმეტეს, ეს ამბები თვითონ მუსლიმურ წყაროებშია შემონახული და მუსლიმმა ავტორებმა შესანიშნავად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. მათ არ სურდათ მუჰამადი ზეკაცად, ადამიანურ ვნებათაგან დაცლილ პიროვნებად წარმოეჩინათ. პირიქით, თვითონ ყურანშიც რამდენჯერმე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მუჰამადი ჩვეულებრივი ადამიანია და არა — ანგელოზი. ჩვეულებრივ ადამიანს კი თავისი მდიდარი, წინააღმდეგობრივი ცხოვრება ჰქონდა, რომლის ცალკეული ეპიზოდი ყურანისათვის რაღაც დიდი, ზედროული მცნებების ხალხისათვის უკეთ გასაგებინებლად განზოგადდა.

ამიტომაც მუჰამადის ჰარემის ისტორია იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ უიმისოდ, ქალებთან დაკავშირებით ყურანის ამა თუ იმ პასაჟისა და მითითების გაგება ჩვენთვის, თუ მთლად შეუძლებელი არაა, აუცილებლად ნაკლები იქნებოდა.

ყველაზე დანვრილებითი ცნობები მოციქულის ცოლებსა და მათთან მუჰამადის ურთიერთობის შესახებ XII საუკუნის არაბი ავტორის იბნ სა'დის თხზულებამ — „ატ-ტაბაკათმა“ შემოგვინახა, რომელიც, ძირითადად, ზუჰრის გადმოცემებს ეყრდნობოდა. ამ საკითხის ევროპელი მკვლევარები, მათ შორის ა. შპრენგერი, რომელმაც აღნიშნულ თემას თავის წიგნში მთელი თავი მიუძღვნა („მოციქულის ცოლები“, ტ. III, გვ. 61-87), უმთავრესად იბნ სა'დის ზემოთ ნახსენები თხზულებით სარგებლობდნენ.

დოზი, უბრალოდ, ხელახლა ჰყვება იმას, რასაც შპრენგერთან ვკითხულობთ.

კრიმსკის შენიშვნით, მუჰამადს თოთხმეტი მთავარი ცოლი ჰყავდა: 1) ხადიჯა 2) სავდა 3) აიშა 4) ზაინაბ ბინთ ხუზაიმა 5) ჰაფსა 6) უმ სალამა 7) ჯუვაირია 8) ზაინაბ ბინთ ჯაჰში 9) რაიჰანა-ებრაელი 10) უმ ჰაბიბა, აბუ სუფიანის ქალიშვილი 11) საფია-ებრაელი („ჩვეულებრივი ურია“, როგორც შეაფასა ეს მზეთუნახავი ეჭვიანმა 'აიშამ) 12) მაიმუნა 13) ფატიმა და 14) ასმა-ქინდის ტომელი.

მაგრამ მათ გარდა მუჰამადი, ყურანის XXXIII სურის 49-ე აიაზე დაყრდნობით, მოკლე ვადით სხვა ქალებზეც ქორწინდებოდა. ბევრი მუსლიმი ამ გარემოებით აღშფოთებული იყო, ხოლო 'აიშამ პირში უთხრა მუჰამადს: შენი ღმერთი რაღაც ძალზე საეჭვოდ ირჯება შენი ხუმტურების საამებლადო. იმ დროიდან მოყოლებული მოციქული თავის მხველებს, ჩვეულებრივ, სხვათა სახლებში აბინავებდა და ჰარემში აღარ მიჰყავდა. განსაკუთრებულ, ვნებიან ლტოლვას კი კოპტი მხეველის მარიამისადმი (მარიათასადმი) განიცდიდა.

ხოლო ხადიჯას გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე თვეში, ანუ ჯერ კიდევ მექაში მუჰამადი ხელახლა დაქორწინდა და ცოლად მოიყვანა სავდა — ქვრივი ქალი, რომელიც ახალი სარწმუნოების თავგადადებული მიმდევარი გამხდარიყო.



ამას გარდა წინასწარმეტყველზე დანიდეს მისი უახლოსი მეგობრის აბუ ბაქრის გოგონა 'აიშა, რომელიც იმხანად მხოლოდ 6-7 წლისა იყო. ქორწინებით კი მასზე მედინაში გადასახლების შემდგომ იქორწინა და, ამრიგად, 50 წლის ბერიკაცს ცოლად მისცეს 11 წლის გოგონა, რომელიც ჯერ კიდევ საბავშვო სათამაშოებით ერთობოდა. მაგრამ ეს ბავშვი გონებითაც და სხეულითაც მალე მოიწიფა. გამჭრიახმა და ხალისიანმა 'აიშამ თავის ქმარზე მალე განუზომელი ზეგავლენა მოიპოვა. ამ ორ ცოლს შემდგომში მუჰამადმა ჰაფსა — თავისი მეგობრის 'უმარის ასულიც — დაუმატა, მერე კი ამათ მოაყოლა ზაინაბი, ბადრის ბრძოლაში დაღუპული ერთი მუსლიმის ქვრივი და უმ სალლამა, ქვრივი მეორე მორწმუნისა, რომელიც უჭუდთან ბრძოლისას მიყენებული ჭრილობებით გარდაცვლილიყო.

მაგრამ მოციქული არც ამ ქალებს დასჯერებია. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, თავის შვილობილს ზაიდს შეუარა. ზაიდი შინ არ დაუხვდა, მისმა ცოლმა ზაინაბმა კი სტუმარი შინ შეიპატიჟა და თანაც ტანზე საშინაო შილიფი სამოსის გასწორებას ცდილობდა. მაგრამ ამასობაში მუჰამადმა საკმარისის დანახვა მოასწრო და ზაინაბის მშვენივალ ადგილზე გააქვა: „ღმერთო მონყალეო, როგორ შეგიძლია შეცვალო კაცის გული!“ — ნამოიძახა მან. მერე უკან გაბრუნდა, მაგრამ ზაინაბიც არანაკლებ მოიხიბლა იმ აღტაცებით, რაც მოციქულში მის მშვენივალს გამოეწვია და, როდესაც ქმარი შინ დაბრუნდა, ქალი ადგა და ყველაფერი გულწრფელად უამბო. ზაიდი მაშინვე მოციქულთან გაეშურა და განუცხადა: მზად ვარ, ცოლს გავყვარო, თუკი ამას მოციქული მოინადინებსო. მუჰამადმა მისი შეთავაზება არ მიიღო, მაგრამ ზაიდმა მაინც იოლად შეამჩნია, როგორ ეამა მუჰამადს ეს ნათქვამი.

ზაიდს ცოლთან უამისოდაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ზაინაბი მაღალი წრისა იყო, ზაიდი კი — ყოფილი მონა, რომელიც მუჰამადმა გამოისყიდა, აზატჰყო და შვილად აიყვანა. როგორც ჩანს, მოციქულთან დაკავშირებული ინციდენტი ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ზაიდი ცოლს კიდევ გაეყარა. მაგრამ მუჰამადს ქალის ცოლად შერთვა მაინც არ უჩქარია.

დოზის შენიშვნით: „ზაიდთან ასეთი ახლო ურთიერთობა რომ არ ჰქონოდა, მრავალცოლიანობაზე არაბთა მშვიდი შეხედულების გათვალისწინებით, ქალს ცოლად აუღმღვრეველი სინდისით მოიყვანდა და სხვათა გასაკიცხიც არა ექნებოდა; მაგრამ ზაიდი ხომ მისი შვილობილი იყო, ხოლო შვილობილის გაყრილ ცოლზე დაქორწინება არაბთა თვალში რძალზე, ალალი შვილის ცოლზე ქორწინებას უტოლდებოდა.“

დიდხანს არ გაუვლია, რომ ერთხელაც 'აიშასთან მისული მუჰამადი ტრანსში ჩავარდა, ხოლო როცა გონს მოეგო, გაიღიმა და დაიძახა:

— წავიდნენ და უთხრან ზაინაბს, რომ ალაჰმა ცოლად მომცაო!

ქორწილი კი გადაიხადეს, მაგრამ საქმეს მითქმა-მითქმისა და ჭორის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. მაშინ ზეგარდმოველინა ახალი გამოცხადება, რომელმაც ავი ენები ერთიანად დაადუმა.

ეს ფრაგმენტი, რომელიც კანონიკური ყურანის 33-ე სურის ნაწილად გვევლინება, აცხადებს, რომ შვილობილები ღვიძლი შვილების მსგავსნი არ არიან და მათთან გაყრილი ქალები შეიძლება გათხოვდნენ ყოფილ ქმართა მამობილებზე.

მალე ქალებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ყოფით პრობლემაზე ზეგარდმოველინილი იქნა სხვა გამოცხადებაც, რომლის მიზეზიც ახლა უკვე 'აიშა შეიქნა.

მუჰამადმა იგი ერთ-ერთი ლაშქრობისას თან იახლა. ახლომახლო მომთაბარე ბედუინთა დასამორჩილებლად გამართული ეს ლაშქრობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ იქ 'აიშას წაყვანა ყოვლად უშიშრად შეიძლებოდა. ქალი დახურულ ჩარდახში ჩასვეს და ისე წაიყვანეს. მაგრამ როცა — უკანა გზობისას — მისი ჩარდახი გადახსნეს, 'აიშა იქ აღარ დაუხვდათ.

ცოტა ხანში ერთ-ერთი მუჰაჯირი, საფვანი, დაინახეს, რომელსაც ქალი აქლემზე შემოესვა, თვითონ კი ხელში აღვირი ჩაებლუჯა და გზას მოუყვებოდა.

'აიშამ განაცხადა, გულსაბნევი დამეკარგა და ძებნა-ძებნაში კარგა შორს წავედი. ამასობაში მებარგულნი მოსულიყვნენ, ეგონათ, შიგნით ვიყავი და ჩარდახი აქლემის ზურგზე შემოედოთო.

ეს შეცდომა, მართლაც, იოლად შეიძლება დამართნოდათ, რადგან, გადმოცემით, 'აიშა

გამხდარი და სუსტი აღნაგობის ქალი ყოფილა.

უკან მობრუნებულ 'აიშას ადგილზე რომ აღარავინ დახვედრია, მეტისმეტად გაჰკვირვებია. სამოსი ტანზე შემოუხვევია, ჩამომჯდარა და იმ იმედით, რომ მოისაკლისებდნენ და წასაყვანად მოუბრუნდებოდნენ, ლოდინი დაუნყია.

ამასობაში საფვანიც გამოჩენილა, რომელიც ასევე რალაციის გამო მოლაშქრებს ჩამორჩენოდა. ქალის დანახვას გაუოცებია, აქლემზე შემოუსვამს და მედინისაკენ წამოუყვანია.

ასე ჰყვებოდა ამ ამბავს 'აიშა, მაგრამ მუდამ საქილიკოდ და საჭოროად მომართულმა არაბებმა მომხდარი სრულიად სხვაგვარად განმარტეს. თვითონ მუჰამადიც ცოლის სიტყვებმა ვერაფრით დაამშვიდა და 'აიშას ძალზე ცივად ექცეოდა. ქალმა ეს ამბავი გულთან მეტისმეტად ახლოს მიიტანა და ლოგინად ჩავარდა. სხვა დროს ეს ურთიერთობათა გარკვევის უებარი საშუალება იყო, მაგრამ ამჯერად ვერც ამ ხერხმა გაჭრა — მუჰამადი უწინდებურად ამღვრეულ გუნებაზე იყო. მაშინ 'აიშამ ქმარს მშობლების სახლში დაბრუნების ნებართვა სთხოვა და ყაბულიც მიიღო. ქალის მტრები და ავისმოსურნენი ზეიმობდნენ: რახან ქმარი ასე მოექცა, ესე იგი, მისი ცოდვაც მხილებულიაო.

მუჰამადისათვის ეს ვითარება უკიდურესად უსიამოვნო იყო და, აი, ერთხელაც, მეჩეთის კათედრიდან იქ შეკრებილ ჯამაათს განუცხადა:

„რას ეჩრებით იმ საქმეებში, მხოლოდ და მხოლოდ მე რომ შემეხება?! რამ გაგათამამათ ისე, რომ ჩემი ოჯახის წევრებზე იჭოროთ! ყოველ შემთხვევაში, თვითონ მე მათზე კარგის მეტი არაფერი ვიცი. ამასთან, თქვენ ცილს სწამებთ ერთ კაცსაც, რომელზედაც ასევე კარგის მეტი არა მსმენიაო“.

მაგრამ ყველაფრისათვის ნერტილის დასასმელად ეს მაინც არ კმაროდა. მართალია, იყვნენ ადამიანები, რომლებიც 'აიშას ღირსებას მხურვალედ იცავდნენ, მაგრამ რაკი ეს ღირსება იმხანად ჯერ კიდევ რწმენის ერთ-ერთ სიმბოლოდ არა ქცეულიყო, ისეთებიც მრავლად გამოჩნდნენ, ვინც 'აიშას უმანკობაში ეჭვი შეიტანა. ხალხი ამ ამბავზე ცხარედ კამათობდა. მუჰამადი კი რჩევას 'უსმანსა და 'ალის დაეკითხა. 'უსმანმა მიუგო, რომ მთელ ამ ლაყბობას წმინდა წყლის ცილისწამებად მიიჩნევდა, ხოლო 'ალიმ — და 'აიშამ მას ეს ვერასოდეს აპატია — თავისი აზრი უფრო ფრთხილად გამოთქვა და მუჰამადს ურჩია, ამბის შედეგთა მოგვარებისათვის გარჯილიყო.

მაგრამ რა უნდა ექნათ? მოწმეები არ არსებობდნენ, ამიტომაც ისე მოიქცნენ, როგორც ყველა და ყველა დროში მოიქცეოდა: ან უნდა დაეჯერებინათ 'აიშას ნაამბობი ანდა სიცრუედ მიეღოთ, მაგრამ ვერც მის უბრალოებასა და ვერც ბრალეულობას ვერაფრი დაადასტურებდა. ეს კარგად ესმოდა მუჰამადსაც. იგი 'აიშასთან მივიდა და უთხრა:

„კარგად იცი, შენზე რასაც ლაპარაკობენ. ღვთის შიში იქონიე. თუ დამნაშავე ხარ, მოინანიე და ალაჰი მიიღებს მონანიებას იმისას, ვინც მას ემონება.“

ქალი დუმდა. როგორც შემდგომ თვითონვე ჰყვებოდა, იმედი ჰქონდა, რომ მის მაგივრად მისი მშობლები ილაპარაკებდნენ, მაგრამ რაკი ისინიც დუმდნენ, ბოლოს და ბოლოს, აკანკალეულმა 'აიშამ დაიძახა: „ვფიცავ ალაჰს, არასოდეს დამჭირდება სინანული იმის გამო, რასაც მეუბნები. ხსნასა და საშველს არსაით ველოდები. თუ ჩემს დანაშაულს ვალიარებ, ალაჰმა ხომ იცის, რომ უბრალო ვარ, ხოლო თუ უარვეყოფ, მაინც არავინ დამიჯერებს. ერთადერთი იმის გაკეთებალა შემძლია, რომ იუსუფის მამასავით დავიძახო: მოთმენა მშვენიერი! მხოლოდ ღმერთია ჩემი მწყალობელი!“

ამ სიტყვებს სამარისებური დუმილი მოჰყვა. მუჰამადი კი წინასწარმეტყველურ ექსტაზში ჩავარდა: იგი შებოჭეს და თავი ხილაბანდით შეუხვიეს. ცოტა ხანს უგონოდ იწვა, გონს მოსულმა კი ტანიდან გადასაფარებელი მოიშორა, წამოჯდა, შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოინმინდა და დაიძახა: „აიშა, გაიხარე! ჭეშმარიტად, ალაჰმა დაადასტურა შენი უმანკობა!“

„მადლობა უფალს!“ — ამის თქმალა მოახერხა იმ წუთას 'აიშამ.

ამის შემდგომ კი მუჰამადმა შეკრიბა ხალხი და ის გამოცხადება ამცნო, ამასთან დაკავ-

შირებით რომ ეწყალობა. ეს ფრაგმენტი შესულია 24-ე სურაში და ბრძანებს, რომ ვინც ბრალს დასდებს გათხოვილ ქალს მრუშობაში და თავის ბრალდების დასამტკიცებლად 4 მონმეს ვერ მოიყვანს, 80 შოლტს მიიღებს.

სხვათა შორის, 'აიშას ორი ცილისმწამებელიც ასე დაისაჯა. ერთი მათგანი სახელგანთქმული პოეტი ჰასსან იბნ საბითი იყო. მას ძალზე კარგად ესმოდა თავისი სარგებელი და ამიტომაც გულში წყენა არ ჩაუდია იმ ქალისა, რომელიც თვითონ გაენაწყენებინა და რომელმაც მალევე მოახერხა თავის ხანმოთეულ ქმარზე უწინდელზე დიდი ზეგავლენა მოეპოვებინა. ამიტომაც ჰასსან იბნ საბითმა იმის ნაცვლად, რომ ქალზე კვლავაც სატირული ლექსები ეწერა, მას სახოტბო სტრიქონები უძღვნა და პატიოსნება, სიკეთე, გამჭრიახობა და (რამაც 'აიშა განსაკუთრებულად აამა) სიფაქიზე და მოხდენილი სხეული შეუქო.

ამ ლექსებისთვის ჰასსანს მობოდიშება აღარასოდეს დასჭირვებია, რადგან სწორედ ეს სტრიქონები დაეხმარა, თავისი ყოფა სამომავლოდ უკეთ მოეწყო.

ამრიგად, საქმე მოთავდა. ამ ამბიდან კი ის — ერთი შეხედვით — უცნაური კანონი შემორჩა, რომლის თანახმადაც, გათხოვილი ქალისათვის მრუშობის ცოდვის დასამტკიცებლად ამის მთქმელს, სულ მცირე ოთხი მონმე ესაჭიროება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ლალატს თვითონ ქალის ქმარი შეესწრება. მაშინ კაცის ხუთჯერად დაფიცებას საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევენ.

'აიშას ამ თავგადასავალს კი მუსლიმური სამყაროსათვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი გადწყვეტილებაც მოჰყვა, კერძოდ: მამაკაცთა და ქალთა შორის იმ „პირობითი ჰარემის“ დაცვა, რაც ქალის მიერ ჰიჯაბის ანუ ჩადრის ტარებით გამოიხატება. მუსლიმური კანონი, რომელიც გამოცხადების შესაბამისი ადგილებითაა მოტივირებული, ქალს საზოგადოებრივ ადგილებში, სახლის გარეთ, ჩაცმულობის საგანგებო წესს ავალდებულებს.

თვითონ მუჰამადის ჰარემის ცხოვრებაში კი გამოცხადებას მერეც არაერთხელ უთამაშია მნიშვნელოვანი როლი. მაგალითად კოპტი მხეველის მარიათას (მარიას) ამბავიც გამოდგება. ეს მხეველი მუჰამადს 629 წელს ალექსანდრიის მმართველმა აჩუქა და მოციქულმა ქალი თავისი ერთ-ერთი მიმდევრის სახლში დააბინავა. ხოლო ერთხელ, როცა ჰაფსას მშობლების მოსანახულებლად გაემართა, მუჰამადმა მარიათა ჰაფსას ბინაში გადაიყვანა. მოულოდნელად ჰაფსა უკან დაბრუნდა. „როგორ?! — იყვირა გაცხარებულმა ქალმა, — ჩემივე სახლში, ჩემივე დღეს და ამის შემდეგ მაინც იწოდები ალაჰის მოციქულად!“

აღელვებული მოციქული დაჰპირდა ცოლს, რომ მარიათას თავს დაანებებდა და ამაზე კიდევ დაიფიცა, სამაგიეროდ კი სთხოვა ჰაფსას, დანარჩენ ცოლებთან, განსაკუთრებით კი 'აიშასთან, ამ ამბავზე კრინტი არ დაეძრა. მაგრამ ჰაფსამ ყველაფერი გაამულაგნა და დასასჯელად მუჰამადს არც მისთვის და არც 'აიშასათვის მთელი თვის მანძილზე აღარ მიუკითხავს. ცოტა ხანში კი ზეგარდმოველინა გამოცხადება (იხ. სურა XVI, 1-5), რომლის თანახმადაც, მოციქულის ჰარემის მომეტებულად ეჭვიან ბინადრებს ქმართან გაყრა ემუქრებოდა.

ამის შემდგომ მუჰამადი თავისუფლად ცხოვრობდა მარიათასთან და ქალს უცხო მამაკაცთა მზერისაგან იჭვენულად იცავდა. ერთი კოპტი, რომელიც მხეველს წყალსა და შემას უზიდავდა, ქალაქში მითქმა-მოთქმის საბაბი შეიქნა. კაცმა 'ალის მიერ გამოტანილ სასიკვდილო სასჯელს თავი მხოლოდ იმით დააღწია, რომ შარვალი სახალხოდ დროულად ჩაიხადა და თავისი საჭურისობა დაამტკიცა.

630 წლის აპრილში მარიათამ მუჰამადს შვილი იბრაჰიმი გაუჩინა. მუჰამადმა ბავშვი სანახავად 'აიშას წაუყვანა და უთხრა: ასე ჯერ არცერთი ბავშვი თავის მამას არ მგვანებიაო. ხოლო 'აიშამ მამა-შვილს შორის მცირედი მსგავსებაც კი ვერ დაინახა.

ამ ამბებიდან ცოტა ხანში მუჰამადს ჰარემის პრობლემებზე გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების გადწყვეტა მოუხდა.

მედინიდან გაძევებული ებრაული გვარების მეთაურებმა მექელთა სიძულვილის გაღვივება და იმ მიდამოებში მომთაბარე ძლიერი ტომების მუჰამადის წინააღმდეგ ამხედრება იმდენად წარმატებულად შეძლეს, რომ 627 წლის დასაწყისში მედინაზე 10 000 კაციანი მხედრობა დაიძრა. ამ 10 000 კაცში მექელი მხოლოდ დაახლოებით 400 მებრძოლი იქნებოდა.

მთელი ლაშქარი კი სამი ქვედანაყოფისაგან შედგებოდა, რომელთაც თავდაპირველად აბუ სუფიანი მეთაურობდა, მაგრამ მერე, როცა შუილი ნამოინყეს, თითოეული ტომის ბელადი თითო დღით რიგ-რიგობით იკავებდა ჯარის მეთაურის ადგილს.

მუჰამადმა მექელთა ამ განზრახვის ამბავი ისეთი დაგვიანებით შეიტყო, რომ თავდაცვის-სათვის დრო ძალიან ცოტა რჩებოდა. მტერთან პირისპირ შეებმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო: უჭუდის ბრძოლის დასასრული ჭკუის სასწავლებელ მაგალითად გამოდგებოდა. ამიტომაც მუსლიმებმა ამჯერად ქალაქში დარჩენა გადაწყვიტეს. თუმცა ერთი სპარსელის — სალმან ალ-ფარისის — რჩევით, რომელიც არაბეთში სამხედრო ტყვედ მოხვედრილიყო და იცოდა, თავის მშობლიურ თუ სხვა ქვეყნებში რა მეთოდებსაც იყენებდნენ ქალაქთა და სამხედრო ბანაკთა დასაცავად, მუჰამადმა ბრძანა, ღრმა თხრილი შემოეგლოთ მედინის იმ მხარეს, სადაც სახლები ერთმანეთის გვერდით ისე მჭიდროდ არ იყო ნაშენები, რომ ქალაქს მაღალი კედელივით მოფარებოდნენ.

საქმე ექვს დღეში დაასრულეს და მედინაზე მოსული 3000 კაციანი ლაშქარი ღრმა სანგართა მიღმა აღმოჩნდა. ამიტომაც მუსლიმურ წყაროებში ეს შეტაკება „სანგართა ბრძოლად“ ან „თხრილის მიღმა ბრძოლად“ იწოდება. მონინაალმდევე ამ ახალმა, არაბეთისათვის მანამდე სრულიად უცხო და უჩვეულო ტაქტიკამ, ძალზე გააკვირვა. მალე კი იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ასეთი თხრილით გამაგრებულ ქალაქთან ვერას გააწყობდნენ. თუმცა ქალაქში შეგზავნილ მსტოვართა მეოხებით ის მაინც მოახერხეს, რომ გადაებრებინათ ბანუ კურაიზას ებრაული ტომი, რომელიც მანამდე მუჰამადის მოკავშირედ ითვლებოდა. მაგრამ მუჰამადი უფრო დიდი განსაცდელისათვის ემზადებოდა, ამიტომაც უნინდელ მოკავშირეთა გამობდომები მასზე ოდნავადაც აღარ მოქმედებდა. ამ ნარუმატებლობით ისედაც შენუხებული მონინაალმდევე კი კიდევ უფრო დიდ სასონარკვეთას მიეცა, როცა მუჰამადმა ძალზე ფრთხილად და მარჯვედ, მტრის ლაშქარში შეგზავნილი თავისი ხალხის მეოხებით, შეძლო მათთვის თავიანთ ახალ მოკავშირეთა ანუ ბანუ კურაიზას ტომის მიმართ ეჭვი ჩაენერგა. ხოლო, როცა ერთხელ საშინელი ქარიშხალი ატყდა და ქარმა და წვიმამ მტრის ბანაკის წინ დანთებული ყველა კოცონი ერთბაშად ჩააქრო, აბუ სუფიანმა დაიძახა: აჰყარეთ ბანაკი. ყოველ შემთხვევაში, მე უკან ვბრუნდებიო! — და საჩქაროდ მექისაკენ გაეშურა. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ და დილით უკვე მტრის კვალიც კი აღარსად ჩანდა.

მუჰამადი მიხვდა, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და მტერს სასჯელი მოუვლინა. მტრის დადევნება არც კი უფიქრია, რადგან ამით მონინაალმდევეს სწორედ იმ შემთხვევას მისცემდა, რაზედაც მათ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ: შეებოდნენ მედინელებს ღია ველზე.

მაგრამ იყო ხალხი, ვინც დაუყოვნებლივ უნდა დასჯილიყო. შინ დაბრუნებულთ ჯერ ტანსაცმლიდან მტვერიც კი არ ჩამოეფერთხათ, რომ მუჰამადმა მედინელები ბანუ კურაიზას ტომზე გასალაშქრებლად გამოიყვანა. იერიში მიიტანეს მათ ციხე-სიმაგრეზე, რომელიც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორ-სამ კილომეტრში მდებარეობდა. რაკილა კურაიზელნი ამ ამბავს მოუმზადებულნი შეხვდნენ და ალყის გასაძლებად არანაირი მარაგი არ გააჩნდათ, რამდენიმე დღეში კიდევაც დანებდნენ. ოლონდ დანებდნენ იმ პირობით, რომ მათ ბედს მედინაში მცხოვრები ავსის ტომელები — მათი ოდინდელი მოკავშირენი — გადაწყვეტდნენ. ავსელები კი დაბეჯითებით მოითხოვდნენ ბანუ კურაიზას ტომის შეწყალებას.

მაშინ მუჰამადმა ჰკითხა მათ, თანახმანი იყვნენ თუ არა მსჯავრი მათი ტომის ერთ კაცს გამოეტანა და, როგორც უნდა ყოფილიყო, ამ მსჯავრს ყველა დამორჩილებოდა. ავსელებმა ყაბული განაცხადეს, მუჰამადმა კი მსაჯულობა სა'დ იბნ მუ'აზს დაავალა.

სა'დ იბნ მუ'აზი, ავსელების ერთ-ერთი ბელადი, ამ დროს მედინაში, შინ იწვა და მკურნალობდნენ, რადგან სანგარს მიღმიდან გამოსროლილ ისარს სახიფათოდ დაეჭრა. ჭრილობა უკვე უხორცდებოდა, მაგრამ ძველი მოკავშირეების — კურაიზელების მიმართ ბოღმა კვლავაც არ განელებოდა. მუჰამადმა, როგორც ჩანს, იცოდა ეს ამბავი და მოსამართლედ სა'დ იბნ მუ'აზი სწორედ ამიტომაც აერჩია. სა'დი ბანაკში მოიყვანეს. ახლო მეგობრები ევედებოდნენ, ტყვეთა მიმართ მონყალეა გამოეჩინა, მაგრამ იგი არავის არაფერს

პასუხობდა. როცა იბნ მუ'აზი წინასწარმეტყველთან მიიყვანეს, მუჰამადმა უბრძანა: მამ, გვამცნე შენი გადაწყვეტილებაო. სა'დ იბნ მუ'აზი კი თანატომელთ მიუბრუნდა და ჰკითხა: ჯერ თუ დაიფიცებთ ღვთის წინაშე, რომ, რაც უნდა იყოს, ჩემს მსჯავრს მაინც გაიზიარებთო, ხოლო როცა თანატომელებმა ფიცით უპასუხეს, მაშინ სა'დ იბნ მუ'აზმა თქვა: „აი, ჩემი მსჯავრიც: მამაკაცებს თავები მოჰკვეთეთ, ქალები და ბავშვები მონებად აქციეთ, ნადავლი კი მეზრდოლებმა დაინანილონ!“

ამის გაგონებაზე მუჰამადმა წამოიძახა: „ჭემმარიტად, შენ თვით უზენაესის მსჯავრი განაცხადე. დე, აღსრულდეს, რასაცა ბრძანებო!“

ტყვეები მედინაში წამოასხეს, ქალაქის მთავარ ბაზარში ორმოები ამოთხარეს, მერე მოლაღატენი გუნდ-გუნდ მოიყვანეს, თავები დააყრევინეს და გვამები ორმოებში გადაუძახეს. ქალები და ბავშვები ნაჯდში მომთაბარე ბედუინებს იარაღსა და აქლემებში გადაუცვალეს, მათგან ყველაზე ლამაზი, მზეთუნახავი რაიჰანა კი მუჰამადმა ცოლად მოიყვანა.

ამგვარად, მედინის შემოგარენში მოზინადრე ეს უკანასკნელი მტერიც განადგურდა, ვინც მუჰამადისათვის აშკარა წინააღმდეგობის განევა მოინდომა.

ხალხის თვალში წინასწარმეტყველის მნიშვნელობა და შიში მის მიმართ ერთი-ორად გაიზარდა. სხვადასხვა მეზობელი ტომებიც უფრო შიშითა და ალაფში წილის დადების სურვილით მორჩილდებოდნენ, ვიდრე გულწრფელი რწმენითა და სასოებით.

ამასობაში ჰიჯრიდან უკვე ექვსი წელი გასულიყო (622-628), მთელი ამ ხნის მანძილზე კი მუჰამადსა და მის მიმდევრებს მექის წმინდათაწმინდა ტაძრის მონახულებისა და იქ მომლოცველობის აღსრულების საშუალება არ მიეცათ. მაგრამ ამის გაკეთება ბოლოს და ბოლოს აუცილებელი იყო, რადგან მუჰამადი არამარტო უწინ იღებდა ამ წმინდა რიტუალში მონაწილეობას, არამედ ჰაჯჯის მომლოცველობას, უკვე ყურანითაც აღიარებულსა და დადასტურებულს, გაასკეცებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამდენად, თუკი სურდა, თავისი მიმდევრების მხრიდან ერთ-ერთი რელიგიური ვალდებულებისადმი უგულისყურობის გამო საყვედური და მუნათი თავიდან აეცდინა, ყოველმხრივ უნდა ცდილიყო, წმინდა ალაგთა მომლოცველობა აღესრულებინა.

ჰქონდა ხილვაც. დაესიზმრა, რომ მიმდევრებთან ერთად მექაში მშვიდობიანად შევიდა და ქააბის გარსშემოვლისა თუ სხვა აუცილებელი რიტუალები აღასრულა. მუჰამადმა სიზმარი ახლობლებს მოუყვა და ყველა მათგანმა ინატრა, ნეტავ ნანახი აგინდებოდეთო.

გადაწყდა აღსრულებულიყო მცირე ჰაჯჯი ანუ 'უმრა, რომელიც ზუ ლ-კა'ადას თვეში უწევს და არა — დიდი ჰაჯჯი ზუ ლ-ჰიჯჯას თვეში, რადგანაც მცირე ჰაჯჯისას უფრო ნაკლები საფრთხე იყო იმისა, რომ მექაში მომლოცველობაზე წამოსულ მტრულ არაბულ ტომებს გადაჰყროდნენ, ხოლო რაკი ბრძოლა ზუ ლ-კა'ადას თვეშიც იკრძალებოდა, სავარაუდოდ, მექელ მოწინააღმდეგეთაც ქალაქში შესასვლელად მათთვის დაბრკოლება არ უნდა შეექმნათ.

მუჰამადმა ეს გადაწყვეტილება მედინელებსა და მეზობლად მცხოვრებ თავის მორჩილ ტომებს შეატყობინა. ამ უკანასკნელთა უმრავლესობა მოციქულის განზრახვას სავსებით გულგრილად მოეკიდა და ბედუინებმა განაცხადეს: ახლა ისე მოუცლელნი ვართ, ჰაჯჯისათვის დრო სულაც არა გავგაჩნიაო!

ამიტომაც 628 წლის თებერვალში მექისაკენ მუჰამადს თან მხოლოდ ათას ხუთასამდე კაცი — ძირითადად, მედინელები და ასლამის ტომელები — მიჰყვებოდა.

მათ თან იარაღი არ წაუღიათ, იმის გარდა, რისი ტარების უფლებაც პილიგრიმს ჰქონდა ანუ ქარქაშში ჩაგებული თითო მახვილისა.

მუჰამადისა და მისი მომხრეების მექაში ჩამოსვლის ამბავმა ქალაქში დიდი განგაში გამოიწვია. მექელებს მოციქულის მშვიდობიანი ზრახვებისა არ სჯეროდათ, ამიტომაც გადაწყვიტეს, სასწრაფოდ ეხმობთ თავიანთი მოკავშირეებისათვის და მუჰამადისათვის გზა გადაეკეტათ. ამგვარად, მოციქულს წინ მოულოდნელად მექელთა ლაშქარი დაუხვდა და, რაკილა გზას მახვილითა და ძალით ვერ გაიკაფავდა, მეორე, ჰუდაიბიაზე გამავალი, გზით შემოვლა გადაწყვიტა.



ჰუდაიბია მექასთან ახლომდებარე ერთი პატარა დასახლება იყო. სწორედ აქ შედგა მუჰამადისა და მექელების მოლაპარაკება, რომელიც ასეთი შეთანხმებით გასრულდა:

გამოცხადდა 10-წლიანი ზავი. ყველას, ვისაც მუჰამადის მიმხრობის სურვილი ექნებოდა, შეეძლო დაუბრკოლებლად გადასულიყო მის მხარეზე, ასევე მუჰამადის ყველა მიმდევარს უფლება ჰქონდა, სურვილის შემთხვევაში, მექელების მხარე დაეჭირა. ოღონდ უუფლებო პირები, რომლებიც მათი მბრძანებლებისა და პატრონების უკითხავად თავშესაფარს მუჰამადთან მოიძიებდნენ, მოციქულს დაუყოვნებლივ უკან უნდა დაებრუნებინა. იმ წელს მუჰამადი და მისი მიმდევრები მექაში ვერ შევიდოდნენ; ამის გაკეთება გაისად შეეძლოთ, ოღონდ იმ პირობით, რომ ქალაქში მხოლოდ სამ დღეს დარჩებოდნენ და თან ქარქაშში ჩაგებულნი თითო მახვილის გარდა იარაღი არ ექნებოდათ.

თავის მხრივ მუჰამადი სირიაში მიმავალი და სირიიდან უკან, მექისაკენ, მომავალი ქარავნების მედინაზე დაუბრკოლებლად გატარებას კისრულობდა.

იმ ხალხს, ვისაც მექაში პილიგრიმობის აღსრულება სწადადა, ხოლო ახლა ჰუდაიბიაში მსხვერპლშენირვას უნდა დასჯერებოდა, ამ შეთანხმებამ დიდი გულისწყვეტა მოუტანა. მოციქულის თანამგზავრებმა ეს ამბავი უკიდურეს სირცხვილად აღიქვეს. მითუმეტეს, ჰუდაიბიაში დადებული შეთანხმების წერილობით გუჯარში მუჰამადი „ალაჰის მოციქულს“ ტიტულით კი არა, ჩვეულებრივ, როგორც მექელები მიმართავდნენ ისე, ანუ მუჰამად 'აბდ ალ-ლაჰის ძედ იხსენიებოდა. ხოლო ღვთისათვის ეპითეტ არ-რამჰანის დამატება მექელთათვის მიუღებელი აღმოჩნდა (ეს სიტყვა ნიშნავს „მონყალეს“ და მუჰამადს, წარმართობასთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტის მიზნით, ერთხანს სურდა, სახელი ალ-ლაჰი, რომელსაც შესაძლოა მორწმუნეთათვის წარმართულ კერპთან დაკავშირებული მოგონებანი აეშალა, ამ ეპითეტით ჩაენაცვლებინა).

ამან მუსლიმები გააცხარა და დაუმორჩილებლობა განიზრახეს. ხოლო 'უმარმა თავს მოციქულის წინააღმდეგ გამოხდომის უფლება ჯერ კიდევ მანამ მისცა, სანამ 'ალი ჰუდაიბიას შეთანხმების ტექსტის ჩაწერას შეუდგებოდა.

იბნ ისჰაკის ცნობით, იმ წუთას მუსლიმები მზად იყვნენ, თვით წინასწარმეტყველსაც კი განდგომოდნენ, მაგრამ მუჰამადი თავს მოერიდა და უკმაყოფილება არავის აგრძნობინა. შორსმჭვრეტელი მუჰამადი ჰუდაიბიასთან დადებულ ამ მოულოდნელ და დიდებულ შეთანხმებას მხოლოდ წარმატებად კი არა, გამარჯვებად აფასებდა (შდრ: ყურანი, სურა 48, რომელსაც ასევე — „გამარჯვება“ — ეწოდება).

რეალურად ეს მართლაც დიდი წარმატება იყო. ჰუდაიბიას შეთანხმებით (628 წ.) მოციქული დამოუკიდებელ მმართველად გამოცხადდა. ათწლიანი ზავი კი მას საშუალებას მისცემდა, ახალი მოძღვრება თვით მექაშიც კი გაეგრძელებინა და, თანაც, ახალ-ახალი მიწების დამორჩილება და შემომტკიცებაც გაეგრძელებინა. ამიტომაც მუჰამადი ჰუდაიბიას შეთანხმებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგანაც მისი მეოხებით შეეძლო მექის შიში აღარ ჰქონოდა და მზერა სხვა ადგილთაკენ მიემართა. ამის შემდეგ კი საქმე იმ ბედუინთა დამორჩილებით დაიწყო, რომელთაც ჰაჯჯის რიტუალში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და ეს ამ ბედუინთათვის ყველაზე მგრძნობიარე და შედეგიანი ხერხით მოიმოქმედა: მათ აუკრძალა ისეთ ლაშქრობებში მონაწილეობა, სადაც შედარებით იოლი ალაფის შოვნის საშუალება არსებობდა და აუკრძალა ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ისინი რომელიმე დიდ და სახიფათო ლაშქრობაში — ვთქვათ, სირიაში ან სხვა მსგავს ადგილას — გაემგზავრებოდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროს (628 წელს) თავისი ქვეყნის გარეთ თითქმის უცნობმა წინასწარმეტყველმა ერთი შეხედვით უცნაური რამ ჩაიდინა: მან მეზობელი დიდი სახელმწიფოების მეთაურებს — რომის ანუ ბიზანტიის იმპერატორს, სპარსეთის შაჰს, აბისინიის მეფეს, იამამის ხელმწიფესა და ეგვიპტისა და სირიის გამგებლებს ეპისტოლეები დაუგზავნა, სადაც მათგან დამორჩილება და ისლამის აღიარება მოითხოვა. ცნობილია, რომ იმპერატორმა ჰერაკლემ წერილი იერუსალიმში მიმავალმა მიიღო. მისი საიმპერატორო უდიდებულესობა ამ ამბამდე ძალზე შეწუხებული იყო: სპარსელებმა მას სირია წაართვეს და თვით კონსტანტინეპოლსაც ამავე საფრთხით ემუქრებოდნენ, მაგრამ მუჰამადის ჰიჯრის

დროისათვის ბედისწერა მის მხარეს შემობრუნდა: ჰერაკლემ დაიბრუნა მცირე აზია, სამხედრო მოქმედებათა თეატრონი თვით სპარსეთის შუაგულში გადაიტანა, 627 წელს ნინევისასთან მოპოვებული გამარჯვებით სპარსეთის ძლიერებას საბედისწერო დარტყმა მიაყენა და მონინალმდეგეს ცხოველმყოფელი ჯვარი ხელიდან გამოჰგლიჯა. ახლა იმპერატორს ენება, ეს ცხოველმყოფელი ჯვარი იერუსალიმში, რაც შეიძლება დიდი პატივითა და თავყვანით, მაცხოვრის საფლავზე აებრძანებინა და ამავე მიზნით ფეხით მიემართებოდა წმინდა ქალაქისაკენ, როცა მუჰამადის ეპისტოლე აახლეს. თავისთავად ცხადია, ჰერაკლეს წერილი ოდნავი ყურადღების ღირსადაც არ მიუჩნევია, ირანის შაჰმა კი ეპისტოლე ნაკუნებად აქცია. სამაგიეროდ, მისმა ნაცვალმა იემენში, რომელსაც სპარსეთის სამეფოს უძღურება შესანიშნავად მოეხსენებოდა და ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე მეტროპოლიის წინააღმდეგ თვითონაც ამბოხებულიყო, სცნო მუჰამადის უზენაესობა.

ეგვიპტის რომაელმა გამგებელმა მუჰამადის მიმართ მეგობრული კეთილგანწყობა გამოიჩინა და და წინასწარმეტყველს საჩუქრები გაუგზავნა, რომელთა შორისაც იყო ულამაზესი, მწყაზარსახიანი, ქერა ხუჭუჭთმიანი მხევალი მარიამ (მარიათა), ვინც შემდგომ მუჰამადის ჰარემში ამტყდარი არაერთი უსიამოვნების საბაბი შეიქნა.

რაც შეეხება აბისინიის ქრისტიან ხელმწიფეს (მუსლიმური წყაროებით: ნაჯჯამ ან ნაკუს), ვისაც მანამდე განუზომელი სამსახური გაენია მუჰამადისა და მისი მომხრეებისათვის, როცა თავისი სამეფოს კარი მექიდან ლტოლვილ მუსლიმთა პირველ ნაკადს დიდსულოვნად გაუღო, დაზუსტებით არ ვიცით, მუჰამადის ეს წერილი და მოთხოვნა როგორ მიიღო.

იამამის ქრისტიანმა მეფეუკამაც ელჩებს დიდი ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ — მუჰამადის მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში — სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება მოითხოვა, რაც მუჰამადმა ხელაღებით უარყო.

იმავე 628 წელს მუსლიმები მოულოდნელად დაესხნენ თავს ხეიბარში მცხოვრებ მდიდარებრელებს, რომლებიც ნაყოფიერ მიწათა და წელმაგარ ოჯახთა პატრონები იყვნენ და რამდენიმე სოფელში სახლობდნენ. ისინი იძულებულნი გახდნენ მუსლიმებს დამორჩილებოდნენ, რითაც მუჰამადის მომხრეებს ხელში უამრავი ალაფი ჩაუვარდათ, მაგრამ ვინც ჰუდაიბაში არ წასულა, ნადავლის გაყოფაში მონაწილეობის უფლება აღარ მისცეს. განაწილებისას კი დადგინდა, რომ ნადავლის 1/5 მოციქულს ეკუთვნოდა (შემდგომში ეს უფლება ხალიფასა და მუსლიმური თემის მმართველზე გადავიდა).

მომდევნო წლის თებერვლის (ზულ-კა'ადას) თვეში მუჰამადმა 2000 კაცის თანხლებით მექაში ჰაჯჯის რიტუალი აღასრულა. ყველაფერმა ბრწყინვალედ ჩაიარა. მექელები ახლომახლო გორაკებზე განლაგდნენ და პილიგრიმთათვის ხელი სრულებითაც არ შეუშლიათ. მაგრამ როცა მუჰამადმა იქ დადგენილ სამ დღეზე რამდენიმე დღით მეტხანს დარჩენა მოინდომა, მექელებმა აგრძობინეს, ამას უკვე აღარ მოგიტმენტო, და მუჰამადი თავისი მხლებლებითურთ იქაურობას გაეცალა.

ამ მცირე ხანში მუსლიმებმა მექაში რამდენიმე კაცის მიმხრობა მაინც მოახერხეს, მათ შორის, ისლამი ხალიდმა, იმ მამაცმა სამხედრო მეთაურმაც აღიარა, რომელმაც უჰუდის ბრძოლაში მექელებს შთამბეჭდავი გამარჯვება მოუტანა, მაგრამ გამუსლიმების შემდგომ „ალაჰის მახვილის“ ზედწოდება დაიმსახურა. ამ დროსვე გამაჰმადიანდა 'ამრი, რომელმაც შემდგომ ეგვიპტე დაიპყრო.

ეს ჰაჯჯი პირადად მუჰამადისათვის კიდევ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ზიჰამისმა 'აბბასმა, რომელსაც ისლამი არ უღიარებია, მაგრამ თავისი ძმისშვილის სასიკეთოდ ირჯებოდა, მოციქულს გავლენიან მექელ ქვრივთან — მაიმუნასთან — უმაჰანკლა და ცოლადაც გაატანა.

ამრიგად, მუჰამადის მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და იმედი, რომ იგი მალე მექის გამგებელიც შეიქნებოდა, სულ უფრო და უფრო მყარდებოდა.

თუმცაღა მუჰამადმა სწორედ ამ დროს, 629 წლის სექტემბერში, სირიის წინააღმდეგ ლაშქრობაში მარცხიც განიცადა. მისი ბრძანებით, იქ 3000-კაციანი ლაშქარი გაემართა, რომელიც სირიის საზღვართან რომის არმიის ნაწილებს შეეფეთა. ეს ნაწილები თავისთავად

გაცილებით ძლიერი იყო მუსლიმთა მხედრობაზე და, ამას გარდა, საზღვართან მობინადრე უდაბნოელ არაბთა ნახევრადქრისტიანი და ვასალური ტომების მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

მაგრამ მუსლიმთა ლაშქარი, უკან გაბრუნების ნაცვლად, რასაც იმ ვითარებაში სხვებზე გონიერი და გამჭრიახი ადამიანები ამჯობინებდნენ, მტერს გაშმაგებული ეკვეთა და ამ სიშმაგის შედეგი კიდევაც იწვინია, როცა მკვდარი ზღვის ნაპირთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა.

თუმცა ამ მხარეში მუჰამადის პატივისცემა მალევე აღდგა. საზღვართან მობინადრე ტომთა უმრავლესობა მუსლიმთა მეორე მხედრობას შეუერთდა. ამჯერად მოწინააღმდეგე ბრძოლა მათ უკვე ველარ გაუბედა და უკან დაიხია.

ჰუდაიბიასთან დადებული ზავი კი მთელი ორი წლის მანძილზე მოქმედებდა, ვიდრე რალაც უმნიშვნელო საბაბით ეს მყიფე მშვიდობა ერთბაშად დაინგროდა.

მოხდა ისე, რომ ერთ ღამეს ბედუინთა პატარა ტომს — ბანუ ხუზაიელებს — რომელიც მექის გარეუბანში ბინადრობდა და მუჰამადის მფარველობის ქვეშ მყოფად ითვლებოდა, მოულოდნელად თავს მეორე ასეთივე პატარა, ოლონდ მექელთა კავშირში შემავალი, ბეჭრედების ტომი დაესხა. ამ შეტაკებისას რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

ეს შეთანხმების აშკარა დარღვევა იყო, მითუმეტეს, თავდამსხმელთა შორის რამდენიმე მექელიც ერია, რომელიც საგულდაგულოდ ცდილობდა დამალულიყო მაგრამ ისინი მაინც იცნეს და გამოააშკარავეს. დაჩაგრული ტომი მშველელს მოუხმობდა და მუჰამადიც მათ საშველად დიდი სიამოვნებით წამოვიდა.

მექელებმა მედინაში მოსაბოდიშებლად და მშვიდობის აღსადგენად აბუ სუფიანი გააგზავნეს, მაგრამ იგი უკან ხელმოცარული დაუბრუნდათ. მექელები მიხვდნენ, რომ თავი უსიამოვნო ვითარებაში ამოჰყვეს, მაგრამ საფრთხე რეალური არ ეჩვენებოდათ. აქ კი ნამდვილად შეცდნენ. მუჰამადმა მშობლიურ ქალაქზე გასალაშქრებლად დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი, მაგრამ ეს განზრახვა უახლოეს ადამიანთაც კი არ გაუმულავნა. არც თავის უერთგულეს მეგობარს აბუ ბაქრსა და არც უსაყვარლეს ცოლს 'აიშას არ გაუმხილა, სალაშქროდ წასვლას საით აპირებდა, საზოგადო ყურადღება კი იმით მოადუნა, რომ ერთი მცირერიცხოვანი რაზმი მექის საპირისპირო მხარეს გააგზავნა. იმავდროულად ყველა მოკავშირე ბედუინს დაუგზავნა ბრძანება, რომ მედინაში მოეყარათ თავი ანდა მექისაკენ მიმავალ გზაზე, რამდენიმე მითითებულ ადგილას მოეცადათ მისთვის.

და აი, მხოლოდ უკანასკნელ წამს აცნობა საკუთარი განზრახვის შესახებ თავის უერთგულეს ადამიანებს მედინაში, რომლებიც მკაცრად გააფრთხილა, რომ ამაზე სიტყვა არავისთან არ უნდა დასცდნოდან. თვითონ კი დრო უქმად აღარ დაუკარგავს და გზას დაადგა (დოზი წერს, რომ 630 წლის 1 იანვარს, ხოლო კრიმსკი შენიშნავს: ალბათ, ჯერ კიდევ 629 წლის დეკემბერში).

გზადაგზა მას ერთმანეთის მიყოლებით უერთდებოდნენ ბედუინები და მალე მუჰამადის მხედრობამ 8-10 ათასი კაცი მიითვალა. ლაშქარი ისე სწრაფად მიდიოდა, რომ 6 თუ 7 დღეში მექიდან ერთი დღის სავალზე უგრძეს მწკრივად განლაგდა და გაიშალა.

იმ დროს, როცა მუჰამადის მხედრობა ჯერ კიდევ გზად იყო, მასთან ბიძამისი 'აბბასი მივიდა და, ბოლო წუთს, როცა მოციქულის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის აღარავის ეპარებოდა, ისლამიც აღიარა. ამის შემდეგ 'აბბასი გახდა მუჰამადისა და აბუ სუფიანის — მექელთა უმაღლესი მეთაურის — შუამავალი.

ისლამის ევროპელი მკვლევრები ვარაუდობენ, რომ, მუჰამადის დავალებით, 'აბბასმა საქმე წინდანინვე მოაგვარა და აბუ სუფიანს საიდუმლოდ გაურიგდა, შემდგომში როგორ უნდა ემოქმედათ. მაგრამ ეს ყველაფერი ისე მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოხდა, რომ გადმოცემას ამის შესახებ არაფერი შეუტყვია.

ხოლო ის, რასაც გადმოცემა გვამცნობს, დოზის აზრით, იმდენად უცნაურია, რომ აშკარად რალაც იდუმალსა და არაამქვეყნიურს შეიცავს, კერძოდ, ნათქვამია, რომ მუჰამადმა უბრძანა თავის მხედრებს — თითოეულ მათგანს ბანაკის ახლომახლო მდებარე ბორცვებზე თითო-

თითო კოცონი დაენტო. მალე ათი ათასი კოცონი აბრიალდა, და მოციქული იმედოვნებდა, რომ ეს მოულოდნელი ცნობა მისი მოსვლისა მექელებს ყოველგვარი წინააღმდეგობის უშედეგობაში დაარწმუნებდა.

გადმოცემა ამბობს, რომ მექელებს მუჰამადის ლაშქრობაზე მანამდე არანაირი სანდო ცნობა არ მოეპოვებოდათ, თუმცა წარჩინებულ მოქალაქეებს ირგვლივ ჩამონოლილი მღუ-მარებაცა და მოახლოებული საფრთხის ბუნდოვანი შეგრძნებაც თანაბრად აღელვებდათ.

ამიტომაც მათ აბუ სუფიანი არე-მიდამოს დასაზვერად გააგზავნეს.

სალამოს ორი კაცის თანხლებით, რომელთაგან ერთი მოციქულის მტერი არ ყოფილა, ხოლო მეორე, საერთოდ, მის მოკავშირეებს ეკუთვნოდა, აბუ სუფიანი მედინისაკენ მიმავალ გზას დაადგა. რაც უფრო ბინდებოდა, კოცონთა შუქი უფრო მკვეთრდებოდა. ორი თანამგზავრი ერთმანეთში ამაზე ბაასობდა, რომ უეცრად აბუ სუფიანს ვილაცის ხმა შემოესმა: „ეს შენა ხარ, აბუ სუფიანი?!“ „ღიას, მე ვარ, — უპასუხა მან, — რა ამბავია?!“

უცნობმა მიუგო: „აი, იქ მუჰამადი თავის 10 000 მომხრესთან ერთად დაბანაკდა. ხომ ხედავ ათასობით კოცონს, მათ რომ აბრიალეს! ყური მიგდე: შემოგვიერთდი, თორემ დედაშენი და მთელი შენი სახლელი მალე დაგიტირებს!“

ამ სიტყვებს 'აბბასი ამბობდა. გადმოცემის თანახმად, იგი მოციქულის თეთრ ჯვორზე იჯდა და მექისაკენ მიეშურებოდა. სურდა, ვინმე მექელს შეხვედროდა, რომელსაც თანაქალაქელებთან წარაგზავნიდა და დაანმუნებდა, რომ ქალაქის გადარჩენა მხოლოდ მუჰამადისათვის მშვიდობისა და დანდობის თხოვნით მოუხერხდებოდათ.

— მოდი, ჯვორზე უკან შემომიჯექი, მოციქულთან მიგიყვან და შენდობა სთხოვეო, — უთხრა აბუ სუფიანს 'აბბასმა. აბუ სუფიანი მის ნებას დაჰყვა და მალე მუჰამადის კარავთანაც მივიდნენ. 'აბბასი მუჰამადთან შევიდა და სტუმრის ვინაობა ამცნო.

— ახლა წაიყვანე, შენს კარავში მოასვენე და დილით მაახლეო, — უბრძანა მუჰამადმა.

მეორე დილით, როცა ისინი მოციქულთან შევიდნენ, მუჰამადმა დაუძახა:

— აბა, როგორაა საქმე, აბუ სუფიანი, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა!

— ზნესრულო მბრძანებლო, სხვა ღმერთი რომ ყოფილიყო, ხომ შემენოდა?!

— ახლა აღიარებ, რომ მე ვარ ალაჰის მოციქული?

— მაპატიე, ზნესრულო მბრძანებლო, მაგრამ ამაში ჯერაც ეჭვი მეპარება.

— ვაი შენდა, რა დროს ეჭვებია?! — წამოიძახა თურმე ამ დროს 'აბბასმა, — საჩქაროდ წარმოთქვი სჯულის აღიარების სიტყვები, დაჟინებით გთხოვ, თორემ იცოდე, თავი მხრებზე აღარ შეგრჩება!

აბუ სუფიანმა მისი ნათქვამი კარგად გაიგო. და დიდებული სიტყვებიც წარმოთქვა: „ვამონმებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და ვამონმებ, რომ მუჰამადია ალაჰის მოციქული.“

ამგვარად, ის, ვინც ერთ დროს შეუპოვარი წარმართი იყო, ახლა ისლამის ნათელზე მოექცა. მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავის მუსლიმობა მალევე დაივიწყა.

მუჰამადი კი მიუბრუნდა აბუ სუფიანს და უთხრა:

— ახლა საჩქაროდ მექაში დაბრუნდი და იცოდე: ვინც თავს შენს სახლში შეაფარებს, არაფერს დავუშავებთ. ესეც კარგად დაიხსომე: დაელაპარაკე ხალხს და ყველას გადაეცი, ნურაფრის შეეშინდებათ, თუ დაკეტილ სახლში ანდა ალ-ქა'აბას ტაძარში დაგვხვდებიან.

აბუ სუფიანი უკვე უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ მუჰამადის ლაშქარს იარაღის ასხმა და სალაშქრო მწყობრში ჩადგომა უბრძანეს. 'აბბასის გვერდით მდგარი აბუ სუფიანი გაცილებით შეჰყურებდა, სხვადასხვა მომთაბარე ტომი როგორ მოდიოდა შეუშლელ მწკრივებად და რა მტკიცედ ეჭირათ საბრძოლო აღმები. მუჰამადს სხვა რიგ აუცილებელ დადგენილებებთან ერთად ბედუნიურ გარემოში დისციპლინისა და ორგანიზებულიობის დამკვიდრებაც მოესწრო, რაც, სხვათა შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც გამოვლინდა. აბუ სუფიანს, რომელიც არაბთა თვითნებურ, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას იყო შეჩვეული, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გააკვირვებდა, ამიტომაც გადაულაპარაკა 'აბბასს: შენი ძმისშვილი, მგონი,

მართლაც, ყოვლისშემძლე მბრძანებელიაო.

— მბრძანებელი! დაგავინყდა, რომ იგი უფრო მეტია. ის ხომ მოციქულია ალაჰისა!  
— ჰო, მართლა, — ჩაიდუდუნა აბუ სუფიანმა, — უკვე დროა, შინის გზას დავადგე!

ამის თქმაზე გულმაგინყი, დაბნეული და გამოუსწორებელი არისტოკრატი მექაში დაბრუნდა. როგორც კი მშობლიურ ქალაქს მიაღწია, რაც შეეძლო, ხმამაღლა დაიძახა: „კურაიშელნო, კვალდაკვალ მუჰამადი მომდევს, მას კი თან ახლავს ლაშქარი, რომელთან გამკლავების ძალ-ღონეც თქვენ არა გაქვთ! მაგრამ ყოველი, ვინც თავს ან ჩემთან, ანდა ალ-ქა'აბას ტაძარს შეაფარებს, უვნებლად გადარჩება!“

თითქმის ყველამ იმ ადგილებში მოიყარა თავი, სადაც აბუ სუფიანმა მიუთითათ.

დოზის აღნიშნავს: „ხალხის თვალწინ საქმე ძალზე სახიფათო კალაპოტით წარიმართა. თუმცა არსებობს საფუძვლიანი მტკიცებულება ვიფიქროთ, რომ ღამით აბუ სუფიანი და 'აბ-ბასი ერთმანეთს შემთხვევით არ შეხვედრიან და ამაზე წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი. ხოლო თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აბუ სუფიანი ნამდვილად პატივისცემის ღირსია. რა თქმა უნდა, არც მასა და არც მომავალში დამასკის განგებელ მის შთამომავლებს არ შეეძლოთ გულწრფელი მორწმუნეობა დაეჩემებინათ, და მართლმორწმუნე მუსლიმები ტყუილად არ ამბობდნენ, რომ აბუ სუფიანის შეუპოვარი სული შეუვალი აღმოჩნდა სარწმუნოების ჭეშმარიტებისათვის, მაგრამ ეს იყო პროგრესული, გამჭრიახი და პატიოსანი ადამიანი, რომლის მთელი სიცოცხლეც ამის შესანიშნავ დასტურად გამოდგება. ამიტომაც კარგად ესმოდა, რომ ამ უთანასწორო ბრძოლის გაგრძელება მექას განადგურების პირას მიიყვანდა: მედინელები ხომ მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, როგორ ამოეყარათ ძველისძველი ჯავრი ისტორიულ მეტოქეთა შთამომავლებზე. შესაძლოა, როგორც უკვე აღინიშნა, ვივარაუდოთ ისიც, რომ აბუ სუფიანი წინასწარმეტყველს ჯერ კიდევ მაშინ გაურიგდა, როცა მედინაში საქმის მოსაგვარებლად გააგზავნეს და მომავლის სამოქმედო გეგმაც სწორედ მაშინ მოიფიქრეს დეტალურად. თუმცა ასეთი ვარაუდის გარეშეც ცხადია ერთი რამ: ბოლო წუთს აბუ სუფიანმა ჩაიდინა ღალატი და ეს მშობლიური ქალაქის სიყვარულით გააკეთა, რადგან სწორედ მისი ღალატის მეოხებით გადაურჩა მექა უდიდეს სისხლისღვრას. ხოლო აბუ სუფიანის დარად საერთო პატივისცემით გარემოსილი ადამიანის გარდა არავის შეეძლო ეთამაშა ის როლი, რაც ამ დროს ამ ძველმა არისტოკრატმა ითამაშა. მექაში ხომ ჯერაც მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც მუჰამადთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზეც კი უკან არაფრით დაიხევდნენ.“

როცა მუსლიმთა მხედრობა მექას მიუახლოვდა, მუჰამადმა ისინი ოთხ ნაწილად გაჰყო. თითოეული ქალაქში სხვადასხვა მხრიდან უნდა შესულიყო. ასე შეეძლოთ ერთმანეთის გათვალისწინებით ებრძოლათ და ურთიერთს დაყრდნობოდნენ, თუკი, რასაკვირველია, ამის საჭიროება დაუდგებოდათ, რადგან წინააღმდეგობის განევას, ჩანდა, მაინც არავინ აპირებდა. ბრძოლის დაწყების წინ მუჰამადმა ჯარისკაცები მკაცრად გააფრთხილა: არ წამოეწყოთ ხელჩართული ბრძოლა და არ მიემართათ ძალადობისათვის. მაგრამ მედინელებს სურდათ საქმე სხვაგვარად მოეწყოთ. მათ, პირიქით, მარჯვე შემთხვევის გამოყენება იმ ბოლმის ამოსანთხევად სწადდათ, რაც მექელებზე ამ უკანასკნელთა მხრიდან დაცინვისა და აბუჩად აგდების გამო დაუგროვდათ. ამიტომაც მათმა მხედართმთავარმა სა'დ იბნ 'უბადამ უცებ ხმამაღალი ყვირილი დაიწყო:

— ამ ქალაქში ყველა სულიერი და ცოცხალი მოისრება!

ასეთი რამ თვითონ მუჰამადს გულშიც არ გაუვლია და რაკილა მოციქულმა იცოდა, რომ ასეთ შემთხვევებში ბევრი რამ სწორედ სამხედრო მეთაურზე იყო დამოკიდებული, სა'დ იბნ უბადას მეთაურობა სასწრაფოდ ჩამოართვა და ეს პატივი მის შვილს — კაისს გადაულოცა, რომელიც მედინელებზე შურისგების წყურვილით მამაზე ნაკლებ იტანჯებოდა.

ხსენებული ოთხი ქვედანაყოფიდან წინააღმდეგობას მხოლოდ ბედუინთა ის რაზმი წააწყდა, რომელსაც სათავეში ხალიდი ედგა. ამ რაზმს მუჰამადის იმ ყველაზე უფრო გააფრთხულმა მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც მარჯვე და ძლიერი პოზიციები ეკავათ, თავზე ისრების წვიმა დააწყვიტეს. მაგრამ ხალიდმა მოწინააღმდეგის უკუქცევა და მექის



ვინრო ქუჩებში მიმოფანტვა მალევე მოახერხა. როცა ერთ ახლო გორაკზე გამაგრებულმა მუჰამადმა, რომელიც საქმის ვითარებას შორიდან ზვერავედა, დაინახა, რაც ხდებოდა, თავის მხედრებს ყვირილი დაუწყო: „განა არ აგიკრძალეთ, ხელჩართულ ბრძოლას ყველანაირად მოერიდეთ-მეთქი“. მაგრამ წინასწარმეტყველს საქმის ვითარება აუხსნეს და მანაც თავისთვის ჩაილაპარაკა: „რასაც იქმს ღმერთი, ყველაფერი საუკეთესოა!“

ამრიგად, 629 წლის მიწურულსა თუ 630 წლის დამდეგს მუჰამადი მექას საბოლოოდ დაეპატრონა. მოციქული მივიდა ალ-ქა'აბაში, სასოებით შეეხო მრუმე ქვას, ტაძარს შვიდჯერ შემოუარა და ყველა იქ მდგარი კერპის განადგურების ბრძანება გასცა. ასეც მოიქცნენ. თავიდან ალ-ქა'აბის ყველა კერპი, ხოლო შემდეგ საოჯახო კერპებიც დაამსხვრიეს. ყველა მექელს ევალებოდა ისლამი მიეღო. სანაცვლოდ კი — ათი-თორმეტი ადამიანის გარდა — ყველას მიუტევეს. იმ ათიდანაც მხოლოდ ოთხი დასაჯეს სიკვდილით: სამი მათგანი, ვინც მუჰამადს ყველაზე შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და ერთიც — მომღერალი ქალი, რომელიც მოციქულზე მუდამ სატირულ ლექსებს გამოთქვამდა.

იმავე დოზის მახვილგონივრული შენიშვნით: „საერთოდ, მუჰამადის საქციელი მექის დაპყრობის შემდეგ დიდბუნებოვანი ადამიანის ქცევა იყო. მისთვის ხომ იმდენი ტანჯვა-წამება, რაც მექელთა მხრიდან გადაიტანა, არცერთ სხვა ხალხსა თუ ტომს არ მიუყენებია. 20 წლის მანძილზე რამდენი მექელი დასცინოდა და აბუზად იგდებდა, ებრძოდა და ეწინააღმდეგებოდა მას, მაგრამ მუჰამადმა ყველას ყველაფერი სულგრძელად შეუწდო“.

მექელები კი, თავის მხრივ, ბედს შეეგუვნენ და დაემორჩილნენ იმას, რისი შეცვლაც აღარ შეეძლოთ.

წმინდა ქალაქის ალებით, პრაქტიკულად, დასრულდა ბრძოლა ისლამის ზეობისათვის. ისლამმა გაიმარჯვა და მთელ არაბეთში ადგილი აღარ დარჩა, სადაც მუჰამადის მოწინააღმდეგე ძალა მოინახებოდა. ხოლო ვინც ამის გაკეთება მოინაძინა, იქვე იძულებული შეიქნა, საკუთარი საქმის უაზრობა და უშედეგობა ელიარებინა.

მაგალითად, მექის ალებიდან რამდენიმე დღეში მუჰამადის წინააღმდეგობა ჰავაზინის ტომელებმა სცადეს და წინასწარმეტყველს მექის ახლომდებარე ერთ ადგილ ჰუნანითან ბრძოლაც გაუმართეს. ეს ბრძოლა მუსლიმთა გამარჯვებით დასრულდა და მაჰმადიანებმა ხელში უამრავი ალაფი ჩაიგდეს. ნადავლის განაწილებისას მექელებს მედინელებთან შედარებით არასამართლიანი უპირატესობა მიენიჭათ (ალ-ბუხარი, 445= შპრენგერი, III, 334). მედინელები ბუზღუნებდნენ, მაგრამ კმაყოფილები არც მექელები იყვნენ და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თვით მოციქულს წამოსასხამი შემოახიეს. იგი ცდილობდა მედინელები ტკბილი სიტყვით დაეშოშმინებინა და უმტკიცებდა, რომ ისინი უკვე რწმენაში მყარად იდგნენ, მექელების გულისყური კი ამქვეყნიური სიკეთის მეოხებით სარწმუნოებისაკენ უნდა მიექციათ (ეს პრინციპი, სხვათა შორის, ყურანშიც აისახა. იხ. ყურანი IX, 58-60). ძლეულ და მინასთან გასწორებულ ჰავაზინელებს კი ისლამის მიღება დაევალათ, რის შემდეგაც ტყვეობაში მყოფ ცოლ-შვილს (ქალებსა და ბავშვებს) უბრუნებდნენ. ამასობაში მუჰამადთან ყოველი მხრიდან მოდიოდა მეზობელი ტომების ელჩობა. არაბული ტომები ერთმანეთის მიყოლებით მუსლიმდებოდნენ. შედარებით შორს მცხოვრები ტომებიც აღარ დარჩენილან და წარმართებზე არანაკლები ხალისით ისლამზე არც ქრისტიანი არაბები ექცეოდნენ. ამის შედეგად, როცა მუჰამადს ძალიან მალე, 630 წლის ზაფხულში, სირიაზე გასალაშქრებლად ხალხის შეკრება დასჭირდა, მის დაძახილზე 30 000 კაცი გამოვიდა.

მოვლენებს მხოლოდ გარეგნულად თუ შევაფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ ოდესღაც რელიგიის მიმართ ასე გულგრილი მთელი არაბეთი უეცრად მორწმუნე და ღვთისმოსავი გახდა.

თუმცა თვითონ მუჰამადი, როგორც ჩანს, აცნობიერებდა, ჯერ კიდევ რამდენად სუსტი იყო საძირკველი, რომელზედაც მის მიერ აგებული შენობა იდგა, მაგრამ, უკვე მოპოვებულ შედეგთა განმტკიცების მაგივრად, უფრო შორეულ გეგმებზე ფიქრობდა და რომის იმპერიის წინააღმდეგ გალაშქრებაზე ოცნებობდა.

630 წლის ზაფხულში მან 30 000 ფეხოსნისა და 10 000 მხედრისაგან შემდგარი ჯარისკაცი

შეკრიბა, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში და სირიისაკენ გაემართა, რათა ბიზანტიის ვასალ არაბულ ტომებზე 629 წელს მათგან ნანუნევი მარცხისათვის ეძია შური.

მუჰამადის მებრძოლებს მცხუნვარე უდაბნოში წინსვლა გაუჭირდათ. წინასწარმეტყველი ამოდ შეაგონებდა მათ, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი უფრო მხურვალე და მწველი იქნებოდა. შეგონებამ ველურ ბედუნებზე არ გაჭრა და ლაშქარი შინ შუაგზიდან გამობრუნდა.

მაგრამ მოციქული თავის ძველ გეგმებს ბოლომდე ელოლიავებოდა და უკვე სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეც კი სირიის წინააღმდეგ ახალ ლაშქარს აიარალებდა.

მკვლევართა შეფასებით, ეს მუჰამადის მხრიდან დიდი პოლიტიკური სიბრძნისა და წინდახედულების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. იგი შესანიშნავად აცნობიერებდა, რომ გარე ომები და მდიდარი ნადავლი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება იყო საიმისოდ, რომ არაბს ისლამის სიყვარული და ლტოლვა გასჩენოდა. ამიტომაც შეუპოვრად იცავდა საკუთარ სისტემას, თუმცა, რასაკვირველია, უნდა სცოდნოდა, რამდენად სუსტი იყო რწმენა მისი ხალხისა.

ამასობაში ქვეყნიური ცხოვრების აღსასრულიც მოუახლოვდა და წინასწარმეტყველი ამას თვითონვე გრძნობდა. 632 წლის მარტში მან მედინიდან მექაში ე. წ. „გამოსათხოვარი ჰაჯჯი“ აღასრულა. ეს მომლოცველობა ძალზე საზეიმო იყო. მოციქულმა მაშინ არა მხოლოდ მთავარი, არამედ ჰაჯჯის ყველა რიტუალი ზედმინეწით აღასრულა (ამდენად, დღეს ეს ჰაჯჯი მუსლიმთათვის ჰაჯჯის აღსრულების საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა) და ამ დროს მას თან დაახლოებით 14 000 მიმდევარი ახლდა. მოციქულმა მექაში საზეიმო ქადაგება ჩაატარა და ქადაგებისას განაცხადა, რომ თავის მისიას, თავისი ცხოვრების უმთავრეს საქმეს მოთავებულად მიიჩნევა.

ბოლო დროს მუჰამადს ძალა დაეშრიტა, თმა ერთიანად ჭალარით დაეფარა, წელში მოიხარა და ნაადრევად მოტყდა: სხვაგვარად ალბათ შეუძლებელი იყო, იმდენმა საზრუნავმა, რომელიც გამუდმებით მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე, საბოლოოდ თავის გაიტანა და 632 წლის ივნისის თვეში მოციქული ლოგინად ჩავარდა. თვითონ სჯეროდა, რომ ეს ავადმყოფობა საბოლოო იყო. ერთხელ, ღამით, როცა დაძინებას ამოდ ცდილობდა, ლოგინიდან ფეხაკრეფით წამოიპარა და მსახურის თანხლებით მედინის სასაფლაოსაკენ გაეშურა, სადაც თავისი უამრავი მეგობრის სამარე ეგულვოდა. იქ დიდხანს დარჩა და, ფიქრებში ჩაძირული, ამ ძვირფას სამარეთ შეჰყურებდა. მერე ხმამაღლა წარმოთქვა გარდაცვლილთა ლოცვა და დასძინა: „ჭემმარიტად, მე და თქვენ ვნახეთ, როგორ აღსრულდა ჩვენი უფლის აღთქმა. ნეტარ ხართ თქვენ, რამეთუ უკეთესი ბედისწერა გერგოთ, ვიდრე იმათ, ვინც თქვენს შემდგომ დარჩა.“

როცა ფიქრებიდან გამოერკვა, მსახურს უთხრა: „მე შემომთავაზეს არჩევანი სიცოცხლის გაგრძელებასა და ღვთის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგომას შორის, და, რა თქმა უნდა, მეორე ვარჩიე.“

ციება სულ უფრო და უფრო გაუძლიერდა. 'აიშა ქმარს მზრუნველად და თავგადადებით უვლიდა. დრო და დრო მუჰამადი გუნებაზე მოდიოდა და კიდევაც ხუმრობდა. წამალს პირში არ იკარებდა, მაგრამ ერთხელ ცოლებმა მისი უგონოდ ყოფნით ისარგებლეს და რაღაც შარბათი დააღვეინეს. გონს რომ მოეგო, მუჰამადს წამალი უამური ერჩენა და მთელი ოჯახი აიძულა, იგივე შარბათი რიგ-რიგობით შეესვათ.

სიკვდილის წინ მოციქულმა უპოვრებზეც იზრუნა. თვითონ სიმდიდრეს არასდროს ესწრაფოდა და, როგორც კი მცირედი ფული გამოუჩნდებოდა, ჩვევად ჰქონდა მონყალება დაერიგებინა. ავადმყოფობამდე მცირე ხნით ადრე 'აიშასათვის რაღაც თანხა შესანახად მიუბარებინა. როცა ლოგინად ჩავარდა, 'აიშას მოსთხოვა, ფული საჩქაროდ ღარიბთათვის დაერიგებინა. მერე თავი ბალიშზე მიდო და თვლელმა მოერია. გამოფხიზლებულმა 'აიშას ჰკითხა, ჩემი ბრძანება თუ შეასრულეო, და როცა ქალმა, არაო, უპასუხა, იმ წამსვე გაგზავნა ფულის გამოსატანად და ის ლატაკი ოჯახებიც ჩამოუთვალა, რომელთათვისაც ფული უნდა დაერიგებინა. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: ახლა კი დავმშვიდდი. არ შემეფეროდა, ეს ოქროები მქონოდა და ღვთის წინაშე წარვმდგარიყავიო.

632 წლის 7 ივნისის დილას მუჰამადმა ფურცელი და კალამი მოითხოვა, რათა დაენერა

ნიგნი, რომელიც სამუდამოდ დაიფარავდა მის შთამომავალთ გზაბნევისაგან.

— მოციქული ბოდავს! - წამოიძახა 'უმარმა და შეაკავა ის ხალხი, რომელსაც მუჰამადის სურვილის აღსრულება ენადა, — ჩვენ ხომ გვაქვს ყურანი, სიტყვა ალაჰისა! (ვაილის აზრით, 'უმარი შიშობდა, რომ მუჰამადს თავის მოადგილედ 'ალი არ დაენიშნა). დაიწყო კამათი. ერთნი მოციქულის სურვილის აღსრულებას მოითხოვდნენ, მეორენი ენინაალმდეგებოდნენ.

თვალი რომ გაახილა, მუჰამადმა ყველა იქ მყოფს ოთახიდან გასვლა უბრძანა: „გადით! ალაჰის მოციქულის სახლში კამათი არ ეგების!“

632 წლის 8 ივნისის დილას კი წინასწარმეტყველმა თავი უკეთესად იგრძნო. მედინის მეჩეთი ხალხს ველარ იტევდა, რადგან ყველას უნდოდა მოციქულის ჯანმრთელობის ამბავი შეეტყო. ამ დროს ლოცვის წინამძღოლი აბუ ბაქრი იყო, რომელსაც მუჰამადმა თავისი ავადმყოფობისას ეს მნიშვნელოვანი მოვალეობა ჩააბარა. სრულიად მოულოდნელად, როცა მოციქულის მისვლას იქ არავინ მოელოდა, შუა ლოცვისას მუჰამადი მეჩეთში მივიდა (სხვათა შორის, მედინის მეჩეთს უშუალოდ უერთდებოდა წინასწარმეტყველის სახლი. ამდენად ავადმყოფს იქ მისასვლელად დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებოდა). იგი ბარბაცით მოდიოდა და გზადაგზა რალაცას ეყრდნობოდა, მაგრამ ყველამ დაინახა, კმაყოფილების ღიმი მთელ სახეს როგორ უნათებდა: ეს ალბათ ბედნიერების ნიშანი იყო, რასაც მოციქულს აღსრულებული მოვალეობის განცდა ანიჭებდა. და აი, მან უკანასკნელად მიმართა თავის სამწყსოს, მაგრამ ხმა მაინც იმდენად ძლიერი ჰქონდა, რომ მისი სიტყვები მეჩეთის ეზოშიც კი მოისმოდა. მუჰამადი ამბობდა:

„ალაჰსა ვფიცავ, ვერავინ ვერაფერში დამადანაშაულებს. მე არ გამომიცხადებია ნებადართულად ის, რაც ღმერთმა აკრძალა, და არ ამიკრძალავს ის, რაც უფალმა ნებადართულად გამოაცხადა თავის წიგნში.“

ამასთან, იგი უსამასაც გამოემშვიდობა, რომელსაც სირიაში მიმავალი ლაშქრის სპასალარობა ჩააბარა, და უთხრა: „წინ წარუძეხი ლაშქარს შენსას, ხოლო შენ კი წინ გიძღვოდეს კურთხევა ალაჰისა!“

ამ გულისშემძვრელი დამშვიდობების მერე მუჰამადი კვლავ შინ, 'აიშას ოთახში მიბრუნდა და დაღლილობისაგან ძალაგამოცლილი ლოგინზე მიესვენა. თავი 'აიშას კალთაში ედო და მხოლოდ მოკლე ლოცვებს დუდუნებდა: „ო, ალაჰ, შემენიე უკანასკნელი ამოსუნთქვისას! ჯიბრილი, უფრო მომიახლოვდი! ალაჰ, მინყალობე შენი მიტევება და შემაერთე ჩემს მეგობართ მალალთა შინა, მარადიულ სასუფეველში!“

მერე ყველაფერი დადუმდა. მუჰამადს თავი მძიმედ ჩამოუვარდა 'აიშას მკერდზე და „მოციქულთა ბეჭედმა“ სამუდამოდ დახუჭა თვალი.

## 2. ყურანის ისტორია, ჩანერა და რქდაქცია

მუჰამადის დანატოვარი მის მემკვიდრეთაგან ღირსეულ მოვლა-პატრონობას მოითხოვდა. უპირველესად კი გამოცხადების ტექსტზე ზრუნვა უნდა დაწყებულიყო. სხვადასხვა დროს ჯიბრილის კარნახით წარმოთქმულ მუჰამადის სიტყვებს შემსწრენი მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით ინერდნენ.

ამ ფრაგმენტთა თავმოყრასა და დალაგებას მოციქული თვითონვე შეუდგა, მაგრამ ვერ მოასწრო.

მუსლიმთა შორის გავრცელებული აზრის მიხედვით, რასაც სხვადასხვა ისლამურ ქვეყანაში მოწაფეებს დაწყებითი კლასებიდანვე ასწავლიან, მუჰამადი სიცოცხლის ბოლო წელს ჯიბრილიმა ორჯერ საგანგებოდ იმისათვის მოინახულა, რომ მიეთითებინა, საბოლოოდ როგორი უნდა ყოფილიყო მუსლიმთა წმინდა წიგნი.

მუჰამადი, როგორც აღინიშნა, ამ სამუშაოს დასრულებამდე აღესრულა, მაგრამ შემორჩა გამოცხადების წერილობითი ფრაგმენტები, რომელიც, მისი მითითებით, მისმა მდივნებმა და მიმდევრებმა ჩაინერეს.

ტრადიცია ასევე ასახელებს იმ ადამიანებს, რომელთაც წინასწარმეტყველის სიცოცხლეშივე, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, ხელი გამოცხადების ჩანერისათვის მოეკიდათ. მათ შორის ყოფილან: 'ალი, სალიმა და აბუ მუსა, 'უსმან იბნ 'აფფანი, ხალიდ იბნ სა'იდი და უბაია იბნ ქა'ბა. სხვადასხვა წყაროები მუჰამადის შემდგომ მისი გამოცხადების სხვა ჩამწერთაც გვისახელებენ.

მოციქულის მიმდევრებმა გამოცხადების ტექსტის ფრაგმენტები ზეპირად იცოდნენ, ხოლო ტრადიცია იმასაც ამბობს, რომ რამდენიმე მიმდევარმა მთელი ყურანიც კი ზეპირად იცოდა. ეს ხალხი ყურანის ამ დამახსოვრებულ ფრაგმენტებს ღვთისმსახურებაში გამოიყენებდა.

ყურანის ტექსტის ისტორია მოციქულის სიკვდილის შემდგომ კი განუყოფლადა დაკავშირებული მუსლიმური თემისა და ხალიფატის ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან.

ბუნებრივია, მოციქულის გარდაცვალებისთანავე მისმა რამდენიმე მიმდევარმა სცადა გამოცხადების ყველა ასე თუ ისე ცნობილი ფრაგმენტის შეგროვება. სხვადასხვა ცნობის თანახმად, მუჰამადის გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ ასეთი ტექსტის, სულ ცოტა, ხუთი ვერსია წარმოიშვა.

ყურანის ერთიანი უნიფიცირებული ტექსტის მიღება კი ისლამისათვის იმ ძნელბედობის ხანაში გადაწყდა, როცა ბევრი ტომი ხალიფას ხელისუფლებას აუმხედრდა და მედინის თემის ძალაუფლების მთელ არაბეთში განმტკიცებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა. სწორედ იმხანად იგრძნო მთელი სისრულით მუსლიმურმა თემმა იმ ღვთაებრივი სიბრძნის შეკრებისა და შენახვის აუცილებლობა, რომელიც მუჰამადს გამოცხადების მეშვეობით ებოძა და რამაც მოციქულის სიცოცხლეში მისი საქმის წარმატებით დაგვირგვინება განაპირობა.

ამ დროს გაჩნდა ე. წ. „ას-სუჰუფ ალ-ბაქრია“ (ადრეული გრაგნილები), რომელთა შეკრებასაც ტრადიცია მუჰამადის პირად მდივანს ზაიდ იბნ საბითს მიაწერს, ვისაც ეს საქმე მუჰამადის შემცვლელის, პირველი ხალიფას — აბუ ბაქრის — უშუალო ბრძანებითა და მითითებით შეუსრულებია.

ტექსტზე მუშაობის მეორე ეტაპი კი უკვე სხვა ხანის სასიცოცხლო მოთხოვნილებებთანა დაკავშირებული ანუ იმ დროსთან, როცა მუსლიმთა არმიამ ერთმანეთის მიყოლებით დაიმორჩილა ერაყი, სირია და ეგვიპტე. ისლამის გავრცელებამ ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე და უზარმაზარი სახელმწიფოს პროვინციათა მართვისათვის განკუთვნილი რელიგიური ცენტრების აღმოცენებამ ყურანის ტექსტის ერთიანი, უნიფიცირებული რედაქციის შემუშავება მოითხოვა.

მუსლიმური წყაროების თანახმად, სწორედ ამ ცენტრებში — მექაში, მედინაში, დამასკოში, ქუფასა და ბასრაში — აღმოცენდა ტექსტის გადაცემის ადგილობრივი ტრადიციები, რომელიც მუჰამადის — ამ ქალაქებში ბედისწერით მოხვედრილ — მიმდევრებს მიენერებოდა. მაგალითად, გადმოცემის თანახმად, ჰომსსა და დამასკოში მუ'აზ იბნ ჯაბალის ვარიანტს მიჰყვებოდნენ, ქუფაში — იბნ მას'უდისას, ბასრაში — აბუ მუსა ალ-ამ'არისას, ხოლო მთლიანად სირიაში — უბაია იბნ ქა'ბასას.

ტექსტის ეს ვერსიები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა გამოცხადების რიცხვითა თუ დალაგების ყაიდით, ცალკეული სიტყვებითა თუ წინადადებით, ზოგი ფრაზისა თუ სიტყვის გამოტოვებით ან, პირიქით, ჩამატებით, გარკვეული ორთოგრაფიული თავისებურებებითა და ა. შ.

წმინდა ტექსტის სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესაძლებლობა მუსლიმურ თემს განხეთქილების საფრთხით დაემუქრა. ამ საფრთხეს კიდევ უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ დამორჩილებულ მიწებსა და ტერიტორიებზე მუსლიმებს მახლობელ და შუა აღმოსავლეთში გავრცელებული მთელი რიგი რელიგიური დოქტრინებისა და სწავლებათა გაცნობამ მოუწიათ.

ამ ვითარებში მესამე ხალიფამ — 'უსმანმა — მედინაში, სადაც შესაბამისი ტრადიცია,

გასაგები მიზეზებით, სხვა ქალაქებთან შედარებით სრულყოფილად შემონახულიყო, მთელი მუსლიმური თემისათვის წმინდა წიგნის ერთიანი ვერსიის შექმნა გადაწყვიტა.

ეს ტექსტი (ე. წ. ალ-იმამ), რომელიც მედინაში შემონახულ ერთ-ერთ ვერსიას დაეფუძნა, მაგრამ გაითვალისწინა ყველა ის ჩანაწერი, რომელთა ნამდვილობაც ორი მონმის ჩვენების საფუძველზე დადასტურდა, 650-656 წლებში შეადგინა საგანგებო სამკაცრიანმა კოლეგიამ, ზაიდ იბნ საბითის ხელმძღვანელობით.

ტექსტის გადამონმებული ნუსხები კი სახალიფოს უმთავრეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებში დაიგზავნა (წყაროები ასახელებენ მექას, ბასრას, ქუფას, დამასკს, მედინასა და ზოგჯერ — ეგვიპტესა და ბაჰრეინსაც).

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ქალაქში — მაგ. ტაშკენტში (უზბეკეთის მუსლიმთა სამმართველოს ბიბლიოთეკა), კაიროში (წმინდა ალ-ჰუსაინის სამარე) და სტამბოლში (მუსლიმურ ძეგლთა მუზეუმი და თოფქაფი სარაი) შემონახულია ე. წ. „უსმანის ყურანის“ ნუსხები, რომელთაც ხალიფა 'უსმანის სისხლის წვეთები ამჩნევია (ხალიფა 'უსმანი, როგორც ცნობილია, აჯანყებულმა ოპოზიციონერებმა საკუთარ სასახლეში, სწორედ ყურანის კითხვისას აჩეხეს).

ტექსტის ჩაწერის თავისებურებებმა კი თითოეულ ნუსხასთან ერთად ამ ადგილებში საგანგებო ნამკითხველის გაგზავნაც მოითხოვა, რომელსაც ყურანი ზეპირად ეცოდინებოდა.

გადმოცემის თანახმად, ტექსტის სრული ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად, 'უსმანმა ბრძანა დაენვათ და გაენადგურებინათ ყველა სხვა ხელნაწერი, რომელიც დაგზავნილი ვარიანტისაგან რაიმეთი განსხვავდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 'უსმანის ნამოწყებას მთელი მუსლიმური თემი დიდი გულისყურით მოეკიდა, ზაიდ იბნ საბითის მიერ დადგენილი ვარიანტი კი გულითადად მიიღო, ტექსტის სხვა და განსხვავებული ფრაგმენტები ერთი ხელის დაკვრით მაინც არ გამქრალა. ყველა როდი იყო მზად, ხალიფას ბრძანება, რომელიც მათი უმთავრესი ქონების განადგურებას ითვალისწინებდა, დაუყოვნებლივ შეესრულებინა. მაგალითად, იბნ მას'უდმა ამ ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა და განაცხადა: ყურანს მე ჯერ კიდევ მაშინ ვაგროვებდი, როცა ზაიდი წარმართი დედის მუცელში იჯდაო.

ამას გარდა ბევრს ჯერაც ზეპირად ახსოვდა გამოცხადების ის ფრაგმენტები, რომელიც უსმანისეული ყურანისაგან რამდენადმე განსხვავდებოდა. ხოლო წმინდა ტექსტის შენახვისა და გადაცემის ძირითად საშუალებად ისევ ზეპირმახსოვრობა რჩებოდა. წყაროებმა შემოგვინახა მტკიცე ოპოზიციის კვალი, რაც მიმართული იყო თვითონ ტექსტის წერილობითი აღბეჭდვის იდეის წინააღმდეგაც, რადგან ამას უკვე წინასწარ შეცდომებისათვის განწირულ საქმედ მიიჩნევდნენ.

ეფიმ რეზვანი, ყურანის შესახებ ბოლო დროინდელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოკვლევის ავტორი, ამ ხანას „ყურანის ზეპირ-წერილობითი ყოფიერების პერიოდს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ამდროინდელმა თავისებურებებმა განაპირობა ბევრი სირთულე, რასაც მუსლიმი ავტორიტეტები ყურანის უნიფიცირებული ტექსტის ფიქსაციის წესთა შემუშავებისას აწყდებოდნენ.

დაბოლოს, გახმოვანების ჯერ გაჩენა, შემდგომ კი საბოლოო განმტკიცება ყურანში ანუ, სრული მნიშვნელობით, ერთგვაროვანი ტექსტის დაკანონება უკავშირდება იმ იდეოლოგიურ დისკუსიებს, რაც მუსლიმურ ჯამაათში VIII—X საუკუნეებში მიმდინარეობდა.

მუსლიმურ თემს წმინდა ტექსტის კოდიფიკაციასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა:

— უნდა შემუშავებულიყო ყურანის კონსონანტური საფუძვლის ყველა ავტორიტეტისათვის მისაღები ვარიანტი (რასმ ან: ხატტ, ქითაბ, ქითაბა, ქათაბა).

— დანერგილიყო დიაკრიტიკულ ნიშანთა ('აჯამ, ი'ჯამ, ნაკტ) თუ ვოკალიზაციის ნიშანთა (შაქლ, იშქალ, თაშქილ, ჰარაქათ და ზოგჯერ ასევე: ნაკტ) სისტემა და რეციტაციის ერთიანი სტანდარტი (დაბტ ანდა: ლაფზ, ნუტკ).



— მიეღოთ რეციტაციის საერთო წესები (კავა'იდ ალ-კირა'ათ), რაკი პირველი ორი ამოცანის გადაჭრის შემდგომაც რჩებოდა იმის საშიშროება, რომ ტექსტი მაინც არაერთმნიშვნელოვნად გაეგოთ. რეციტაციის ამ ერთიან წესებში შედიოდა, მაგალითად, აუცილებელი სრული პაუზის (ალ-ვაკფ ათ-თამმ) ან უჯერო, არასასურველი პაუზის (ვაკფ აკბაჰ) ადგილთა აღნიშვნა, რათა კითხვისას ტექსტის დამახინჯება თავიდან აეცდინათ.

გარდა ამისა, არაარაბული წარმომავლობის მუსლიმთა რიცხვის განუხრელმა ზრდამ არაბული ენის გრამატიკის საფუძველთა დამუშავების საკითხი მთელი სიმწვავეით წამოჭრა, რაკილა გაჩნდა არაბული ენის დამახინჯების საფრთხე, რაც წმინდა ტექსტის დამახსოვრებაზე უსათუოდ აისახებოდა და მისი რეციტაციისას შეცდომებსაც განაპირობებდა.

ყურანის ერთიანი რედაქციის ჩამოაყალიბებას კი არა მხოლოდ არაბული ენის გრამატიკის დამუშავება და არაბული ტექსტის სრული წერილობითი აღბეჭდვის საშუალებათა შექმნა, არამედ პოლიტიკური ნება და ავტორიტეტიც სჭირდებოდა. თავიდან ეს იყო აბუ ბაქრის, 'უმარისა და 'ალის, ხოლო შემდგომ ხალიფას ორი გამოჩენილი ერაყელი ნაცვლის — ზიიად იბნ აბიჰისა (გარდ. 675) და ალ-ჰაჯჯაჯის (გარდ. 714), ასევე ხალიფას გავლენიანი ვაზირების იბნ მუკლასა (გარდ. 940) და იბნ 'ისას (გარდ. 946) პოლიტიკური ნება და ავტორიტეტი.

წყაროები გვატყობინებენ, რომ სიტყვათა ან მთელ ფრაზათა კონსონანტური ფუძის გადმოცემაში არსებულ განსხვავებებზე დაფუძნებული ტექსტის ნაკითხვის ვარიანტები (ალ-კირა'ათ) მუსლიმურ სამეცნიერო წრეებში თითქმის X საუკუნემდე შენარჩუნდა. ბუნებრივია, შემოინახეს მხოლოდ ის ვარიანტები, რომელთაც რალაც ფილოლოგიური და თეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდათ. ისიც ცხადია, რომ ასეთი ვარიანტები არსებით არგუმენტებად გამოდგებოდნენ (და ამ დანიშნულებით კიდევაც იყენებდნენ) იდეური პოლემიკისას. ეს კი, თავის მხრივ, იმ ვარიანტთა „ფაბრიკაციის“ სერიოზულ სტიმულად მოგვევლინა, რომლებიც წმინდა ტექსტის „საჭირო“ განმარტების ცდათაგან წარმოიშვა.

თუმცა, მთლიანობაში, აღსანიშნავია, რომ უსმანური ყაიდის (რასმ 'უსმანიი) გავრცელებამ ყურანის ტექსტის ვარიანტულობა მინიმუმამდე შეამცირა და ზემოაღნიშნულთაგან პირველი მნიშვნელოვანი ამოცანაც ასე გადაიჭრა.

იმ დროინდელი არაბული დამწერლობა მხოლოდ ტექსტის კონსონანტურ საფუძველს გადმოსცემდა. ამასთან, ერთი და იგივე ნიშანს ხშირად ერთდროულად რამდენიმე ასოს ჩანერისათვის გამოიყენებდნენ. ერთი და იმავე მოყვანილობის ასოთა გასარჩევად კი, როგორც ჩანს, ასოთა ზემოთ-ქვემოთ წერტილთა გამოყენება ჯერ კიდევ ისლამამდელ ხანაში დაიწყო. პირველი ასეთი ჩანაწერები შემონახულია 643 წლით დათარიღებულ ორ პაპირუსზე, მაგრამ ასეთ ნიშნებს მაშინ არარეგულარულად იყენებდნენ.

გარდა ამისა, კონსონანტური ფუძე შეიძლებოდა რამდენიმენაირად გახმოვანებულიყო. წარმოიშვებოდა და ქრებოდა გახმოვანების სხვადასხვა სისტემები უპირველესად მუსლიმური მეცნიერების ისეთ თვალსაჩინო ცენტრებში, როგორიც იყო ერაყის ორი ქალაქი — ქუფა და ბასრა. აქ ერთმანეთს მეტოქეობას უწევდა სხვადასხვა გრამატიკული სკოლა, რომელიც თავდაპირველად ერთმანეთისაგან დაუნაწევრებელ და საერთო მეთოდებითა თუ ტერმინოლოგიით მოსარგებლე რელიგიურ-სამართლებრივი კომპლექსის ჩარჩოებში აღმოცენდა.

აღნიშნულ პერიოდში ყურანის სახელგანთქმული წამკითხველნი (ალ-კურრა') იმავდროულად ცნობილი გრამატიკოსებიც იყვნენ. მაგალითად, იბნ აბი ისჰაკ ალ-ჰადრამი (გარდაიც. 735-36) ანდა აბუ 'ამრ იბნ ალ-'ალა' (გარდაიც. 770)

მოციქულის რამდენიმე თაობის შემდეგ კი არაბებმა თანდათანობით მოახერხეს დიაკრიტიკულ ნიშანთა ერთიანი მწყობრი სისტემის შექმნა, რამაც საშუალება მისცათ scriptio defectiva-დან scriptio plena-ზე გადასულიყვნენ. ტრადიციის თანახმად, რომელიც შესაძლოა სათავეს რომელიმე ბასრელი ფილოლოგისაგან იღებდეს, აღნიშნული პროცესის პირველი ეტაპი დაკავშირებულია აბუ ალ-ასვად ად-დუ'ალის (დილის) სახელთან (გარდ. 688). ეს კაცი, 'ალისთან დაახლოებულ წრეთა წარმომადგენელი, რომელიც სხვადასხვა დროს მდივანი, ყადი, სამხედრო მეთაური და პოეტი იყო, იღმ ან-ნაჰვის (გრამატიკის (სინტაქსის)

მეცნიერების) ფუძემდებლად მიიჩნევა. ტრადიცია აბუ ალ-ასვადის შრომას თავიდან 'ალის ინიციატივასთან, ხოლო შემდგომ ომაიანთა ცნობილი ნაცვლისა და ხალიფა მუ'ავიას ძმად-ნაფიცის, ზიად იბნ აბიჰის, დავალებასთან აკავშირებს, ვინც თავის დროზე სახალიფოს მთელ აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული შემსრულებლის, ამ შემთხვევაში — აბუ ალ-ასვადის, სახელი, არამედ უპირველესად ის, რომ ტრადიციაში საგანგებოდაა ხაზგასმული 'ალისა და ზიად იბნ აბიჰის დამსახურება. პირველს შეუძლებელია ვერ გაეგო ყურანის ტექსტის უნიფიცირებისათვის განეული შემდგომი შრომის მნიშვნელობა როგორც ზოგადად ისლამის, ასევე საკუთარი რეპუტაციისათვის. ხოლო ჭკუა-გონებითა და ურყევი ნებით ცნობილი ზიადი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ომაიელებს, წმინდა წერილის ტექსტზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას თუნდაც სახელმწიფო და დინასტიის ინტერესებიდან გამომდინარეც მიხვდებოდა. შესაძლოა იმ ეტაპზე ლაჰარაკი იყო ყურანის გადანერისას უკვე არსებულ დიაკრიტიკულ ნიშანთა გამოყენებაზე.

მეორე ეტაპზე კი ტრადიცია არანაკლები დაბეჯითებით აღნიშნავს ომაიანთა ასეთივე გამჭრიახი და ძლევამოსილი ნაცვლის ალ-ჰაჯჯაჯის (გარდ. 714) ღვანლსაც. სწორედ იმ კაცის ღვანლს, ვინც რკინის ხელით ჩაახშო სახალიფოს გამთიშველი შიდა ბრძოლები და თანაც წერდა ლექსებს, რომლებიც უანრის საუკეთესო ნიმუშებად მიიჩნევა.

ალ-ჰაჯჯაჯმა დაავალა თავის მდივნებს, ნასრ იბნ 'ასიმსა (გარდ. 707) და იაჰია იბნ ია'მურს (გარდ. 746), ბოლომდე მიეყვანათ მოკლე და გრძელ ხმოვანთა აღმნიშვნელი სისტემის შემუშავება და დაედგინათ დამწერლობის რიგი დამატებითი ელემენტები.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს საქმე გარკვეულ წინააღმდეგობასაც წააწყდა, განსაკუთრებით კი მედინაში, სადაც მიიჩნევდნენ, რომ ასეთი სახით გადანერილი ტექსტები მხოლოდ იმ ბავშვებისათვის იქნებოდა მისაღები და გამოსაღეგი, რომლებიც ის-ის იყო ანაბანის სწავლას შედგომოდნენ. სინამდვილეში კი საქმე ის იყო, რომ არაბული დამწერლობის scriptio plena-სთან უფრო მეტად დაახლოება ყურანის მკითხველთა (კურრა') როლისა და მნიშვნელობის დაკნინებას მოასწავებდა, რომელთაც ზეპირად იცოდნენ ტექსტი და საზოგადოების თვალში ტრადიციის მთავარ დამცავ-შემნახვეებად ითვლებოდნენ.

ალ-ჰაჯჯაჯსავე მიენერება ყურანის 30 თანაბარ ნაწილად ე. წ. ჯუზ'ად (მრ. აჯზა') დაყოფა, რაც სარიტულო და საღვთისმსახურებო მიზნებით იყო განპირობებული.

ეს ინიციატივა ნაკარნახევი გახლდათ პრაქტიკული საჭიროებებით (ტექსტის ზეპირად უკეთ დამახსოვრების, მისი თანაბარ ნაწილებად წაკითხვისა და გადანერის მიზნით) და მოციქულის მიმდევართა პირადი მაგალითით იყო მოტივირებული.

დამწერლობის სისტემის ჩამოყალიბება და გრამატიკული სისტემის შექმნა, ძირითადად, IX საუკუნის დამლევისათვის დასრულდა. ამ პერიოდის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ხელნაწერში (844 წ.-ით დათარიღებული ვაჰბ ალ-მუნაბბიჰის „ჰადის დაფუდ“) გვხვდება ვოკალიზაციის ნიშანთა პრაქტიკულად სრული არჩევანი.

ამავე ხანაში ხალილ იბნ აჰმადმა (გარდ. 786/787 ან: 791) შეიმუშავა და დანერგა დამატებითი ნიშნები (ჰამზა და თაშდიდი). ხოლო მისმა მოწაფემ, სახელგანთქმულმა „ბასრელმა“ ას-სიბავაიჰიმ (გარდ. 796), გრამატიკოსებმა ალ-ასმა'იმ (გარდ. 828), აბუ 'უბაიდამ (728-824/25), აბუ ზაიდ ალ-ანსარიმ (გარდ. 830/831) და „ქუფელმა“ ალ-ფარრა'მა (გარდ. 822) შექმნეს ნაშრომები, რომლებიც არაბ გრამატიკოსთა მიერ ენის სტიქიის გაცნობიერებისა და მწყობრი გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბების დასრულებას იუწყებოდნენ.

სიბავაიჰის „ქითაბ“ ყურანიდან უამრავ მაგალითს მოიხმობს. გრამატიკა იქმნებოდა ყურანისათვის, მაგრამ სწორედ ყურანსვე ეყრდნობოდა.

IX საუკუნიდან მეცნიერებისა და განათლების ცენტრი ქუფიდან და ბასრიდან სახალიფოს დედაქალაქ ბაღდადში გადადის. აქ აყვავდა მთარგმნელობითი საქმიანობა, მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული ფილოსოფოსები, ეგ ზეგეტიკოსები, სჯულისმეცნიერნი, აღმოცენდა გრამატიკული სკოლა, რომელმაც გააერთიანა წინა სისტემათა ელემენტები და წარმოშვა ისეთი გრამატიკოსები, როგორებიც იყვნენ ალ-მუბარრადი (გარდ. 898) და მისი მოწაფე ას-

სარრაჯი (გარდ. 928).

ბალდადშივე X საუკუნის დასაწყისში ყურანის ტექსტის უნიფიცირების საქმეში ახალი დონის მისაღწევად რამდენიმე მნიშვნელოვანი ცდა განხორციელდა. დაინერა სამი ნაშრომი, საერთო სათაურით — „ქითაბ ალ-მასაჰიფ“, რომელიც ყურანის კითხვის (ალ-კირა'ათ) პრობლემებს ეძღვნებოდა. ამ ნაშრომთა ავტორები იყვნენ იბნ აბი დავუდი (გარდ. 928), იბნ ანბარი (გარდ. 938/39) და იბნ აშთა ალ-ასბაჰანი (გარდ. 970/71). მაგრამ მთავარი როლი ბედისწერას იბნ აბუ დავუდის მოწაფის იბნ მუჯაჰიდისათვის (859-935) ჰქონდა მინდობილი. ყურანის მეცნიერებათა ეს სახელგანთქმული ავტორიტეტი, რომელიც ბალდადში მოღვაწეობდა, ორი გავლენიანი ვეზირის, იბნ მუკლასა და იბნ 'ისას, მფარველობით იყო გარემოცული.

იბნ მუჯაჰიდის თხზულება „ალ-კირა'ათ ას-საბ'ა“ ლამის ოფიციალურ დოკუმენტად რომ ითვლებოდა, ყურანის შესაძლებელ ნაკითხვათა ერთიანი სისტემის გასამყარებლად დაინერა. ეს სისტემა, 'უსმანის რედაქციის კონსონანტურ საფუძველს რომ ეყდნობოდა, ტექსტის გახმოვანების იმ შვიდი ვარიანტით იფარგლებოდა, რომელიც VIII საუკუნის 7 შესაბამის ავტორიტეტულ თეოლოგს ეკუთვნოდა. ყველა ეს ვარიანტი თანაბრად სწორ „ნაკითხვად“ ითვლებოდა, ხოლო სხვა ვარიანტები (ალ-იხთიარ) სასტიკად იყო აკრძალული.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ იბნ მუჯაჰიდის ხსენებული ნაშრომის შემდგომ, რომელიც, არსებითად, უბაია იბნ ქა'ბასა და იბნ მას'უდის ნუსხებს მიკუთვნებული ვარიანტების გამოყენებისა და განმარტების საწინააღმდეგოდ დაინერა, ეს თვალსაზრისი ცხოვრებაში სასამართლო ხელისუფლის ძალით ხორციელდებოდა (მაგალითად იბნ მიკსამის „საქმე“ 934 წელს და იბნ შანნაბუზის „საქმე“ 935-ში).

იბნ შანნაბუზი (გარ. 939) ვაზირ იბნ მუკლას ბრძანებით არა მხოლოდ გამოლტეს, არამედ, ნებისმიერ „ნაკითხვაზე“ ხელის აღების ნიშნად, აიძულეს ასეთი რამ ეთქვა:

„მე ვკითხულობდი იმისაგან განსხვავებულ ტექსტებს, რასაც 'უსმანს ('უსმანის რედაქციას) მიაკუთვნებენ და მოციქულის მხლებელთა (ასჰაბ) მიერაა ხელდასხმული. ხოლო ახლა თვალნათლივ ვხედავ, რომ ეს ტექსტები არასწორი იყო. მე გამოვისყიდე ცოდვა და ხელს ვიღებ ჩემს უწინდელ თვალსაზრისზე. 'უსმანის ტექსტი ჭეშმარიტი ტექსტია, რომლის უარყოფის ანდა მასში დაეჭვების უფლება არავის გააჩნია.“

„არაკანონიკურ ნაკითხვათა“ წინააღმდეგ ასეთი დაუნდობელი ბრძოლა იმით აიხსნება, რომ ყურანის ტექსტულური თუ ორთოგრაფიული ვარიანტების გამოყენება ან გამოგონება ძირეულად იყო დაკავშირებული მუსლიმური ეგზეგეტიკის განვითარებასთან, რაც საბოლოოდ არაბულ-მუსლიმურ საზოგადოებაში იდეურ დაპირისპირებათა გაღვივებას განაპირობებდა.

იბნ მუჯაჰიდის მიერ მიღებულმა ყურანის ნაკითხვის შვიდნაირმა წესმა ხელი შეუწყო ტექსტის „კითხვის“ იმ პრაქტიკას, რომელიც სახალიფოს სხვადასხვა ოლქში — მედინაში, მექაში, ბასრასა და ქუფაში — გაბატონდა. ამ უკანასკნელში ნაკითხვის სამი ტრადიცია არსებობდა. თითოეული ტრადიციისათვის კი ნიშნეული იყო ტექსტის გადაცემის (არ-რივია) ორი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტი.

ეს სისტემა თანადათანობით სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა, თუმცა მაინც არსებობდა „ოფიციალურისაგან“ განსხვავებული შეხედულებანი.

ზოგი მუსლიმი ავტორიტეტი ათი ნამკითხველის ტრადიციაზე საუბრობდა, რომელთაგან თითოეული ტექსტს ასევე ორ ვარიანტად გადასცემდა, ზოგი მათგანი კი 14 ნამკითხველს ასახელებდა, რომელთაგან უკანასკნელ ოთხს ნაკითხვის მხოლოდ ერთი ვარიანტი ჰქონდა. ეს სისტემები ცნობილია, როგორც „სამი შვიდის შემდგომ“ და „ოთხი ათის შემდგომ“.

თუმცა რეალურად გავრცელდა იბნ მუჯაჰიდის მიერ აღნიშნული მხოლოდ ორი ტრადიცია: ქუფური — „ჰაფს (გარდ. 805) ან ასიმ (გარდ. 744)“ და უფრო ნაკლებად, მედინური — „ვარშ (გარდ. 812) ან ნაფი (გარდ. 685).“

„ნაკითხვათა ბრძოლა“, რომელთაც, სხვათა შორის, ტექსტის გაგების თვალსაზრისით ოდნავი გავლენა თუ მოახდინეს, წარმოშვა ცხარე პოლემიკა, რაც ისლამური თემის შიგნით არსებულ სერიოზულ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ უთანხმოებებს ასახავდა.

ეს იყო სახელმწიფოსა და „ოფიციალური ისლამის“ მიმართ მოსახლეობის იმედგაცრუების ხანა. IX-X საუკუნის აჯანყებები ხალიფას ძალაუფლების დამხობის მოწოდებებით მიმდინარეობდა. იმპერია ბოხოქრობდა. 930 წელს კარმატიელებმა მრუმე ქვა ქააბას ტაძრიდან გაიტანეს. დაიწყო შიიტთა იმამის „გაუჩინარება“ (ლაიბ). ისმაილიტთა „და'იების“ ქადაგებანი ათასობით მომხრეს იზიდავდა, ისმაილიტი ეგზეგეტიკოსები ყურანის დაფარულ საზრისს (ბატინ) განმარტავდნენ. იწყება ახალი სპარსული სალიტერატურო ენის აყვავების ხანა, რომელზედაც კეთდება ყურანის თარგმანებიც. საბოლოოდ 945 წელს ბაღდადი შიიტმა ბუიდეებმა აიღეს. ხალიფას ძალაუფლება მკვეთრად იზღუდება.

ყურანის ტექსტის უნიფიკაციის საკითხებზე მუსლიმ ავტორიტეტთა მუშაობის ბოლო ეტაპი კი სრულიად სხვა ისტორიულ პირობებში წარიმართა.

იბნ მუჯაჰიდის სიკვდილისა და „ნაკითხვის“ სისტემის სტაბილიზაციის შემდგომ მაინც რჩებოდა წმინდა ტექსტის არაერთგვაროვანი გაგების ალბათობა. დამუშავებული სისტემა რაიმეს, სასვენი ნიშნების მსგავსს, არ ითვალისწინებდა. ამიტომაც კვლავაც არსებობდა საფრთხე, რომ ზოგი სინტაქსურად რთული ფრაზა არასწორად გაეგოთ.

არსებული სისტემის ფარგლებში ამ პრობლემის მოგვარება ყურანის რეციტაციის მეცნიერების (ილმ ათ-თაჯვიდ) მეოხებით გახდა შესაძლებელი. ამ მეცნიერების მიზანი ტექსტის აზრობრივი დანაწევრების, კოდიფიკაციის, ფონეტიკური თავისებურებებისა თუ ყურანის რიტუალური ასპექტებისათვის ნიშანთა სისტემის შემუშავება და ამგვარი რეციტაციის მელოდიურ-რიტმულ მხარეთა დადგენა იყო.

ყურანის კითხვის წესები (კავა'იდ ალ-კირა'ა) დეტალურად აყალიბდნენ თანხმოვანთა ასიმილაცია-დისიმილაციის, მომდევნო ხმოვნების წარმოთქმაზე თანხმოვანთა ზეგავლენის, ფრაზული და აზრობრივი მახვილის დასმისა და სხვა მსგავს საკითხებს. ცხადია, რომ განსაკუთრებულ როლს პაუზათა რეგლამენტაციის (ვაკფ ვა იბთიდა') გარკვევა თამაშობდა. რადგან ტექსტში სასვენი ნიშნების ფუნქციით სწორედ პაუზათა მიმთითებელი საგანგებო ნიშნები იყო აღჭურვილი. სწორედ პაუზის ნიშნები განაპირობებდნენ თითოეული აიის აზრობრივი დატვირთვის ალქმას ცალკე და სხვა, მომდევნო თუ წინამავალ მუხლებთან კავშირში, ასევე ანესრიგებდნენ ყურანის ნამკითხველის სუნთქვის რიტმსა და ნაკადს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციამ შემოინახა თვითონ მოციქულის მიერ დაცული ათი თუ ჩვიდმეტი პაუზის ცნობა, მაინც ამ პერიოდისათვის დამუშავებული მთელი სისტემა არ ეყრდნობოდა გადმოცემას და, ამდენად, სათავეს არ იღებდა თვითონ წინასწარმეტყველისა თუ მისი უახლოესი მხლებლების რეციტაციის პრაქტიკიდან.

მთლიანად ეს დამუშავებული სისტემა ძალზე დანვრილებითი იყო და მას „მექანიკურად“ ვერ გამოიყენებდი. ის ძველებურად საჭიროებდა უამრავი საგანგებო წესის ცოდნას და მესხიერების დასახმარებლად იყო განკუთვნილი.

დიდი და ხანგრძლივი შერჩევის პროცესში საბოლოოდ რეციტაციის 5 სტილი დანარჩენებზე უფრო პოპულარული და გავრცელებული გახდა: თაჰკიკი, ჰადრი, თართილი, თატვირი და მუჯავვადი.

თანაც არც ყურანის ნამკითხველთა ინტერესები შებლალულა: ახალი სისტემა ისეთივე რთული იყო, როგორც თავდაპირველი, შედარებით სადა, და მისი ათვისებაც ხანგრძლივ, საგანგებო წვრთნასა და მეცადინეობას მოითხოვდა.

ეს არის მოკლედ ყურანის ჩანწერის ისტორია, როგორც ამას მუსლიმური გადმოცემა გვატყობინებს.

### 3. ყურანი — რწმენის წიგნი და ლიტერატურული ძეგლი

თუმცა ეს საკითხის დროითი (ისტორიული) პლანია. რაც შეეხება ზედროულ (თეოლოგიურ) პლანს, მუსლიმთა რწმენით, ყურანი ხელთუქმნელი წიგნია, რომელიც ზუსტად და სიტყვა-სიტყვით ასახავს ყველა იმ გამოცხადებას, რაც მუჰამადს ღვთისაგან ჯიბრით

ანგელოზის მეოხებით განეცხადა.

მუსლიმური კონცეფციით, ღვთის წიად, უფლის ტახტრევის მარჯვნივ ინახება ზეციური საღვთო დაფა ე. წ. „ალ-ლაჰჰ ალ-მაჰჰუზ“ (ჩვენი თარგმანით: „ღვთივდაცული სჯულის-ფიცარი“), რომელშიც ყველაფერი დეტალურადაა აღნუსხული და საიდანაც გამოცხადება ეძლეოდათ ღვთის მიერ ადამიანებთან მოვლენილ მოციქულებს.

პირველ მოციქულად მუსლიმური ტრადიცია ადამს მიიჩნევს, რომლის დედამინაზე გამოდევნის შემდგომ, დროთა განმავლობაში, მის შთამომავლებს ავინყდებოდათ ღვთიური კანონები. ამიტომაც ღმერთი ადამიანთა ყველა თემში გამოარჩევდა ხოლმე მათგანვე ერთ კაცს, რომელსაც მოციქულობის პატივით შეამკობდა და თავისი მცნებების თანამომძეებამდე მიტანას ავალებდა.

მუსლიმური ტრადიციით, საერთოდ (ადამიდან მუჰამადამდე) ღვთისგან 24 ან 25 ათასი მოციქული წარმოიგზავნა. მათგან ყურანში მოხსენიებულია 25, რომელთაგან ოთხი — იბრაჰიმი (აბრაამი), მუსა (მოსე), ისა (იესო) და მუჰამადი ყველაზე მნიშვნელოვან მოციქულებად ითვლებიან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყურანი მუჰამადის ნაქადაგევ ისლამს საერთაბრაამის-ტული ტრადიციის სრულმყოფად მოიაზრებს. ეს ახალი და საბოლოო სჯული კი იმისათვის გავრცელდა, რომ წინა რელიგიათა მიმდევრებმა ნაწილობრივ დაამახინჯეს ან გადაასხვაფერეს ღვთის სიტყვა და ახლა ამ სიტყვის ჭეშმარიტების აღსადგენად სწორედ ყურანია მოწოდებული. ამდენად, მუჰამადის გამოცხადება მთლიანად კი არ უარყოფს აბრაამისტული ტრადიციის ძველ საღვთო წერილებს (თავრათსა და ინჯილს), არამედ ამტკიცებს და ადასტურებს მათ გარკვეული კორექტივებით.

ეს კორექტივები იუდაიზმისა და ქრისტიანობის შემთხვევაში სხვადასხვა აზრობრივ ასპექტებს მოიცავს.

იუდეველებთან პოლემიკა ღმერთთან მათი ურთიერთობის არასწორი აღქმის შედეგია. ყურანის კონცეფციით, იუდეველებმა უსაფუძვლოდ მოირგეს ღვთის რჩეული ერის მანტია, გაამპარტავდნენ ამის გამო და უსამართლოდ ხოცავდნენ უფლისაგან მოვლენილ მოციქულებს. მოციქულებთან გაუცხოება კი წარმართობის ამა თუ იმ გამოვლინებასთან მათ მიბრუნებას განაპირობებდა.

ქრისტიანობის შემთხვევაში კი პოლემიკა ორ ძირითად და არსებით საკითხზეა. ყურანის თანახმად, ქრისტიანებმა დაამახინჯეს იესოს ქადაგების არსი იმით, რომ ის და დედამისი მარიამი, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და დანარჩენთაგან მხოლოდ უფლის მიერ მინიჭებული მადლით განსხვავდებოდნენ, ღმერთს გაუტოლეს. ამიტომაც, ყურანი კატეგორიულად უარყოფს წმინდა სამების ქრისტიანულ დოგმატს და ამას ქრისტეს მოძღვრების დამახინჯებად წარმოგვიდგენს.

გარდა ამისა, ყურანის მიხედვით, უარყოფილია ქრისტეს ჯვარცმა და სიკვდილიც. ამ საკითხზე ქრისტიანული წარმოდგენებისაგან განსხვავებით, მუსლიმთა საღვთო წიგნის მიხედვით, იესო „არც მოუკლავთ და არც ჯვარზე უცვიათ, არამედ მათ ასე მოეჩვენათ“.

პრაქტიკულად, როგორც იუდაიზმთან, ისე ქრისტიანობასთან პოლემიკისას, ყურანი განუხრელად იცავს აბსოლუტური მონოთეიზმის იდეას და უპირისპირდება წარმართობას, რომელთან ბრძოლაშიც შეურიგებელი და კატეგორიულია.

ჭეშმარიტი რწმენის საფუძველი ღვთის ერთადერთობის უპირობო აღიარებაა. ღმერთია ერთადერთი, დაუსაბამო და უსასრულო (უჟამო) აბსოლუტი, რომელმაც შექმნა ყოველივე და ყველაფერი მას ემორჩილება. ამიტომაც ღვთისთვის რაიმეს ჩაზიარება, წარმართობის ნებისმიერი გამოვლინება ყველაზე დიდ უსამართლობად და ცოდვად მიიჩნევა.

ღვთის რწმენა თავისთავად განაპირობებს მიღმიური, იდუმალი, დაფარული (ალ-ლაიბ) სამყაროს რწმენასაც, რომლის ორი ასპექტი — სამოთხე და ჯოჯოხეთი, პრაქტიკულად, ადამიანური ქცევის საპირწონედ წარმოისახება. ქვეყნიური ცხოვრება ერთგვარ გამოცდად განიხილება, სადაც ადამიანი, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა, მუდმივად აკეთებს არჩევანს სამოთხესა და ჯოჯოხეთს, ღვთის სასყიდელსა და სასჯელს შორის.



სამოთხისა და ჯოჯოხეთის რწმენასთან კი ორგანულადაა დაკავშირებული უკანასკნელი დღის, ბოლო ჟამის, უცდომელი სამსჯავროს რწმენაც, როცა დადგება ქვეყნიერების აღსასრული და მთელი დროითი ჟამის მანძილზე დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი უზენაესი მეუფის, „განკითხვის დღის მბრძანებლის“ მიერ განისჯება. ამ სამსჯავროზე სამართლიანობა იზეიმებს და ადამიანის სამართლიანობაც მისი გამართლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იქნება.

ყურანის მიხედვით, სამართლიანობა გულისხმობს ყველა იმ ასპექტის გულითადად აღიარებას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მუჰამადის ზეციური მისიის, მისი მოციქულობის უპირობო დადასტურებით.

სხვათა შორის, ყურანის მტკიცებით, ამას არც წინა ტრადიციის საღვთო წერილები უარყოფდნენ, სადაც, ყურანის თანახმად, მუჰამადის მოვლინება იყო ნანინასწარმეტყველები, და ამ სჯულის მიმდევართა მხრიდან მათი საღვთო წერილების დამახინჯება იმაშიც გამოიხატა, რომ დამალეს, გადაასხვაფერეს ან შერყვნეს ტექსტის ეს ფრაგმენტებიც.

ამდენად, სჯულის აღიარების ფორმულის ორი ნაწილი: ა) „ვადასტურებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“ და ბ) „ვადასტურებ, რომ მუჰამადია მისი მოციქული“ — სამართლიანობის პანაცეად განიხილება და ყველა იმ პოსტულატის აღიარებას მოიცავს, რაზედაც ადამიანის სულის ცხოვნებაა დამოკიდებული.

ამიტომაც აღარ იქნება მუჰამადის შემდგომ მოციქული და ამიტომაც უნოდებს ყურანი მას „ხათიმ ალ-ანბია“-ს“ ანუ წინასწარმეტყველთა ბეჭედს, რომელმაც სრულყო და დაბეჭდა სამოციქულო ტრადიცია კაცობრიობის მთელ ისტორიაში.

აი, ძალზე მოკლედ, ყველა ის აზრობრივი კალაპოტი, რომლებშიაც იტოტება ყურანის ღრმა, არაერთგვაროვანი, მრავალშრიანი და მრავალგანზომილებიანი შინაარსი.

მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ევროპელი აღმოსავლეთმცოდნენი და ლიტერატურის ისტორიკოსები ყურანს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად აფასებდნენ და ეს შეფასებები უკიდურესი კრიტიკულობიდან უკიდურეს აღფრთოვანებამდე მერყეობდა.

წიგნი, როგორც არაბული ლიტერატურის ორგანული ნაწილი, ბუნებრივად აგრძელებს და ავითარებს წინაისლამური ხანის არაბული სიტყვიერების საუკეთესო ტრადიციებს.

ტრადიციულად მის სტილს აკავშირებენ ამ და შემდგომი ხანის არაბულ მწერლობაში გავრცელებულ ჟანრთან, რომელსაც საჯ'ს' ანდა თასჯი'ს უწოდებდნენ. საჯ'ი რითმანარევი რიტმული პროზაა და მკვლევართა ვარაუდით, იგი უფრო ადრეულია, ვიდრე პოეზიის უკვე ჩამოყალიბებული საზომებით შექმნილი ლექსები. საჯ'ი გვხვდება აბისინიელებთან, მათ ძველამჰარულ ხალხურ სიმღერებშიც კი, რომლებიც რაიმე უცხო ზეგავლენის გარეშე წარმოიშვა.

გოლდციერის შენიშვნით: „სალექსო საზომებს რაც შეეხება (კერძოდ, მათგან ყველაზე ძველ იამბიკურსა და რაჯაზს, რომელსაც ზოგი არაბი თეორეტიკოსი სალექსო საზომად არც მიიჩნევს), ისინი უკვე რითმიანი პროზიდან აღმოცნდნენ, ამ პროზის დანაწევრება-დაყოფის შედეგად და ასეთი აღმოცენების კვალდაკვალ დარჩა ჩვეულება, დამთავრებულიყო მთელი ლექსი ერთი და იმავე მარცვალზე აწყობილი რითმით“.

ასეა თუ ისე, ყურანის სტილი ბუნებრივად იყო განპირობებული სათქმელის დანიშნულებითა და ფუნქციური აუცილებლობით: ეს უნდა ყოფილიყო ზეპირი ქადაგება, რომელიც რაც შეიძლება მეტი მსმენელის გულისყურს მიიპყრობდა. რითმანარევი რიტმული პროზა ყველაზე უკეთ ერგებოდა აღნიშნულ ამოცანებს: წმინდად სტრუქტურული დონის პროზაული ელემენტი სათქმელის აზრობრივ ტევადობას უზრუნველყოფდა, პოეტური მუხტი (ანდა, თვითგამოხატვის პოეტური საშუალებანი) კი აუდიტორიით ემოციური მანიპულირების გასაქანს იძლეოდა.

ზემოთაც აღნიშნა, რომ მორწმუნე მუსლიმისათვის ყურანი ხელთუქმნელი სიტყვაა ღვთისა, რომელიც საუკუნეთა წინარე თავის ამჟამინდელი სახით არაბულ ენაზე არსებობდა. ეს არის ყველაზე უფრო სრულყოფილი წიგნი როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით და ამიტომაც ეწოდება მის თითოეულ მუხლს „აია“ — „სასწაული.“

ამ აღფრთოვანებას, პრინციპში, ევროპელ ორიენტალისტთა ნაწილიც იზიარებდა. თუმცა სურათა უსისტემო განლაგება თითქმის ყველა ევროპელ მკვლევარს მოსაწყენად და მოსაბეზრებლად ეჩვენებოდა, მაგრამ მათი აზრი სტილთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია.

ე. ა. კრიმსკი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მახვილგონივრულად შენიშნავდა: „ის, რომ ყურანით, ყოველშემთხვევაში, ბოლო სურებით, შესაძლებელია ძალზე დახვეწილი გემოვნების ადამიანებიც აღფრთოვანდნენ, კარგად ჩანს პუშკინის მაგალითიდანაც, რომელმაც ყურანის ნაბადვით (სხვათა შორის, ძალზე ნარუმატებელი) ლექსები დაწერა. ბართელემი სენტ ილერიისა და სედილიოს აღტაცება კი, ეტყობა, მუჰამად მოციქულის მიმართ მათი სიმპათიით აიხსნება. სტენლი ლენ-პოლმა თავისი წიგნი ასე დაასათაურა: „ყურანი, მისი პოეზია და ძალმოსილება“ (პარიზი, 1882). სხვა მეცნიერები, რომლებიც ობიექტურობას ესწრაფოდნენ, არ ეყრდნობიან საკუთარ შეგრძნებებს და ცდილობენ ახსნან, რა ესთეტიკური ღირსებანი შეიძლება ჰქონდეს ყურანს არა ჩვენი, არამედ მუჰამადის თანამედროვე არაბთა თვალსაზრისით. რენანი ყურანს არაბული ლიტერატურის პროგრესისა და განვითარების სტადიად აფასებს, რამდენადაც ის ასახავს გადასვლას პოეტური სტილიდან პროზაზე, პოეზიიდან ჩვეულებრივ მეტყველებაზე.“

ნოლდეკე შეგვახსენებს, რომ ბევრი რამ, რაც ბიბლიის საშუალებით ბავშვობიდანვე შეგვითვისებია და ამიტომაც იქნებ გაცვეთილი გვეჩვენებოდეს, მუჰამადის თანამედროვეთათვის სრულიად ახალი იყო და გამაოგნებელ ნიმუშებად წარმოდგებოდნენ. სხვა მხატვრული ხატებიც (მაგალითად, ღვთის დიდებულებისა და ყოვლისშემძლეობის დასაბუთება ვარვარა უდაბნოში მოსული თავსხმის შედეგებთან შედარების მოშველიებით) ამ ადამიანთათვის არაჩვეულებრივად ცოცხალი და მრავლისმთქმელი იქნებდა. მეორეს მხრივ, პოეზიის შეტანა, ვთქვათ, მემკვიდრეობითი სამართლის კანონებში უადგილო და გაუმართლებელი უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს იმ ყბადაღებულ რიტორიკულ მტვერსაც, თუკი შთაბეჭდილებას მსმენელზე ახდენს და არა მკითხველზე, თავისი — თუმცა კი არაპოეტური — მომხიბლაობა აქვს. ამდენად, — აცხადებს ნოლდეკე, — ყურანის ყველა მხატვრული ნაკოლოვანება საპატიებელია იმიტომ, რომ ის იყო არაბულ ენაზე რაიმე ღირებული პროზაული ნაწარმოების შექმნის პირველი მცდელობა (ისლამამდელ არაბებს სტილი კარგად შემუშავებული მხოლოდ პოეზიისათვის ჰქონდათ).“

აღსანიშნავია, რომ ევროპული კრიტიკრიუმებით მოაზროვნე რენანიც, ნოლდეკეც და სხვა უამრავი მკვლევარი-ორიენტალისტიც ყურანს არასახარბილო შეფასებას აძლევენ. რენანი აცხადებს, რომ „ბოლო სურათა გამოკლებით ყურანის ხანგრძლივად კითხვა აუტანელი პროცესია.“ ნოლდეკე კი, თუმცა ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ „წინასწარმეუმზადებელ (ან არამორწმუნე) მკითხველს ყურანი მხოლოდ მცირედ ესთეტიკურ ტკბობას თუ განაცდევინებს.“ და, რომ „ყურანში პოეზია რიტორიკითაა ჩანაცვლებული“.

დოზი კი უფრო შორსაც მიდის და, რბილად რომ ვთქვათ, მუსლიმთა საღვთო წიგნის მხატვრულ-ესთეტიკურ თავისებურებებს უკიდურესად კრიტიკულად აფასებს.

სხვათა შორის, ასეთი კრიტიკული შეფასებები ორიენტალისტიკის განვითარების მაშინდელ ეტაპზე სავსებით ბუნებრივია. ყურანი სრულიად ახალი, უცხო სამყარო იყო თვით აღმოსავლეთის აღიარებული მკვლევარებისთვისაც. უცხოთან პირველი შეხება კი ძალაუნებურად ინვესს გაუცხოებას, რაც შეიძლება არცთუ იშვიათად, აგრესიაშიც კი გამოვლინდეს.

ამ თვალსაზრისით ძალზე საგულისხმოა კრიმსკის ერთი ჩანაწერი, რომელსაც აქვე — ციტატის სიდიდის მიუხედავად — დავიმონშებთ: „აღმოსავლეთმცოდნეობაში ჩემი მოღვაწეობის პირველი წლებისას ყურანი ისეთ დამქანცველ მოწყენილობას მგვრიდა, როგორც, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ხოლმე მესამეხარისხოვან მგოსანთა კითხვისას. აქ პოეზიის ცალკეული გამონათებანი ვერ სწონიან იმ წყალწყალა რიტორიკას, რაც ამ ტექსტში მთლიანობაში მეფობს. დღემდე მახსოვს ის ძნელი ვითარება, რაშიც თვით 1892 წელსაც კი პროფესორ პ. გ. ვინოგრადოვის თხოვნამ ჩამაყენა — მიმეთითებინა შუასაუკუნეთა ისტო-

რიის ქრესტომათიისათვის, რომლის გამოცემასაც აპირებდა, ყურანის რამდენიმე პოეტური სურის ნიმუში. ჯერ 16-ე სურაზე შევჩერდი და ვიგრძენი, რამდენად ჩამორჩებოდა იგი ანალოგიურ 103-ე ფსალმუნს (სამყაროს შექმნის შესახებ), მერე 48-ე სურა გადავიკითხე (მოსრილი ბალის მოსავალზე) და სინანულით გამახსენდა კალიათა შემოსევა მცირე წინასწარმეტყველ იოილიასთან.

მაგრამ ამის მერე მომინია უფრო და უფრო ღრმად წამეკითხა მუჰამადის ისტორია და გამეთავისებია მისი ფსიქოლოგია, დიდხანს მომინია არაბთა შორის მახლოებულ აღმოსავლეთში ცხოვრებამა და მეჩეთებში ყურანის ყურის გდება, საზეიმო, ამაღლებულ ვითარებაში. შედეგად კი აღმოჩნდა, რომ ჩემთვისვე შუმჩნევლად ყურანი პირდაპირ შემყვარებოდა. მისი კითხვისას ისეთსავე სიამოვნებას განვიცდი, როგორც, მაგალითად, სიმპატიური და ახლო ნაცნობი ადამიანის თხზულებას რომ ვკითხულობ. ხოლო ჰამერს ისეთი სურაც კი აღაფრთოვანებდა, როგორიცაა 109-ე („ურნმუნონი“).

სხვათა შორის, აქ რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტია ხაზგასმული. უპირველესად ის, რომ ყურანის, როგორც ყველა დიდი თხზულების (თუ ამ შემთხვევაში წიგნს, როგორც მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებს, ისე წარმოვიდგენთ) აღსაქმელად და გასააზრებლად მისი ერთხელ და თუნდაც არაერთხელ წაკითხვა არა კმარა. ჩვენ ხომ დიდ ნაწარმოებებთან, დიდი წიგნებთან ერთად იმიტომაც ვიზრდებით, რომ მათ ჩვენი წინასწარაკვატიებული განწყობების, შეხედულებებისა და გემოვნების შეცვლა თანდათანობით შეუძლიათ.

გარდა ამისა, ევროპელთა შეფასებებში — ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთმოდნეობის იმ ეტაპზე, რა დროსაც ზემოთდამონმებული ავტორები მიეკუთვნებიან — აშკარად ჩანს ერთი რამ: ისინი ყურანს აფასებენ, როგორც მხოლოდ მხატვრულ (უფრო კონკრეტულად — როგორც მხოლოდ პოეტურ) ნიმუშს და თანაც აფასებენ პოეზიის მათ დროს მიღებული და გაბატონებული აღქმის კრიტერიუმებით. მაგრამ თვითონ მხატვრულობის ცნებაც ხომ არაა აბსოლუტური და ის უამრავ ფაქტორზე, მათ შორის ადამიანის საცხოვრებელ სივრცესა თუ გარემოზეცაა დამოკიდებული. ის, რაც აღმოსავლეთისათვის პოეზიაა, დასავლეთში შესაძლოა რიტორიკად აღიქვან, ხოლო დასავლური პოეზია ეგებ აღმოსავლელს მშრალი, ვნებისაგან დაცლილი და, ამდენად, სავსებით არაპოეტური მოეჩვენოს.

გარდა ამისა, თუ მცდარი არა, რაღაცით უკმარია რენანის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ყურანის მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა მისი თანამედროვე არაბების შეფასებანი გავითვალისწინოთ. რენანის ამ თეზას მარჯვედ გამოეხმაურა დოზი და თავის მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომში ცალკე თავი მიუძღვნა ამ თემას, სადაც აღნიშნავდა, რომ „მუჰამადის თანამედროვეებზე ყურანმა სავსებით უფერული, სუსტი შთაბეჭდილება დატოვა. იმხანად არაბები ცივილიზაციისა და განვითარების ძალზე მაღალ საფეხურზე იდგნენ — ვგულისხმობ არა ნივთიერ, არამედ გონებრივ ცივილიზაციას — და, ამასთანავე, მუჰამადი უბრალო ენთუზიასტი იყო. რაც შეეხება ყურანით მოგვრილი შთაბეჭდილების გამო ადამიანთა ისლამზე მოქცევის ამა თუ იმ შემთხვევას, ეს მეტწილად მხოლოდ თქმულებებია და არა ნამდვილი ისტორია.“

ჩვენი აზრით კი ლიტერატურული ნაწარმოები თანამედროვეებსა და შთამომავლობაზე მისი ზეგავლენით უნდა შეფასდეს და არა იმის მიხედვით, როგორ უყურებდა მას თავის დროზე ესა თუ ის შურიანი ობივატელი.

ხოლო ყურანმა, როგორც თუნდაც მხატვრულმა ნაწარმოებმა, იმხელა გავლენა იქონია მთელი შემდგომდროინდელი არაბული და მუსლიმური ლიტერატურის განვითარებაზე, რომ ამ მხრივ მას აღმოსავლეთში — არცერთი სხვა წიგნის, დასავლეთში კი შეგვიძლია მხოლოდ ბიბლიის ზეგავლენა შევადაროთ.

ყურანი არა მხოლოდ კვებავდა და დღემდე კვებავს აღმოსავლურ ლიტერატურას თემებით, სიუჟეტებით, მხატვრულ-სტილური საშუალებებით, არამედ მის გამო შეიქმნა და განვითარდა მეცნიერების არაერთი დარგი. თვითონ არაბული ფილოლოგიის არნახული და შუა საუკუნეებისათვის უცნაური აყვავებაც, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სწორედ

ყურანთანაა დაკავშირებული. ყურანის ენობრივ თავისებურებათა კვლევამ განაპირობა არაბული ფილოლოგიის ისეთი მაღალი დონე, რაც დღემდე სანიშნოდ რჩება თანამედროვე ევროპული მეცნიერებისათვის.

კაცმა რომ თქვას, სწორედ დროსა და სივრცეში ზემოქმედების მიხედვით თუ შევაფასებთ, ყურანის ენა თავისთავადაა სასწაული, რადგან ეს ენა დღეს უკვე ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულ არაბულ ქვეყნებს კულტურულ და მენტალურ ერთობას უნარჩუნებს.

კლასიკურ არაბულზე, საფუძვლად, პირველ რიგში, ყურანის ენა რომ უდევს, დღეს უკვე ჩვეულებრივ ყოფაში თითქმის აღარავინ საუბრობს. არაბული ქვეყნების ენობრივ ვითარებას, რასაც შესაბამისი დარგის ოპტიმისტურად განწყობილი სპეციალისტები დიგლოსიად, ხოლო პესიმისტები — ბილინგვიზმად აფასებენ, დიალექტთა სიუხვე გამოარჩევს. ეს დიალექტები პრაქტიკულად ცალკე, დამოუკიდებელი ენებია. მაგრამ არაბებს სირიიდან მაროკომდე აერთიანებთ ყურანის ენა, რომელიც, თუ ერთი გერმანელი ფილოსოფოსის სიტყვების პერიფრაზს მოვიშველიებთ, არა მათი ყოფიერების, არამედ მათი ცნობიერების, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდენტობის სახლია.

არაბული ქვეყნების ამ ძრელ და აჭრილ ვითარებაში ყველგან, სადაც კი კულტურისა და ცივილიზაციის ნიშანწყალი ფეთქავს — სკოლებსა და უნივერსიტეტებში, პრესასა და ტელევიზიაში, ნაწილობრივ თეატრსა და კინოში და, უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ლიტერატურაში ისმის კლასიკური სალიტერატურო არაბული — „ალ-ფუსჰა“ — „ხატოვანი“ ენა, რომელიც ყურანს, ყურანის არაჩვეულებრივ, განუმეორებელ არაბულს ეფუძნება.

რუსი აღმოსავლეთმცოდნე ეფიმ რეზვანი თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „ყურანი და მისი სამყარო“ ყურანის ენასთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „აუცილებელია ითქვას, რომ ყურანის ენის ერთ-ერთი ძირეული თავისებურება ისაა, რომ მან სკრუპულოზურად დააფიქსირა განსაზღვრულ დროსა და ადგილას, კერძოდ კი VII საუკუნის პირველ მესამედში არაბეთის დასახლებულ, სამინათმოქმედო ცენტრთა „ცოცხალი“ მეტყველება. ეს ენა აღწერდა რეალურ სამყაროს, როგორც ის წარმოუდგებოდა იმ დროს მცხოვრებ ადამიანს, რომელიც იმ ფუნდამენტურ ცვლილებათა ცენტრში იმყოფებოდა, რასაც არაბეთის საზოგადოება მოეცვა და რაც, ბუნებრივია, ენაზედაც აისახებოდა.“

ყურანის ენის საკითხი კი, დამოუკიდებელი სამეცნიერო პრობლემის სახით, პირველად 1784 წელს როტერდამში დასტამბული ყურანის ლექსიკონის ავტორმა ჯ. უილმეტმა წამოჭრა. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემას უპირველესად სხვა საკითხებს უქვემდებარებდნენ და მხოლოდ თარგმანის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრიდნენ.

XIX საუკუნის დამლევამდე ევროპულ ორიენტალისტიკაში გაბატონებული იყო შეხედულება ყურანის ენის, როგორც კურაიშელთა ტომის ენის შესახებ, რომელიც ამავდროულად კლასიკური არაბული პოეზიის ენადაც გვევლინებოდა. ამ შემთხვევაში ევროპელი სპეციალისტები ეყრდნობოდნენ შუასაუკუნეების მუსლიმ მეცნიერთა უმრავლესობის აზრს, რომ კურაიშელებმა, ისევე, როგორც ისლამამდელმა არაბმა პოეტებმა, „სუფთა არაბული“ შემოინახეს.

აღნიშნული თეორიის უარყოფას შეეცადა კარლ ფოლერსი, რომლის სტატიათა სერიაც (პირველი დაიბეჭდა 1894წ.) 1906 წელს მონოგრაფიით დაგვირგვინდა (Volkssprache und Schriftsprache im alten Arabien, Strassburg, 1906) და ამ მონოგრაფიამ ყურანის ენის შესახებ ცხარე სამეცნიერო დისკუსია გამოიწვია. ფოლერსი ამტკიცებდა, რომ ყურანის ტექსტს მუჰამადი „სალაპარაკო ენაზე“, უფლექსიოდ (ი'რბ) წარმოთქვამდა და ორიგინალის „ბარაბაროსული სინტაქსი“ ძნელად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა იმ ლაქში, ტექსტს არაბმა ფილოლოგებმა რომ გადაუსვეს. ფოლერისის თეორიამ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მხარდაჭერა მაინც ვერ მოიპოვა და მრავალი წლის შემდგომ არსებითად მხოლოდ პოლ კალემ შეძლო ამ თეორიის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები მოეყვანა. ფოლერსის ოპონენტთა — თ. ნოლდეკესა და რ. ჰაიმერის თეორია კი სამეცნიერო წრეებში ფართოდ მიღებული იყო. თეოდორ ნოლდეკემ, რომლის თეორიასაც მისი მოწაფე ფ. შვალცი, — თავისი მასწავლებლის სახელგანთქმული ნაშრომის „ყურანის ისტორიის“ გადამამუშავებელიც, — იზიარებდა, წამოაყენა ჰიპოტეზა,

რომლის თანახმადაც, ყურანის ენად მოგვევლინა რაღაც ხელოვნური Hochsprache (ზეენა, მეტაენა ან: მხატვრულ ნიმუშთა ენა), რომელიც ჰიჯაზის ყველა მხარეში ესმოდათ.

წინა საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს თ. ნოლდეკე - ფ. შვალის პოზიცია კრიტიკულად გაიაზრეს და მინიმუმ სამი სპეციალისტი (ხ. რაბინი, რ. ბლაშერი და ჰ. ფლაიში) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყურანის ენა არაბეთის სალიტერატურო, ზედალექტური, პოეტური კონინეა, რომელსაც ალაგ-ალაგ მექის სალაპარაკო ენის გარკვეული ელემენტები ერევა.

დღეს ამ თვალსაზრისს იზიარებს სპეციალისტთა უმრავლესობა. სანინალმდეგო აზრი გამოთქვა მხოლოდ ჯ. უონსბორომ, რომელმაც აღნიშნა, რომ ყურანის ენის შესახებ ძეგლის საბოლოო ჩანერამდე, რაც, მისი აზრით, მხოლოდ IX საუკუნეში განხორციელდა, პრაქტიკულად, არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

თუმცა მხარეთა არგუმენტების გაანალიზებისას შეუძლებელია არ გაგინდეს აზრი, რომ ხშირად ეს არგუმენტები მხოლოდ მკვლევართა ინტუიციას ეფუძნება და უპირველესად შუასაუკუნეთა მუსლიმი ავტორების თხზულებათაგან ნასესხები ფაქტებითაა გამყარებული (ე. რეზვანი).

ისლამამდელი არაბული დიალექტების, მათი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის საკითხებისადმი მიძღვნილმა კვლევამ აჩვენა, რომ არაბული ენის განვითარებული წყობა და ლექსიკურ-გრამატიკული სისტემების შედარებით მყარი და რეგულარული ხასიათი ამ ენის პირველივე ძეგლებში — ისლამამდელ პოეზიასა და ყურანში — გრამატიკულ ფორმათა ჩამოყალიბებისა და შერჩევის ხანგრძლივ პერიოდზე მიუთითებს. კვლევამ აჩვენა ისიც, რომ წინასწარმეტყველის დროს ცენტრალური არაბეთი ორ დიდ დიალექტურ ზონად იყოფოდა — აღმოსავლურ („თამიმის ენობრივი ვარიანტები“) და დასავლურ („ჰიჯაზის ენობრივი ვარიანტები“) ზონებად, რომელთა საზღვარიც პირობითად სადღაც ნაჯდის შუაგულში გაივლიდა.

პრობლემის გააზრების დღევანდელი დონე საშუალებას გვაძლევს ყურანში დავინახოთ „ასახვა იმგვარი ინტეგრირებადი ზეპირი (სამწერლობო და უმწერლობო ენათათვის საერთო) ფორმებისა, როგორცაა: საკრალური ენის ფორმა, პოეტური ენის ფორმა (კონინე), საყოფაცხოვრებო მეტყველების ფორმა და ტომთა შორის ურთიერთობისათვის გამიზნული კონინე“ (ა. ბელოვა, „ისლამამდელი ხანის არაბული დიალექტების ინტეგრაცია და დიფერენციაცია“, აკად. ე. ი. კრაჩკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია არაბული კულტურის პრობლემებზე, მოსკოვი, 1983)

მკვლევართა აზრით, ზემოთ ჩამოთვლილთაგან ბოლო ფორმა, როგორც ჩანს, მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და ცოცხალ დიალექტთა თავისებურებებისა თუ არქაულ ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმათა შერწყმა შეეძლო.

თუმცა მთლიანობაში აუცილებელია ყურანის ენის უნიკალურობის გააზრება და თანადროულ ენობრივ მასალასთან მისი შესაძლო შეპირისპირების საზღვრების დადგენა. რეზვანის შეხედულებით, ცვეტლერის დასკვნა, რომ ყურანი ზეპირი პოეზიის ენის ჩანერის პირველი მცდელობაა, მხოლოდ შედარებით ზოგადი აზრითაა მართებული და ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განვიხილავთ შეპირისპირებას: „პოეზიის ენა — ყურანის ენა“, მაგალითად, ამ ენათა ფორმულური საფუძვლის გარკვევისას, რომელიც წარმოშობის ზეპირი ხასიათითაა განპირობებული.

ყურანის Lingua sacra თავისი „ფართო სემანტიკური სპექტრით“, „დამრიგებლური სტილითა“ თუ „სტერეოტიპული და რიტორიკული სინტაქსით“ (უონსბორო) შეიცავს განსაკუთრებულ აზრობრივ კოდს, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული, როგორც სიტუაციურ, ასევე ფართე სოციალურ-კულტურულ კონტექსტთან.

რ. მარტინი აღნიშნავდა, რომ „დანვრილებითი ანალიზისას ყურანის ტექსტებში შეიძლება გამოვლინდეს „თემატური მარკერები“, რომლებიც მუჰამადის მსმენელებში იწვევდნენ იმ ასოციაციებს, რაც ქადაგების შინაარსს ტვირთავდა ყურანის ტექსტის მიღმა მდებარე, მაგრამ მის კოსმოგონიასთან დაკავშირებული სიმბოლური მნიშვნელობით.“

გამოჩენილი ინდო-პაკისტანელი რელიგიური მოღვაწე აბულ-‘ალა’მადედუდი (1903-1979)



თავის „ყურანის განმარტებაში“ წერდა, რომ მუჰამადის მიერ წარმოთქმულ ქადაგებებში უმნიშვნელოვანეს როლს ინტონაცია, ხმის მოდულაცია, უესტიკულაცია და სახის გამომეტყველება თამაშობდა.

ასეთი ტიპის წერილობით ფიქსირებული ტექსტის ბუკვალური გადატანა შეუძლებელია ადეკვატური ყოფილიყო და, უეჭველია, ეს ვითარება ყურანის ტექსტის სტრუქტურულ თავისებურებებზეც აისახა. ამასვე მიუთითებდა მ. ზისტერიც, რომელიც 1931 წელს წერდა იმის შესახებ, რომ თავისი წინასწარმეტყველური მოღვაწეობისას მუჰამადს შეეძლო გაემორებინა ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე. მარჯვე შედარებას, რომლის ზემოქმედებაშიც ერთხელ უკვე დარწმუნებულიყო, იგი ყველა ხელსაყრელ ვითარებაში გამოიყენებდა. ამიტომაც იმას, რაც ახლა ჩვეულებრივ კითხვისას მონოტონური ანდა ერთფეროვანი გვეჩვენება, ცოცხალი გადაცემისას მუდამ შეეძლო თავისებური გავლენა მოეხდინა.“

რაც შეეხება ყურანის, როგორც ისტორიული წყაროს, ლექსიკის მეცნიერულ შესწავლასა და საამისოდ გამიზნული მეთოდოლოგიის შემუშავებას, ევროპულმა მეცნიერებამ ამ პრობლემებს ყურადღება XIX საუკუნის შუახანებში მიაქცია, როცა ევროპული ლინგვისტიკის აყვავების ხანა დადგა და მათ შორის სემიტოლოგიაც არნახული ტემპით განვითარდა.

სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა ი. ბარტის, ს. ფრენკელის, ხ. გრიმესა და ა. სიდდის ნაშრომთა სერია, რომლიც ენობრივ ურთიერთობებსა და ყურანის ლექსიკას ეძღვნებოდა.

აღნიშნულ ნაშრომებში განიხილებოდა იმ ცვლილებათა ხასიათი, რასაც უცხოური წარმომავლობის სიტყვათა ფორმა და სემანტიკა არაბულში შესვლისას განიცდიდა, მოცემული იყო ყურანის ენის სალექსიკონო ფონდის დახასიათება და მონიშნული იყო არაბეთში გარედან შემოსულ იდეათა და ცნებათა შემოსვლის გზები.

იმ დროისათვის გაბატონებულმა აზრმა მუჰამადის იდეათა, როგორც გარე ფაქტორთა შედეგების შესახებ, განსაზღვრა ო. პაუტცის, ჰ. ჰირშფელდის, ა. ლამენსის, პ. კაზანოვასა და სხვათა ნაშრომების ძირითადი თემატიკა. ეს მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში ყველა ხელმისაწვდომ სემიტოლოგიურ მასალას იყენებდნენ. კერძოდ, ჰირშფელდი აღნიშნავდა, რომ მუჰამადი თავის იდეათა და აზრთა გადმოცემის მცდელობისას საამისოდ არაბულ ენაში საჭირო საშუალებებს ვერ პოულობდა.

საკითხის ამგვარად დასმამ ყურანში ენობრივ ნასესხობათა კვლევა წაახალისა.

მუსლიმ ღვთისმეტყველთა იმ თხზულებათაგან, რომელიც ყურანის შექმნილობა-ხელ-თუქმნელობის თაობაზე პოლემიკას ეძღვნებოდა, ევროპელმა მეცნიერებმა ის ნაშრომები გამოიყენეს, სადაც ტექსტის შექმნილობის თეზას მასში სხვა ენებიდან შემოსულ სიტყვათა სიმრავლით ამყარებდნენ. კერძოდ, ჯალალ ად-დინ ას-სუიუტის ცნობილ ტრაქტატზე დაყრდნობით, ა. შპრენგერმა და რ. დვორჟაკმა ყურანში სხვა ენებიდან შესული არაერთი სიტყვა გამოავლინეს. ამ მიმართულებით მუშაობა, ძირითადად, 1938 წელს დასრულდა, როცა ა. ჯეფერის „ყურანის უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ გამოვიდა.

ყურანის კვლევის დღევანდელ ავტორიტეტთა აღიარებით, მთლიანობაში კვლევის ეს მიმართულება ძალიან სცოდავდა, რადგან საკითხის შესწავლისას თითქოს საგანგებოდ ცდილობდნენ, ყველა სიტყვა უცხო წყაროებთან დაეკავშირებინათ. გარდა ამისა, ამ ნაშრომებში შეიძლება ვნახოთ ისეთი დასკვნები და შენიშვნები, რაც პრობლემის არაერთმნიშვნელოვნებაზე მიუთითებს.

მაგალითად, იგივე ჰირშფელდი აღნიშნავდა, რომ ყურანის შესწავლისას ერთ-ერთ პრინციპულ სირთულედ წარმოდგება იმისი გარკვევის აუცილებლობა, ესა თუ ის იდეა ან გამოთქმა მუჰამადის სულიერი მონაპოვარი იყო თუ გარედან ნასესხები, როგორ შეიტყო მან ამის შესახებ და რამდენად შეცვალა იგი, რათა თავისი მიზნების სამსახურში ჩაეყენებინა.

ა. ლამენსი შრომაში „ისლამის აკვანი“ მიუთითებდა, რომ მუჰამადის ქადაგებათა ენას შესაძლოა ანალოგიები წარმართული არაბეთის ენობრივ წარსულში დაძებნოდა. ი. გოლდციერი კი 1925 წელს წიგნში „ისლამის სალექციო კურსი“ ქაჰინთა და ხატიბთა მეტყველებასთან მუჰამადის ქადაგებათა არა მხოლოდ სტილისტურ, არამედ ლექსიკურ კავშირებზეც

მიუთითებდა.

ერთი წლის შემდეგ ქვეყნდება ა. ლამენსის გამოკვლევა „ისლამამდელი სინმინდენი დასავლეთ არაბეთში“. აქ ავტორი ისლამთან დაკავშირებით თავის უწინდელ აზრზე დარჩა და მას კვლავაც ბიბლიური მონოთეიზმის არაბულ ადაპტაციად მიიჩნევდა, თუმცა განიხილავდა თვითონ არაბეთის კულტურულ შენატანსაც ისლამის ფენომენში. ამ მიზნით მკვლევარმა ყურანის ლექსიკის გაანალიზების ახალ მეთოდი გამოიყენა. მეთოდის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სიტყვათა მნიშვნელობა და ცნებათა შინაარსი მხოლოდ ყურანის კონტექსტის მიხედვით, საკომენტარო ლიტერატურის გაუთვალისწინებლად აიხსნას, რადგანაც ეს ლიტერატურა, ჩვეულებრივ, მოგვიანებით და გაცილებით განვითარებული რელიგიური ცნობიერებით შემუშავებულ მნიშვნელობებს ამკვიდრებდა. ა. ლამენსმა სცადა ტერმინის სემანტიკა ლექსიკურ გარემოცვაში მისი ანალიზის მეშვეობით აეხსნა.

კანონზომიერია, რომ ლამენსის ამოსავალი წერტილი ყურანის ლექსიკის ნასესხობათა თაობაზე კვლევის მისსავე მეთოდს ეწინააღმდეგება, რამდენადაც თავისი კვლევის შედეგთა დასამტკიცებლად, რომლებიც, სხვათა შორის, ასევე ეწინააღმდეგება ამოსავალ წერტილს, მეცნიერი ყურანში ახალი სიტყვების გაჩენის გარე წყაროებს კი არა, ისლამამდელ არაბულ პოეზიას მიმართავდა.

ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზები რუსი აღმოსავლეთმცოდნის კ. კაშტალევისა და გერმანელი ორიენტალისტის კ. კუნსტლინგერის შრომებში გამოიკვთა, რომელიც თითქმის ლამენსის ნაშრომის თანადროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაიწერა.

კაშტალევამ თხზულებაში „ყურანის ლექსიკის ახლებური გააზრებისათვის“ ყურადღება ამ ძეგლის მიერ შემოტანილი ახალი ცნებების სიმრავლეზე, აქ ძველი ძირების ახალი შინაარსით დატვირთვასა და ახლებურ გადააზრებაზე გაამახვილა. კაშტალევა დარწმუნებული იყო, რომ ყურანის თითოეულ ტერმინში სათანადოდ განვითარებული და გადამუშავებული ცნება თუ მოვლენა უნდა დაგვეჩინა.

კონტექსტური ანალიზის მეთოდმა კ. კაშტალევას საშუალება მისცა ყურანის რიგი ტერმინების მნიშვნელობათა ევოლუციასა და მუჰამადის როლის ცვლილებას შორის, რომელიც მედინურ ხანაში არა მხოლოდ სასულიერო, არამედ პოლიტიკური მეთაურიც გახდა, კავშირი დაედგინა. ამავე მეთოდის გამოყენებით მკვლევარმა შეძლო ყურანის ტექსტის ზოგი „ბუნდოვანი ადგილი“ ეთარგმნა და სურათა წარმოთქმის ქრონოლოგიის დასადგენად მნიშვნელოვანი დამატებითი მასალა მოეძიებინა.

შემდგომ მეტ-ნაკლები წარმატებით ამ მეთოდს მრავალი სპეციალისტი იყენებდა, რომელთა შორისაც პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რ. პარეტი, ხოლო მეთოდის განვითარებაში პრინციპული ნაბიჯი მ. ბრავმანმა და ტ. იზუცუმ გადადგეს.

თუ კაშტალევა კვლევისას უპირველესად ფილოლოგიურ ამოცანებს ისახავდა, ბრავმანი თავის შრომებში ცდილობს, ჯაჰილიის პერიოდის პოეზიისა და ყურანის ლექსიკის ანალიზის მეშვეობით, ისლამამდელი და ადრეისლამური არაბეთის სოციალურ-კულტურული ყოფის რეალიები გაარკვიოს. რაც შეეხება ტ. იზუცუს, მისი დამსახურებაა ის, რომ პირველმა სცადა გაეანალიზებინა არა ცალკეული ტერმინები, არამედ რიგი თემატური ჯგუფები, რომლებიც „ღმერთი — ადამიანის“ მიმართების რკალსა და ყურანის ეთიკურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული.

1980 წელს, ტაშკენტში, ისლამმცოდნეთა საკოორდინაციო სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ პ. ა. გრიაზნევიჩმა ყურანის ლექსიკის კონტექსტური შესწავლის აუცილებლობა ისლამის სანყისი ისტორიის პრობლემათა მთელი კომპლექსის ყოველმხრივი შესწავლისათვის მყარი საფუძვლის შექმნის მიზნით დაასაბუთა. ყურანის ადეკვატური გააზრებისა და გასაგები აპარატის აღსაწერად კი მეცნიერი ისლამამდელი და ადრემუსლიმური ხანის არაბული დიალექტების შესწავლასა და ტომობრივი პოეზიის ლექსიკონთა შედგენას მიიჩნევდა.

ევიმ რეზვანის სამართლიანი შენიშვნით, როგორც ჩანს, დღეს ყურანის ენის ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა შედარებით-კონტექსტური და დიაქრონული ანალიზი ეპოქის (VI—VII

სს.) ენობრივ მასალასა და საერთოსემიტიურ ლექსიკურ ფონდთან მისი შეპირისპირების საფუძველზე ყურანის, როგორც საისტორიო წყაროსადმი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულ მიდგომად გვევლინება.

ყურანის ტერმინთა დიაქრონული ანალიზი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ მუჰამადის წინასწარმეტყველური მოღვაწეობა და მისი შეხედულების განვითარება საკუთარი მისიის შესახებ როგორ აისახა იმ ტერმინოლოგიაში, რომელსაც ქადაგებისას გამოიყენებდა. ასეთი მიდგომის რეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელო სიძნელეს წარმოადგენს ყურანის სურათა წაკითხვის მეცნიერულად არგუმენტირებული ქრონოლოგიის უქონლობა. ამ ქრონოლოგიის შექმნის რამდენიმე მცდელობა, როგორც ვიცით, მუსლიმ ავტორთა შრომებს ეყდნობოდა, და მთლიანობაში ვარაუდის ფარგლებს არ გასცილებია.

მაგრამ ეს მიდგომა საშუალებას იძლევა ობიექტურად, თუმცა მკაცრად შემოწმებული და სანდო მასალის საფუძველზე შეფასდეს ის რთული სოციალური პროცესები, რაც არაბეთში VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა; იმ დროს, როცა საერთოარაბული სახელმწიფო იდეოლოგიური უკმარობის პირობებსა და წარმართულ წარმოდგენათა ისლამის რელიგიაში ტრანსფორმაციის პროცესში ყალიბდებოდა. ენა ხომ აუცილებლად ასახავს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში მიმდინარე ყოველგვარ ცვლილებას და მისი მოწმეობა მუდამ სანდოა, რადგან ის არაცნობიერია. ყურანის ლექსიკური ანალიზისათვის ამ მეთოდის გამოყენება კი იმითაცაა საინტერესო, რომ ამ პერიოდში ცნობიერებაში მიმდინარე ძვრებს მსოფლმხედველობის საფუძვლების, საზოგადოებრივ წარმოდგენათა და რელიგიური ცნობიერების მთელი სტრუქტურის ძირეული გარდაქმნის ხასიათი ჰქონდა. მუჰადრამების პოეზია და ყურანი კი საუკეთესო დადასტურებაა ძველი ცნებების ტრანსფორმაციის ზეავივით დაძრული პროცესისა, რაც ტრადიციული ლექსიკის ძვრასა და ახალი სიტყვების გაჩენას იწვევდა.

ისლამამდელი არაბების ტომობრივ გაერთიანებათა — ხუზაილიტებისა და აბასიდების — პოეტების პირველ ლექსიკონთა გაჩენა უკვე დღესვე იძლევა იმის საშუალებას, ფართომასშტაბიანი შედარებით ლექსიკოგრაფიული კვლევები ჩატარდეს. ეს კი მომავალში ყურანის დოკუმენტირებული ლექსიკონის შექმნასაც გააადვილებს, რაზედაც 1935 წელს წერდა ა. ჯეფერი.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი მკვლევარი ასეთი მიდგომის მიმართ საფუძვლიან ეჭვსა და უნდობლობას გამოთქვამდა. უფრო მეტიც, დასავლურ ლიტერატურისმცოდნეობასა და რელიგიათმცოდნეობაში დიდი დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ძველი მხატვრული ტექსტის თავდაპირველი აზრის აღდგენა და პირველი მსმენელებისა თუ მკითხველების აზრთა მდინარების რეკონსტრუირება. ამ დისკუსიისას საუბარი არა იმდენად ყურანს ეხებოდა, რამდენადაც ძველი და შუასაუკუნეების ისტორიულ წყაროთა ტექსტებს. ძირითად სანინააღმდეგო არგუმენტად კი მოჰქონდათ ის ობიექტური გარემოება, რომ ყოველგვარი ისტორიული რეკონსტრუქცია წინდანინვე რელატიური და სუბიექტურია და, რომ დღეს მცხოვრები მკვლევარი თუ მეცნიერი ვერასოდეს გაიზიარებს და გაიაზრებს, ვთქვათ, VII საუკუნის მექაში მცხოვრები ადამიანის მსოფლმხედველობას.

მით უმეტეს, რომ ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს რელიგიურ ტექსტთან. ერიხ აუერბახი ამტკიცებდა, რომ „ინტერპრეტაციის აუცილებლობა“ (Deutungsbedürftigkeit) ძველი ალთქმის ტექსტთათვის თავიდანვე, დასაწყისიდანვე ნიშნულია. საკრალური ტექსტი, დამატებითი კომენტარის გარეშე საწყის მდგომარეობაშივე უკვე „არასრულია“. ჯ. უონსბოროს ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ ამ კონცეფციას ყურანისეული მასალაც დაუმატა.

4. ყურანის ეგზეგეტიკის შიდა (მუსლიმური) ტრადიცია

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ადრეული ისლამის ხანიდანვე ყურანის უამრავი და სხვადასხვაგვარი განმარტებანი წარმოიშვა. მუსლიმ ფილოლოგთა ის ბრწყინვალე ცდებიც, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, ერთგვარი, გარკვეული (ფილოლოგიური) კუთხით ტექსტის კომენტირების ნიმუშები იყო. რაც შეეხება ყურანის კომენტირების მეცნიერებას (ილმ ათ-თაფსირ), მთელი მუსლიმური სამყაროს მასშტაბით, საუკუნეთა განმავლობაში ამ ჟანრისა (თუ მეცნიერების) ათასობით საუკეთესო ნიმუში დალაგდა.

თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ყურანის კომენტართა სიუხვე კიდევრამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით ახსნეს. მათ შორის ე. ა. კრიმსკის მიერ გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ კომენტატორები ტექსტში არსებული შეუსაბამობების დაფარვას ცდილობდნენ.

უფრო კონკრეტულად კრიმსკი ამის შესახებ წერს: „პატიოსანმა ზეიდმა ყურანში ყველა ჩანაწერი შეიტანა, რისი მოძიებაც კი შეძლო და ისინი კრიტიკულად არ შეუსწავლია. მაგრამ, როგორც ცნობილია, მუჰამადი ხშირად ცვლიდა თავის გამონათქვამებს და აცხადებდა, რომ ღმერთი მას ზოგიერთ მითითებას მხოლოდ დროებით გარკვეულ ვადამდე უგზავნიდა (XVI, 103; II, 100 და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ზეიდის ყურანში ბევრი ურთიერთსაინანაღმდეგო მითითება მოხვდა. მათ შორის ისეთი არსებითი პუნქტების შესახებაც, როგორიცაა მუსლიმთა ურთიერთობა წარმართებსა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან. მექაში ნათქვამი იყო ერთი, მედინაში კი — მეორე, და თანაც, შედარებით მკაცრად. გარდა ამისა, მუჰამადი აფრთხილებდა ხალხს, რომ ზოგი სურა ბუკვალურად არ უნდა გაეგოთ, რადგან ამ სურებს ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონდათ.“

შემდგომში ყურანის დაწერილი, ფრაგმენტული ფორმა ბოლომდე გასაგები მხოლოდ მოციქულის თანამედროვეთათვის დარჩა, რომელთაც კარგად იცოდნენ თითოეული მოვლენა, რა ზედაც ყურანი ზოგჯერ მხოლოდ მინიშნებებით საუბრობდა. შემდგომი თაობებისათვის კი წიგნის ბევრი ადგილი მისი სტილიზაციის გამო გაუგებარი გახდა.

დაბოლოს (ეს კი უკვე კარგახნის შემდეგ) ჟამთა ვითარებაში გაბუნდოვანდა ამა თუ იმ გამოთქმის, სიტყვისა და პასაჟის მნიშვნელობა. ამიტომაც ტექსტის კომენტირების აუცილებლობა ადრევე წამოიჭრა და სხვადასხვა სახისა თუ დანიშნულების განმარტებანიც იქმნებოდა.“

არსებითად, ამავე სქემას იმეორებს ე. რეზვანის გამოკვლევის ის თავიც, რომელიც ყურანის კომენტირების საკითხებს ეძღვნება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კრიმსკის სავსებით ობიექტურად ყურანის პირველ კომენტატორად დასახელებული ჰყავს იბნ აბბასი — მუჰამადის ბიძაშვილი (მეტსახელად „ჰაბრი“ — „მნიგნობარი“ ანდა „სჯულისმეცნიერი“), რომელიც რეალურად ყურანის ეგზეგეტიკის საფუძველდამდებად გვევლინება, ეფიმ რეზვანი კი გარკვეული — სხვათა შორის, ძალზე მარჯვედ აგებული და მოქნილი სქემის ფარგლებში — ყურანის პირველ განმმარტებლად თვითონ მუჰამად მოციქულს მიიჩნევს.

თავიდან ყურანის ეგზეგეტიკა ორი მიმართულებით განვითარდა. საწყის ეტაპზე კომენტატორთა მიზანი იყო ე. წ. „აიათ ან-ნასიხ ვალ მანსუხ“ („გამაბათილებელი და გამაბათილებელი“, „გამაუქმებელი და გაუქმებული აიები“) და მათი ურთიერთმიმართება. მიახლოებითი გათვლით, ყურანში 40-მდე ასეთი აიაა. ეს აიები იმ მოვლენის შედეგია, როცა მოციქულს რალაცა დროით გარკვეული მითითება ეძლეოდა, ხოლო შემდგომ ამ მითითებას სხვა გამოცხადების მეშვეობით მიღებული ბრძანება აუქმებდა. ამიტომაც ნაწილობრივ გამოცხადების ტექსტში, ძირითადად კი თავის ქადაგებებში ამ საკითხების ახსნა ხშირად თვითონ მოციქულსვე უწევდა.

ამასთან, უცნობია, თვითონ მუჰამადი სხვა ადამიანთა მიერ ყურანის კომენტირებას ნებადართულად მიიჩნევდა თუ არა. ამ თემაზე სუნას ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებანი სათავისო არგუმენტებს როგორც წმინდა წერილის კომენტირების მომხრეთ, ასევე მათ მოწინააღმდეგეებს სთავაზობდა და, ამდენად, ცხარე კამათის საბაზი ხდებოდა.

მუჰამადის მსმენელთ კარგად ახსოვდათ ბევრი აიის წარმოთქმის მიზეზები და გარემოე-

სს.) ენობრივ მასალასა და საერთოსემიტურ ლექსიკურ ფონდთან მისი შეპირისპირების საფუძველზე ყურანის, როგორც საისტორიო წყაროსადმი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულ მიდგომად გვევლინება.

ყურანის ტერმინთა დიაქრონული ანალიზი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ მუჰამადის წინასწარმეტყველური მოღვაწეობა და მისი შეხედულების განვითარება საკუთარი მისიის შესახებ როგორ აისახა იმ ტერმინოლოგიაში, რომელსაც ქადაგებისას გამოიყენებდა. ასეთი მიდგომის რეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელო სიძნელეს წარმოადგენს ყურანის სურათა ნაკითხვის მეცნიერულად არგუმენტირებული ქრონოლოგიის უქონლობა. ამ ქრონოლოგიის შექმნის რამდენიმე მცდელობა, როგორც ვიცით, მუსლიმ ავტორთა შრომებს ეყდნობოდა, და მთლიანობაში ვარაუდის ფარგლებს არ გასცილებია.

მაგრამ ეს მიდგომა საშუალებას იძლევა ობიექტურად, თუმცა მკაცრად შემონმბეული და სანდო მასალის საფუძველზე შეფასდეს ის რთული სოციალური პროცესები, რაც არაბეთში VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა; იმ დროს, როცა საერთოარაბული სახელმწიფო იდეოლოგიური უკმარობის პირობებსა და წარმართულ წარმოდგენათა ისლამის რელიგიაში ტრანსფორმაციის პროცესში ყალიბდებოდა. ენა ხომ აუცილებლად ასახავს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში მიმდინარე ყოველგვარ ცვლილებას და მისი მოწმეობა მუდამ სანდოა, რადგან ის არაცნობიერია. ყურანის ლექსიკური ანალიზისათვის ამ მეთოდის გამოყენება კი იმითაცაა საინტერესო, რომ ამ პერიოდში ცნობიერებაში მიმდინარე ძვრებს მსოფლმხედველობის საფუძვლების, საზოგადოებრივ წარმოდგენათა და რელიგიური ცნობიერების მთელი სტრუქტურის ძირეული გარდაქმნის ხასიათი ჰქონდა. მუჰადრამების პოეზია და ყურანი კი საუკეთესო დადასტურებაა ძველი ცნებების ტრანსფორმაციის ზვაგვივით დაძრული პროცესისა, რაც ტრადიციული ლექსიკის ძვრასა და ახალი სიტყვების გაჩენას იწვევდა.

ისლამამდელი არაბების ტომობრივ გაერთიანებათა — ხუზაილიტებისა და აბასიდების — პოეტების პირველ ლექსიკონთა გაჩენა უკვე დღესვე იძლევა იმის საშუალებას, ფართომასშტაბიანი შედარებით ლექსიკოგრაფიული კვლევები ჩატარდეს. ეს კი მომავალში ყურანის დოკუმენტირებული ლექსიკონის შექმნასაც გააადვილებს, რაზედაც 1935 წელს წერდა ა. ჯეფერი.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი მკვლევარი ასეთი მიდგომის მიმართ საფუძვლიან ეჭვსა და უნდობლობას გამოთქვამდა. უფრო მეტიც, დასავლურ ლიტერატურისმცოდნეობასა და რელიგიათმცოდნეობაში დიდი დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ძველი მხატვრული ტექსტის თავდაპირველი აზრის აღდგენა და პირველი მსმენელებისა თუ მკითხველების აზრთა მდინარების რეკონსტრუირება. ამ დისკუსიისას საუბარი არა იმდენად ყურანს ეხებოდა, რამდენადაც ძველი და შუასაუკუნეების ისტორიულ წყაროთა ტექსტებს. ძირითად საწინააღმდეგო არგუმენტად კი მოჰქონდათ ის ობიექტური გარემოება, რომ ყოველგვარი ისტორიული რეკონსტრუქცია წინდანინვე რელატიური და სუბიექტურია და, რომ დღეს მცხოვრები მკვლევარი თუ მეცნიერი ვერასოდეს გაიზიარებს და გაიაზრებს, ვთქვათ, VII საუკუნის მექაში მცხოვრები ადამიანის მსოფლმხედველობას.

მით უმეტეს, რომ ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს რელიგიურ ტექსტთან. ერის აუერბახი ამტკიცებდა, რომ „ინტერპრეტაციის აუცილებლობა“ (Deutungsbedürftigkeit) ძველი აღთქმის ტექსტთათვის თავიდანვე, დასაწყისიდანვე ნიშნეულია. საკრალური ტექსტი, დამატებითი კომენტარის გარეშე საწყის მდგომარეობაშივე უკვე „არასრულია“. ჯ. უონსბოროს ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ ამ კონცეფციას ყურანისეული მასალაც დაუმატა.



#### 4. ყურანის ეგზეგეტიკის შიდა (მუსლიმური) ტრადიცია

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ადრეული ისლამის ხანიდანვე ყურანის უამრავი და სხვადასხვაგვარი განმარტებანი წარმოიშვა. მუსლიმ ფილოლოგთა ის ბრწყინვალე ცდებიც, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, ერთგვარი, გარკვეული (ფილოლოგიური) კუთხით ტექსტის კომენტირების ნიმუშები იყო. რაც შეეხება ყურანის კომენტირების მეცნიერებას (ილმ ათ-თაფსირ), მთელი მუსლიმური სამყაროს მასშტაბით, საუკუნეთა განმავლობაში ამ ჟანრისა (თუ მეცნიერების) ათასობით საუკეთესო ნიმუში დალაგდა.

თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ყურანის კომენტართა სიუხვე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით ახსნეს. მათ შორის ე. ა. კრიმსკის მიერ გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ კომენტატორები ტექსტში არსებული შეუსაბამობების დაფარვას ცდილობდნენ.

უფრო კონკრეტულად კრიმსკი ამის შესახებ წერს: „პატიოსანმა ზეიდმა ყურანში ყველა ჩანაწერი შეიტანა, რისი მოძიებაც კი შეძლო და ისინი კრიტიკულად არ შეუსწავლია. მაგრამ, როგორც ცნობილია, მუჰამადი ხშირად ცვლიდა თავის გამონათქვამებს და აცხადებდა, რომ ღმერთი მას ზოგიერთ მითითებას მხოლოდ დროებით გარკვეულ ვადამდე უგზავნიდა (XVI, 103; II, 100 და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ზეიდის ყურანში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მითითება მოხვდა. მათ შორის ისეთი არსებითი პუნქტების შესახებაც, როგორიცაა მუსლიმთა ურთიერთობა წარმართებსა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან. მექაში ნათქვამი იყო ერთი, მედინაში კი — მეორე, და თანაც, შედარებით მკაცრად. გარდა ამისა, მუჰამადი აფრთხილებდა ხალხს, რომ ზოგი სურა ბუკვალურად არ უნდა გაეგოთ, რადგან ამ სურებს ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონდათ.“

შემდგომში ყურანის დანურული, ფრაგმენტული ფორმა ბოლომდე გასაგები მხოლოდ მოციქულის თანამედროვეთათვის დარჩა, რომელთაც კარგად იცოდნენ თითოეული მოვლენა, რაზედაც ყურანი ზოგჯერ მხოლოდ მინიშნებებით საუბრობდა. შემდგომი თაობებისათვის კი წიგნის ბევრი ადგილი მისი სტილიზაციის გამო გაუგებარი გახდა.

დაბოლოს (ეს კი უკვე კარგახნის შემდეგ) ჟამთა ვითარებაში გაბუნდოვანდა ამა თუ იმ გამოთქმის, სიტყვისა და პასაჟის მნიშვნელობა. ამიტომაც ტექსტის კომენტირების აუცილებლობა ადრევე წამოიჭრა და სხვადასხვა სახისა თუ დანიშნულების განმარტებანიც იქმნებოდა.“

არსებითად, ამავე სქემას იმეორებს ე. რეზვანის გამოკვლევის ის თავიც, რომელიც ყურანის კომენტირების საკითხებს ეძღვნება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კრიმსკის სავსებით ობიექტურად ყურანის პირველ კომენტატორად დასახელებული ჰყავს იბნ აბბასი — მუჰამადის ბიძაშვილი (მეტსახელად „ჰაბრი“ — „მნიგნობარი“ ანდა „ჯულისმეცნიერი“), რომელიც რეალურად ყურანის ეგზეგეტიკის საფუძველდამდებად გვევლინება, ეფიმ რეზვანი კი გარკვეული — სხვათა შორის, ძალზე მარჯვედ აგებული და მოქნილი სქემის ფარგლებში — ყურანის პირველ განმმარტებლად თვითონ მუჰამად მოციქულს მიიჩნევს.

თავიდან ყურანის ეგზეგეტიკა ორი მიმართულებით განვითარდა. სანყის ეტაპზე კომენტატორთა მიზანი იყო ე. წ. „აიათ ან-ნასიხ ვალ მანსუხ“ („გამაბათილებელი და გამაბათილებელი“, „გამაუქმებელი და გაუქმებული აიები“) და მათი ურთიერთმიმართება. მიახლოებითი გათვლით, ყურანში 40-მდე ასეთი აიაა. ეს აიები იმ მოვლენის შედეგია, როცა მოციქულს რალაცა დროით გარკვეული მითითება ეძლეოდა, ხოლო შემდგომ ამ მითითებას სხვა გამოცხადების მეშვეობით მიღებული ბრძანება აუქმებდა. ამიტომაც ნაწილობრივ გამოცხადების ტექსტში, ძირითადად კი თავის ქადაგებებში ამ საკითხების ახსნა ხშირად თვითონ მოციქულსვე უწევდა.

ამასთან, უცნობია, თვითონ მუჰამადი სხვა ადამიანთა მიერ ყურანის კომენტირებას ნებადართულად მიიჩნევდა თუ არა. ამ თემაზე სუნას ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებანი სათავისო არგუმენტებს როგორც წმინდა წერილის კომენტირების მომხრეთ, ასევე მათ მოწინააღმდეგეებს სთავაზობდა და, ამდენად, ცხარე კამათის საბაბი ხდებოდა.

მუჰამადის მსმენელთ კარგად ახსოვდათ ბევრი აიის წარმოთქმის მიზეზები და გარემოე-

ბანი (ე. წ. „ასბაბ ან-ნუზულ“ — „ზეგარდმოვლენის მიზეზები“), ურომლისოდაც ყურანის ბევრი მუხლი ძნელად გასაგები იქნებოდა. „ილმ ასბაბ ან-ნუზულმა“ (ანუ „ზეგარდმოვლენის მიზეზთა მეცნიერებამ“) და „ილმ ან-ნასიხ ვალ მანსუხმა“ („გამაბათიებელი და გაბათილებული აიების მეცნიერებამ“) შემოგვინახა ისტორიის უმნიშვნელოვანესი პლასტი, რომელიც „თაფსირთა“ („ყურანის განმარტებათა“) უმეტესობამ შეითვისა და ყურანის ზეგარდმოვლენის ყოფითი, ნამდვილი ისტორია ასახა. მოციქულის ეპოქიდან დიდი ხნის შემდეგ კი ამ ცნობათა მნიშვნელობა სულ უფრო მეტად გამოიკვეთა.

თავიდან ყურანი დიდწილად ზეპირად განიმარტებოდა. რეციტაციას მოსდევდა ახსნა, და ცალკეულ აიებსა თუ სურებს ხშირად იმამი (მეჩეთში საპარასკეო ლოცვის წინამძღოლი) განმარტავდა. გამორჩენენ ადამიანებიც, რომლებიც მიზანმიმართულად აგროვებდნენ ამ მასალას და აღნიშნულ დარგის ავტორიტეტებად იქნენ აღიარებულნი.

ეფიმ რეზვანის სამართლიანი შენიშვნით: „ისლამი, ყველა სხვა რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლების მსგავსად, გავრცელებისას ვერ ასცდებოდა ვულგარიზაციას. მისი ახალი რეციტირებები კი თვითონვე პოპულარული მქადაგებელნი ხდებოდნენ.“

მთხრობელნი („კუსასა“), რომლებიც ქალაქთა მოედნებზე და ბაზრებში იდგნენ, ყურანისეულ ტექსტებს საკუთარი განმარტებებით განავრცობდნენ და მონათხრობს ხშირად იუდეურ-ქრისტიანული კულტურული გარემოს პარალელური მასალითაც ამდიდრებდნენ. წინასწარმეტყველთა შესახებ პოპულარული მოთხრობები („კისას ალ-ანბია“) თავისებურ ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბდა, რომელიც შემდგომ „თაფსირთა“ განუყოფელ ნაწილად იქცა და ამ განმარტებებში ახალი იდეები და სახეები შეიტანა.

მუჰამადის ტრადიციული ბიოგრაფიებიც („სირა“) ასევე დიდწილად ყურანის განმარტებას ეძღვნებოდა. მათში ყურანის აიები ყოფით, ცხოვრებისეულ კონტექსტში განიხილებოდა.

ადრიდანვე იმ აიათა კომპლექსს, რომლებიც მოციქულის მიერ სანქცირებულ სამართლებრივ ნორმებთან იყო დაკავშირებული, მუსლიმი სამართალმცოდნეები გულმოდგინედ და დანვრილებით შეისწავლიდნენ. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, პირველი არაბული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული თხზულებანი მნიშვნელოვანწილად სწორედ ყურანის განმარტებებს უკავშირდებოდნენ. ყურანის მეცნიერებათა ჩამოყალიბება კი „ტექსტის კითხვის შესახებ მოძღვრების“ („ილმ ალ-კირა'ათ“) გავრცელების პარალელურად და მასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა.

ყურანის განმარტების საგანგებო მიმართულება უკავშირდება „სუნნას“ (მუსლიმური რელიგიური ტრადიციის) ჩამოყალიბებას. ამ მიმართულების ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უფრო ადრეული ნიმუში 'აბდ ალ-ლაჰ იბნ ვაჰჰაბის (743-812) თაფსირია, რომელიც, ფორმის მხრივ, უფრო „მუსნადს“ (გადმოცემათა სისწორის არგუმენტირება გადმოცემთა ბიოგრაფიული დეტალებისა და ერთმანეთთან მათი შესაძლო კავშირების დადგენის მეშვეობით) მოგვაგონებს.

ამავე რიგში შეიძლება განვიხილოთ ცნობილი სუნიტი მუჰადდისის მუჰამად იბნ ისმა'ილ აბუ 'აბდ ალ-ლაჰ ალ-ჯუ'ფი ალ-ბუხარის (810-870) „სარნმუნო ჰადისთა“ სახელგანთქმული კრებული („საჰიჰ ალ-ბუხარი“), რადგან მასში გვხვდება ყურანის განმარტებებისადმი მიძღვნილი საგანგებო თავი. ალ-ბუხარის შრომის ეს ნაწილი ენათესავება VII საუკუნის II ნახევარში შედგენილ ჰადისთა კრებულებს, რომელთა საფუძველიცაა პრინციპი: „ყურანი განიმარტება სუნნას მეშვეობით“.

რიპინის შეხედულებით, „ქითაბ ათ-თაფსირი“ შეგვიძლია ამ მიმართულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად მივიჩნიოთ.

ალ-ბუხარის „საჰიჰის“ ეს — 65-ე — თავი („ქითაბ ათ-თაფსირი“) მთელი თხზულების არსებით მონაკვეთად წარმოგვიდგება. ის აერთიანებს 457 ჰადისს. ავტორის მიერ შედგენილი ეს მასალა ყურანის თითოეულ სურას ეძღვნება. ჰადისებს ერთვის მცირე ლექსიკოგრაფიული შენიშვნები, რომელიც იბნ 'აბბასს, მუჯაჰიდს (გარდ. დაახლ. 719-722) ანდა მოციქულის ერთ-ერთ მონაფესს ეყრდნობა, ან სულაც წყაროს მიუთითებლადაა მოცემული.

თურქმა მკვლევარმა ფ. სეზინმა გაარკვია, რომ ბუხარის მირ დამონებული ლექსი-

კური მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი აბუ 'უბაიდას (გარდ. 825) თხზულებიდან — „მაჯაზ ალ-კურ'ან“ — არის აღებული.

ალ-ბუხარის შრომაში კი გადმომცემად 76 პირი გვევლინება. ძირითადად ესენი არიან ასჰაბები და ასევე მეორე თაობის მეტ-ნაკლებად ცნობილი ავტორიტეტები. იმ ცნობის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც ავტორის კალამს ეკუთვნოდა სხვა ნაშრომიც „ათ-თაფსირ ალ-ქაბირ“ (ყურანის „დიდი განმარტება“), მკვლევართა შენიშვნით, „ას-საჰიჰის“ ჩვენთვის საინტერესო თავი შესაძლოა ამ მეორე წიგნისათვის განუღებულ ერთგვარ წინასწარ სამუშაოდაც მივიჩნიოთ.

ყურანის განმარტებებისადმი მიძღვნილი საგანგებო თხზულებანი თავდაპირველად მეცნიერების ერთმანეთისაგან გაუთიშველ და დაუნაწევრებელ დისციპლინათა წიაღში აღმოცენდნენ. აღნიშნულმა თხზულებებმა ამ კომპლექსიდან კვლევის კარგად შემუშავებული პროცედურა და ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური აპარატი იმემკვიდრევეს.

ისლამმცოდნეთა თითქმის ერთსულოვანი აზრით, 'ილმ ალ-კურ'ან ვათ-თაფსირის“ („ყურანისა და მისი განმარტების მეცნიერების“) ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბება კი მნიშვნელოვანილად ომაიანთა მმართველობის ბოლოს აღიდებსა და აბასიდებს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებასთანაა დაკავშირებული. ერთდროულად იქმნებოდა ცალკე სუნიტი ალ-მაქქისა (642-722) და ცალკე ალ-ჯუფისა (გარდ. 745) თუ ას-სუდის (745) პროალიდური კომენტარები. აღსანიშნავია, რომ კომენტარის შიიტური ტრადიცია უფრო წარმატებულად ქუფაში, აღიდების ყოფილ სამფლობელოში განვითარდა.

ეფიმ რეზვანი შენიშნავს: „შიტი ავტორები — ყურანის ალეგორიული განმარტების („თა'ვილის) მეშვეობით, გახმოვანების ნიშანთა თუ ლოგიკურ მახვილთა გადანაცვლებით, ყურანის ცალკეულ ტერმინთა სუნიტურ წრეში მიღებული მნიშვნელობისაგან განსხვავებული გაგებით — ტექსტის ზოგიერთ ფრაგმენტს ალისა და მისი მომხრეების სასარგებლოდ განმარტავდნენ. ამასთან, პროალიდი კომენტატორები თავიანთ მოწინააღმდეგეთ ბრალს სდებდნენ ყურანის ტექსტის მიკერძოებულ დამახინჯებასა („თაჰრიფ“) და 'უმარის, 'უსმანისა და ალ-ჰაჯჯაჯის მმართველობისას რიგი საკვანძო აიების განადგურებაში.“

შიიტურ წრეებში გადაინუსხებოდა, ხოლო შემდგომ კიდევ იბეჭდებოდა ყურანის ხელნაწერები, რომელიც დამატებით („ან-ნურაინ“ — „ორ სინათლედ“ წოდებულ) 115-ე სურას შეიცავდა.

აბასიდურ პროპაგანდას კი უკავშირდება მუჰამადის ბიძაშვილის 'აბდ ალ-ლაჰ იბნ 'აბ-ბასის (გარდ. 687) როლის წინა პლანზე წამოწევა, რომელსაც, როგორც აღინიშნა, ტრადიცია ყურანის პირველ კომენტატორად მიიჩნევს და სხვადასხვა ეპითეტით მოიხსენიებს („თარ-ჯუმან ალ-კურან“ — „ყურანის მთარგმნელ-განმმარტებელი“, „ალ-ჰაბრ“ — „სჯულისმეცნიერი“, „რა'ს ალ-მუფსსირინ“ — „ყურანის კომენტატორთა მეთაური“).

თუმცა, უკანასკნელი სამეცნიერო შეხედულებით, მისი ფიგურა უფრო სიმბოლური ხასიათისა იყო, რომელიც მუსლიმური თემის ცხოვრების მთელ ეპოქას გამოხატავდა.

რელიგიურ-პოლიტიკური ვითარება იმ დისკუსიებშიც აისახებოდა, სადაც შიიტური „თა'ვილის“ არგუმენტებს სუნიტური „თაფსირის“ მტკიცებულებებს უპირისპირებდნენ. სახალიფოს სათავეში აბასელთა მოქცევამ კი, რასაც აღიდების რეპრესიები მოჰყვა, ყურანის განმარტების შიიტურ ტენდენციათა შესუსტება გამოიწვია. მისი ხელახალი აღორძინება მხოლოდ ხალიფა ალ-მა'მუნის (813-833) ხანაში დაიწყო, რომელიც პროალიდურ პოლიტიკას ეწეოდა.

მკვლევრები ასევე მიუთითებენ კიდევ ერთ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე, რომლის სხვადასხვა ტენდენციაც ყურანის განმარტებებში ფართოდ აისახა. ეს იყო ორი ეთნოპოლიტიკური გაერთიანების — კახტანელთა და აღნანელთა („სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის“ არაბთა) — უმწვავესი დაპირისპირება, რაც განსაკუთრებით VII საუკუნის პირველ ნახევარსა და VIII საუკუნეში გამოვლინდა.

სწორედ ამ ორ დაჯგუფებას უკავშირდება აღნიშნული ხანის ბევრი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. „ჩრდილოეთის“ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში კი „კახტანელები“ ფართოდ იყ-

ენებდნენ ყურანის განმარტებებსაც. ასეთი განმარტების ტრადიცია ჰიმსში (ეფესში) ჩაისახა, რომელიც არაბთა დაპყრობიდან ძალიან მალე იემენის კულტურული ელიტის ერთგვარ „თავშესაყრად“ იქცა. ამათ შორის კი ისლამზე მოქცეული ყოფილი იუდეველი ქა'ზ იბნ აჰ-ბარი და სპარსელი მამისა და იემენელი დედის შვილი — ვაჰბ იბნ მუნაბბიშიც აღმოჩნდა. აი, ამ ორ ადამიანს ეკუთვნის ყურანის იმ ადგილთა ყველაზე ადრეული კომენტარები, სადაც ძველი ისტორიული ამბებია მოთხრობილი. მათ ყურანის განმარტების კონტექსტში მოაქციეს იუდეურ-ქრისტიანული წრის მრავალი ლეგენდა თუ გადმოცემა. საერთოდ კი კახტანელი კომენტატორები ცდილობდნენ ყურანის ბევრი აია თავის სასარგებლოდ განემარტათ და საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებიათ.

აბასიდების გამარჯვებამ შედეგად არაბთა პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე შევი-წროვება გამოიწვია. არაბთა მინინალმდეგენი ერთიანდებოდნენ იდეოლოგიურ მოძრაობაში, რომელსაც „შუ'უბია“ („ხალხოსნობა“) ეწოდებოდა და არაბთა კულტურული ჰეგემონიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ისინი ასევე იყენებდნენ ყურანს თავიანთი მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი 49-ე სურის 13-ე აიას: „ო, ხალხო! ჩვენ შეგქმენით მამაკაცად და დედა-კაცად და გაქციეთ ერებად და ტომებად (შუ'უბან ვა კაბა'ილან), რათა შეიცნოთ ერთმანეთი“ ისინი ამტკიცებდნენ, რომ სიტყვა „შუ'უბ“ (ხალხები, ერები) სპარსელებს გულისხმობდა, ეს სიტყვა კი ყურანის ტექსტში წინ უძღვის სიტყვას „კაბა'ილ“ („ტომები“), რაც, მათი აზრით, „არაბებს“ ნიშნავდა. „წინ მოხსენიება კი უფრო პატივსაცემია, ვიდრე შემდგომ“.

მათი ოპონენტებიც, საპასუხოდ, ასევე ყურანს ეყრდნობოდნენ და აცხადებდნენ, რომ, მაგალითად, 6-ე სურის 130-ე აიაში — „ო, კრებულო ჯინთა და კაცთა“ — ჯინები ადამი-ანებზე წინ არიან მოხსენიებულნი, მაგრამ ადამიანები ჯინებს აღემატებიან. გარდა ამისა, „შუ'უბიას“ ოპონენტები საგანგებოდ აღნიშნავდნენ არაბული ენის განსაკუთრებულობას. ერთი პოპულარული ანტიმუ'უბური ჰადისი აცხადებდა: „მე არაბი ვარ, ყურანიც არაბულია და სამოთხეში მცხოვრებთა ენაც.“

ამის საწინააღმდეგოდ კი, ანტიმუ'უბური მოძრაობის ერთ-ერთ შედეგად, ყურანის ჯერ სპარსული, ხოლო შემდგომ თურქულენოვანი თარგმან-განმარტებანი მოგვევლინა.

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ჩვენამდე მოღწეული თხზულება, საგანგებოდ ყურა-ნის განმარტებას რომ ეძღვნება, არის თაფსირი, რომლის ავტორობაც აბუ-ლ-ჰასან მუკათილ იბნ სულაიმან ალ-აზადი ალ-ბუხარის მიენერება (გარდ. 767). ეს „მუჰფასსირი“ ე. წ. „ათბა“-ის (მოციქულის მხლებელთა ანუ „ასჰაბ“-ის პირდაპირ მიმდევართა) თაობას ეკუთვნოდა. ის ითვლება მუსლიმური ეგზეგეტიკის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების ერთ-ერთ ფუძემდებლად, როგორცაა: წმინდა წერილის შინაარსის განმარტების მეშვეობით შემავსებელი ანუ ნარატიული, ლექსიკურ-გრამატიკული, სიმბოლურ-ალეგორიული, დაბოლოს, სამართალმცოდნეობითი მიმართულებანი.

მკვლევართა შენიშვნით, აშკარაა, რომ „თაფსირმა“, რომლის ავტორობაც მუკათილ იბნ სულაიმანს მიენერება, გადანუსხვის პროცესში რიგი ცვლილებები განიცადა. ასე, მაგალი-თად, ეჭვს იწვევს უკვე თვით სახელონდებაში სიტყვა „თაფსირის“ გამოყენება. ყურადღებას იქცევს ტერმინოლოგიური აპარატის სათანადო დაუმუშავებლობა. მკვლევარები მუკათილის „თაფსირში“ მრავალ პარალელსა თუ მასალას პოულობენ იმისათვის, რომ ეს თხზულება აქტიურად შეუდარონ, მაგალითად, იბნ ისჰაკისა (გარდ. 767) და იბნ ჰიშამის (გარდ. 833 ან 828) „მუჰამადის ცხოვრების აღწერებს“ (სირათ) ანდა მალიქ იბნ ანასის (გარდ. 795) სახელ-განთქმულ თხზულებას „ალ-მუვატტა“.

ძალზე საინტერესოა აღნიშნულ თხზულებაში წარმოდგენილი მასალა, რომელიც იუ-დეურ-ქრისტიანულ წრეებში გავრცელებულ ლეგენდა-გადმოცემებს ემყარება. მთხრო-ბელთა (კუსსას) შორის, რომელთაც თვითონ იბნ მუკათილიც ეკუთვნოდა, გავრცელებული იყო მრავალი ასეთი გადმოცემა. ისინი მნიშვნელოვნად „ავსებდნენ“ ყურანისეულ ამბებს და ანონიმად არ ტოვებდნენ არცერთ პირს, ვინც კი წმინდა ტექსტში ამა თუ იმ სახით იხსე-ნიებოდა. „თაფსირში“ ასეთი თქმულებების აქტიურად გამოყენებამ შემდგომში საფუძველი შექმნა იმისა, რომ მუკათილ იბნ სულაიმანი ხალხურ გადმოცემათა შემკრებად გამოეცხადე-

ბინათ.

ცხარე იდეოლოგიური დებატები, რასაც საფუძვლად სახალიფოში უმაღლესი ხელისუფლების მოსაპოვებლად მიმდინარე ბრძოლები ედო, მუსლიმური თემის კიდევ ორი ჯგუფის — ყურანის ტექსტის ბუკვალური გაგებისა და განმარტების მომხრეთა („აჰლ აზ-ზაჰირ“) და მისი ალეგორიული, დაფარული მნიშვნელობების მადიებელთა („აჰლ ალ-ბატინ“) — დაპირისპირებაშიც აისახა.

აჰლ ალ-ბატინის რიგებს ეკუთვნოდა აბუ მუჰამად საჰლ იბნ 'აბდ ალ-ლაჰ ათ-თუსთარის (დაახ. 818-896), ადრეული სუფიზმის თეორეტიკოსი და ყურანის კომენტატორი. ის ათამდე თხზულება, რომელიც ამ კაცს მიენერება, ფაქტობრივად, მისი გამონათქვამების, ქადაგებებისა და ყურანის სხვადასხვა სურისა და აიის განმარტებანია, რაც მისმა მოწაფეებმა შეაგროვეს. ყურანის სიმბოლურ-ალეგორიულმა განმარტებამ ათ-თუსთარის საშუალება მისცა შეემუშავებინა რიგი პოზიციებისა, რომელთაც შემდგომ სუფიური კოსმოგონიის, გნოსეოლოგიისა და ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს. ამ პოზიციებს თავიანთ თხზულებებში სუფიზმის ცნობილი მოაზროვნეებიც ეყრდნობოდნენ, მათ შორის, ალ-ჰალაფი (გარ. 922), ას-სულამი (გარდ. 1021), ალ-ქუშა'ირი (გარდ. 1072) და ალ-ბაკლი (გარდ. 1209). მოგვიანებით კი ეს ტენდენციები თავიანთ თხზულებებში ალ-ლაზალიმ და იბნ ალ-'არაბიმ განავითარეს. ათ-თუსთარის იდეები და კონცეფცია საფუძვლად დაედო მისი მიმდევრების მიერ IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ბასრაში ჩამოყალიბებულ სალიმიას საღვთისმეტყველო სკოლას.

თვითონ ათ-თუსთარის „თაფსირი“ კი ბასრაში მისი უახლოესი მოწაფეების წრეში, დაახლოებით 888-902 წწ.-ში შეადგინეს. ესაა ჩვენს ხელთ შემორჩენილთაგან ამ ყაიდის ყველაზე ადრეული სუფიური თხზულება. დიდი ხნის მანძილზე, 1156 წელს საბოლოო წერილობით ფიქსაციამდე, ათ-თუსთარის მიმდევრები ნაშრომს ერთმანეთს ზეპირად გადასცემდნენ. ამის მიუხედავად, ბოვერინგმა თხზულების ავთენტურობა მაინც დამაჯერებლად დაასაბუთა. „თაფსირი“ ფრაგმენტული ხასიათისაა და სხვადასხვა ზომის კომენტარებს წარმოადგენს (რამდენიმე სიტყვიდან ტექსტის ერთ გვერდამდე) ყურანის 1000-მდე ფრაგმენტის შესახებ. ესაა ყურანის ფრაზათა და გამოთქმათა ბუკვალური და მეტაფორული განმარტებანი, მუჰამადის სუნნას მაგალითები და ძველ წინასწარმეტყველთა ლეგენდები, ცნობები ადელი ხანის სუფი მოზროვნებისა და, მათ შორის, თვით ათ-თუსთარის შეხედულებათა და პრაქტიკის შესახებ, ავტორის ცხოვრების, ქადაგებებისა და მოწაფეებთან ურთიერთობის დეტალები, პასუხები მათ შეკითხვებზე.

გამოიყოფა ტექსტის სამი სტრუქტურული დონე. პირველ, ძირეულ დონეს წარმოადგენს კომენტარები ყურანის ფრაგმენტებზე, რომელიც მათ აშკარა (ზაჰირ) და ფარულ (ბატინ) საზრისს გამოავლენს. ამგვარ კომენტარებში ათ-თუსთარი ყურანის ტექსტებს არა მხოლოდ საკუთარ იდეათა გასამყარებლად და დასადასტურებლად იყენებს, არამედ ისინი მისტიკური აღმადგენის ერთგვარი იმპულსია.

მეორე დონე ათ-თუსთარის გამონათქვამები და შეგონებებია სხვადასხვა საკითხებზე და ასევე ძველ წინასწარმეტყველთა ცხოვრების ლეგენდარულ ეპიზოდთა მისტიკური განმარტებანი.

მესამე სტრუქტურული დონე კი ტექსტის შემდგომდროინდელ დამატებებს წარმოადგენს, რომელიც, სავარაუდოდ, ავტორის მიმდევართა კალამს უნდა ეკუთვნოდეს. ამ დონეს უნდა მივაკუთვნოთ დამრიგებლური ხასიათის მრავალი ამბავი თვითონ ათ-თუსთარისა და სხვა სუფიათა ცხოვრებიდან.

მკვლევართა აღიარებით, X საუკუნე ისლამის ისტორიაში ყველა თვალსაზრისით თითქმის ყველაზე ნაყოფიერი და საინტერესო ასწლეული იყო, ხანა უმწვავესი პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირებებისა, როცა სახალიფოს დასუსტებისა და მის მრავალ პერიფერიაში გამუდმებული ჯანყის ვითარებაში ისლამურმა რელიგიურმა აზროვნებამ შექმნა თხულებები, რომლებიც შთამომავლობამ შეუდარებელ ქმნილებებად შეაფასა. სახელმწიფოებრიობის დასუსტება და გარე თუ შინაშლილობა მასობრივი განგამისა და საყოველთაო



დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ინვეცდა. მუსლიმური ქალაქების მოედნებსა და ბაზრებში ასეულობით მქადაგებელი გამოდიოდა და ხალხს ისლამის განწმენდისა და განახლებისაკენ მოუწოდებდა. ისინი საზოგადოებას იმ შინაგანი კრიზისის დაძლევის სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს სთავაზობდნენ, რასაც იმდროინდელი ისლამური სამყარო განიცდიდა. ამ მქადაგებლებში იყო ათ-თუსთარის მონაფე აბუ ლ-მუყის ალ-ჰუსაინ იბნ მანსურ ალ-ჰალლაჯი (857-922), რომელიც ბაღდადში ზნეობრივი განწმენდის, სიყვარულისა და ტანჯვის გზით ღმერთთან შერწყმის აუცილებლობას ქადაგებდა. სასახლის კარის ჩახლართულ ინტრიგათა და რელიგიური მეტოქეობის გამო მას დევნა დაუწყეს, შინაპატიმრობა მიუსაჯეს, მერე გაათავისუფლეს, ცოტა ხნის შემდგომ ისევ დაიჭირეს და საბოლოოდ, ღვთისმგმობლობისა და სჯულგანდგომის ბრალდებით, საჯაროდ მონამეობრივი სიკვდილით დასაჯეს. მისი ქადაგებების ერთ-ერთი მთავარი მონოდება — „შვიდჯერ შემოველოთ საკუთარ გულთა ქააბის გარშემო“ — არასწორად იქნა გაგებული და განმარტებული, როგორც მონოდება ჰაჯჯის რელიგიური ვალდებულების შეუსრულებობისა თუ თვით ქააბის დანგრევისაკენ. ხოლო მისი ექსტატიკური ნამოძახილი (მატხი): „ანა ლ-ჰაკკ“ („მე ვარ ჭეშმარიტება (ღმერთი)“) ღმერთად თავის გამოცხადების პრეტენზიად აღიქვეს. ალ-ჰალლაჯის დევნაში აქტიურად მონაწილეობდა ჩვენ მიერ ნახსენები იბნ მუჯაჰიდიც, ყურანის მეცნიერებათა ერთ-ერთი ავტორიტეტი. ალ-ჰალლაჯის ქადაგებები არ მოსწონდა მეორე არანაკლებ სახელგანთქმულ ეგზეგეტიკოსსა და ისტორიკოსს ატ-ტაბარისაც, რომლის წინააღმდეგაც ამასთან დაკავშირებით აქტიურად გამოვიდნენ დაპატიმრებული ალ-ჰალლაჯის მხარდამჭერი ჰანბალიტები. ალ-ჰალლაჯის ბაგეთაგან წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები ყურანის 42-ე სურის მეთვრამეტე აია იყო: „ალაჰი მოწყალეა მონათა მიმართ. იგი განუკუთვნებს თავის მადლს, ვისაც ინებებს. იგი ძლიერია, დიდებული.“

დევნას ვერც ალ-ჰალლაჯის მონაფეები გადაურჩნენ, რომელთაგან ორი 924 წელს დასაჯეს.

აზ-ზაჰირისა და ალ-ბატინის მომხრეთა პოლემიკის კონტექსტში დაიწყო კამათი „თაფსირისა“ (ახსნა, განმარტება) და „თა'ვილის“ (სათავესთან, სანყისთან მიბრუნება) ცნებათა თაობაზე. გამოითქვა მრავალი განსხვავებული თვალსაზრისი. მაგალითად, მუკათილ იბნ სულაიმანი ამტკიცებდა, რომ „თაფსირი“ — ესაა, რაც სჯულისმეცნიერთათვის ('ულამა') არის ცნობილი, ხოლო „თა'ვილი“ ერთადერთმა ალაჰმა უწყის. ალ-მათურიდი (გარდ. 944) მიიჩნევდა, რომ „თაფსირი“ ეკუთვნის მუჰამადის მხლებელთ, ხოლო „თა'ვილი“ ფაკიჰებს ანუ რელიგიური სამართლის დარგის სპეციალისტებს.

ამასთან დაკავშირებით დიდი მხარდაჭერა ჰპოვა აბუ ჯა'ფარ მუჰამად იბნ ჯარირ ატ-ტაბარის (838-923) თვალსაზრისმა. ის იყო სახელგანთქმული ისტორიკოსი და ეგზეგეტიკოსი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა მეცნიერების სხვა დარგებშიც (ფიკი, ლექსიკოგრაფია, გრამატიკა, პოეზია, მათემატიკა და მედიცინა).

ატ-ტაბარი დაიბადა ამულში (ტაბარისტანში), ცხოვრობდა ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში. ახალგაზრდობაში აჰმად ჰანბალის მიმდევარი იყო და მრავალი წელი ჰადისთა შესწავლას მიუძღვნა. თავდაპირველად შაფიიდიური „მაზჰაბის“ (რელიგიური განმტოების) აღმსარებელი იყო, მერე კი თავისი, დამოუკიდებელი მაზჰაბის დაარსებასაც შეეცადა, რომელსაც „ალ-ჯარირიია“ უწოდა.

ჩვენამდე ატ-ტაბარის ყველა შრომას არ მოუღწევია. თუმცა შემოგვრჩა მისი მონუმენტური ისტორიული თხზულება „თა'რიხ არ-რუსულ ვალ-მულუქ“ („მოციქულთა და მეფეთა ისტორია“) და მრავალტომიანი „თაფსირი“, რომელიც წინა პერიოდის მუსლიმური ეგზეგეტიკის შედეგთა ენციკლოპედიურ შეჯამებას წარმოადგენს. ეს ორი კაპიტალური თხზულება — მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი — ავტორის მრავალხრივი განსწავლულობისა და დიდი ერუდიციის დასტურია.

სპეციალისტთა შეფასებით, მასალის მრავალფეროვნებისა და იმ მიუკერძოებლობის მხრივ, რითაც ატ-ტაბარი სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისს იმონებებს, მის თაფსირს მუსლიმური ეგზეგეტიკის ისტორიაში ბადალი არ მოეპოვება. ატ-

ტაბარის ნაშრომი მოიცავს მის წინამორბედთა ჩვენამდე ვერმოღწეული მრავალი თხზულების ფრაგმენტებს, რითაც მუსლიმური ეგზეგეტიკის განვითარების ადრეულ და შედარებით ნაკლებშესწავლილი პერიოდის შესახებ უნიკალურ მასალას გვთავაზობს.

თაფსირ-თა'ვილის ცნებათა გარშემო მწვავე დისკუსიათა ეპოქაში ატ-ტაბარი რამდენადმე კომპრომისულ თვალსაზრისს ავითარებს. იგი ყურანისეულ ტექსტებს სამ კატეგორიად აჯგუფებს: 1) ის ფრაგმენტები, რომელთა აზრის გაგება ადამიანებს არ ხელენიფებათ და მათი ჭეშმარიტი აზრი მხოლოდ ალაჰმა უნყის. 2) ფრაგმენტები, რომელთა აზრიც შეიძლება მხოლოდ იმ ტრადიციულ განმარტებებზე დაყრდნობით გავიგოთ, რასაც გადმოცემა მოციქულის სახელთან აკავშირებს. 3) ადგილები, რომელთა განმარტების სირთულეც ლინგვისტური ხასიათისაა და ფილოლოგთა ცოდნის მეშვეობით დაიძლევა.

ტექსტთან მუშაობის მეთოდიკის შესახებ ატ-ტაბარის შეხედულებებმა შემდგომი თაობის მუსლიმ ეგზეგეტიკოსებზე უდიდესი გავლენა იქონია. პრინციპზე — ყურანი განმარტება სუნას მეშვეობით — დაფუძნებული ატ-ტაბარის ნაშრომი მუსლიმური ეგზეგეტიკის იმ მიმართულების უმთავრეს მიღწევად იქცა, რომელსაც შემდგომ „ათ-თაფსირ ბილ მა'სურ“ — „განმარტება ტრადიციის მეშვეობით“ დაერქვა. ამ თხზულების უახლესი გამოცემის რედაქტორის მიერ ჩატარებული გამოთვლა გვიჩვენებს, რომ 1-14:25 სურებისათვის (სწორედ აქ გაჩერდა თხზულების პუბლიკაცია) ატ-ტაბარმა 20 787 ჰადისი (გადმოცემა) გამოიყენა.

ისლამის, როგორც სოციალურ-რელიგიური სისტემის, გაღრმავება ყურანის განმარტების ახალი ეტაპის მაუნყებელიც იყო. მუთაზილიტები — თეორიული მუსლიმური ღვთისმეტყველების (ქალამ) პირველი დიდი მიმართულების წარმომადგენელი — ყურანის განმარტებას პირადი შეხედულებებისა (ათ-თაფსირ ბი რ-რა'ი ნდა: დირაია) და რაციონალისტური „თა'ვილის“ მეოხებით ამჯობინებდნენ. ასეთ პრაქტიკას მათი მოწინააღმდეგენი, უპირველესად კი ჰანბალიტები და მათი მიმდევრები, რომლებიც ყურანის განმარტებას მუსლიმური ტრადიციის ჰადისთა მეშვეობით ეწეოდნენ („ათ-თაფსირ ბილ 'ილმ“, „თაფსირ ბილ მა'სურ“ ანდა: „რივაია“), მიუღებლად და არამართლზომიერად მიიჩნევდნენ.

ყურანის ყველაზე ცნობილი მუთაზილიტური კომენტარი ეკუთვნის მაჰმუდ იბნ უმარ აბულ-კასიმ აზ-ზამახშარის (1075-1144). ეს ცნობილი მუ'თაზილი ღვთისმეტყველი, ისლამის ჰანიფიდური მიმართულების კანონმდებელი, ფილოლოგი და ლიტერატორი, რომელსაც საპატიო ტიტულებით „ჯარ ალ-ლაჰ“ (ალაჰის მეზობელი) და „ფახრ ხვარაზმ“ (ხვარაზმის სიამაყე) იხსენიებდნენ, დაიბადა ზამახშარში, ცხოვრების დიდი ნაწილი კი გურგანჯში გაატარა. მიუხედავად ფიზიკური ნაკლისა (ბავშვობაში მოტეხილი ფეხი მთლიანად მოჰკვეთეს), ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერა გაიკეთა და ხორეზმშაჰთა სასახლის კარზე პატივ-დიდებასაც მიაღწია. 43 წლის აზ-ზამახშარმა უმძიმესი ავადმყოფობა გადაიტანა, რამაც მისი ცხოვრება საფუძვლიანად შეცვალა. ორჯერ ალასრულა ჰაჯჯი და მარტოობისა და ასკეტიზმის ლტოლვამ მოიცვა.

თავისი სახელგანთქმული განმარტების „ალ-ქაშშაფ 'ან ჰაკაიკ ათ-თანზილ“ (ზეგარდ-მოვლენის ან ზეშთაგონების) ჭეშმარიტებათა საუკეთესო განმცხადებელი“, რომელიც 1134 წელს მექაში მეორე პილიგრიმობისას დაასრულა, აზ-ზამახშარმა საპატიო ზედწოდება „საჰიბ ალ-ქაშშაფი“ მიიღო.

სპეციალისტთა შეფასებით, ეს არის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი სრული მუთაზილური კომენტარი. ის ფართოდ იყო გავრცელებული მთელ მუსლიმურ სამყაროში, უპირველესად კი — მის აღმოსავლეთ მხარეებში, და პოპულარობით სარგებლობდა თვით მუთაზილობის იდეურ მოწინააღმდეგეთა შორისაც.

აზ-ზამახშარი ყურადღებას, ძირითადად, კომენტარის დოგმატურ მხარეს აქცევს და პრინციპით — „სუნა განმარტავს ყურანს“ — შედგენილი ტრადიციული კომენტარები მინიმუმამდე დაჰყავს. ის არანაკლებ ყურადღებას უთმობს კომენტარის ფილოლოგიურ მხარესაც, დანვრილებით ანალიზებს ყურანის ნაკითხვათა ვარიანტებს, მოჰყავს პოეტური მაგალითები და აქცენტს სვამს ტექსტის რიტორიკულ მშვენიერებაზე, რათა ყურანის უზადლობის, შეუღარებლობის, სასწაულებრიობის თეორია (ე. წ. ი'ჯაზ ალ-კურ'ან) დაამტკიცოს.

უკვე სანყისი ფრაზებიდანვე აზ-ზამახშარი მხარს უჭერს ყურანის შექმნილობის თეორიას, რაციონალურად განმარტავს „ღვთიური სამართლიანობის“ (აღ-‘ადლ), მონოთეიზმის (ათ-თაუჰიდ) და „ღვთის ატრიბუტების“ (სიფათ აღ-ლაჰ) ცნებებს.

აზ-ზამახშარი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება ყურანის იმ ადგილებს, სადაც თითქოს გადმოცემულია მუთაზილთა უმნიშვნელოვანესი წარმოდგენები ღვთის ალტემის (ვა‘დ) და მუქარის (ვა‘იდ), ასევე ღვთისთვის სათნო საქმისაკენ მოწოდებისა და ღვთისგან შეუწყნარებელი საქმისაგან შეკავების პრინციპის (ამრ ბილ მა‘რუფ ვა ნაჰი მინ აღ-მუნქარ) შესახებ.

აზ-ზამახშარის „თაფსირი“ შემდგომში მრავალი ახსნა-განმარტებისა თუ გადამუშავების საბაზი შეიქნა, რომელიც მიზნად ამ ტექსტის მუთაზილურ იდეათაგან „განმენდას“ ისახავდა. მაგალითად, არ-რაზის (გარდ. 1209) „თაფსირის“ პათოსი დიდწილად მიმართულია „აღ-ქაშ-შაფის“ გამართლებისაკენ, ხოლო აღ-ბაიდავი მიზნად ისახავდა აზ-ზამახშარის ნაშრომისათვის სკრუპულოზურობითა და „ნაკითხვის“ ვარიანტთა ანალიზის სიღრმით ეჯობნა.

ფართო და თავისუფალი კომენტირება, არსებითად ტექსტის შეცვლა ახსნა-განმარტების მეოხებით, დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ხშირად ტექსტის ერთი და იმავე, ოღონდ სხვადასხვაგვარად განმარტებული პასაჟების მოშველიება არ შეიძლებოდა ურეაქციოდ დაეტოვებინათ. ამრიგად, მუსლიმურ საზოგადოებაში წარმოიშვა შეხედულება ყურანის განმარტების არასასურველობისა და თვით აკრძალვის შესახებაც. ამ თეზას ხალიფა ‘უმარ I ავტორიტეტით ამყარებდნენ, რომელიც თითქოს ყურანის კომენტირების წინააღმდეგი იყო და წმინდა ტექსტის თვითნებური კომენტარით ჩანაცვლების საფრთხე პირველს დაენახა. გაჩნდა ჰადისებიც, რომელიც „ათ-თაფსირ ბირა‘ის“ პრაქტიკას კიცხავდა: „ვინც განსჯის ყურანს საკუთარი აზრის მიხედვით, ადგილს ჯოჯოხეთში ჰპოვებს“. თუმცა იყო ერთი შემრიგებლური თეორიაც, რომლის თანახმადაც, ‘უმარი მხოლოდ „რთულად გასაგებ“ აიათა კომენტარს კრძალავდა.

დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები შემდგომში კონცენტრირებული სახით ყურანის „შექმნილობა-შეუქმნელობის“ საკითხზე კამათისას გამოვლინდა. ეს უთანხმოებანი სახალიფოში მიმდინარე ღრმა პოლიტიკური კონფლიქტის თავისებური გამოვლინება იყო. ძალიან ზოგადად დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ისინი, ვინც ‘უმარ I ავტორიტეტზე დაყდნობით უარყოფდა განმარტების შესაძლებლობას და ასევე მათთან იდეურად ახლოს მდგომი „ბუკვალისტები“ მხარს უჭერდნენ მოსაზრებას, რომ ყურანი შეუქმნელი (ღაირ მახლუკ) სიტყვაა ღვთისა. ის არის ღვთის არსებობის უჟამო ატრიბუტი და არ შეიძლება რაიმე ფორმით შეიცვალოს. მუსლიმურმა თემმა კი მხოლოდ ამ წიგნში ჩანერილი მითითებებით უნდა იხელმძღვანელოს. ხოლო რაკი ყურანში გადმოცემული ღვთის უცვლელი ნების გაგების თვალსაზრისით საყოველთაოდ მიღებული ავტორიტეტები ღვთისმეტყველნი (‘ულამა’) იყვნენ, ყურანის შექმნილობა-შეუქმნელობის საკითხებთან დაკავშირებული ვითარება ობიექტურად უწყობდა ხელს საზოგადოებაში მათი გავლენისა და ძალის განმტკიცებას.

ისინი კი, ვინც ყველაზე თავისუფლად განმარტავდა ყურანს, უმრავლეს შემთხვევაში ხელისუფლების ბუნების თაობაზე პროშიტიური მსოფლმხედველობისანი იყვნენ და მუსლიმური თემის ხელმძღვანელის ღვთივშთაგონებულობის აუცილებლობას ქადაგებდნენ. მათი აზრით, მმართველს, რომელიც ზენაართან იყო დაკავშირებული, უფლება ჰქონდა, უარეყო რელიგიური კანონის მანამდე ცნობილი და მიღებული ფორმა. ხოლო თუ ყურანს შექმნილად მივიჩნევდით, მაშინ ისიც უნდა გველიარებინა, რომ ღმერთს მისი ხელახლა შექმნა ხელენიფება.

მაგამ იმ ეპოქის თხზულებებში პოზიციები ასე ცალსახად არასოდეს აისახებოდა. სულაც პირიქით. იდეოლოგიურ მიმდინარეობათა და მიმართულებათა სიუხვე და იმ იდეოლოგიურ დონეთა სიმრავლე, რის შესახებაც კამათობდნენ, ხშირად პოზიციათა აღრევასა და რამდენიმე მოსაზრების გაერთიანებას იწვევდა. მაგალითად, აშა‘ირული ქალამის თვალსაჩინო წარმომადგენლის ფახრ ად-დინ ‘აბდ აღ-ლაჰ იბნ მუჰამმად არ-რაზის (1149-1209) „თაფსირი“

როგორც ანტიმუთაზილური, ასევე ანტიზაჰირიდული ხასიათისაა. თხზულებაში „მაფათიჰ ალ-ლაიბ“ („იდუმალის გასაღებები“), რომელიც სიცოცხლის მიწურულს დაწერა, არ-რაზი შეეცადა აზ-ზამახშარის „თაფსირზე“ პასუხი „აშაირული მიმართულების“ პოზიციებიდან გაეცა და თან თავისი ფილოსოფიური შეხედულებებიც გამოეხატა. საინტერესოა, რომ მუთაზილბთან პოლემიკისას არ-რაზი ზოგჯერ თვითონვე გადადიოდა მათ პოზიციებზე. ფორმის თვალსაზრისით, „თაფსირი“ აგებულია, როგორც მკაცრი ფილოსოფიური განსჯა, რომელიც ხშირად სხვა ავტორთა თხზულებებს ეყრდნობა. ეს, არსებითად, ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის ერთადერთი ნამუშევარია. არ-რაზის მეთოდი დაფუძნებულია ყურანის ტექსტის მოკლე-მოკლე, დასრულებული აზრის მქონე მონაკვეთებად დანაწევრებაზე. ავტორი გამოავლენს ამ მონაკვეთთა ურთიერთკავშირს და აანალიზებს აზრისა და ლოგიკური აქცენტების ერთი მონაკვეთიდან მეორეზე გადასაცვლებას. ამას მოსდევს თვითონ ტექსტის ანალიზი, რომლის დროსაც, როცა კი ავტორი აუცილებლად მიიჩნევს, „ნაკითხვათა“ ვარიანტებსაც (ალ-კირა'ათ) მოიხმობს. არ-რაზი გამოჰკვეთს ტექსტის სირთულეებს, თითოულ ფრაგმენტთან დაკავშირებით სვამს საკითხებს (მას'ალა, ბაჰს), რომელთაც თვითონვე ამომწურავად უპასუხებს. ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როცა არ-რაზი ამა თუ იმ ავტორიტეტის პოზიციებს გადმოსცემს, მონაკვეთი კიდევ უფრო პატარა ფრაგმენტად (ვაჯჰ) იყოფა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საუბარი რიტუალურ ან სამართლებრივ დადგენილებებს შეეხება, არ-რაზი, როგორც წესი, სხვადასხვა მახაზების ავტორიტეტთა მოსაზრებებს მოიხმობს, რაც მის შრომას ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს. მსჯელობისას იგი ხშირად დაიმომშებს თავისი ეპოქისათვის სახასიათო ნამდვილმეცნიერულ მოსაზრებებს და ეს „თაფსირს“ მეცნიერების ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდაც გადააქცევს.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, თხზულება, რომელიც ავტორის ჩანაფიქრით, მისი მოღვაწეობის გვირგვინი უნდა გამხდარიყო, დაუმთავრებელი დარჩა. თაფსირი დაასრულეს არ-რაზის მოწაფეებმა — შამს ად-დინ აჰმად იბნ ალ-ჰალილი ალ-ჰუვაიამ (გარდ. 1242), დამასკის მთავარმა ყადიმ, და ნაჯმ ად-დინ აჰმად იბნ მუჰამად ალ-ქამულიმ (გარდ. 1375), ხოლო მუჰამად იბნ აბი ლ-კასიმ არ-რილიმ (გარდ. 1307) შეასრულა არ-რაზის შრომის პოპულარული ადაპტაცია, სათაურით „ათ-თანვირ ფი თ-თაფსირ, მუხთასარ ათ-თაფსირ ალ-ქაბირ“ (თაფსირის გაშუქება, დიდი თაფსირის შემოკლება)

მთლიანობაში არ-რაზის თხზულებას ტრადიციულად დადგენილი განმარტებებიდან რაციონალიზმის მხარეს ერთგვარ გადახვევად მიიჩნევენ.

ყურანის შექმნილობა-შეუქმნელობის საკითხებზე დისკუსიამ, რომელიც შეუქმნელობის თეზის მომხრეთა გამარჯვებით დაგვირგვინდა, სუნიტური ისლამის დოგმატიკური სისტემის ერთ-ერთი საფუძვლის გამყარება გამოიწვია. ეს იყო ყურანის, როგორც მუსლიმთა რელიგიური თემის ცხოვრებაში უჟამო და შეუცვლელი ხელმძღვანელობის, როლის გამყარება.

ხოლო ყურანის შეუქმნელობის თეორიის მომხრეთა გამარჯვებამ განაპირობა ფორმისა და შინაარსის მხრივ ყურანის უნიკალურობისა და უბადლობის შესახებ (ი'ჯაზ ალ-კურ'ან) წარმოდგენათა ფართოდ გავრცელება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ისლამური დოქტრინის ეს განუყოფელი ნაწილი ამ დოქტრინის უპირატესობათა უმთავრეს მტკიცებულებადაც გვევლინება.

ყურანის სასწაულებრიობის თავდაპირველ წარმოდგენებში სიტყვისა და საგნის მითოლოგიური იგივეობის კვალი იკითხება. VIII-IX საუკუნეებში, არაბული ლიტერატურული ტრადიციის ევოლუციის პროცესში, მოხდა ამ იგივეობის მსხვრევა, რაც ენისა და სიტყვიერების დემითოლოგიზაციას უკავშირდებოდა. ამან კი წმინდად ლიტერატურულ პლანში ყურანის ახლებურად გააზრება და შეფასება გამოიწვია, რითაც ცნებაში — „ი'ჯაზ ალ-კურ'ან“ — ფორმისა და შინაარსის დონეები გამოიყო. ეს ცნება, როგორც ერთ-ერთი არსებითი დასაბუთება მუჰამად წინასწარმეტყველის სამოციქულო მისიის ჭეშმარიტებისა, იუდეველობასა და ქრისტიანობასთან პოლემიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. აღნიშნული პოლემიკის მდინარეებისას მუსლიმმა ავტორიტეტებმა შეიმუშავეს გრძნობით (ჰისსიია) აღსაქმელ და გონით (აკლიია) გასააზრებელ „სასწაულთა“ და „ნიშთა“ თეორია. ამათგან პირველნი

(გრძნობით აღსაქმელი) სასწაულები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ დროში მნიშვნელობენ, იუდაიზმისა და ქრისტიანობისათვის დამახასიათებლად გამოცხადდა, ხოლო მეორენი — ამოუწყვეთი, ამოუწურავი — ისლამს მიაკუთვნეს. მუსლიმური დოქტრინის უპირატესობის უმთავრეს მტკიცებულებად კი ყურანი — ეს მთავარი სასწაული (მუ'ჯიზა) და ღვთაებრივი ნიშანი („აიია“) — გამოცხადდა.

იუდეველობასა და ქრისტიანობასთან პოლემიკისას შეიმუშავეს არგუმენტთა მთელი კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა დოზით ყველა საღვთისმეტყველო ქმნილების ნაწილია.

შიიტური გარემოში კი დამუშავდა ე. წ. „ას-სარრფას კონცეფცია“, რომლის თანახმადაც, ყურანი, როგორც სიტყვიერების ნიმუში, ფორმალური თვალსაზრისით მიუღწეველ სრულყოფილებას არ წარმოადგენს, მაგრამ ალაჰმა წაართვა ადამიანებს (სარრაფაჰუმ) უნარი, შეექმნათ რაიმე მისი მსგავსი მუჰამადის მოღვაწეობის პერიოდში.

მეცნიერთა განმარტებით, შიიტურ გარემოში ი'ჯაზ ალ-კურ'ანის ცნების ასეთი შეზღუდვა შესაძლებელი გახდა, უმთავრესად, იმამთა უცოდველობის იდეისა და ღმერთთან მათი კავშირის რწმენის მეშვეობით.

მეორეს მხრივ, IX საუკუნის შუა ხანებში სუნიტური „მართლმადიდებლობის“ გაფორმებასა და X საუკუნის დასაწყისიდან აშა'ირული საღვთისმეტყველო დოქტრინის განმტკიცებას თან ახლდა იმ შეხედულების გაღრმავება, რომლის თანახმადაც ყურანის სტილისა (ნაზმ) და კომპოზიციის (თა'ლიფ) სრულყოფილება ადამიანისათვის პრინციპულად მიუღწეველია.

აშა'ირული პოზიციებიდან ყურანში, როგორც ღვთის სიტყვაში, ორი ასპექტი — შინაგანი და გარეგანი — გამოიყო. პირველი, უჟამო სიტყვა, რომელიც ღვთის არსების ატრიბუტს წარმოადგენს (ალ-ქალამ ალ-კადიმ ალ-ლაზი ჰუვა სიფათ აზ-ზათ), და მეორე, რაც აღნიშნავს, ფორმალურად გადმოსცემს უჟამოს, ანუ წარმოთქმული სიტყვები (ად-დალლ ალა ლ-კადიმ ვა ჰუვა ლ-ლაფზ). ასეთმა მიდგომამ — „შინაგანი“ და „გარეგანი“, „აშკარა“ (ზაჰირ) და „ფარული“ (ბატინ) ატრიბუტების გამოკვეთით — მუსლიმ ღვთისმეტყველებს „ყურანის ფორმისა და შინაარსის ერთობის“ უმნიშვნელოვანესი საკითხის დასმის საშუალება მისცა. ეს კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ყურანის დაფარული საზრისის (ბატინ) შიიტური განმარტებისა და წმინდა ტექსტის სიმბოლურ-ალეგორიულ განმარტებათა (თა'ვილ) თაობაზე მიმდინარე პოლემიკის კონტექსტში.

გარდა ამისა, გრძელდებოდა კამათი ადამიანის მიერ ყურანის ფორმოებრივი სრულყოფილების მიუღწევლობის თაობაზე. ერთნი (მაგალითად, იბნ მუ'თაზი, გარდ. 909, და ას-სუიუტი, გარდ. 1505) ამტკიცებდნენ, რომ ყურანში გამოყენებული ყველა რიტორიკული ხერხის არქეტიპთა დაძვბნა შეიძლებოდა და ამ არქეტიპთა შესწავლა და შემეცნება მხოლოდ შესაბამის მეცნიერებათა ('ილმ ალ-ბაიან, 'ილმ ალ-მა'ანი) მეშვეობით იქნებოდა მოსახერხებელი. სხვანი (მაგალითად იბნ ჰაზმი, გარდ. 1064) მიიჩნევდნენ, რომ შემოქმედის სიტყვის შედარება „შექმნილთა სიტყვებთან“ (ქალამ ალ-მახლუკინ) არსებითად შეუძლებელი და დაუშვებელია. მესამენი კი (მაგალითად, ალ-ბაკილანი, გარდ. 1013) ცდილობდნენ კომპრომისული მოსაზრებანი გამოეთქვათ: ყურანი აღსავსეა სტილური მშვენიერებით, მაგრამ ეს მისსავე „მიუღწევლობასთან“, „უბადლობასთან“ კავშირში არააო.

თეორიათა განვითარება კი ფილოლოგიურ დისციპლინებთან აქტიურ ურთიერთკავშირში მიმდინარეობდა. XI საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა ი'ჯაზ ალ-კურ'ანის სწავლებისა და ბადი'ის თეორიის (სწავლება ტექსტის ასაგებად გამოყენებულ მხატვრულ ფიგურათა და სტილურ საშუალებათა შესახებ) საინტერესო სინთეზი. მუსლიმ ღვთისმეტყველთა თანახმად (აბუ ლ-ჰასან ნასრ იბნ ალ-ჰასან ალ-მარლინანი, IX ს.-ის I ნახევარი; აბუ ჰილალ ალ-ასქარი, გარდ. 1010), უბადლობა მხოლოდ ყურანის თვისებაა და ის ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს არ ახასიათებს, მით უმეტეს, რომ იუდეველობისა და ქრისტიანობის დოგმატურ სისტემებში ასეთი წარმოდგენები არც დასტურდება.

თუმცა სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში არაერთი მცდელობა ჰქონდათ იმისა, რომ ყურანის მიბაძვით, „მისი ბადალი“ (მუ'არადათ ალ-კურ'ან) ტექსტები შეექმნათ. ასეთია, მაგალითად, გამოჩენილი სტილისტის, „ქალილასა და დიმნას ნიგნის“ არაბული ვერსიის



მთარგმნელ-ავტორის იბნ ალ მუკაფფა'ის (გარდ. 757/759), ცნობილი პოეტების ბაშმარ იბნ ბურდის (გარდ. 784/785), აბუ ლ-'ათაჰიას (გარ. 828), აბუ ლ-'ალა ალ-მა'არისა (გარდ. 1057) და ალ-მუთანაბბის (გარდ. 965) თხზულებანი. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს მუთაზილი იბნ არ-რაფანდის (გარდ. 859) თხზულება.

აბუ ლ-ფარრაჯ ალ-ისბაჰანის (ასბაჰანის) სახელგანთქმულ ლიტერატურულ ენციკლოპედიკაში „ქითაბ ალ-ალანი“, სხვათა შორის, ასეთი ამბავიცაა მოთხრობილი:

„ერთხელ ბაშმარ იბნ ბურდს ყური მოუკრავს, როგორ მღეროდა მის ლექსს ერთი მხევალი და აღტაცებით წამოუძახია: „ფვიცავ ალაჰს, ჩემი ლექსი უკეთესია, ვიდრე „სურა ალ-ჰამ-რისაო“ (სურა „შეკრება“)“.

ყურანის მეცნიერების განვითარებამ მისი დიფერენციაცია და ცალკეულ დარგებად დანაწევრება გამოიწვია. დაინერა სხვადასხვა მიმართულების მნიშვნელოვანი თხზულებანი. ამ მიმართულებათაგან შეიძლება დავასახელოთ: 'ილმ მუშქილ ალ-კუ'ან (ყურანის სირთულის მეცნიერება), 'ილმ ალ-მუშქამ ვა ლ-მუთამაბბიჰათ „მყარ და მიმსგავსებულ (აღეგორიულ) აიათა მეცნიერება“, 'ილმ ლულათ ალ-კურ'ან (ყურანის სიტყვათა მეცნიერება) 'ილმ ი'რაბ ალ-კურ'ან (ყურანის სინტაქსის მეცნიერება), 'ილმ მუფრადათ ალ-კურან (ყურანის ფრაზეოლოგიის მეცნიერება) და ა. შ.

გავრცელებულ მოსაზრებათა თანახმად, კომენტატორს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა სრულყოფილ თაფსირზე მუშაობის უფლება, თუკი იგი თანაბრად ერკვეოდა ყურანისეულ დისციპლინათა მთელ კომპლექსში, თუმცა იქმნებოდა საგანგებო კომპენდუმებიც, რომელიც ამ მიმართულებათა მიღწევებს მოკლედ აჯამებდა (მაგალითად, ჯალალ ად-დინ ას-სუიუტის „ითკან ფი 'ულუმ ალ-კურ'ან“).

განიმარტებოდა ყურანის ცალკეული სიუჟეტები, ცნებები და სახეები, იდუმალი ასოები (ალ-ფავათიჰ), ალაჰის ატრიბუტები, ცოდვილთათვის ჯოჯოხეთის სასჯელისა და მართალთათვის სამოთხის ნეტარების აღწერილობანი.

მრავალი თაზულება მიეძღვნა ყურანის რეციტაციის წესებს (ათ-თაჯვიდ), ცალკეულ სურათა და აიათა მაგიურ მნიშვნელობებსა და ლოცვისათვის მათ გამოყენებას. ყურანის მეცნიერების განვითარების საჭიროებამ განაპირობა ყურანის რეციტატორთა ბიოგრაფიული ნუსხების შედგენა.

იქმნებოდა ცალკეულ სურათა და აიათა „ღირსებებისადმი“ (ფადა'ილ) მიძღვნილი ნაშრომები, ცალკეულ სურათა, აიათა თუ აიათა ჯგუფების განმარტებანი.

ამ თხზულებათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილვა საშუალებას მოგვცემს შუასაუკუნეების ისლამში ყურანის ტექსტის გაგებასთან და განმარტებასთან დაკავშირებული რელიგიურ-პოლიტიკური პოლემიკის საკვანძო მომენტები დავინახოთ. განსაკუთრებულად საინტერესოა თვითონ საკომენტარო აიათა შერჩევა, რაც ახალი პრობლემების წამოჭრასა და სოციალურ-პოლიტიკურ უთანხმოებათა გაჩენასთან ერთად იცვლებოდა. ყოველ ეპოქას თავისი „საყვარელი“, „რჩეული“ აიები და სურები ჰქონდა.

ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული სუნიტი და შიიტი კომენტატორების უთანხმოებანი.

აღნიშნული ეპოქის შიიტური ეგზეგეტიკის ერთ-ერთ მწვერვალად ატ-ტაბარსის (გარდ. 1153) შრომა „მაჯმა' ალ-ბაიან ფი თაფსირ ალ-კურ'ან“ (ყურანის განმარტების შეხედულებათა შესაკრებელი) მოგვევლინა. ეს თხზულება ერთ-ერთია ატ-ტაბარსის სამი ნაშრომიდან, რომელიც ყურანის განმარტების საკითხებს ეძღვნება. ის 1339 წელს დასრულდა და მალევე შიიტური ეგზეგეტიკის ერთ-ერთ მიღწევად აღიარეს. მასალის სიუხვისა და მისი საგულდაგულო დამუშავების თვალსაზრისით ატ-ტაბარსის შრომას ატ-ტაბარის „თაფსირს“ ადარებენ. საერთო წყაროებზე დაფუძნებულ ამ სიახლოვეს თავისი თხზულების კონცეფციასა და მის სახელწოდებაში თვითონ ატ-ტაბარსიც აღნიშნავდა.

ატ-ტაბარსი იყო ცნობილი შიიტი ღვთისმეტყველის აბუ ჯა'ფარ ატ-ტუსის (გარდ. 1067) სულიერი მემკვიდრე, რომელიც თავის მხრივ ას-საიდ ალ-მურთადის (გარდ. 1044) მიმდევარი გახლდათ. თავის მასწავლებელთა მსგავსად, ატ-ტაბარსი არა მხოლოდ შიიტურ, არამედ

სუნიტურ ეგზეგეტიკურ ტრადიციასაც ეყრდნობოდა და, ადრეული თუ მოგვიანო ხანის შიიტი კომენტატორებისაგან განსხვავებით, აღიარებდა ყურანის ე.წ. „უსმანური რედაქციის“ მართებულობას. არსებითად, იგი უარყოფდა ყურანის ტექსტის საგანგებო დამახინჯებას (თაჰრიფი) და რიგი საკვანძო აიების განადგურებას 'უმარ I-ის, 'უსმანისა და ალ-ჰაჯჯაჯის ეპოქაში.

ატ-ტაბარის მსგავსად, თავის ნაშრომში ატ-ტაბარისაც ხშირად მოაქვს ერთი და იმავე აიის სხვადასხვაგვარი განმარტება, მაგრამ, ატ-ტაბარისაგან განსხვავებით, იგი მუდამ აღნიშნავს საკუთარ პოზიციას. ატ-ტაბარი, ძირითადად, მუსლიმური ეგზეგეტიკის შემდეგ ავტორიტეტებს ეყრდნობა: 'აბდ ალ-ლაჰ იბნ 'აბბასს, მუკათილ იბნ სულაიმანსა და კათადას. ასევე ხშირად იმონშებს გამოჩენილი მუსლიმი თეოლოგების — ალ-ჰასან ალ-ბასრისა (გარდ. 728) და მუთაზილი აბუ 'ალი ალ-ჯუბა'ის (გარდ. 915) — მოსაზრებებს.

თავის კომენტარს კი ასეთი პრინციპის მიხედვით აგებს: სურის ზეგარდმოვლენის ადგილი, აიების რიცხვი, მოცემული სურის ამა თუ იმ აიის „ნაკითხვათა“ განსხვავებანი, რასაც მოჰყვება ე.წ. „ლირსებათა (ფადა'ილ) ქვეთავი“, სადაც დამონშებულია ამა თუ იმ სურის განსაკუთრებული მნიშვნელობის დამადასტურებელი ჰადისები. ხოლო ქვეთავში „თაფსირუჰა“ („მისი განმარტება“) ავტორი მოკლედ მოგვითხრობს სურათა შინაარსს და მომდევნოსთან თითოეული სურის კავშირში მოჰყავს ამ სურის სრული ტექსტი.

შემდეგი ქვეთავი თავს უყრის მუსლიმ თეოლოგთა განსხვავებულ მოსაზრებებს ცალკეული სიტყვათა წარმოქმნის შესახებ. არგუმენტაცია კი მოყვანილია მომდევნო ქვეთავში, რომელსაც „ჰუჯჯა“ („მტკიცებულება“) ეწოდება.

ლექსიკის (ალ-ლულა) ქვეთავი სურაში დამონშებული იშვიათი სიტყვების განმარტებას ეძღვნება. აქ ავტორს მაგალითად ხშირად მოჰყავს პოეტური ფრაგმენტები (ძირითადად, ისლამამდელი ხანის არაბი პოეტების — ან-ნაბილა აზ-ზუბიანის, ალ-ხანსას, ქა'ბ იბნ ზუ-ჰაირის, ზუ რ-რუმისა და სხვათა — შემოქმედებიდან).

ქვეთავში „ი'რაბ“ („სინტაქსი“) განხილულია ამა თუ იმ სურის რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რასაც ხშირად მოსდევს ცნობები ამა თუ იმ აიის ზეგარდმოვლენის გარემოებათა შესახებ (ასბაბ ან-ნუზულ). ხოლო წიგნის ქვეთავებს აბოლოებს საგანგებო თავი განმარტებებისა (ალ-მა'ნა). ამრიგად, ატ-ტიბრისი თავის კომენტარში მუსლიმური ეგზეგეტიკის სხვადასხვა დარგის მიღწევებს აჯამებს.

ისმაილიანთა პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას ყურანის მისტიკური გააზრების მცდელობანი მოჰყვა და ამ მიმართულების საუკეთესო ნიმუშები შეიქმნა, თუმცა რაკილა ჩვენ ამ განმარტებებით არ გვისარგებლია, აქ მათ საგანგებო განხილვას აღარ შევუდგებით და მხოლოდ ავტორთა და თხზულებათა ზოგადი ჩამონათვალით შემოვიფარგლებით.

ამ პერიოდში იწერება იბნ რუშდის (ავეროესის) (გარდ. 1198), იბნ ალ-'არაბისა (1165-1240) და სხვა უდიდესი მუსლიმი მისტიკოსების პირველხარისხოვანი თხზულებანი, რომლებშიც ყურანის აიები ფილოსოფიური სისტემის ფარგლებშია შესწავლილი. თუმცა ამ თხზულებებში ტრადიციული აზრისაგან განდგომაც და ყურანის „თვითნებური“, თავისუფალი და თავისებური კომენტირების ტენდენციებიც მეტად შეიმჩნევა.

შესაძლოა, ამ გადამეტებულ თავისუფლებაზე პასუხიც იყო ის განუზომელი წარმატება, რაც ზომიერი და ყველა თვალსაზრისით ტრადიციული კომენტარის, გამოჩენილი ეგზეგეტიკოსის, შირაზის მკვიდრისა და თავრიზის მთავარი ყადის, შაფი'იდური მიმართულების მიმდევრის ალ-ბაიდავის (გარდ. 1286) თხზულების „ანვარ ათ-თანზილ ვა ასრარ ათ-თა'ვილ“ („ზეგარდმოვლენის სინათლენი და ეგზეგეტიკის საიდუმლოებანი“) გამოჩენას მოჰყვა.

ალ-ბაიდავის „თაფსირის“ საფუძველს აზ-ზამახშარის „ალ-ქაშშაფი“ წარმოადგენს. ალ-ბაიდავი თავისი ნაშრომით შეეცადა გაესწრო სახელგანთქმული წინამორბედისათვის და ამ მიზნით გულმოდგინედ დააზუსტა მისი ფილოსოფიური დაკვირვებანი, განმარტებები კი ფილოლოგიური და ისტორიული მასალით განავრცო და, რაც მთავარია, თხზულებას მუთაზილური დოგმატური საყრდენები გამოაცალა, თუმცა ეს სრულად მაინც ვერ მოახერხა.

სპეციალისტთა დაკვირვებით, ალ-ბაიდავი კომენტირების არცერთ ასპექტში არ ცდი-

ლობს მის ხელთ არსებული ცნობების ამონაწერს. თხზულებაში გვხვდება უზუსტობანი, მაგრამ განუზომელი პოპულარობა, რაც ამ ნაშრომმა სუნიტურ წრეში მოიპოვა, ადასტურებს, რომ ავტორმა მასალის სიუხვესა და ხასიათს შორის მარჯვე შეფარდება გამოძებნა.

სუნიტებში აღ-ბაიდავის კომენტარი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მუსლიმურ სკოლათა სახელმძღვანელოდ რჩებოდა.

XIII—XIV საუკუნეები ახლო აღმოსავლეთში მონგოლთა ბატონობითა და მათ ნინაალმ-დეგ წარმოებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლებით აღინიშნა. მონგოლებმა XIII საუკუნეში სუნიტური განშტოების ისლამი მიიღეს და ამას, ფორმალურად, მათი მონინაალმ-დეგებისათვის თითქოსდა უნდა გამოეცალა მტერთან ბრძოლის იდეოლოგიური საფუძველი. მონგოლთა მიერ დაპყრობილი მუსლიმების წინაშე წამოიჭრა შეკითხვა: ჯიჰადია თუ არა ორი მუსლიმური ქვეყნის დაპირისპირება ანუ მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლა. საგულისხმოა, რომ მონგოლებმა ისლამის ძირითადი პრინციპები კი აღიარეს, მაგრამ დიდწილად ჩინგიზ ხანის „იასესაც“ მისდევდნენ. ამიტომაც კითხვა ასე იდგა: სად გადის ზღვარი, რომლის შემდგომ მუსლიმი სარწმუნოების უარყოფლად იქცევა? ამ შეკითხვას პასუხი გასცა იბნ თაიმიიასა (1263-1328) და მისი მოწაფის იბნ ქასირის (1300-1372/1373) „განმარტებმა“.

იბნ თაიმიიასა და იბნ ქასირის შემდგომ მუსლიმურ სამყაროში კულტურული ჩამორჩენის მძიმე ყუამი დადგა. დაიწყო „სუპრაკომენტარების ხანა“, მეცნიერული ცხოვრებისაგან მონ-ყვეტილი, ფუჭი და ცარიელი სქოლასტიკის ეპოქა. გასაკვირი არაა, რომ სწორედ ამ დროს იბნ ხალდუნის (1332-1406) სახელგანთქმულ თხზულებაში გვხვდება „თავი იმის შესახებ, რომ ყურანის მეცნიერებებში განსწავლულ მკვლევართ ყველაზე ნაკლებად აქვთ სახელმ-ნიფობრივ და მართვის საკითხთა გადაწყვეტის უნარი“. აქ გამოთქმული იდეა პირდაპირ ეწინააღმდეგება ცნობილ ჰადისს, რომელიც ქადაგებს: „თქვენ შორის ყველაზე უკეთესია ის, ვინც შეისწავლის და ასწავლის ყურანს.“

იბნ ხალდუნის თვალსაზრისს კი იმეორებს ცნობილი ეგვიპტელი ფილოლოგი, იბნ აღ-‘არაბის მიმდევარი აბდ აღ-ვაჰჰაბ ამ-შა‘რანი (ამ-შა‘რაი) (1491/1492-1565), რომელიც აღნიშნავდა: „განმარტებათა კითხვას არავითარი სარგებელი არ მოაქვს.“

კლასიკური მუსლიმური ეგზეგეტიკის ერთ-ერთი უკანასკნელ, ნამდვილად ორიგინალურ თხზულებად „თაფსირ აღ-ჯალალაინი“ გვევლინება. ეს არის ორი „ჯალალის“ — აღ-მაჰა-ლისა და სახელგანთქმული ას-სუიუტის — ერთობლივი ნამუშევარი.

ყურანის ამ თავისებურმა „არაბულმა თარგმანებამ“ უდიდესი პოპულარობა უპირველეს-ად არაარაბულ სამყაროში მოიპოვა. ამ ყაიდის თხზულებათა გაჩენა გვიან შუასაუკუნეებში ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა თუ აფრიკაში ისლამის ფართო გავრცელებას უკავშირდება.

„თაფსირ აღ-ჯალალაინის“ პოპულარობა დიდწილად სწორედ ას-სუიუტის განუ-ზომელი ავტორიტეტითაც აიხსნება. ყურანის დარგში მისი უბრწყინვალესი თხზულებანი, უპირველესად, „აღ-ითკან ფი ‘ულუმ აღ-კურ‘ან“ („ჩალრმავება ყურანის მეცნიერებაში“) — ყურანის მეცნიერებათა თავისებური მიმოხილვა და ჩაფიქრებული (ან ვერ დანერილი ანდა ჩვენამდე არმოღწეული) დიდი „თაფსირის“ გაფართოებული შესავალი — კლასიკური მუს-ლიმური ეგზეგეტიკის უკანასკნელი ნამდვილად ორიგინალური ნიმუშებია, რომელთაც ამ ეგზეგეტიკის რვასაუკუნოვანი განვითარების მთელი შედეგები შეაჯამეს. ამ ნაშრომებმა „ყურანის მეცნიერების“ შემდგომ ისტორიასა და ბედზეც განუზომელი გავლენა იქონია.

რაც შეეხება „თაფსირ აღ-ჯალალაინს“, მეთოდის მხრივ, იგი მუსლიმური ეგზეგეტიკის იმ მიმართულებას განეკუთვნება, რომელსაც პირობითად შეიძლება „ყურანის არაბულად თარგმანება“ ვუწოდოთ.

ცხადი და დანურული, ასბაბ ან-ნუზულისა და კირა‘ათის განსხვავებულ ვარიანტთა მომცველი „თაფსირ აღ-ჯალალაინი“ საფუძვლად დაედო ყურანის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ თანამედროვე განმარტებას „თაფსირ აღ-მანარ“.

ყურანის თანამედროვე ეგზეგეტიკა კი მახლოებელ აღმოსავლეთში XX საუკუნეში განვი-თარებულ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს ემთხვევა. სხვადასხვა

მუსლიმური სახელმწიფო, რომელშიც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლები წარმოებდა, თავისი ნაციონალური და სარწმუნოებრივი იდეალების დასაცავად სწორედ ამ იდეალთა უპირველეს საუნჯეს — ყურანს — იყენებდა.

მრავალწლიანი კოლონიური მმართველობით, სახალიფოს დაშლითა თუ დასავლეთის სამხედრო-ეკონომიკური და სამეცნიერო უპირატესობით გამოწვეული „ტრაგედიები“ ყურანის თანამედროვე განმარტებებშიც აისახა. ახალი „თაფსირები“ საზოგადოებრივ ინსტიტუტთა, კულტურისა თუ განათლების ვესტერნიზაციისაკენ სწრაფვას ასახავდა და, იმავდროულად, ხალხს ტრადიციულ მუსლიმურ ღირებულებებთან მიბრუნებასაც მოუწოდებდა.

მკვლევართა შენიშვნით, ამ თხზულებათა შედარებით სადა ენა მათ ვრცელ აუდიტორიისადმი მიმართვაზე მიუთითებს, ხოლო ძირითადად სამართლებრივ-თეოლოგიურ პრობლემებზე დასმული აქცენტი იმის მანიშნებელია, რომ ტექსტის ენობრივი საკითხები წინამორბედთა გადანყვეტილად მიიჩნევა.

მუჰამად აბდო (1849-1905) ეგვიპტის უმაღლესი მუფთი, რომელიც ისლამში წარმოშობილი განახლების მოძრაობის სათავეებთან იდგა, თავის ცნობილ „თაფსირ ალ-მანარში“, რაშიდ რიდასთან (1898-1935) თანამშრომლობით რომ შექმნა, ლიბერალურ-რეფორმისტული სულისკვეთებით განახლებული ისლამური საზოგადოების ორგანიზების პრინციპთა ფორმულირებას შეეცადა.

ტექსტში მეტ-ნაკლებად აისახა მუჰამად აბდოს ცნობილი ფათევები, ისეთ არსებით საკითხებზე, როგორცაა სარგებლის პროცენტი და მრავალცოლიანობა.

გარდა ამისა, მუჰამად აბდო ასაბუთებდა, რომ ისლამის საფუძველი დემოკრატიულია. აუდიტორიას კი ისლამური ცივილიზაციის ალორძინებისაკენ მოუწოდებდა, რისთვისაც შემდგომდროინდელ ავტორიტეტთა მიერ დამახინჯებულ, ნამდვილ ისლამურ ღირებულებებთან მიბრუნებით უნდა მიეღწიათ. სწორედ ისლამის ჭეშმარიტ ღირებულებებთან მიბრუნებით ხსნიდა მუჰამად აბდო მუსლიმური საზოგადოების მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ თავის მოსაზრებებს. ისლამის დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში იბნ თაიმიას ავტორიტეტს მიმართავდა, ხოლო სარწმუნოების ეთიკური კონცეფციის ქადაგებისას ალ-ლაზალის სწავლებას მიჰყვებოდა, ასევე ფართოდ იყენებდა მუსლიმური რაციონალიზმის ტრადიციას. იგი ამტკიცებდა, რომ ყველა ეპოქას ყურანის დამოუკიდებელი, თავისი და თავისთავადი განმარტება ესაჭიროება. მუჰამად აბდო მხარს უჭერდა სამყაროსა და მისი განვითარების კანონთა შეცნობადობის თეზას, სწამდა ადამიანური გონების დიდებულებისა და, სუნიტ ავტორიტეტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ყურანს შექმნილად მიიჩნევდა.

მუჰამად აბდოს „თაფსირ ალ-მანარ“ ავტორის სიცოცხლეში ცალკეულ ნაწილებად იბეჭდებოდა ჟურნალ „ალ-მანარში“. თხზულება დაუმთავრებელი დარჩა და ის რაშიდ რიდამ გადაამუშავა.

ამ თაფსირის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ალ-აზჰარის უნივერსიტეტში მუჰამად აბდოს მიერ ნაკითხული ლექციები, რომელსაც საფუძვლად ედო „თაფსირ ალ-ჯალალაიანი“.

მუჰამად აბდო შეეცადა ყურანის უამრავი ტრადიციული კომენტარიდან ის განმარტებანი ამოერჩია, რომელთა სიმართლაც თვით მოციქულთან დაკავშირებული ჰადისებით დასტურდებოდა.

დღეს „თაფსირ ალ-მანარი“ მუსლიმურ სამყაროში ყურანის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ განმარტებად მიაჩნიათ.

თანამედროვე განმარტებათაგან ასევე აღსანიშნავია მაულანა აბულ-ქალამ ასადის (1888-1958), აბულ-ალა ალ-მავედუდის (1903-1973) და სხვათა „თაფსირები“.

გარკვეული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ახალი რადიკალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, 1966 წელს სიკვდილით დასჯილი საიიდ კუტბის მიერ შექმნილი ვრცელი თაფსირი „ფი ზილალ ალ-კურ'ან“ („ყურანის ჩრდილქვეშ“). 1963-1964 წწ.-ს დაწერილი და 6 სოლიდურ ტომად გამოცემული ეს თაფსირი დღეს მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ფრანგულად და ინგლისურად.

„წინათქმამში“ ავტორი თავის შრომას მოკრძალებულად აფასებს, როგორც „ზოგ შეხედულებასა და შთაბეჭდილებას, რომელიც ყურანის ჩრდილქვეშ გატარებული ცხოვრებისას დაიბადა.“ სინამდვილეში ეს არის ვრცელი თავსირი, რომელშიც საიიდ კუტბი ყურანისა და ისლამური დოგმატიკის საკითხებისადმი მიძღვნილ თავის ადრეულ ნაშრომებს ეყრდნობა. ასევე გამოყენებულია ისლამური აღორძინების ისეთი ცნობილი წარმომადგენლების თხზულებანი, როგორებიც იყვნენ გამოჩენილი ინდოპაკისტანელი მოღვაწენი: აბუ ლ-‘ალა’ ალ-მავედუდი და აბუ ლ-ჰასან ან-ნადავი. კუტბი ასევე ეყრდნობა შუასაუკუნეთა მუსლიმი მუჰადდისებისა და მუფასსირების ნააზრევსაც, რომლებიც „ათ-თავსირ ბილ მა‘სურის“ მეთოდს გამოიყენებდნენ. ესენია: ალ-ბუხარი, მუსლიმი, ატ-ტაბარი, იბნ თაიმი და იბნ ქასირი. კუტბი პრინციპით „ყურანის ერთი ნაწილი განმარტავს მეორე ნაწილს“ ყურანის ამა თუ იმ აიას სხვა აიათა მემვეობით ახსნის. მთლიანობაში კი თავის შრომაში ავტორი — ომარ ხაიამის ლექსებიდან მოკიდებული ევოლუციის სინთეტიკური განვითარების თანამედროვე თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯუღიან ჰაქსლის შრომებამდე — მრავალფეროვან და არაერთგვაროვან მასალას მოიხმობს.

შიიტურ ისლამში ახალი იდეოლოგიური კონცეფციები ყველაზე სრულყოფილად ირანის ისლამური რევოლუციის (1979) ერთ-ერთი იდეოლოგის, გამოჩენილი ირანელი მოაზროვნის ალი შარიათისა (1933-1977) და დიდი შიიტი ღვთისმეტყველის სეიედ მორთეზა მოთაჰარის შრომებში დამუშავდა.

მთელ მუსლიმურ სამყაროში დღესაც მოღვაწეობენ ყურანის მეცნიერების არაერთი დარგის გამოჩენილი ავტორები, რომელთა ნააზრევსაც თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმიტომ ენიჭება, რომ ცდილობენ დღევანდელ შეკითხვებზე პასუხები ყურანის მარადიულ სიბრძნეში იპოვონ.

ყურანის ეგზეგეტიკის შესახებ ამ მცირე და ნაკლებ ექსკურსში, რომელშიც არსებითად რუსი აღმოსავლეთმცოდნის ეფიმ რეზვანის ორ ბრწყინვალე ნაშრომს — „ყურანი და მისი სამყარო“ და „ყურანი და მისი განმარტება“, პარალელურად კი, დიდი ისლამური ენციკლოპედიის ინგლისურ და სპარსულ გამოცემებსა და ასევე გამოჩენილი ირანელი ღვთისმეტყველის მოჰამად მოჯთაჰედ შაბესთარის მიერ 1998 წელს თეირანის უნივერსიტეტში ჩვენთვის „მუსლიმურ ქალამში“ ნაკითხული სალექციო კურსის სკრუპულოზურ ჩანაწერებს დავეყენით, ძირითადად, იმ ავტორთა შესახებ ვისაუბრეთ, რომელთა ნაშრომებიც ყურანის ქართული თარგმანისათვის დართული კომენტარისას გამოვიყენეთ.

## 5. ყურანის შესწავლის, თარგმანისა და კომენტარების ბარე (ეპროპული) ტრადიცია

ტრადიციულ მუსლიმურ კომენტარებს კი ეყრდნობოდნენ ის ცნობილი დასავლელი ორიენტალისტები, რომელთა ნაშრომებმაც მეცნიერული არაბისტიკის ჩამოყალიბების დღიდანვე განსაზღვრა კვლევის უამრავი მიმართულება და ყურანის ადეკვატურ ევროპულ თარგმანებსაც შესაბამისი საფუძველი შეუშნადა.

სპეციალისტთა ერთსულოვანი აღიარებით (რასაც ისლამის თითქმის ყველა ენციკლოპედია მიუთითებს), აღმოსავლეთსა და დასავლეთში ისლამის კვლევას თითქმის ერთდროულად შეუდგნენ, მაგრამ ყურანის პირველი ევროპული თარგმანები ევროპაში მხოლოდ XII საუკუნიდან გამოჩნდა. ეს ის ხანაა, როცა აზიაში ჯვაროსნული ლაშქრობანი დაიწყო და ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა ესპანეთის მავრ აღმორავილებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ისლამის ისტორიკოსთა შენიშვნით, ამავე დროიდან, მიუხედავად იმისა რომ არაბულის მცოდნე ადამიანები თუ მთელ ევროპაში არა, ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში მრავალად მოიპოვებოდნენ (მაგალითად, IX საუკუნეში ალვარო კორდოველი ჩიოდა, რომ ესპანელმა ქრისტიანებმა ლათინურზე უკეთ იცოდნენ სალიტ-



ერატურო არაბული), ქრისტიანულ ენებზე ქრისტიანულ სახელმწიფოთა ძლევამოსილი და უღმობელი მოწინააღმდეგეების რელიგიური წიგნის თარგმნისა და მისი გავრცელების იდეა, ჩანს, ქრისტიანებს შიშის ზარს სცემდა და ეს „ემმაკისეულ“ საქმიანობად ეჩვენებოდათ.

აღნიშნული შუასაუკუნეობრივი თვალსაზრისი აღარ გაგვაკვირვებს, თუ გავიხსენებთ, რომ თვით XVII საუკუნეშიც კი ყურანის თარგმნის ანდა დაბეჭდვის შიშს მრავალი მოეცვა და არა მხოლოდ კათოლიკეები, არამედ თვით პროტესტანტებიც. მაგალითად, 1692 წელს ტენზელი იმონებს ერთ გავრცელებულ ცრურწმენას იმის შესახებ, რომ ყურანის პოპულარიზაციისათვის განეული ნებისმიერი გარჯისათვის ღმერთი ადამიანს ნაადრევი სიკვდილით დასჯდა.

თანაც კათოლიციზმი თვით ქრისტიანული ბიბლიის კითხვასაც კი ყველა კათოლიკეს არ ანებებდა. ამიტომაც ევროპაში VII საუკუნიდან XII საუკუნემდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუსლიმთა რწმენის შესახებ ყველაზე ცრუ მონაჩმანები, ყველაზე საშინელი და უსამართლო ჭორები დადიოდა.

მხოლოდ ბიზანტიური ეკლესია იცნობდა შედარებით უკეთ ისლამს და იოანე დამასკელის დროიდან (ანუ VIII საუკუნიდან) მის წინააღმდეგ საკითხის ცოდნაზე დაფუძნებული პოლემიკური ლიტერატურის ნიმუშებიც ჰქონდა.

ყურანი კარგად უნდა სცოდნოდა თვითონ იოანე დამასკელსაც (გარდ. 750), რომელიც ბერად აღკვეცამდე ომაიანთა ხალიფების სამსახურში იდგა. სწორედ მას ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული პირველი ანტიისლამური პოლემიკური თხზულება. სპეციალისტთა შენიშვნით, ომაიანთა მიერ „საღვთო წერილის ხალხებთან დაკავშირებით წარმოებული ზომიერი და გონივრული პოლიტიკისა და დამპყრობელ-ბარბაროსთა სჯულთან შედარებით ქრისტიანობის დიდი უპირატესობის რწმენა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ იოანე დამასკელის პოლემიკას ჯერ კიდევ გამოკვეთილი იდეოლოგიური მიმართულება არ ჰქონია. ის ისლამს ერესად მიიჩნევდა და კიცხავდა მუსლიმთა თეოლოგიური „გზააბნევისათვის“, რომლებიც, თავის მხრივ, ქრისტიანებს სდებდნენ ბრალს ბიბლიის დამახინჯებაში.

თანამედროვე კვლევამ დაადასტურა, რომ X საუკუნის ბიზანტიაში არსებობდა ყურანის ბერძნული თარგმანი, რომლის შექმნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი IX საუკუნით განისაზღვრა.

ბიზანტიელ პოლემისტთა თხზულებებში შემორჩენილი ყურანის ტექსტის ციტატთა ანალიზი მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ივარაუდონ, რომ ყურანის ბერძნულ ენაზე მთარგმნელი იმპერიის ლათინურ ოლქებში მცხოვრები არაბული წარმოშობის ბილინგვი უნდა ყოფილიყო.

სირიელ პოლემისტთა ანტიმუსლიმური ტრაქტატები (მაგალითად, იაკობინელი ეპისკოპოსის დიონისე ბარ სალიბის (გარდ. 1171) თხზულება) ყურანის სირიულ ენაზე თარგმნილ ნამდვილ თუ გამოგონილ ციტატებს შეიცავდა. ხოლო ყურანის ებრაული დამწერლობით ფიქსირებულ ფრაგმენტთა სიუხვე, რასაც იუდეურ პოლემიკურ თხზულებებში ვხედავთ, საშუალებას გვაძლევს, იუდეურ გარემოში ყურანის ღრმა ცოდნაზეც ვისაუბროთ.

დასავლეთ ევროპაში კი ყურანის თარგმნისა და შეწავლის პირველი მცდელობანი იმ ეპოქას მიეკუთვნება, როცა ევროპელებმა გაიცნობიერეს, რომ მათში ძრწოლის, შურისა თუ აღფრთოვანების მთესველ ისლამურ სამყაროსთან დასაპირისპირებლად ძალა ეყოფოდათ. ქრისტიანთა მიერ I მს. წელს ტოლედოს დაპყრობიდან ძალიან მალევე არაბული თხზულებების თარგმანის რიცხვის მკვეთრი ზრდა არაბულ-მუსლიმური კულტურის მიღწევათა მიმართ ევროპელთა ინტერესის გაღრმავებას ასახავდა. გამოჩნდნენ ადამიანებიც, რომელთაც აღნიშნული თარგმანის განხორციელება ეპოქის მოთხოვნათა დონეზე შეეძლოთ. „ეპოქის მოთხოვნათა დონის“ ნათელსაყოფად კი შეგვიძლია მაიმონიდის წერილი დავიმონ-მით, რომელიც მან თავისი თხზულების მთარგმნელს იბნ ტიბონს გაუგზავნა. ეს უკანასკნელი მის ფილოსოფიურ თხზულებას არაბულიდან ებრაულად თარგმნიდა და კონკრეტული რჩევისათვის ავტორს მიაკითხა. ავტორმა კი ასეთი შინაარსის ეპისტოლე აახლა:

„ნება მიბოძეთ, ყველას ერთი წესი შევთავაზო: ის, ვინც ხელს მოჰკიდებს თარგმანს და

განიზრახავს, რომ ყველა სიტყვა ზედმინევენით თარგმნოს და მონურად მიჰყვეს ორიგინალის სიტყვათა თუ წინადადებათა წყობას, თავს უამრავ სირთულეს დაიტეხს, მისი ნალვანი კი არა-ზუსტი და ნაკლული გამოვა. ასე მოქცევა არ შეიძლება. მთარგმნელი უპირველესად საჭირო ფრაგმენტის აზრის გაგებას უნდა შეეცადოს, ხოლო შემდეგ მთელი სიტყვადით გამოხატოს ავტორის ნააზრევი მეორე ენაზე. ამის მიღწევა კი სიტყვათა რიგის შეუცვლელად, რამდენიმე სიტყვის ერთი სიტყვითა და, პირიქით, ერთი სიტყვის რამდენიმე სიტყვით ჩაუნაცვლებლად შეუძლებელი იქნებოდა. თუ სიტყვებს ან არ დაუმატებს ანდა არ დააკლებს, რათა დედანში აღწერილი ვითარება ბოლომდე გასაგები იყოს იმ ენაზე, რომელზედაც თარგმანი სრულდება, მაშინ მთარგმნელის შრომა ამაოდ ჩაივლის.“

რჩევა მართლაც შესანიშნავია, თუმცა დანერგიდან რვა საუკუნის შემდეგაც კი მისი მიყოლა ყოველთვის ვერ ხერხდება. მითუმეტეს, ვერ მოახერხებდნენ ამას ყურანის პირველი ევროპელი მთარგმნელები. თუმცა მათ ღირსებად მხოლოდ ისიც შეიძლება მიეთვალოთ, რომ ასეთი რამ XII საუკუნეში განიზრახეს და „ნაადრევი სიკვდილისა“ არ შეშინებიათ.

რაც შეეხება განზრახვას, შესაძლოა კეთილშობილებით მოტივირებული სულაც არ ყოფილა, რადგან იმ ეპოქისათვის ასეთი ლიბერალური გადაწყვეტილება კლუნიის მონასტრის აბატის (შემდგომში მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის ცნობილი მქადაგებლის, ბერნარ კლერვალელის, მეგობრის) ღირსი მამა პეტრეს გონებაში მომნიჭდა. იგი ფიქრობდა, რომ ცუდი სულაც არ იქნებოდა, სარკინოზთა ნამდვილ რელიგიას გაცნობოდა და მათ წინააღმდეგ მტკიცებულებათა უსისხლო, სულიერი მახვილი მოეპოვებინა მაშინ, როცა ჯვაროსანი რაინდები სარკინოზებს ძლევაგამოსილი სისხლისმღვრელი მახვილით შემუსრავდნენ.

ამასთან დაკავშირებით კრიმსკი საინტერესო შენიშვნას გვთავაზობს: ყურანის თარგმნის „იდეა მართლაც ძალზე ლიბერალური იყო, რადგან ჯვაროსნები სარკინოზთა (და საერთოდ ერეტიკოსთა განადგურებას) მათ მოქცევაზე უფრო გონივრულად მიიჩნევდნენ. შდრ: დომრივეს თვალსაზრისი, „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“, ტ. IX, გვ. 17. ამავე ავტორის თქმით, XII საუკუნის დასასრულამდე მისთვის მხოლოდ სამი პიროვნებაა ცნობილი, ვინც აღმოსავლეთში ყოფნა არაბულის შესასწავლად გამოიყენა: ვილჰელმ ტირელი, ტრიპოლიელი ეპისკოპოსი ფილიპე და ადელარ ბასელი. მანამდე აღმოსავლეთის მიმართ მეცნიერული ინტერესი ნაკლებად იყო.“

რაც შეეხება ღირს მამა პეტრეს (გარდ. 1156), რომელიც 1092/1094 წელს დაიბადა და 1122-1156 წლებში კლუნიის სააბატოს მოძღვარი იყო, მთელი ცხოვრება ერეტიკულ სწავლებებთან (და ისლამთან, რასაც ამავე თვალთ უყურებდა) ბრძოლაში გაატარა. მაშინდელ ევროპაში ისლამის შესახებ სწორად არავინ არაფერი უწყობდა. ამ რელიგიას უხეშ წარმართობასთან — მთვარის ანდა აპოლონის თაყვანისცემასთან — აიგივებდნენ და ყველა შესაძლო დანაშაულებრივ დოქტრინას, მათ შორის ადამიანურ მსხვერპლშენივრვასაც კი მიაწერდნენ (შდრ: „სიმღერა როლანდზე“).

1141-1143 წლებში ღირსი პეტრე თავისი სამწყსოს საქმეებზე ესპანეთში იმყოფებოდა და, სხვათა შორის, თარგმანთა მეშვეობით ისლამის გაცნობაც თვითონ ამ რელიგიის პირველწყაროებიდან მოისურვა.

ძალაგამოცლილ, უკანასკნელ აღმორავიდთაგან ბრძოლით გამოსხნილ და იმჟამად ვასალურ სარაგოსას მცხოვრებთა შორის განსაკუთრებით მრავლად იყვნენ არაბულისა და ესპანურის თანაბრად მცოდნე ადამიანები, მაგრამ, როგორც ჩანს, ლიტერატურული გამოცდილება, რაც ყურანის ანდა სხვა წიგნების არაბულიდან თარგმანს სჭირდებოდა, არავის გააჩნდა. დიდი ძებნა-ძიების შემდგომ პეტრე კლუნიელმა სადღაც იბერიასთან (როგორც ბერნარ კლერვალელისადმი მიწერილ ეპისტოლეში თვითონვე აღნიშნავს, circa Hiberum — თან) ორი შესაბამისი, არაესპანური წარმოშობის ადამიანის პოვნა მაინც მოახერხა. ისინი არაბული ასტრონომიით იყვნენ გატაცებულნი, მაგრამ პეტრე კლუნიელის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დაჰყვნენ მის ნებას, წერილობით ეთარგმნათ ყურანი და კიდევ ორი არაბული თხზულება — „მოციქულის ცხოვრება“ და „მუსლიმთა და ქრისტიანთა გაჰაექრება“.

აღნიშნული თარგმანი 1143 წლით თარიღდება. ეს მთარგმნელები კი იყვნენ გაესპანელებ-

ბული ინგლისელი (ანგლიგენა) რობერტ კეტონელი, რომელიც მალე პამპელუნის ეკლესიის არქიდიაკონი გახდა, და ჰერმან დალმაცელი. მათთან ერთად მუშაობდა მესამე მთარგმნელიც, ვინმე მაგისტრი პეტრე ტოლედოელი, რომელსაც სასაუბრო არაბული რიგიანად ემარჯვებოდა, მაგრამ ესპანურში გვარიანად მოიკოჭლებდა. ამიტომაც პეტრე კლუნიელმა მაგისტრ პეტრე ტოლედოელს თავისი მდივანი, ფრანგი ბერი პეტრე პუატიელი მიაშველა.

რადგანაც 1543 წელს ბაზელის ბიბლიანდრში დასტამბულ ყურანის ლათინურ თარგმანს მთარგმნელად მხოლოდ რობერტ კეტონელის სახელი აწერია, სავარაუდოა, რომ დანარჩენ ორ ადამიანს „მოციქულის ცხოვრებისა“ და „გაპაექრების“ ლათინური ვერსიები შეესრულებინა, ყურანი კი მხოლოდ რობერტ კეტონელს ანდა თითქმის მხოლოდ მას გადმოეწო.

როგორც ჩანს, მთარგმნელებს — ვთქვათ, განმარტებათა სახით — არანაირი დამხმარე საშუალება არ გააჩნდათ და ამიტომაც ეს პირველი ლათინური თარგმანი იმდენად მცდარი და არასანდო გამოუვიდათ, რომ შემდგომში არც პეტრე კლუნიელსა და არც ისლამის იმ მერმინდელ „მამხილებელ“, ვინც რობერტ კეტონელის ნაშრომით სარგებლობდა, ისლამის შესახებ სწორი წარმოდგენა მაინც არ ჰქონიათ.

პეტრე კლუნიელმა კი, რომელიც ისლამს ყურანის დამახინჯებული, უწინდებურად გაუგებარი თარგმანითა და კიდევ ორი სხვა წიგნით გაეცნო, დანერა პოლემიკური თხზულება *Contra sectam sive haeresin Saracorum*, რომელიც შუასაუკუნეთა მანძილზე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. სპეციალისტთა შეფასებით, მუშამადსა და ისლამზე შემდგომდროინდელი ევროპის უცნაურ და უმართებულო შეხედულებათა სათავედ არა იმდენად ყურანის კეტონელისეული თარგმანი, რამდენადაც ეს უმნიშვარი ნაშრომი მოგვევლინა.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პეტრე კლუნიელის ნაშრომში მკითხველი მუსლიმებისადმი ასეთ მიმართვასაც წააწყდება: „მე თავს გესხმით არა იარაღით, როგორც ამას ხშირად აკეთებენ, არამედ სიტყვით, ძალას კი არ ვიყენებ, არამედ გონებას, სიყვარულით მოგმართავთ და არა სიძულვილით.“

აღნიშნული ტექსტი კი პედრო დე ალფონსოს (გარდ. 1140) ნამუშევართან ერთად ისლამის შესახებ შექმნილი პირველი ევროპული თხზულებანი იყო. ამ თხზულებებმა ისლამზე ევროპულ წარმოდგენათა ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს.

ყურანის მეორე ლათინური თარგმანი 1209-1210 წლებში მარკუს ტოლედოელმა, არქივისკოპოს დონ როდრიგო ხიმენეს დე რადას (დაახლ. 1170/1180-1247) დაკვეთით შეასრულა. ეს დაკვეთა მიზნად აქტუალურ პოლიტიკურ და მისიონერულ ზრახვებს ისახავდა და, ყურანის გარდა, იბნ თუმართის (გარდ. 1128) რამდენიმე თხზულების თარგმანსაც ითვალისწინებდა.

რობერტ კეტონელისა და მისი შემწეებისაგან განსხვავებით, რომლებიც მთარგმნელის სამუშაოზე საკუთარი შეხედულებების თანახმად, ცდილობდნენ ორიგინალის, მათი აზრით, „ბარბაროსული“ ტექსტი შეეცვალათ და 114 სურიდან 124 სურა „გამოჩარხეს“, მარკუს ტოლედოელი ბუკვალური თარგმანის შექმნას ლამობდა და რთული პასაჟებისას ამჯობინებდა ტექსტი გაუგებრად გადმოეტანა, ვიდრე თვითონ რაიმე ჩაემატებინა. მან შეინარჩუნა სურათა სათაურები, რაც რობერტ კეტონელს თავის თარგმანში არ გადმოუტანია.

ვრცელ წინათქმაში, მარკუს ტოლედოელმა საკუთარ თარგმანს რომ დაურთო, თავის წინამორბედთა თარგმანი ერთხელაც არ უხსენებია, თუმცა შეუძლებელია ეს ნაშრომი არა სცოდნოდა. მაგრამ ეგებ სწორედ ამით გამომჟღავნდა მისი უარყოფითი დამოკიდებულება რობერტ კეტონელისა და ჰერმან დალმაცელის ნაშრომის მიმართ.

სამაგიეროდ, მოგვიანებით, როცა რობერტ კეტონელის თანამემამულემ ხამპრი პრიდომ (1648-1700) ეს თარგმანი შეაფასა, ასეთი რამ დანერა:

„ეს მხოლოდ უმნიშვარი კონსპექტია ორიგინალის, რომლის შინაარსიც ისე საშინლადაა გადმოტანილი, რომ სათუთა ვინმემ თარგმანის კითხვისას ორიგინალში ნათქვამი გაარკვიოს.“

მარკუს ტოლედოელის ნამუშევარს კი სპეციალისტები დღესაც მაღალ შეფასებას აძლევენ და აღნიშნავენ, რომ ეს თარგმანი, რომელიც წინამორბედთა ნაშრომს ყველა თვალ-

საზრისით აღემატებოდა, დიდი ხნის მანძილზე გამოუცემელი დარჩა და თეოლოგთა თუ ისტორიკოსთა მხრიდან სათანადოდ შეუფასებელი დარჩა.

უცნობია, მარკუს ტოლედოელი იყო თუ არა გაქრისტიანებული მუსლიმი, მაგრამ საკითხში, რის შესახებაც წერდა, აშკარაა, შესანიშნავად ერკვეოდა. ძალდაუტანებლად მოჰქონდა ყურანისა თუ ჰადისთა ციტატები და იმონებდა მუსლიმ ავტორიტეტთა შეხედულებებს.

ეფიმ რეზვანის სამართლიანი შენიშვნით, „ამ წლებში ისლამი და მუსლიმური მინები ქრისტიანული ევროპისათვის კვლავაც terra incognita-დ რჩებოდა. ყურანის ადრეული ლათინური თარგმანები, არსებითად, ტექსტის მოკლე შინაარსია, რომლის უმთავრეს მიზანსაც წმინდა წერილის მქონეობაზე მუსლიმთა პრეტენზიების უსაფუძვლობის დამტკიცება წარმოადგენდა. ამასთან, ქრისტიან ავტორთა „მტკიცებულებანი“ ხშირად ყურანის ტექსტის მცდარ, არასწორ გაგებას ეფუძნება.

თუ ქრისტიანი ავტორები მუსლიმებთან პოლემიკისას „ეშმაკეულ კანონსა“ და „ძალადობის სახელმძღვანელოს“ აქტიურად გამოიყენებდნენ, მუსლიმი პოლემისტები იმავე მიზნით ქრისტიანთა წმინდა წერილებს მიმართავდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმ ავტორთა ცოდნის დონე ბიბლიური ტექსტებისა მათი ოპონენტების მიერ ყურანის ცოდნას მნიშვნელოვანწილად აჭარბებდა. იუდეველთა და ქრისტიანთა — „საღვთო წერილის ხალხთა“ — წმინდა ტექსტები ისლამში ღვთისაგან ზეგარდმოვლენილ, თუმცა შემდგომ ადამიანთა მიერ დამახინჯებულ გამოცხადებებად განიხილებოდა და ყურანის განმარტების ერთ-ერთ საშუალებად ითვლებოდა. მრავალი საუკუნის მანძილზე მუსლიმი ავტორები იუდეველობიდან და ქრისტიანობიდან ისლამზე მოქცეულ თავიანთ თანამერჯულეთა შრომებს ეყრდნობოდნენ, რომელთაც მუსლიმურ თეოლოგიას საკუთარი უწინდელი რელიგიების საღვთო წერილთა ღრმა ცოდნა შესძინეს. პრინციპული განსხვავება კი ის იყო, რომ თუ ქრისტიანული ევროპის საზოგადოებრივი ცნობიერება ისლამის, როგორც ასეთის, მიუღებლობით გამოირჩეოდა, მუსლიმები იუდეველობასა და ქრისტიანობას ჭეშმარიტებასთან მიმავალი კაცობრიობის გზის საფეხურებად განიხილავდნენ, რაც ისლამით გვირგვინდებოდა და სრულდებოდა.“

XIII საუკუნეში ესპანეთის მეფემ ალფონს X „მავრთა მთელი ერესის“ თარგმნა ბრძანა, იმ მტრულად განწყობილი მეზობლებისა, რომლებიც იმხანად ესპანელებს უკვე ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთამდე შეევიწროვებინათ. კრიმსკი აღნიშნავს: „ამ ხმამაღალი ნათქვამის — „მთელი ერესის“ — მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ესპანურად არა მხოლოდ ყურანი, არამედ მუსლიმური გადმოცემებიც ითარგმნა, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული ზოგიერთი ცნობა გვიდასტურებს, რომ საუბარია ყურანის და ისიც ამ ძეგლის არასრულ თარგმანზე.“

XIII საუკუნის მიწურულს კი ყურანის ახალ ლათინურ თარგმანზე ფიქრი დომინიკელმა ბერმა, წარმოშობით ტოსკანელმა რიკოლდო მონტე დი კროჩელმა წამოიწყო. ეს კაცი დიდხანს ცხოვრობდა მუსლიმურ აღმოსავლეთსა და კერძოდ „სარკინოზთა იმ სახელგანთქმულ ქალაქში“ (ანუ კაიროში), სადაც „სარკინოზთ დიდებული და სიღრმისეული მეცნიერებანი გააჩნიათ“.

მონტე დი კროჩელმა არაბული ისე კარგად შეისწავლა, რომ მისი სტილისტური მშვენიერებით ტკობაც კი შეეძლო. თუმცა ყურანის თარგმნას რომ მოჰქიდა ხელი, ეტყობა, განსხვავებული ფენომენის მისაღებად მზად მაინც ვერ აღმოჩნდა. დაწყებული საქმე მალევე მიატოვა და მხოლოდ ყურანის შესახებ მამხილებელ-პოლემისტური თხზულების შექმნით დაკმაყოფილდა. ხოლო თხზულება ლათინურად კი არა, იტალიურად დაწერა (ეს უკვე დანტეს საუკუნეა). რიკოლდოს ოპუსი იტალიურიდან ლათინურად, ლათინურიდან — ბერძნულად, ბერძნულიდან ისევ ლათინურად ითარგმნა და, ამგვარად, საყოველთაოდ ცნობილი შეიქნა.

თხზულება, ჟანრის კანონების შესაბამისად, კიცხავს და აძაგებს ყურანის სწავლებას, მაგრამ ავტორი იქვე პირდაპირ ხოტბას ასხამს წიგნის ლიტერატურულ ღირსებებს, რაც, სხვათა შორის, ყურანის არალვთივშთაგონებულობის დასტურად მიაჩნია.

იმავე XII საუკუნის მიწურულს ხაენის ეპისკოპოსის, წმ. პედრო პასკუალეს პოლემისტურ-მამხილებელ თხზულებაში „Impugnacion de la secta Mahometana“, ყურანიდან თარგმნილი

უამრავი ციტატი დასტურდება. ავტორი წარმოშობით ვალენისელი „მუსარაბი“ („მუსარაბებს“ ესპანელები გამაჰმადიანებულ ქრისტიანებს უწოდებდნენ. ესპანური „მოზარაბე“ არაბული მუსთარაბ-ის გაესპანურებული ფორმაა, რაც არაბულად „არაბიზირებულს“, „გაარაბებულს“ ნიშნავს) იყო, რომლის სამშობლოც მის ბავშვობაში (დაიბ. 1227) ათ წელზე მეტხანს ჯერაც კიდევ მავრებს ეკუთვნოდათ. გარდაიცვალა 1300 წელს, როცა მუსლიმურ გრენადაში ქრისტიანობის საქადაგებლად მიემგზავრებოდა. მისი თხზულება კი უფრო ცნობილი არა ვალენისურ ორიგინალში, არამედ „ბარბაროსულ“ ლათინურზე თარგმანით გახდა, რომელზედაც ის მოგვიანებით (1747) კიდევ დაიბეჭდა.

XIV საუკუნეში ყურანის ევროპული თარგმანი არ შესრულებულა. კრიმსკი აღნიშნავს, რომ „არადა, თითქოს მოსალოდნელი იყო კლუნიელთა ცუდი ვერსიის სანაცვლოდ, სწავლულსა და მისიონერს რაიმონდ ლულის ძეგლის ახალი, გამართული თარგმანი შეექმნა. რადგან ლულის — ევროპის მისიონერულ სკოლებში არაბული ენის სწავლების ცნობილ პროპაგანდისტს — კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო არა ფანტაზიით შექმნილი მოჩვენების, არამედ ნამდვილი მაჰმადიანობის მხილება, რომელშიც თვითონ შესანიშნავად და სიღრმისეულად ერკვეოდა. კუნძულ მაიორკაზე დაბადებულმა რაიმონდ ლულიმ არაბული ერთი ნაყიდი მონისგან შეისწავლა, შემდგომ კი დიდი ხნის მანძილზე მოგზაურობდა პალესტინაში, ეგვიპტესა და ჩრდილოეთ აფრიკაში (სიკვდილითაც სწორედ თუნისში, მისიონერულ ქადაგებაზე მოგზაურობისას აღესრულა) ეს კაცი ისლამის წინააღმდეგ მიმართულ თხზულებებს არა მხოლოდ ლათინურად, არამედ პირდაპირ არაბულადვე წერდა. თუმცა ყურანი მაინც არ უთარგმნია, გარდა იმ მრავალი ციტატისა, რომელსაც იგი თავის თხზულებებში იყენებდა, და რომელთაგანაც მისი ცოდნის სიღრმეცა და მხატვრული გემოვნებაც კარგად გამოსჭვივის, მაგრამ, ჩანს, ეს მთლიანი ყურანის სათარგმნელად საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა და, ამიტომაც XIV საუკუნის ბოლოს პოლემისტი კარტეზიანელი დიონისე რიკელი (1394-1471), რომელმაც ისლამის წინააღმდეგ ხუთტომიანი მამხილებელი თხზულება დაწერა ისე, რომ თვითონ არაბულისა არაფერი გაეგებოდა, ციტატებისათვის კვლავაც რობერტ კეტონელის წარუმატებელ თარგმანს იყენებდა.

1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემა და თურქული საფრთხის მკვეთრი გამძაფრება ევროპაში რენესანსის ხანასა და მეზობელი დიდი კულტურის ინტერესის გაღვივებას დაემთხვა.

ნიკოლოზ კუზანელი (1401-1464) თანამემამულეთ ურჩევდა, „ეკითხათ და ესწავლათ ყურანი“, რათა იქ „სახარების დაფარული ჭეშმარიტებანი აღმოეჩინათ“.

მისი მეგობარი ხუნ დე სეგოვია (1400-1458) ფრანცისკანელი-პაციფისტი, რომელიც 1440 წელს ანტიპაპად იქნა არჩეული, კიცხავდა ისლამის ხატის შერყვნას, რაც სათავეს, მნიშვნელოვანწილად, რობერტ კეტონელის თარგმანიდან იღებდა.

1455 წელს სავოიეში, აითონის მონასტერში ამ ორმა ადამიანმა — მავანი ფაკიჰის, 'ისა იბნ ჯაბირის, შემწეობით — სცადა ყურანი ლათინურ და კასტილიურ ენებზე ეთარგმნა. მათ ასევე სცადეს ყურანიდან ის ადგილები ამოეჩინათ, რომელიც შესაძლოა ქრისტიანებს სასიამოვნოდ დარჩენოდათ. ამდენად, დღევანდელი მეცნიერები აღნიშნულ მცდელობას „ქრისტიანულ-მუსლიმური დიალოგის პირველ შემთხვევად“ აფასებენ.

აღმოსავლური სიბრძნისა და კაბალისტიკის ინტერესმა, იტალიელ ჰუმანისტთა წრეში, უპირველესად კი ფილოსოფოს პაკო დე ლა მირანდოლას (1463-1494) თაყვანისმცემლთა შორის რომ ბატონობდა, ყურანის კიდევ ერთი თარგმანი განაპირობა. ეს თარგმანი 1518 წელს, ესპანეთში მყოფმა კარდინალმა ედიჯიო და ვიტერბომ, მირანდოლას იდეათა თაყვანისმცემელმა, ვინმე იოჰან გაბრიელ ტეროლენსისს შეუკვეთა. მილანში შემორჩა ამ თარგმანის ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც დღემდე არ გამოცემულა.

და, საერთოდ, თუ ეს რამდენიმე თარგმანი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, სამაგიეროდ, რობერტ კეტონელისა და ჰერმან დალმაცელის შრომა მართლაც სვებედნიერი აღმოჩნდა. ამ თარგმანის შემდგომი ბედისწერა უდიდეს იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ მოძრაობებთანაა დაკავშირებული, რამაც XV—XVII საუკუნეთა ევროპა მოიცვა. და თუმცა ცნობილი



ევროპელი ორიენტალისტები — ჯ. სკალიგერი (1540-1609), თ. ერპენიუსი (1540-1624) და ა. რელანი (1676-1718) აღნიშნავენ, რომ თარგმანი აშკარად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას, ამ შრომით მაინც 600 წელზე მეტხანს სარგებლობდნენ.

XV—XVII საუკუნეები ევროპაში უდიდესი რეფორმაციისა და ოსმალეთის იმპერიასთან სისხლისმღვრელი ომების ხანა იყო. ოსმალეთის იმპერიამ XVI საუკუნისათვის ევროპაში თავისი სამფლობელოების მაქსიმალური გაფართოება მოახერხა. ხოლო ვენის ალყამ ევროპა თითქმის ისევე შეაზანზარა, როგორც 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემამ. სარკინოზის სახეს თურქის ხატება ენაცვლებოდა.

ამ ვითარებაში განხორციელდა ყურანის პირველი ევროპული გამოცემა (ვენეცია, 1530), რომელიც წმინდა კომერციული ზრახვებით პაგანი ვიკენსისმა შეასრულა. გამომცემელთა არაკომპეტენტურობით გამოწვეულმა მრავალრიცხოვანმა შეცდომებმა ეს უკანასკნელი აიძულა, მალევე წიგნის მთელი ტირაჟი გაენადგურებინათ.

ამ პერიოდისათვის ისლამთან პოლემიკური ბრძოლისა და მისი შესწავლის ინიციატივა პროტესტანტ თეოლოგთა და პუბლიცისტთა ხელში გადავიდა. თითქმის მთელი „კლუნის კორპუსი“ ანდა „ტოლედოური კრებული“ (Corpus Toletanum, Collectio Toletana), რომელიც ყურანის თარგმანს, რიგ ანტიისლამურ პოლემიკურ ტრაქტატებს (მათ შორის ნიკოლოზ კუზანელის Cribatio Alcorani-სა) და თურქეთის შესახებ ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომებს მოიცავდა, თეოდორ ბუხმანის (ბიბლიანდერის) (1504-1564) მიერ გამოქვეყნდა. ისლამისა და ოსმალური თურქეთის ეს თავისებური ენციკლოპედია 1543 წელს გამოიცა ქალაქ ბაზელში, სადაც რელიგიურ-კულტურული შემწყნარებლობის ატმოსფერო სუფევდა. ამის მიუხედავად პუბლიკაცია მხოლოდ მარტინ ლუთერის პირადი ჩარევის შემდგომ გახდა შესაძლებელი. გამოცემას თან ერთვოდა პაპ პიუს II-ის (1458-1464) მიმართვა თურქეთის სულთან მეჰმედ II-ადმი, სადაც მას ქრისტიანობის აღიარებას მოუწოდებდა, და ასევე ლუთერისა და მისი თანამოსაგრის ფილიპ მელანქტონის მიმართვები.

აღნიშნული გამოცემის პოლემიკური პათოსის მიუხედავად, თვითონ ბუხმანი ისლამის როლს წარმართთა შორის მონოთეიზმის გავრცელების უდიდეს საქმეში განსაკუთრებულად აღნიშნავდა. მის შეხედულებათა დასახასიათებლად ერთი თხზულების ხელნაწერი გამოდგება, სადაც იგი „ყველა ქრისტიანს, იუდეველსა და მაჰმადიანს „ღვთისა და ჩვენი უფლის სახელით“ სალმითა და საყოველთაო მშვიდობის სურვილით მიმართავდა.

ასეთი შეხედულებანი იმ დროს საკმაოდ გავრცელებული იყო. თუ ლუთერი ისლამს იუდაიზმის ერთ-ერთ ფორმად წარმოიდგენდა, ერაზმუს როტერდამელი (1469-1536) და გიიომ პოსტელი (1510-1581) მუსლიმებს „ნახევარქრისტიანებად“ ან „თითქმისქრისტიანებად“ მიიჩნევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბუხმანს არაბული იმ დონეზე არ ემარჯვებოდა, ტოლედოური თარგმანი ჩაესწორებინა, თავის ამოცანას მაინც ძალზე გულისხმიერად მოეკიდა. ბუხმანს ხელთ ჰქონდა ყურანის რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის კი ერთი ისეთიც, რომლის ამიებზეც „ალ-კირა'ათ“ — „ნაკითხვის“ სხვადასხვა ვარიანტი მიეთითებინათ (ეს უკანასკნელი დღეს ბაზელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება). ამიტომაც მან თარგმანს რამდენიმე ღირებული შენიშვნა ჩაუმატა.

ამრიგად, ევროპაში ყურანის არაბული ტექსტისა და თარგმანის პირველი გამოცემა იმავე ბაზელში, 1516 წელს, ერაზმუს როტერდამელის ძალისხმევით, ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის პირველი ბეჭდური პუბლიკაციიდან შესაბამისად სულ რაღაც თოთხმეტი და ოცი წლის შემდგომ განხორციელდა.

ყურანის ბაზელის გამოცემიდან ოთხიოდე წლის შემდგომ კი ვენეციაში გამოდის წიგნის ანონიმური იტალიური ვერსია, რომლის ტიტულზეც მითითებულია, რომ იგი უშუალოდ არაბულიდან იყო თარგმნილი, თუმცა, სპეციალისტთა შეფასებით, სინამდვილეში ბიბლიანდერის გამოცემას იმეორებდა. ეს პუბლიკაცია სახელგანთქმულმა ჰუმანისტმა გამომცემელმა ანდრეა არივაბენამ განახორციელა.

მაგრამ 1554 წელს ვენეციის ინკვიზიციამ აკრძალა ყურანის კითხვა, რაც წიგნის ბედის-

წერაზე, ბუნებრივია, ფატალურად აისახა.

XVII საუკუნის I ნახევარში ქვეყნდება წიგნის გერმანული (იტალიურიდან ს. შვაიგერის (1551--1622) მიერ თარგმნილი) და პოლანდიური (ანონიმი ავტორის მიერ შესრულებული) ვერსიები. ეს უკანასკნელი 1659 და 1664 წლებში ორჯერ გამოიცა, როცა სენტ-გოტარდესთან თურქთა დამარცხების მიუხედავად, ოსმალური ექსპანსიისადმი ძრწოლას მოახლოებულ „სატანურ“ 1666 წელთან დაკავშირებული აპოკალიფსური განწყობილებანი მკვეთრად ამძაფრებდა. თუმცა ამავე პერიოდში ჩნდება იტალიური ორიგინალის ახალი ვერსიებიცა და თარგმანებიც.

სპეციალისტთა შეფასებით, მრავალი წლის განმავლობაში ევროპის იდეოლოგიური ბრძოლა კათოლიციზმისა და რეფორმაციის შიდა კონფლიქტებით აღინიშნა. ამ კონფლიქტის თითოეული მხარე, ცდილობდა თავისი „მართლმორწმუნეობა“ დაემტკიცებინა და „კალვინო-თურქიზმის“ ან „თურქო-პაპიზმის“ წინააღმდეგ მიმართულ ორმხრივ პოლემიკაში ერთმანეთის მიმართ „ისლამის მგვანობის“ ბრალდებანიც ხშირად გაისმოდა. 1521 წლის 15 აპრილს სორბონაში დაგმეს ლუთერის „95 თეზისი“, რომელსაც „ყურანზე უფრო მანკიერი თხზულება“ უწოდეს. მათი პორტესტანტი მოწინააღმდეგეებისათვის კი მუჰამადი და პაპი „ანტიქრისტეს ორი თავი“ იყო. ამგვარად, ურთიერთშეუწყნარებლობის მეორე მხარე ანტი-ისლამური პროპაგანდა აღმოჩნდა.

ფეოდალურ-კათოლიკური კონტრეფორმაციის ვითარებაში, იტალიას სულ უფრო და უფრო რომ მოედო, 1557 წელს პაპის კურიის მიერ „აკრძალულ წიგნთა ინდექსი“ გამოქვეყნდა, სადაც არა მხოლოდ ყურანი, არამედ ალორძინების ხანის მწერალთა თვალსაჩინო თხზულებებიც აღმოჩნდა. სხვათა შორის, ერესის, ერეტიკულ სწავლებათა გავრცელების შიშით ხალხურ ენებზე ბიბლიის კითხვაც არაერთხელ (ჯერ მარტო XIII საუკუნეში ოთხჯერ) აკრძალა.

მეორეს მხრივ, თუკი ტამპლიერებთან მუჰამადის „კულტსა“ და ისლამის მიმართ ალორძინების ხანის მოღვაწეთა ინტერესს გავიხსენებთ, ანდა უნიტარიანელთა ერეტიკულ მოძრაობას, წმინდა სამების დოგმატს რომ უარყოფდნენ, „წმინდა საყდრის“ შიში და სიფრთხილე სავსებით გასაგები შეიქნება.

კანონზომიერი იყო, რომ ყურანის შესწავლის საქმეში შემდგომი ნაბიჯი XVII საუკუნეში ძღვევამოსილმა და ჰუგენოტთა მიმართ შემწყნარებლობით გამორჩეულმა საფრანგეთმა გადადგა, სადაც შუასაუკუნეთა სქოლასტიკის წინააღმდეგ მებრძოლი გასენდი (1592-1655) და რაციონალიზმის ფუძემდებელი დეკარტი (1596-1650) მოღვაწეობდნენ, და სადაც კორნელის (1606-1684) ტრაგედიებმა საზოგადოება მავრებთან მებრძოლი გმირის — სიდის — სახით მოაჯადოვა.

1647 წელს პარიზში გამოიცა ყურანის თარგმანი, რომელიც დიპლომატმა და აღმოსავლეთმცოდნემ ანდრე დუ რიემ (ალბათ: 1580-1669) შესრულა. იმის მიუხედავად, რომ თარგმანი უკვე გამოცემიდანვე ვერ აკმაყოფილებდა თავისი დროის სამეცნიერო მოთხოვნილებებს და მასში დედნის ტექსტის მცირედი გადაადგილებანი, შემოკლებანი თუ რიგი თავისუფალი ინტერპრეტაციები გვხვდებოდა, ხოლო ტექსტოლოგიური ანალიზი დუ რიეს თარგმანის ბიბლიანდერის გამოცემასთან კავშირსაც ცხადყოფს, ამ ახალმა შრომამ მაინც ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დუ რიეს შრომა მოკლე ხანში საფრანგეთსა და ამსტერდამში ხუთჯერ გამოიცა და მალე ინგლისურად (1688) და პოლანდიურად (1716) ითარგმნა. ამის საპასუხოდ ვატიკანმა პაპ ალექსანდრე VII (1655-1667) დროს, რომის ცენზორთა საკრებულოს გადანყვეტილებით, ყურანის თარგმნა და გამოცემა ოფიციალურად აკრძალა.

თუმცა 1694 წელს, როცა პროტესტანტმა თეოლოგმა და ორიენტალისტმა აბრაჰამ ჰინკელმანმა ყურანის არაბული ტექსტი გამოაქვეყნა, ვატიკანმა ბოლოსდაბოლოს იმ აკრძალვის უპერსპექტივობა გაიცნობიერა, რამაც პროტესტანტებს ანტიმუსლიმური პროპაგანდის საქმეში აშკარა უპირატესობა მიანიჭა.

1698 წელს პადუაში პაპ ინოკენტი IX-ის მოძღვარმა ლუდოვიკო მარაჩიმ (1612-1700) გამოაქვეყნა ყურანის ლათინური თარგმანი და რამდენიმე ხელნაწერის შერევით მიღე-

ბული არაბული ტექსტი (მცირე ფრაგმენტებად თვითნებურად დაყოფილ არაბულ ტექსტს მოსდევდა თარგმანი კომენტარებით, სადაც დამონშებული იყო „თაფსირთა“ შესაბამისი ფრაგმენტების ლათინური თარგმანიც არაბული ორიგინალითურთ, ამას კი სათანადო პოლემისტური უარყოფანი მოჰყვებოდა).

აღნიშნული თარგმანის დონე წინანდელ ნამუშევრებს შეუდარებლად აჭარბებდა, მაგრამ მისმა ფორმამ მისივე გავრცელება დააბრკოლა. სპეციალისტთა შეფასებით: „ეს თარგმანი იტალიაში შემთხვევით არ გაჩენილა. ამ ქვეყანას დიდი ხნის მანძილზე მუსლიმურ აღმოსავლეთთან გაცხოველებული სავაჭრო და კულტურული ურთიერთობანი ჰქონდა. გარდა ამისა იქ იყო მდიდარი ბიბლიოთეკები და არსებობდა შესაბამისი სამეცნიერო ტრადიცია, რომელსაც მხოლოდ იდეოლოგიური აკრძალვები აბრკოლებდა“.

მარაჩის გამოცემის მეოხებით „წმინდა საყდარმა“ ერთხანს თითქოს დაიბრუნა პირველობა ისლამის შესწავლისა და უარყოფის საქმეში, მაგრამ გერმანელმა პროტესტანტმა კრისტიან რაინესიუსმა (1668-1752) დაბეჭდა მარაჩის თარგმანის მოხერხებული გამოცემა, დაურთო თავისი კარგი წინასიტყვაობა და ამით ინიციატივა ისევ პროტესტანტ სწავლულთ დაუბრუნა.

განმანათლებლობის ეპოქა — ეგზოტიკისაკენ დაუოკებელი სწრაფვით, ანტუან გალიანის (1646-1715) „ათას ერთი ღამის“ ფრანგული თარგმანის განუზომელი წარმატებით, ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობებითა თუ რელიგიური შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მკვეთრი გამოსვლებით — მუსლიმური აღმოსავლეთისადმი ინტერესის ხელახალი მკვეთრი აღორძინებითაც აღინიშნა. სწორედ ამ დროს წერს ვოლტერი ტრაგედიას „ფანატიზმი ანუ წინასწარმეტყველი მუჰამადი“, სადაც მექაზე რომ საუბრობს, სინამდვილეში რომს გულისხმობს. ამის მიუხედავად, პიესამ პაპ ბენედიქტე XIV კურთხევა მიიღო, ხოლო შემდგომ ნაპოლეონის შექებაც კი დაიმსახურა, რომელმაც, სხვათა შორის, ავტორს „მუჰამადის დიდებული ზნეობისა და ხასიათის მდაბალ ინტრიგებში პროსტიტუირებაც“ უსაყვედურა.

გოეთე ქმნის „აღმოსავლურ-დასავლურ დივანს“, ხოლო ჟან განიე (1732) „მუჰამადის ცხოვრებით“ შთაგონებული, წერს დრამას, სადაც ისლამის ფუძემდებელი უკვე პანთეისტ ფილოსოფოსად გვევლინება.

კანონზომიერია ისიც, რომ სწორედ ინგლისში, რომელიც განმანათლებლური მოძრაობის ინიციატორი იყო, ადვოკატი ჯორჯ სეილი (1697-1736) აქვეყნებს ყურანის ინგლისურ თარგმანს, რომელიც, ძირითადად, ალ-ბაიდავის, ას-სუიუტის, აზ-ზამახშარისა და სხვა მუსლიმ ავტორთა კომენტარებს ეფუძნება. ეს თარგმანი და თანდართული „წინასწარი განმარტებანი“ განსაზღვრავდა მრავალი წლის მანძილზე ევროპაში ისლამის შესწავლისა და გაგების დონეს. ითარგმნა გერმანულად (1746), ფრანგულად (1770) და რუსულად (1792). ჯ. სეილი იმ დროისათვის ხელმისაწვდომი მასალის საფუძველზე „წინასწარ განმარტებებში“ შეეცადა აღენერა ისლამის ფენომენი, როგორც წარმართულ არაბეთში აღმოცენებული მოძღვრება, რომელმაც „გარედან“ მნიშვნელოვანი გავლენები განიცადა.

ოსმალეთის იმპერიის დასუსტებამ ევროპულ ცნობიერებაში ისლამის ამ იმპერიასთან იდენტიფიკაციის თანდათანობითი მოშლა გამოიწვია. ხოლო ევროპელ ავტორთა ნაშრომებში პოლემიკურ ელემენტთა ნაცვლად სულ უფრო ხშირად ჩნდება ისლამის შესახებ მეცნიერული შეხედულებები. ამ დროს უკვე „საერო“ პირთა მიერ შესრულებულ ყურანის თარგმანებში არა ისლამის უარყოფის, არამედ მისი შემეცნების ნადილი დასტურდება, რადგან მოწინავე ევროპამ მუსლიმური აღმოსავლეთის შიში უკვე გადალახა.

1793 წელს იბეჭდება მ. სავარის (1750-1788) ყურანის ფრანგული თარგმანი, რომელსაც სპეციალისტები „რომანტიზმის სულისკვეთებით შექმნილ ნამუშევრად“ აფასებენ.

მოგვიანებით ა. ბ. კაზიმირსკის (1808-1887) მიერ შესრულებული კიდევ ერთი ფრანგული თარგმანი კი იმ ეპოქაში შეიქმნა, როცა ალჟირში საფრანგეთის ექსპანსიამ ისლამის შესახებ უფრო დაზუსტებული და ამომწურავი ინფორმაცია მოითხოვა. ეს თარგმანი ფრანგული არაბისტიკის თვალსაჩინო მიღწევად იქცა.

ე. უერის პოპულარულმა ოთხტომიანმა ყურანის კომენტარმა (ლონდონი, 1882-1886) კი

ის შესაბამისი ინდური ტრადიცია ასახა, რაც ბრიტანეთის სამეფოს კოლონიურ ინტერესებს ყველაზე უფრო მეტად სჭირდებოდა. ალბათ ამავე რიგში უნდა განვიხილოთ დ. ნ. ბოგუსლავსკისა და გ. ს. საბლუკოვის რუსული თარგმანებიც.

XIX საუკუნის დასაწყისში სილვესტერ დე სასის (1758-1838), სახელგანთქმული „არაბული გრამატიკისა“ და „ქრესტომათის“ ავტორის, წყალობით ევროპაში ისლამმცოდნეობისა და არაბისტიკის ცენტრად კვლავაც პარიზის „ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი“ რჩებოდა, სადაც განათლების მისაღებად XIX საუკუნის თითქმის ყველა ცნობილი ისლამმცოდნე ჩადიოდა. თუმცა იმ პერიოდის ყურანის მკვლევართა მეთოდოლოგიური შეხედულებები, ძირითადად, გერმანიაში შექმნილი ბიბლესტიკის ცნობილი სკოლის ზეგავლენით ყალიბდებოდა. თუ უნინ არ სურდათ ყურანში ღვთის სიტყვა დაენახათ, ახლა მის შესასწავლად იმ მეთოდის გამოყენება დაიწყეს, რასაც ადრე მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის ტექსტთა კვლევისას მიმართავდნენ. ამ თავისთავად უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს კი თავისი ნაკლიც ჰქონდა, რადგან ყურანის განხილვას მისი წარმომშობი გარემოსა და კულტურისაგან მოწყვეტით შეუდგნენ. მეორე მხრივ, კულტურული პროცესის ერთიანობის გააზრებამ, რომელიც სწორედ იმხანად მკვიდრდებოდა, სხვა უკიდურესობა — ურთიერთგავლენათა აბსოლუტიზაცია გამოიწვია და ჯერ ბიბლია, მის კვალდაკვალ კი ყურანიც „გარემომცველ კულტურათა და ლიტერატურათა მიბაძვისა და ურთიერთსესხების ნაყოფად“ გამოცხადდა. კულტურული კომპარატივიზმის ნიადაგზე შექმნილი ა. გაიგერის, კ. გეროკის, გ. ვაილის, თ. ნოლდეკეს, ჰ. ჰირშფელდის, ი. ბარტის, მოგვიანებით კი ი. ჰოროვიცისა და მისი მოწაფეების ნაშრომთა სერია ყურანის შესწავლის ახალი ეტაპის დასაწყისად მოგვევლინა და ამ ნაშრომებმა დიდი ხნის მანძილზე განსაზღვრეს მეცნიერული ყურანისტიკის მთავარი მიმართულებანი და ხასიათი. ამასთან, ე. ა. რეზვანის სამართლიანი შენიშვნით: „ევროპელ მკვლევართა რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი კვლავაც აისახებოდა ისლამის წმინდა წიგნის შესწავლის ნეგატიურ მოცემულობაზე.“

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გერმანიაში კლასიკური ფილოლოგიის ამოცანათა და მეთოდთა დადგენამ, რამაც ფილოლოგიის ყველა დარგის განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია, და ასევე გერმანული ბიბლესტიკის წარმატებამ განაპირობა XIX საუკუნეში ამ ქვეყნის მეცნიერთა პირველობა ყურანის შესწავლის საქმეში. 1834 წელს გუსტავ ფლუგელი აქვეყნებს ჯერ ყურანის ხელახლა შემოწმებულ ტექსტს, ხოლო შემდეგ მის კონკორდანსაც (1842). ამ შრომებს თავიანთი მნიშვნელობა XX საუკუნის შუახანებამდეც კი არ დაუკარგავთ. ტექსტის ზოგი გამოცემა (1837, 1855, 1867) გ. რედსლოფის რედაქციით გამოიცა, რომელიც გუსტავ ფლუგელის საქმეს განაგრძობდა.

სპეციალისტთა შენიშვნით, გერმანიაში, რომელიც ქვეყნიერების საზღვრებს ესწრაფოდა, ანარმოებდა აგრესიულ პოლიტიკას და საამისოდ „ისლამური კარტის“ მარჯვედ გათამაშებას ცდილობდა, აღმოსავლეთმცოდნეობის ორივე — პრაქტიკული და აკადემიური — მიმართულება წარმატებით ვითარდებოდა.

ხოლო XIX საუკუნის ყურანისტიკის მიღწევებმა, ახალი თარგმანებისა და გამოკვლევების გამოცემამ ყურანი თანდათანობით ევროპული ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნების განუყოფელ ნაწილად აქცია.

1927 წელს გ. ბერგშტრესერმა და ა. ჯეფერიმ ერთობლივად შეიმუშავეს ყურანის ტექსტის კრიტიკული გამოცემის გეგმა, რადგანაც გ. ფლუგელის მიერ ჩატარებულმა სამუშაომ ტექსტოლოგიურ პრობლემათა მთელი სიძნელე გამოააშკარავა.

კრიტიკული გამოცემის ეს ერთობლივად შეიმუშავებული გეგმა სხვადასხვაგვარი წყაროებიდან ყურანის ვარიანტთა გამოვლენას, მუსლიმი ავტორების ყურანის წაკითხვათა (კირა'ათ) ვარიანტებისადმი მიძღვნილი თხზულებების მოძიებასა და პუბლიკაციას, ყურანის უძველეს ხელნაწერთა ფოტოარქივის შექმნასა და მათ შესწავლას ისახავდა მიზნად. ბერგშტრესერი და ჯეფერი აპირებდნენ საფუძვლად აეღოთ ტექსტის ე. წ. ჰაფსასეული რედაქცია (რომელიც, სხვათა შორის, „ეგვიპტური გამოცემის“ საფუძვლადაც მოგვევლინა), მაგრამ გამოექვეყნებინათ იგი საჯ'ის სტილის თავისებურებათა გათვალისწინებით. აიგვის

ნუმერაციას კი როგორც მუსლიმური ტრადიციის, ასევე ფლუგელის ნაშრომის მიხედვით აპირებდნენ. ტექსტს უნდა ჰქონოდა პაუზალური ნიშნები, ხოლო აშიებზე „პარალელურ ადგილთა“ მითითებანი გამოეტანათ.

ფურცლის ქვედა მხარეს ვარაუდობდნენ კრიტიკული აპარატის განთავსებას, რომელიც ტექსტის ათეულობით ვარიანტს დაეფუძნებოდა, ხოლო ეს ვარიანტები მათი სამი ტიპის წყაროთა მიხედვით უნდა დაეჯგუფებინათ: „შვიდი ნაკითხვის“ ტრადიციაზე ადრინდელ, ამ ტრადიციას მიკუთვნებულ და მასზე გვიანდელ წყაროებად. იქვე კი მიუთითებდნენ სკოლას (ანდა სკოლებს), რომელთაც ესა თუ ის ნაკითხვა ეკუთვნოდათ.

ცალკე ნიგნად ივარაუდებოდა ფ. შვალის, გ. ბერგმუტრესერისა და ო. პეტცლის „შესავალი“, რასაც თ. ნოლდეკეს „ყურანის ისტორია“ უნდა შეეცვალა. მესამე ტომი კი ვრცელ კომენტარს უნდა დათმობოდა. პროექტის ავტორები, რა თქმა უნდა, აცნობიერებდნენ, რომ ყველა არსებული ვარიანტის გათვალისწინება შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ვარაუდობდნენ პრობლემის მთავარი წყაროთა გადამუშავებას. მეოთხე ტომი კი ყურანის ლექსიკონი უნდა ყოფილიყო. იმის მიუხედავად, რომ ჩატარდა უზარმაზარი წინასწარი სამუშაო, გვემის ბოლომდე განხორციელება მაინც ვერ მოხერხდა.

კრიტიკული გამოცემის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა ისლამმცოდნეობის მეთოდთა კრიზისით, რასაც რიგი ისლამმცოდნეებისა და უპირველესად ი. გოლდციერის ნაშრომებში მუსლიმური ტრადიციისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება განაპირობებდა.

ასეთი მიდგომა, რომელიც მთლიანობაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიაზე პოზიტივიზმის ზეგავლენის ზრდამ გამოიწვია, იყო რეაქცია დოზისა და მისი სკოლის ნაშრომებზე, რომლებიც მუსლიმური ტრადიციის მონაცემთა უკრიტიკოდ გამოყენების საფუძველზე იქმნებოდა.

ი. გოლდციერი და მისი მიმდევრები კი, პირიქით, ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ მუსლიმურ გადმოცემთა კორპუსის უდიდესი ნაწილი მოციქულის სიცოცხლის ხანიდან საკმაოდ დაცილებულ ეპოქას ეკუთვნოდა და ამიტომაც ეს გადმოცემები ხალიფატში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლათა ტენდენციებს ასახავდა. ასეთმა დამოკიდებულებამ ეჭვქვეშ დააყენა როგორც „თაფსირთა“ ავტორიტეტულობა ყურანის ადეკვატური განმარტებისათვის, ასევე ის მუსლიმური ტრადიცია, რომელიც ყურანის ტექსტის ფორმირების შესახებ მოგვითხრობდა.

სილვესტერ დე სასიმ, გ. ვაილმა, ჰ. ჰირშფელდმა და სხვებმა ცალკეულ აიათა ავთენტურობის საკითხი წამოჭრეს, ხოლო პოლ კაზანოვამ საერთოდ მთელი ძეგლის სანდოობაში შეიტანა ეჭვი.

ამიტომაც ევროპელმა მეცნიერებმა ყურანის მუსლიმური ტრადიციისაგან გამიჯნულ, განცალკევებულ კვლევას დაუჭირეს მხარი. სწორედ ამგვარი მიდგომა გახდა რიჩარდ ბელის (1876-1952) შრომათა საფუძველი, რომელიც გერმანული ბიბლიესტიკის იდეათა აღზევების, განსაკუთრებით კი ველჰაუზენის „ტენდენციკრიტიკის“ ფონზე მუშაობდა.

ბელისათვის ყურანის სტრუქტურისა და ქრონოლოგიის ახლებური გააზრების სტიმულად იქცა მონოგრაფიაზე მუშაობა, რომელიც პირველად ლონდონში 1926 წელს, ხოლო მეორედ 1968 წელს გამოიცა. მონოგრაფიაში — „ისლამის წარმოშობა მის ქრისტიანულ გარემოცვაში“ — ბელმა პირველმა განიხილა ყურანის კომპოზიცია მუჰამადის რეალურ წინასწარმეტყველურ მოღვაწეობასთან კავშირში. იგი მიიჩნევდა, რომ თითოეული სურა — მუჰამადის გამოცხადებათა ფრაგმენტების კრებული — ან თვით მუჰამადის მიერ ან კიდევ უმისოდ და მოგვიანებით, ყურანის „შეკრებისას“ იქნა ფორმირებული. ასეთმა მიდგომამ რ. ბელს საშუალება მისცა ახლებურად დაესვა უკვე არა ცალკეულ სურათა, არამედ მათი ფრაგმენტების ქრონოლოგიის პრობლემა. კვლევის შედეგებს კი თავი მოუყარა ორ ტომად გამოცემულ ყურანის თარგმანში, რომელსაც თან „სურათა განლაგების კრიტიკული გადასინჯვაც“ დაურთო.

მიუხედავად იმისა, რომ ბელის ბევრმა თვალსაზრისმა სამეცნიერო მხარდაჭერა მრავალი წლის განმავლობაში ვერ მოიპოვა, ხოლო მუსლიმურ გარემოში ცხარე უსიამოვნებანიც



გამოიწვია, დღევანდელი გადასახედიდან ისლამმცოდნეები მის წვლილს ყურანის შესწავლის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

სპეციალისტთა განცხადებით, ბელამდე შესრულებული ყურანის თარგმანები, ძირითადად, მუსლიმურ ტრადიციას ეყდნობოდა და ამიტომაც, ამა თუ იმ მუსლიმი ეგზეგეტიკოსის ანდა თეოლოგთა ჯგუფის ეპოქისა და სოციალურ-კულტურულ გარემოცვისათვის დამახასიათებელ აღქმას ასახავდა, მაგრამ რ. ბელი, ი. კრაჩკოვსკი (1883-1951), რ. ბლაშერი (1900-1973) და რ. პარეტი (1904-1983) სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა თითქმის ერთდროულად თარგმნიან ყურანს ორიგინალურ სამეცნიერო გადამუშავებათა საფუძველზე.

ყურანის „ეგვიპტური გამოცემის“ პუბლიკაცია კი, რომელიც მთელმა მუსლიმურმა სამყარომ ერთსულოვნად აღიარა და ასევე სტამბოლში თითქმის ამავე დროს გამოქვეყნებული ყურანის თარგმანი, რომელიც პარალელური, არაბული ტექსტის გარეშე დაიბეჭდა, ახალი ტენდენციის გამარჯვებას მოასწავებდა, ტენდენციისა, რამაც 1930 წლიდან უკვე ალ-აზჰარის სრული მხარდაჭერაც მოიპოვა. ამის შემდგომ ერთმანეთის მიყოლებით გამოდის ყურანის ევროპული თარგმანები, რომელთაც მუსლიმი ავტორები ასრულებდნენ. ორი ასეთი ინგლისური თარგმანი — მ. პიკტჰოლისა და იუსუფ ალისა — ძალზე პოპულარული გახდა და არაერთხელ გამოიცა.

ყურანის კვლევა და თარგმანები ევროპულ ენებზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ უფრო მეტად დაუკავშირდა ორ ფუძემდებლურ მომენტს: სწრაფვას, ახსნილიყო ყურანი თვითონ ყურანისავე მეშვეობით, და ასევე ტექსტის ანალიზისათვის ისლამამდელი და ძველის თანადროული ენობრივი მასალის მნიშვნელობის გაცნობიერებას. ამ კუთხით თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ რ. ბლაშერსა და რ. პარეტს, რომელთაგან თითოეულმა ყურანის დამოუკიდებელი თარგმანი გამოსცა.

ე. რეზვანის შეფასებით, შიდაყურანისეულ სიტყვათშეთანხმებათა ანალიზზე დაფუძნებული პარეტის თარგმანი დღეს ერთ-ერთ ყველაზე სანდო ნამუშევრად გვევლინება. ხოლო ტექსტის ანალიზის შედეგები სრული სახით თავმოყრილია ნაშრომში „ყურანი: კომენტარები და კონკორდანსი“ (შტუტგარტი, 1971).

ბლაშერის თარგმანი (1949-1950) კი დაფუძნებულია ისლამამდელი არაბული პოეზიის ნიმუშთა შედარებით ანალიზზე, რომელიც ყურანის „ბუნდოვანი ადგილების“ გასააზრებლად გამოიყენება.

ინგლისური თარგმანთა შორის ყველაზე უფრო პოპულარულად ა. არბერის ნამუშევარი გვევლინება, რომლის საძიებელიც ხ. კასისს, ხოლო მცირედი განმარტებანი უ. მონტგომერი ვატს ეკუთვნის. ვატი XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ყურანისტიკისა და ისლამმცოდნეობის დარგში. მის სხვა შრომათა გვერდით აღსანიშნავია ავტორიტეტული მონოგრაფია ორ ნიგნად: „მუჰამადი მექაში“ და „მუჰამადი მედინაში“.

ისლამის ტრადიციული გავრცელების ქვეყნებში ეროვნული და ისტორიულ-კულტურული თვითშეგნების დადგენის პროცესმა, რომელსაც თან კოლონიური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება ახლდა, ასევე პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ბრძოლაში ისლამის როლის ამალღებამ ყურანისტიკაში მუსლიმთა პუბლიკაციების ზრდაც გამოიწვია. ეს ნაშრომები არამხოლოდ მუსლიმ ერთა, არამედ ევროპულ ენებზეც იბეჭდებოდა. ამ პუბლიკაციათა ავტორები ეხებოდნენ მუსლიმური მეცნიერებისათვის ტრადიციულ თემებს და ეხმაურებოდნენ ევროპელ მეცნიერთა უმნიშვნელოვანეს ნაშრომებსაც. ყურანის სხვადასხვა სიუჟეტის ანალიზისადმი მიძღვნილ ნაშრომთა დიდი ნაწილი იქმნება თანამედროვე მუსლიმური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თეორიების წამოჭრის მიზნით ე. წ. ყურანის ფილოსოფიის დამუშავების ჩარჩოებში. ხოლო ქრისტიანულ-მუსლიმური დიალოგის მიზნებმა, განსაკუთრებით ვატიკანის მეორე კრების შემდეგ (1962-1965), განაპირობა როგორც მუსლიმ, ისე ქრისტიან ავტორთა მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები, რომელიც, არსებითად, ბიბლიისა და ყურანის ლეგენდათა შედარებით ანალიზს მიეძღვნა.

ამ თვალსაზრისით ისლამის მკვლევრებს საინტერესოდ ეჩვენებათ ჩრდილო აფრიკის ევროპული თემისა და მუსლიმური მოსახლეობის ურთიერთობათა გაუმჯობესების მიზნით

ქრისტიან ო. პესლისა და მუსლიმ ა. ტიჯანის ერთობლივად შესრულებული ყურანის თარგმანი, რომელიც რამდენჯერმე ხელახლა გამოიცა და დღემდე დიდად პოპულარულია.

აქვე შეუძლებელია არ დაეთანხმო ე. რეზვანს იმ არაჩვეულებრივად მარჯვე დეფინიციამი, რომლის თანახმადაც, „ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება შეგნება იმისა, რომ ყველზე ზუსტი და ამ ვითარებაში ყველაზე უფრო ადეკვატური თარგმანი ყურანისა, ტექსტის გასაგები აპარატის სტრუქტურაში მაქსიმალური შეღწევის სიღრმით, მკითხველსა და მკვლევარს მაინც ერთ-ერთ შესაძლებელ „ყურანს“ სთავაზობს.“

ამიტომაც იქმნება წიგნის არაერთი თარგმანი, რომელიც ერთმანეთისაგან, გარდა მხატვრული თუ მეცნიერული ღირსებებისა, უპირველესად დედნისადმი დამოკიდებულებით განსხვავდება.

დღეს ყურანი თარგმნილია ევროპისა და აზიის ენათა უმეტესობასა და ზოგიერთ აფრიკულ ენაზე. განსაკუთრებით აქტიურად კი ის ერები და ქვეყნები თარგმნიან, რომელთაც მუსლიმურ სამყაროსთან, გარდა პირწმინდად მეცნიერული და კულტუროლოგიური მიზნებისა, სხვა გაცილებით პრაქტიკული ზრახვანი ამოძრავებთ.

მაგალითად, რუსეთშიც ყურანის შესწავლა დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადამწყვეტილებებთან, რომელთაც ამ ქვეყნის ხელისუფალნი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ისლამურ სამყაროსთან კონტაქტების გაღრმავების მიზნით იღებდნენ. გარდა ამისა, რუსეთის ამოცანას მუსლიმ მეზობელთა ეტაპობრივი დამორჩილებაც წარმოადგენდა, და ამ თვალსაზრისით ისლამის, როგორც დაპირისპირებული მხარის იდეოლოგიური საფუძვლის, შესწავლას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ოფიციალური დამოკიდებულება, თორემ ყურანის რუს მთარგმნელებსა და მკვლევარებს შესაძლოა ასეთი რამ ფიქრადაც არ გაუფლიათ და პირწმინდად სამეცნიერო ან მხატვრული ინტერესი თუ დიდი ისლამური კულტურის გულწრფელი სიყვარული ამოძრავებდათ.

ასეა თუ ისე, ყურანის პირველი რუსული თარგმანისა და საერთოდ მუსლიმური აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლის ინიციატივა პეტრე I ეკუთვნის. მისი ბრძანებით 1716 წელს, პეტერბურგში ყურანის პირველი რუსული თარგმანი დაისტამბა, რომელიც ფრანგულიდან, ანდრე დუ რიეს ვერსიიდან, უცნობმა მთარგმნელმა შეასრულა (მთარგმნელად ხან დმიტრი კანტემირი და ხანაც პიოტრ პოსტნიკოვი სახელდება).

ამის შემდეგ (XVIII—XIX სს) ფრანგულიდან ყურანის რამდენიმე რუსული თარგმანი მომზადდა, ხოლო უშუალოდ არაბული ორიგინალიდან თითქმის ერთდროულად შესრულდა ორი თარგმანი: ერთი დ. ნ. ბოგუსლავსკისა (1826-1893) 1871 წელს, და ერთიც გ. ს. საბლუკოვისა (1804-1880), რომელიც ყაზანში 1878 წელს გამოიცა, რის შემდეგაც ბოგუსლავსკიმ ქრონოლოგიურად ოდნავ ადრინდელი თავისი თარგმანის გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა. ეს თარგმანი რამდენიმე წლის წინათ გამოიცა (1995) ეფიმ რეზვანის რედაქციითა და წინასიტყვაობით, რომელიც ბოგუსლავსკის (ანუ თავის მიერ დასტამბულ) თარგმანს ამკარად ამჯობინებს საბლუკოვისას.

თუმცა საბლუკოვის (გამოქვეყნების ქრონოლოგიით პირველი) რუსული თარგმანი უშუალოდ არაბული ორიგინალიდან უამრავი ღირსებით ხასიათდება და ბევრი თვალსაზრით მაქსიმალურად ასახავს დედნის არაერთგვაროვან და მრავალგანზომილებიან თავისებურებებს. ეს ნაშრომი მრავალჯერ გამოიცა და 1961 წლამდე ერთადერთ სრულყოფილ თარგმანად რჩებოდა. იმის მიუხედავად, რომ გინდ მთარგმნელის თანამედროვე და გინდ შემდგომი დროის ზედმეტად მომთხოვნი რუსი აღმოსავლეთმცოდნეები საბლუკოვის შრომას გადაჭარბებული სიმკაცრით აფასებდნენ.

მაგალითად, ე. კრიმსკი შენიშნავდა: „საბლუკოვი ცდილობს მომაკვდინებლად ბუკვალური იყოს, იმდენად, რომ ბევრ ადგილას მისი თარგმანის გაგებაც კი, თუ იქვე არაბულ ორიგინალში არ ჩავიხედავთ, შეუძლებელია. გარდა ამისა, საბლუკოვის თარგმანში უამრავი უეჭველი შეცდომაა.“

საბლუკოვის „ბუკვალურობა“ ალბათ ღვთის წყალობად მოეჩვენებოდა კრიმსკის, აკად. ე. კრაჩკოვსკის თარგმანის გაცნობის საშუალება რომ მისცემოდა. რაც შეეხება შეცდომებს, აქ

ალბათ პირწმინდად გრამატიკულ დონეზე ამავე რანგის ყველა სხვა ევროპულ თარგმანთან შედარებით ყველაზე მეტი შეცდომაა (გრამატიკულ პირთა აღრევიდან მოკიდებული რთული სინტაქსური კონსტრუქციების არასწორი გადმოტანით დამთავრებული). ეს გარემოება კი განპირობებული იყო არა კრაჩკოვსკის არაკომპეტენტურობით (ასეთი შეფასება, ცხადია, არასერიოზული იქნებოდა), არამედ იმით, რომ თარგმანი სამუშაო ხასიათისაა, არსებითად დაუმთავრებელი დარჩა და მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

ამის მიუხედავად, რაკილა სათარგმნი მასალისადმი დამოკიდებულება პრინციპულად სწორია, აკად. ი. კრაჩკოვსკის თარგმანი დღემდე რჩება ყველაზე სანდო „რუსულ ყურანად“, რომელსაც ახასიათებს ის თავისებურებანი, რაც თვითონ კრაჩკოვსკიმ ა. ფიშერის ყურანის თარგმანებისადმი მიძღვნილი ნაშრომიდან ერთგვარი სამუშაო კონსპექტის სახით ამოიღო.

„ამ ნაშრომში ყურანის თარგმანისადმი ნაყენებულია შემდეგი მოთხოვნები: „მთარგმნელი, პირველ რიგში, უნდა ამოვიდეს თვით ყურანის ტექსტიდან და არ გაიხლართოს მოგვიანო ხანის კომენტატორთა დოგმატურ სქემებში, თუმცა უნდა გაითვალისწინოს ამ კომენტატორთა ფილოლოგიური განმარტებანი და ასევე არაბული გრამატიკის, ფრაზოლოგიისა და პოეტიკის ყველა ფაქტიზი ნიუანსი. ამას გარდა, ყურადღება მიაქციოს ტექსტის ვარიანტებს და მხედველობაში იქონიოს „მრავალი ადგილის პრობლემატური ხასიათი“. და მესამე: არ შეეცადოს აუცილებლად მოძებნოს ყურანში იუდეური და ქრისტიანული ელემენტები, რადგან უნდა ახსოვდეს, რომ მუჰამადი არაბულ წარმართულ გარემოში აღიზარდა და ამ გარემოს წეს-ჩვეულებათა, ასევე მისი პოეზიის მოტივთა, ფორმათა და ენის ზეგავლენა უნდა განეცადა.“

კრაჩკოვსკის მეორე ასეთივე ამონაწერი ტ. ვ. იაინბოლის იმ სტატიიდანაც გაუკეთებია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებამდე გამოქვეყნებული ყურანის ევროპული თარგმანების შეფასებას ეძღვნებოდა და სადაც თურმე ავტორი ასეთ დასკვნას გვთავაზობდა: „არცერთი თარგმანი არ ინარჩუნებს ტექსტის ტრადიციულ, მუსლიმთა მხრიდან მართლად აღიარებულ განმარტებას; ისევე, როგორც, პირიქით, არცერთი მთარგმნელი არ ცდილობს დაიცვას ყურანის გამოთქმათა ისტორიულ-კრიტიკული თვალსაზრისით აბსოლუტურად სწორი შინაარსი.“

საერთოდ, ე. ი. კრაჩკოვსკის თარგმანი ტექსტთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ყველაზე უფრო რ. ბელის, რ. ბლაშერისა და რ. პარეტის ნაშრომებს ენათესავება. ყველა ეს თარგმანი ხშირად ტექსტთან ბუკვალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ეს შედეგი მთარგმნელთა მცდელობისა — რაც შეიძლება ზუსტად მიჰყვნენ ორიგინალის სინტაქსს, კრიტიკოსთა შეფასებით, თარგმანის ენას „ნამდვილად აუტანელს“ ხდის, ხოლო რ. ბელის თარგმანის შესახებ ინგლისელი ლიტერატორები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ მისი ნაკითხვა წარმოუდგენლად რთულია.

კრაჩკოვსკის თარგმანის შედეგ ყურანის კიდევ რამდენიმე რუსული თარგმანი დაიბეჭდა: მათ შორის 1993 წელს გამოიცა ვ. პოროხოვას მიერ თარგმნილი ვერსია, რომელიც, მიუხედავად სატიტულო ფურცელზე მითითებულისა, რომ თარგმნილია არაბული ორიგინალიდან, ალბათ ინგლისური თარგმანის მიხედვით უნდა იყოს შესრულებული, და რბილად რომ ვთქვათ, ისიც ძალზე წარუმატებლად.

თითქმის ამავე პერიოდში შესრულდა მუჰამად-ნური ოსმანოვის თარგმანი, რომლის მეორე გადასინჯული ვერსიაც, მთარგმნელისა და ვ. დ. უშაკოვის ვრცელი კომენტარებით, 1999 წელს დაიბეჭდა. ეს თარგმანი (უფრო ზუსტად, მისი მეორე ვერსია) ბევრი თვალსაზრისითაა უნიკალური, კერძოდ იმით, რომ ითვალისწინებს ყურანის გააზრების როგორც მუსლიმურ, ასევე ევროპულ ტრადიციას.

2000 წელს მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა ვ. შიდფარის მიერ შესრულებული ყურანი, რომელიც ამავე ავტორის სხვა თარგმანთა მსგავსად, რუსულად ძალზე კარგად იკითხება, მაგრამ ხშირად სცოდავს ტექსტის გაგებისა თუ საერთოდ დედნის ერთგულების თვალსაზრისით.

ყურანის ყველაზე სერიოზულ და ადეკვატურ რუსულ თარგმანად კი მიუნხენში „Bavaria Verlag“-ის მიერ 1999 წელს 10 ტომად დასტამბული „ყურანის მნიშვნელობა და საზრისი“ გვესახება, რომელიც თვითონ ტექსტის ზედმიწევნითი თარგმანის გარდა, ყურანის ამა თუ იმ პასაჟთან დაკავშირებით გამოჩენილ მუსლიმ თეოლოგთა მნიშვნელოვანი მოსაზრებების თარგმანსაც მოიცავს. ტექსტი არაბულიდან თარგმნა მეცნიერთა ჯგუფმა, საბოლოოდ ლი დახვენეს და დაამუშავეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლებამიღებულმა არაბმა სლავისტებმა: აბდ ას-სალამ მუსტაფა აბდ ას-სალამ ალ-მუნსამ და სამია მუჰამმად მუსა აფიფი.

აღნიშნული ვერსიის საფუძვლად უპირობოდ აღებულია აკად. კრაჩკოვსკის თარგმანი, რომელიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული და დახვეწილია. ოღონდ, კრაჩკოვსკისაგან განსხვავებით, არც ეს თარგმანი და არც თანდართული კომენტარი საერთოდ, პრინციპულად არ ითვალისწინებს ყურანის ევროპული ანალიზის ტრადიციას.

## 6. ყურანი საქართველოში

სავარაუდებელია, რომ ქართველები პირველად მუჰამადის მოძღვრებას VIII საუკუნეში გაცნობოდნენ, როცა ქვეყანას არაბთა ხალიფატის დამპყრობელი ჯარები მოადგნენ. ბუნებრივია, იმ პერიოდის საქართველოში ცოტა ვინმეს თუ ექნებოდა წარმოდგენა დამპყრობელთა იდეოლოგიური საფანელის, ანუ ისლამის კარდინალურ საკითხებსა და თვით ამ რელიგიის არსზე. VIII საუკუნის შუა ხანებში დადებული ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელით კი ფაქტობრივად იწყება საქართველოსა და მუსლიმური სამყაროს დოკუმენტური ურთიერთობა.

დამპყრობლებთან ურთიერთობა, ბუნებრივია, მათი ხასიათის, სჯულისა თუ ეროვნული თავისებურებების ცოდნას მოითხოვდა. ეს ცოდნა კი სრულყოფილი ვერ იქნებოდა ყურანისა და საერთოდ ისლამის ძირეული საკითხების მკაფიოდ გაცნობიერების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პერიოდის ქართულ ძეგლებში არაბები აგარიანებად, სარკინოზებად არიან მოხსენიებულნი და არა — მაჰმადიანებად ან მუსლიმებად, ანუ აპელირება ხდება მათ ეროვნულ და არა სარწმუნოებრივ კუთვნილებაზე; თანაც სახელდება ხდება ძველი ალთქმის ნიგნებზე დაყრდნობით. სავარაუდებელია, რომ ამ პერიოდშივე დაწყებულიყო ქართველთა მიერ მაჰმადიანური რელიგიის შესწავლა. ყურანის შესახებ ცნობები კი ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან მოგვეპოვება, თანაც, ეს ცნობები ისეთი მრავლისმეტყველი და არაერთგვაროვანია, რომ ცნობილ მნიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეს, ზაქარია ჭიჭინაძეს აფიქრებინებს: „ყურანი ქართულს ენაზედ უნდა იყოს ნათარგმნი X საუკუნეში და იქნებ, IX საუკუნეში, როცა ქართლსა და კახეთში არავინ იყვნენ მომვლელნი და მფლობელნი ჩვენი სამშობლოსი“.

სარწმუნო წყაროების მიხედვით, ქართულად ყურანის თარგმანის რამდენიმე ვარიანტი უნდა შესრულებულიყო. პრაქტიკულად, X-XII საუკუნეებში ხდებოდა ისლამის ადაპტაცია საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში და, აქედან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ რელიგიის წმინდა წიგნისა და სხვადასხვა წყაროების ქართულად თარგმნასა თუ ხალხში გავრცელებას.

თავის მხრივ, ამ პერიოდის არაბი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ნაწერებში ჩნდება პირველად ცნობები საქართველოს, ქართველებისა და თბილისის შესახებ.

X საუკუნის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი იბნ ჰაუქალი იმდროინდელი თბილისის შესახებ მოგვითხრობს:

„თბილისს შემოვლელი აქვს ალიზის გაღავანი, რომელშიაც დატანებულია სამი კარი. ეს არის ნაყოფიერი, გამაგრებული, სურსათ-სანოვაგით მდიდარი, ფასების თვალსაზრისით იაფი ქალაქი. თავისი კეთილდღეობითა და სურსათ-სანოვაგით იგი აღემატებოდა სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ თაფლი უყიდა,

მიამბო, რომ მან ერთ დირჰამად ოცი ლიტრი შეიძინა. ეს ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო ოლქს, რომელსაც ყოველი მხრიდან უამრავი მტერი ეხვევა. აქ არის აბანოები... მათი წყალი უცეცხლოდ დულს. ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. თბილისში მცურავი წისქვილებია, რომლებიც ფქვავენ ხორბალს. თბილისის მცხოვრებლებს შორის უცხოელი უშიშრად გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს. ისინი მეგობრულად არიან განწყობილნი მათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე, თუნდაც მცირედი გულისხმიერება და ცოდნა აქვს მეცნიერებისა“.

დამონმებულ დოკუმენტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ფრაზა: „ისინი მეგობრულად არიან განწყობილნი იმათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე, თუნდაც მცირე გულისხმიერება და ცოდნა აქვს მეცნიერებისა“.

როგორც ცნობილია, შუა-საუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში ცოდნა — „ილმ“ ერთ-მნიშვნელოვნად იხმარებოდა ღვთის შემეცნების, ღვთისმეტყველების აღსანიშნავად. აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმდროინდელი ქართველები დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ ისლამისა და ამ სარწმუნოების სხვადასხვა საკითხის მიმართ. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არაბებმა დაპყრობითი ომების საწარმოებელ იდეოლოგიად სწორედ ისლამი გამოიყენეს. ამიტომაც სავარაუდებელია, ისინი თავიდანვე და განსაკუთრებით ქართლში ფეხის მყარად მოკიდების მერე, როცა ქვეყნის მმართველად თავიანთი ამირა ჩააყენეს, საკუთარი იდეოლოგიის განმტკიცებაზეც იზრუნებდნენ, რისთვისაც უსათუოდ, საჭირო იქნებოდა ყურანისა და პირველხარისხოვან რელიგიურ ნაშრომთა ქართულ ენაზე თარგმნა და გავრცელება. ასეთი მიდგომის შედეგი უნდა იყოს ის გარემოება, რომ უკვე IX საუკუნის დასასრულს ქართული ელიტა ისე საფუძვლიანად იცნობდა მაჰმადის მოძღვრებას, რომ ამ სჯულის მეცნიერებთან ანუ უღემებთან პოლემიკასაც კი არ ერიდებოდა. საისტორიო წყაროებში ცნობილია დავით აღმაშენებლის პოლემიკა განჯის ყადისთან, ანუ მუსლიმური სამართლის მცოდნესთან. პოლემიკის საგანს კი, სავსებით ბუნებრივია, წმინდა სამების დოგმატი წარმოადგენდა.

პოლემიკის გარდა, უცხოთა სარწმუნოების გაცნობა ქართველებში მის მიმართ გარკვეული პატივისცემის გრძნობასაც იწვევდა. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ იგივე დავით აღმაშენებელი მეჩეთში შედიოდა და ზოგჯერ პარასკევის ლოცვასაც ესწრებოდა, მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით არ შეიძლება აიხსნას.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში ისლამის საფუძვლიანი გააზრების ხანა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პერიოდს დაემთხვა. თუ VIII-IX საუკუნეების ქართულ ძეგლებში მუსლიმები, სარკინოზები და აგარიანები, ანუ დამპყრობელი არაბები, ზოგან აშკარა, ზოგან შეფარული ანტიპატიით არიან მოხსენიებულნი, დავით აღმაშენებლიდან თამარის ეპოქის ჩათვლით ხდება ისლამის ახალი, მიუკერძოებელი შეფასება და მისი სხვადასხვა ასპექტის ზოგჯერ ძალზე კრიტიკული, მაგრამ თანამიმდევრული გააზრება.

არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ქართული საერო მწერლობის ჩასახვა და განვითარება, რაზედაც სრულიად აშკარაა მუსლიმური აღმოსავლეთის მძლავრი ზეგავლენა.

ამ ფონზე საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ XIII საუკუნის დამდეგიდან ქართულ მატია-ნეებში ყურანის ხსენებას ვეღარსად შეხვდებით. იმავე ზაქარია ჭიჭინაძის აზრით: „საქმე ისე გამოდის, რომ ძველის თარგმანიდამ ქართველ მწერლებმა ყურანის მოძღვრება გაიცნეს კარგათ და მიტომაც XIII საუკუნიდამ მას ქართველ მწერლებმა თავიანთ ნაწერებში აღმაც-ერად დაუწყეს მზერა და მათ ამ წიგნის არამც თუ გარკვევა არამედ, ხსენებაც კი მოსპეს“.

ჩემი აზრით კი ამ მოვლენის მიზეზი უფრო სხვაგან არის საძიებელი. საქმე ისაა, რომ X-XII საუკუნეებში პოლიტიკურად ძლიერ საქართველოს აღარ ეშინოდა სხვა, უცხო მოძღვრებებისა, თამამად უღებდა მათ კარს და ბევრ რამეს სესხულობდა კიდევ მათგან ქართული სააზროვნო სისტემის განვითარებისათვის. XIII-XIV საუკუნეებში კი ქვეყანა დაუძღურებული და წელში გატეხილი გახლდათ, ამიტომაც, ჯერ ერთი, ზოგადად მნიგნობრობა აღარ დგას სათანადო დონეზე, და რაც არის, იქაც აქცენტი უფრო ეროვნული სულის გაძლიერებაზეა



გადატანილი; ამიტომაც სავარაუდოა, რომ ქართველები შეგნებულად გაურბოდნენ ისლამისა და ყურანის ხსენებას.

მეთხუთმეტე საუკუნიდან საქართველოში კვლავაც ძლიერდება მუსლიმთა ზეგავლენა. აღმოსავლეთიდან სპარსეთი, აზერბაიჯანი, ავღანისტანი, თურქმენეთი და სხვა მუსლიმური სახელმწიფოები, დასავლეთიდან კი თურქ-ოსმალები და ქურთები განუწყვეტლივ ლაშქრობენ საქართველოში. ამ სამყაროს მომძლავრებამ ბუნებრივია, მაჰმადის მოძღვრების გავრცელებას შეუწყო ხელი.

მოხდა ისე, რომ დასავლეთ საქართველოში, ოსმალეთის იმპერიის იდეოლოგიური ზეგავლენით, ისლამის ერთი მთავარი განშტოება, სუნიზმი იკიდებს ფეხს, ხოლო აღმოსავლეთში ამ რელიგიის მეორე მძლავრი განშტოების — შიიზმის გავრცელება უფრო შეინიშნება, რაც, ბუნებრივია, ირანისა და ირანული კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების სიახლოვით იყო განპირობებული.

როგორც ცნობილია, ისლამი მუჰამად მოციქულის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ორ ძირითად მიმართულებად გაიყო. განხეთქილების მიზეზი პოლიტიკური გახლდათ და მუჰამად მოციქულის მემკვიდრეობის საკითხს უკავშირდებოდა. პირველი ხალიფა, ანუ მუჰამად მოციქულის ნაცვალი და მოადგილე აბუ ბაქრი (632-634წ.) გახდა. მუსლიმთა გარკვეული ჯგუფის აზრით, ამით სამართლიანობა დაირღვა, რადგანაც მოციქულის ანდერძის თანახმად, ერთიანი მუსლიმური თემის ხელმძღვანელობა მუჰამადის სიკვდილის შემდეგ მის ბიძაშვილსა და სიძეს, ბრწყინვალე ფატიმას მეუღლეს, ალი იბნ აბუ ტალიბს უნდა რეგებოდა. ამ განხეთქილებამ მალე სერიოზული ხასიათი მიიღო და სისხლისმღვრელ შეტაკებებში გადაიზარდა. ალის მომხრეებს შიიტები, — არაბულად „ში'ათუ ალი“ — ალის პარტია დაერქვა. შიიზმი თავის დროზე ყველაზე უფრო ფართოდ სახალიფოს აღმოსავლეთ რეგიონებში — სპარსეთში, აზერბაიჯანში, ავღანეთსა და ერაყში გავრცელდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ირანული ექსპანსიის ჟამს XVI საუკუნიდან მოკიდებული შემდგომ, საქართველოს აღმოსავლეთში ძირითადად სწორედ ზემოაღნიშნული მიმდინარეობა ვრცელდებოდა. ამის საპირისპიროდ, დასავლეთ საქართველოში სუნიტური თურქეთის, უფრო ზუსტად, ოსმალეთის იმპერიის მეზობლობისა და კულტურული გავლენის გამოისობით, სუნიზმი იკიდებდა ფეხს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ წიგნიერებაზე, ეტყობა, სპარსეთის მაღალკულტურულობის მეოხებით, კვალი უფრო შიიტურმა ისლამმა დააჩნია.

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართველები სპარსეთში“ წერს:

„სპარსეთში დიდი ძალი ქართველობა ცცხოვრობდა და ამ დიდ რიცხვს იქ დიდი ბინადრობაც ჰქონდათ გამართული. უნდა ითქვას, რომ იქ მცხოვრებ ქართველნი ხშირად მნიგნობრობდნენ და სწერდნენ სხვადასხვა ისტორიულ წერილებსა... ესენი სწერდნენ ლექსებს, სთარგმნიდნენ სპარსულ ზნე-ხასიათის ზღაპრულ მოთხრობებს, სამეცნიერო და სააქიმო წერილებს და ამ წიგნებიდამ ზოგს საქართველოშიაც გზავნიდნენ ხოლმე და ზოგს იქ იტოვებდნენ. ყველა ჩვენი გამოჩენილი მთარგმნელები სპარსეთშიაც ყოფილან, იქ აღზრდილან, ზოგნიც კი იქ დაბადებულან და იქ შეუსწავლიათ მნიგნობრობა. ვახტანგ მეფემ „ქილილა-დამანის“ თარგმნა სპარსეთში დაინყო ერთ იქ მყოფ სომხის დახმარებით, რომელმაც ქართული საკმარისად იცოდა. ხოსრო თურმანიძემაც იქ დაინყო „როსტომიანის“ თარგმნა; დაუდ ხანმაც სპარსეთში სთარგმნა შარეე ზადეს „მუნთანაფი შია“, ანუ კარაბადინი. XVIII საუკუნის გასულს, მთელი სპარსეთი სავსე იყო ქართული ძველი ხელთანაწერი საეკლესიო წიგნებით, ხატებითა და ჯვრებით.“

აქვე ზაქარია ჭიჭინაძე საგულისხმო ცნობას გვანვდის იმის თაობაზე, რომ 1879 წელს თეირანიდან მოსულან „სპარსთა მენიგნენი“ და თან ბევრი სპარსული წიგნი მოუტანიათ, რომელთა შორისაც რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერიც ერია. ყველა ეს ხელნაწერი სპარსეთში ყოფილა გადაწერილი. „სამთელ გავლებულს ქალაღზე, სრულიად სპარსთა წესითო“, აღნიშნავს ზაქარია ჭიჭინაძე.

ვითარება კარდინალურად იცვლება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

ბუნებრივია, ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებამ საქართველოში მუსლიმური სახელმწიფოების — ირანისა და თურქეთის — პირდაპირი ზეგავლენა შეასუსტა და ირანის ფაქტორი ნელ-ნელა ნაკლებაქტუალური გახადა, მაგრამ წინა პლანზე წამოვიდა ოსმალეთის იმპერიის კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი, საქართველოზე ახლად შემოერთებული აჭარის, ე.წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ თემა.

იმხანად ისლამთან საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ პირობითი იყო და ამ ურთიერთობებში გადაწყვეტ როლს ასრულებდა არა ქართველი ხალხის ნება, ან თუნდაც, ქართველ ხელისუფალთა გადაწყვეტილებანი, არამედ რუსეთის იმპერიული პოლიტიკა.

1870-იანი წლებისათვის მეფის მთავრობამ მიიღო „დებულება ამიერკავკასიის მუსლიმანური სასულიერო წოდების მართვის შესახებ“. ამ დებულების მთავარ მიზანს მთავრობის წინაშე მუსლიმური სასულიერო წოდების უფლებებისა და მოვალეობების ზუსტად განსაზღვრა წარმოადგენდა. ცარიზმისათვის აუცილებელი იყო მაჰმადიანური სასულიერო წოდება ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ მას რაც შეეძლება მეტად ემოქმედა მთავრობის სულისკვეთებით, მთავრობას კი საშუალება ჰქონოდა, მისთვის თვალყური ედევნებინა, შეემონებინა და წარემართა მისი საქმიანობა.

უკვე 1819 წლიდან მეფის მთავრობა შეეცადა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში შეეზღუდა „მოხეტიალე მოლათა“ საქმიანობა და მკაცრად განესაზღვრა, რომელ სოფელში რამდენი მოლა და ყადი ყოფილიყო. დებულებაში ნათქვამია: „სამაგიეროდ, მთავრობის მიერ დანიშნული მოლები და მათი ოჯახები თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისაგან და ბეგარისაგან“.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მეფის რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, თბილისში დაარსდა სუნიტი და შიიტი სასულიერო პირების (მოლების) მოსამზადებელი სასწავლებელი, რომლის მიზანსაც, რელიგიურ განათლებაზე მეტად, მეფის მთავრობის ერთგული შეგირდების აღზრდა წარმოადგენდა.

სხვათა შორის, მუსლიმ სასულიერო პირებს ამ პერიოდში თანამდებობაზე დანიშვნის წინ იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ. გარდა ამისა, მათ ევალებოდათ დიდ რელიგიურ დღესასწაულებსა და სხვა მნიშვნელოვან დღეებში საგანგებო ღოცვები მიეძღვნათ მეფისა და მისი ოჯახის წევრთა კეთილდღეობისათვის. თუ ადრე თურქეთის სულთანს ანდა სპარსეთის შაჰს ითვლებოდა ალაჰისა და მუჰამადის მოადგილედ, ახლა ასეთად ქრისტიანი იმპერატორი მიიჩნეოდა. მეფის მთავრობის დავალებით შიიტების მოლა მირ ფათეჰმა საგანგებოდ მიმართა თანამორწმუნეებს, ერთგულნი ყოფილიყვნენ მეფის მთავრობისა. მიმართვაში ნათქვამია, რომ ადამიანი, რომელიც ასეთი უფლებებითაა აღჭურვილი, ხელმწიფეა, ამიტომ ისაა წინასწარმეტყველისა და იმამის მოადგილე. ყველას, ვინც ეზიარება ამ უფლებამოსილებას, ჩვენ — სუსტი მონები — უნდა დავემორჩილოთ და მის გზას გავყევით.

ასეთი დამოკიდებულების სანაცვლოდ, მეფის მთავრობა ხოჯებს, მოლებსა და შეიხებს ხელფასს უხდოდა. ისინი გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ რუსეთის სასარგებლოდ ქადაგებისათვის აჭარელ ხოჯას ლიმონ ეფენდი ქარცივაძეს თვეში ასი მანეთი დაუნიშნეს. რუსეთი ერთგულების საუკეთესო მაგალითად კი ბათუმის მუფთის ჰასან ეფენდი გვერდაძის ქადაგებები და საქმიანობა გამოდგება. როდესაც მას ფანატიკოსმა და ანტირუსულად განწყობილმა ხოჯებმა ბრალდებად წაუყენეს ის, რომ ქრისტიან რუს გუბერნატორს ფეხზე დგომით ხვდებოდა და ხელს ართმევდა, მან უპასუხა: „ჩვენ რუსეთის ერთგულებაზე ფიცი მიგვიცია. საქმით და მსახურებით ერთგულნი ვართ და ახლა ხელის არმიცემით რომ ეჭვი შევადებინოთ და უბრალოდ საქმე გავიფუჭოთ, ნუთუ ეს კაი იქნება? გუბერნატორი ჩვენი უფროსია“.

საინტერესოა, რომ 1907 წელს თბილისში შეიქმნა მუსლიმური პარტია „მოდაფეე“ („თავდაცვა“), რომელიც მიზნად ისახავდა თბილისის გუბერნიის მუსლიმთა შორის რელიგიური აღზრდა-განათლების წარმართვას.

ამავე პერიოდში, ქართველმა ეროვნულმა მოღვაწეებმაც თავის მხრივ სერიოზული საქმი-

ანობა წამოიწყო „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართულ გარემოში ადაპტირებისათვის.

1920 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია:

„ნურგინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა. ჩვენ მაჰმადიან ძმებს რჯული აერთებთ სხვა მაჰმადიანებთან, მაგრამ ერთი, სისხლით, იერთი ქრისტიან ქართველებთან არიან... ქრისტიანი ქართველები არ ვიცნობთ მაჰმადის სარწმუნოებას და ბევრს ჰგონია, რომ იგი საერთოდ განათლებისა და დანიანურების წინააღმდეგია. ეს მართალი არაა. არაბები და სპარსელები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ერთ დროს თავისი განათლებით ევროპის ყველა ერზე მალა იდგნენ. თვითონ მოციქული მაჰმადი ქრისტიანების სახარებას დიდად აფასებდა და ამბობდა — სახარება ღვთისგან მოვლენილი წიგნიაო. მაჰმადის ყურანში ბევრია ქადაგება სიყვარულისა და კეთილი საქმეების და ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას, პატივს უნდა ვცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო ძმისას.

უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა ვვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ, ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს. არავინ უნდა დავივიწყოთ ეს ამისთვის უნდა ვმუშაობდეთ ყველა“ („მაჰმადიანი ქართველები“ ტფ. 1920 გვ. 15-16).

სხვათა შორის, ქართული ინტელიგენციის მიერ სამუსლიმანო საქართველოს მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამოხატულება იყო ქართულად მუსლიმთა საღვთო წიგნის ყურანის თარგმნა და გამოცემა.

ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „ქართველი ერი ძველთაგანვე იყო გულჩათხრობილი მასზედ, რომ ქართველ ერის შვილი მრავლად იქნენ ისლამზედ დაკავშირებულნი და მასთან მათ დაკარგეს ქართული ენაც და ყველა ეს კიდევ ჩვენს გულს ნალველით ავსებდა. ამიტომ ჩვენ დავინწყეთ ზრუნვა ქართველ მაჰმადიანთა შესახებ, რომ მათში გაგვევრცელებინა ქართული წიგნები და იგინი მოგვეყვანა იმ აზრზედ, რომ ისინი იყვნენ ტომით ქართველნი და მათ აქვნდათ მხოლოდ სჯული ისლამისა. ამავე გარემოებამ აღძრა ჩვენში იმის პატივისცემაც, რომ ქართველ მაჰმადიანები არიან სჯულით მუსულმანები და მათ ამავე დროს არ აქვნდათ სჯულის წიგნი ნათარგმნი და ქართულს ენაზედ გაცნობილი.

ეს გარემოება ბევრს ქართველს აფიქრებდა და ყველა ამბობდა, რომ ყურანი ითარგმნოს ქართულს ენაზედო და დაიბეჭდოს, რათა მით ქართველ მაჰმადიანებს თვისი სჯულის წიგნი მათ ექნებათ წასაკითხათ თვით თავიანთ დედა ენაზედო. ეს განზრახვა და ნატვრა ჩვენ ქართველ მაჰმადიანებსაც შევატყობინეთ, იგინი ამაზედ დიდი მადლობელნი იყვნენ და თავისი სიხარული გამოთქვეს ამაზედ.

ქართველ მაჰმადიანთ ამ ნატვრას დიდის ხალისით შეხვდა ქართველი მწერალი მოღვაწე პეტრე მირიანაშვილი. ეს მოღვაწე ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებასაც კარგათ იცნობდა და სწორეთ ამისი ნიშანი გახლავთ ის გარემოება, რომ ამ პირმა დიდი აღტაცებითა და პატივისცემით იკისრა ყურანის თარგმნა. ეს მშრომელი პატივისცემა მით უფრო, რადგან ყურანის თარგმნა მას წინათვე ჰქონია დაწყებული, მას ამისი საჭიროება ქართველ მაჰმადიანთათვის ადრევე სცოდნია და ამიტომაც მოუკიდნია ხელი და ადრევე დაუწყია ამისი თარგმანი.

ამ თარგმანს გამომცემლებიც გამოუჩნდნენ. მისი გამოცემა იკისრა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ და ყველასაგან პატივცემულმა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა.

ყურანის გამოცემა დამთავრდა და ცალკე წიგნად გამოიცა 1906 წელს. ყურანი დაიბეჭდა სულ 2400 ცალი, ამის გამოცემაზედ კარგა ბლომად ფული დაიხარჯა“.

საინტერესოა, რომ სამუსლიმანო საქართველო, ვისთვისაც გათვალისწინებული გახლდათ ყურანის ქართული თარგმანი, წიგნის გამოჩენას არაერთგვაროვნად შეხვედრია. ზაქარია ჭიჭინაძე, რომელსაც წიგნის 600 ეგზემპლარი მისცეს და აჭარაში მისი გავრცელება დაავალეს, დაწვრილებით იხსენებს თავისი მოგზაურობის პერიპეტივებსა და დამხვედურთა რეაქციას.

მისი გადმოცემით, ერთ ქართველ მაჰმადიანს უთქვამს:

„მართალია, ეს ყურანი დაუბეჭდიათ და იგი ჩვენი სჯულის წიგნია, მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ ესენი ჩვენს სასიკეთოს არაფერს არ დაბეჭდავენ.“

მეორეს უთქვამს: „ბატონებო, ეს ყველაფერი თვალითა სჩანს და ამიტომ ჩვენ მათი ძრახვა არ შეგვეფერის, რადგან მათ კეთილი უქმნიათ და ჩვენთვის ჩვენი სჯულის წიგნი თავიანთი ფულითაც დაუბეჭდიათ.“

გულო ალა კაიკაცაშვილმა კი სთქვა: „ასეთი საქმე ჩვენთვის უნდა გაეკეთებინათ ოსმალოებს და ჩვენს სჯულის თავკაცებს, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, თუმცა მათ ხელში ვიყავით სამასი წელიწადი და ჩვენმა მოძმე ქრისტიანებმა კი ეხლავე, სულ ოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენ შევეურთდით მათ და ეხლავე მოგვიწყეს, გვითარგმნეს და დაგვიბეჭდეს ჩვენი სჯულის წიგნი ყურანიო“.

ჭიჭინაძის შენიშვნით, სამი წლის განმავლობაში მთელს სამუსლიმანო საქართველოში, სადაც კი ქართველი მაჰმადიანები ქართულად ლაპარაკობენ, დარიგებულ იქნა 700 ცალზე მეტი ყურანი უფასოდ, მუქთად.

საბჭოთა პერიოდში ქართული არაბისტიკის სკოლის ფუძემდებლის გიორგი წერეთლის ძალისხმევით, დარგის სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შემდგომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშიც ისლამმცოდნეობის პრობლემებიც აქტიურად შეისწავლებოდა. XX საუკუნის ბოლოს დაიწყო ფიქრი ყურანის ახალ, უშუალოდ არაბული ორიგინალიდან შესრულებულ თარგმანზე და რამდენიმე სურა (მექური პერიოდის ე. წ. „პოეტიური სურები“) კიდევ თარგმნა და დაბეჭდა პროფესორმა აპოლონ სილაგაძემ. აღსანიშნავია, რომ სწორედ მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვან სტატიათა სერია ყურანის პოეტიკის საკითხებზე, კვლევის შედეგები კი, ბუნებრივია, ავტორის მიერ შესრულებულ რამდენიმე სურის თარგმანზეც წარმატებით აისახა.

ამას გარდა, ისლამმცოდნეობის საკითხებზე ნაყოფიერად მუშაობენ სხვა ქართველი მეცნიერებიც, რომელთაგან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პროფესორ გოჩა ჯაფარიძის ღვაწლი. მისი რედაქციით გამოიცა „ისლამი /ენციკლოპედიური ცნობარი/“, სადაც ამ ავტორის ნამუშევართა გარდა კიდევ სამი ქართველი მეცნიერის — პროფ. კარლო კუციას, პროფ. გიორგი სანიკიძისა და მეგი მეტრეველის — ნაშრომთა შედეგებია თავმოყრილი. ამასთან, ბოლო პერიოდის ქართული ისლამმცოდნეობის შენაძენად პროფ. ნანი გელოვანის კაპიტალური შრომა „ქალი ისლამში VII—X სს.“ გვესახება.

ასეთი მაღალმეცნიერული ფონის მიუხედავად, სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ყურანის სრული ქართული თარგმანი უშუალოდ არაბული ორიგინალიდან წინამდებარე გამოცემამდე არ შესრულებულა.

\*\*\*

რაც შეეხება ამ თარგმანს, რომელზეც 1993 წლიდან ვმუშაობდით, მისი დასრულება და გამოცემა მხოლოდ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიური სახლისა“ და მისი ხელმძღვანელის მწერალ ნაირა გელაშვილის თავდადებული დახმარებით მოგვიხერხდა.

თავის დროზე ჩემი მასწავლებლის თინათინ მარგველაშვილის მითითებითა და თხოვნით დაწყებული ყურანის თარგმანი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვითარებაში გრძელდებოდა. თავიდან, დედნის არაჩვეულებრივი სტილისტური და მხატვრული ღირსებების ზეგავ-

ლენით, ნიგნის პოეტურ თარგმანს მრგვიდ ხელი, თუმცა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურაში სწავლისას ყურანის სიტყვა-სიტყვით თარგმნა გადავწყვიტე, რადგანაც იმ ვითარებაში, როცა მუსლიმთა საღვთო წიგნის აკადემიური თარგმანი არ გაგვანდა, ტექსტის მხატვრული ვერსია „ზედმეტ ფუფუნებად“ მომეჩვენა.

ფილოლოგები დღემდე კამათობენ იმის შესახებ, როგორ უნდა ითარგმნოს წმინდა წერილი. ამ საკითხზე გამოთქმული რამდენიმე მოსაზრებიდან ჩვენ უფრო ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოღებას ვემხრობით, როცა მშობლიური ენაზე ზუსტად ინარჩუნებთ ორიგინალის აზრს და ამასთან ცდილობთ ხელიდან არ დაგისხლტეს უცხო ენის არცერთი მნიშვნელოვანი სტილური თუ გრამატიკული ნიუანსი. ასეთი მიდგომა საფუძველშივე გამორიცხავს, ერთი მხრივ, ბუკვალურობასა და, მეორე მხრივ, სათარგმნ მასალასთან ლალ, გადამეტებულად შემოქმედებით დამოკიდებულებას. შედეგად კი მოაქვს ის, რომ მკითხველს ყველაზე უფრო ადეკვატური წარმოდგენა ექმნება დედნის აზრობრივ პერიპეტეებზე.

ყურანის თარგმანისას შევეცადეთ განუზრელად მივყოლოდით ზემოაღნიშნულ პრინციპს და საამისოდ, პირველ ეტაპზე, ტექსტი სიტყვის სემანტიკის დონეზე დავამუშავეთ. ამ მიზნით ყურანისა და სხვა არაბული ლექსიკონები გამოვიყენეთ, რომელთაც შესაბამის ადგილას მივუთითებთ. პრაქტიკულად ასე შევექმენით ყურანის „სამუშაო ლექსიკონი“, რომლის მეშვეობითაც დავაზუსტეთ ყველა სიტყვის შესაძლებელი მნიშვნელობა ზოგადად თუ მოცემულ კონტექსტში.

ტექსტზე მუშაობის შემდეგი ეტაპი კი უკვე ფრაზის დონეზე დედნის გააზრებას ითვალისწინებდა. შესავალში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ფრაზის დონეზე ტექსტის გააზრების იმ აპრობირებულ მეთოდთა შესახებ, რასაც ეგზეგეტიკის როგორც შიდა, ისე გარე ტრადიცია ყურანთან დაკავშირებით გამოიყენებდა. შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებია თითოეული ამ მეთოდისა და მიმართულების მიღწევანი და საამისოდ თანამიმდევრულად გავეცანით როგორც მუსლიმი, ასევე ევროპელი ავტორების სათანადო შრომებს, რომელთა ძირითადი დაკვირვებანი, ის, რაც, ჩვენი აზრით, მკითხველს ტექსტის გაგებისათვის დასჭირდებოდა და ყურანის აღქმას გაუადვილებდა, გამოცემისათვის დართულ ვრცელ კომენტარებში აისახა. კომენტარში ასევე მოვუყარეთ თავი ყურანის ამა თუ იმ ფრაზასთან დაკავშირებით გამოთქმულ განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს და ვცადეთ უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა მუსლიმური ეგზეგეტიკის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, ვინც კი საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრა ამ ეგზეგეტიკის ძირითადი ხაზი და მიმართულებანი. გარდა ამისა, კომენტარშივე აისახა ის განსხვავებანი ან პოზიციები, რაც ყურანის ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, სპარსული) შესრულებულ სხვადასხვა ტიპის თარგმანებში გამოვლინდა. არსებითად, კომენტარისვე ნაწილია ჩვენი თარგმანის შიგნით, ფრჩხილში მოცემული დაზუსტებანი, რასაც ქართული წინადადების სტრუქტურა, ანდა აზრობრივი კონტექსტი მოითხოვდა. ყველა ეს დაზუსტება მომდინარეობს იმ სემანტიკურ დეკოდირებათაგან, რასაც დიდი მუსლიმი ღვთისმეტყველები ყურანის ამა თუ იმ პასაჟთან (გრამატიკულ-სინტაქსურ თუ მორფოლოგიურ დონეებთან) დაკავშირებით გვთავაზობენ.

ქართული თარგმანის აიათა ნუმერაცია, ყურანის ევროპული თარგმანის ტრადიციის შესაბამისად, მისდევს, ერთი მხრივ, ე. წ. „უმაწიესული ნუსხის“, ხოლო, მეორე მხრივ (ფრჩხილში), გეორგ ფლუგელის ცნობილი კრიტიკული გამოცემისა და კონკორდანსის ნუმერაციას.

აქვე დაინტერესებული მკითხველისათვის შევნიშნავთ, რომ ყურანის დედნის ტექსტი უნიფიცირებულია, ამიტომაც თორმეტწლიანი მუშაობისას თარგმანზე სხვადასხვა გამოცემას გამოვიყენებდით. ბოლო ხუთი წელი კი კაიროში, 1989 წელს ეგვიპტის ვუკუფებისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროს ეგიდით გამოცემული ყურანით ვსარგებლობდით.

რადგანაც ყურანის თარგმანის საღვთისმსახურებო მიზნებით მოხმარება ნებადაურთველია, ამიტომაც ჩვენს გამოცემაში არ აისახება ყურანის 30 თანაბარ ნაწილად ე. წ. „ჯუზ‘ად“ დაყოფის მუსლიმური ტრადიცია.



მიუხედავად იმისა, რომ ქართულში დამკვიდრებულია სემიტურ სახელთა ბიბლიური-დან მომდინარე ტრადიცია, ჩვენ მაინც ყურანის ტექსტში ეს სახელები არაბული წაკითხვის შესაბამისად გადმოვიღეთ. მხოლოდ ერთადერთი — არაბული ფირ 'ავნუ — გადმოვიტანეთ „ფარაონად“, რადგან ბევრი ევროპელი მთარგმნელისაგან განსხვავებით, ეს სიტყვა არა საკუთარ სახელად, არამედ ეგვიპტის მბრძანებელთა ტიტულად მიგვაჩნია. თარგმანის ტექსტში საკუთარი სახელების გადმოღებისას არ გამოგვიყენებია ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის, ანდა ემფატიკურ თანხმოვანთა აღმნიშვნელი დიაკრიტიკული ნიშნები, რადგან მივიჩნიეთ, რომ ეს არასპეციალისტ მკითხველს გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნიდა. გამოწვევისა მხოლოდ ყრუ ხშული გლოტალი „ჰამზა“ და ასევე გლოტალური „აინი“, რომელთაგან პირველი ' ნიშნით, ხოლო მეორე — ' ნიშნით გადმოგვაქვს.

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ სიზუსტისაკენ დიდი სწრაფვის მიუხედავად, ყველა თარგმანი ალბათ მაინც გარკვეული ინტერპრეტაციაა, და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ყურანისა და ამავე მნიშვნელობის წიგნთა მაგალითზე. იმავე ყურანის ევროპულ თარგმანებს რომ გადავხედოთ, შევამჩნევთ, რომ ყველა მთარგმნელი ტექსტის ამა თუ იმ თავისებურებებს გამოჰკვეთს და ცალკე აღებული ვერცერთი თარგმანი სრულად ვერ ასახავს დედნის ყველა ნიუანსს, რომელთა ჩასანვდომადაც ყურანის მკითხველს არაბული ენისა და შესაბამისი კულტურული ტრადიციის ღრმა ცოდნა და ქრონოლოგიური გააზრება ესაჭიროება. ამიტომაც რაც მეტი იქნება ასეთ წიგნთა თარგმანები, მით უფრო მიუახლოვდება უცხოენოვანი (არაარაბი) მკითხველის წარმოდგენა ყურანის დედანში ასახულ ობიექტურ ენობრივ, მხატვრულ, სტილისტურ, სარწმუნოებრივ და თეოლოგიურ რეალობას. აქედან გამომდინარე, არსებობის უფლება ალბათ ჩვენს თარგმანსაც აქვს, თუნდაც იმ მხრივ, რომ მან ისლამისა და მუსლიმური სამყაროს მიმართ გულწრფელი სიყვარულიდან წამოსული მრავალწლიანი შრომის შედეგები შეაჯამა.

მიუხედავად ამისა, უნებლიე შეცდომათაგან დაზღვეული არავინაა და მთარგმნელი მადლიერებით მიიღებს ყველა ობიექტურ შენიშვნას, რაც კი საქმის ინტერესებით იქნება მოტივირებული. ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, რომ ყურანის ჩვენეული თარგმანი ყოველი შემდგომი გამოცემისას კიდევ უფრო დაიხვეწება, ამიტომაც წინამდებარე ტექსტის გადაბეჭდვა, ნებისმიერი სამაუნყებლო (ბეჭდური და არაბეჭდური) სახით გავრცელება და გამოყენება მთარგმნელთან შეუთანხმებლად აკრძალულია და თარგმანი დაცულია საავტორო უფლებათა შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობით.

დასასრულ, მინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენო ყველა იმ ადამიანს, ვინც ყურანის თარგმანზე მუშაობისას რჩევა, შენიშვნა თუ თანადგომა არ დაიშურა. უპირველესად კი ევროპულ ფონდ „ჰორიზონტსა“ და მის მესვეურებს, საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლს“ და ქალბატონ ნაირა გელაშვილს, წინამდებარე თარგმანის რედაქტორს, პროფესორ როსტომ ჩხეიძეს, ასევე ჩემს მუსლიმ მეგობრებს, რომელთა უშუალო რჩევებმა და შენიშვნებმა ტექსტზე მუშაობისას ფასდაუდებელი სამსახური გაგვინია.

გიორგი ლობჯანიძე





სურა I

გამახსნელი (წიგნისა)<sup>2</sup>

მეჭური,<sup>3</sup> შვიდი აია<sup>4</sup>

- (1). სახელითა ალაჰისა,<sup>5</sup> მონყალოსა, მწყალობლისა.<sup>6</sup>
- 1 (2). ქება ალაჰს, უფალს სამყაროთა,<sup>7</sup>
- 2 (3). მონყალოსა, მწყალობელსა.
- 3 (4). სამსჯავროს დღის მზრძანებელსა.<sup>8</sup>
- 4 (5). მხოლოდ შენა გმონებთ და მხოლოდ შენ გთხოვთ შენევენას.<sup>9</sup>
- 5 (6). გვინინამძღვრე ჰირდაჰირი გზით;<sup>10</sup>
- 6 (7). იმათი გზით, რომელთაჲ მიეყრი მონყალოება;<sup>11</sup>
7. არა – შერისხულოთა და არა – გზააზნეულოთა.<sup>12</sup>

სურა II

ძროხა<sup>1</sup>

მედინური,<sup>2</sup> ორას ოთხმოცდაექვსი აია  
სახელითა ალაჰისა, მონყალისა,  
მწყალობლისა

1 (1). ალიფ, ლამ, მიმ,<sup>3</sup> (2.) ეს ნიგნი<sup>4</sup> —  
ექვსი არ არის მასში — ჭეშმარიტი გზაა<sup>5</sup>  
ღვთისმოშიშთათვის;<sup>6</sup>

2 (3). მათთვის, რომელთაც ირწმუნეს  
დაფარული,<sup>7</sup> დგრებიან ლოცვად<sup>8</sup> და ხარ-  
ჯავენ იმას, რასაც ჩვენ<sup>9</sup> სარჩოდ ვუ-  
წყალობებთ.

3 (4). რომელთაც ირწმუნეს, რაც ზე-  
გარდმოვლენილ იქნა შენზე;<sup>10</sup> რაც გარდ-  
მოვლენილა შენზე უნინ<sup>11</sup> და ზესთასოფლი-  
სა<sup>12</sup> სწორედ მათ სჯერათ მტკიცედ.<sup>13</sup>

4 (5). ისინი ჭეშმარიტ გზაზე დგანან  
თავიანთი უფლის მეოხებით და ისინი ნე-  
ტარნი<sup>14</sup> არიან.

5 (6). ხოლო ურწმუნოთათვის<sup>15</sup> სულერ-  
თია — გააფრთხილებ თუ არ გააფრთხილებ;  
არ ირწმუნებენ;

6 (7). დახშო ალაჰმა მათი გულები და  
მათი სმენა;<sup>16</sup> თვალებზე საბურველი გა-  
დაჰკვერიათ და სწორედ მათ — სასჯელი  
ღიაღი.

7 (8). ამ ხალხში არიან ისინი,<sup>17</sup> რომლე-  
ბიც იტყვიან — ვირწმუნეთ ალაჰი და დღე  
უკანასკნელიო;<sup>18</sup> მაშინ, როდესაც არ არიან  
მორწმუნეები.

8 (9). ცდილობენ მოატყუონ ალაჰი და  
ისინი, რომელთაც ირწმუნეს, მაგრამ თავი-  
ანთი თავის მეტს ვერავის ატყუებენ; თანაც,  
ვერ გრძნობენ.

9 (10). მათ გულებში სნეულებაა.<sup>19</sup> ალაჰი  
გაუძლიერებს მათ სნეულებას და სწორედ  
მათ — სასჯელი მტანჯველი, რადგანაც  
ცრუობდნენ.

10 (11). როცა ეუბნებიან მათ — უკე-  
თურებას ნუ ამრავლებთ ქვეყანაზეო,<sup>20</sup> ამ-  
ბობენ — პირიქით, ჩვენ სიკეთეს ვიქმნო.

11 (12). მაგრამ განა სწორედ ისინი არ  
არიან უკეთურნი?! — თუმცა ვერ გრძნო-  
ბენ.

12 (13). როცა ეუბნებიან მათ — ირწ-  
მუნეთ ისე, როგორც ხალხმა ირწმუნაო;  
ამბობენ: — განა ვირწმუნოთ, როგორც ირ-

წმუნეს მიამიტებმაო! მაგრამ განა სწორედ  
ისინი არ არიან მიამიტნი?! — თუმცა არ  
იციან.

13 (14). და როდესაც შეხვდებიან იმათ,  
ვინც ირწმუნა, ეუბნებიან — ჩვენც ვირწ-  
მუნეთო! ხოლო როცა განუმარტოვდებიან  
თავიანთ შაითანებს,<sup>21</sup> ეტყვიან — ჩვენ  
თქვენთანა ვართ, ხოლო იმათ მასხრად  
ვიგდებთო.

14 (15). ალაჰი აიგდებს მასხრად მათ და  
დიდხანს დატოვებს თავიანთ სიკერპეში<sup>22</sup>  
სახეტილოდ.

15 (16). ესენი არიან, ვინც გზააბნევა<sup>23</sup>  
ჭეშმარიტი გზის<sup>24</sup> საფასურად იყიდა. სარ-  
ფიანი არ ყოფილა მათი ვაჭრობა და ისინი  
არ ყოფილან სწორი გზით მავალნი.

16 (17). მათი ამბავი ჰგავს იმის ამბავს,  
ვინც დაანთო ცეცხლი, და როცა კოცონმა  
გაანათა იმის გარშემო, ალაჰმა წაართვა მათ  
სინათლე და დატოვა ისეთ უკუნში, სადაც  
ვერაფერს ხედავენ.

17 (18). ყრუნი, მუნჯნი და ბრმანი —  
ისინი არ იქნებიან დაბრუნებულნი.<sup>25</sup>

18 (19). ან როგორც საწვიმარი ღრუ-  
ბელი ზეცისა; მასშია წყვდიადი, ელვა და  
ჭექა. თითებს იცობენ ყურებში — სულთ-  
მობრძაობის ბორგვათა შიშით და ალაჰი  
ურწმუნოებს გარემოიციავს.

19 (20). ლამისაა, დააბრმავოს ისინი  
ელვამ. როცა კი განათდება, მიდიან; ხოლო,  
როცა ჩამოუბნელდებათ, შედგებიან. და  
თუ ინებებს ალაჰი, წაართმევს მათ სმენას  
და სახედველს, რადგანაც ალაჰი ყოვლის-  
შემძლეა. (21) ო, ხალხო, ემონეთ თქვენს  
უფალს, რომელმაც შეგქმნათ თქვენ და  
ისინი, ვინც იყვნენ თქვენზე უნინ; რათა  
ეგების, ღვთისა გეშინოდეთ.

20 (22). რომელმაც ნოხად გიქციათ მინა,  
ზეცა კი — სახურავად; გარდმოადინა ცი-  
დან წყალი და აღმოაცენა მისით ნაყოფები  
თქვენს საზრდოდ. ნუ შეუქმნით ალაჰს  
თანასწოროთ,<sup>26</sup> მაშინ, როცა თქვენ უკვე  
იცით.

21 (23). ხოლო თუ დაგაეჭვებთ ის,<sup>27</sup> რაც  
გარდმოუფლენით ჩვენს მონას<sup>28</sup> მაშინ,  
ერთი სურა მაინც მოიტანეთ ამის<sup>29</sup> მსგავსი  
და უხმეთ თქვენს მოწმეებს<sup>30</sup> — თვინიერ  
ალაჰისა — თუკი მართალნი<sup>31</sup> ხართ.

22 (24). და თუ ეს არ გაგიკეთებიათ და

ვერც გააკეთებთ, მამ გეშინოდეთ ცეცხლისა, რომლის სახმილია ადამიანები და ქვეები, და რომელიც გამზადებულია ურწმუნოთათვის.

23 (25). ხოლო ახარე მათ,<sup>32</sup> რომელთაც ირწმუნეს და კეთილ საქმეთ აღასრულებდნენ — მათია წალკოტები, რომელთა წიაღაც მიედინებიან მდინარენი. და როცა კი ამ წალკოტთა რომელიმე ნაყოფს ჭაშნიკს გაუსინჯავენ, იტყვიან — ეს ის არის, რაც უწინაც გაგვისინჯავსო, და მას რაიმეს შეადარებენ.<sup>33</sup> ეყოლებათ მათ იქ (მუდმივად) განწმენდილი<sup>34</sup> წყვილები და იქნებიან იქ მარადიულნი.

24 (26). ჭეშმარიტად, არ ერიდება ალაჰს, რომ იგავად მოიტანოს რაღაც კოლო ანდა მასზე უფრო კნინი,<sup>35</sup> რადგან იმათ, რომელთაც ირწმუნეს, იციან, რომ ეს ჭეშმარიტებაა მათი უფლისაგან. ხოლო ისინი, ვისაც არა ურწმუნია, ამბობენ — რა სურდა ალაჰს ამ იგავით, რომლითაც გზას ააცდენს მრავალს და ჭეშმარიტ გზაზე აყენებს მრავალსო. მაგრამ არავის ააცდენს გზიდან მისით, უწმინდურთა<sup>36</sup> გარდა.

25 (27). რომლებიც არღვევენ ალაჰის აღთქმას<sup>37</sup> მისი დადების შემდგომ, და გაყოფენ იმას, რაზედაც ალაჰმა ბრძანა — შეერთდესო, და ქვეყნად უკეთურებას ამრავლებენ, აი, სწორედ ისინი არიან წაგებულინი.<sup>38</sup>

26 (28). როგორ არა გნამთ ალაჰისა; მაშინ, როცა თქვენ იყავით მკვდარნი, მან კი გაგაცოცხლათ?! მერე კვლავ დაგხოცავთ, ხოლო შემდეგ ისევ გაგაცოცხლებთ და შემდგომად იმის წილ იქნებით მიქცეულნი.<sup>39</sup>

27 (29). იგია ის, ვინც შექმნა თქვენთვის ყოველი, რაც ქვეყანაზეა. მერე ცას მიაშურა<sup>40</sup> და ის შვიდ ზეცად გადაანაწილა.<sup>41</sup> ჭეშმარიტად, იგი ყოვლისმცოდნეა.<sup>42</sup>

28 (30). და აი, უთხრა შენმა უფალმა ანგელოსებს:<sup>43</sup> მე დავადგენ ქვეყანაზე ჩემს შემცვლელსო.<sup>44</sup> მიუგეს: — განა ადგენ შენი იქ იმას, ვინც უკეთურებას ამრავლებს მასზე<sup>45</sup> და სისხლს დაღვრის. მაშინ, როცა ჩვენ ქებით გადიდებთ და გასპეტაკებთ?! უთხრა: — მე ვიცი ის, რაც თქვენ არ იცით!

29 (31). და ასწავლა ადამს<sup>46</sup> ყველა სახელი,<sup>47</sup> შემდგომ წარუდგინა ისინი ანგელოსებს და უთხრა: — მაცნობეთ მე ამათი

სახელები, თუკი მართალნი ხართ.

30 (32). მიუგეს: დიდება შენდა! არა გვაქვს ცოდნა იმის გარდა, რაც შენ გვასწავლე, რადგან შენა ხარ ყოვლისმეცნიერი, ბრძენთა ბრძენი.

31 (33). უბრძანა: ადამ, აცნობე მათ მათი სახელები. და როცა ადამმა აცნობა მათ მათი სახელები, უთხრა (ანგელოსებს) — განა არ გითხარით, რომ მე ვიცი საიდუმლო ცათა და ქვეყნისა, ვიცი, რას ამჟღავნებთ და რას მალავთო.

32 (34). და აი, ვუბრძანეთ ანგელოსებს: თაყვანი ეცით ადამს! — და თაყვანი სცეს,<sup>48</sup> იბლისის გარდა.<sup>49</sup> მან უარყო, თავი განიდიდა და შეიქმნა ერთი ურწმუნოთაგანი.

33 (35). ვუთხარით: — ადამ, იცხოვრეთ შენ და შენმა ცოლმა სამოთხეში.<sup>50</sup> ჭამეთ მისგან, სადაც რა ნაყოფი გასურდეთ; ოღონდ ნუ მიუახლოვდებით ამ ხეს<sup>51</sup> და ნუ იქნებით უსამართლონი.<sup>52</sup>

34 (36). და უარი ათქმევინა შაითანმა მათ<sup>53</sup> სამოთხეზე და გამოაძევა იქიდან, სადაც იყვნენ. ვუთხარით: დაეციოთ!<sup>54</sup> მტერნი იყავით ერთურთისა.<sup>55</sup> გქონდეთ სამკვიდრო ქვეყანაზე და ცხოვრების სახსარი<sup>56</sup> — განსაზღვრულ ვადამდე.

35 (37). და მიიღო ადამმა სიტყვები<sup>57</sup> თავისი უფლისაგან. ხოლო მან მიუტევა მას, რამეთუ იგია მიმტევებელი, მწყალობელი.

36 (38). ვუთხარით: დაეციოთ აქედან ერთად; მაგრამ მოგივათ ჩემგან გზა ჭეშმარიტი და ვინც შეუდგება ჩემს გზას ჭეშმარიტს, არ ექნება შიში, არ ინალვლებს.

37 (39). ხოლო ისინი, ვინც ურწმუნონი იყვნენ და ცრუდ რაცხავდნენ ჩვენსა აიებს — სწორედ ისინი არიან ცეცხლის ბინადარნი და იქნებიან იქ მარადიულნი.

38 (40). ო, ისრაელის ძენო,<sup>58</sup> გაიხსენეთ ჩემი წყალობა, რომელიც გინყალობეთ, და უერთგულეთ ჩემს აღთქმას,<sup>59</sup> რათა მე თქვენს აღთქმას ვუერთგულო და მხოლოდ ჩემ წინაშე ძრწოდეთ! (41) გნამდეთ ის, რაც ზეგარდმოვავლინე<sup>60</sup> დასტურად იმისა, რაც თქვენთან იყო;<sup>61</sup> ნუ იქნებით მის<sup>62</sup> მიმართ პირველი ურწმუნონი. ნუ გაჰყიდით ჩემს აიებს მცირე საფასურად და მარტოდენ ჩემი გეშინოდეთ.

39 (42). ნუ წარმოაჩენთ ჭეშმარიტებას<sup>63</sup> ამოებად<sup>64</sup> და ნუ დამალავთ ჭეშმარიტე-

ბას,<sup>65</sup> როდესაც იცით.

40 (43). დაადგრიტ ლოცვად, გაიღეთ ზაქათი<sup>66</sup> და მუხლი მოიყარეთ მუხლმომყრელთა<sup>67</sup> თანა.

41 (44). განა უბრძანებთ ხალხს სიქველეს,<sup>68</sup> თქვენივე თავი კი გავიწყდებათ; მაშინ, როდესაც წიგნსაც<sup>69</sup> კითხულობთ! განა ვერ კეთილგანსჯით?!

42 (45). მოიშველიეთ მოთმინება<sup>70</sup> და ლოცვა. იგი უდიდესი(ტვირთი)ა, ოღონდ არამც და არამც (ღვთის წინაშე) კრძალულთათვის.<sup>71</sup>

43 (46). რომელთაც სჯერათ, რომ შეხვდებიან თავიანთ უფალს და საბოლოოდ მის წიაღად მიიქცევიან.

44 (47). ო, ისრაელის ძენო, გაიხსენეთ ჩემი წყალობა, რომელიც გინყალობეთ, და ის, რომ გამოგარჩიეთ თქვენ სამყაროთა შორის.

45 (48). და გეშინოდეთ იმ დღისა,<sup>72</sup> როცა სული მეორე სულს ვერაფრით შეენევა. არ მიიღება მისგან შუამდგომლობა, არ იქნება შეწყნარებული მისი სამართალი და არ იქნებიან ისინი შეწვევულნი.

46 (49). და აი, გიხსენით თქვენ ფარაონის<sup>73</sup> სახლეულისგან, რომლებიც გტანჯავდნენ უსაძაგლესი სატანჯველით: მსხვერპლად სწირავდნენ თქვენს ძეებს, ცოცხლად ტოვებდნენ თქვენს ქალებს და ამაში იყო გამოცდა თქვენი უფლისა უდიდესი.<sup>74</sup>

47 (50). აჰა, განვყავით თქვენს შორის ზღვა და გიხსენით თქვენ. ფარაონის სახლეული კი დავახრჩვეთ და თქვენ ამას უყურებდით.

48 (51). აი, დავუდეთ მუსას<sup>75</sup> აღთქმა ორმოცი ღამის<sup>76</sup> განმავლობაში. ხოლო თქვენ აირჩიეთ კერპი<sup>77</sup> მის შემდგომ და იყავით უსამართლონი.

49 (52) მერმე მოგიტევეთ ამის შემდეგ, რომ ეგების მაღლიერნი ყოფილიყავით.

50 (53). და აი, ვუბოძეთ მუსას წიგნი და განსხვავება,<sup>78</sup> რათა ეგებ ჭეშმარიტ გზაზე დამდგარიყავით.

51 (54) აჰა, უთხრა მუსამ თავის ხალხს: ო, ხალხო ჩემო, თქვენ თქვენივე თავს უსამართლოდ მოექეცით კერპისადმი თავყვანისცემით. მოინანიეთ თქვენი დამბადებლის წინაშე და დაიხოცეთ თავები;<sup>79</sup> ეს უმჯობესი იქნება თქვენთვის თქვენი

დამბადებლის<sup>80</sup> წინაშე; და მიუტევა მათ, რამეთუ იგია მიმტევებელი,<sup>81</sup> მწყალობელი.

52 (55). თქვენ კი უთხარიტ: ო, მუსავ, ვერ დაგიჯერებთ შენ, ვიდრე უფალს ცხადად არ დავინახავთ! — მაგრამ შეგიპყროთ ელჭექმა, როცა უყურებდით.

53 (56). მერმე აღგადგინეთ, შემდგომად სიკვდილისა, რომ ეგების მაღლიერნი ყოფილიყავით.

54 (57). მოგიჩრდილეთ ღრუბელი,<sup>82</sup> გარდმოგივლინეთ ციდან მანანა და მწყრები. ჭამეთ ის სიკეთენი,<sup>83</sup> რაც სარჩოდ გინყალობეთ!.. და ჩვენ კი არ მოგვეპყრნენ უსამართლოდ, საკუთარ თავს მოეპყრნენ!

55 (58). აჰა, გითხარიტ: — შედით ამ სოფელში<sup>84</sup> და ჭამეთ მისგან, სადაც რა ნაყოფი გასურდეთ. შედით კარიბჭეში თავყვანისცემით, თქვით — „მიტევება!“<sup>85</sup> — და ჩვენ მოგიტევეთ შეცოდებებს და სიუხვეს მივმალვებთ კეთილთ.

56 (59). და გადაცვალეს მათ, ვინც უსამართლოდ იქცეოდა, ის, რაც ებრძანათ, იმაზე, რაც არ ჰქონდათ ნაბრძანები. და გარდმოვუვლინეთ იმათ, ვინც უსამართლოდ იქცეოდა, საზღაური<sup>86</sup> ციდან იმის გამო, რომ უწმინდურებდნენ.

57 (60). აჰა, ითხოვა მუსამ თავისი ხალხის დარწყულება. ვუთხარიტ: დაჰკარ შენი კვერთხი კლდეს! — გადმოედინა იქიდან თორმეტი წყაროსთვალი<sup>87</sup> და მთელმა ხალხმა გაიგო თავისი დასარწყულებელი. ჭამეთ და სვით სარჩო ალაჰისა და ნუ იბორძიკებთ ქვეყანაზე უკეთურნი!

58 (61). თქვენ კი თქვით: — ო, მუსავ, ველარ გაგვიძლია ერთი სარჩოთი. მაშ სთხოვე შენს უფალს ჩვენთვის, რათა ამოიყვანოს ჩვენი გულისათვის, რასაც მიწა აღმოაცენებს — მწვანილი, კიტრი, ნიორი, ოსპი და ხახვი. მიუგო: — განა გადაცვლიტ იმას, რაც კნინია, იმაში, რაც არის კეთილი?!<sup>88</sup> მაშ ჩაცვივდით ქალაქში<sup>89</sup> და გექნებათ, რასაც მოითხოვთ. შეემთხვათ მათ იქ დამცირება და სიღატაკე და თავს ალაჰის რისხვა დაიტეხეს! ეს იმიტომ, რომ იყვნენ ურწმუნონი ალაჰის სასწაულებისადმი და ხოცავდნენ მოციქულებს უსამართლოდ;<sup>90</sup> ეს იმიტომ, რომ ურჩობდნენ და იყვნენ თავგასულნი.

59 (62). ხოლო ისინი, რომელთაც ირნ-



მუნეს და იყვნენ იუდეველნი,<sup>91</sup> ნაზარეველნი<sup>92</sup> და საბიელნი,<sup>93</sup> ვისაც სწამდა ალაჰი, დღე უკანასკნელი და იქმდა სიკეთეს — მათი საზღაური მათ უფალთანაა, შიში არ ექნეთ, არ ინალვლონ.

60 (63). და აი, დაგიდეთ ალთქმა<sup>94</sup> და წარმოვმართეთ თქვენს თავზემთ მთა.<sup>95</sup> აიღეთ მტკიცედ, რაც გეზობათ და გახსოვდეთ ის, რაც არის მასში; რათა ეგებ ღვთისა გეშინოდეთ.

61 (64). მერე კი პირი იბრუნეთ ამის შემდეგ და, რომ არა ალაჰის მაღლი თქვენზე და მისი წყალობა, უთუოდ დარჩებოდით ნაგებულნი (65). და აი, ვიცანით თქვენგან ისინი, რომლებიც ტყბდნენ შაბათს.<sup>96</sup> ვუთხარით მათ: იყავით თქვენ აბეზარი<sup>97</sup> მაიმუნები!

62 (66). და დაუდგინეთ ისინი მაგალითად — თანამედროვეთა და შთამომავალთ; შეგონებად — ღვთისმომშივებს.

63 (67). აჰა, უთხრა მუსამ თავის ხალხს: ალაჰი გიბრძანებთ, რომ ძროხა<sup>98</sup> შესწიროთ! ჰკითხეს — განა მასხრად გვიგდებო?! უთხრა: — ალაჰს მივაპურებ საშველად იმისაგან, რომ ვიყო უმეცარი. (68). სთხოვეს: — მოუხმე ჩვენთვის შენს უფალს, რომ განგვიმარტოს, როგორი უნდა იყოს ის (ძროხა). მიუგო: — იგი ამბობს, რომ ის უნდა იყოს, — ძროხა — არც ბებერი და არც ნორჩი: ამათ შუა ხნისა. მაშ გააკეთეთ, რაც გებრძანათ.

64 (69). უთხრეს: — მოუხმე ჩვენთვის შენს უფალს, რათა განგვიმარტოს, რა ფერისაა ის. მიუგო: — იგი ამბობს, რომ ის ღია ყვითელია და მისი ფერი სიამოვნებას ჰგვრის მაცქერალთ.

65 (70). უთხრეს: — მოუხმე ჩვენთვის შენს უფალს, რომ განგვიმარტოს, როგორია ის; ჩვენთვის (ხომ) ყველა ძროხა ერთმანეთს ჩამოჰგავს. მერე კი, თუ ალაჰმა ინება, ჭეშმარიტ გზაზე ვიქნებით დადგენილნი.

66 (71). მიუგო: — იგი ამბობს, რომ ის ძროხა არ არის მოშინაურებული, რომელიც ხნავს მიწას, ანდა რწყავს ნახნავს, არამედ, სალად შენახულია და ტანზე ერთი ნიშანიც კი არა აქვს. უთხრეს, ახლა კი ჭეშმარიტებას ბრძანებო და მსხვერპლად შესწირეს ის (ძროხა), თუმც ამის ქმნას არ აპირებდნენ!

67 (72). და აი, თქვენ მოკალით კაცი და მის გამო ერთმანეთს წაეკიდეთ. ალაჰი

კი არის ამომხსნელი იმისა, რასაც ფარავდით.

68 (73). ვთქვით: დაჰკარით მას (მოკლულს) მისი (ძროხის) ერთი ნაჭერი. ამგვარად, გააცოცხლებს ალაჰი მკვდრებს და გირჩვენებთ თქვენ თავის სასწაულებს, რათა ეგების კეთილგანსაჯოთ!

69 (74). მერე კი გასასტიკდნენ თქვენი გულები ამის შემდეგ; დაემსგავსნენ კლდეს,<sup>99</sup> ანდა უფრო სასტიკნი იყვნენ, რადგან კლდიდანაც კი (ზოგჯერ) ნაკადულები მოედინებიან და თუ გაიპოზა, მისგან წყალი გადმოიჩქეფებს. ზოგი მათგანი ალაჰის წინაშე ძრწოლით იშლება. ხოლო ალაჰი უგულისყურო როდია იმის მიმართ, რასაც აკეთებთ.

70 (75). განა გასურთ, რომ მათ თქვენი<sup>100</sup> ირწმუნონ, მაშინ, როცა მათი<sup>101</sup> ნაწილი ისმენდა ალაჰის სიტყვას, მერე კი ამახინჯებდა მას, შემდგომ იმისა, რაც გაიაზრეს და მათ (ეს) იცოდნენ.

71 (76). და როდესაც შეხვდებოდნენ იმათ, ვინც ირწმუნა, ეუბნებოდნენ: ჩვენც ვირწმუნეთო, მაგრამ როდესაც ერთმანეთთან მარტო რჩებოდნენ, ეტყოდნენ ერთურთს: განა ესაუბრებით მათ იმის თაობაზე, რაც ალაჰმა განგიცხადათ, რათა თქვენი ნათქვამი მერე თქვენს საწინააღმდეგო მტკიცებულებად მოიტანონ თქვენი უფლის წინაშე; განა ვერ კეთილგანსჯითო?

72 (77). მაგრამ განა მათ არ იციან, რომ ალაჰმა უწყის, რასაც მალავენ და რასაც ამჟღავნებენ?<sup>102</sup>

73 (78). მათში არიან უმეცარნი,<sup>103</sup> რომელთაც წიგნისა არა გაეგებათ რა, გარდა ოცნებებისა,<sup>104</sup> და იმასაც მხოლოდ ვარაუდობენ. (79). და ვაი მათ, ვინც თავიანთი ხელით წერდნენ წიგნს, მერე კი ამბობდნენ — ეს ალაჰისგან არისო, რათა იგი მცირე საფასურად გაეყიდათ. და ვაი მათ იმისათვის, რაც დაწერეს მათმა ხელებმა; ვაი მათ იმისათვის, რაც ამით მოიხვეჭეს!

74 (80). და თქვეს: არ შეგვეხება ჩვენ ცეცხლი, გარდა რამდენიმე დღისაო. უთხარი: — განა თქვენ ალაჰს დაუდეთ ალთქმა და ალაჰი არ შეცვლის ალთქმას თავისას. თუ ალაჰზე იმას ამბობთ, რაიც არ იცით?!

75 (81). დიახ, ვინც სიავე მოინაგრა და ვინც გარემოიცვა მისმა (ამ სიავის) შეცო-

დებამ, ისინი არიან ცეცხლის ბინადარნი და იქნებიან იქ მარადიულნი.

76 (82). ხოლო ისინი, ვინც ირწმუნა და კეთილი საქმენი აღასრულა, სამოთხის ბინადარნი არიან და იქნებიან იქ მარადიულნი.

77 (83). აჰა, დავუდეთ აღთქმა ისრაელის ძეთ: არვის ემონოთ თვინიერ ალაჰისა; კეთილი უყავით მშობლებს, ნათესავებს, ობოლთა და საპყართ. უთხარით ხალხს კარგი, დაადგრით ლოცვად და გაეცით ზაქათი. (თქვენ კი) ამის შემდეგ პირი იბრუნეთ, მცირედთა გარდა, და იყავით წინააღმდეგნი.<sup>105</sup>

78 (84). და აი, დავდეთ თქვენთან აღთქმა:<sup>106</sup> არ დაღვაროთ ერთურთის სისხლი, არ გამოაძევოთ ერთმანეთი თქვენი სამკვიდროებიდან! — შემდგომ დაადასტურეთ და მოწმენი იყავით.

79 (85). ხოლო მერე სწორედ თქვენ აღმოჩნდით ისინი, რომლებიც ხოცავდით ერთმანეთს, აძევებდით ზოგიერთ თქვენგანს თავიანთ სამკვიდროთაგან და მათთან ცოდვითა და მტრობით ერთობოდით. ხოლო როცა ისინი ტყვედ ჩაგვიარდებოდათ, გამოსასყიდს უწესებდით, თუმც კი აკრძალული გქონდათ ამის გაკეთება. განა თქვენ გნამთ წიგნის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილს უარყოფთ?!<sup>107</sup> იმ თქვენიანს, ვინც ამას იქმს, სხვა საზღაური არ ექნება ნუთისოფელში, გარდა დამცირებისა; აღდგომის დღეს<sup>108</sup> კი უმკაცრესი სატანჯველისაკენ იქნებიან მირეკილნი და ალაჰი უგულისყურო როდია იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!

80 (86). ესენი ის ხალხია, რომელთაც გაყიდეს ნუთისოფელზე ზესთასოფელი. არ შეუმსუბუქდებათ სასჯელი და არ იქნებიან ისინი მიხედილნი.

81 (87). აჰა, მივეცით მუსას წიგნი და მერე კვალში მოვაყოლეთ მოციქულები. მივეცით 'ისა იბნ მარიამს<sup>109</sup> ცხადი მტკიცებანი<sup>110</sup> და გავაძლიერეთ იგი სინმინდის სულით,<sup>111</sup> თქვენ კი განა ყოველთვის, როცა რომელიმე მოციქული მოგიტანდათ იმას, რაც არ სწადდათ თქვენს სულებს, არ გაამპარტავნებოდით, მათ ნაწილს ცრუდ არ რაცხდით და ნაწილს არ ხოცავდით?!

82 (88). თქვეს: ჩვენი გულები წინდაუცვეთელიაო!<sup>112</sup> თუმცა ალაჰმა

შეაჩვენა ისინი მათი ურწმუნობისათვის და რა კნინია ის, რაც მათ ურწმუნიათ!

83 (89). როდესაც მათთან<sup>113</sup> მოვიდა წიგნი ალაჰისაგან,<sup>114</sup> დასტურად იმისა, რაც მათთან იყო და რითაც ითხოვდნენ უწინ ურწმუნოებზე გამარჯვებას, როდესაც მათთან მოვიდა ის, რასაც იცნობდნენ, არ ირწმუნეს იგი! და ალაჰის წყევლა — ურწმუნოებს!

84 (90). რა კნინია ის, რაზედაც სული გააჰყიდეს იმით, რომ არ ირწმუნეს ის, რაც მათ ალაჰმა გარდმოუბოძა; — შურის გამო, რომ ალაჰი ცით გარდმოუვლენს ხოლმე მადლს იმ თავის მონებს, ვისაც ინებებს. ისინი ალაჰის რისხვას რისხვაზე იტყვენ და ურწმუნოებს — სასჯელი დამამცირებელი!

85 (91). და როცა ებრძანათ მათ: გნამდეთ ის, რაც ალაჰმა გიბოძათო. თქვეს: გვნამს, რაც გვებოძაო. და ის კი არა სწამთ, რაც მის უკანაა. მაშინ, როცა ჭეშმარიტებაა — დასტურად იმისა, რაც არის მათთან. ჰკითხე: მაშ უწინ რად ხოცავდით ალაჰის მოციქულებს, თუ მორწმუნენი იყავით?!

86 (92). აჰა, მოგიტანათ მუსამ ცხადი მტკიცებანი. მერე კი კერპი აირჩიეთ, მის შემდგომ და თქვენ იყავით უსამართლონი.

87 (93). აი, დავდევით თქვენთან აღთქმა და წამოვმართეთ თქვენს თავზემოთ მთა: — აიღეთ ის, რაც გებოძათ, მტკიცედ და შეისმინეთ! თქვეს: გავიგონეთ და არ შევეპუეთო. მათ თავიანთ გულებში დაარწყულეს კერპი საკუთარი ურწმუნოებით. უთხარი: — რა კნინია ის, რასაც გიბრძანებთ თქვენი სჯული, მორწმუნენი რომ ყოფილიყავით!

88 (94). თუ მხოლოდ თქვენ გაქვთ სასუფეველი ალაჰის წილად, ამ ხალხისაგან განცალკევებულად, მაშ ისურვეთ სიკვდილი, თუკი მართალნი ხართ.

89 (95). და არ ისურვებენ ამას საუკუნოდ იმის გამო, რაც წინასწარ უქმნიათ მათ ხელებს და ალაჰმა იცის უსამართლონი.

90 (96). და აი, ჰპოვებ მათ სიცოცხლეს, უყველაზე უფრო დახარბებულ ხალხად, წარმართებზე მეტადაც კი. სურს თითოეულს, რომ იცოცხლოს ათასი წელი; მაგრამ ვერ კი გადაურჩება ჯოჯოხეთის სასჯელს, რაც უნდა დღეგრძელი იყოს. ალაჰი ხედავს, რასაც აკეთებენ!

91 (97). უთხარი იმას, ვინც იყო ჯიბრა'ილის<sup>115</sup> მტერი. მან ზეგარდმოავლინა

ეს<sup>116</sup> შენს გულზე ალაჰის ნებით, დასტურად იმისა, რაც იყო უნინ, ჭეშმარიტ გზად და სახარებლად — მორწმუნეთათვის.

92 (98). ვინც იყო მტერი ალაჰისა, მისი ანგელოზებისა და მოციქულებისა, ჯიბრა'ილისა და მიქალისა,<sup>117</sup> ალაჰიც მტერია ურწმუნოთა.

93 (99). და აი, ზეგარდმოგივლინეთ შენ ცხადი აიები და არავინ იქნება ურწმუნო მათ მიმართ, უწმინდურთა გარდა.

94 (100). თუმცა ყოველთვის, როცა დადებდნენ აღთქმას (ღვთის წინაშე), მათი ნაწილი არღვევდა მას; დიახ, უმრავლეს მათგანს არა სწამს!

95 (101). და როცა მივიდა მათთან მოციქული ალაჰისაგან იმის დასტურად,<sup>118</sup> რაც იყო მათთან, უარყოფის ნიშნად იმათ ნაწილმა, რომელთაც ებოძათ წიგნი, ზურგსუკან მოისროლეს წიგნი ალაჰისა, თითქოსდა არ ესმოდათ.

96 (102). და მიჰყვნენ იმას, რასაც ქადაგებდნენ შაითანები სულაიმანის<sup>119</sup> სამფლობელოში. სულაიმანი კი არ ყოფილა ურწმუნო, შაითანები იყვნენ ურწმუნონი, რომლებიც ხალხს ასწავლიდნენ მისნობას და იმას, რაც ცით გარდმოვლენოდა ორ ანგელოზს ბაბილში<sup>120</sup> — ჰარუთსა და მარუთს.<sup>121</sup> და ის ორნი არ ასწავლიდნენ არავის ისე, თუ არ ეტყოდნენ, ჩვენ ვართ ცდუნება და ურწმუნო ნუ იქნებიო. და ისწავლიდნენ მათგან იმას, რითი უნდა განესხვავებინათ კაცი თავისი მეუღლისაგან. მაგრამ მათ (ხალხს) არავინ უზარალებიათ ალაჰის უნებურად. და ისწავლიდნენ იმას, რასაც ზიანი მოჰქონდა მათთვის და არ არგებდათ. თანაც იცოდნენ, რომ ამგვარი საქონლის მუშტრებს არ ექნებოდათ წილი სასუფეველში. და რა კნინი იყო ის, რაზედაც სული გაყიდეს... მათ რომ სცოდნოდათ!..

97 (103). მათ რომ ერწმუნათ და ღვთის შიში ჰქონოდათ, ჯილდო, რომელიც ალაჰის წიაღ ელოდათ, (ყველაფერზე) უკეთესი იყო. მათ რომ (ეს) სცოდნოდათ!

98 (104). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ იტყვიოთ:<sup>122</sup> დაგვმწყემსეო, არამედ თქვით — მოგვხედეო,<sup>123</sup> და შეისმინეთ. ურწმუნოებს კი — სასჯელი მტანჯველი!

99 (105). და არ ისურვებენ ისინი, ვინც ურწმუნონი იყვნენ წიგნის მქონეთაგან<sup>124</sup> და

არც წარმართნი, რომ ზეგარდმოველინოს თქვენზე სიკეთე თქვენი უფლისაგან. ხოლო ალაჰი მიაწიჭებს თავის წყალობას იმას, ვისაც ინებებს. ალაჰი უდიდესი მაღლით მოსილია.

100 (106). ჩვენ არ ვაუქმებთ ერთ აიასაც<sup>125</sup> კი, და არ ვივინყებთ ისე, თუ არ მოვიტანთ მასზე უკეთესს და მსგავს იმისას. განა არ იცი, რომ ალაჰი ყოვლისშემძლეა.

101 (107). განა არ იცი, რომ ალაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა და რომ არა გყავთ ალაჰის გარდა არც მფარველი, არცა მეოხი.

102 (108). ან იქნებ გინდათ ჰკითხოთ თქვენს მოციქულებს ის, რაც მუსას ჰკითხეს უნინ? ხოლო მას, ვინც რწმენას გადაცვლის ურწმუნობაზე, ყველაზე სწორ სავალზე არევიდა გზა-კვალი.

103 (109). წიგნის მქონეთაგან მრავალი ისურვებს კვლავ გაქციოთ თქვენ — თქვენი რწმენის შემდგომ — ურწმუნობად მათ სულში ჩაბუდებული შურისა გამო, და ეს იმის მერე, რაც მათ ჭეშმარიტება განიცხადათ! მიუტევეთ მათ და განერიდეთ, ვიდრე ალაჰი აღასრულებდეს თავის განაჩენს,<sup>126</sup> რამეთუ ალაჰი ყოვლისშემძლეა.

104 (110). დაადგრიოთ ლოცვადა, გაიღეთ ზაქათი და რა სიკეთესაც წინდანი გაიმზადებთ თქვენივე თავისათვის, იმასვე იხილავთ ალაჰის წიაღ. ჭეშმარიტად, ალაჰი ხედავს, რასაც აკეთებთ.

105 (111). და თქვეს: ვერავინ შევა სამოთხეში იმის გარდა, ვინც იყო იუდეველი ან ნაზარეველიო. ეს მათი ოცნებებია! უთხარი: მოიტანეთ თქვენი მტკიცებულება, თუკი მართალნი ხართ.

106 (112). დიახ, ვინც დაუმორჩილა ხატი<sup>127</sup> თვისი ალაჰს და თან კეთილიცაა, მისი საზღაური მისი უფლის წიაღ არის, შიში არ ჰქონდეთ, არ ინალვლონ!<sup>128</sup>

107 (113). იუდეველნი ამბობენ: ნაზარეველნი უსაფუძვლონი არიანო. ნაზარეველნი კი ამბობენ — უსაფუძვლონი იუდეველნი არიანო. ასე, მათი სიტყვების მსგავსად, ლაპარაკობენ უმეცარნი.<sup>129</sup> ალაჰი განსჯის მათ შორის, აღდგომის დღეს, იმას, რაშიც ვერ თანხმდებოდნენ.

108 (114). და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც აკრძალა ალაჰის სალოცავეებში,

რომ იხსენიებოდეს იქ მისი სახელი, და შეეცადა მათ დანგრევას.<sup>130</sup> ხოლო ისინი არ უნდა შედიოდნენ მათში, თუ არა ისე, როგორც მოშიშნი. და მათ — ნუთისოფელში — შერცხვენა! ზესთასოფელში კი — სასჯელი უდიდესი!

109 (115). ალაჰისაა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც,<sup>131</sup> და საითაც მიბრუნდებით — მისი სახეა, რადგან ალაჰი ყოვლისმომცველი, ყოვლისმცოდნეა.

110 (116). და თქვეს: ალაჰმა ძე აირჩიაო.<sup>132</sup> დიდება — მას!<sup>133</sup> დიახ, მისია, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა; ყოველივე ემორჩილება.

111 (117). ცათა და ქვეყნის შემოქმედი<sup>134</sup> და თუკი გადანყვეტს საქმეს, საკმარისია, უთხრას მას „იყავ!“ — და იქნება!

112 (118). და თქვეს იმათ, რომელთაც არ იციან: ნეტავ დაგვლაპარაკებოდა ალაჰი, ანდა ერთი სასწაული მაინც ებოძებინა ჩვენთვისო. ასე იტყოდნენ ისინიც, ვინც იყვნენ მათზე უწინ; მათი სიტყვების დარად, ერთმანეთის მსგავსია მათი გულებიც. ჩვენ კი ვუჩვენეთ სასწაულები იმ ხალხს, რომელსაც მტკიცედ სჯერა.

113 (119). ჩვენ გამოგატანეთ შენ ჭეშმარიტება სამახარობლოდ და გაფრთხილებად და ჯოჯოხეთის მკვიდრთა გამო შენ არაფერი მოგეკითხება!

114 (120). და არ იქნებიან შენით კმაყოფილნი არც იუდეველნი და არც ნაზარეველნი, ვიდრე იმათ სჯულს არ შეუდგები.<sup>135</sup> უთხარი: ალაჰის გზა არის გზა ჭეშმარიტი! ხოლო თუკი მიჰყვები იმათ სურვილებს იმის შემდეგ, რაც გებოძა ცოდნა, არ გეყოლება ალაჰისაგან არც მფარველი და არც მეოხი.

115 (121). მათ, რომელთაც ვუბოძეთ ნიგნი<sup>136</sup> და კითხულობენ მას სწორი ნაკითხვით, სწამთ კიდევც მისი,<sup>137</sup> ხოლო ვისაც არა სწამს, წაგებულნი არიან.

116 (122). ო, ისრაელის ძენო,<sup>138</sup> გაიხსენეთ ჩემი წყალობა, რომელიც გინყალობეთ და ის, რომ გამოგარჩიეთ თქვენ სამყაროთა შორის.

117 (123). და გეშინოდეთ დღისა, როცა სული მეორე სულს ვერაფრით შეენევა. არ შეინყნარება მისი სამართალი, არას არგებს მას შუამდგომლობა და არ იქნებიან ისინი შენევნულნი.

118 (124). და აი, გამოსცადა იბრაჰიმი<sup>139</sup> თვისმა უფალმა სიტყვებით<sup>140</sup> და ისიც ასრულებდა ამ სიტყვებს. უთხრა: მე დაგადგენ შენ იმამად!<sup>141</sup> ჰკითხა: და ჩემი ერი? მიუგო: — ვერ მიაღწევს ჩემი აღთქმა უსამართლოებამდე!

119 (125). და აი, დავადგინეთ ეს სახლი<sup>142</sup> თავშესაფრად ხალხისათვის და უსაფრთხოებად! აირჩიეთ და ირწმუნეთ იბრაჰიმის სადგომი<sup>143</sup> სამლოცველოდ! დავუდეთ აღთქმა იბრაჰიმსა და ისმა'ილს<sup>144</sup> — ნმინდაეყოთ ჩვენი სახლი გარს შემომვლელთათვის,<sup>145</sup> გულითად მლოცველთათვის, მუხლმომყრელთა და თაყვანისმცემელთათვის.<sup>146</sup>

120 (126). და აი, უთხრა იბრაჰიმმა: უსაფრთხო ჰყავ ეს მხარე და დაანაყრე მისი ხალხი ნაყოფებით. ისინი მათგან, ვინც ირწმუნა ალაჰი და დღე უკანასკნელი. უთხრა: — ვინც ურწმუნოა, ცოტა ხნით მივცემ ცხოვრების სახსარს, შემდეგ კი მივაგდებ ცეცხლის სასჯელთან და რა საძაგელია ეს სამკვიდრებელი!

121 (127). და როცა იბრაჰიმმა საფუძველი ჩაუყარა ამ სახლს და ისმა'ილმა (თქვეს): — ჩვენო უფალო, შეინყნარე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ ყოვლისგამგონე, ყოვლისმეცნიერი.

122 (128). უფალო ჩვენო! და გვაქციე ჩვენ შენს მორჩილებად<sup>147</sup> და ჩვენი თემიც შენდამი მორჩილ თემად აქციე. გვიჩვენე ღვთისმსახურების წესები<sup>148</sup> და მოგვიტევენ ჩვენ, რადგან შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი.

123 (129). ჩვენო უფალო, და აღმოაცენე მათში მოციქული მათგანვე,<sup>149</sup> რომელიც წაუკითხავს მათ შენს აიებს, შეასწავლის ნიგნსა და სიბრძნეს და განწმენდს მათ, რადგან შენა ხარ ძლევაგამოსილი, ბრძენთა ბრძენი.

124 (130). და ვინ არ ისურვებს იბრაჰიმის სჯულს იმის გარდა, ვისი სულიც მიამიტია?! გამოვარჩიეთ იგი ნუთისოფელში და სასუფეველშიც მართალთა თანაა.

125 (131). და აი, უთხრა მას თვისმა უფალმა: დამორჩილდი (გამუსლიმდიო)! მიუგო: ვემორჩილები უფალს სამყაროთასაო.

126 (132). და უანდერძა ის (სჯული) იბრა-

ჰიმმა თავის სახლეულს; და ია'კუბმაც:<sup>150</sup> ჩემო ძეებო, ალაჰმა ამოგირჩიათ თქვენ სარწმუნოება და ნუ დაიხოცებით ისე, რომ მორჩილნი (მუსლიმნი) არ იყოთო!

127 (133). განა თქვენ მონმენი იყავით იმ დროს, როცა ია'კუბს სიკვდილმა უწია? მან კი თავის სახლეულს ჰკითხა, ჩემს შემდგომ ვის ემონებითო? მიუგეს: ვმონებთ შენს უფალს და შენს მამათა უფალს — იბრაჰიმისას, ისმა'ილისას და ისჰაკისას, უფალს ერთადერთს და ჩვენ მისი მორჩილნი (მუსლიმნი) ვართო.

128 (134). ეს თემი უკვე გარდავიდა. მათ ის ერგებათ, რაც მოინაგრეს, თქვენ კი ის, რაც მოინაგრეთ, და არ მოგეკითხებათ, თუ ისინი რას აკეთებდნენ.

129 (135). თქვეს:<sup>151</sup> იყავით იუდეველნი ან ნაზარეველნი და ჭეშმარიტ გზაზე დადგებითო. უთხარ: — ჰანიფი<sup>152</sup> იბრაჰიმის სჯული გვიჭირავს, ხოლო იგი არ ყოფილა წარმართთაგანი.

130 (136). თქვით: გვნამს ალაჰი და რაც ჩვენზე გარდმოვევლინა, რაც ზეგარდმოვევლინა იბრაჰიმს, ისმა'ილს, ისჰაკს, ია'კუბს და ისრაელთა შთამომავალთ:<sup>153</sup> ის, რაც ებოძა მუსას და 'ისას და რაც ებოძა წინასწარმეტყველთ უფლისაგან; არ განვასხვავებთ არცერთ მათგანს და ჩვენ მისი (ალაჰის) მორჩილნი ვართო!

131 (137). და თუ ისინი ირწმუნებენ მსგავსად იმისა, როგორც თქვენ ირწმუნეთ, ჭეშმარიტ გზაზე დამდგარან, ხოლო თუკი პირს იბრუნებენ, იქნებიან თქვენთან განხეთქილებაში; ალაჰი დაგიცავს შენ მათგან; იგია ყოვლისგამგონე, ყოვლისმეცნიერი.

132 (138). სჯული<sup>154</sup> ალაჰისა! და ვისა აქვს ალაჰზე უკეთესი სჯული?! ჩვენ მას ვემონებით!

133 (139). უთხარი: განა გვეკამათებით ჩვენ ალაჰის თაობაზე, მაშინ, როცა იგი არის ჩვენი უფალი და თქვენი უფალი; ჩვენ ჩვენი საქმენი გვაქვს, თქვენ — თქვენი საქმენი და ჩვენ მისდამი ვართ გულწრფელნი.

134 (140). ან იტყვი, რომ იბრაჰიმი, ისმა'ილი, ისჰაკი, ია'კუბი და ისრაელთა შთამომავალნი იყვნენ იუდეველნი ან ნაზარეველნი. უთხარით: თქვენ უკეთ იცით თუ ალაჰმა?! ხოლო ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც დაფარა მონმეობა, რო-

მელიც მასთანაა ალაჰისაგან?! და ალაჰი უგულისყურო როდია იმის მიმართ, რასაც აკეთებთ.

135 (141). ეს თემი უკვე გარდავიდა. მას ის ერგება, რაც მოიხვეჭა, თქვენ კი ის, რაც მოიხვეჭეთ, და არ მოგეკითხებათ იმის თაობაზე, რაც არ იცოდით.

136 (142). იტყვიან მიამიტნი ამ ხალხისაგან:<sup>155</sup> რამ ათქმევინათ უარი თავიანთ იმ ყიბლაზე,<sup>156</sup> რომლისკენაც უწინ დგებოდნენო?! უთხარი: — ალაჰისაა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც და უწინამძღვრებს, ვისაც ინებებს, პირდაპირ გზაზე.

137 (143). ამგვარად დაგადგინეთ თქვენც ზომიერ ერად,<sup>157</sup> რათა მონმენი იყოთ ამ ხალხის წინაშე და მოციქული მონმე იყოს თქვენ წინაშე.

138 ის ყიბლა კი, რომლისკენაც ადრე იდექით, მხოლოდ იმიტომ დავადგინეთ, რომ გაგვერჩია ის, ვინც მიჰყვებოდა მოციქულს, იმისაგან, ვინც ზურგს შეაქცევდა.<sup>158</sup> თუმცა ეს<sup>159</sup> ძნელი იყო, მაგრამ არა მათთვის, ვისაც წინამძღვრობდა ალაჰი. ხოლო არ ეგების, ალაჰმა დაამციროს თქვენი რწმენა, რამეთუ ალაჰი ხალხის მიმართ შემწყნარებელია, მწყალობელი.

139 (144). და დავინახეთ შენი სახის მიბრუნება ზეცისაკენ. მოგაბრუნებთ შენ იმ ყიბლისაკენ, რომელიც გნადია. მამ მიაქციე შენი სახე ალ-მასჯიდალ-ჰარამის<sup>160</sup> მხარეს. სადაც უნდა იყოთ, მიაბრუნეთ სახეები მის მხარეს და იმათ, რომელთაც ებოძათ წიგნი, იციან, რომ ეს ჭეშმარიტებაა მათი უფლისაგან. ხოლო ალაჰი უგულისყურო როდია იმის მიმართ, რასაც აკეთებთ.

140 (145). და იმათ, რომელთაც ებოძათ წიგნი, ყველა სასწაული რომც აჩვენო, მაინც არ მიჰყვებიან შენს ყიბლას და შენც ნუ იქნები მათი ყიბლის მიმდევარი. და არ მიჰყვება ზოგიერთი ზოგიერთი მათგანის ყიბლას. ხოლო თუკი აედევნები იმათ სურვილებს იმის შემდგომ, რაც ებოძა ცოდნა, შენც უეჭველად იმ უსამართლოთა შორის შეირაცხები,

141 (146). რომელთაც ებოძათ წიგნი და იცნობენ მას ისე, როგორც საკუთარ შვილებს. მათი ნაწილი კი მაღავს ჭეშმარიტებას, იმ დროს, როცა იციან:

142 (147). ეს ჭეშმარიტებაა შენი უფლისა



და ნუ იქნები შენც ეჭვიანი.

143 (148). ყველასა აქვს თავისი მხარე, საითკენაც სახეს აბრუნებს. მაშ იჩქარეთ სიკეთის ქმნა და სადაც უნდა იყოთ, ალაჰი თქვენთან — ყველასთან — მოვა; რადგან ალაჰი ყოველის შემძლეა.

144 (149). და საიდანაც უნდა გამოხვიდე, მიაბრუნე შენი სახე ალ-მასჯიდ ალ-ჰარამის მხარეს. ეს ჭეშმარიტებაა შენი უფლისაგან; ხოლო ალაჰი უგულისყურო როდია იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!

145 (150). და საიდანაც გამოხვალ, მი-აქციე შენი სახე ალ-მასჯიდ ალ-ჰარამის მხარეს, და სადაც უნდა იყოთ, მიაპყარით სახეები მისკენ, რათა ამ ხალხს<sup>161</sup> ერთი სამხილიც კი არ გააჩნდეთ თქვენს წინააღმდეგ იმათ გარდა, ვინც არის უსამართლო. და ნუ შეგეშინდებათ მათი; ჩემი გეშინოდეთ, რათა სრულყო ჩემი წყალობა თქვენზე და ეგების ჭეშმარიტი გზით ნახვიდეთ.

146 (151). ისევე, როგორც წარმოგზავნეთ თქვენთან მოციქული თქვენგანვე, რომელიც გიკითხავდათ ჩემს აიებს და განგზმენდათ თქვენ. გასწავლიდათ წიგნსა და სიბრძნეს და გასწავლიდათ იმას, რაც არ იცოდით.

147 (152). გამიხსენეთ და გაგიხსენებთ! მაღლი შემწირეთ და ნუ იქნებით ჩემ მიმართ ურწმუნონი.<sup>162</sup>

148 (153). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, მოიშველიეთ მოთმინება<sup>163</sup> და ლოცვა, რადგან ალაჰი მოთმინთა თანაა.

149 (154). და ნუ დაუძახებთ მათ, ვინც ალაჰის გზაზე მოიკვლნენ, მკვდრებს. ისინი ცოცხალნი არიან, თუმცა ვერა გრძნობთ.<sup>164</sup>

150 (155). და ჩვენ გამოგცდით რაიმეთი — შიშით, შიმშილით, ქონების, სულისა თუ ნაყოფთა დანაკლისით; და ახარე მომთმინთა,

151 (156). რომელიც თუკი ხიფათი შეემთხვევათ, ამბობენ — ჩვენ ალაჰისა ვართ და მას ვუბრუნდებითო.<sup>165</sup>

152 (157). მათზე იქნება ლოცვა-კურთხევა მათი უფლისა და წყალობა მისი. ისინი ჭეშმარიტი გზით მავალნი არიან.

153 (158). ას-საფა და ალ-მარვა<sup>166</sup> ალაჰის ნიშებია.<sup>167</sup> ვინც მოილოცებს ამ სახლს (შეასრულებს ჰაჯს ამ სახლში) ანდა ალას-

რულებს იქ 'უმრას',<sup>168</sup> მას არ ექნება ცოდვა იმის გამო, რომ თავყანისცემით გარს შემოუაროს ორივე ამ ბორცვს... ის, ვინც მოკრძალებულად იქმს სიკეთეს... ალაჰიც მაღლიერია, ყოველისმცოდნე.

154 (159). ისინი, ვინც მალავენ იმ ცხად სასწაულებსა და მოძღვრებას, რაც ჩვენ ზეცით გარდმოვუვლინეთ და მას შემდეგ, რაც განვუმართეთ ხალხს წიგნში,<sup>169</sup> დასწყევლით მათ ალაჰი და დასწყევლიან მათ დამანყევარნი.<sup>170</sup>

155 (160). იმათ გარდა, ვინც მოინანია, გამოსწორდა და აღიარა; ისინი შეწყალებული იქნებიან. და მე ვარ მიმტვევებელი, მწყალობელი.

156 (161). იმათ გარდა, ვინც ურწმუნოებდნენ და, როცა დაიხოცნენ, იყვენენ ურწმუნონი. მათზეა — ალაჰის წყევლა, ანგელოზთა და ადამიანთა — ერთიანად.

157 (162). იქნებიან იქ მარადიულნი. არ შეუმსუბუქდებათ სატანჯველი და არ იქნებიან ისინი მიხედილნი.

158 (163). თქვენი ღმერთი ერთი ღმერთია, არა არს ღმერთი თვინიერ მისისა, მოწყალისა, მწყალობელისა.

159 (164). ცათა და ქვეყნის შექმნაში; ღამისა და დღის მონაცვლეობაში; ხომალდებში, ზღვით რომ ზიდავენ იმას, რასაც სარგებელი მოაქვს კაცთათვის; წყალში, რომელსაც ალაჰი ცით ზეგარდმოავლენს და აცოცხლებს მისით ქვეყანას, შემდგომად სიკვდილისა; იმაში, რომ მან ქვეყანაზე მიმოფანტა ყოველგვარი ნადირი, ქართა მიმოქროლვასა და მორჩილად მავალ ღრუბლებში — ცასა და ქვეყანას შორის — სასწაულნია ხალხისათვის, რომელიც კეთილგანსჯის.

160 (165). და ამ ხალხისგანაა ისინი, ვინც თვინიერ ალაჰისა ირჩევენ მის თანასწორთ და უყვართ ისინი სწორედ ისე, როგორც უნდა უყვარდეთ ალაჰი. მაგრამ იმათ, ვინც ირწმუნეს, უფრო მეტად უყვართ ალაჰი. ისინი კი, ვინც უსამართლოდ იქცეოდნენ, სასჯელს რომ იგემებენ, ნახავენ, რომ ძალაუფლება მთლიანად ალაჰისაა და რომ არის ალაჰი მკაცრსასჯელიანი.

161 (166). როცა ჩამოშორდებიან ისინი, ვისაც კვალში მიჰყვებოდნენ, იმათ, ვინც კვალში მისდევდნენ და ნახავენ სასჯელს,

დაირღვევა მათი კავშირები.<sup>171</sup>

162 (167). და იტყვიან ისინი, რომლებიც კვალში მიჰყვებოდნენ: ნეტავ კვლავ დაგვაბრუნა ქვეყანაზე, რათა ჩამოვშორდეთ მათ ისე, როგორც ჩვენ ჩამოგვშორდნენო. — ამგვარად დაანახვებს ალაჰი მათ თავიანთ საქმეებს მათდა საზიანოდ და ვერ გამოაღწევინებს ისინი ცეცხლიდან.

163 (168). ო, ხალხო, ჭამეთ,<sup>172</sup> რაც არის ქვეყანაზე, ნებადართული,<sup>173</sup> კეთილი<sup>174</sup> და ნუ მიჰყვებით შაითანის ნაკვალევს, რადგან იგი თქვენი აშკარა მტერია.

164 (169). იგი გიბრძანებთ თქვენ სიავესა და სიძვას და იმას, რომ თქვათ ალაჰზე ის, რაც არ იცით.

165 (170). და თუ ებრძანებათ მათ: მიჰყევით იმას, რაც ალაჰმა ზეგარდმოავლინაო, ამბობენ: ჩვენ იმას მივდევთ, რაზედაც ვპოვეთ ჩვენი მამებიო. მაგრამ განა მაშინაც, თუკი მათი მამები ვერას ხვდებოდნენ და ჭეშმარიტი გზით არ მიდიოდნენ?!

166 (171). მათი ამბავი, ვინც იყო ურნმუნო, ჰგავს ამბავს იმ კაცისა, რომელიც უხმობდა იმას, ვისაც არაფერი ესმოდა, ყვირილისა და ძახილის მეტი. ყრუნი, მუნჯნი და ბრმანი — ისინი ვერ კეთილგანსჯიან.

167 (172). ო, თქვენ, რომელთაც ირნმუნეთ! იგემეთ ის სიკეთენი, რაც სარჩოდ გინყალობეთ და მადლობდეთ ალაჰს, თუკი მხოლოდ მას ემონებით!

168 (173). ჭეშმარიტად, მან აგიკრძალათ თქვენ ლეში,<sup>175</sup> სისხლი, ღორის ხორცი<sup>176</sup> და ის, რაც ალაჰის სახელით არ დაკლულა.<sup>177</sup> ხოლო ვინც იძულებული იქნება საკუთარი სურვილის ან ბოროტი ზრახვის გარეშე, მას ცოდვა არ დაედოს.<sup>178</sup> ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

169 (174). ისინი, რომლებიც ფარავენ იმას, რაც გარდმოავლინა ალაჰმა და ჰყიდიან მცირე საფასურად, ვერაფრით ამოივსებენ ფაშვებს ცეცხლის გარდა. არ დაელაპარაკება მათ ალაჰი აღდგომის დღეს, არ გაამართლებს და მათ — სასჯელი მტანჯველი.

170 (175). ესენი არიან ხალხი, ვინც გაჰყიდა ჭეშმარიტი გზა გზააბნევაზე და მიტევება — სასჯელზე. რა მოათმენინებს მათ ცეცხლს?!

171 (176). ეს<sup>179</sup> — იმისათვის, რომ ალაჰმა

ზეგარდმოავლინა წიგნი ჭეშმარიტებით და ისინი, რომელნიც ვერ თანხმდებიან წიგნის თაობაზე, არიან ღრმა განხეთქილებაში.<sup>180</sup>

172 (177). არ არის სიქველე ის, რომ სახეები აღმოსავლეთის ან დასავლეთის მხარეს მიაბრუნოთ. სიქველე (და ქველი) ის არის, ვინც ირნმუნა ალაჰი, უკანასკნელი დღე, ანგელოსები, წიგნი და მოციქულნი. მისცა ქონება, მიუხედავად მისი (ანუ ქონების) სიყვარულისა, ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მათხოვრებს და იმათ, ვინც არიან ტყვეობაში; ლოცვად დადგა, ზაქათი<sup>181</sup> გასცა; ვინც ასრულებს თავის დაპირებას, როცა დაპირდება, ვინც მოითმენს გაჭირვებას, ხიფათსა და ზარალს; ესენი არიან, ვინც მოწყალებას გასცემენ<sup>182</sup> და ისინი ღვთისმოშიშნი არიან.

173 (178). ო, თქვენ, რომელთაც ირნმუნეთ, წერილ არს თქვენდა შურისგება<sup>183</sup> მოკლულთა გამო: თავისუფალი — თავისუფლისა წილ, მონა — მონისა წილ, ქალი — ქალისა წილ. ხოლო იმას, ვისაც მიეტევება თვისი მოძმისაგან,<sup>184</sup> (რაიმე) სიკეთის ქმნა<sup>185</sup> და სიკეთით გადახდა<sup>186</sup> (ევალებს);

174. ეს არის შემსუბუქება<sup>187</sup> თქვენი უფლისაგან და წყალობა; ხოლო ვინც შესცოდავს ამის შემდგომ, მას — სასჯელი მტანჯველი.

175 (179). და თქვენთვის შურისძიებაში — სიცოცხლეა, გონების მქონენო, რათა ეგების ღვთისმოშიშნი იყოთ.<sup>188</sup>

176 (180). წერილ არს თქვენდა:<sup>189</sup> როცა რომელიმე თქვენგანს სიკვდილი მოუწევს, თუკი ტოვებს რაიმე (ამქვეყნიურ) სიკეთეს, ანდერძი (დაუტოვოს) — მშობლებს და ახლობლებს სიკეთით, რაც შეჰფერის ღვთისმოშიშებს.

177 (181). და ვინც შეცვლის მას (ანდერძს) იმის შემდეგ, რაც ის მოისმინა, ამისი ცოდვა მათ კისერზე იყოს, ვინც შეცვალა ანდერძი. ხოლო ალაჰი ყოვლისგამგონია, ყოვლისმეცნიერი.

178 (182). და ვისაც შეეშინდა მოანდერძის პირუმტკიცობისა და ცოდვისა, და მოარიგა ისინი, ცოდვა არ ექნეს მას, რადგან ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

179 (183). ო, თქვენ, რომელთაც ირნმუნეთ, წერილ არს თქვენთვის მარხვა<sup>190</sup> ისევე, როგორც წერილი იყო მათთვისაც, ვინც

ცხოვრობდა თქვენზე უნინ,<sup>191</sup> რომ ეგების ღვთისმომშინი ყოფილიყავით.<sup>192</sup>

180 (184). (რამდენიმე) განსაზღვრულ დღეს<sup>193</sup> და ვინც იყოს თქვენგან ავად ან მოგზაურობაში, იმარხულოს იმდენივე (დღეს) სხვა(თვის) დღეებში.<sup>194</sup> ხოლო მათ, ვისაც არ შეუძლია ეს (ანუ მარხვის შენახვა), სავალდებულო სიქველედ და გამოსასყიდად ევალება ერთი უპოვარის დაპურება მაინც. ხოლო იმას, ვინც ნებაყოფლობით იქმს მეტ სიკეთეს, სიკეთე ექნეს.<sup>195</sup> და თუკი იმარხულებთ, ეს იქნება თქვენი სიკეთე, რომ იცოდეთ!

181 (185). რამადანის თვეა,<sup>196</sup> როცა ზეგარდმოევილია ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისათვის; ცხადმტკიცებდა ჭეშმარიტი გზისა და განსხვავებისა.<sup>197</sup> და იმ თქვენგან-მა, ვინც დაესწრება ამ თვეს, იმარხულოს; ხოლო ვინც იქნება ავად ან სამოგზაუროდ, მან იმარხულოს ამდენივე (დღეს) სხვა (დროს). სურს ალაჰს თქვენი მოსვენება და არა სურს თქვენი განვალება. მაშ, გაასრულეთ (განსაზღვრული) რაოდენობა (დღეებისა) და განადიდეთ ალაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტი გზით მიჰყავხართ, რათა ეგების მაღლი შესწიროთ.

182 (186). თუ ჩემი მონები ჩემს შესახებ გკითხავენ,<sup>198</sup> მე ახლოს ვიქნები და ვუპასუხებ მლოცველის ლოცვას, როცა მომიხმობს. მაშ მისმენდნენ და სწამდეთ ჩემი, რათა ეგების წრფელი გზით წახვიდეთ.

183 (187). ნებადართულია თქვენთვის მარხვის ღამეს თანაცხოვრება თქვენს ცოლებთან.<sup>199</sup> ისინი არიან თქვენი სამოსი და თქვენ ხართ სამოსი<sup>200</sup> მათი. იცოდა ალაჰმა, რომ სულიწაგძლევათ, ამიტომაც მოგიტევათ და გაპატიათ.<sup>201</sup> მაშ ან თანა ეყავით მათ და ისურვეთ ის, რაც ალაჰმა დაგინესათ. ჭამეთ და სვით, ვიდრე ცხადად შეგეძლებათ გაარჩიოთ განთიადის შავი ძაფი თეთრი ძაფისაგან.<sup>202</sup> შეინახეთ მარხვა ღამემდე<sup>203</sup> და ნუ მიეკარებით მათ (ცოლებს), როცა თქვენ ნიადაგ ლოცულობთ მეჩეთებში<sup>204</sup> — ეს არის ალაჰის საზღვრები<sup>205</sup> და ნუ მიუახლოვდებით მათ. ამგვარად განგიცხადებთ ალაჰი ადამიანებს თავის სასწაულებს, რათა ეგების, ღვთისა გეშინოდეთ.

184 (188). და ნუ შეჭამთ თქვენს ქონებას

თქვენ შორის ამოდ<sup>206</sup> და ნუ მოისყიდით მისით მსაჯულთ, რათა შეჭამონ ხალხის ქონების ნაწილი, ცოდვით, ისე, რომ თქვენ ეს იცოდეთ!

185 (189). გეკითხებიან შენ ახალმთავრობათა შესახებ. უთხარი: ეს არის ვადები — ხალხისათვის და ჰაჯისათვის.<sup>207</sup> და არ არის სიქველე ის, რომ შეხვიდეთ სახლებში მათი უკანა მხრიდან, არამედ სიქველეა (საქციელი მათი), ვინც შედის სახლებში მათი კარებიდან.<sup>208</sup> გეშინოდეთ ალაჰისა, რათა ეგების ნეტარნი იყვნეთ!

186 (190). და ებრძოდეთ ალაჰის გზაზე<sup>209</sup> მათ, რომლებიც გებრძვიან თქვენ, მაგრამ ნუ გადახვალთ საზღვრებს, რადგან ალაჰს არ უყვარს თავგასულნი.

187 (191). დახოცეთ ისინი, სადაც მიენევით და გამოყარეთ იქიდან, საიდანაც გამოგყარეს, რამეთუ საცდური<sup>210</sup> ბრძოლაზე უარესია, და ნუ შეებრძოლებით მათ საკრძალველ მეჩეთთან, თუნდაც ისინი გებრძოდნენ მასში.<sup>211</sup> ხოლო თუ გხოცავენ, თქვენც დახოცეთ — ასეთია ურწმუნოთა<sup>212</sup> საზღაური.

188 (192). მაგრამ თუკი მათ თავი დაანებეს (ბრძოლას), ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი!

189 (193). და ებრძოლეთ მათ, ვიდრე აღმოიფხვრებოდეს საცდური და დარჩებოდეს რწმენა ალაჰისა. ხოლო თუკი ისინი შეემვებიან (ბრძოლას), მაშინ აღარ განაგრძოთ (არავის) მტრობა, გარდა უსამართლოთა.

190 (194). აკრძალული თვე — აკრძალული თვის წილ;<sup>213</sup> საკრძალველნი<sup>214</sup> კი — შურისგებაა<sup>215</sup>. ვინცა გამტრობთ, უმტრეთ მას ისევე, როგორც თქვენ გამტრობთ. გეშინოდეთ ალაჰისა და იცოდეთ, რომ ალაჰი ღვთისმომშინებთანაა.

191 (195). ხარჯეთ ალაჰის გზაზე; ნუ შეიმთხვევთ თქვენი ხელების გამო სიკვდილს და ჰქმენით სიკეთე, რადგან ალაჰს უყვარს კეთილნი.

192 (196). და აღასრულეთ ჰაჯი და 'უმრა ალაჰისათვის. ხოლო თუ დაბრკოლდებით,<sup>216</sup> მაშინ (გააგზავნეთ) — რაიმე შესანიერი,<sup>217</sup> რაც გეადვილებათ და ნუ გადაიპარსავთ თავებს, ვიდრე შესანიერი დანიშნულების ადგილს<sup>218</sup> მიაღწევდეს. მას კი, ვინც ავად იქნება თქვენგან ან, რომელსაც თავში აქვს

რაიმე სნება, გამოსასყიდად — ლოცვა, მონყალების გაღება ან სხვა რამ სათნოება (დაენესოს)! ხოლო თუკი უსაფრთხოდ ხართ, მაშინ ვისაც უნდა 'უმრა ჰაჯთან ერთად აღასრულოს ან გააგზავნოს შესანიერი, რაც ეადვილება. იმას კი, ვისაც ესეც არ მოეძეება, (დაენესოს) — სამი დღე მარხულობა ჰაჯის დროს და შვიდიც, როდესაც უკან მობრუნდებით. ეს არის ათი სრული დღე და ეს იმისთვისაა, ვისი ოჯახიც აღმასჯიდ აღ-ჰარამის მახლობლად არა სახლობს.<sup>219</sup> გეშინოდეთ ალაჰისა და იცოდეთ, რომ ალაჰი მკაცრსასჯელიანია.

193 (197). და ჰაჯი (აღსრულდეს) — განსაზღვრულ თვეებში.<sup>220</sup> იმას, ვინც იკისრებს ჰაჯს ამ თვეებში, არ ეგების თანაცხოვრება ცოლთან, სიბილნე და ჩხუბი ჰაჯის დროს. რა სიკეთესაც იქმთ, იცის ალაჰმა. მოიმარაგეთ საგზალი. ღვთისმოსიშება კი საუკეთესო საგზალია და გეშინოდეთ ჩემი, გონების მქონენო!

194 (198). ცოდვა არ გექნეთ, თუკი ისურვოთმადლი თქვენი უფლისაგან<sup>221</sup> და, როცა გუნდად ჩაივლით არაფათთან,<sup>222</sup> ახსენეთ ალაჰი საკრძალველ ალაგთან<sup>223</sup> და გაიხსენეთ იგი, როგორ დაგადგინათ თქვენ ჭემმარიტ გზაზე იმის მიუხედავად, რომ უნინ იყავით გზააბნეულნი.

195 (199). შემდეგ დაეშვით იმ ადგილიდან, საიდანაც ეშვება ხალხი<sup>224</sup> და მიტეება სთხოვეთ ალაჰს, რადგან ალაჰი მიმტეებელია, მწყალობელი.

196 (200). და როდესაც აღასრულებთ თქვენს წეს-ჩვეულებებს, გაიხსენეთ ალაჰი ისე, როგორც გაიხსენებდით თქვენს მამებს ანდა უფრო ძლიერი გახსენებით. და ამ ხალხშია იგი, ვინც ამბობს: ჩვენო უფალო, გვიბოძე შენი მონყალება წუთისოფელშიო. და არ ექნება მას არანაირი სარგებელი ზესთასოფელში.

197 (201). და მათგანაა ისიც, ვინც ამბობს: ჩვენო უფალო, მოგვეცი ჩვენ წუთისოფელშიც სიკეთე, ზესთასოფელშიც — სიკეთე და დაგვიცავი ჩვენ ცეცხლის სასჯელისგანო.

198 (202). მათ წილად ხვდებათ ის, რაც მოინაგრეს, და ალაჰი სწრაფია ანგარიშსწორებისას.

199 (203). გაიხსენეთ ალაჰი განსაზ-

ღვრულ დღეებში;<sup>226</sup> და ვინც ორი დღით იჩქაროს, ცოდვა არა ჰქონდეს იმას, ვისაც ღვთისა ეშინია. ხოლო ვინც ორი დღით დაიგვიანოს, ცოდვა არა ჰქონდეს იმას, ვისაც ღვთისა ეშინია. გეშინოდეთ ალაჰისა და იცოდეთ, რომ სწორედ მის წილ იქნებით შეკრებილნი.

200 (204). ამ ხალხისგანაა ის, ვისი სიტყვებიც გხიბლავს წუთისოფლის თაობაზე და იმონმებს ალაჰს იმაზე, რაც არის მის გულში, მაშინ, როცა იგია ყველაზე უფრო მტრულად განწყობილი.

201 (205). როგორც კი უკან გაბრუნდება (შენგან), ცდილობს უკეთურება ამრავლოს ქვეყანაზე და დაღუპოს ნათესი თუ თაობა; ხოლო ალაჰს არ უყვარს უკეთურნი.

202 (206). როცა ებრძანება მას — გეშინოდეს ღვთისო! ამპარტავნება შეიპყრობს ცოდვით. მისი მონაგარი კი ჯოჯოხეთია და რა საძაგელია ეს განსასვენებელი!

203 (207). ამ ხალხისგანაა ისიც, ვინც საკუთარ სულსაც არ იშურებს ალაჰის კმაყოფილებისათვის, და ალაჰიც მონყალეა მონათა მიმართ.

204 (208). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ჩაეფალით მორჩილებაში ერთიანად<sup>227</sup> და წუ გაჰყვებით შაითანის ნაკვალევს, რამეთუ იგი თქვენი ამკარა მტერია.

205 (209). და თუკი (კვლავ) ცდუნდებით იმის შემდგომ, რაც თქვენ ცხადი მტკიცებანი გარდმოგებოდათ, მაშინ იცოდეთ, რომ ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

206 (210). განა შესცქერიან ისინი ახლა, რომ მოვა ალაჰი მათთან ღრუბელთა საჩრდილობლიდან და ანგელოზები; და გადამწყდარა საქმე. ჭემმარიტად, ალაჰის წილს უბრუნდებიან საქმენი.

207 (211). ჰკითხე ისრაელის ძეთ, რამდენჯერ ვუბოძეთ მათ ცხადი სასწაული. ხოლო ის, ვინც ცვლის ალაჰის წყალობას, მას შემდეგ, რაც ებოძა — ალაჰი სასტიკსაზღაურია.

208 (212). ემშვენიერებათ მათ, რომელნიც ურწმუნონი არიან, წუთისოფელი და დასცინიან იმათ, ვინც მორწმუნეა და ღვთისმოსიში, რომელნიც მათ თავსზემთ იქნებიან აღდგომის დღეს და ალაჰი დააპურებს იმას, ვისაც ინებებს, უანგარიშოდ.

209 (213). ხალხი იყო ერთიანი (რელიგი-

ური) თემი და წარმოგზავნა ალაჰმა მოციქულნი მახარობლად და გამაფრთხილებლად — და გამოატანა მათ წიგნი ჭეშმარიტებით, რათა განესაჯა ხალხთა შორის ის, რაზედაც ვერ თანხმდებოდნენ. და არავინ დავობდა (წმინდა წერილის თაობაზე) გარდა მათი, რომელთაც ებოძათ იგი მას შემდეგ, რაც მოუვიდათ ცხადი მტკიცებანი, ერთმანეთის შური. და წრფელი გზით უწინამძღვრა ალაჰმა იმათ, რომელთაც ირწმუნეს, რათა უთანხმოება აღარ ჰქონოდათ მასზე — ჭეშმარიტებით — თავისი ნებით. ალაჰი უწინამძღვრებს, ვისაც ისურვებს, პირდაპირ გზაზე.

210 (214). ან განა მიიჩნევთ, რომ სამოთხეში შეხვალთ მაშინ, როცა ჯერ არ მოგწევიათ ამბავი მათი მსგავსი, ვინც გარდახდნენ თქვენზე უწინ. თავზე დაატყდათ მათ უბედურება და ზარალი და მინა ისე ეძრათ ფეხქვეშ, რომ იტყოდა მოციქული და მორწმუნენი მასთან ერთად — როდისაა შეწევნა ალაჰისა!? და აჰა, შეწევნა ალაჰისა ახლოსაა.

211 (215). გეკითხებიან შენ, რა გაიღონ მონყალებად. უთხარი: — რა სიკეთესაც მონყალებად გასცემთ მშობლებისთვის, ახლობლებისთვის, ობლებისთვის, უპოვართათვის და მოგზაურთათვის, და რა სიკეთესაც იქმთ, ალაჰმა იცის იგი.

212 (216). წერილ არს თქვენთვის ბრძოლა. მაშინ, როცა გაძაგთ თქვენ იგი.

213. ხოლო რამდენჯერ ყოფილა — გაძულებიათ რაიმე იმ დროს, როცა სიკეთე იყო თქვენთვის, და რამდენჯერ გყვარებიათ რამე, თუმცა კი სიავე იყო თქვენთვის. ალაჰმა უწყის, ხოლო თქვენ არ იცით.

214 (217). გეკითხებიან შენ საკრძალველი თვის და ამ თვეში ბრძოლის შესახებ. უთხარი: ბრძოლა ამ დროს დიდი ცოდვაა, გადახვევაა ალაჰის გზიდან და ურწმუნოებაა მის მიმართაც და ალ-მასჯიდ ალ-ჰარამის მიმართაც. მის მკვიდრთა გამოყრა იქიდან კი უფრო დიდი ცოდვაა ალაჰის წინაშე. ცდუნება უფრო მძიმე ცოდვაა, ვიდრე ბრძოლა. და თავს არ დაანებებენ თქვენთან შებრძოლებას, ვიდრე უარს არ გაათქმევიანებენ თქვენს სარწმუნოებაზე, თუ მოახერხებენ. ხოლო ის თქვენგანი, ვინც ხელს აიღებს სარწმუნოებაზე და მოკვდება ისე, რომ

იქნება ურწმუნო — ჩაიფარცხოს მათი საქმენი წუთისოფელშიც და ზესთასოფელშიც, იყვნენ ისინი ცეცხლის ბინადარნი და იყვნენ იქ მარადიულნი.

215 (218). მათ კი, რომელთაც ირწმუნეს, რომლებიც სამშობლოდან ჰიჯრაში წავიდნენ<sup>228</sup> და იბრძოდნენ ალაჰის გულისათვის, იმედი ჰქონდეთ ალაჰის მონყალებისა და ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

216 (219). გეკითხებიან შენ ღვინისა<sup>229</sup> და მანისირის<sup>230</sup> თაობაზე. უთხარი: — ამ ორში არის დიდი ცოდვა<sup>231</sup> და (მცირედი) სარგებელიც ხალხისათვის; მაგრამ მათი ცოდვა მეტია მათ სარგებელზე. გეკითხებიან, რა გასცენ (მონყალებად).

217. უთხარი: ყველაზე უკეთესი,<sup>232</sup> რაც კი გაბადიათ, ამგვარად გიჩვენებთ ალაჰი ცხადად თავის სასწაულებს, რათა ეგების დაფიქრდეთ

218 (220). წუთისოფელზეც, ზესთასოფელზეც... და გეკითხებიან შენ ობოლთა შესახებ. უთხარი: სიკეთის ქმნა მათთვის მაღლია.<sup>233</sup>

219. ხოლო თუ შეავინროვებთ მათ, (იცოდეთ) ისინი თქვენი ძმები არიან. ალაჰი კი განარჩევს უკეთურს კეთილისგან და, თუ ინებებს ალაჰი, ღონეს მიგხდით. ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

220 (221). და ნუ თანაყოფით წარმართ ქალებს, ვიდრე არ ირწმუნებენ. რამეთუ მორწმუნე მხევალი წარმართზე უკეთესია, თუნდაც რომ გხიბლავდეთ იგი. და (თქვენც, ქალებო) ნუ თანეყოფით ურწმუნო კაცებს, ვიდრე არ ირწმუნებენ, მორწმუნე მონა ურწმუნოზე უკეთესია, თუნდაც რომ გხიბლავდეთ იგი.

221. ისინი (გვენის) ცეცხლისაკენ გიხმობენ. ხოლო ალაჰი გიხმობთ თქვენ სამოთხისა და მიტევებისაკენ თავისი ნებით და განუცხადებს კაცთ თავის სასწაულებს, რათა ეგების გონს მოეგონ.

222 (222). გეკითხებიან შენ დედათნესის შესახებ. უთხარი: ეს სატკივარია. თავი შეიკავეთ ქალებთან ურთიერთობისაგან დედათნესის დროს და არ მიეკაროთ მათ, ვიდრე განიწმინდებოდნენ. ხოლო, როცა განიწმინდებიან, მიუდექით მათ, საიდანაც გიბრძანათ ალაჰმა. ალაჰს უყვარს მონაწილნი და განწმენდილნი.



223 (223). თქვენი ცოლები თქვენი სახნავია. შედით თქვენს სახნავში, როდესაც გასურდეთ, და შესთავაზეთ (ის) საკუთარ თავს. გეშინოდეთ ალაჰისა და იცოდეთ, რომ თქვენ უექველად შეხვდებით მას. მორწმუნეთ კი ახარე.

224 (224). და ნუ აქცევთ ალაჰს საგნად თქვენი ფიცისა, რომ ხართ ქველმოქმედნი, ღვთისმოშიშნი და კეთილისმყოფელნი ხალხთა შორის. ალაჰი ყოვლისგამგონეა, ყოვლისმეცნიერი.

225 (225). ალაჰი არ განგსჯით თქვენ ფიცისას ამოს მეტყველებისათვის. არამედ განგსჯით იმის გამო, რასაც მოიხვეჭენ თქვენი გულები.<sup>234</sup> ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

226 (226). და იმათ, რომლებიც დაიფიცებენ, რომ გაეყრებიან თავიანთ ცოლებს, დალოდება — ოთხ თვეს.<sup>235</sup> ხოლო თუკი მიუბრუნდნენ მათ, ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

227 (227). მაგრამ თუკი გადანყვიტეს განქორწინება, ალაჰი ყოვლისგამგონეა, ყოვლისმეცნიერი.

228 (228). იმ ქალებმა კი, რომელთანაც განქორწინდნენ, თავი შეიკავონ<sup>236</sup> დედათნესის სამი რიგის მანძილზე. ნებადართული არაა მათთვის დამალონ ის, რაც შექმნა ალაჰმა იმათ საშოებში, თუ ურწმუნიათ ალაჰი და დღე უკანასკნელი. ამ შემთხვევაში კი მათი უკან დაბრუნება უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე მათი გაშვება, თუკი კაცებს სიქველე სწადიათ. მათ (ქალებს) ეკუთვნით იგივე, რაც იმას, ვინც მათზე მბრძანებლობს სიკეთით, თუმცაღა კაცები მათზე (ქალებზე) ერთი საფეხურით მაღლა დგანან<sup>237</sup> და ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

229 (229). და განქორწინება — ორგზისია:<sup>238</sup> ან დაიკავეთ ცოლები — სიკეთით ანდა გაუშვით კეთილგანწყობით. ნებადართული არაა თქვენთვის, რომ უკანვე გამოართვათ მათ (ქალებს), თუ რაიმე გიჩუქებიან მათთვის. გარნა, თუ ორივეს გეშინიათ, რომ გადახვალთ ალაჰის საზღვრებს. ხოლო თუკი გეშინიათ<sup>239</sup> იმისა, რომ ის ორი გადავა ალაჰის საზღვრებს, მაშინ ორთაგან არცერთს არ ექნეს ცოდვა იმის გამო, რითაც ქალი საკუთარ თავს გამოისყიდის.<sup>240</sup> აი, ეს

არის ალაჰის საზღვრები და ნუ დაარღვევთ მას. ისინი კი, ვინც არღვევენ ალაჰის საზღვრებს, უსამართლონი არიან.

230 (230). ხოლო თუ ის (კაცი) განქორწინდა მასთან (ქალთან)<sup>241</sup> მას (კაცს) ნება აღარა აქვს (ქალის დაბრუნებისა), ვიდრე ქალი სხვაზე არ გათხოვდება. და თუკი ის სხვაც განქორწინდება მასთან, მაშინ უნინდელ ცოლ-ქმართაგან არცერთს ცოდვა არ ედოს, თუ ერთმანეთს დაუბრუნდებიან და ფიქრობენ, რომ დაიცავენ ალაჰის საზღვრებს. აი, ეს არის ალაჰის საზღვრები, რომელიც მან ცხადად განუმარტა იმ ადამიანებს, რომელთაც იციან.

231 (231). და თუ განქორწინდით თქვენს ცოლებთან და მათ მიაღწიეს თავიანთ ვადას, ან დაიკავეთ ისინი სიკეთით ან გაუშვით სიკეთით და ნუ დააკავებთ მათ იძულებით, რათა ავად მოეპყრათ მათ. ვინც ამას იქმს, ის სიავეს მოუტანს თავის თავს. მასხრად ნუ აიგდებთ ალაჰის აიებს! გაიხსენეთ ალაჰის მოწყალება და ის, რომ მან ცით ნიგნისაგან და სიბრძნისაგან გარდმოგივლინათ ის, რითაც გწვრთნით თქვენ. გეშინოდეთ ალაჰისა და იცოდეთ, ალაჰი ყოვლისმცოდნეა.

232 (232). ხოლო თუკი განქორწინდით თქვენს ცოლებთან<sup>242</sup> და იმათაც მიაღწიეს თავიანთ ვადას, მაშინ ნულარ შეუშლით ხელს მათ, რომ თანაეყონ თავიანთ (ახალ) ქმრებს, თუ ისინი ერთმანეთში შეთანხმდებიან სიკეთით. ეს არის ის, რითაც გაფრთხილება ეძლევა იმ თქვენგანს, რომელსაც სწამს ალაჰი და დღე უკანასკნელი. ეს არის თქვენთვის ყველაზე უფრო სათნო, ყველაზე უფრო ნმინდა. ალაჰმა იცის, თქვენ კი არ იცით.

233 (233). და დედებმა ძუძუ ანოვონ თავიანთ შვილებს სრულ ორ წელიწადს, ვისაც სურს, რომ ძუძუთი კვება იყოს მოთავებული. ხოლო მამებს ევალებათ მათი (ქალების) კვება და შემოსვა — სიკეთით. და არცერთ სულს არ დაეკისრება იმაზე მეტი, რაც შეუძლია. არ დაზარალდეს დედა პირმშოს გამო და არცა მამა პირმშოს გამო და მემკვიდრეც — მსგავსად ამისა.<sup>243</sup> ხოლო თუკი მოისურვებენ თავი დაანებებინონ ძუძუთი კვებას, შეთანხმდებიან და მოითათბირებენ, ცოდვა არ ჰქონდეს ორთაგან

არცერთს. და თუკი მოინდომებთ, თქვენს შვილებს აუყვანოთ ძიძა (მეძუძური ქალი), ცოდვა არ გქონდეთ, როცა ჩააბარებთ იმას, რაც მოგეცემათ. გეშინოდეთ ალაჰისა და იცოდეთ, ალაჰი ხედავს, რასაც აკეთებთ.

234 (234). და ისინი, ვინც გარდაიცვლებიან თქვენგან და დატოვებენ ცოლებს, ქალებმა თავი შეიკავონ ოთხ თვეს და ათ (დღეს).<sup>244</sup> და როდესაც მიაღწევენ თავიანთ ვადას, ცოდვა არ გქენეთ თქვენ იმის გამო, რასაც ისინი უზამენ თავიანთ თავს — სიკეთით და ალაჰმა იცის, რასაც აკეთებთ.

235 (235). და ცოდვა არ გქენეთ თქვენ იმის გამო, თუკი ხელს სთხოვთ (ამ ქალებს) ანდა გულში განიზრახავთ ამას. უწყის ალაჰმა, რომ თქვენ გახსოვთ ისინი. მაგრამ ნურაფერს ეტყვიან მათ მალულად, თვინიერ იმისა, რომ უთხრათ კეთილი სიტყვა.

236. და ნუ დააპირებთ მათთან საქორნილო კავშირს, ვიდრე გავიდოდეს წიგნით დანესებული ვადა. იცოდეთ, ალაჰმა უწყის, რაცა გაქვთ გულში. უფროსილდით მას, და იცოდეთ, ალაჰი შემწყნარებელია, სულგრძელი.

237 (236). და ცოდვა არ გქენეთ, თუ განქორწინდებით იმ ქალებთან, რომელთაც ჯერ არ შეხებიახართ, ანდა არ გიკისრიათ მათ წინაშე რაიმე (საქორნილო) ვალდებულება. დააკმაყოფილეთ ისინი, შეძლებულმა — თავის კვალობაზე და ღარიბმა — თავის კვალობაზე — სიკეთით, რაც შეძლებით კეთილთ.

238. (237). და თუკი განქორწინდებით მათგან მანამდე, სანამ არ შეხებიახართ, საქორნილო ვალდებულება კი უკვე ნაკისრი გაქვთ, მაშინ (მიეცით) — ნახევარი იმისა, რაც იკისრეთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი თვითონ გაპატიებენ და გაპატიებთ ის, ვის ხელთაცაა საქორნილო შეთანხმება.<sup>245</sup> ხოლო თუ აპატიებთ,<sup>246</sup> ეს უფრო ახლოსაა ღვთისმოშიშებასთან და ნუ დაივიწყებთ მადლს თქვენს შორის.<sup>247</sup> ჭეშმარიტად ალასრულეთ, რასაც აკეთებთ!

239 (238). გულმოდგინედ ალასრულეთ ლოცვები და შუა ლოცვა<sup>248</sup>. და ალაჰის წინაშე წარდექით წრფელი გულით.

240 (239). თუ გეშინიათ,<sup>249</sup> მაშინ ილოცეთ ან ფეხით მავალთა, ან ამხედრებულთა. ხოლო როცა სამშვიდობოს გახვალთ, გაიხ-

სენეთ ალაჰი, როგორ გასწავლათ ის, რაც არ იცოდით.<sup>250</sup>

241 (240). იმათ, ვინც გარდაიცვლებიან თქვენგან და დატოვებენ ცოლებს, უანდერძონ თავიანთ ცოლებს იმდენი სარჩო, რომ ერთ წელიწადს (ეყოთ) შინიდან გაუსვლელად. ხოლო თუკი გავლენ, ცოდვა არ გქენეთ იმის გამო, რა სიკეთესაც ისინი თავიანთ თავს მოაწევენ. ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

242 (241). და განქორწინებულ ქალებს (მიეცით) სარჩო სიკეთით, რაც შეჰფერით ღვთისმოშიშებს.

243 (242). ამგვარად განგიცხადებთ ალაჰი თავის სასწაულებს, რათა ეგების კეთილგანსაჯოთ.

244 (243). განა არ გინახავს<sup>251</sup> შენ ისინი, ვინც თავიანთი სამკვიდროდან გამოიდევნენ. და იყვნენ ათასეულნი და უფროსხოდნენ სიკვდილს. უთხრა მათ ალაჰმა: — დაიხოცეთ! — შემდეგ კი გააცოცხლა ისინი.<sup>252</sup> ჭეშმარიტად, ალაჰი მადლიანია ხალხის მიმართ; ხალხის დიდი ნაწილი კი უმადურია.

245 (244). იბრძოლეთ ალაჰის გულისათვის და იცოდეთ — ალაჰი ყოვლისგამგონია, ყოვლისმეცნიერი.<sup>253</sup>

246 (245). და ვინ არის ის, ვინც ასესხებს ალაჰს კეთილ სესხს?!<sup>254</sup> — იგი მას მრავალგზის უფრო უხვად მიაგებს. ალაჰი იჭერს და გასცემს. (საბოლოოდ კი) მას დაუბრუნდებით.

247 (246). აკი ნახე შენ ისრაელის ძეთა წარჩინებულნი — მუსას შემდეგ — რომ ეუბნებოდნენ თავიანთ მოციქულს:<sup>255</sup> დაგვიდგინე ჩვენ მეფე, (რათა) ვიბრძოლოთ ალაჰის გულისთვისო. მიუგო: ეგების არ ისურვოთ თქვენ, როცა გებრძანებათ ბრძოლა, რომ იბრძოლოთ?! მიუგეს: მაგრამ (ახლა) ბრძოლის მეტი აღარა დაგვრჩენია, რადგან მოგვწყვიტეს ჩვენს სახლებსა და ძეგებს. ხოლო როდესაც დაენესათ ბრძოლა, ზურგი იქციეს, მათგან მცირედთა გარდა. ალაჰი კი იცნობს უსამართლოებს.

248 (247). და უთხრა მათ თავიანთმა მოციქულმა: ალაჰმა წარმოგიგზავნათ თქვენ ტალუთი<sup>256</sup> მეფედ. მიუგეს: საიდან უნდა ჰქონდეს მას ჩვენზე მეუფება, როცა ჩვენ მასზე უფრო ღირსნი ვართ მეფობისა?! მას

ხომ დიდძალი ქონება არ მოუტანიაო?! მიუგო: ალაჰმა გამოარჩია იგი თქვენზე; უხვად მისცა მას ძალა მეცნიერებასა და სხეულში. ხოლო ალაჰი უბოძებს თავის მეუფებას, ვისაც ინებებს. ალაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმეცნიერი.

249 (248). და უთხრა მათ მათმა მოციქულმა: მისი მეფობის ნიშანი არის ის, რომ მოგიტანთ კიდობანს,<sup>257</sup> რომელშიაც დევს საქინა<sup>258</sup> — თქვენი უფლისაგან, და ნარჩენი იმისა, რაც დატოვა მუსას სახლეულმა და ჰარუნის<sup>259</sup> სახლეულმა, რომელსაც ეზიდებიან ანგელოსნი. ამაში არის სასწაული თქვენთვის, თუკი ხართ მორწმუნენი.

250 (249). და როდესაც გამოვიდა თვისი მხედრობით, უთხრა მათ: ალაჰი გამოგცდით თქვენ მდინარით.<sup>260</sup> ვინც დაღვეს მისგან, არ იქნება ჩემიანი, ხოლო ვინც არ დაღვეს მისგან და პეშვში არ ჩაიგუბებს, ის ჩემიანი იქნებაო! და დალიეს მისგან, მცირედთა გარდა. ხოლო როდესაც გადალახეს მდინარე მან და იმათ, ვისაც სწამდა მასთან ერთად, თქვეს: არ შეგვიძლია დღეს ჩვენ ჯალუთისა<sup>261</sup> და მისი გუნდის დამარცხებაო. მათ კი, რომლებიც ფიქრობდნენ, ალაჰს შეხვდებითო, განაცხადეს: რამდენ მცირერიცხოვან გუნდს უძლევია მრავალრიცხოვანი გუნდი ალაჰის ნებითო! — და ალაჰი მომთმენთა თანაა.

251 (250). და როდესაც შეებრძოლნენ ჯალუთსა და იმის გუნდს, თქვეს: — ჩვენო უფალო, მოგვმადლე მოთმინება, განამტკიცე ჩვენი მუხლები და გაგვიმარჯვე ურწმუნო ხალხზეო.

252 (251). და უკუაქციეს ისინი ალაჰის ნებით. მოკლა დავუდმა<sup>262</sup> ჯალუთი და მისცა ალაჰმა მას სიბრძნე და ასწავლა, რაც სურდა. ხოლო რომ არ შეეკავებინა ალაჰს ხალხის ერთი ნაწილი მეორისაგან, ქვეყანა წახდებოდა, მაგრამ ალაჰი მადლიანია სამყაროთა მიმართ.

253 (252). ეს არის ალაჰის აიები, რომელთაც გიკითხავთ შენ ჭეშმარიტებით და შენ ხარ ერთი წარმოგზავნილთაგანი.

254 (253). აი, ისინიც — მოციქულნი. ვამჯობინეთ ზოგიერთი ზოგიერთს, მათგან იყო ის, ვისაც დაელაპარაკა ალაჰი<sup>263</sup> და აღამაძლა ზოგიერთი ხარისხებით.<sup>264</sup> მივუბოძეთ 'ისა იბნ მარიამს ცხადი მტ-

კიცებანი და განვამტკიცეთ იგი სინმინდის სულით. ხოლო რომ ენებებინა ალაჰს, არ იბრძოლებდნენ ისინი, ვინც იყვნენ მათ<sup>265</sup> შემდგომ, მას მერე, რაც ებოძათ ცხადი მტკიცებანი; მაგრამ უთანხმოებდნენ და მათგან იყვნენ ისინი, ვინც ირწმუნა, და ისინიც, ვინც არ ირწმუნა, ხოლო რომ ენებებინა ალაჰს, არ იბრძოლებდნენ, მაგრამ ალაჰი იქმს იმას, რასაც ინებებს.

255 (254). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, დახარჯეთ ის, რაც გიბოძეთ, ვიდრე დადგება დღე, როცა არც ყიდვა-გაყიდვა იქნება, არც მეგობრობა და არც შუამდგომლობა. ურწმუნონი კი არიან სწორედ უსამართლონი.

256 (255). ალაჰი<sup>266</sup> — არა არს ღმერთი, თვინიერ მისისა, მარად ცოცხალისა,<sup>267</sup> მინყივარსებულისა.<sup>268</sup> არასოდეს წაართმევს მას თავს თვლემა, არცა ძილი. მისია ყოველი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა. და ვინ არის, ვინც მის წინაშე შუამდგომლობას გაბედავს, ისე თუ მისი ნება არ იქნა, რომელმაც იცის ყველაფერი, რაც მათზე უნინ იყო და რაც იქნება მათ შემდგომ. ხოლო ისინი ვერაფერს მისწვდებიან მისი ცოდნისაგან იმის გარდა, რასაც თვით ინებებს. გაშლილია მისი ტახტი<sup>269</sup> ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და არ უჭირს ამ ორის დაცვა. ჭეშმარიტად, იგი მაღალია, დიდებული.

257 (256). არანაირი იძულება<sup>270</sup> — სარწმუნოებაში!<sup>271</sup> გარჩეულია ჭეშმარიტი გზა გზაბნევისგან. ხოლო ვინც არ დაუჯერებს ტალუთს<sup>272</sup> და ირწმუნებს ალაჰს, მოეჭიდება მტკიცე თოქს, რომელსაც ერთი ნაპობიც კი არსადა აქვს. ალაჰი ყოვლისგამგონია, ყოვლისმეცნიერი.

258 (257). ალაჰია მეგობარი მათი, ვინც ირწმუნა; გამოიყვანს მათ სიბნელიდან სინათლეში.<sup>273</sup>

259. ხოლო მათი მეგობარი, ვინაც არ ირწმუნა, ტალუთია. ისინი არიან ცეცხლის ბინადარნი. იქნებიან იქ მარადიულნი.

260 (258). განა არ გინახავს ის, ვინც ეკამათებოდა<sup>274</sup> იბრაჰიმს მისი უფლის თაობაზე, რომ მისცა მას ალაჰმა მეუფება. უთხრა იბრაჰიმმა: — ჩემი უფალია ის, რომელიც აცოცხლებს და კლავს. მიუგო: — მე ვაცოცხლებ და ვკლავო. უთხრა: ალაჰს

ამოჰყავს მზე აღმოსავლეთით და ჩაჰყავს — დასავლეთით. და დაიბნენ ისინი, ვინც იყვნენ ურწმუნონი. ალაჰი კი არ უწინამძღვრებს უსამართლო ხალხს.

261 (259). იმისა არ იყოს, ვინც ჩაუარა ერთ სოფელს,<sup>275</sup> დანგრეულს; და თქვა: როგორ გააცოცხლებს ალაჰი ამას სიკვდილის შემდეგო?! — დამოკლა თვითონ იგი ალაჰმა ასი წლით, მერე გააცოცხლა და ჰკითხა: — აქ რამდენ ხანს დაჰყავო? მიუგო: — ერთ-ორ დღეს დაგყავიო! უთხრა: არამედ ას წელიწადს დაჰყავ, მაგრამ შეხედე შენს საქმელ-სასმელს, არც კი შეცვლილა და შეხედე შენს სახედარს, რათა დაგადგინოთ შენ სასწაულად — ხალხისათვის და შეხედე ძვლებს — როგორ აღვადგენთ და შემდეგ ხორციით როგორ ვმოსავთო! ხოლო როცა განემარტა მას, თქვა: ვიცი, ალაჰი ყოვლის-შემძლეაო.

262 (260). და აი, უთხრა იბრაჰიმმა: ჩემო უფალო, მიჩვენე მე, როგორ აცოცხლებ მკვდრებსო!<sup>276</sup> ჰკითხა: განა არა გჯერაო? მიუგო, როგორ არა, მაგრამ (მაინც) მინდა, გული დავირწმუნო. მიუგო: მამ აიღე ოთხი ჩიტი;<sup>277</sup> (მათი ხორცი ერთმანეთში აურიე) და ცოტა ხანს შენთან გქონდეს. მერე მათი ნაწილები (სათითაოდ) ყველა გორაკზე დააწყვე, დაუძახე — სასწრაფოდ შენკენ გამოფრინდნენ და იცოდე, რომ ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

263 (261). მათი ამბავი, ვინც ხარჯავს ქონებას ალაჰის გულისათვის, ჰგავს იმ მარცვლის ამბავს, რომელიც აღმოაცენებს შვიდ თავთავს; თითოეულ თავთავში კი ასი მარცვალია. ალაჰი გაამრავლებს იმას, ვისაც ინებებს. ალაჰია ყოვლისმომცველი, ყოვლისმეცნიერი.

264 (262). ისინი, ვინც ხარჯავს ქონებას ალაჰის გულისათვის და უკან არ გაჰყვებიან იმას, რაც დახარჯეს — დაყვედრებითა და გაავებით — მათი სასყიდელი მათ უფალთანაა. შიში არ ექნეთ, არ ინაღვლონ.

265 (263). კეთილი სიტყვა და პატიება უმჯობესია მონყალეებაზე, რომელსაც შემდეგ დაცინვა მოჰყვება. ალაჰი დაუჭირებელია, სულგრძელი.

266 (264). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ ჩაფარცხავთ თქვენს მონყალეებებს ყვედრებითა და დამუნათებით, იმის მს-

გავსად, ვინც მონყალეებად გასცემს თავის ქონებას ხალხის დასანახად, ალაჰი და დღე უკანასკნელი კი არა სწამს. მისი ამბავი ჰგავს იმ მოტიტვლებული ტაფობის ამბავს, რომელიც (ოდნავ) მინითაა დაფარული: დაეწვიება თავსხმა და დარჩება მხოლოდ კლდე. ისინი ვერაფერში მოიხმარენ იმას, რაც მოინაგრეს და ალაჰი არ უწინამძღვრებს ურწმუნო ხალხს.

267 (265). მათი ამბავი კი, ვინც თავის ქონებას ალაჰის კმაყოფილებისათვისაც ხარჯავს და განსამტკიცებლადაც საკუთარი სულისა, ჰგავს მალლობზე გაშენებულ ნალკოტს, რომელსაც თუ თავსხმა დააწვიმს, ნაყოფ-საზრდოს ორმაგად დაისხამს. ხოლო თუ ძლიერი თავსხმა არ დააწვიმს, მაშინ უუჟუნა წვიმა (ეპკურება) და ალაჰი ხედავს, რას აკეთებთ!

268 (266). განა სურს ვინმე თქვენგანს, რომ ჰქონდეს ფინიკის ბალი ან ვენახი, რომელთა ნიაღაც მიედინებიან მდინარენი და ჰქონდეს მათში ყოველგვარი ნაყოფი. მაგრამ როცა დაბერდება, შთამომავლობა კი უძღური ეყოლება, დაეცეს მის ბალს ეღვა, რომელშიც იქნება ცეცხლი და დაიბუგოს? ამგვარად განგიცხადებთ ალაჰი თქვენ სასწაულებს, რათა ეგების დაფიქრდეთ!

269 (267). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ისარგებლეთ იმ სიკეთით, რაიც მოინაგრეთ და რაც აღმოვაცენეთ თქვენთვის მინიდან. და ნუ მიეღვით საძაგელს, რომელსაც დახარჯავთ;

270. რისი აღებაც ისე არ შეგიძლიათ, თუ თვალი არ დახუჭეთ. იცოდეთ: ალაჰი დაუჭირვებელია, ყოვლადქებული!

271 (268) შაითანი გპირდებათ თქვენ სიღატაკეს და გიბრძანებთ სიბილწეს. ალაჰი კი გპირდებათ თავის პატიებასა და მადლს. ალაჰია ყოვლისმომცველი, ყოვლისმეცნიერი.

272 (269). უბოძებს სიბრძნეს, ვისაც ინებებს. ხოლო ვისაც ებოძა სიბრძნე, მიეცემა უამრავი სიკეთე. ამას კი ვერაფერს გაიგებს, გონიერთა გარდა.

273 (270). რა მონყალეებაც უნდა გაიღოთ და რა შესანიირიც უნდა შესწიროთ, უწყის ის ალაჰმა. ხოლო უსამართლოთ არ ეყოლებათ შემწეები. (271). თუ ამკარად გასცემთ მონყალეებას, კარგია. ხოლო თუკი ფარავთ და ისე

აძლევთ მას უპოვრებს, უკეთესია თქვენთვის; განგნმნდთ თქვენ იგი სიავეთაგან და ალაჰმა უწყის, რასაც აკეთებთ.

274 (272). არ გვევალება შენ (მუჰამად) წინამძღვრობა, არამედ ალაჰი უწინამძღვრებს, ვისაც ინებებს. რა სიკეთესაც მონყალებად გაიღებთ, თქვენი თავისთვის. და რამონყალებასაც გაიღებთ, მარტოდენ ალაჰის სახიერების<sup>278</sup> სურვილით. რა მონყალებასაც გასცემთ, მოგეცემათ თქვენ და არ დაიჩაგრებით! (273). ღარიბთათვის, რომელნიც მოზღუდულნი არიან ალაჰის გზაზე და არ შეუძლიათ (საკუთარი სარგებლისათვის) სიარული ქვეყანაზე; იფიქრებს უგუნური, რომ ისინი მდიდარნი არიან, მათი მოკრძალებულობისა გამო. შეიცნობ მათ მათი გამომეტყველების მიხედვით, (თუმცა კი) მონყალების თხოვნით ხალხს თავს არ აბეზრებენ.<sup>279</sup> და რა სიკეთესაც გაიღებთ, იცის ალაჰმა.

275 (274). რომლებიც ხარჯავენ თავიანთ ქონებას დღისით და ღამით, ცხადად და ფარულად, მათ უფალთანაა საზღაური მათი. შიში არ ჰქონდეთ, არ ინალვლონ.

276 (275). ხოლო ისინი, რომლებიც ეწევიან მევახშეობას,<sup>280</sup> (განკითხვის დღეს) აღსდგებიან მხოლოდ იმათ მსგავსად, ვინც შაითანმა გააგია თავისი შეხებით.<sup>281</sup> ეს იმიტომ, რომ თქვეს — ვაჭრობა მევახშეობის მსგავსიაო. მაშინ, როცა ალაჰმა ვაჭრობა ნებადართულად სცნო, მევახშეობა კი აკრძალა. და მას, ვინც მიიღო გაფრთხილება თვისი უფლისაგან და ხელი აიღო (მევახშეობაზე), შერჩება ის, რასაც უწინ იქმდა და მისი საქმე ალაჰის წიაღაა. ხოლო ვინც ისევ გაიმეორებს (ამ ცოდვას), ისინი ცეცხლის ბინადარნი არიან და იქნებიან იქ მარადიულნი.

277 (276). ალაჰი მკაცრად ძირკვავს მევახშეობას და ნერგავს მონყალების გაღებას. ალაჰს არ უყვარს ურწმუნონი და ცოდვილნი. (277). ისინი კი, რომელთაც ირწმუნეს და იქმოდნენ სიკეთეს, დგებოდნენ ლოცვად და გასცემდნენ ზაქათს, — მათი საზღაური მათ უფალთანაა; შიში არ ექნეთ, არ ინალვლონ.

278 (278). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალაჰისა და უარი თქვით იმაზე, რაც დაგრჩათ ვახშისაგან, თუ ხართ

მორწმუნენი.

279 (279). და თუკი ამას არ იქმთ, მაშინ გეცხადებათ ომი ალაჰისა და მისი მოციქულისაგან. ხოლო თუ ხელს აიღებთ (მევახშეობაზე), თქვენი იქნება თქვენივე ქონების თავნი. არ დაჩაგროთ და არ დაიჩაგრებით!

280 (280). და თუ (თქვენი მოვალე) ხელმოკლეა — მაშინ დაცდა კეთილდღეობამდე! ხოლო თუკი მონყალებად მისცემთ, უკეთესი იქნება, რომ იცოდეთ!

281 (281). და გეშინოდეთ იმ დღისა, როცა ალაჰის წიაღ იქნებით დაბრუნებულნი; მაშინ ყოველი სული უკლებლივ მიიღებს იმას, რაც შეაგროვა, და არ იქნებიან ისინი დაჩაგრულნი.

282 (282). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, თუ ასესხებთ ერთმანეთს რაიმეს განსაზღვრულ დრომდე, მაშინ ჩაინერეთ ის და დაწეროს ვინმე მწერალმა სამართლიანობით. არ შეიძლება უარი თქვას მწერალმა, რომ დაწეროს ისე, როგორც ალაჰმა ასწავლა. დაე, დაწეროს! ხოლო იმან უკარნახოს, ვინც ვალს აიღებს, ეშინოდეს ალაჰისა და ნუ გადაამეტებს იმისგან რაიმეს. ხოლო თუკი იგი, ვინც ვალს აიღებს, იქნება გონებაჩლუნგი ან უძლური<sup>282</sup> და არ ხელენიფება, რომ უკარნახოს, მაშინ უკარნახოს მისმა მეურვემ სამართლიანად. და დაიმონმეთ ორი მონმე თქვენი კაცებიდან. ხოლო თუ ორი კაცი არ არის, მაშინ ერთი კაცი და ორი ქალი იხმეთ — ის მონმენი, რომლებზედაც თანახმანი ხართ. და თუ ერთ ქალს შეეშლება, მეორემ შეახსენოს. უარი არა თქვან მონმეებმა, როცა წვეულნი იქნებიან. და ნუ დაიზარებთ ჩაინეროთ ვალი — მცირე თუ დიდი — თავის ვადამდე. ეს ალაჰის წინაშე ყველაზე დიდი სამართლიანობაა, ყველაზე უფრო საჭიროა მონმეობისათვის და ყველაზე უკეთ აღმოფხვრის თქვენს ეჭვებს იმ შემთხვევის გარდა, თუკი თქვენ ერთმანეთში ნაღდ ფულზე ეწევით ვაჭრობას და გინდათ იგი, ცოდვა არ გექნეთ, თუკი ამას წერილობით არ დაადასტურებთ. მონმეები კი იხმეთ ყოველთვის, როცა ვაჭრობთ ერთმანეთში, და ნუ იქნება ძალადობა ნურც მწერალზე და ნურც მონმეებზე. ხოლო თუკი ამას იქმთ, ეს დიდი უკეთურება იქნება, და გეშინოდეთ ალაჰისა. ალაჰმა განგსწავლათ თქვენ და



ალაჰმა უწყის ყველაფერი.

283 (283). და თუ სამოგზაუროდ იქნებით და მწერალს ვერსად მონახავთ, მაშინ თქვენზეა — დატოვოთ წინდი. ხოლო თუკი ერთი თქვენგანი ენდობა მეორე თქვენგანს, იგი, ვისაც ენდენ, მოვალეა, წინდი უკან დაუზიანებლად დააბრუნოს, ეშინოდეს ალაჰისა — თავისი უფლისა, და ნუ დამალავს მონშეობას. ის, ვინც დამალავს მონშეობას, შესცოდავს გული მისი და ალაჰმა იცის, რას აკეთებთ!

284 (284). ალაჰისაა ყოველი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა. გინდ ამჟღავნებდეთ, გინდ ფარავდეთ, ალაჰი იმის მიხედვით განგსჯით, რაც გულში გაქვთ: შეუწოდებს იმას, ვისაც ინებებს, და დასჯის იმას, ვისაც ინებებს. ალაჰი ყოველის შემძლეა.

285 (285). ირწმუნა მოციქულმა ის, რაც ზეგარდმოვლენილი იქნა მასზე მისი უფლისაგან და ირწმუნა ყველა მორწმუნემ ალაჰი, მისი ანგელოსები, მისი წიგნები და მოციქულები; არ განვასხვავებთ ჩვენ არცერთ მათგანს. იტყვიან: ვისმენტ და ვემორჩილებით შენს მოწყალებას, ჩვენო უფალო, და შენთანაა თავშესაფარიო.

286 (286). არ დაავალდებულებს ალაჰი არცერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას შეუძლია. მას ექნება, ის, რაც შეიძინა და მასზე იქნება ცოდვა იმისა, რაიც მოიხვეჭა. ჩვენო უფალო, ნუ დაგვსჯი, თუკი უნებურად რამე დაგვაინწყდა, ანდა უნებლიეთ შევცოდეთ. უფალო, ნუ დაგვაკისრებ იმ სიმძიმეს, რაც დააკისრე მათ, ვინც ჩვენზე უწინ იყო. ჩვენო უფალო, ნუ დაგვაავალდებულებ იმას, რისი ზიდვაც არ შეგვიძლია. მოგვიტევე, გვაპატიე და შეგვიწყალე. შენა ხარ ჩვენი მბრძანებელი და გაგვიმარჯვე ურწმუნო ხალხზე!



სურა III

**‘იმრანის სახლეშული’  
მედინური, ორასი აია  
სახელითა ალაჰისა, მონყალისა,  
მწყალობლისა**

1 (1). ალიფ, ლამ, მიმ. (2). ალაჰი — არა არს ღმერთი თვინიერ მისისა — მარადის ცოცხალისა, მინყიფ არსებულისა!

2 (3). გარდმოავლინა შენზე<sup>2</sup> წიგნი<sup>3</sup> ჭეშმარიტებით, დასტურად იმისა, რაც იყო ადრე, და გარდმოავლინა თავრათი<sup>4</sup> და ინჯილი.<sup>5</sup>

3 უწინ, ჭეშმარიტ გზად ხალხისათვის, და გარდმოავლინა განსხვავება.<sup>6</sup> ხოლო ვინც არ ერწმუნა ალაჰის აიებს, მათ — სასჯელი მტანჯველი, და ალაჰი ძლიერია, შურისმგებელი.

4 (5). ალაჰს არ დაემალება რაიმე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. (6). იგია ის, ვინც გამოგსახათ თქვენ საშოებში, როგორც ინება. არა არს ღმერთი, თვინიერ მისისა, ძლევა მოსილისა, ბრძენთა ბრძენისა!

5 (7). იგია ის, ვინც გარდმოგივლინა შენ<sup>7</sup> წიგნი; მათგან მტკიცე აიები<sup>8</sup> წიგნის დედაა,<sup>9</sup> ხოლო სხვანი — მიმსგავსებულნი.<sup>10</sup> ისინი კი, ვის გულებშიც ეჭვია, მიჰყვებიან (ამ აიათაგან) იმას, რაც არის მიმსგავსებული, — ცდუნების წყურვილითა და მისი<sup>11</sup> განმარტების წადილით. ხოლო მათი განმარტება არავინ უწყის, თვინიერ ალაჰისა. მეცნიერებაში განმტკიცებულნი<sup>12</sup> კი ამბობენ: ჩვენ ვირწმუნეთ იგი სრულად, ჩვენი უფლისგან არისო — და სხვაგვარად არ მოიხსენიებიან ისინი, თუ არა, როგორც გონების მქონენი.<sup>13</sup>

6 (8). ჩვენო უფალო, ნუ მიაკარებ მნიკვლს ჩვენს გულებს, იმის შემდეგ, რაც გვინინამძღვრე, წყალობა გვიყავ, რადგან შენა ხარ მომნიჭებელი.<sup>14</sup>

7 (9). ჩვენო უფალო, შენ შეკრებ ხალხს იმ დღისათვის, რომელშიაც არ არის ეჭვი.<sup>15</sup> ჭეშმარიტად, ალაჰი არ შეცვლის შეხვედრის დროსა და ადგილს.<sup>16</sup>

8 (10). მათ კი, ვინც არ ირწმუნა, ვერაფერში შეეწიოთ თავიანთი ქონება და შვილები ალაჰის წინაშე. ისინი იქნებიან სახმილნი ცეცხლისა.<sup>17</sup>

9 (11). სწორედ მსგავსად ფარაონის სახლეულისა და მათი, ვინც იყვნენ მათზე უნინ, რომელნიც არ უჯერებდნენ ჩვენს სასწაულებს. ალაჰმა დასაჯა ისინი თავიანთი ცოდვების გამო და ალაჰი სასტიკსაზღაურია.<sup>18</sup>

10 (12). უთხარი მათ, რომლებიც იყვნენ ურწმუნონი — იძლევიტ და შეიკრიბებიტ ჯოჯოხეთში და რა საძაგელია ეს თავშესაფარი.

11 (13). უთხარი: იყო თქვენთვის სასწაული, — ორი ლაშქარი, ერთმანეთს რომ შეება.<sup>19</sup> ერთი ლაშქარი იბრძოდა ალაჰის გულისათვის, ხოლო მეორე იყო ურწმუნო, რომელთაც თვალდათვალ მოწინააღმდეგეთა რიცხვი ორჯერ მეტი ეჩვენებოდათ. ხოლო ალაჰი გაძლიერებს თავის შეწევნით, ვისაც ინებებს, და არის ამაში შეგონება სახედველის მქონეთათვის.<sup>20</sup>

12 (14). ემშვენიერება ხალხს ხორციელი სიყვარული ქალებისა, შვილებისა, ოქრო-ვერცხლის მითათა, დარახტული ცხენებისა, საქონლისა და ნახნავ-ნათესისა. ეს არის წუთისოფლის სახსარი. ალაჰის წიაღი უკეთესი სამკვიდროა.

13 (15). უთხარი: განა არ მოგახარებთ ჩვენ ამათზე უკეთესს მათ, ვინც მოშიშია ღვთისა. მათ უფალს აქვს ნალკოტები, რომელთა წიაღაც მიედინებიან მდინარენი. იქნებიან იქ მარადიულნი, ეყოლებათ (მუდმივად) განწმენდილი წყვილები, ექნებათ კმაყოფილება ალაჰისა და ალაჰი მიხედავს მონებს.

14 (16). და მათ, რომლებიც ამბობენ, უფალო ჩვენო, ჩვენ ვირწმუნეთ; მოგვიტევე ცოდვები და დაგვიცავი ცეცხლის სასჯელისგანო,

15 (17). მომთმენთ, მართალთ, თავშეკავებულთ, მონყალების გამღებთ, პატიების მთხოვნელთ განთიადის<sup>21</sup> ლოცვებისას.

16 (18). ამონმებს ალაჰი, რომ არა არს ღმერთი თვინიერ მისისა და (ამონმებენ) ანგელოსნი და მცოდნენი,<sup>22</sup> რომლებიც მტკიცედ იცავენ სამართლიანობას,<sup>23</sup> რომ არა არს ღმერთი თვინიერ მისისა, ძლევა-მოსილისა, ბრძენთა ბრძენისა.

17 (19). ჭეშმარიტად, სჯული ალაჰის წინაშე არის მორჩილება (ისლამი).<sup>24</sup> არ უთანხმოებდნენ ისინი, რომელთაც ებოძათ

წიგნი,<sup>25</sup> ვიდრე არ მიეცათ ცოდნა, შემდგომ კი შეშურდათ ერთმანეთის. ხოლო ის, ვინც არ ირწმუნებს ალაჰის აიებს, ალაჰი სწრაფია ანგარიშსწორებისას.<sup>26</sup>

18 (20). და თუ შეგეკამათნენ,<sup>27</sup> უთხარი: დაუზმორჩილე ხატი ჩემი ალაჰს<sup>28</sup> და (ასევე მოიქცენე) ისინი, ვინც მე მომყვება.

19 უთხარი მათ, ვისაც ებოძა წიგნი<sup>29</sup> და უცოდინართ:<sup>30</sup> დამორჩილდით (გამუსლიმდით!) და, თუკი დამორჩილდებიან (გამუსლიმდებიან), ჭეშმარიტ გზაზე დადგებიან; ხოლო თუ ზურგს იბრუნებენ, შენზეა მხოლოდ შეტყობინება,<sup>31</sup> ალაჰი კი მიხედავს თავის მონებს.

20 (21). მათ, რომელთაც არ ირწმუნეს ალაჰის აიები, რომლებიც ხოცავდნენ მოციქულებს უსამართლოდ<sup>32</sup> და ხოცავდნენ იმ ხალხს, ვინც მოუწოდებდა სამართლიანობისაკენ, სწორედ მათ მიახარე სასჯელი მტანჯველი.

21 (22). სწორედ ესენი არიან, ვისი საქმენიც ჩაიფარცხა წუთისოფელშიც და ზესთასოფელშიც და არ ეყოლებათ მათ შემწნეები.

22 (23). განა არ გინახავს ისინი, რომელთაც ებოძათ წიგნის რაღაც ნაწილი.<sup>33</sup> ისინი მიპატიჟებულნი იყვნენ ალაჰის წიგნთან, რათა მას განესაჯა მათ შორის. შემდგომ კი, პირი იბრუნა მათმა ნაწილმა და იყვნენ წინააღმდეგნი.

23 (24). ეს იმის გამო, რომ თქვეს: არ შეგვეხება ჩვენ ცეცხლი, გარდა განსაზღვრული დღეებისაო,<sup>34</sup> და შეაცდინა ისინი თავიანთ რწმენაში იმან, რასაც თხზავდნენ.

24 (25). მაშ, ის როგორღა იქნება, როცა შეგვკრებთ მათ იმ დღეს, რომელშიაც არ არის ეჭვი; მიეგება ყოველს ულს, რაც მოიხვეჭა, და არ იქნებიან ისინი დაჩაგრულნი.

25 (26). თქვი: ჩემო ღვთაებავ, მეუფეო სამეუფოსი. აძლეე მეფობას, ვისაც ინებებ, და ართმეე მეფობას, ვისაც ინებებ; განადიდებ, ვისაც ინებებ, და აკნინებ, ვისაც ინებებ, შენს ხელთაა კეთილდღეობა, რადგანაც შენ ყოვლისშემძლე ხარ.

26 (27). შეაყუჟებ ღამეს დღის წიაღში და შეაყუჟებ დღეს ღამის წიაღში; ამოიყვან ცოცხალს მკვდრისაგან და ამოიყვან მკვდარს ცოცხალისგან; და სარჩოს აძლეე,

ვისაც ინებებს, უანგარიშოდ.

27 (28). არ აირჩიონ მორწმუნეებმა ურწმუნონი მეგობრებად, გარდა მორწმუნეთა; და ვინც ამას იქმს, მისხალი(წყალობა)ც არ ექნება ალაჰისაგან; გარდა (იმ შემთხვევისა), თუკი მათგან რაიმე ხიფათი გემუქრებათ. (ამით) ალაჰი გაფრთხილებთ თქვენ თავისი (სასჯელის) თაობაზე და ალაჰისკენ არის თქვენი მისაქცეველი. (29). უთხარი: გინდ მაღავედეთ იმას, რაც თქვენს გულეშია, გინდ ამჟღავნებდეთ — უწყის ალაჰშია. უწყის, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა. და ალაჰი ყოვლისშემძლეა.

28 (30). იმ დღეს, როცა თავის წინ იპოვნის ყოველი სული იმას, რა სიკეთეც ქმნა და რა სიავეც ჩაიდინა, და ინატრებს, რომ მასა და (თავის გაკეთებულს შორის)<sup>35</sup> ვრცელი დაშორება გაჩნდეს. გაფრთხილებთ თქვენ ალაჰისათვის (სასჯელის) თაობაზე, და ალაჰი სულგრძელია მონათა მიმართ.

29 (31). უთხარი: თუ გიყვართ ალაჰი, მე გამომყევით და შეგიყვარებთ ალაჰიც, მოგიტევებთ შეცოდებებს, რადგან ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი. (32). უთხარი: დაემორჩილეთ ალაჰსა და მოციქულს, ხოლო თუკი პირს იბრუნებთ, მაშინ — ალაჰს არ უყვარს ურწმუნონი.

30 (33). ჭეშმარიტად,<sup>36</sup> ალაჰმა გამოარჩია ადამი, ნუჰი,<sup>37</sup> იბრაჰიმის სახლეული და 'იმრანის სახლეული სამყაროთა შორის. (34). საგვარეულოდ — ერთმანეთისაგან,<sup>38</sup> და ალაჰი ყოვლისგამგონეა, ყოვლისმეცნიერი.

31 (35). და აი, უთხრა 'იმრანის ცოლმა:<sup>39</sup> — ჩემო უფალო, მე შემოგწირე ის, რაც არის ჩემს მუცელში, ვითარცა აზატყოფილი,<sup>40</sup> და შეინყნარე იგი ჩემგან, რადგან შენ ხარ ყოვლისგამგონე, ბრძენთა ბრძენი. (36). და როდესაც შვა იგი, თქვა: ჩემო უფალო, მე დავბადე მდედრი! — ალაჰმა კი უკეთ იცოდა, რაც მან დაბადა; რადგან კაცი არ არის ქალის მსგავსი. — და მე დავარქვი მას მარიამი;<sup>41</sup> გაბარებ შენ მასა და მის მოდგმას — ჩაქოლილი<sup>42</sup> შაითანისაგან დასაცავად.

32 (37). და შეინყნარა ის მისმა უფალმა კეთილი შენყნარებით და აღმოაცენა იგი მშვენიერ მცენარედ.<sup>43</sup> და მიაბარა<sup>44</sup> აღსაზრდელად ის ზაქარიას.<sup>45</sup> როცა კი ზაქარია შევიდოდა მიჰრაბში,<sup>46</sup> ხედავდა, რომ მის

წინ იდო სარჩო<sup>47</sup> და ჰკითხავდა: — მარიამ, საიდან გაქვს ეს შენ?! მიუგებდა: — ეს — ალაჰისგანაა, რადგან ალაჰი სარჩოს მისცემს, ვისაც ინებებს, უანგარიშოდ.

33 (38). ამ დროს ლოცულობდა ზაქარია თავისი უფლისადმი და იტყოდა: ჩემო უფალო, მიბოძე შენგან კეთილი მოდგმა, რადგან შენა ხარ ლოცვათა შემსმენელი. (39). და დაუძახეს ანგელოსებმა<sup>48</sup> მაშინ, როცა ლოცვად იდგა მიჰრაბში:

34 ალაჰი გაგახარებს შენ იაჰიათი<sup>49</sup> — დასტურად ალაჰის სიტყვისა,<sup>50</sup> ბატონად, თავმოზღუდულად<sup>51</sup> და მოციქულად მართალთაგანო.

35 (40). უთხრა: ჩემო უფალო, საიდან მეყოლება მე ძე მაშინ, როცა სიბერის სიძაბუნე მომწევია და ჩემი ცოლიც უნაყოფოა. მიუგო:<sup>52</sup> ალაჰი ამგვარად იქმს იმას, რასაც ინებებს.

36 (41). უთხრა: უფალო, მომეცი ნიშანი! მიუგო: შენი ნიშანია ის, რომ დაელაპარაკები ხალხს სამი დღის მანძილზე მხოლოდ მინიშნებებით. ახსენე შენი უფალი ბევრჯერ და განადიდე იგი შებინდებისას და რიჟრაჟისას.

37 (42). და აი, უთხრეს ანგელოსებმა: ო, მარიამ, ალაჰმა გამოგარჩია შენ, განგწმინდა და გამოგარჩია სამყაროთა ქალებში.

38 (43). ო, მარიამ, წრფელად დაემონე შენს უფალს, თაყვანი ეც და მუხლი მოუყარე მუხლმომყრელებთან ერთად.

39 (44). ეს არის დაფარულის<sup>53</sup> ერთ-ერთი ამბავი, რომელიც შენ<sup>54</sup> გამოგიცხადეთ; და შენ არ ყოფილხარ მათთან, როდესაც წილი ჰყარეს (იმაზე),<sup>55</sup> რომელი მათგანი ჩაიბარებდა მარიამს სამეურვეოდ, და არ ყოფილხარ მათთან, როცა ისინი (ამის გამო) შუღლობდნენ.<sup>56</sup>

40 (45). და აი, უთხრეს ანგელოსებმა: მარიამ, ალაჰი გაგახარებს შენ თავისი სიტყვით.<sup>57</sup> მისი სახელია ალ-მასიჰ 'ისა იბნ მარიამი.<sup>58</sup> — ღირსეული ნუთისოფელშიც და ზესთასოფელშიც და ერთ-ერთი დაახლოებულთაგანი.<sup>59</sup>

41 (46). და დაელაპარაკება ხალხს აკვნიდანვე, როგორც მონიფული, და იქნება ერთ-ერთი ნეტარი.

42 (47). უთხრა: — ჩემო უფალო, საიდან მეყოლება მე ძე, როცა ჯერ კაცი არ შემხე-

ბია. მიუგო: ამგვარად; ალაჰი იქმს იმას, რასაც ინებებს. როცა გადაწყვეტს საქმეს, საკმარისია, უთხრას მას — „იყავნ!“ — და იქნება.<sup>60</sup>

43 (48). შეასწავლის მას ნიგნს, თავრათსა და ინჯილს (49) და გაგზავნის მოციქულად ისრაელის ძეებთან (რომელთაც ეტყვის): მე მოგიტანეთ სასწაული თქვენი უფლისაგან. მე გაგიკეთებთ თიხისაგან ჩიტის ქანდაკს,<sup>61</sup> ჩავბერავ მას სულს და იქნება ფრინველი, ალაჰის ნებით. გამოვაჯანსაღებ დაბადებით ბრძმებსა და კეთროვანთ, გავაცოცხლებ მკვდრებს, ალაჰის ნებით, და გაცნობებთ იმას, რას ჭამთ და რას იმარაგებთ შინ. ჭეშმარიტად, ამაში სასწაულია თქვენთვის, თქვენ რომ იყოთ მორწმუნენი.

44 (50). და დამადასტურებლად თავრათისა, რომელიც იყო ჩემზე უნინ, რათა ნებადართულ ვყო თქვენთვის ზოგიერთი რამ, რაც ადრე გეკრძალებოდათ და მოგიტანოთ სასწაული თქვენი უფლისაგან. მაშ, გეშინოდეთ ალაჰისა და მე დამემორჩილეთ! (51). ჭეშმარიტად, ალაჰი არის ჩემი უფალი და თქვენი უფალი. მაშ, დაემონეთ მას — ეს არის გზა პირდაპირი.

45 (52). და როცა 'ისამ იგრძნო მათგან ურწმუნობა, ჰკითხა: — ვინ იქნება ჩემი შემნე ალაჰის გზაზე?! მიუგეს მახარებლებმა:<sup>62</sup> — ჩვენ ვართ შემნენი ალაჰისა, გვნამს ალაჰი და ვამონებთ, რომ ვართ მორჩილნი (მუსლიმნი).

46 (53). ჩვენო უფალო, გვნამს იმისა, რაც გარდმოგვივლინე და მივყვებით (მოციქულს). მაშ, ჩაგვწერე ჩვენც მონმეთა თანაო!

47 (54). ხერხი იხმარეს, და მოიხმარა ხერხი ალაჰმა და ალაჰია ყველაზე უფრო მოხერხებულნი.

48 (55). და აი, უთხრა ალაჰმა: 'ისა, მე შენ მიგცვლი,<sup>63</sup> ამოგამალლებ ჩემთან<sup>64</sup> და წმინდაგყოფ მათგან, ვინც იყვნენ ურწმუნონი. და დავადგენ იმათ, შენ რომ მოგყვებოდნენ, მათ ზემოთ, ვინც იყვნენ ურწმუნონი — აღდგომის დღეს. შემდეგ, ჩემთან იქნება თქვენი დასაბრუნებელი და განვსჯი თქვენს შორის იმას, რაზეც ვერ თანხმდებოდით.

49 (56). იმათ, ვინც იყვნენ ურწმუნონი, დავსჯი უმკაცრესი სასჯელით წუთი-

სოფელშიც და ზესთასოფელშიც და არ ეყოლებათ მათ შემნენი.

50 (57). ხოლო ისინი, ვისაც სწამდა და კეთილ საქმეთ აღასრულებდა... მივაგებ მათ თავიანთ საზღაურს და ალაჰს არ უყვარს უსამართლონი!

51 (58). ეს არის აიები, რომელთაც გიკითხავთ შენ, და ბრძნული შეგონება.

52 (59). 'ისას იგავი ალაჰისათვის იგივეა, რაც იგავი ადამისა, რომელიც მან მიწისგან შექმნა. შემდეგ უთხრა მას — იყავნ! — და იქმნა.<sup>65</sup>

53 (60). ჭეშმარიტებაა<sup>66</sup> შენი უფლისაგან და ნუ იქნები დაეჭვებულთაგანი.

54 (61). ხოლო იმას, ვინც შეგედავება ამის თაობაზე, მას შემდეგ, რაც შენ გებოძა ცოდნა, უთხარი: მოდით, დაუძახეთ ჩვენს ძეთა და თქვენს ძეთ, ჩვენს ცოლებსა და თქვენს ცოლებს,<sup>67</sup> ჩვენც და თქვენც. შემდგომ ვილოცოთ და ალაჰის წყევლა დავანყვიტოთ მატყუარებსო.

55 (62). აი, ეს არის ჭეშმარიტი ამბები და არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა, და ალაჰი — აი, ვინ არის ძლევა მოსილი, ბრძენთა ბრძენი!

56 (63). ხოლო თუ პირს იბრუნებთ, ალაჰი მცოდნეა უკეთურთა.

57 (64). უთხარი:<sup>68</sup> ო, ნიგნის მქონენო, მოდით თანასწორობის სიტყვასთან, ჩვენსა და თქვენ შორის: ნუ დავემონებთ სხვას, თვინიერ ალაჰისა, ნუ ჩავუზიარებთ მას რაიმეს და არ ამოვირჩიოთ ერთმანეთი მეუფეებად, თვინიერ ალაჰისა! — და თუ მაინც პირს იბრუნებენ, უთხარი:თ: ვამონმებთ, რომ ჩვენ ვართ მორჩილნი (მუსლიმნიო)!

58 (65). ო, ნიგნის მქონენო, რატომ კამათობთ იბრაჰიმის თაობაზე მაშინ, როცა თავრათიც და ინჯილიც სწორედ მის შემდეგ გარდმოვევლინა?!<sup>69</sup> განა ვერ კეთილგანსჯით?!

59 (66). თქვენ ხომ სწორედ ისინი ხართ, ვინც კამათობთ იმის თაობაზე, რა ცოდნაც გაბადიათ. მაშ რაღად კამათობთ იმის შესახებ, რისი ცოდნაც არ გაგაჩნიათ?! ალაჰმა უწყის, თქვენ კი არ იცით!

60 (67). არ ყოფილა იბრაჰიმი არც იუდეველი და არც ნაზარეველი,<sup>70</sup> არამედ, იყო იგი ჰანიფი მორჩილი (მუსლიმი) და არა

ყოფილა წარმართთაგანი.

61 (68). ყველაზე უფრო ახლობელნი იბრაჰიმისა იყვნენ ისინი, ვინც მას მიჰყვებოდა, ეს წინასწარმეტყველი,<sup>71</sup> და ისინი, რომელთაც ირწმუნეს. ალაჰი კი მეგობარია მორწმუნეთა!

62 (69). და მოინდომა წიგნის მქონეთა ერთმა ჯგუფმა,<sup>72</sup> რომ გზა აებნიათ თქვენთვის, მაგრამ ვერავის აუბნევენ გზას, თავიანთი თავის გარდა; თანაც ვერ გრძნობენ.

63 (70). ო, წიგნის მქონენო, რატომ არა გნამთ ალაჰის სასწაულთა მაშინ, როცა თქვენ ხართ მონმენი?!

64 (71). ო, წიგნის მქონენო, რად წარმოაჩინთ ჭეშმარიტებას ამოებად და ფარავთ ჭეშმარიტებას მაშინ, როცა თქვენ (იგი) იცით.<sup>73</sup>

65 (72). და თქვა წიგნის მქონეთა ერთმა ჯგუფმა: ვირწმუნეთ, რაც მორწმუნეებს გარდმოევლინათო. დღის დასაწყისში სწამთ, მის ბოლოს კი აღარა სწამთ, ეგების უკან მოიქცნენ.<sup>74</sup>

66 (73). და არავის დაუჯეროთ იმის გარდა, ვინც მისდევს თქვენს სარწმუნოებას.<sup>75</sup> უთხარი: ჭეშმარიტი გზა (არის) გზა ალაჰისა და თუ ებოძა ვინმეს მსგავსი იმისა, რაც თქვენ გებოძათ,<sup>76</sup> მაშინ გეკამათონ თქვენი უფლის წინაშე. უთხარი: მადლი<sup>77</sup> ალაჰის ხელთაა და უბოძებს იმას, ვისაც ინებებს. ალაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმეცნიერი.

67 (74). განუკუთვნებს თავის წყალობას, ვისაც ინებებს და ალაჰია უდიდესი მადლით მოსილი.

68 (75). წიგნის მქონეთაგან არის ის,<sup>78</sup> ვისაც ერთი კინტარიც<sup>79</sup> რომ მიანდო, უკან სრულად დაგიბრუნებს, და მათგანაა ისიც, რომელსაც ერთი დინარიც<sup>80</sup> რომ მიაბარო, ისე არ დაგიბრუნებს, თუკი მუდმივად თავზე არ დაადგები.

69 ეს იმის გამო, რომ თქვეს — ბრყვებთან ჩვენ საქმე არა გვაქვსო. და იტყვიან ალაჰზე სიცრუეს და მათ (ეს) იციან.

70 (76). დაახ, ვინც ერთგული იყო თავისი ალთქმისა და ემინოდა ალაჰისა, ალაჰს უყვარს ღვთისმოშიშნი.

71 (77). ხოლო იმათ, ვინაც ყიდის ალაჰის ალთქმასა და თავიანთ ფიცს მცირე საფასურად, არ ექნება წილი ზესთასოფელში,

არ დაელაპარაკება და არ მიხედავს ალაჰი მათ, განკითხვის დღეს არ გაამართლებს და სწორედ მათ — სასჯელი მტანჯველი.

72 (78). და მათგან ერთ ჯგუფს, იმათ, რომელნიც თავიანთი სიტყვით ამახინჯებენ წიგნს, რათა (მათი სიტყვა) წიგნისეულად მიიჩნიოთ, მაშინ, როცა არ არის ის წიგნისეული; ისინი კი ამბობენ: ეს ალაჰისგანააო, მაშინ, როცა ის ალაჰისგან არ არის! ამბობენ ალაჰზე სიცრუეს და მათ ეს იციან.

73 (79). აქამდე არასოდეს ყოფილა, რომ თუნდაც ერთი ადამიანისათვის მაინც ებოძებინა ალაჰს წიგნი, სიბრძნე და მოციქულობა, შემდგომ ამ კაცს<sup>81</sup> ხალხისათვის ეთქვა: — დამემონეთ მე და არა ალაჰსო; არამედ (იტყვის იგი): იყავით ღვთისნიერნი იმის გამო, რომ გესწავლებოდათ წიგნი, და იმის გამო, რასაც სწავლობდითო.

74 (80). და არ გიბრძანებთ იგი, რომ ანგელოსნი და მოციქულნი თქვენს მბრძანებლად გაიხადოთ. განა გიბრძანებთ იგი ურწმუნოებას იმის შემდეგ, რაც უკვე ხართ მუსლიმნი (მორჩილნი)?!

75 (81). და აი, დაუდო ალთქმა ალაჰმა წინასწარმეტყველთ: — აჰა, გიბოძებთ თქვენ წიგნსა და სიბრძნეს, ამის შემდეგ კი მოვა თქვენთან მოციქული<sup>82</sup> დასტურად იმისა, რაც არის თქვენთან,<sup>83</sup> ირწმუნეთ მისი და ყოველმხრივ შეეწიეთ მას! ჰკითხა: განა აღიარებთ და იფიცებთ ამაზე?! მიუგეს: ვაღიარებთო! უთხრა: მაშ, დაამონმეთ და მეც თქვენთან ერთად დავამონმებო.

76 (82). ხოლო ისინი, ვინც პირს იბრუნებს ამის შემდეგ, იქნებიან ბილნნი.

77 (83). განა, ალაჰის სჯულის გარდა სჯულს ეძიებენ?! მაშინ, როცა მას ემორჩილება, რაც ცათა შინაა და ქვეყანასა ზედაა მორჩილებითა და მონივნით და მისკენ იქნებიან მიქცეულნი.

78 (84). უთხარი: გვნამს ალაჰი და ის, რაც ჩვენზე გარდმოევლინა, რაც გარდმოევლინა იბრაჰიმს, ისმა'ილს, ია'კუბს, და ისრაელიანთა შთამომავალთ, რაც ებოძა მუსას, 'ისას და წინასწარმეტყველთ მათი უფლისაგან, არ განვასხვავებთ არცერთ მათგანს და ვართ მისი (ალაჰის) მორჩილნი (მუსლიმნი).

79 (85). ხოლო ის, ვინც ისლამის (მორჩილების) გარდა, ისურვებს სხვა სჯულს, არ



შეინყნარება (ეს) მისგან და ზესთასოფელში ნაგებულთა თანა იქნება.

80 (86). როგორ უწინამძღვრებს ალაჰი ხალხს, რომელიც ურწმუნო გახდა შემდგომად რწმენისა, რომელმაც დაადასტურა, რომ მოციქული ჭეშმარიტია და ნაბოძები ჰქონდა ნათელი მტკიცებანი. და ალაჰი არ უწინამძღვრებს უსამართლოებს.

81 (87). მათი საზღაურია ის, რომ მათზე იქნება წყევლა ალაჰისა, ანგელოსებისა და ადამიანებისა — ერთიანად.

82 (88). იქნებიან იქ მარადიულნი, არ შეუმსუბუქდებათ სატანჯველი და არ იქნებიან ისინი მიხედვით.

83 (89). იმათ გარდა, ვინც მოინანიებს ამის შემდეგ და გამოსწორდება. ჭეშმარიტად, ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

84 (90). ხოლო ისინი, ვინც ურწმუნონი შეიქნენ რწმენის შემდგომ და მერე უფრო გაამრავლეს ურწმუნოება, შეწყნარებული არ იქნეს მათი მონანიება და სწორედ ისინი არიან გზაბნეულნი.

85 (91). ისინი კი, ვინც იყვნენ ურწმუნოებაში და დაიხოცნენ, ვითარცა ურწმუნონი, დედამინის ოქროთი სისავსეც კი არ შეინყნარება არცერთი მათგანისგან, თუნდაც რომ ამით მოინდომონ თავის გამოსყიდვა. სწორედ მათ — სასჯელი მტანჯველი და მათი შემწე არავინ იქნება!

86 (92). ვერასოდეს დაიმკვიდრებთ სათნოებას მანამ, სანამ მოწყალებად არ გასცემთ იმისაგან, რაც გიყვართ. და მცირედიც კი, რასაც მოწყალებად გაიღებთ, იცის ალაჰმა.

87 (93). ნებადართული იყო ყოველგვარი საჭმელი ისრაელის ძეთათვის, იმის გარდა, რაც ისრაელმა თავისთავს აუკრძალა იმაზე უწინ, ვიდრე თავრათი ზეგარდმოვევლინებოდა.<sup>84</sup> უთხარი: მოიტანეთ თავრათი და ნაიკითხეთ, თუკი მართალნი ხართ!

88 (94). ხოლო ვინც ალაჰზე თხზავს სიცრუეს ამის შემდგომ, სწორედ ისინი არიან უსამართლონი.

89 (95). უთხარი: ჭეშმარიტება ბრძანა ალაჰმა და მამ მიჰყევით იბრაჰიმის სჯულს, ჰანიფისას. ხოლო არ ყოფილა იგი წარმართთაგანი.

90 (96). უპირველესი სახლი, ხალხისათ-

ვის რომ აიგო, არის ის, რომელიც ბაქაში<sup>85</sup> დგას, კურთხეულად და ჭეშმარიტ გზად — სამყაროთათვის.

91 (97). მასშია ცხადი სასწაულები და სადგომია იბრაჰიმისა.<sup>86</sup> ვინც შევა მასში, იყოს დაცული; და ალაჰისათვის ხალხს ევალება<sup>87</sup> მოლოცვა ამ სახლისა, (იმათ) ვისაც მასთან მისვლა შეუძლია.

92 ხოლო ვინც არ ირწმუნებს... ალაჰს არაფერში სჭირდება სამყარონი!

93 (98). უთხარი: ო, წიგნის მქონენო, რატომ არა გწამთ ალაჰის აიები, მაშინ, როცა ალაჰი მოწმეა იმისა, რასაცა იქმთ.

94 (99). უთხარი: ო, წიგნის მქონენო, რატომ აცდენთ ალაჰის გზიდან იმას, ვინც ირწმუნა და გსურთ მისი გამრუდება იმ დროს, როცა თქვენ მოწმენი ხართ! და ალაჰი უგულისყურო როდია იმის მიმართ, რასაცა იქმთ!<sup>88</sup>

95 (100). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, თუ დაემორჩილებით იმათ ნაწილს, რომელთაც ებოძათ წიგნი,<sup>89</sup> გაქცევენ თქვენ — თქვენი რწმენის შემდგომ — ურწმუნოებად.

96 (101). და როგორ არა გწამთ, როცა გეკითხებათ ალაჰის აიები და გიცავთ მისი მოციქული. ხოლო ვინც დაეყრდნობა ალაჰს, სწორედ ის იქნება ნაწინამძღვრევი პირდაპირ გზაზე.

97 (102). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, გეშინოდეთ ალაჰისა მისი ჭეშმარიტი მოშიშებით, და ნუ დაიხოცებით ისე, თუ არ იქნებით მუსლიმები.

98 (103). ერთად მოეჭიდეთ თოქს ალაჰისას და ნუ დაიფანტებით! გაიხსენეთ წყალობა ალაჰისა თქვენზე, როცა თქვენ იყავით მტრები; მან კი სიყვარულით შეაკავშირა თქვენი გულები და იქეცით ძმებად მისი წყალობით.

99 და იდექით თქვენ ცეცხლის უფსკურულის კიდეზე და დაგიხსნათ ამისაგან. ამგვარად განგიცხადებთ ალაჰი თავის სასწაულთ, რომ, ეგების, სწორი გზით ნახვიდეთ.

100 (104). და დაე, იყოს თქვენგან (რელიგიური) თემი,<sup>90</sup> რომელიც მოუწოდებს სიკეთისაკენ, უბრძანებს (ღვთის) სათნოსა და აკავებს (ღვთის) საქულველისაგან,<sup>91</sup> და სწორედ ისინი არიან ნეტარნი.

101 (105). და ნუ იქნებით მათი<sup>92</sup> მსგავსი, ვინც იყოფოდნენ და უთანხმოებდნენ იმის შემდგომ, რაც ებოძათ ცხადი მტკიცებანი. და სწორედ მათ — სასჯელი უდიდესი!

102 (106). იმ დღეს, როცა გათეთრდება სახეები და გაშავდება სახეები.<sup>93</sup> ხოლო მათ, რომელთა სახეებიც გაშავდება (ეტყვიან): — განა ურწმუნონი გახდით რწმენის შემდეგ?! — აჰა, დააჭაშნიკეთ სატანჯველი იმის გამო, რომ იყავით ურწმუნონი.

103 (107). ისინი კი, რომელთა სახეებიც გათეთრდება, იქნებიან ალაჰის წყალობაში.<sup>94</sup> და იქნებიან იქ მარადიულნი.

104 (108). აი, ეს არის ალაჰის აიები, რომელთაც გიკითხავთ შენ ჭეშმარიტებით და არ ნებავს ალაჰს ბოროტება სამყაროთათვის.

105 (109). ალაჰისაა ყოველი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა და ალაჰის ნიად მიიქცევიან საქმენი.

106 (110). თქვენ იყავით საუკეთესო (რელიგიური) თემი, რომელიც გამოყვანილ იქნა ხალხისათვის, უბრძანებდით (ღვთისთვის) სათნოს, აკავებდით (ღვთისთვის) საძულველისაგან და გნამდათ ალაჰი. და რომ ერწმუნათ წიგნის მქონეთ, ხეირი იქნებოდა მათთვის. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ უმეტესი მათგანი ბილნია.

107 (111). და ზიანი ვერ მოგაყენონ მათ, გარდა (მცირედი) უსიამოვნებისა.<sup>95</sup> ხოლო თუკი შეგებმებიან, ზურგს იქცევენ და არ იქნებიან ისინი შეწვევულნი.

108 (112). მიენიოთ მათ დამცირება, სადაც უნდა ილტვოდნენ, თუ არა ალაჰის თოკისა და ხალხის თოკისაკენ. მოიწიონ მრისხანება ალაჰისა და თავზე დაატყდეთ სილატაკე — ეს იმიტომ, რომ არ ირწმუნეს ალაჰის აიები და უსამართლოდ ხოცავდნენ მოციქულთ. ეს იმის გამო, რომ ურწმუნ იყვნენ და საზღვარს გადასცდნენ.<sup>96</sup>

109 (113). წიგნის მქონენიც ყველა ერთმანეთის მსგავსი როდია. მათგანაა მტკიცე თემი — ისინი, ღამით რომ კითხულობენ ალაჰის აიებს და თავყანს სცემენ (უფალს),

110 (114). სწამთ ალაჰი და დღე უკანასკნელი. უბრძანებენ (ღვთისთვის) სათნოსა და აკავებენ (ღვთის) საძულველისაგან. ერთმანეთს ასწრებენ კეთილ საქმეთა ქმნას

და სწორედ ისინი არიან მართალნი.

111 (115). და რა სიკეთესაც იზამენ, არ დაიკარგება, ალაჰი კი მცოდნეა ღვთისმომიშთა.

112 (116). ხოლო მათ, ვინც იყვნენ ურწმუნონი, ალაჰი წინაშე ვერაფრით შეენიოთ ვერც მათი ქონება და ვერც მათი შვილები. ისინი ცეცხლის ბინადარნი არიან და იქნებიან იქ მარადიულნი.

113 (117). ამბავი იმისა, რასაც ისინი ხარჯავენ ნუთისოფელში, ჰგავს ქარის ამბავს, რომელშიც სუსხია და რომელიც მოენევა იმ ხალხის ყანას, საკუთარ თავს რომ მოექცა უსამართლოდ — და ნაახდენს. მათ ალაჰი როდი მოეპყრა უსამართლოდ. ისინი საკუთარ თავს უსამართლოდ მოექცნენ.

114 (118). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ გაიხდით მესაიდუმლოებად თქვენს გარეშეთ. ისინი არ მოერიდებიან თქვენს ზიანს და სწადიათ ის, რითაც დაიტანჯებით. ჩანს ბოლმა მათ პირთაგან. ის კი, რასაც მათი გულები ფარავენ, კიდე უფრო დიდია. ხოლო ჩვენ ცხადად გიჩვენეთ სასწაულნი, თუ თქვენ კეთილგანსჯით.

115 (119). აი, თქვენ ხართ ხალხი, რომელთაც გიყვართ ისინი. მათ კი თქვენ არ უყვარხართ, იმ დროს, როცა თქვენ სრულად გნამთ წიგნი. და როცა შეგხვდებიან, იტყვიან, ვირწმუნეთო! — ხოლო როდესაც მართო რჩებიან, თქვენი სიძულვილით თითებს იჭამენ. უთხარი: დაიხოცეთ თქვენი ბოლმით! ჭეშმარიტად, ალაჰმა უწყის გულისთქმანი.

116 (120). თუკი რაიმე სიკეთე გენიათ, ამწუხრებთ, ხოლო თუ სიავე შეგემთხვევათ, ახარებთ. (მაგრამ) თუ მოითმენთ და ღვთის შიში გექნებათ, მათი ზაკვა ვერაფერს გავნებთ. ალაჰი გარემოიცავს იმას, რასაც აკეთებენ.

117 (121). და აი, შენ<sup>97</sup> დილასისხამზე დატოვე შენი სახლეული და მორწმუნეთ მოუშაადე ასპარეზი საბრძოლველად და ალაჰი ყოველისგამგონეა, ყოველისმეცნიერი.

118 (122). აჰა, თქვენგან ისურვა თქვენმა ორმა გუნდმა,<sup>98</sup> რომ შემდრკალიყო მაშინ, როცა ალაჰი იყო მათი მეოხი. და ალაჰს, ხამს, სასოებდნენ მორწმუნენი.

119 (123). და აი, შეგენიათ ალაჰი

ბადრთან<sup>99</sup> მაშინ, როცა დათრგუნულნი იყავით. და გეშინოდეთ ალაჰისა, რათა ეგების მადლიერნი იყოთ.

120 (124). და აი, მაშინ შენ უთხარი მორწმუნეთ: განა საკმარისი არ არის თქვენთვის, რომ გამოგიგზავნოთ უფალმა სამი ათასი ანგელოსი, ცით, ნიშანდასმული?!<sup>100</sup>

121 (125). დიახ, თუკი მოითმენთ და ღვთის შიში გექნებათ, მტერი თავს მოულოდნელადაც რომ დაგესხათ, მოგეშველებათ ალაჰი ხუთი ათასი ნიშანდასმული ანგელოსითაც.

122 (126). და არ დაუდგენია იგი ალაჰს, თუ არა სამახარობლოდ თქვენდა. და (იმისათვის) რათა მისით გულები დაიმშვიდოთ. ხოლო არ არის შენგენა, თუ არა — ალაჰისა, ძლევა მოსილისა, ბრძენთა ბრძენისა. (127). რათა მოსწყვიტოს ერთი ნაწილი იმათი, ვინც იყვნენ ურწმუნონი, ან სასო წარუკვეთოს მათ და უკან მიიქცნენ შეშინებულნი.

123 (128). ამ საქმეებთან შენ (მუჰამად) ხელი არა გაქვს. (უფალი) ან მიუტევებს მათ, ან დასჯის. სწორედ ისინი არიან უსამართლონი.

124 (129). ალაჰისაა, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა. შეუნდობს, ვისაც ინებებს, და დასჯის, ვისაც ინებებს. ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

125 (130). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ შეჭამთ ვახშსა და მის ორმაგ სარგებელს; გეშინოდეთ ალაჰისა, რათა ეგების ნეტარ იქმნეთ.

126 (131). და გეშინოდეთ ცეცხლისა, რომელიც გამზადებულია ურწმუნოთათვის. (132) დაემორჩილეთ ალაჰსა და მის მოციქულს, რათა ეგების შეწყნარებულ იქნეთ.

127 (133). და ისწრაფეთ თქვენი უფლის პატიებისა და სამოთხისაკენ, რომლის სივრცეა ცანი და დედამინა და რომელიც გამზადებულია ღვთისმოშიშთათვის,

128 (134). მათთვის, ვინც მონყალებას გასცემს კეთილდღეობისა და ზარალისას, ვინც სძლევს მრისხანებას და აპატიებს ხოლმე ხალხს. ჭეშმარიტად, ალაჰს უყვარს კეთილნი.

129 (135). და ისინი, რომელნიც თუკი ჩაიდენენ სიავეს, ანდა შესცოდავენ მათი სულები, ახსენებენ ალაჰს და პატიებას

სთხოვენ თავიანთი ცოდვებისათვის. ხოლო ვინ მიუტევებს ცოდვებს თვინიერ ალაჰისა?! და არ გაიმეორებენ (დაჟინებით) იმას, რაც ჰქმნეს, მაშინ, როცა მათ იცინან.

130 (136). მათი საზღაური პატიებაა მათი უფლისაგან და ნალკოტები, რომელთა ნიალაც მიედინებია მდინარენი. იქნებიან იქმარადიულნი და რა მშვენიერია მუშაკთა საზღაური!

131 (137). და დაიკარგა თქვენზე უწინ ჩვეულებანი. მოვლეთ დედამინა და ნახეთ, როგორი იყო ცრუთა აღსასრული.

132 (138). ეს არის განმარტება ხალხისათვის, და წრფელი გზა და შეგონება ღვთისმოშიშთათვის.

133 (139). ნუ დაიქანცებით და ნუ ინაღვლებთ, მაშინ, როცა თქვენ უმაღლესნი ხართ, რომ ყოფილიყავით მორწმუნენი.

134 (140). და თუ ჭრილობა მოგწყლავთ, ადრე სხვა ხალხიც მოწყლულა ამის მსგავსი ჭრილობით,<sup>101</sup> ამ დღეებს<sup>102</sup> ჩვენ მონაცვლეობით ვაძლევთ ხალხს, რათა ალაჰმა გაიგოს, ვინ ირწმუნა, და აირჩიოს თქვენგან მონამენი;<sup>103</sup> და ალაჰს არ უყვარს უსამართლონი!

135 (141). რათა ალაჰმა განმმინდოს ისინი, ვინც ირწმუნა და გააცამტვეროს ურწმუნონი.

136 (142). ან იქნებ გგონიათ, რომ სამოთხეში შეხვალთ ისე, რომ ალაჰმა არ შეიტყოს, რომელი თქვენგანი იბრძოდა და არ შეიცნოს მომთმენნი?

137 (143). თქვენ ხომ ისურვეთ სიკვდილი იმაზე უწინ, ვიდრე მას შეხვდებოდით. და აი, იხილეთ იგი და თქვენ უყურებდით!<sup>104</sup>

138 (144). მუჰამადი სხვა არავინაა, თუ არა მოციქული. მასზე უწინ გარდასულან სხვა მოციქულნი. და თუკი იგი მოკვდება ან მოიკვლება, განა ზურგს შეაქცევთ მას?! ისინი, ვინც მას ზურგს შეაქცევს, ზიანს ვერ მოუტანენ ალაჰს.<sup>105</sup> ალაჰი კი დააჯილდოებს მადლიერთ.

139 (145). არც ერთი სული ისე არ მოკვდება, თუ არ იქნება ალაჰის ნება, ჟამი წინასწარ განსაზღვრული და დაწერილი, და ვინც ისურვებს ნუთისოფლის წყალობას, მივაგებთ მას, და ვინც მოისურვებს ზესთასოფლის წყალობას, მივცემთ მასაც და დავაჯილდოვებთ მადლიერთ.

140 (146). და რამდენი მოციქული იყო, რომელთა გვერდშიაც უამრავ ღვთისნიერს<sup>106</sup> უბრძოლია და არ შეშინებიათ იმის გამო, რაც დამართნიათ, ალაჰის გზაზე არ დასუსტებულან და დავარდნილან. ალაჰს უყვარს მომთმენნი.

141 (147). მათი სიტყვა კი სხვა არა ყოფილა რა, იმის გარდა, რომ ამბობდნენ — უფალო, მოგვიტყევე ჩვენ შეცოდებანი ჩვენი და გადამეტება — ჩვენს საქმეში, განამტკიცე ჩვენი მუხლები და გაგვიმარჯვე ურწმუნო ხალხზეო! (148) და უბოძა მათ ალაჰმა ნუთისოფლის წყალობა და საუკეთესო წყალობა ზესთასოფლისა. ჭეშმარიტად, ალაჰს უყვარს კეთილნი.

142 (149). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, თუკი დამორჩილდებით იმათ, ვინც ურწმუნოა, მიგაბრუნებენ თქვენ უკან და გაქცევენ წაგებულად.

143 (150). მაგრამ ალაჰი თქვენი მეოხია და საუკეთესო შემწე.

144 (151). ჩვენ ჩავთესეთ ძრწოლა ურწმუნოთა გულებში, იმის გამო, რომ მათ ალაჰს ჩაუზიარეს ის, რასაც მეუფება არ მოეძევა. მათი თავშესაფარი ცეცხლია და რა საძაგელია უსამართლოთა ნავსაყუდარი!

145 (152). და აი, უერთგულა ალაჰმა თქვენთან დადებულ აღთქმას, როცა მოსრეთ ისინი მისი ნებით, ვიდრე არ შედრკით, არ ატეხეთ შუღლი საქმის გამო და არ დაინყეთ ურჩობა იმის შემდეგ, რაც გიჩვენათ მან ის, რაც გენადათ.

146 თქვენგან იყო ის, ვისაც სურდა ნუთისოფელი და თქვენგან იყო ის, ვისაც სურდა ზესთასოფელი, შემდგომ ღმერთმა ზურგი გაქცევინათ მათთვის,<sup>107</sup> რათა გამოეცადეთ და დაგინდოთ ალაჰმა. არის ალაჰი მორწმუნეთა მიმართ მაღლიანი.

147 (153). და როს თავდაღმა გამობოდით<sup>108</sup> და არავის აქცევდით ყურადღებას, მოციქული კი უკნიდან გიხმობდათ, ნალველი ნალველზე დაგისართათ,<sup>109</sup> რათა არ გენუხათ იმაზე, რაც დაკარგეთ, და არც იმაზე, რაც დაგემართათ. ალაჰი კი მცოდნეა, რასაცა იქმთ!

148 (154). შემდგომ გარდმოავლინა თქვენზე — მწუხარების მერე — თვლემა, რომელმაც ხელი დარია თქვენს ერთ

ჯგუფს; მეორე ჯგუფი კი მხოლოდ თავის თავს მიიჩნევდა მნიშვნელოვნად, უსამართლოდ ფიქრობდა ალაჰზე უმეცრების დროინდელ<sup>110</sup> ფიქრებს და ამბობდა — ჩვენ ამ საქმესთან რა ხელი გვექონდაო?!<sup>111</sup> უთხარი: — ყველა საქმე ალაჰისაა! — და მაღავდნენ გულში იმას, რასაც შენ არ გიჩვენებდნენ. ამბობდნენ: — ამ საქმიდან ჩვენ რომ რამე სარგებელი გვექონოდა, აქ არ დავიხოცებოდითო.<sup>112</sup> უთხარი: თქვენს სახლებშიც რომ ყოფილიყავით, ისინი, ვისაც სიკვდილი გენერათ, მაინც გაემართებოდნენ თავიანთი სასაკლაოსაკენ, ხოლო ალაჰმა გამოაჩინა, რაც გედოთ გულში, და ნრფელჰყო იგი, რაც იყო თქვენს გულებში. ალაჰი მცოდნეა გულისთქმათა!

149 (155). ხოლო ისინი, ვინც ზურგი იქცია თქვენგან იმ დღეს, როს ერთმანეთს შეება ორი გუნდი, შაითანმა დააფრთხო ზოგი რამით, რაც ადრე მოეხვეჭათ. ალაჰმა კი მიუტევა მათ, რადგან ალაჰი შემწყნარებელია, სულგრძელი.

150 (156). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ იქნებით მსგავსი მათი, ვინც ურწმუნონი არიან და იტყვიან თავიანთ ძმებზე, თუკი ისინი ნავლენ სამოგზაუროდ ან სალაშქროდ — ჩვენთან რომ დარჩენილიყვნენ, არ დაიხოცებოდნენ და არ მოიკვლებოდნენო! — ეს ნალველი ალაჰმა ჩათესა მათ გულებში. ალაჰი აცოცხლებს და კლავს და ალაჰი ხედავს, რასაცა იქმთ.

151 (157). ნეტავ, დახოცილიყავით ალაჰის გზაზე, ან მოკლულიყავით! მიტევა ალაჰისაგან და წყალობა საუკეთესო რამაა, რასაც აგროვებენ.

152 (158). და, ნეტავ, დახოცილიყავით ან მოკლულიყავით, უეჭველად, ალაჰის ნიაღ იქნებოდით შეკრებილნი!

153 (159). და იმ მოწყალებით, რაც შენ ალაჰისაგან გაქვს, ღმობიერი იყავი მათ მიმართ. შენ რომ უღმობელი და გულღრძო ყოფილიყავ, შემოგეფანტებოდნენ გარშემო ისინი. მაშ, აპატიე, შეუნდე და მოეთათბირე მათ (ყველა მნიშვნელოვან) საქმეზე. ხოლო, როცა რამეს გადაწყვეტ, სასოებდე ალაჰს, რადგან ალაჰს უყვარს მსასოებელნი.

154 (160). თუკი ალაჰი შეგენევათ, თქვენი მომრევი არავინ იქნება. ხოლო თუ მიგატოვებთ, ვინლა მოგეშველებათ ამის

შემდეგ?! და ალაჰს, ხამს, სასოებდნენ მორწმუნენი.

155 (161). და მოციქულს არ შეჰფერის იცრუოს;<sup>113</sup> ხოლო ვინც იცრუებს, იმას, რაც იცრუა, მიიტანს აღდგომის დღემდე. მაშინ მიეგება ყოველ სულს, რაც მოინაგრა და არ იქნებია ისინი დაჩაგრულნი.

156 (162). განა ის, ვინც ეძიებდა ალაჰის კმაყოფილებას, მსგავსია იმისა, ვინც თავს დაიტყუა ალაჰის მრისხანება? მისი თავშესაფარი ჯოჯოხეთია და რა საძაგელია ეს სამკვიდრებელი!

157 (163). მათ<sup>114</sup> ალაჰის წინაშე თავიანთი ხარისხები<sup>115</sup> აქვთ და ალაჰი ხედავს, რასაცა იქმთ!

158 (164). ალაჰმა აკურთხა მორწმუნენი, როდესაც მათთან მათგანვე წარგზავნა მოციქული,<sup>116</sup> რომელიც უკითხავს მათ აიებს მისას, განწმენდს და ასწავლის წიგნსა და სიბრძნეს, თუნდაც რომ უწინ ყოფილიყვნენ ცხად გზააზნევაში.

159 (165). ანდა როცა უბედურება შეგემთხვევათ, თქვენ კი ორჯერ უფრო დიდი უბედურება დაგიტყუავთ სხვათათვის, ამბობთ ხოლმე — საიდანაა ეს? უთხარი: ეს თქვენგანვეა. ხოლო ალაჰი ყოვლისშემძლეა.

160 (166). ის კი, რაც იმ დღეს დაგემართათ, როს ერთმანეთს შეება ორი გუნდი, ალაჰის ნებით (მოხდა). ამით მან შეიცნო მორწმუნენი. (167) და შეიცნო ისინი, ვინც თვალთმაქცობდა.<sup>117</sup> ეთქვათ მათ: მოდით, იბრძოლეთ ალაჰის გულისათვის, ანდა უკუაგდეთ (მტერი)! მიუგეს: ბრძოლა რომ გვცოდნოდა, შენ გამოგყვებოდით. ამ დღეს ისინი უფრო ახლოს იყვნენ ურწმუნოებასთან, ვიდრე რწმენასთან,

161 (როცა) პირით იმას ამბობდნენ, რაც არ იყო მათ გულში. და ალაჰმა ყველაზე უკეთ იცის, რასაც მალავენ!

162 (168). (ისინი) რომელთაც თქვეს თავიანთ ძმებზე იმ დროს, როცა თვითონ (სახლში) ისხდნენ, — ჩვენთვის რომ დაეჯერებინათ, არ მოიკვლებოდნენო! უთხარი: თქვენ თვითონ აიცილეთ თავიდან სიკვდილი, თუკი მართალნი ხართ!

163 (169). და ნუ დაუძახებთ იმათ, ვინც ალაჰის გზაზე მოისრნენ, მკვდრებს. ისინი ცოცხლები არიან და თავიანთი უფლის წიაღ

პურდებიან,

164 (170). მოხარულნი იმით, რა მადლიც უბოძათ ალაჰმა და უხარიათ იმათ გამო, ვინც ჯერ არ შეერთებიათ — მათ უკან (მომავალნი), რომ არ ექნებათ შიში და არ ინალვლებენ,

165 (171). ხარობენ ალაჰის სიკეთითა და მადლით და იმით, რომ ალაჰი არ ივინყებს საზღაურს მორწმუნეთა.

166 (172). იმათგან, ვინც ემორჩილებოდა ალაჰს და მის მოციქულს, იმის შემდეგ, რაც ჭრილობით მოიწყვლნენ,<sup>118</sup> მათ — ვინც კეთილ საქმეს იქმდა და ღვთის შიში ჰქონდა — ჯილდო უდიდესი.

167 (173). მათ, რომელთაც ეუბნება ხალხი, რომ მოგროვილა ხალხი თქვენს წინააღმდეგ და გეშინოდეთ მათიო, — უფრო ემატებათ რწმენა და იტყვიან: — საკმარისია ჩვენთვის ალაჰი და რა დიდებული მფარველიაო!

168 (174). ომიდან კი უკან დაბრუნდნენ ალაჰის წყალობითა და მადლით ისე, რომ სიავე არ მიკარებიათ. ისინი ეძიებდნენ ალაჰის კმაყოფილებას. ხოლო ალაჰი უდიდესი მადლით მოსილია.

169 (175). შაითანი საშინელს ხდის თავის მიმდევართ.<sup>119</sup> ნუ გეშინიათ მათი, ჩემი გეშინოდეთ, თუ ხართ მორწმუნენი!

170 (176). და ნუ დაგამწუხრებენ ისინი, რომლებიც ურწმუნოებას ესწრაფიან. ისინი მცირე ზიანსაც კი ვერ მიაყენებენ ალაჰს. სურს ალაჰს, რომ (მცირედი) სარგებელიც არ მისცეს მათ ზესთასოფელში და სწორედ მათ — სასჯელი მტანჯველი.

171 (177). და ისინი, რომელთაც რწმენის საფასურად ურწმუნოება იყიდეს, ოდნავადაც ვერ აზარალებენ ალაჰს და სწორედ მათ — სასჯელი მტანჯველი!

172 (178). და ნუ, ნუ ჩათვლიან ისინი, ვინც იყვნენ ურწმუნონი, რომ თუკი ვუვადებთ სიკვდილის უამს, ეს სიკეთეა მათთვის. არამედ ვაცდით, რათა უფრო მეტი ცოდვა ჩაიდინონ, მერე კი მათ — სასჯელი დამამცირებელი!

173 (179). და არ იქნება, ალაჰმა მორწმუნენი დატოვოს იმ ყოფაში, რომელშიაც (ახლა) თქვენა ხართ,<sup>120</sup> ვიდრე არ განარჩევს ბოროტს კეთილისაგან.

174 და არ იქნება — ალაჰმა თქვენ შე-



გატყობინოთ დაფარული, არამედ ალაჰი (ამ საქმისთვის) გამოარჩევს<sup>121</sup> თავის მოციქულთაგან იმას, ვისაც ინებებს. მაშ, ერწმუნეთ ალაჰსა და მის მოციქულს. ხოლო თუკი ირწმუნებთ და ღვთის შიში გექნებათ, თქვენ — საზღაური უდიდესი!

175 (180). და ნუ ჰგონიათ მათ, ვინც დაჰხარბებია მადლს, რომელიც ალაჰისაგან ებოძათ,<sup>122</sup> რომ ეს სიკეთეა მათთვის. არა! — ეს სიავება მათთვის.

176 აღდგომის დღეს ის, რასაც ეხარბებოდნენ, კისერზე თოკივით შემოეხვევათ! ალაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნისა.<sup>123</sup> და უწყის ალაჰმა, რასაც აკეთებთ!

177 (181). დიახ, გაიგონა ალაჰმა იმათი სიტყვები, ვინც ამბობდა, ალაჰი ლატაკია, ჩვენ კი მდიდრებიო!<sup>124</sup> — ჩავინერთ იმას, რაც თქვეს და (აგრეთვე) მათ მიერ წინასწარმეტყველთა უსამართლოდ მოკვდინებას, და ვეტყვი: დააგემოვნეთ სასჯელი ხანძრისა!

178 (182). ეს იმის გამო, რაც უნინ ქნეს თქვენმა ხელებმა. ალაჰი კი უსამართლო როდია მონათა მიმართ.

179 (183). რომელნიც ამბობენ: ალაჰმა აღთქმა დაგვიდო, რომ არ ვერწმუნოთ რომელიმე მოციქულს, ვიდრე არ მოგვიტანს მსხვერპლს, რომელსაც შეჭამს ცეცხლიო!<sup>125</sup>

180. უთხარი: მოუტანიათ ჩემზე უნინ მოციქულებს ცხადი მტკიცებანი და ის, რასაც ამბობთ. მაშ რაღად ხოცავდით მათ, თუკი მართალნი ხართ?!

181 (184). და თუ ცრუდ შეგრაცხავენ შენ, ცრუდ იქნენ შერაცხულნი ის მოციქულებიც შენზე უნინ, რომელთაც მოიტანეს ცხადი მტკიცებანი, მტკიცე სიტყვანი და ნიგნი სხივოსანი.

182 (185). ყოველი სული იგემებს სიკვდილს<sup>126</sup> და ჩვენ მოგაგებთ თქვენს საზღაურს აღდგომის დღეს. იგი, ვინც მოცილებული იქნება ცეცხლისაგან და შეიყვანება სამოთხეში, გაიმარჯვებს. და სხვა რა არის ნუთისოფელი, თუ არა საგანი ცთუნებისა?!

183 (186). და უსათუოდ გამოიცდებით თქვენ თქვენი ქონებითა და სიცოცხლით და გაიგონებთ, გაიგონებთ მრავალჯერ იმათგან, ვისაც ებოძა ნიგნი თქვენზე უნინ

და იმათგანაც, ვინც არიან წარმართნი, მრავალ აუგს. ხოლო თუ მოითმენთ და ღვთის შიში გექნებათ — ეს არის სიმტკიცის გამოვლინებანი.

184 (187). და აი, ჩამოართვა პირობა ალაჰმა მათ, ვისაც ებოძა ნიგნი: — ცხადად განუმარტეთ ხალხს იგი<sup>127</sup> და ნუ დამალავთ მასო, მაგრამ ზურგს უკან მოიტოვეს იგი<sup>128</sup> და გაჰყიდეს მცირე საფასურად და რაკინია ის, რასაც იყიდიან.

185 (188). და ნუ მიიჩნევ, ნუ მიიჩნევ მათ, რომელნიც ხარობენ იმით, რაც ჩაიდინეს და სურთ ქებულ იყვნენ იმის გამო, რაც არ გაუკეთებიათ, სასჯელისაგან თავდახსნილებად. სწორედ მათ — სასჯელი მტანჯველი!

186 (189). ალაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა და ალაჰი ყოვლისშემძლეა.

187 (190). ცათა და ქვეყნის შესაქმეში, ღამისა და დღის მონაცვლეობაში — სასწაულებია გონების მქონეთათვის.

188 (191). მათთვის, ვინც იხსენებს ალაჰს დგომისას, ჯდომისას, მხარ-თეძოზე წოლისას და ფიქრობს ცათა და ქვეყნის შესაქმეზე — ჩვენს უფალს ეს ამაოდ არ შეუქმნია. დიდება შენდა! დაგვიცავი ცეცხლის სასჯელისგან!

189 (192). ჩვენო უფალო, ვისაც ცეცხლს მისცემ, დაამცირებ და არვინ იქნება შემწე უსამართლოთა!

190 (193). ჩვენო უფალო, ჩვენ ვუსმენდით მხმობელს, რომელიც გვიხმობდა — ირწმუნეთ თქვენი უფალიო — და ჩვენც ვირწმუნეთ.

191. ჩვენო უფალო, მოგვიტევე ჩვენი ცოდვები, განგვწმინდე ჩვენ სიავეთაგან და განგვასვენე სიკეთის მქნელებთან ერთად.

192 (194). ჩვენო უფალო, გვიბოძე ის, რასაც დაგვპირდი შენი მოციქულის მემკვიდრეობით, და ნუ დაგვამნუხრებ განკითხვის დღეს, რადგან შენ არ შეცვლი შენი შეხვედრის დროსა და ადგილს.

193 (195). და უპასუხა მათ მათმა უფალმა: მე არ ჩავფარცხავ თქვენგან ერთი მუშაკის საქმესაც კი — არც კაცისას და არც ქალისას, — ერთნი ხართ მეორისაგან.<sup>129</sup>

194 და ისინი, ვინც საკუთარი სამშობლოდან გადასახლდნენ (ალაჰის გულისათვის), გამორეკილ იქნენ თავიანთი სახლები-

დან და იტანჯნენ, ჩემს გზაზე იბრძოდნენ და იხოცებოდნენ, უეჭველად განვმენდ მათ მათი სიავებისაგან და უსათუოდ დავამკვიდრებ ნალკოტებში, რომელთა წილ მიედინებიან მდინარენი,

195. საბოძვრად ალაჰისაგან. და ალაჰი... სწორედ მისგანაა საუკეთესო საბოძვარი!

196 (196). და ნუ შეგაცდენს შენ გაქნილობა მათი, ვინც იყვნენ ურწმუნონი ამ ქვეყანაში. (197) სარგებელი მცირეა. მერე კი მათი თავშესაფარი ჯოჯოხეთი იქნება და რა კინია ეს თავშესაფარი!

197 (198). ხოლო მათ, რომელთაც ეშინოდათ თავიანთი უფლისა, მიეცემათ ნალკოტები, რომელთა წილ მიედინებიან მდინარენი. იქნებიან იქ მარადიულნი — ალაჰის წინაშე ჩამოსხდარნი. და ის, რაც ალაჰის წილაა, საუკეთესოა სიკეთის მქნელთათვის.

198 (199). და წიგნის მქონეთაგან არის ის, ვინც ირწმუნა ალაჰი, რაც თქვენზე გარდმოვევლინა და რაც მათზე გარდმოვევლინა. მორჩილნი არიან ალაჰისა და არა ჰყიდიან ალაჰის აიებს მცირე საფასურად.

199. მათი საზღაური მათ უფალთანაა და ალაჰი სწრაფია ანგარიშსწორებისას.

200 (200). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, მოითმინეთ და დაუთმეთ ერთმანეთს, იურთიერთეთ და გეშინოდეთ ალაჰისა, რათა ეგების გამართლებულ იქნეთ.

## სურა IV

### ქალები<sup>1</sup>

*მედინური, ას სამოცდათექვსმეტი აია სახელითა ალაჰისა, მონყალისა, მწყალობლისა*

1 (1). ო, კაცნო, გეშინოდეთ თქვენი უფლისა, რომელმაც შეგქმნათ თქვენ ერთი სულისაგან. შექმნა მისგან მისი მენყვილე და მიმოფანტა იმ ორისაგან კაცი მრავალი და ქალი. და გეშინოდეთ ალაჰისა, ვისი სახელითაც ერთმანეთს უცხადებთ საკუთარ უფლებებს, და გეშინოდეთ ნათესაურ კავშირთა დანყვეტისა; ჭემპარიტად, ალაჰია მეურვე თქვენი.

2 (2). მიეცი თობლებს თავიანთი ქონება,

ნუ გადაცვლით კეთილს საზიზლარზე<sup>2</sup> და ნუ შეჭამთ მათ ქონებას თქვენს ქონებასთან ერთად, რადგან ეს იქნება დიდი შეცოდება.

3 (3). ხოლო თუ შიშობთ, რომ სამართლიანი ვერ იქნებით ობოლთა მიმართ, მაშინ ცოლად მოიყვანეთ ის ქალები,<sup>3</sup> რომლებიც მოგეწონებათ, — ორი, სამი და ოთხი... მაგრამ თუ შიშობთ, რომ (ყველასთან ერთნაირად) სამართლიანად ვერ მოიქცევით, მაშინ (იქორწინეთ) ერთზე, ანდა იმაზე, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა.<sup>4</sup> ეს უფრო ახლოა (ალაჰის საზღვრებთან), თუ არ გინდათ, რომ გადასცდეთ (მათ). (4) და მიუბოძეთ ქალებს მათი საქორწილო ძღვენი<sup>5</sup> საჩუქრად, ხოლო თუკი სიკეთით დაგიტმეს რამე, მაშინ ჭამეთ ის გულმშვიდად, მოსვენებით.

4 (5). ნუ მისცემთ თქვენს ქონებას უგუნურთ<sup>6</sup> (ობლებს), რომლებიც ალაჰმა დაგიდგინათ სამეურვეოდ. დააპურეთ ისინი მისით, შემოსეთ და უთხარით კეთილი სიტყვა.

5 (6). და გამოსცადეთ ობლები, ვიდრე საქორწილო ასაკს მიაღწევდნენ, და თუკი შენიშნეთ მათ ზრდასრულობა, დაუბრუნეთ თავიანთი ქონება. ნუ შეჭამთ მას აჩქარებითა და ნაჩქარევად,

6. სანამ დაიზრდებოდნენ. ვინც მდიდარი იქნება, თავი შეიკავოს (ობოლთა ქონების ხარჯვისაგან), ხოლო იმან, ვინც იქნება ღარიბი, შეჭამოს.

7. მერმე კი, როცა დაუბრუნებთ თავიანთი ქონებას, მიუყვანეთ მონმეები და საკმარისია ალაჰი აღმნუსხველად.

8 (7). და კაცებს — წილი იმისაგან, რაც დატოვეს (მათმა) მშობლებმა და ახლობლებმა. და ქალებს — წილი იმისაგან, რაც დატოვეს (მათმა) მშობლებმა და ახლობლებმა. თუნდ მცირე იყოს, თუნდ ბევრი, ექნეთ წილი დადგენილი.<sup>7</sup>

9 (8). და როცა ესწრებიან ქონების გაყოფას ნათესავები, ობლები და უპოვარნი,<sup>8</sup> მცირედი სარჩო მათაც უბოძეთ ამისაგან და უთხარით მათ კეთილი სიტყვა.

10 (9). ისინი, ვინც ტოვებს თავის შემდეგ უძღურ<sup>9</sup> შთამომავლობას, შიშობდნენ მათ გამო, ეშინოდეთ ალაჰისა და თქვან სიტყვა მოზომილი.

11 (10). ისინი კი, ვინც ობოლთა ქონებას ჭამენ უსამართლოდ, ცეცხლს შეჭამენ თავიანთ ფაშვებში და დაინვებიან საკირით.<sup>10</sup>

12 (11). გიბარებთ ალაჰი თქვენი შვილების თაობაზე: მამაკაცს მსგავსი წილი ორი მდედრისა. და თუ ქალები ორზე მეტნი იქნებიან, მაშინ მათ მესამედი (იმისა), რაც დატოვა (გარდაცვლილმა); და თუ ერთი ქალი იქნება, მაშინ მას — ნახევარი, (განსვენებულის) მშობლებს კი თითოეულს მეექვსედი იმისა, რასაც (გარდაცვლილი) დატოვებს, იმ შემთხვევაში, თუ მას შვილი ჰყავს, ხოლო თუ არ ეყოლება შვილი და მისი მემკვიდრენი მშობლები იქნებიან, მაშინ — დედას მესამედი, მაგრამ თუ ძმები ჰყავს, მაშინ, დედას — მეექვსედი, იმ ანდერძის შესრულების მერე, რაც მან დაიბარა ან (მისი დატოვებული) ვალების გასტუმრების შემდეგ. თქვენ არ შეგიძლიათ განსაზღვროთ, ვინ უფრო მეტ სარგებელს გაძლევთ — მშობლები თუ შვილები, ალაჰისაგან დადგენილი მოვალეობის თანახმად, და ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

13 (12). და თქვენ — ნახევარი იმისა, რასაც დატოვებენ თქვენი მეუღლეები, თუკი მათ (ქალებს) არა ჰყავთ შვილი. ხოლო თუ შვილი ეყოლებათ, მაშინ თქვენია მეოთხედი იმისა, რასაც (ქალები) დატოვებენ, იმ ანდერძის (აღსრულების) შემდეგ, რასაც ისინი დაიბარებენ, ანდა (მათი) ვალის (გასტუმრების) შემდეგ.

14. ქალებს კი ერგებათ მეოთხედი იმისა, რასაც თქვენ დატოვებთ, თუკი თქვენ შვილი არ გეყოლებათ, ხოლო თუ შვილი გყავთ, მაშინ მათ (ქალებს) მერვედი იმისა, რასაც დატოვებთ — იმ ანდერძის (აღსრულების) შემდეგ, რაც იანდერძება, ან ვალის (გასტუმრების) მერე.

15. და თუ კაცს ან ქალს ჰყავს მეორე რიგის მემკვიდრე<sup>11</sup> და მას ჰყავს ძმა ან და, მაშინ თითოეულ მათგანს (დანატოვარი ქონების) მეექვსედი, ხოლო თუ ამაზე მეტნი იქნებიან, მაშინ ისინი იყვნენ ზიარნი მესამედისა, ანდერძის (შესრულების) ან ვალის გადახდის შემდგომ

16. ისე, რომ ერთმანეთი არ აზარალონ,<sup>12</sup> ანდერძად ალაჰისაგან; ალაჰი ყოვლისმცოდნეა, სულგრძელი.

17 (13). აი, ეს არის ალაჰის საზღვრები.

და ვინც დაემორჩილება ალაჰს და მის მოციქულს, შეიყვანს (ღმერთი) ნალკოტებში, რომელთა წიაღ მიედინებიან მდინარენი. იქნებიან იქ მარადიულნი და სწორედ ეს არის მიღწევა დიადი.

18 (14). ხოლო ვინც ურჩი იქნება ალაჰისა და მისი მოციქულისა, და გადავა საზღვრებს (ალაჰისას), შეიყვანს (ღმერთი) ცეცხლში, იქნება იქ მარადიული და სწორედ მას — სასჯელი დამამცირებელი.

19 (15). თქვენს ცოლებს, რომელნიც მრუშობას<sup>13</sup> მიჰყოფენ ხელს, დაუმონმოს (ეს საქმე) ოთხმა თქვენგანმა; და თუ დაუმონმეს, დააკავეთ ისინი სახლებში, ვიდრე სიკვდილი მიცვლით, ანდა ალაჰი რაიმე გზას გამოუნახავთ.<sup>14</sup>

20 (16). და თუ ორი თქვენგანი<sup>15</sup> ჩაიდენს მას (მრუშობას), დასაჯეთ (დაამუნათეთ) ის ორი, ხოლო თუკი მოინანიეს და გამოსწორდნენ, თავი დაანებეთ მათ. ალაჰი მიმტვევებელია, მწყალობელი.

21 (17). ჭეშმარიტად, ალაჰის შენდობა იმათ, ვინც სიავეს სჩადიოდა უმეცრებით, შემდეგ მოინანიებენ მალევე და შეუნდობს მათ ალაჰი. ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

22 (18). და არ არის შენდობა იმათთვის, ვინც სიავეთ სჩადის, ვიდრე რომელიმე მათგანს სიკვდილი მოუნევედეს და იტყოდეს — მე ვინანიებ ახლავ, ანდა მათ, რომლებიც (ისე) იხოცებიან, რომ არიან ურწმუნონი. მათ ჩვენ მოვუმზადეთ სასჯელი მტანჯველი.

23 (19). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნებადართული არაა თქვენთვის, უანდერძოთ ცოლებს (მათთვის) საძულველი,<sup>16</sup> და ნუ აიძულებთ, რომ დაგიბრუნონ ზოგი რამ, რაც ადრე მათთვის გიჩუქებიათ. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ისინი აშკარა მრუშობას დაიწყებენ. მოეპყარით მათ სიკეთით, ხოლო თუკი მოიძულებთ, მაშინ რამდენჯერ ყოფილა, როცა თქვენ გძულებიათ რამე, ალაჰს კი მასში თქვენთვის უამრავი სიკეთე დაედგინა.

24 (20). და თუ მოინდომებთ შეცვალოთ ერთი ცოლი მეორე ცოლით, და თუ პირველი მათგანისათვის უწინ გიჩუქნიათ თუნდ ერთი კინტარი, არ გამოართვათ უკან რაიმე. განა თქვენ აილებთ მას ცილისწამებითა და

აშკარა ცოდვით?!

25 (21). და როგორ აიღებთ მას, როცა თქვენ უკვე თანაეყავით ერთმანეთს და მათ მიიღეს თქვენგან პირობა მტკიცე?!

26 (22). და ნუ შეირთავთ იმ ქალებს, რომლებიც ცოლად ჰყავდათ თქვენს მამებს, იმის გარდა, რაც აქამდე ყოფილა.<sup>17</sup> ჭეშმარიტად, ეს არის სიძვა, გარყვნილება და ავი სავალი.

27 (23). (რელიგიურად) გეკრძალებათ თქვენ (ცოლად შეირთოთ) თქვენი დედები, ქალიშვილები, დები, მამიდები, დეიდები, ძმისშვილები, დისშვილები, ძიძები, რომელთაც ძუძუ განოვეს. თქვენი ძუძუმტე გოგოები, თქვენი ცოლების დედები, გერები, რომლებიც თქვენს ხელში იზრდებიან იმ ცოლთაგან, რომელთაც თანაეყოფით. ხოლო თუ არ გაქვთ მათთან სასარეცლო ურთიერთობა, მაშინ ცოდვა არ გექნეთ (თუ შეირთავთ თქვენს გერებს); და თქვენი ღვიძლი შვილების კანონიერი ცოლები. და გეკრძალებათ, ასევე, ერთდროულად თანაეყოთ ორ დას, იმის გარდა, თუ ეს უკვე ადრე მომხდარა.<sup>18</sup> ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

28 (24). და გეკრძალებათ თქვენ თავშენახული<sup>19</sup> ქალები, იმათ გარდა, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა, თანახმად ალაჰის ნერილისა, და ნებადართულია თქვენთვის, ამას გარდა, რომ თვითონვე მოძებნოთ და აირჩიოთ თქვენს ხარჯზე ცოლად და არა გარყვნილებისათვის (ნებისმიერი ქალი) და იმისათვის, რასაც მათგან ისიამოვნებთ,<sup>20</sup> მიეცით მათ თავიანთი საზღაური<sup>21</sup> (განსაზღვრული, რელიგიურად დაკისრებული) და ცოდვად არ ჩაგეთვლებთ ის, რაზეც ერთმანეთში შეთანხმდებით ამ დაკისრებული საზღაურის შემდეგ. ხოლო ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

29 (25). და იმ თქვენგანს, ვისაც არ გააჩნია სახსარი, რომ ცოლად შეირთოს მორწმუნე, თავშენახული ქალები, მაშინ (შეირთოს) იმ მორწმუნე გოგონათაგანი, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა (ალაჰისათვის ბრძოლაში). ალაჰმა ყველაზე უკეთ იცის თქვენი რწმენა, თქვენ ყველა ერთი მეორისგანა ხართ<sup>22</sup> და შეირთეთ ისინი მათი ოჯახის ნებართვით და მიეცით მათ თავიანთი საზღაური, სიკეთით, თავშენახ-

ულთ, არამემრუშეთა და საყვარლების არ ამომრჩეველთ.

30. და როს ისინი გათხოვდებიან, თუკი ამის შემდეგ მრუშობას დაინწყებენ, მათზე იქნება ნახევარი იმ სასჯელისა, რაც თავშენახულ ქალებს (მიეგება). ეს იმ თქვენგანისათვის, ვისაც ეშინია მრუშობისა — ხოლო თუ მოითმენთ, უმჯობესია თქვენთვის. ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი!

31 (26). ნებავეს ალაჰს, ცხადად განგიმართოთ და გინინამძღვროთ იმათი ადათებით, ვინც იყვნენ თქვენზე უწინ და მოგიტევოთ თქვენ, რამეთუ ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

32 (27). და ნებავეს ალაჰს, რომ მოგიტევოთ თქვენ. იმათ კი, რომლებიც მისდევენ ვნებებს, სურთ, რომ სცდუნდეთ დიდი ცდუნებით. (28) ნებავეს ალაჰს, რომ შეგიმსუბუქოთ<sup>23</sup> თქვენ. ადამიანი ხომ სუსტი ქმნილებაა.

33 (29). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ შეჭამთ თქვენს ქონებას თქვენ შორის ამაოდ,<sup>24</sup> თუკი ეს არ იქნება ვაჭრობა, რომლითაც კმაყოფილია ორივე მხარე თქვენგან, და ნუ მოიკლავთ თავს.<sup>25</sup> ალაჰია თქვენი მწყალობელი.

34 (30). ხოლო ვინც ქნას ეს მტრობითა<sup>26</sup> და უსამართლობით, ცეცხლს მივცემთ იგი და ადვილია ეს ალაჰისათვის.

35 (31). ხოლო თუ მოერიდებით იმ დიდ ცოდვებს,<sup>27</sup> რაც ღვთისაგან აგეკრძალათ, მაშინ განგწმენდთ იგი სიავეთაგან და შეგაბრძანებთ კურთხეულ შესასვლელში.<sup>28</sup>

36 (32). და არ ისურვოთ ის, რითაც ალაჰი ზოგ თქვენგანს ზოგი თქვენგანისაგან გამოარჩევს.<sup>29</sup> კაცებს — წილი იმისა, რაც მოიხვეჭეს, და ქალებს — წილი იმისა, რაც მოიხვეჭეს. სთხოვეთ ალაჰს მადლი. ჭეშმარიტად, ალაჰი ყოვლისმცოდნეა.

37 (33). და თითოეულს დაგუდგინეთ ჩვენ მემკვიდრენი<sup>30</sup> იმისა, რასაც დატოვებს. ესენია — მშობლები და ახლობლები და ისინი, ვისთანაც თქვენ ფიცი დაგიდიათ;<sup>31</sup> მიეცით მათ თავიანთი წილი, ხოლო ალაჰი არის ყოვლის მოწმე.

38 (34). და კაცები დგანან<sup>32</sup> ქალთა ზემოთ იმით, რითაც ალაჰმა გამოარჩია ისინი ერთმანეთისაგან, და იმით, რასაც (კაცები)

ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან; პატიოსანი ქალები მორჩილნი არიან (ქმრისა) და იცავენ იმ საიდუმლოს,<sup>33</sup> რაც მათ ალაჰმა ჩააბარა, ხოლო რომელთა პატიოსნების გამოც შიშობთ, შეაგონეთ მათ, სარეცელი გაუცალკევით<sup>34</sup> და სცემეთ (კიდევ),<sup>35</sup> მაგრამ თუ დაგემორჩილებიან, ნულარ გამოედევნებით მათ შემანუხებელ გზას. ალაჰი მაღალია, დიდებული.

39 (35). და თუ გეშინიათ მათ შორის განხეთქილებისა, მოიყვანეთ ერთი მსაჯული ქმრის ოჯახიდან და ერთი მსაჯული — ცოლის ოჯახიდან.<sup>36</sup> თუ ორივეს<sup>37</sup> უნდა (საქმის) გამოსწორება, მოარიგოს ისინი ალაჰმა. ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისგამგები.

40 (36). დაემონეთ<sup>38</sup> ალაჰს და ნუ ჩაუზიარებთ მას რაიმეს.<sup>39</sup> მოეპყარით მშობლებს სიკეთით, ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, ახლო და შორეულ მეზობლებს, გვერდში მდგომ მეგობრებს,<sup>40</sup> მოგზაურებს და მათ, ვინც დაიმორჩილა თქვენმა მარჯვენამ. ალაჰს არ უყვარს, ვინც არის გოროზი, ამპარტავანი —

41 (37). ისინი, რომელნიც ძუნწობენ და მოუნოდებენ ხალხს სიძუნწისაკენ, მაღავენ იმას, რა მაღლიც<sup>41</sup> მათ ალაჰმა უბოძა, და გაუშზადეთ ურწმუნოებს სასჯელი დამამცირებელი.

42 (38). მათ, ვინც ხარჯავს თავიანთ ქონებას ხალხის დასანახად; არა სწამთ ალაჰი და დღე უკანასკნელი, მას, ვისი მეურვეც შაითანია. და რა ავი მეურვეა (შაითანი)!

43 (39). რა მოუვიდოდათ, რომ ერწმუნათ ალაჰი და დღე უკანასკნელი და დაეხარჯათ, რაც ალაჰმა სარჩოდ უწყალობათ?! — ალაჰი ხომ მათი მცოდნეა.

44 (40). ალაჰი ნამცეცის მისხალ უსამართლობასაც კი არ ჩაიდენს, ხოლო თუ ვინმე კეთილ საქმეს აღასრულებს, ორმაგად უზღავს და მიაგებს მას თავისი წილიდან საზღაურს უდიდესს.

45 (41). და ის როგორღა იქნება, როცა ჩვენ ყველა თემიდან მოვიყვანთ ერთ მონმეს და მოვიყვანთ შენც (მუჰამად), რათა იყო მონმედ ამათ წინააღმდეგ.<sup>42</sup> (42) იმ დღეს ისურვებენ ისინი, ვინც არ ირწმუნა და ეურჩებოდა მოციქულს, რომ ნეტამც მინამ უყოთ პირი. მაგრამ ალაჰს ერთ ამბავსაც ვერ დაუმაღავენ.

46 (43). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნუ მიეკარებით ლოცვას იმ დროს, როცა ხართ გაბრუებულნი,<sup>43</sup> ვიდრე გაიგებდეთ, რას ამბობთ, და ნურც შებილწულნი,<sup>44</sup> — გარდა მოგზაურთა, — ვიდრე არ განიბანებოდეთ,<sup>45</sup> ხოლო თუ იქნებით ავად, ან სამოგზაუროდ; ან თუ რომელიმე თქვენგანი საპირფარეშოდან მობრუნდება, ან ქალებს მიეკარეთ<sup>46</sup> და წყალი ვერ მოიძიეთ, მაშინ გასუფთავდით<sup>47</sup> წმინდა ქვიშით, წაიცხეთ ის სახესა და ხელებზე.<sup>48</sup> და ალაჰი მიმტევებელია, შემწყნარებელი.

47 (44). განა არ გინახავს ისინი, რომელთაც ებოძათ ნაწილი წიგნისა,<sup>49</sup> ვზაბნევენ რომ ყიდულობენ და სწადიათ, გზა აგებნეთ. (45) ალაჰმა უკეთ იცის თქვენი მტრები. საკმარისია ალაჰი მეოხად და საკმარისია ალაჰი შემწედ!

48 (46). ზოგი იუდეველი<sup>50</sup> ამახინჯებს (წიგნის) სიტყვებს — ანაცვლებს მათ თავიანთი ადგილებიდან.<sup>51</sup> ისინი ამბობენ: გავიგონეთ და ვეურჩეთო, ან გაიგონე, შენ არ გაიგონე და დაგემწყემსე ჩვენო<sup>52</sup> — ბილწვენ თავიანთი ბაგეებით ღვთის სიტყვას და ზიანს აყენებენ სარწმუნოებას.

49. მაგრამ მათ რომ ეთქვათ: გავიგონეთ და დავემორჩილეთო, ან გვისმინე და მოგვხედო, — უკეთესი იქნებოდა მათთვის და უფრო წარუვალნი, მაგრამ დაწყევლა ისინი ალაჰმა მათი ურწმუნობის გამო და არავისა სწამს, თვინიერ მცირედთა.

50. (47). ო, თქვენ, რომელთაც გებოძათ წიგნი,<sup>53</sup> ირწმუნეთ ის, რაც ზეგარდმოვავლინეთ დასტურად იმისა, რაც იყო თქვენთან,<sup>54</sup> მანამდე, ვიდრე სახეებს წავშლიდეთ ან ამოვაბრუნებდეთ მათ<sup>55</sup> და ვიდრე დავენყევლით მათ ისე, როგორც დავენყევლით შაბათის პატრონი.<sup>56</sup> და აღსრულებულ იქნა ბრძანება ალაჰისა!

51 (48). ალაჰი არ მიუტევეს იმას, ვინც მას რამეს ჩაუზიარებს<sup>57</sup> და მიუტევეს — ამის გარდა — იმას, რასაც ინებებს. ხოლო ის, ვინც რამეს ჩაუზიარებს ალაჰს, ჩაიდენს შეცოდებას უდიდესს.

52 (49). განა არ გინახავს ისინი, თავს რომ განწმენდენ, მაგრამ მხოლოდ ალაჰი განწმენდს იმას, ვისაც ინებებს, და ისინი ფათილის<sup>58</sup> ოდენადაც არ იქნებიან დაჩაგრულნი.



53 (50). შეხე, როგორ თხზავენ ალაჰზე სიცრუეს და ეს საკმარისია აშკარა შეცოდებად.

54 (51). განა ვერ ხედავ იმათ, რომელთაც ებოძათ წიგნის ნაწილი. მათ სწამთ ჯიბთისა და ტალუთისა<sup>59</sup> და ამბობენ მათზე, ვისაც არა სწამს: ისინი უფრო ჭეშმარიტ გზას ადგანან, ვიდრე ისინი, ვინც ირწმუნაო.

55 (52). სწორედ ესენი დაწყევლა ალაჰმა და ვინც დაწყევლა ალაჰმა, მას შენ შემწეს ვერ მოუძებნი.

56 (53). ანდა იმათ, რომელთაც აქვთ წილი ძალაუფლებისა,<sup>60</sup> თუმცა, ხალხს ფინიკის ქერქსაც კი არ მისცემენ.

57 (54). ანდა იმათ, ვისაც შურს ხალხის<sup>61</sup> იმ მაღლის გამო, რაც მათთვის ალაჰს უბოძებია. ჩვენ კი ვუბოძეთ იბრაჰიმის სახლეულს წიგნი, სიბრძნე<sup>62</sup> და ვუბოძეთ მათ უზარმაზარი ძალაუფლება.<sup>63</sup>

58 (55). მათგან არის იგი, ვინც ირწმუნა ის<sup>64</sup> და მათგანვეა ისიც, ვინც ზურგი აქცია მას. და ეყოფა იგი ჯოჯოხეთს ცეცხლის ალად.

59 (56). მათ, ვინც არ ირწმუნა ჩვენი აიები, ცეცხლს მივცემთ, და მუდამ, როგორც კი კანი დაენვებათ, დაფარავთ ახალი კანით, რათა დააგემოვნონ სასჯელი. ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

60 (57). იმათ კი, რომელთაც ირწმუნეს და კეთილ საქმეთ ალასრულებდნენ, შევებრძანებთ ნალკოტებში, რომელთა წილ მიედინებიან მდინარენი. იქნებიან იქ მარადიულნი. ეყოლებათ იქ (მუდმივად) განმენდილი მენყვილენი, და შევიყვანთ მათ ჩრდილში, გრილოში.

61 (58). ალაჰი გიბრძანებთ, — დაუბრუნოთ ანაბარი მათ პატრონებს, და თუ განსჯით ხალხთა შორის, განსაჯოთ სამართლიანად. და ალაჰი... რა მშვენიერია, რასაც იგი შეგაგონებთ! ალაჰი ყოვლისგამგონეა, ყოვლისმხედი.

62 (59). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, დაემორჩილეთ ალაჰს, მის მოციქულსა და მბრძანებელთ თქვენ შორის; ხოლო თუ უთანხმოება მოგივათ რამეზე, წარუდგინეთ იგი ალაჰსა და მის მოციქულს, თუკი ირწმუნეთ ალაჰი და დღე უკანასკნელი. ეს უკეთესია და უმჯობესი გამოსავალი.

63 (60). განა ვერ ხედავ იმათ,<sup>65</sup> ვინც

ამბობდა, რომ ირწმუნეს ის, რაც შენზე გარდმოვევლინა და რაც გარდმოვევლინე იქნა შენზე უწინ (თუმცაღა), სურდათ, რომ განმსჯელად მიემართათ ტალუთისთვის, მაშინ, როცა ნაბრძანები ჰქონდათ უარეყოთ იგი. სურს შაითანს, რომ გზა აურიოს მათ შორი გზააბნევით.

64 (61). და როცა შეეგონებათ მათ, — მიდით იმასთან, რაც ალაჰმა გარდმოვევლინა, და მოციქულთანო, დაინახავთ თვალთმაქცთ, რა გამიჯვნით გაგემიჯნებიან!

65 (62). ის როგორღა იქნება, როცა მოვევლენთ მათ რაიმე განსაცდელს, იმის გამო, რაც გააკეთეს მათმა ხელებმა. მერე მოვლენ შენთან და დაიფიცებენ ალაჰს, მხოლოდ სიკეთე და თანხმობა გვსურდაო.

66 (63). სწორედ ესენი არიან, რომელთა შესახებაც იცის ალაჰმა, რა უღვევთ გულში. ზურგი აქცია მათ (მუჰამად), მაგრამ შეაგონე კი ისინი და უთხარი მათ სიტყვა მათთვის დამაჯერებელი.

67 (64). მოციქულნი მხოლოდ იმიტომ წარმოგზავნეთ, რომ ემორჩილებოდნენ მათ ალაჰის ნებით. ხოლო როს საკუთარ თავს უსამართლოდ მოეპყრობიან, თუ მოვლენ შენთან და ალაჰს პატიებას სთხოვენ, პატიება ითხოვოს მათთვის მოციქულმა და, ჭეშმარიტად, ჰპოვებენ ალაჰს მიმტევებლად, მწყალობლად.

68 (65). ო, არა, — ვფიცავ შენს უფალს — არ ირწმუნებენ ისინი, ვიდრე არ გიხმობენ შენ (მუჰამად) იმის მსაჯულად, რაზეც ერთმანეთში კამათობდნენ. აი, მაშინ კი ვერ იპოვნონ თავიანთ სულელებში წინააღმდეგობა იმის მიმართ, რაც განეჩინებათ, და დამორჩილდნენ სრული მორჩილებით.

69 (66). და თუნდაც ჩვენ დაგვენერა<sup>66</sup> მათთვის, თავი მოიკალით<sup>67</sup> ანდა გამოდით თქვენი სახლებიდანო, არ გააკეთებდნენ ამას, მათგან მცირედთა გარდა. ხოლო თუ შეასრულებდნენ იმას, რაც ჩაეგონათ, სიკეთე იქნებოდა მათთვის და განამტკიცებდა მათ.

70 (67). და აჰა, მივუბოძებდით მათ ჩვენი წილიდან საზღაურს უდიდესს. (68) და ვუწინამძღვრებდით პირდაპირ გზაზე.

71 (69). და ის, ვინც ემორჩილება ალაჰსა და მის მოციქულს, იმათთან ერთადაა, ვისაც მონყალება მისცა ალაჰმა, — წინასწარმ-

ეტყველთ, მართალთ, მონამეთ, ნეტართ — და მშვენიერნი არიან ესენი მეგობრობით.

72 (70). ეს არის მადლი ალაჰისა და საკმარისია ალაჰისათვის ის, რომ იგი ყოველსმცოდნეა.

73 (71). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, (ბრძოლისას) სიფრთხილით აღიჭურვეთ, ან ჯგუფად გამოდით, ანდა ერთიანად.

74 (72). და თქვენ შორის არიან ისინი, ვინც ზოზინს დაიწყებს (ბრძოლისას)<sup>68</sup> და, თუ რაიმე უბედურება დაგემართებათ, იტყვის: ალაჰმა მაკურთხა მე, რომ მათთან ერთად მონამედ (მონმედ) არა ვარო.

75 (73). ხოლო თუკი მადლი გენევათ ალაჰისაგან, აი, მაშინ იტყვის, — ისე, თითქოს, თქვენსა და მას<sup>69</sup> შორის სიყვარული არ ყოფილიყოს: ოჰ, ნეტავ მათთან ვყოფილიყავი და უდიდესი გამარჯვება მომეპოვებინაო.

76 (74). დაე, ებრძოდე ალაჰის გზაზე იმათ, ვისაც ზესთასოფელი ნუთისოფელზე გაუცვლია. და ვინც იბრძოლოს ალაჰის გზაზე და მოიკლას, ან გაიმარჯვოს — მივაგოთ მას საზღაური უდიდესი.

77 (75). და რატომაც არ უნდა იბრძოლოთ ალაჰის გზაზე და დაჩაგრულ<sup>70</sup> კაცთა, ქალთა და ბაღლთა გულისათვის, რომლებიც ამბობენ: უფალო ჩვენო, გაგვიყვანე ამ სოფლიდან, რომლის ხალხიც უსამართლოა. დაგვიდგინე ჩვენ შენი წიაღიდან მეოხი და დაგვიდგინე შენი წიაღიდან შემწეო!

78 (76). ისინი, რომელთაც ირწმუნეს, ალაჰის გზაზე იბრძვიან; ხოლო რომელთაც არ ირწმუნეს, ტალუთის გზაზე იბრძვიან. მაშ, შეებრძოლეთ მათ — შაითანის შემწეთ. ჭეშმარიტად, სუსტია ხრიკები შაითანისა!

79 (77). განა არ გინახავს ისინი, რომელთაც ებრძანათ: ხელი აიღეთ ბრძოლაზე, დაადგრით ლოცვად და ზაქათი გაეცითო.<sup>71</sup> ხოლო როცა კი დაწერილი იყო მათთვის ბრძოლა, მაშინ მათი ნაწილი შეუშინდა ხალხს ალაჰისადმი (საკადრისი) შიშით, ანდა უფრო ძლიერით, და თქვეს: — ჩვენო უფალო, რად დაგვიწესე ბრძოლა, ნეტავ, გადაგედო იგი ჩვენთვის ახლო მომავლისათვისო. უთხარი: მცირეა სახსარი ნუთისოფლისა და უკეთესია ზესთასოფელი იმისათვის, ვისაც ღვთისა ეშინია. და ფათილის ოდენადაც კი არ იქნებით და-

ჩაგრულნი.

80 (78). სადაც უნდა იყოთ, სიკვდილი მაინც მოგენევათ, თუნდაც გამაგრებულ ციხე-კოშკში ისხდეთ-თქო. და თუ სიკეთე მოენევათ, იტყვიან, — ეს ალაჰისგანააო, ხოლო თუ სიავე დაემართებათ, გეუბნებიან, — ეს (მუჰამად) შენგან არისო! უთხარი: ყველაფერი ალაჰისგანაა და რა სჭირს ამ ხალხს, რომ არ ცდილობენ, ერთი სიტყვა მაინც კეთილგანსაჯონ?!

81 (79). რა სიკეთეც შეგემთხვევა, ალაჰისგანაა და რა სიავეც დაგემართება, თვით შენგანაა. შენ კი (მუჰამად) წარმოგაგზავნეთ ხალხთან მოციქულად და საკმარისია ალაჰი მონმედ.

82 (80). ვინც დაემორჩილება მოციქულს, დაემორჩილება ალაჰს. ხოლო ის, ვინც ზურგს იბრუნებს... არ წარმოგვიგზავნიხარ შენ (მუჰამად) მათ დამცველად.

83 (81). ამბობენ, მორჩილებითაო! მაგრამ როცა შენგან გავლენ, მათი ერთი ჯგუფი<sup>72</sup> ჩაიფიქრებს ხოლმე სხვა რაიმეს და არა იმას, რასაც შენ ამბობდი. ალაჰი კი ჩაინერს იმას, რასაც ისინი ჩაიფიქრებენ. ზურგი აქციე მათ და სასოებდე ალაჰს. საკმარისია ალაჰი ქომაგად.

84 (82). რატომ კეთილ არ-განსჯიან ყურანს?! ეს რომ ალაჰის წიაღიდან არ ყოფილიყო, მასში უამრავ წინააღმდეგობას ნააწყდებოდნენ.

85 (83). და როდესაც მოუნევთ საქმე უსაფრთხო ან ფათერაკიანი, ქვეყანას სდებენ. და ნეტავ, წაეღოთ იგი მოციქულისა ან საქმის მცოდნეთათვის, რათა გაეგო ის მათგან იმას, ვინც კეთილგანსჯიდა. და რომ არა მადლი ალაჰისა თქვენზე და წყალობა მისი, შაითანს გაჰყვებოდით, თვინიერ მცირედთა.

86 (84). იბრძოლე ალაჰის გზაზე, საკუთარი თავის გარდა ნურავის ნურაფერს დააკისრებ და ნააქეზე მორწმუნენი (საბრძოლველად)! ეგების ალაჰმა შეაკავოს მრისხანება ურწმუნოთა. ალაჰი ყველაზე ძლიერია მრისხანებითა და სასჯელით!

87 (85). და ვინც იმუჰამდგომლოს კეთილი შუამდგომლობით, წილი ექნეს ამ სიკეთიდან, ხოლო ვინც იმუჰამდგომლოს ავი შუამდგომლობით, წილი ექნეს მასაც (იმ სიავისა). ალაჰი კი თვალყურს ადევნებს

ყოველივეს.

88 (86). და თუკი ვინმე სალმით შეგზვდებათ, მიესალმეთ უკეთ ან იმგვარადვე. ჭეშმარიტად, ალაჰი იანგარიშებს ყველაფერს.

89 (87). ალაჰი... არა არს ღმერთი, თვინიერ მისისა. იგი, ჭეშმარიტად, შეგკრებთ თქვენ აღდგომის დღეს — ეჭვი არაა მასში. და ვინ არის ალაჰზე უფრო მართალი თქმულით?!

90 (88). და რად გაიყავით თქვენ ორ ჯგუფად თვალთმაქცთა თაობაზე. ალაჰმა შერისხა ისინი იმისათვის, რაც მოიხვეჭეს. ან განა გსურთ, რომ ჭეშმარიტ გზაზე დადგნენ ისინი, ვისაც ალაჰმა გზა აურია. ვისაც ალაჰმა გზა აურია, იმისათვის შენ გზას ვერ მოიძიებ!

91 (89). ნატრობენ, რომ თქვენც ურწმუნონი იყოთ ისევე, როგორც თვითონ არ ირწმუნეს, რათა თანასწორნი შეიქნათ. და ნუ აირჩევ მათგან მეგობრებს, ვიდრე სამშობლოდან გადასახლდებოდნენ ალაჰის გულისათვის, და თუ უკან მობრუნდნენ, აიღეთ და ხოცეთ ისინი, სადაც ნაანყდებით.<sup>73</sup> და ნუ აირჩევ მათგან მეოხს და ნურცა შემნეს,

92 (90). იმის გარდა, ვინც ნათესავად მოხვდება, ხალხს, რომელთანაც თქვენ აღთქმა გაქვთ დადებული. ანდა ვინც თქვენთან მოვლენ გულაყრილნი თქვენთან ბრძოლაზე და თავისიანებთან ბრძოლაზე. ხოლო თუ ინებებდა ალაჰი, გააბატონებდა მათ თქვენზე და შეგებებოდნენ. ხოლო თუ თავს დაგანებებენ, აღარ შეგებრძოლებიან და მშვიდობას შემოგთავაზებენ, გზას აღარ მოგცემთ ალაჰი მათზე.

93 (91). შეხვდებით სხვებს, რომელთაც სურთ, რომ თქვენც გიერთგულონ და საკუთარ ხალხსაც უერთგულონ. თუმცა ყოველთვის, როცა კი ცდუნებისაკენ იქნებიან მიქცეულნი, მასში ეშვებიან. და თუკი არ მოგშორდნენ, ზავი არ შემოგთავაზებს და ხელი არ აიღეს (თქვენთან შუღლზე), აიღეთ და ხოცეთ ისინი, სადაც ნაანყდებით. სწორედ ესენი არიან, რომლებზედაც დაგიმკვიდრეთ ცხადი მეუფება!

94 (92). და არ შეიძლება მორწმუნისათვის, რომ მოკლას მორწმუნე, უნებლიე შემთხვევის გარდა.<sup>74</sup> ხოლო იმას, ვინც შემთხვევით მოკლავს მორწმუნეს, დაევალოს

გათავისუფლება მორწმუნე მონისა და სისხლის გამოსასყიდი მისი ხალხისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოკლულის ნათესავები ნებაყოფლობით გაათავისუფლებენ მას ამისაგან. ხოლო თუ (მოკლული) თქვენზე მტრად მოკიდებული ხალხისგან, მაგრამ თვითონ მორწმუნე იქნება, მაშინ (სავალდებულოა) — ერთი მორწმუნე ტყვის გათავისუფლება, ხოლო თუ იმ ხალხისაგან იქნება, რომელთანაც აღთქმა გაქვთ დადებული, მაშინ სისხლის საფასური გადაუხადეთ მის ხალხს და გაათავისუფლეთ ერთი მორწმუნე მონა. და იმას, ვისაც (ეს) არ მოეძევა, ორი თვე მარხულობა (დაენესოს). და იმარხულონ ალაჰისაგან შენდობის მსურველთ; ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

95 (93). ხოლო ვინც მოკლავს მორწმუნეს განზრახ, მოვზლუდავთ მას ჯოჯოხეთით. იქნება იქ მარადიული. ალაჰი შერისხავს, დასწყევლის მას და მოუმზადებს სასჯელს უდიდესს.

96 (94). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, როდესაც გაემართებით<sup>75</sup> ალაჰის გზაზე (საბრძოლველად), გაარჩიეთ (მოყვასი მტრისაგან)<sup>76</sup> და ნუ ეტყვიით მათ, ვინც მშვიდობას გთავაზობთ, მორწმუნე არა ხარო,<sup>77</sup> — წუთისოფლის სიუხვის მსურველნი.<sup>78</sup> ალაჰის წინა კი არის ალაფი აღურაცხელი. თქვენც ასეთები იყავით ადრე<sup>79</sup> და ალაჰმა წყალობა გიყოთ და გაარკვიეთ, რომ ალაჰი, რასაც აკეთებთ, არის გამგები.

97 (95). თანასწორნი არ არიან მორწმუნეთაგან (შინ) მსხდომნი,<sup>80</sup> ზარალუნახავნი და ალაჰის გზაზე მებრძოლნი — თავიანთი ქონებითა და სულეებით. გამოარჩია ალაჰმა მებრძოლნი თავიანთი ქონებითა და სულეებით და აღამალლა ისინი (შინ) მსხდომებზე ერთი საფეხურით. ყველაფერი, რასაც გვპირდება ალაჰი, უმშვენიერესია. გამოარჩია ალაჰმა მებრძოლნი (შინ) მსხდომებზე უდიდესი საზღაურით,

98 (96). თავისი ხარისხებით, მიტყვებითა და წყალობით და ალაჰი მიმტყვებელია, მწყალობელი.

99 (97). ჭეშმარიტად, იმათ, ვისაც მისცვლიან ანგელოსნი მაშინ, როცა (ურწმუნოების გამო) საკუთარი თავის მიმართ უსამართლობას სჩადიან, ჰკითხავენ — რა გზას ადექითო? მიუგებენ: ვიყავით

ჩაგრულნი ქვეყანაზეო. ეტყვიან (ანგელოსნი): განა ალაჰის ქვეყანა ვრცელი არ იყო, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებულიყავითო? — მათი თავმესაფარი ჯოჯოხეთია და რა საზარელია ეს სამკვიდრებელი!

100 (98). გარდა იმ ჩაგრულთა — კაცთა, ქალთა თუ ბავშვთა — რომელთაც ხერხი ვერ იხმარეს და ვერ გაეშურნენ რომელიმე გზით. (99) აი, ესენი... ისურვა ალაჰმა, მიეტევებინა მათთვის და არის ალაჰი მიმტევებელი, ყოვლისშემნდობი.

101 (100). ის, ვინც სამშობლოდან გადასახლებაში წავა<sup>81</sup> ალაჰის გულისათვის, იპოვის დედამინაზე მრავალ სამკვიდროსა და სახსარს, და ის, ვინც დატოვებს თავის სახლს ალაჰისა და მისი მოციქულისაკენ მუჰაჯირობისთვის,<sup>82</sup> და მოეწევა ამ დროს სიკვდილი, ალაჰზეა (მისი) საზღაური და ალაჰი მიმტევებელია, მწყალობელი.

102 (101). და როს მოგზაურობთ ქვეყანაზე, ცოდვა არ გექნეთ იმის გამო, თუ შეამოკლებთ ლოცვას, როცა გეშინიათ იმისა, რომ მოახლოვდებიან ურწმუნონი. ჭეშმარიტად, ურწმუნონი არიან თქვენი აშკარა მტრები.

103 (102). და თუ იქნებით მათ<sup>83</sup> შორის და მათთვის ლოცვას ალაველენ (მუჰამად), დაე დადგეს მათი ერთი ჯგუფი შენთან ერთად ისე, რომ ხელში ეპყრათ იარაღი,<sup>84</sup> ხოლო როცა მუხლს მოიყრიან, იდგნენ თქვენს უკან და მოვიდეს მეორე ჯგუფი, რომელსაც არ ულოცია და ილოცოს შენთან ერთად. ისინი აღიჭურვონ სიფრთხილითა და საჭურვლით. სწადათ მათ, რომელნიც არიან ურწმუნონი, რომ ეგებ (როგორმე) ყურადღება მოადუნოთ თქვენს იარაღსა და ბარგზე, რათა თქვენზე ერთი დარტყმით მოიტანონ იერიში. და ცოდვა არ გექნეთ, თუ წვიმით შეწუხებულნი, ან ავადმყოფნი იარაღს დადებთ<sup>85</sup> და (მხოლოდ) სიფრთხილით აღიჭურვებით. ალაჰმა განუმზადა ურწმუნოებს სასჯელი დამამცირებელი.

104 (103). და როდესაც მორჩებით ლოცვას, გახსოვდეთ ალაჰი მდგომთა, მსხდომთა და მხართეძოზე წამოწოლილთ, ხოლო როცა გულმშვიდად იქნებით, დაადგრით ლოცვად, ჭეშმარიტად, ლოცვა ევალებათ მორწმუნეებს განსაზღვრულ დროს.

105 (104). და ნუ მოუძღურდებით (მტრის) ხალხის<sup>86</sup> დევნაში. თუ თქვენ იტანჯებით, ისინიც იტანჯებიან სწორედ ისე, როგორც თქვენ იტანჯებით, მაგრამ თქვენ ალაჰისაგან გაქვთ იმის იმედი, რისი იმედიც მათ არ გააჩნიათ და ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

106 (105). გარდმოგივლინეთ შენ წიგნი ჭეშმარიტებით, რათა განსაჯო ხალხთა შორის, იმით რაც დაგანახვა ალაჰმა, და ნუ იქნები მოლაღატეთა ქომაგი.<sup>87</sup> (106) და პატიება სთხოვე ალაჰს. ალაჰი მიმტევებელია, მწყალობელი.

107 (107). და ნუ გამოესარჩლები იმათ, რომელთაც უღალატეს საკუთარ თავს. ალაჰს არ უყვარს მუხთალნი, ცოდვილნი.

108 (108). ემალებიან ხალხს და არ ემალებიან ალაჰს, მაშინ, როცა იგი მათთანაა, როდესაც ისინი მალულად ჩაიფიქრებენ ხოლმე იმას, რაც არ უყვარს ალაჰს. ხოლო ალაჰი გარემოიციავს იმას, რასაც აკეთებენ.

109 (109). და აჰა, სწორედ თქვენ იყავით ისინი, ვინც ესარჩლებოდით მათ წუთისოფელში, მაგრამ ვინ გამოესარჩლება მათ ალაჰის წინაშე, და აღდგომის დღეს ვინ იქნება მათი ქომაგი?!

110 (110). ის, ვინც ჩაიდენს სიავეს, ანდა შესცოდავს საკუთარი თავის წინაშე, მერე კი პატიებას სთხოვს ალაჰს, ჰპოვებს ალაჰს მიმტევებლად, მწყალობლად.

111 (111). ის კი, ვინც მოიხვეჭს ცოდვას, მოიხვეჭს მას თავისი თავის წინააღმდეგ და ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი.

112 (112). ხოლო ის, ვინც ჩაიდენს ცოდვას ან შეცოდებას, მერე კი გადააბრალებს მას მართალს, თავს დაიტყვის შერცხვენასა და აშკარა შეცოდებას.

113 (113). და რომ არა ალაჰის მაღლი შენზე და მისი წყალობა, მათი ერთი ჯგუფი შეეცდებოდა, გზას აეცდინე, მაგრამ ვერავის ააცდენენ გზას თავისი თავის გარდა და შენ ვერა ზიანს ვერ მოგიტანენ. ალაჰმა გარდმოგიბოძა წიგნი და სიბრძნე, გასწავლა ის, რაც ადრე არ იცოდი, და შენზეა ალაჰის მაღლი უდიდესი.

114 (114). და არავითარი სიკეთე არ არის მრავალ მათ. საიდუმლო საუბარში, გარდა იმისა, ვინც მოუწოდებს ხალხს ქველმოქ-

მედებისა ან კეთილი საქმისაკენ ანდა (მოუწოდებს) ხალხს შერიგებისაკენ. იმას, ვინც ამას იქმს ალაჰის კმაყოფილების წადილით, მივუბოძებთ საზღაურს უდიდესს.

115 (115). ხოლო იმას, ვინც გაემიჯნება მოციქულს იმის შემდგომ, რაც ჭეშმარიტი გზა განეცხადა და გაუყვება არა იმ ბილიკს, რომლითაც მიდიან მორწმუნენი, გეზს მივცემთ იქით, საითკენაც ეჭირა გეზი; ჩავაგდებთ ჯოჯოხეთში! და რა საძაგელია ეს სამკვიდრებელი!

116 (116). ჭეშმარიტად, ალაჰი არ მიუტევებს, რომ მას რაიმე ჩაუზიარონ. ამას გარდა, მიუტევებს, რასაც ინებებს. ხოლო მას, ვინც ალაჰს რამეს ჩაუზიარებს, ღრმა კვალის არევით არევია გზა-კვალი.

117 (117). ისინი მხოლოდ ქალღმერთებზე<sup>88</sup> ლოცულობენ, თვინიერ ალაჰისა, და მხოლოდ შაითანზე ლოცულობენ, მონადინებულნი.

118 (118). ალაჰმა დასწყევლა იგი (შაითანი). მან კი უთხრა: მე ამოვირჩევ შენი მონების ნაწილსო. (119) გზა-კვალს ავურევ მათ და (წუთისოფლის) ოცნებებით გავართობ, ვუბრძანებ მათ, რომ დააჭრან ყურები საქონელს,<sup>89</sup> და ვუბრძანებ, რომ გადაასხვან ფერონ ალაჰის შექმნილიო.<sup>90</sup> ხოლო იგი, ვინც ალაჰს კი არა, შაითანს აირჩევს მეგობრად, წააგებს ცხადი წაგებით!

119 (120). შაითანი ჰპირდება მათ და აცდუნებს, მაგრამ შაითანის დაპირება არაფერია, თვინიერ სიცრუისა!

120 (121). მათი თავშესაფარი ჯოჯოხეთია და ვერ იპოვნიან იქიდან გამოსავალს!

121 (122). ისინი კი, რომელთაც ირწმუნეს და კეთილ საქმეთ ალასრულებდნენ... მათ ჩვენ შევიყვანთ ნალკოტებში, რომელთა წიალ მიედინებიან მდინარენი, და იქნებიან იქ მარადიულნი. ჭეშმარიტია ალაჰის დაპირება და ვინ არის ალაჰზე უფრო ჭეშმარიტი თქმულით?!

122 (123). (ალაჰის მიერ აღთქმული სიკეთე დამოკიდებული) არ არის არც თქვენს ოცნებებზე და არც წიგნის მქონეთა ოცნებებზე (რადგან), ვინც სიავეს ჩაიდენს, მიეზღვება იგივე და არ ეყოლება არც შემწე და არც მეოხი, თვინიერ ალაჰისა.<sup>91</sup>

123 (124). ხოლო ის, ვინც კეთილ საქმეს ალასრულებს, — კაცი თუ ქალი — თუკი

იგი მორწმუნეცაა, შევიყვანთ სამოთხეში და ნაკირის<sup>92</sup> ოდენადაც არ იქნებიან ისინი დაჩაგრულნი.

124 (125). და ვინ არის იმაზე უფრო მშვენიერი სარწმუნოებისა, ვინც თავისი ხატი ალაჰს დაუმორჩილა, კეთილია და მიჰყვება სჯულს<sup>93</sup> იბრაჰიმ ჰანიფისას.<sup>94</sup> და აირჩია ალაჰმა იბრაჰიმი თავის მეგობრად!<sup>95</sup>

125 (126). ალაჰისაა, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა, და ალაჰი ყოველივეს გარემოიციავს.

126 (127). გთხოვენ — ფათვა მისცე<sup>96</sup> მათ ქალთა<sup>97</sup> თაობაზე. უთხარი: ალაჰი ფათვას მოგცემთ თქვენ მათ შესახებაც და იმაზეც, რაც წიგნიდან გეკითხებათ. იმ ობოლ ქალებზე, რომელთაც არ აძლევთ, რაც დაწესებული აქვთ, მაშინ, როცა არ გსურთ ცოლად მოიყვანოთ;<sup>98</sup> ასევე დაჩაგრულ ყმანვილებზე. და თუ ობლებს სამართლიანად მოექცევით, ალაჰმა უწყის ყოველი სიკეთე, რასაც ალასრულებთ.

127 (128). და თუ ქალს ეშინია თავისი ბატონ-პატრონისაგან<sup>99</sup> დაჩაგვრისა<sup>100</sup> ანდა უარყოფისა,<sup>101</sup> ცოდვა არ ედოს ორივეს, თუკი მორიგდებიან მშვიდობით. მშვიდობა სიკეთეა. ადამიანებში ჩათესილია სიძუნწე, მაგრამ თუ სიკეთეს იქმთ და ღვთის შიში გექნებათ, ალაჰმა უწყის, რასაც აკეთებთ.

128 (129). თქვენ ვერასოდეს შეძლებთ, ერთნაირად სამართლიანად მოექცეთ ყველა ცოლს, თუნდაც რომ ესწრაფოდეთ ამას.<sup>102</sup> თქვენს მთელ წადილს ერთისაკენ ნუ მიმართავთ და სხვებს (ჰაერში) გამოკიდებულთ ნუ მიატოვებთ.<sup>103</sup> ხოლო თუ მშვიდობას დასთვთ და ღვთის შიში გექნებათ, ალაჰი შემწყნარებელია, მწყალობელი.

129 (130). მაგრამ თუ ორნი ერთმანეთს გაეყრებიან, ალაჰი ორივეს უზრუნველყოფს თავისი სულგრძელობით. ალაჰი ყოველისმომცველია, ბრძენთა ბრძენი.

130 (131). ალაჰისაა ყველაფერი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა. ვურჩიეთ მათ, რომელთაც ებოძათ წიგნი თქვენზე უწინ და ასევე თქვენც, რომ გეშინოდეთ ალაჰისა. ხოლო თუკი არ ირწმუნებთ, მაშინ (იცოდეთ): ალაჰისაა ყველაფერი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა და ალაჰი უმდიდრესია, ყოველადქებული!

131 (132). ალაჰისაა ყველაფერი, რაც



ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა და საკმარისია ალაჰი ქომაგად.

132 (133). თუკი ინებებს, თქვენ ნაგიყვანთ და სხვებს მოიყვანს. ალაჰი, — დი-ახაც, — შემძლეა ამისა!

133 (134). ვისაც ენადა პატივი ნუთი-სოფლისა, ალაჰის წიაღაა პატივი ნუთი-სოფლისაც და ზესთასოფლისაც. ალაჰი ყოვლისგამგონია, ყოვლისმხედი.

134 (135). ო, თქვენ, რომელთაც ირნმუნეთ, მტკიცედ დაიცავით სამართლიანობა და იყავით მოწმენი ალაჰის წინაშე, თუნდაც თქვენი თავის, თქვენი მშობლებისა ან ახლობლების წინააღმდეგ (იმის მიუხედავად, რომ ის, ვის წინააღმდეგაც ამოწმებთ), მდიდარია, თუ ღარიბი. ალაჰი უფრო ახლოა მათთან და ნუ აპყვებით გულისთქმას, რომ უსამართლოდ მოიქცეთ. ხოლო თუ განუდგებით ან ზურგს შეაქცევთ (სამართლიანობას), ჭეშმარიტად, ალაჰმა უწყის, რასაცა იქმთ.

135 (136). ო, თქვენ, რომელთაც ირნმუნეთ, გნამდეთ ალაჰი და მისი მოციქული; წიგნი, რომელიც გარდმოუვლინა მან თავის მოციქულს, და წიგნი, რომელიც მან ამაზე უწინ გარდმოავლინა, ხოლო მას, ვისაც არა სწამს ალაჰი, მისი ანგელოსები, წიგნები, მოციქულები და დღე უკანასკნელი, გზაკვალი არეგია შორი გზააბნევიით!

136 (137). ისინი კი, რომელთაც ირნმუნეს, მერე აღარ სწამდათ, მერე (ისევ) ირნმუნეს, მერე (კვლავ) აღარ სწამდათ და მერე უფრო მომძლავრდნენ ურნმუნობაში... არ იქნება, ალაჰმა შეუნდოს მათ, და არ უწინამძღვრებს მათ იგი არცერთი გზით!...

137 (138). ახარე თვალთმაქცებს, რომ სწორედ მათია სასჯელი მტანჯველი,

138 (139). მათ, რომლებიც მეგობრებად ირჩევენ ურნმუნობასა და არა-მორნმუნეთ, და ეძებენ მათგან პატივს, პატივი კი ალაჰის წიაღ არის სრულად.

139 (140). და მან გარდმოგივლინათ თქვენ (ამ) წიგნში, რომ როდესაც გესმით ალაჰის აიები, ვინც არ უჯერებს და მასხრად იგდებს მას... ნუ დასხდებით იმათთან ერთად, ვიდრე სხვა საუბარში გაერთობოდნენ, თორემ თქვენც მათი მსგავსი გახდებით. ალაჰი ერთად შეკრებს ურნმუნოთა და

თვალთმაქცებს ჯოჯოხეთში.

140 (141). და ისინი, რომლებიც ჩაგსაფრებიან, თუკი ალაჰისგან გამარჯვება გქენათ, იტყვიან, — განა თქვენთან არ ვიყავითო. ხოლო თუ გამარჯვება ურნმუნობებს დარჩათ, ეტყვიან (მათ): განა ჩვენ არ გინყობდით ხელს და არ გიცავდით მორნმუნეთაგანო?! ალაჰი განსჯის თქვენ შორის აღდგომის დღეს და არ მისცემს ალაჰი გზას ურნმუნობებს მორნმუნეთა ზედა.

141 (142). თვალთმაქცნი ატყუებენ ალაჰს, მაგრამ იგი მოატყუებს მათ, ხოლო თუკი ლოცვად დადგებიან, მოღვენილნი ლოცულობენ, თავს აჩვენებენ ხალხს და ალაჰს მხოლოდ მცირედ თუ ახსენებენ.

142 (143). მერყეობენ ამას შორის<sup>104</sup> და არც ამათთან არიან, არც იმათთან. ხოლო იმას, ვისაც ალაჰი გზასააცდენს, ვერაფერს უშველი!

143 (144). ო, თქვენ, რომელთაც ირნმუნეთ, ნუ გაიხდით ურნმუნობებს მეგობრებად მორნმუნეთა ნაცვლად. ნუთუ გსურთ მისცეთ ალაჰს ცხადი სამხილი თქვენს წინააღმდეგ?

144 (145). თვალთმაქცნი ჯოჯოხეთის ცეცხლის უმდაბლეს შრეში იქნებიან და ვერ მოუძებნი მათ შემნეს.

145 (146). იმათ გარდა, ვინც ინანიებდნენ, კეთილ საქმეს აღასრულებდნენ, ალაჰს სასოებდნენ და თავიანთი რწმენა ხალასად ალაჰისათვის მიეკუთვნებინათ. ისინი მორნმუნეთა თანა იქნებიან და ალაჰი უზღავს მორნმუნეთ სასყიდელს უდიდესს.

146 (147). რატომ უნდა დაგსაჯოთ ალაჰმა, თუ თქვენ მადლიერნი იქნებით და ირნმუნებთ?! ჭეშმარიტად, ალაჰი ყოვლისმცოდნეა, მადლიერი.

147 (148). არ უყვარს ალაჰს სიტყვით სიავის გამომჟღავნება, იმათ გარდა, ვინც უსამართლოდ დაჩაგრულია,<sup>105</sup>

148 (149). სიკეთეს ცხადად იქმთ თუ ფარულად, აპატიებთ თუ არა სიავეს, ალაჰი ძლევამოსილია, მიმტვევებელი.

149 (150). ისინი, ვისაც არა სწამს ალაჰი და მისი მოციქულნი, უნდათ განასხვაონ ალაჰი და მისი მოციქულნი და ამბობენ — გვნამს ზოგი მათგანი, ზოგი კი არა გვნამსო, — და უნდათ ამათ (რწმენასა და ურნმუნობას) შორის რაღაც გზა აირჩიონ.

150 (151). ჭეშმარიტად სწორედ ისინი არიან ურწმუნონი და გავუმზადეთ ურწმუნოთ სასჯელი დამამცირებელი.

151 (152). მათ კი, რომელთაც სწამთ ალაჰი და მისი მოციქულები, არ განასხვავებენ არცერთ მათგანს — მივაგებთ ჯილდოს, და ალაჰი იქნება მიმტვევებელი, მწყალობელი.

152 (153). გთხოვენ ნიგნის მქონენი,<sup>106</sup> რომ ცოდნა ან რაიმე ნიგნი გარდმოუვლინო. მუსას კი ამაზე მეტიც მოსთხოვეს და უთხრეს — ალაჰი თვალდათვალ გვიჩვენეო. და ისინი ელვამ მოიცვა მათი უსამართლობის გამო.<sup>107</sup> მერე კი კერპი აირჩიეს, იმის შემდგომ, რაც მათ მიუბოძათ ცხადი მტკიცებანი. ხოლო ჩვენ მივუტყვევთ მათ ეს და ვუბოძეთ მუსას ცხადი მეუფება.

153 (154). და მათი აღთქმის თანახმად ავამალღეთ მათ მათ ზემოთ და ვუთხარით მათ: შედით ამ კარიბჭეში — თაყვანისცემით! ვუბრძანეთ მათ: ნუ დაარღვევთ შაბათსო. და მივიღეთ მათგან აღთქმა უმტკიცესი.

154 (155). იმის გამო, რომ მათ გატყვეს თავიანთი აღთქმა ალაჰის სასწაულები-სადმი ურწმუნოების გამო; იმის გამო, რომ ხოცავდნენ მოციქულთ უსამართლოდ და მათი სიტყვების გამო — ჩვენი გულები წინადაუცვეთელიაო;<sup>108</sup> და ჭეშმარიტად, არა სწამთ მათ, თვინიერ მცირედთა.

155 (156). (ღიას) მათი ურწმუნოების გამო<sup>109</sup> და მარიამის შესახებ მათ მიერ უდიდესი მკრეხელობის<sup>110</sup> უბნობის გამო

156 (157). და მათი სიტყვების გამო — ჩვენ მოვკალით ალ-მასიჰ 'ისა იბნ მარიამი — მოციქული ალაჰისაო; მაშინ, როცა არც მოუკლავთ და არც ჯვარზე გაუკრავთ, არამედ მათ ასე მოეჩვენათ.<sup>111</sup> ისინი კი, ვინც უთანხმოებდნენ მის<sup>112</sup> თაობაზე, ეჭვებში არიან მასზე და არ გააჩნიათ მის შესახებ ცოდნა, გარდა ვარაუდების მიყოლისა. ის კი — ნამდვილად — არ მოუკლავთ! (158) არამედ აღამალლა ალაჰმა თავისთან და ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

157 (159). და ნიგნის მქონეთაგან ერთიც კი არ დარჩება, რომ არ ირწმუნოს იგი,<sup>113</sup> — მისი სიკვდილის წინ.<sup>114</sup> განკითხვის დღეს კი იგი ამონმებს მათ წინააღმდეგ.

158 (160). და ზოგი იუდეველის უსამართ-

ლობის გამო ავუკრძალეთ მათ ის სიკეთენი, რაც ადრე ნებადართული იყო მათთვის. იმიტომ, რომ ისინი ალაჰის გზიდან აცდუნებდნენ<sup>115</sup> მრავალთ.

159 (161). და იმიტომ, რომ მევახშეობისათვის მიეყოთ ხელი, თუმც კი უწინ გაფრთხილებულნი<sup>116</sup> იყვნენ ამის თაობაზე. იმიტომაც, რომ უსამართლოდ ჭამდნენ ხალხის ქონებას. და გავუმზადეთ მათ შორის ურწმუნოთ სასჯელი მტანჯველი!

160 (162). თუმცა მათგან მეცნიერებაში განმტკიცებულთა და მორწმუნეებს, რომელთაც სწამთ იმისა, რაც შენ გარდმოგვევლინა და რაც გარდმოვლენილა შენზე უწინ; ლოცვის აღმასრულებელთ, მონყალების გამღებთ, მორწმუნეთ ალაჰისა და უკანასკნელი დღისა — მივაგებთ ჩვენ სასყიდელს უდიდესს.

161 (163). ჩვენ გამოცხადება გიბოძეთ შენ ისევე, როგორც ვუბოძეთ გამოცხადება ნუჰსა და მოციქულებს მის შემდგომ, და გამოცხადება მივეცით იბრაჰიმს, ისმა'ილს, ისჰაკს, ია'კუბს და ისრაელიანთა შთამომავალთ. 'ისას, აიუბს,<sup>117</sup> იუნუსს,<sup>118</sup> ჰარუნსა<sup>119</sup> და სულაიმანს,<sup>120</sup> და მივუბოძეთ დაფუდს ფსალმუნი;<sup>121</sup>

162 (164). მოციქულებს, რომელთა ამბებიც უკვე გაიბზეთ, და მოციქულებს, რომელთა ამბებიც შენთვის (ჯერაც) არ გვიაშინია.<sup>122</sup> და დაელაპარაკა ალაჰი მუსას დალაპარაკებით.<sup>123</sup>

163 (165). მოციქულებს, — მახარობელთა და შემგონებელთ,<sup>124</sup> რათა არ ჰქონოდა ხალხს ალაჰის საწინააღმდეგო სამხილი შემდგომად მოციქულთა. ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა ბრძენი.

164 (166). მაგრამ ალაჰი ადასტურებს იმას, რომ რაც გარდმოავლინა შენზე, გარდმოავლინა თავისი ცოდნით,<sup>125</sup> და ამას ადასტურებენ ანგელოსნი. და საკმარისია ალაჰი მონმედ!

165 (167). მათ კი, რომელნიც იყვნენ ურწმუნონი და რომელთაც გადაუხვიეს ალაჰის გზიდან, გზა აებნათ დიდი გზაბნევით!

166 (168). ხოლო იმათ, რომლებიც ურწმუნონი იყვნენ და უსამართლოდ იქცეოდნენ, არ იქნება ალაჰმა აპატიოს, და იგი არ უწინამძღვრებს მათ არცერთი გზით

167 (169). გარდა ჯოჯოხეთის გზისა,

იქნებიან იქ მარადიულნი. და იოლია ეს ალაჰისათვის!

168 (170). ო, ხალხო,<sup>126</sup> აი, მოგიტანათ მოციქულმა ჭეშმარიტება თქვენი უფლისაგან და ირწმუნეთ — უმჯობესია თქვენთვის! ალაჰისაა ყველაფერი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა. ალაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენთა ბრძენი!

169 (171). ო, ნიგნის მქონენო,<sup>127</sup> ნუ გადააჭარბებთ თქვენს რწმენაში<sup>128</sup> და ალაჰზე ნურაფერს იტყვიტ, გარდა ჭეშმარიტებისა. რადგან ალ-მასიჰ 'ისა იბნ მარიამი ალაჰის მოციქულია და სიტყვაა მისი, რომელიც მან მარიამს შთაუნერგა, და სულია მისგან (გამომავალი). ირწმუნეთ ალაჰისა და მისი მოციქულებისა და ნუ იტყვიტ — სამია!<sup>129</sup> თავი დაანებეთ (ამგვარ საუბარს), უკეთესი იქნება თქვენთვის! რადგან ალაჰი ერთი ღმერთია და (მეტისმეტად) დიდია იგი იმისათვის, რომ ჰყავდეს ძე. მისია ყოველი, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა და საკმარისია ალაჰი დამცველად!

170 (172). არ ეთაკილებათ ალ-მასიჰს, რომ იყოს მონა ალაჰისა და არც (ღმერთთან) დაახლოებულ ანგელოსებს.

171. ხოლო ის, ვინც თაკილობს მის მონობას და ამპარტავნობს... იგი ყველას თავისთან შეკრებს.

172 (173). მათ კი, ვისაც სწამს და სიკეთეს იქმს, მივაგებთ თავიანთ სასყიდელს და მის მადლს იმათ მრავლად მივაგებთ! მათ კი, ვინც თაკილობს და თავს იდიდებს, დავსჯით სასჯელით მტანჯველით

173. და ვერ მონახავენ თვინიერ ალაჰისა მეოხსა და შემნეს.

174 (174). ო, ხალხო, მოგივიდათ თქვენ საბუთი თქვენი უფლისაგან და ზეგარდმოგივლინეთ თქვენ შუქი ნათელი. (175) იმათ, ვისაც სწამს ალაჰისა და ეყრდნობა მას, შევიყვანთ მის წყალობასა და მადლში და ვუწინამძღვრებთ მისკენ პირდაპირ გზაზე.

175 (176). შენ გთხოვენ ფათვას.<sup>130</sup> უთხარი: ფათვას მოგცემთ თქვენ ქალალას!<sup>131</sup> თაობაზე, რომ თუკი დაიღუპება კაცი, რომელსაც არა ჰყავს ძე და ჰყავს და, მას მიეცეს იმის ნახევარი, რაც მან დატოვა. და (შესაბამისად) იგი (ძმა) იქნება მემკვიდრე მისი (დისა), თუკი მას (დას) არა ჰყავს ვაჟივილი, ხოლო თუ ორი და იქნება, მაშინ მათ

მესამედი იმისა, რასაც (მათი ძმა) სიკვდილის შემდეგ დატოვებს, მაგრამ თუ არიან და-ძმანი — კაცები და ქალები — მაშინ კაცს ჰქონდეს იმდენი წილი, რამდენიც ორ ქალს. განგიმარტავთ თქვენ ალაჰი (ამას), რათა გზა არ აგებნეთ და ალაჰმა იცის ყველაფერი.

## სურა V

### მაგიდა'

#### მედინური, ას ოცი აია სახელითა ალაჰისა, მონყალისა, მწყალობლისა

1 (1). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, უერთგულეთ დაპირებებს.<sup>2</sup> ნებადართულია<sup>3</sup> თქვენთვის ბალახის მჭამელი საქონელი;<sup>4</sup> გარდა იმისა, რაც ჩამოგეთვლებათ. ნებადართული არაა ნადირობა, როცა იმყოფებით იჰრამის<sup>5</sup> მდგომარეობაში. ალაჰი ბრძანებს იმას, რასაც ინებებს.

2 (2). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, ნებადართული არაა თქვენთვის (დარღვევა) ალაჰის ნიშებისა,<sup>6</sup> საკრძალველი თვისა,<sup>7</sup> სამსხვერპლო<sup>8</sup> და კისერზე თოკშებმული ცხოველებისა,<sup>9</sup> საკრძალველი სახლის<sup>10</sup> მომლოცველთა, რომელთაც სურთ მადლი თავიანთი უფლისა და კმაყოფილება.

3. ხოლო როდესაც გაიხსნილეთ,<sup>11</sup> ინადირეთ და უსამართლობისაკენ ნუ წაგაქეზებთ<sup>12</sup> სიძულვილი იმ ადამიანთა,<sup>13</sup> რომლებიც ხელს გიშლიდნენ საკრძალველ სახლთან მისვლაში. შეენიეთ ერთმანეთს ქველმოქმედებასა და ღვთისმოშიშებაში და ნუ შეენევიტ ცოდვასა და მტრობაში. გეშინოდეთ ალაჰისა, რადგან ალაჰი სასტიკსაზღაურია.

4 (3). გეკრძალებათ (ჭამოთ) ლეში,<sup>14</sup> სისხლი, ღორის ხორცი და ის, რაც ალაჰის სახელით არ დაკლულა;<sup>15</sup> ასევე დამხრჩვალნი, დაბეგვილი ან (მაღლიდან) გადავარდნილი, ნარქენით მკვდარი და ის, რაც მტაცებელთ შუქამიათ, იმის გარდა, რასაც (თვითონ) განმენდთ.<sup>16</sup> ასევე გეკრძალებათ (ჭამა) იმისა, რაც მსხვერპლად შეუწირავთ კერპთათვის,<sup>17</sup> და იმისა, რასაც აზღამით ინანილეთ!<sup>18</sup> — ეს (ყველაფერი) სიბილ-

ნეა. დღეს<sup>19</sup> მათ, რომელთაც არ ირწმუნეს, იმედი გადაუწყდათ, თქვენს რწმენაზე.<sup>20</sup> ნუ გეშინიათ მათი. ჩემი გეშინოდეთ!

5. დღეს სრულვყავი თქვენი რწმენა, სრულად გიბოძეთ ჩემი წყალობა და ვაკურთხე თქვენთვის ისლამი სარწმუნოებად.<sup>21</sup> ხოლო თუ ვინმე იძულებული იქნება — შიმშილობისას, და არა ცოდვისაკენ სწრაფვით (ჭამოს აკრძალული), ალაჰი მიმტყვებელია, მწყალობელი.

6 (4). გეკითხებიან შენ — რა გამოცხადდა ნებადართულად მათთვის?! უთხარი: ნებადართულად ცხადდება თქვენთვის სიკეთენი<sup>22</sup> და ასევე ნანადირევი იმ ნადირთა, რომლებიც გაგინვრთნიათ ძალღებვივით და გისწავლებიათ მათთვის ის, რაც თქვენ ალაჰმა შეგასწავლათ. მამ ჭამეთ, რასაც ესენი (ცხოველები) თქვენთვის დაიჭერენ; ახსენეთ ალაჰის სახელი მასზე (ნანადირევზე) და გეშინოდეთ ალაჰისა, (რადგან) ალაჰი სწრაფია ანგარიშსწორებისას.

7 (5). დღეს ნებადართულად ცხადდება თქვენთვის სიკეთენი და ასევე საჭმელი მათი, რომელთაც (უწინ) ებოძათ ნიგნი,<sup>23</sup> ასევე თქვენი საჭმელი ნებადართულია მათთვის; აგრეთვე ნებადართულია თქვენთვის კეთილშობილნი — მორწმუნე და თავშეზნაული ქალები იმათგან, ვისაც ებოძა ნიგნი თქვენზე უწინ — თუკი მათ მისცემთ თავიანთ საფასურს — პატიოსნად და არა სიძვისათვის; არცა (მათი) ხარჭად დასმისათვის.<sup>24</sup> ვინც უარყოფს რწმენას, წასულია მისი საქმე და ზესთასოფელში წაგებულთა თანა იქნება.

8 (6). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, როცა ლოცვად დაადგრებით, დაიბანეთ სახეები და ხელები იდაყვებამდე, წყალი ნაიცხეთ თავებზე და (ასევე დაიბანეთ) ფეხები და ხელები წვივებამდე.<sup>25</sup>

9. და თუ იქნებით (თესლდათხევი) შებილწულნი, განიბანეთ. თუ იქნებით ავად,<sup>26</sup> მოგზაურობაში,<sup>27</sup> ან თუ რომელიმე თქვენგანი დაბრუნდება საპირფარეშოდან, ანდა მიკარებია<sup>28</sup> ქალს და არ მოეძევება წყალი, მაშინ გასუფთავდეს მშრალი წმინდა ქვიშით.<sup>29</sup> დაიბანეთ მისით პირი და ხელები. ალაჰს არ ნებავს უმნიშვნელო სიძნელეც კი შეგიქმნათ, არამედ უნდა — განგწმინდოთ და სრულჰყოთ თქვენზე თვისი წყალობა,

რათა ეგების მადლიერნი იყოთ.

10 (7). და გაიხსენეთ ალაჰის წყალობა თქვენზე და ის აღთქმა, რომელიც მან აღვითქვათ, როცა თქვენ თქვით: გავიგონეთ და გემორჩილებითო. და გეშინოდეთ ალაჰისა. ჭეშმარიტად, ალაჰმა უწყის. გულისთქმანი.<sup>30</sup>

11 (8). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, იყავით მტკიცენი ალაჰისათვის, დამმონმებელი სამართლიანობით და ნუ გაიძულებთ თქვენ ხალხის<sup>31</sup> სიძულელი, რომ არ იყოთ სამართლიანნი. იყავით სამართლიანნი — ეს უფრო ახლოა ღვთისმოშიშებასთან. გეშინოდეთ ალაჰისა და ალაჰმა უწყის, რასაცა იქმთ.

12 (9). აღუთქვა ალაჰმა მათ, რომელთაც ირწმუნეს, და აღასრულებენ კეთილ საქმეთ, პატიება და ჯილდო უდიდესი.

13 (10). ისინი კი, რომელთაც არ ირწმუნეს და ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიები, ჯოჯოხეთის ბინადარნი არიან.

14 (11). ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, გაიხსენეთ ალაჰის წყალობა, როცა ხალხმა მოინადინა ხელი აღემართა თქვენზე და (ალაჰმა) მოგაცილათ მათი ხელები. გეშინოდეთ ალაჰისა. და ალაჰს ხამს სასოებდნენ მორწმუნენი.

15 (12). და აჰა, ალაჰმა დაუდო აღთქმა ისრაელის ძეთ. აღმოვაცენეთ მათგან თორმეტი მეთაური.<sup>32</sup> და უთხრა მათ ალაჰმა: — მე თქვენთან ვარ! თუკი ლოცვად დაადგრებით, მონყალებას გასცემთ, დაუჯერებთ ჩემს მოციქულთ, გააძლიერებთ მათ; და ასეხებთ ალაჰს მშვენიერ სესხს,<sup>33</sup> ჩვენ განგწმენდთ თქვენ სიავეთაგან და უეჭველად შეგიყვანთ ნალკოტებში, რომელთა წიაღაც მიედინებიან მდინარენი. იმას კი, ვინც არ ირწმუნა თქვენგან ამის შემდეგ, ყველა სავალზე არევია გზა-კვალი.

16 (13). მაგრამ თავიანთი აღთქმის დარღვევისათვის დაწვევლეთ ისინი და გავასასტიკეთ მათი გულები: ღვთის სიტყვებს დამახინჯებით ანაცვლებენ მათი ადგილებიდან;<sup>34</sup> და ვინც იმით ნაწილი იმისა, რაც ჩაეგონათ, და შენ მოაქჟამამდე შეიტყობ მათი ლალატის შესახებ, მათგან მცირედთა გარდა. შენ კი აპატიე და შეუხდე მათ, რამეთუ ალაჰს უყვარს ქველნი.

17 (14). და ასევე მათ, რომელნიც ამ-